

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
სამინისტრო
ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი

MINISTRY OF EDUCATION AND SCIENCE OF GEORGIA
NIKO BERDZENISHVILI INSTITUTE

ისტორიის განყოფილება

Department of History

ბათუმი წარსალი და თანამედროვეობა

I

BATUMI
THE PAST AND MODERNITY

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია

International scientific conference



გამომცემლობა
„შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“
ბათუმი – 2009

UDC (უაგ) 908 (479.22-21) (063)
ბ-179

სარედაქციო კოლეგია: მაღხაზ სილრიძე (მთავარი რედაქტორი),
სულხან ალექსაია, რუსლან ბარამიძე, დევიდ ბრაუნდი
(ექსეტერის უნივერსიტეტი, დიდი ბრიტანეთი), სიმონ
გოგიძე ბიჭიკო დიასამიძე, ალექსანდრე თვალჭრელიძე,
ოთარ თურმანიძე, ნინო ინაიშვილი, დომენიკ კასაბ-
თეზგორი (ბილკენტის უნივერსიტეტი, ანკარა, თურქეთი),
ამირან კახიძე, **როინ მალამაძე** (მთავარი რედაქტორის მო-
ადგილი), უჩა ოქროპირიძე, მურმან პაპაშვილი, ავთანდილ
სონდულაშვილი, კახაბერ სურგულაძე, მამია ფალავა, ვახ-
ტანგ შამილაძე, ვაჟა შებითიძე, გურამ ჩაგანავა, ტარიელ
ჭილვარია, ნანა ხახუტაშვილი, **ოლეგ ჯიბაშვილი** (აასუ-
სტუდენტი რედაქტორი).

რეცენზენტები: ნოდარ კახიძე - ისტ. მეცნ. დოქტორი
მიხეილ ქამადაძე - ფილოლ. მეცნ. დოქტორი
ჯანი მიქაშვილიძე - ეკონ. აკად. დოქტორი

EDITORIAL BOARD: **Malkhaz Sioridze (Editor-In-Chief)**, Sulkhan Aleksaia, Ruslan Baramidze, David Braund (University of Exeter, Great Britain), Simon Gogitidze, Bichiko Diasamidze, Alexandre Tvalchrelidze, Otar Turmanidze, Nino Inaishvili, Dominique Kassab Tezgor (Bilkent University, Ankara, Turkey), Amiran Kakhidze, **Roin Malakmadze (Assistant Editor)**, Ucha Okropiridze, Murman Papashvili, Avtandil Songhulashvili, Kakhaber Surguladze, Mamia Paghava Vakhtang Shamiladze, Vazha Shubithidze, Guram Chaganava, Tariel Chighvaria, Nana Khakhutaishvili, **Oleg Jibashvili (Responsible Editor)**.

Reviewers: Nodar Kakhidze - Doctor of Historical Sciences
Mikheil Kamadadze - Doctor of Philological Sciences
Zhani Mikashavidze – A/Doctor of Economics Sciences

ISSN 1987-8745

© ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი – 2009
© „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ – 2009

ქ ე ს ე ა ღ ლ ი

ქარაქები ეკვთიმი ეპთემბი წარმოადგენდნენ ბოლოტიქური, ქონიმი ქური და კულტურული ცხოვრების ცენტრებს, როთაც უდიდესი როლი შეასრულებს საერთო ისტორიული ძროულის განვითარებაში. ამიტომ ქარაქია ისტორიას შეწარმო მნიშვნლოვნი და საპატიო საქართველო.

საქართველოში ქარაქის ისტორიისადმი ინტერესი XIX საუკუნის II ნახევარში განხდა, აქტივური მუნიკურული კრეპა კი XX საუკუნის შესანებიდან დაიწყო. აუგორთა ჯგუფის მიერ შექმნა თბილისის ისტორიის სამუშაო. გამოიცა მონოგრაფიები საქართველოს სხვა ქარაქის, მათ შორის, ბათუმის შესახებაც (კ. სიჭინავა - 1958 წ., ამ. სურგულაძე მ. სიონიძე - 1996 წ., რ. უზუნაძე - 1997 წ.). ამ ნაშრომებს უდაკოდ გააჩნდათ სათანადო მუნიკურული დაზეულება, მაგრამ მათში ბათუმის ისტორიის მნილობრივი მონაკვეთებია გამუშებული და მთლიანობაში კერ ასახავენ საქართველო ცხოვრების განვითარების ქოთახს სურათს.

ბათუმის საქართველოს ქარაქებს შორის საპატიო ადგილი უკავია. ამიტომ მისი წარსულის და დოკუმენტობის საფუძვლიანი შეწარმო განსაკუთრებულ ურჩევების იმსახურებს. ქს. ბათუმი უთველისა, უნდა გამოიხატოს მისი მთლიანი ისტორიის შექმნათ, რაც სამწესამოდ. დღემდე არ დაწერილა. პრაქტიკულად, ასეს შესწავლითა ბათუმის ქარაქიზი ფორმირით და ეთნოგრაფია, ხელოსნობა, რეწვა, ამჟამურებულა, საფორტიფიციური კულტურული ნაწესები, ქარაქის უბნები და სხვა საკითხები. სწორ კი მათი კომპლექსური შეწარმო მოგვიყენებას სამუშაოს შესახებ შექმნას სრულყოფილი მუნიკურული გამოკლევა, რომელიც სრულიად იწება გადმოცემული ქარაქის წარსული და უანდესი ისტორია.

ანიშნული ნარევის შექვების ერთ-ერთი წარმატებული ცდაა წინამდებარებული კრეპული, რომელიც შევდა 2009 წლის 23-24 ოქტომბერს ქარაქ ბათუმში, ნიკო ბერძენიშვილის სამუნიკილებელი იმუშიურებში ისტორიის განვითარების მიურაციებით ჩატარებულ ბათუმი საერთაშორისო სამუნიკილო კონფერენციაზე: “ბათუმი - წარსული და თანამდებროვება” წარმოდგენილი მოხსენებით.

კონფლიქტის თემატიკა გრძელდებოდა. სტატიები ეხება და შეიძინავნის როგორც ბათუმის წარსული ისტორიას, ან ქათლოგიას, ეთნოლოგიას, ან ფილტრულის, ფოტოიდიას, ისე ქალაქის თანამედროვე ყოფის, კულტურის, ტურიზმის, კონფლიქტის ვითარებისა და დემოგრაფიის საკითხებს. წარსულისა და თანამედროვეობის კომპლექსური კვლევა კიდევ უფრო აძლევებს როგორც აზიანებული კონფლიქტების, ასევე წინაძებას კონფლიქტის მნიშვნელობას. მთელი უკანას წელი წლებში ქალაქი ბათუმი საქართველოს მთავრობის განხარისხური უკრალობის ცენტრშია მოქმედო. ასეთი აღმშენებლობის ბაზის ისტორიის შესწავლას თვლითავებით ერთად ენიჭება პრეზიდენტი დანიშვნლებაუ. კერძოდ, ეს სერის შეუწიებელი ქალაქის მომავალ ურთანახლ განვითარებას, პატრიოტული ქალაქის უნიტარული გაფართოებას, ისტორიის დაზუსტებასა და დღევანდვლისათვის აუკირქვლი დღეს მომწიფებას, დამუშავებასა და გაუმჯობესას.

აქამის აუტომობილი რექს-უბლი ის მთავრობამ გათვალისწინა ზემოაღნიშნული გამეოცები და მიზნებით მიმინდობა ბათუმია, რომ უკველჩლო-ურთად ჩატარდეს ბათუმის პრობლემატიკისადმი მიღებადი სამუნიციპალიტესტი კულტურული რესურსი და ამ პროცესს გაეწიოს სათანადო ფინანსური და მორალური მნაბრძალება. ვიზუალური კონფლიქტის კიდევ ბური კონფლიქტი გამოიწვევა მა პასუხი, გაიმუშება და საბოლოოდ დადგინდება ბათუმის ისტორიის აქტორების ბურუსთ მოცული მრავალი საკითხი. უფიქრობთ, ჩატარებული კვლეულის ბაზაზე საბოლოოდ შექმნება დასრულებული შემაჯღვევები ნაშრობი ქალაქ ბათუმის ისტორიის შესახებ, რაც დამსუბული დაგვირცხვება იქნება ჩვენი ერთობლივი მაღისებრებისა.

მაღალი სითონია

ფუროტმატოლეობა და ისტორიოგრაფია
SOURCE STUDIES AND HISTORIOGRAPHY

სიმონ გოგიტიძე, ემზარ კახიძე
(ბათუმი, საქართველო)

ბათუმი ანტიკური ხანის ცენტრობით ფუროტმატოლეობა

კოლხეთის ქალაქები სამეფოს დასუსტების ხანიდან (ძვ. წ. III ს.) იწყებენ დაპინძებას და ძვ. წ. II-I საუკუნეებში წყვეტები თავიანთ არსებობას: კირკეუმი, დიოსკურია, ტინდარიდა, კიკნუმი, აია [Plin, NH, VI, 13]. თავისი განვითარებისა და დასასრულის ასეთივე გზა განვლეს აჭარის ტერიტორიაზე მდებარე ქალაქებმაც, მაგალითად, კიკნოსმა (ფიჭვნარი) [ა. კახიძე, 1971; მისივე, 1975].

საქალაქო ცხოვრების აღმავლობაში ახალი ეტაპი იწყება ახ. წ. I-II საუკუნეებში [ნ. ლომოური, 1968: 49]. ამ დროიდან მოყოლებული, აჭარის ზღვისპირეთში ჩნდება ქალაქები – აფსარუნტი, მატიუმი (მადია), სებასტოპოლი (ციხისძირის ციხის შემოგარენი) და აფასიდამი (ციხისძირის ჩრდილოეთი) [ფლავიუს არიანე, 1961; ნ. ლომოური, 1955; მისივე, 1958; მისივე, 1957: 107-110]. ციხე-ქალაქების წარმოქმნა მჭიდროდა დაკავშირებული რომაელთა პოლიტიკურ და ეკონომიკურ ძლიერებასთან კოლხეთში და პოლიტიკასთან, მიმართულს აქაური ქალაქების საკუთარ ციხე-სიმაგრეებად გადაქცევისა-კენ და კოლონისტთა ძლიერი ფენის შექმნისაკენ [Инадзе М., 1968: 248].

ბათუმი ძველ საისტორიო წეაროებში მრავალჯერად მოხსენიებული. აქვე ზოგჯერ დასახელებულია რომელიდაც დასახლებული პუნქტები, ფონეტიკურად ახლოს მდგომი თანამედროვე ბათუმის სახელთან, მაგრამ მათი ლოკალიზაცია დღესაც დაუდგენელია.

თ. ყაუხჩიშვილის გამოკვლევით, ბათუმის შესახებ უძველესი ცნობა არისტოტელეს (ძვ. წ. IV ს.) ეკუთვნის. მასთან მოხსენიებული „სიღრმეები“ (ბერძნულად ბათეა) ბათუმს უნდა შეესატყვისებოდეს [Каухчишвили Т., 1988: 243-249]. ბათუმი რომ ცნობილი იყო თითქოს ძვ. წ.-მდე 400 წლის უწინარეს, – უან მურიეც მიუთითებდა [ჭ. მურიე, 1962: 22].

თუ დავიმოწმებთ იმას, რომ ამ „სიღრმეების“ წინ დასახელებული კორაქსები კოლხეთის ჩრდილოეთ მონაკვეთზე მოხსელეობენ, მაშინ, ჩვენი აზრით, არ იქნებოდა უმართებულო, ამ ბათეას თუ სტრაბონის მიერ მოხსენიებულ ბატასთან (ნოვოროსისკის მახლობლად) გავაიგივებდით [Народы Кавказа, 1960: 65; ს. გოგიტიძე, 1996, №6]. თუმცაარც იმას გამოვრიცხავდით, რომ აღნიშნულ „სიღრმეებ-

ში“ (ბათეა) ზღვის ღრმა ადგილი იგულისხმებოდეს და არა გეოგრაფიული პუნქტი. ასეთი დასკვნის გამოტანის საშუალებას იძლევა პლინიუსისა და სტრაბონის მონაცენები. პლინიუსის ცნობით, პონტოსში, კორაქსთა ტომის გასწვრივ, ხმელეთიდან 300 სტადიონის (დაახლ. 53 კმ.) მანძილზე ზღვა განუზომელი სიღრმისაა [Plin, NH, I, II, 224]. სტრაბონის გადმოცემით კი ის უბე, რომელშიც დიოსკურიადა (სოხუმი) მდებარეობს, ითვლება ევქსინის პონტოს (შავი ზღვის) „სიღრმეებად“ [Страбон, 1964: 472]. ასევე, ცდება ის, ვინც სტრაბონის ბატასა და კოროკონდამას, შესაბამისად, ბათუმთან და ყოროლისწყალთან აიგივებენ [შ. ვარშანიძე, 1974: 23].

შესაძლებელია ბათუმის პირებლი მოხსენიება პლინიუსს (ახ. წ. I ს.) ეპუთვნოდეს. მასთან ციხე-ქალაქ აფსაროსის (გონიო) და მდინარე აფსაროსის (ჭოროხი) შემდეგ, სადღაც ახლოს დასახლებულია ქალაქი მატიუმი [ა. გამყრელიძე, 1973: 31]. ამ პუნქტის ლოკალიზაცია არავის მოუხდებია, მხოლოდ არის ცდა მისი კლავდიოს პტოლემაიონის (ახ. წ. II ს.) მადიასთან გაიგივებისა [Помоури Н., 1957: 108]. ჩვენ გამოვთქვით ვარაუდი, რომ მატიუმი-მადია-მენტები ბათუმს უნდა უკავშირდებოდეს [ს. გოგიტიძე, გაზ. „ბათუმი“, 1998].

მეორე რომაელი ავტორი არიანე (ახ. წ. II ს.), რომელმაც პლინიუსის მსგავსად კოლხეთისა და ქართლის სანაპიროები მიმოიარა, აფსარუნტს გარდა არც ერთ ქალაქს არ ასახელებს აჭარის ტერიტორიაზე. მასთან მოიხსენიება მდინარე სახელით „ბათისი“ [ფლავიუს არიანე, 1961: 37], რომელიც ფონეტიკურად ახლოს დგას ბათუმის ძველ და თანამედროვე სახელებთან.

ტომეშეკი წერდა, რომ ბათისი მდინარეა და იქვე მის შესართავთან ნავსადგური ბათისია [Tomascheck, 1897: 5. 139, 5. V]. ადსანიშნავია, რომ ამავე სახელის პუნქტს პლინიუსიც მოიხსენიებს [Plin. NH, II, II, 224]. ფ. უსაენსკი მას ბათუმთან აიგივებდა [Успенский Ф., 1917: 164]. ჩვენ ვიზიარებთ შეხედულებას, რომ ბათისი ყოროლისწყლის შესართავთან ბათუმის ციხის (თამარა) მიდამოებშია საძებარი. რატომ არ მოიხსენია არიანემ ქ. ბათისი, თუკი იგი არსებობდა.

ჩვენი აზრით, გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოებები: 1. არიანემ ისტორიული აჭარის სანაპიროს გასწვრივ დამით ჩაიარა და უქვევლია მან მდ. ბათისის შესართავთან დასახლებული პუნქტი ვერ შეამჩნია; 2. შესაძლებელია, ამ ქალაქით იმის გამო არ დაინტერესდა მოგზაური, რომ იგი რომის იმპერიისადმი დაქვემდებარებულ კოლხეთში (ლაზიკა, ეგრისი) კი არ შედიოდა, არამედ ქართლის (იბერიის) სამეფოს შემადგენლობაში; 3. არიანეს ბათისით დაუნტერესებლობის ერთ-ერთ მიზეზად შეიძლება ის დავასახელოთ, რომ აქ რომაული გარნიზონი არ იდგა.

ჩვენს ამ შეხედულებასთან დაკავშირებით გამოითქვა მოსაზრება, რომ თუკი ბათუმის მიდამოები ამ დროს ქართლის სამეფოში

შედიოდა, მით უფრო უნდა დაინტერესებულიყო ფლავიუს არიანე, როგორც რომის იმპერიის მოხელე [ე. კახიძე, 2002].

შექნიშნავთ, რომ რომაელი მოგზაური ასევე არ დაინტერესებულა რიზეს, ახალი ბანაკების, კორდილერასა და ბათუმის გვერდით მდებარე სებასტოპოლის (ციხისმირი), აფასადამისა და სხვათა შესახებაც. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ს. გოგიტიძის მიერ წამოყენებული არგუმენტები სრულიად შეესაბამებიან იმ რეალურ ვითარებას, რომელიც იმ პერიოდში სუფევდა აჭარისა და მის მეზობლად განლაგებულ რაიონებში.

პტოლემაიოსი კოლხეთის აღწერაში ასახელებს ქალაქ მადიას [Клавдий Птолемеј, 1948: 251]. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბერძენი ავტორი „მეფეთა ცხოვრების“ მსგავსად კოლხეთის (ეგრისი) სამხრეთ მიჯნებს ფასის-რიონით საზღვრავს [ქც, 1955: 24].

ამ ცნობის სანდობაში ჩვენ ეჭვი არ გვეპარება, რადგან სხვა წყაროების (ამიანე მარცელინი, ბლენიდი...) მიხედვით რიონს ქვემოთ (სამხრეთით) ბიძერები (მიდრიტები) მოსახლეობებ [ს. გოგიტიძე, 2002: 33-34]. „ფარნაგაზიანის“ ავტორის ცნობით, ეს ტერიტორია აჭარისაა, რომელიც ოძრხეს საერისთავოში შედიოდა [ქც, 1955: 24; ს. გოგიტიძე, 1999: 150]. ასეთ შემთხვევაში ჩვენ მიგვაჩნია, რომ მადია თუ მართლაც შეესატყვისება ბათუმს, მაშინ ეს ცნობა პტოლემაიოსს ამოღებული უნდა პქონდეს ისეთი წყაროებიდან, როდესაც ბათუმი კოლხეთის სამეფოში შედიოდა. წინააღმდეგ შემთხვევაში მადია თანამედროვე სამეგრელოს (ისტორიული ეგრისი) ტერიტორიაზეა საძებარი. ბერძენი ავტორის მიერ ნაჩვენებ კოორდინატებს თუ დავემყარებით, მაშინ ის უფრო ახლოსაა განლაგებული მეხლესოსთან, ვიდრე მომდევნო პუნქტი სარაკე (საჩხერესთან) [გ. ლორთქიფანიძე, 2000].

რომაულ საგზაო რეგაზე ტΠ-ზე (IV ს.) დაახლოებით თანამედროვე ბათუმის ადგილას დატანილია „პორტუს ალტუს“ [ნ. ლომოური, 1958: X-XI]. ს. ყაუხეჩიშვილს იგი ბერძნული ბათისის (ღრმა) ლათინურ ფორმად მიაჩნია - „პორტუს ალტუსი“ ნიშნავს „ლრმა ნავსადგურს“ [ს. ყაუხეჩიშვილი, 1964: 56-57]. ასეთ გაიგივებას იზიარებენ ი. სიხარულიძე, დ. ბრაუნდი და სხვები [ი. სიხარულიძე, 1959: 82; Braund D., 199: 185].

ა. სურგულაძის აზრით, ბათუმი წერილობითი წყაროების მიხედვით ყალიბდება II-IV საუკუნეებში [ა. სურგულაძე, 1983: 78]. ი. სიხარულიძე წერს, რომ II ს. მეორე ნახევარზე ადრე ბათუმი არ არსებობდა [ი. სიხარულიძე, 1959: 81]. დ. ხახუტაშვილმა და ა. კახიძემ ბათუმის ისტორიასა და არქეოლოგიას ერთობლივი მონოგრაფია მიუძღვნეს. აქ აღნიშნულია, რომ „რომელიმე მკვლევარის ავტორიტეტი არ გამოდგება იმის საბუთად, რომ ბათუმი ას. წ. I-II საუკუნეებში არ სებობდა, როგორც ქალაქი და ნავსადგური [ა. კახიძე, დ. ხახუტაშვილი, 1989]. ჩვენი აზრით, მართებული შენიშვნაა, რადგან არც ერთ ძველ წყაროში ბათუმი და თუნდაც მატიუმი-ბათი-

სი-მადია-მენტე მნიშვნელოვან ქალაქად და ნავსადგურად არცაა მოხსენიებული. წინააღმდეგ შემთხვევაში რომისა და ბიზანტიის ხანგრძლივი ბატონობის დროს ჩვენს მხარეში იგი აუცილებლად გამოყენებული იქნებოდა. აქ არც რომაელთა გარნიზონი მდგარა.

პასქალურ ქრონიკაში (VII ს.), მოხსენიებულია „მეგალე პოლისი“ („დიდი ქალაქი“). მას ს. ყაუხენიშვილი ბათუმთან აიგივებს, ი. სიხარულიდე და დ. ხახუტაიშვილი – აფსაროს-გონიოსთან.

ცნობილ რომაელ მწერალს ევსები კესარიელს (260-340 წწ.) თავის თხზულებაში „საეკლესიო ისტორია“ დაუცავს შემდეგი სახის ცნობა: „მეოთხე თაობაში, როდესაც ასურეთში პანინოსი ბატონობდა, არგონავტებმა საომარი ხომალდები შეაცურეს მდინარე ფაზისისაკენ და კოლხური მენტესკენ“ [გეორგიკა, 1961: 31; ლათშევ В., 1948: 220]. როგორც ვხედავთ, არგონავტები აიეტთან მისულან მდ. ფაზისთან, სადაც, რომელიდაც კოლხური დასახლებული პუნქტი ყოფილა. ეს პუნქტი ევსების მოდგაწეობის ხანაზე ადრეც იყო ცნობილი (რადგან ის იმოწმებს კეფალიონს).

ამ ცნობის მიხედვით, ჩვენთვის გაურკვეველია თუ რომელ ქალაქსა და მდინარეს გულისხმობს რომაელი მწერალი. აღნიშნული ქალაქის ლოკალიზაცია არავის უცდია, ხოლო სახელი ფაზისი ანტიკურ ხანაში ერქვა კოლხეთის ორ დიდ მდინარეს – ჭოროხსა და რიონს.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ ამ ტექსტის მენტე და პლინიუსთან (23-79 წწ.) მოხსენიებული მატიუმი [თ. ყაუხენიშვილი, 1969: 12] ერთიდაიგივე ქალაქი უნდა იყოს (შეადარეთ მე(ნ)ტე მატიუმი. პლინიუსი ასეთივე სუფიქსით „უმი“ იხსენიებს ქ. „სურიუმი“-საც. (კლავდიოს პტოლე-მაიოსთან დამოწმებულია „სურის“-ს სახით) [Инадзе М., 1968: 94]. საქმე ისაა, რომ არც პლინიუსის მატიუმის შესახებ არსებობს ერთიანი აზრი. არის ცდა მისი გაიგივებისა პტოლემაიოსის მადიასთან [თ. ყაუხენიშვილი, 1969: 12, შენ. 8; მისივე, 1968: 11, შენ. 9; ნ. ლომოური, 1955: 57, შენ. 18; მისივე, 1957: 108]. თ. ყაუხენიშვილი მიმოხილავს რა არსებულ ძველ ბერძნულ-რომაულ წყაროებს და ლიტერატურას, მიიჩნევს, რომ მატიუმი იგივე ბათუმი უნდა იყოს [თ. ყაუხენიშვილი, 1969: 12-14]. აღნიშნული აზრი კიდევ უფრო დააკონკრეტება სპეციალურ ნაშრომში [თ. ყაუხენიშვილი, 1987: 109-116].

პლინიუსი მატიუმს ასეთ კონტექსტში მოიხსენიებს: „140 000 ნაბიჯის მანძილზე ტრაპეზუნტიდან მდ. აბსაროსია და იმავე სახელი მქონე ციხე შესართავთან. ამ ადგილებში მთების გადაღმა იბერიაა, ხოლო ნაპირის გასწვრივ მოსახლეობენ პენიონები, ამპრევტები, ლაზები. მდინარეებია: აკამფსისი, ისისი, მოგროსი, ბათისი, კოლხთა ტომებია აქ. ქალაქი მატიუმი“ [იქვე].

ს. გოგიტიძის აზრით, რომაელი მწერლის ცნობიდან ჩანს: 1. ქალაქი მატიუმი უნდა იყოს სადღაც აფსაროსიდან (გონიო) ახლო მანძილზე. ის ყველაზე უკეთ ამ შემთხვევაში აფსაროსის მიდამოებს ახასიათებს. 2. ქ. მატიუმი არ იგულისხმება რიონ-ფასისთან, რადგან

ფასისი (რიონი) მხოლოდ მატიუმის დასახელების შემდეგაა წარმოდგენილი. 3. მდ. რიონ-ფასისთან ჩვენ არ ვიცით მსგავსი სახელ-წოდების მქონე ქალაქი, მიუხედავად იმისა, ძველი წყაროებით მისი ზღვასთან შეერთების ადგილას ცნობილია ქალაქი ფასისი [Скилак Кариондский, 1947: 242]. 4. ქ. მატიუმის ჭოროხის შესართავში ლოკალიზაციას ენიჭება უპირატესობა, რადგან ძველ დროს (პლინიუსი, არიანე, V ს. ბერძენი ანონიმი) [ფლავიუს არიანე, 1961: 37, 67, 85] საგულვებელ ადგილას მოედინებოდა მსგავსი სახელის მქონე მდინარე (ბათისი) და ყოვლად მსგავსი სახელის მქონე ქალაქი. 5. თუ მატიუმი პლინიუსის მიერ მისი დგომის ადგილიდან (აფსარი) შორს იგულისხმება, ე.ი. რიონის შესართავთან, მაშინ ის აუცილებლად დაასახელებდა მის გვერდით სინამდვილეში არსებულ სხვა ქალაქებსაც - ფაზისს, სებასტოპოლისს და იქნებ პორტუს ალტუს-საც (ამ უკანასკნელს აიგივებენ ბათუმთან), რადგან აღნიშნული ქალაქები არაა დასახელებული, ამიტომ პლინიუსის ცნობა იმის დამადასტურებელია, რომ მატიუმი აფროსიდან სადღაც ამ ქალაქებთან მისვლამდე მდგბარედ უნდა ვიგულოო. 6. მატიუმ-ბათეას სახელის მსგავსი ქალაქი დღესაც არსებობს (შეადარ. მატიუმი (მენტე) მადია-მათია, ბათუსი-ბათუმი). ამიტომ ცხადია იმ ქალაქ მენტეში, რო-მელსაც არგონავტებმა გვერდი აუარეს ქ. ბათუმი უნდა ვიგულსხ-მოო, ხოლო იმ მდინარე ფაზისში, რომელშიც არგონავტებმა ხომალ-დები შეაცურეს ჭოროხი [ს. გოგიტიძე, 2002: 90-93].

ძველად მდ. ჭოროხს ფასისი რომ ერქვა ჩანს ანტიკური წყაროებიდან, ასე მაგალითად: ერატოსთენით (285-105 წწ.) ფასისი მოედინება არმენიის მთებიდან. ოოგორც ჩანს, ჭოროხი იგულისხმება აპოლონიოს როდოსელთან (ძვ. წ. III ს.), როცა ამბობს, რომ არაქსს შორდება ლიკა და უერთდება ფასისს. **ВДИ**-ის კომენტატორი შენიშ-ნავს, რომ ლიკა შესაძლებელია იყოს რიონის შენაკადი ყვირილა ან ძირულა. ასეთ შენიშვნას ეწინააღმდეგება სტრაბონის (ძვ. წ. I ს. -ახ. წ. I ს.) მონაცემი. მისი ცნობით, ფაზისი და ლიკოსი სომხეთის მდინარეებია და პონტოს (შავი ზღვა) ერთვიან. მეორე ადგილას ნათქვამია: ფაზისს, როგორც კოდხეთის მდინარეს, სათავე სომხეთი-დან აქვს, რომელიც დებულობს გლავოსსა და ჰიპოსს, მასში აღმა ცურვა შეიძლება შორაპნამდე. აქ, როგორც ჩანს, ფასის-რიონისა და ფასის-ჭოროხის აღრევა უნდა იყოს. ბერძენი დიონისეს (ახ. წ. II ს.) ცნობითაც ფასისი სათავეს იღებს არმენიის (სომხეთის) მთებიდან. ლათინი ისტორიკოსის ხოლინის (ახ. წ. III ს.) ცნობით, „ჰენოობური მთები არაქსს გადმოდვრიან, მოსხური კი ფასისს. ბერძენი ანონიმის (ახ. წ. V ს.) მიხედვით, ფასისი მოედინება არმენიიდან. თუმცა იქვე მიუთითებს: „მდინარეში რომ შედიხართ, ფაზისის მარცხნით მდებარეობს მილეტელთა ელინური ქალაქი, რომელსაც ფაზისი ეწოდება. ლათინი გრამატიკოსი პრისციანიც (V ს. II ნახ. - VI ს. დასაწყ.) გვამცნობს, რომ ფასისი სათავეს იღებს არმენიის მთების მწვერვა-ლიდან. ასევე იქ, სადაც ბიზანტიელი ისტორიკოსი პროკოპი პესა-

რიელი (ახ. წ. VI ს.) ფასისზე ლაპარაკობს, ჭოროხი უნდა იგულისხმებოდეს (ამ ფასისს სათავე ჭანეთის მთების მახლობლად აქვს. მაგრამ ნაშრომის სხვა ადგილას ფასისში უეჭველად რიონი უნდა იგულისხმებოდეს, რადგან მას სათავე კავკასიის მთებში აქვს.

როგორც ვხედავთ, ბერძნულ-რომაული წყაროების გარკვეული ნაწილი ფასისის სათავეს სომხეთის სამეფოს ფარგლებში ან ზოგჯერ სომხეთის მთებში გულისხმობს. უეჭველია, ამ ფასისში ჭოროხი იგულისხმება, რადგან ჭოროხი სათავეს სპერის ოლქში (სასპერების, იგივე იბერების ტომის ტერიტორიაზე) ღებულობს. ეს მხარე ძვ. წ. 189 წელს ქართლის სამეფოს ჩამოაჭრა სომხეთმა და მას ფლობდა გარკვეული დროის მონაკვეთში. როგორც აღინიშნა, ზოგიერთი ავტორი ფასისის სათავეს მოსხურ მთებში ან ჭანეთის მთების მახლობლად მიუთითებს. სპერის მხარე ერთ დროს „მოსხიებს“ (მესხეთი) ქვეყანაში შედიოდა, ხოლო ჭანეთის მთები ამ უკანასხნელის დასავლეთის მიმართულებით გაგრძელებას წარმოადგენს.

ანტიკური ხანის ზოგიერთი მწერალი ფასისის სათავეს ამარანტის მთებში ან ამარანტის ტომის ტერიტორიაზე მიუთითებს. ამ ფასისში რიონი უნდა იგულისხმებოდეს. ამარანტი შესაძლებელია ამირანის მთების დამახინჯებული ფორმა იყოს. ლეგენდის მიხედვით ხომ სადღაც აქ კავკასიონის ერთ-ერთი მთის მწვერვალზე მიჯაჭვული იყო ამირანი. როგორც ხანს, ამ მიღამოებში მოსახლე ტომს ამარანტებს უწოდებდნენ. ვთვლით, რომ ამარანტები (ამარ-ან-ტი-ამარათი-იმერეთი) იმერელთა წინაპრები არიან.

ამრიგად, სრულიად დასაშვებია, რომ ეგსები კესარიელის „საეპლესიო მატიანეში“ მოხსენიებული „მენტე“ პლინიუსის მატიუმთან, პტოლემაიოსის მადიასთან გაიგივდეს და თანამედროვე ბათუმს დაუკავშირდეს. თუმცა დაახლოებით ამგვარი სახელწოდების ტოპონიმები დადასტირებულია როგორც ჭოროხის, ისე რიონის შეერთების ადგილას. გამბას გადმოცემით ფასისის გადმომყურე ციხეს ჰქვია მინდა. ასეთივე სახელის მქონე უბანი დღესაც არსებობს ბათუმის სიახლოეს, მდ. ჭოროხის ზღვასთან შეერთების რაიონში.

შუა საუკუნეების ევროპელ მოგზაურებთან ბათუმი მოხსენიებულია რამდენიმე სახეცვლილი ფორმით, შილტბერგესთან: ვათან, ლოათონ, კატან, ბოტან, კოტან ფორმებით. იოსიფა ბარბარო ვატის ეძახის კონტარინი - ვატის, ლიატისა და ვარტის; ფრანჩესკო ლოვარისა და ლოვატის [15 საუკუნის იტალიელ... 1981: 64, შენ. 9].

XIV-XV საუკუნეების იტალიერ რუკებზე ბათუმი აღნიშნულია შემდეგი სახებით; ვესკონტესთან და ბენიკაზასთან - ვატი, პიციგანისთან - ვარუ, ანკონელისგან - ლოვარ, XV საუკუნის უცნობი ავტორის რუკაზე - ლოვატი. ლუკსოროც ლოვატის ეძახის.

ამრიგად, დასაშვებად მიგვაჩნია, რომ ახ. წ. I-II საუკუნეებში ბათუმს რომაელი და ბერძენი ავტორები ბათუსი-მატიუმი-მადია-მენტუს სახელით იცნობდნენ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ა. გამყრელიძე, ტაციტუსის ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1973.
2. გეორგიძა I, თბ., 1961.
3. ს. გოგიტიძე, აჭარის ტერიტორიაზე მოსახლე ტომის ვინაობის საკითხისათვის, ბათ., 2002.
4. ს. გოგიტიძე, ბათუმი ძველ საისტორიო წყაროებში, ჟურნ. „ლიტერატურული აჭარა“, 1996, №6.
5. ს. გოგიტიძე, ევსები კესარიელის ერთი ცნობის გაგებისათვის, გაზ. „ბათუმი“, 1998, 28 ოქტომბერი;
6. ს. გოგიტიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს საისტორიო გეოგრაფია (ძვ. წ. XII-IV სს.), ბათ., 2002.
7. ს. გოგიტიძე, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ძველი ისტორიის დამახინჯების კიდევ ერთი ცდა, ჟურნ. „ლიტერატურული აჭარა“, 1999, №3.
8. შ. ვარშანიძე, ნარკვენები შეა საუკუნეების აჭარის ისტორიიდან, ბათ., 1974.
9. ა. კახიძე, საქართველოს ზღვისპირეთის ანტიკური ხანის ქალაქები, თბ., 1971.
10. ა. კახიძე, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ანტიკური ძეგლები, ბათ., 1975.
11. ა. კახიძე, დ. ხახუტაიშვილი, მასალები ბათუმის ძველი ისტორიისათვის, – სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, ტ. XVIII, თბ., 1989.
12. ნ. ლომოური, კლავდიოს პტოლემაიონის „გეოგრაფიული სახელმძღვანელო“, - მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 32, თბ., 1955.
13. ნ. ლომოური, ეგრისის სამეფოს ისტორია, თბ., 1968.
14. ნ. ლომოური, ძველი საქართველოს სავაჭრო გზების საკითხისათვის, - ინშ. ტ. IV, 1958.
15. გ. ლორთქიფანიძე, კოლხეთის ქალაქები პტოლემაიონის „გეოგრაფიულ სახელმძღვანელოში“ (ლოკალიზაციის პრობლემები) - ქალაქები და საქალაქო ცხოვრება, სამეცნიერო კონფერენცია, ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმი, ბათ., 2000.
16. 15 საუკუნის იტალიულ მოგზაურთა ცნობები საქართველოს შესახებ, იტალიურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და გამოკვლევა დაურთო კ. მამისთვალიშვილმა, თბ., 1981.
17. ქან მურიე, ბათუმი და ჭოროხის აუზი, ფრანგულიდან თარგმნა იზა ლორთქიფანიძემ, ბათ., 1962.
18. ი. სიხარულიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა (აჭარის ასსრ), ტ. 2, ბათ., 1959.
19. ა. სურგულაძე, ქალაქ ბათუმის ისტორიიდან, ჟურნ. „ჭოროხი“. 1883, №4.
20. ფლავიუს არიანე, მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო, თბ., 1961.
21. ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 1955.
22. თ. ყაუხეჩიშვილი, ანტიკური წყაროები ქ. ბათუმის ისტორიისათვის. – სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, ტ. XVI, თბ., 1987.
23. თ. ყაუხეჩიშვილი, არისტოტელეს ზოგიერთი ცნობისათვის. – ქვა, II, თბ., 1968.

24. თ. ყაუხებიშვილი, ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. II, თბ., 1969.
25. ს. ყაუხებიშვილი, დავით ბერძენი ავტორები საქართველოს შესახებ, თბ., 1964.
26. Инадзе М. П., Причерноморские города Древней Колхиды, Тб., 1968.
27. Каухчишвили Т. С., Античные источники по истории города Батуми, - Источниковедческие розыскания, Тб., 1988.
28. Клавдий Птолемей. Географическое руководство, – ВДИ, 1948, №2.
29. Латышев В.В., Ск. – ВДИ, 1948, №3.
30. Ломоури Н. Ю., Из исторической географии древней Колхиды, – ВДИ, 1957, №4.
31. Народы Кавказа, I, под редакцией М. Косвена и др., М., 1960.
32. Скилак Карондский, Азия, – ВДИ, 1947, №3.
33. Страбон, География, перевод Стратановского, Лен., 1964.
34. Успенский Ф. И., Старинная крепость на усте Чороха, – ИАН, №2, П., 1917.
35. Braund D., Georgian in Antiquity, Oxford, 1994.
36. Tomascheck, Pauly-Wissowa, Kroll, Realenzyklopädie des Altertumswissenschaft, Stuttgart, 1897.

Simon Gogtidze, Emzar Kakhidze (Batumi, Georgia)

Batumi in Antique literaru Sources

Summaru

Matiumi (Madia), Apsarunti (Gonio) and Sebastopol (Tshikhisdziri) were the significant residential points of Adjara at the I-III centuries A.D. Plinius mentioned Bata, in the form of Matium, Klavdious Ptolemaios mentioned Madia and Ariane mentioned the river Batus at the place where possible was situated Batumi Pseudo Aristotele in his „Meteorologu“ mentioning so called „Depthes“ (Batea) that we are able to suppose is not Batumi. The Author is speaking about immeasurable depthes and did not about point of residence. The same we can think about the informarion which we find at Strabon and Plinius.

თამაზ ბერიაძე
(თბილისი, საქართველო)

**XIII-XV საუკუნეების ბათუმის საკითხები
ეპიკულ ისტორიოგრაფიაში**

XIII-XV საუკუნეების ბათუმს ევროპელი ისტორიკოსები ძირითადად საქართველო-ტრაპიზონის საზღვრებთან დაკავშირებით ეხებიან.

გერმანელი მეცნიერი, იაკობ ფალმერაიერი, რომელმაც ტრაპიზონის იმპერიის ისტორია მონოგრაფიულად პირველმა შეისწავლა, ამ იმპერიის დაარსების შესახებ წერდა: იმ დროს, როდესაც ჯვაროსნებმა კონსტანტინოპოლი დაიკავეს, “ალექსი კომნენოსმა მისი წინაპრების გვირგვინი აზიაში ისევ დაიძრუნა. ის სათავეში ჩაუდგა ლაშქარს, რომელიც კოლხეთის ფაზისში შექმნა და წინ მიიწვდა ტრაპიზონელთა ქვეყნისაკენ. ტრაპიზონის დედაქალაქი, ტრიპოლისი, კერასუნტი, მესოხალდია, ყველა ციხე-დარბაზი მთაში, ყველა ქალაქი ზღვის პირას ამისომდე, ხილით, ღვინით, ზეთით მდიდარი მხარე ახალ მბრძანებელს დაემორჩილა” [F a 11 m e r ay e r, 1827: 46]. გერმანელი მეცნიერის ნაშრომიდან მოტანილი ამ ამონარიდიდან მკაფიოდ არ ჩანს, თუ სად გაყვას მას ახლად დაარსებული ტრაპიზონის იმპერიის ჩრდილო-აღმოსავლეთი საზღვარი. ამისდა მიუხედავად, ტრაპიზონის იმპერიის ისტორიის მისი მომდევნო მკვლევრების უმეტესობა, ამ ამონარიდზე დაყრდნობით, ამ იმპერიასა და საქართველოს შორის საზღვრად მდინარე ფაზისს ანუ რიონს მიიჩნევს. ასე მაგალითად, ცნობილი ქართველი ისტორიკოსი ა. ხახანაშვილი, რომელმაც ტრაპიზონის ისტორიის ერთ-ერთი უმთავრესი პირველწყარო, მიქელ პანარეტოსის “ტრაპიზონის ქრონიკა,” ბერძნულიდან რუსულად თარგმნა, ამ თარგმანის შესავალ წერილში საქართველოსა და ტრაპიზონის იმპერიის შორის საზღვრად მდინარე რიონს მიიჩნევს: “დასაწყისში ალექსის (იგულისხმება ტრაპიზონის პირველი იმპერატორი ალექსი კომნენოსი) დაპყრობებს ბრწყინვალე წარმატებები ხვდა. მან შექმნა სახელმწიფო სინოპიდან ფაზისამდე” [Panaret, 1905: XII].

ტრაპიზონის ისტორიის ისეთი ცნობილი მკვლევარი, როგორიც თ. უსპენსკი იყო, ალექსი I კომნენოსის (1204-1222) და მისი ძმის დავითის 1204 წლის ერთობლივ ლაშქობასთან დაკავშირებით აღნიშნავდა: “ტრაპიზონში მისი ხელისუფლების ცნობამ, უფლისწული ალექსის უახლოეს მხარეებში წარმატება უზრუნველყო, რომლებიც ამ ცენტრალური და უმნიშვნელოვანესი სავაჭრო-ეკონომიკური ქალაქის გავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ. იმპერიის ცენტრალური ნაწილი, იურია მჭიდროდ დაკავშირებული ტრაპიზონთან, როგორც ჩანს ყოველგვარ ძალდატანების გარეშე შევიდა მის შემადგენლობაში და სანა-

პირო ოდქი თერმოდონიდან ფაზისამდე მოექცა ალექსის და დავითის სრულ მფლობელობაში” [Успенский Ф., 2003: 71].

თ. უსპენსკის ეს მოსაზრება ფაქტობრივად უცვლელად არის გამეორებული ა. კაშდანის რედაქტორობით ოქსფორდის უნივერსიტეტის მიერ გამოცემულ ბიზანტიის ენციკლოპედიურ ლექსიკონში. ამ ლექსიკონის პირველ ტომში, ალექსი I კომნენტისადმი მიძღვნილ სტატიაში კითხულობთ: “ალექსი III-ის გადაყენებამ (იგულისხმება ალექსი III ანგელოსი) 1203 წლის ივლისში საბაბი მისცა თამარს (თამარ მეფეს) ქართველების ექსპედიცია გაეგზავნა ტრაპიზონის წინააღმდეგ, ალექსისა და დავითის ფორმალური ხელმძღვანელობით. ერთბაშად მოელი მხარე ფაზისიდან სინოპის ჩათვლით იქნა დაკავებული” [The Oxford Dictionary, 1991: 66].

ბოლო ხანებში საქართველოსა და ტრაპიზონის იმპერიის შორის საზღვრის საკითხს უცხოელ ავტორთაგან ს. კარპოვი და ა. ბრაიერი შექმნენ.

ს. კარპოვი 1981 წელს გამოცემულ წიგნში, რომელიც XIII-XV საუკუნეებში ტრაპიზონის იმპერიის დასავლეთ უკროპის სახელმწიფოებთან ურთიერთობას შეეხება, ტრაპიზონის იმპერიის საზღვრებთან დაკავშირებით წერდა: “ტრაპიზონის იმპერიის ბირთვს პონტოს შეარე შეადგენდა, რომელიც სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ბათუმიდან სინოპამდე ვრცელდებოდა” [Карпов С.П., 1981: 7]. ამ ამონარიდის მიხედვით რეს მკლევარს ბათუმი თითქოს ტრაპიზონის იმპერიის საზღვრებში არ შეუავს, მით უფრო, რომ ის ცოტა ქვემოთ საქართველოსა და ამ იმპერიის სასაზღვრო მიჯნად მდინარე ჭოროხს ასახელებს. თუმცა, როდესაც ს. კარპოვი XIII საუკუნის მეორე ნახევარში გენუელთა მიერ ტრაპიზონის იმპერიის ქალაქებში დარსებულ სავაჭრო კოლონიებს ჩამოთვლის, ასეთ ქალაქად ბათუმსაც მიიჩნევს: “ტრაპიზონში გენუელთა ფაქტორების წარმოშობა ვაჭრობის განვითარების შედეგი იყო. ტრაპიზონის იმპერიის საზღვრებში კოლონია ვატაგში 1277 წლამდე, სომისოში დაახლოებით 1285, ხოლო ლოვატში (ვატის, ლოვატის XIII-XV საუკუნეებში ბათუმს უწოდებდნენ) 1290 წლამდე წარმოიშვა” [Карпов С.П., 1981: 91].

2007 წელს გამოვიდა ს. კარპოვის ვრცელი მონოგრაფია ტრაპიზონის იმპერიის შესახებ. ამ ნაშრომის შესავალ ნაწილში, სადაც “პონტოს”, როგორც ერთიანი რეგიონის ფიზიკურ-გეოგრაფიულ და კლიმატურ პირობებს მიმოიხილავს, ის ცალკე გამოყოფს სანაპირო ზონას და მასში ტრაპიზონთან ერთად ბათუმიც შეუავს. ამავე ნაშრომის IX თავში ს. კარპოვი უცვლელად იმეორებს თავის ზემოთ უკვე მოყვანილ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ გენუელებმა თავიანთი სავაჭრო ფაქტორია ბათუმში, როგორც ტრაპიზონის ქალაქში დაარსეს [Карпов С.П., 2007: 257].

ს. კარპოვი საქართველო-ტრაპიზონის იმპერიის ურთიერთობას საგანგებოდ თავისი მონოგრაფიის მეცამეტე თავში – “ტრაპიზონის

იმპერია და კავკასია” – განიხილავს. რუსი ისტორიკოსი აქ, თითქოს საგანგებოდ, ცდილობს ყოველნაირად დამციროს ქართული სახელმწიფოს როლი უკანასკნელი ბერძნული იმპერიის ცხოვრებაში.

“დიდი კომნენოსები არ ყოფილან საქართველოს ვასალები ან მოხარეები, – კითხულობთ ს. კარპოვის მონოგრაფიის მეცამეტე თავში, – აღ-უმარის აზრით, რომელიც საფიქრებელია გენუელ იმფორმატორებს ეყრდნობოდა, ტრაპიზონის იმპერია უფრო დიდი და მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე საქართველო... ასე რომ XIV-XV საუკუნეების საერთაშორისო ურთიერთობათა იერარქიაში ტრაპიზონის იმპერიას უფრო მაღალი ადგილი ეკავა, ვიდრე საქართველოს. ის (იგულისხმება ტრაპიზონის იმპერია) ჰქიდობოდ იყო დაკავშირებული დასავლეთ საქართველოს მხარეებთან, განსაკუთრებით სამცხესთან და შეზღუდული სუვერენიტეტით სარგებლობდა ზოგიერთ მათგანზე, მაგ. გურიაზე, იყოფდა რა მას ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის მეფეებთან... დიდი კომნენოსების მეტრიმონიალური კავშირები ბაგრატიდებთან XIV საუკუნის მეორე ნახევარში დამყარდა. ამ ქორწინებით ნათესაობა, სხვათა შორის, მყარდებოდა არა მარტო საქართველოს სამეფო დინასტიასთან, არამედ სამცხის ჯაყელთა საგვარეულოსთანაც, რადგან ბაგრატი იყო დავით VII-სა და ივანე I ჯაყელის ქალიშვილის, სინდუხტარის შვილი. ამ ქორწინების დასამყარებლად ტრაპიზონის ბასილევსი საქართველოს საზღვრისაკენ გაემართა მაკრიალში ლაშქრით და ფლოტით. არა მარტო ქორწინებითი, არამედ სამცხედრო კავშირიც დამყარდა. ეს გამყარდა 1372 წელს იმპერატორის ახალი ვიზიტით... ამ ვიზიტის დროს იმპერიატორი ფლოტისა და ჯარის თანხლებით მივიდა ვატში (ბათუმში), სადაც მასთან მივიდა გურიის მთავარი პროცენტისათვის, ანუ იმისათვის, რომ გამოეხატა თავისი, როგორც ვასალის პატივისცემა, მისი, როგორც სიუზერენის წინაშე. გურიელი შესაძლებელია იმ დროს ორმაგ, ტრაპიზონის იმპერატორისა და საქართველოს მეფის უზენაესობას აღიარებდა”[Карпов С.П., 2007: 407-409].

მე-20 საუკუნის სამოციანი წლებიდან ტრაპიზონის იმპერიის ისტორიას და ისტორიულ გეოგრაფიას ცნობილმა ინგლისელმა მკვლევარმა ანტონ ბრაიერმა არა ერთი ნაშრომი მიუძღვნა. მან თავისი ხანგრძლივი კვლევის შედეგები ვრცელ ნაშრომში განაზოგადა, რომელიც მეორე ინგლისელი მკვლევრის, დევიდ მონფილდის თანაავტორობით გამოაქვეყნა [Antony Bryer and David Winfield, Washington, D.C].

ა. ბრაიერი ამ ნაშრომში, ტრაპიზონის იმპერიასთან დაკავშირებით, დიდ ადგილს უთმობს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიას და ისტორიულ გეოგრაფიას. ინგლისელი ავტორის დასკვნებში იმდენი შეცდომა და უზუსტობაა, რომ მათი ჩამოთვლა ცალკე ნაშრომის თემაა. ამჯერად ჩვენ უურადდებას მხოლოდ ანტონ ბრაიერის მიერ ბათუმის საკითხთან დაკავშირებით გამოთქმულ მოსაზრებებს განვიხილავთ. ინგლისელ მეცნიერს, როგორც მისი ნაშრომიდან ჩანს, დიდი სურვილი აქვს გურიის საერთისთავო, რომლის

საზღვრებში XIII-XIV საუკუნეებში ბათუმი შედიოდა, ტრაპიზონის იმპერატორის ვასალურ პოლიტიკურ ერთეულად მიიჩნიოს. ასეთი მოსაზრების გასამტკიცებლად ა. ბრაიერი ნაშრომში უთითებს ზემოთ უკვე მოხსენიებული ტრაპიზონის იმპერატორის 1372 წლის ვაზიზზე ბათუმში. ამასთან დაკავშირებით ინგლისელ ავტორს დამატებით მოყავს ცნობა 1437 წელს ტრაპიზონის სამხედრო ფლოტის აქტიურობის შესახებ ბათუმის ნავსადგურში. თუმცა ა. ბრაიერი ბოლომდე გადაჭრით ვერ მიიჩნევს XIII-XV საუკუნეებში ბათუმსა და, საერთოდ, გურიის საერისთაოს ტრაპიზონის იმპერიის საზღვრებში და ამ საკითხზე საბოლოო დასკვნის გამოტანას ერიდება.

როგორც დავინახეთ, ევროპულ ისტორიოგრაფიაში გაბატონებული მოსაზრების თანახმად, XIII-XV საუკუნეებში ბათუმი და, საერთოდ, გურია ფაქტობრივად ტრაპიზონის იმპერიის საზღვრებში შედიოდა. თანაც ბათუმში, როგორც ამ იმპერიის ქალაქში, გენუელთა სავაჭრო კოლონია არსებობდა. ასე რომ, თუ ქართულ ისტორიოგრაფიაში 1204 წელს ტრაპიზონის იმპერიის დაარსება ქართული სამხედრო ძალისა და დიპლომატიის დიდ წარმატებად ითვლება, ევროპელ მეცნიერთა ასეთ მოსაზრებათა გაზიარების შემთხვევაში ქართული სახელმწიფოს დიდ მარცხად უნდა ჩაითვალოს, რადგან მას შავი ზღვის სანაპიროს დაახლოებით 120-კილომეტრიანი მონაკვეთი დაუკარგავს, რომელიც, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ტრაპიზონის იმპერიის დაარსებამდე საქართველოს საზღვრებში იყო.

უპირველეს ყოვლისა შევეხოთ ბათუმში გენუელთა საგაჭრო ფაქტორის არსებობის საკითხს. დღეს უკვე კარგად არის გარკვეული, რომ იტალიური სავაჭრო ფაქტორის არსებობა, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს ამა თუ იმ ქალაქში იტალიულთა თვითმართველობას და კონსულთა ინსტიტუტის არსებობას. ასეთი რამ იტალიულებს (გენუელებს) მხოლოდ ცეუმში (ხორუმში) გააჩნდათ, სადაც არსებობდა მათი ერთადერთი საგაჭრო ფაქტორია საქართველოში [Берадзе Т., 1989: 89-92].

ქვეის გარეშე, რომ ა. ხახანაშვილი კარგად იცნობდა ქართულ საისტორიო წყაროებს. ს. კარპოვიც, ა. ბრაიერიც თავისი ამა თუ იმ მოსაზრების დასამტკიცებლად ხშირად იშველიებენ “ქართლის ცხოვრებას.” მიუხედავად ამისა, მათ არ იციან, ან არ უნდათ იცოდნენ, ქართული საისტორიო წყაროების ის მონაცემები, რომლებიც V-XV საუკუნეებში სამხეთ-ადმოსავლეთ შავიზღვისპირეთში საქართველოს საზღვრების ცვალებადობას ასახავს.

ქართული და ბიზანტიური საისტორიო წყაროების შეჯერებით ირკვევა, რომ V საუკუნის სამოციან წლებამდე ეგრისის (ლაზიკის) საზღვარი ბიზანტიასთან ზღვის პირას ქალაქ რიზესთან გადიოდა. მხოლოდ 465 წელს გახდა ლაზიკის მეფე გუბაზ პირველი იძულებული შავი ზღვის სანაპირო ზოლი ქალაქ რიზედან ქალაქ ხუფათამდე ბიზანტიისთვის გადაეცა. თუმცა ეს ტერიტორია იუსტინიანე I ხანაშიც (527-565) არ ემორჩილებოდა ბიზანტიის ხელისუფლებას.

VIII საუკუნის 70-იან წლებში, როდესაც დასავლეთ საქართველო ბიზანტიის ქვეშვერდომ აფხაზთა სამთავროში იყო გაერთიანებული, საქართველოს საზღვარი სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ტრაპიზონის მიდამოებთან გადიოდა. მხოლოდ VIII-IX საუკუნეთა მიჯნაზე, როდესაც დასავლეთ საქართველო დამოუკიდებელ აფხაზთა, ანუ ეგრის-აფხაზეთის სამეფოდ ჩამოყალიბდა, ამ ორ სახელმწიფოს შორის სასაზღვრო ხაზი შავი ზღვის პირას მდინარე ჭორობზე გავიდა.

1046 წელს გაერთიანებული საქართველოს სამეფოს მეფე ბაგრატ IV ამ სექტორში სასაზღვრო ხაზის მდინარე ჭოროხიდან ქალაქ ხუფათმდე გადატანას შეეცადა [ქართლის ცხოვრება, 1955: 299]. ამ მცდელობას წარმატება მოყვა, რაღგანაც 1057 წელს, როდესაც ბაგრატ IV კონსტანტინოპოლიდან ზღვით დაბრუნდა, საქართველოს ლაშქარი მეფეს ხუფათში შეეგება. “მიეგება ყოველი ლაშქარი აფხაზეთისა ზღვის პირსა, ხუფათს და იყო სიხარული და დმრთის მადლობა დიდი” – ვკითხულობთ “ქართლის ცხოვრებაში” [ქართლის ცხოვრება, 1955: 304].

სელჩუკების შემოსევების მიუხედავად ხუფათი საქართველოს საზღვრებშია დავით IV აღმაშენებლის ხანაშიც, რასაც დავითის ისტორიკოსის თხულების შესაბამისი ადგილები მოწმობს [ქართლის ცხოვრება, 1955: 333, 338].

დავით აღმაშენებლის შემდეგ სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვის-პირეთში არ გამოჩენილა ისეთი ძალა, რომელიც ამ რეგიონში საქართველოს შავიზღვის სანაპიროს შეეცილებოდა. ამიტომაც ეჭვის გარეშეა, რომ 1203 წელს ქართველთა ცნობილი ლაშქრობა, რომელსაც ტრაპიზონის იმპერიის დაარსება მოყვა, ქალაქ ხუფათიდან დაიწყო. რატომდაც, წარმატების მიუხედავად, ამჯერად საქართველოს საზღვარი ამ რეგიონში შავი ზღვის პირას უცვლელი დარჩა. ის მხოლოდ დაახლოებით 100 წლის შემდეგ, XIII საუკუნის დასასრულს შეიცვალა. ამის შესახებ ცნობა XIV საუკუნის ანონიმი ქართველი ისტორიკოსის თხულებაში მოიპოვება: “ხოლო ჭანეთი სრულიად მოსცა ბერძენთა მეფემან კომნინოსმა კირ მიხაილ, და ასეული ბექასა ცოლად მოიყვანა” [ქართლის ცხოვრება, 1959: 304]. ვახუშტი ბაგრატიონის ჟამთააღმწერელის ეს ცნობა მოყვანილი აქვს ტრაპიზონის კეისრის სახელის აღუნიშნავად: “რამე თუ შეირთო ასეული მისი ბერძენთა მეფემან (იგულისხმება ტრაპიზონი იმპერატორი) და მან მოსცა ბექას ტრაპიზონს აქათი ჭანეთითურთ” [ბატონიშვილი ვახუშტი, 1973: 701]. ძველ ქართველ ისტორიკოსს ბერძენთა მეფის ანუ ტრაპიზონის იმპერატორის სახელი შეცდომით აქვს მოცემული. ამას მოწმობს ტრაპიზონელი ისტორიკოსების გიორგი აახიმერესა და მიქელ პანარეტოსის თხულებები. გიორგი პახიმერე ტრაპიზონის იმპერატორის ქართველი მეუღლის მამის სახელს არ ასახელებს და აღნიშნავს, რომ აღექსი II კომნენოსმა “იბერთა ერთი წარჩინებულის ასეული მოყვანა ცოლად” [გეორგიკა, 1967: 82]. მიქელ პანარეტოსი ამ

ქორწინებასთან დაკავშირებით წერს: “გამეფდა უფალი ალექსი, დოდი კომნენტის და ცოლად მოყვანა ბექას ასული იბერიიდან” [გეორგია, 1967: 172].

როგორც ვხედავთ, ქართველი მემატიანის ცნობა ტრაპიზონის იმპერატორის ბექა ჯაყელის ასულზე დაქორწინების შესახებ სინამდვილეს შეესაბამება. ეს ქორწინება ჩვენთვის უცნობი დიპლომატიური მოლაპარაკების შედეგი უნდა იყოს, რომლის დროსაც ბექა ათაბაგმა ალექსი კომნენტისაგან ჭანეთი მიიღო.

ჭანეთი ანუ ლაზეთი ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით “არს ესე შავი ზღვის კიდის წადევნებით, გონიოდამ ტრაპიზონის სამზღვრამდე”. ამ მხარეში ის თანმიმდევრობით ასახელებს ხოფჯას (ხოფა, ძველი ხუფათი) და რიზას (რიზე) და უმატებს “ამის დასავლით ჩამოვარდების მცირე მთა, კნინდა ზღუამდე, ჭანეთის მთიდამ. და ესე არს საზღვარი საქართველოსი და საბერძნეთისა” [ბატონიშვილი ვახუშტი, 1973: 689].

ჭანეთის საზღვრებში რიზეს ჩვენება არ უნდა იყოს სწორი. “რკინის პალო” ცოცხალი ტოპონიმი იყო ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში, ის მდებარეობდა რიზეს ჩრდილო-აღმოსავლეთით და არა სამხრეთით. გურიის სამთავროს სახლის 1804 წელს რუსეთის იმპერატორის სახელზე გაგზავნილ მიმართვაში, სადაც გურიის სამთავროს ძველ საზღვრებზე იყო საუბარი, აღნიშნულია შემდეგი: “პირველ საზღვარი რომელსაც ოსმალნი ქემერს უხმობენ და ჩუენც გურიულნი რკინის პალოდ”. ქემერი სოფელია შავი ზღვის პირას, რიზედან ჩრდილოეთით 20 კმ-ის დაშორებით. ამ სოფელში არის კონცხი “ქემერ ბურუნ”, რომლის ძველი სახელწოდება “რკინის პალო” იყო. 1874 წ. ქემერის კონცხზე გ. ყაზბეგს ის ადგილიც აწვენეს, სადაც გადმოცემით, ძველად რკინის სვეტი იდგა, რომელიც საქართველოსა და “საბერძნეთს” შორის სასაზღვრო მიჯნად ითვლებოდა. “საბერძნეთში” ამ შემთხვევაში ტრაპიზონის იმპერია უნდა ვიგულისხმოთ [Берадзе Т., 1989: 49].

როგორც ვხედავთ, “რკინის პალო” რიზეს ჩრდილოეთით მდებარეობდა და ეს ქალაქი, ამის შესაბამისად, საქართველოს საზღვრებს გარეთ იყო. ჭანეთი, იგივე “ლაზია”, როგორც ამ მხარეს XIII-XIV საუკუნეებში მისამართობოდნენ [ქართლის ცხოვრება, 1959: 142], წარმოადგენდა სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ერთ ნაწილს რიზესა და გონიას შორის.

როგორც ზემოთ აღნიშნეთ, IX ს-იდან ეს ტერიტორია, ეგრის-აფხაზეთის სამეფოს ჩამოყალიბების შემდეგ, ბიზანტიის იმპერიის საზღვრებშია. XI ს-ის 50-იან წლებში მისი ერთი ნაწილი, ქალაქ ხუფათის ჩათვლით, საქართველოს შემადგენლობაში შევიდა, უფრო დიდი ნაწილი კი ბიზანტიას დარჩა და 1204 წლიდან ტრაპიზონის იმპერიას დაემორჩილა.

რა უძლოდა ბექა ათაბაგისათვის ჭანეთის (ლაზიას) იმ ნაწილის გადაცემას, რომელიც ტრაპიზონის იმპერიას ეკუთვნოდა, ჩვენ დღეს

არ ვიცით. ერთი კი ცხადია: სამცხის ათაბაგმა ისარგებლა ამ დროს დასავლეთ საქართველოში გაჩადებული შინაომით და ჭანეთის ის ნაწილიც შეიერთა, რომელიც დასავლეთ საქართველოს სამეფოს ეპუთვნოდა.

1329-1334 წწ.-ში გიორგი V ბრწყინვალემ (1314-1346) საქართველოს სამეფოს ერთიანობა აღადგინა. ამ დროიდან ზღვისპირეთიც ამ ერთიანი ქართული მონარქიის შემადგენლობაში შევიდა.

იმ მოსაზრების დასამტკიცებლად, რომ გურია ტრაპიზონის იმპერატორის ვასალური სამფლობელო იყო, ზემოთ დასახელებულ ევროპელ ავტორებს მოყავთ შემდეგი ადგილი მიქელ პანარევტონის თხზულებიდან: “6 აგვისტოს წავედით ლაზიკეთში და თვის ბოლოს, 6881 წლის დასაწყისში, შევხვდით ბაგრატ მეფეს. მას შემდეგ მივედით ბათუმში, კარვები გარეთ, ცის ქვეშ დავდგით. გვქონდა 2 კატარდა და 40-მდე ნავი. იქ ვებასეთ გურიელს, რომელიც მეფის პატივსაცემად (“პროსკინიონ”) მოვიდა. დავრჩით ექვს დღეს და უგან დავბრუნდით მე-11 ინდიქტიონს” [გეორგიკა, 1967: 205].

“პროსკინენი” ბერძნულში სიუზერების მიმართ ვასალის პატივისცემას აღნიშნავს. ბერძნულ დედანში მიქელ პანარევტონი, როგორც საქართველოს მეფეს, ისე ტრაპიზონის კეისარს “ბასილევს” უწოდებს. ამიტომ ტექსტის მიხედვით შეუძლებელია იმის დადგენა, თუ რომელი მბრძანებლისადმი პატივის გამოსახატავად მივიდა გურიის ერისთავი ბათუმში. უფრო უპრიანია, ამ შემთხვევაში ბაგრატ V ვიგულისხმოთ, მით უფრო, რომ არ მოგვეპოვება არც ერთი დამადასტურებელი საბუთი, რომელიც გურიის ერისთავის ტრაპიზონის იმპერატორისაგან რაიმე დამოკიდებულების დამამტკიცებლად გამოდგებოდა. შესაბამისად, გურიის მთავრის ტრაპიზონის იმპერატორისადმი ვასალური დამოკიდებულება გამორიცხულად გვეჩვენება.

ერთადერთი ცნობა, რომელიც თითქოსდა საფუძველს გვაძლევს იმის დასამტკიცებლად, რომ ბათუმი ტრაპიზონის იმპერატორს ემორჩილებოდა, არის საჩივარი, რომლითაც ნიკოლოზ სპინოლამ გენუის უხუცესთა საბჭოს მიმართა. საჩივარში იტალიელი გემის მფლობელის მემკვიდრე თხოვდობს კომპენსაციას იმ ზარალზე, რომელიც მისმა მამამ მერვალდო სპინოლამ “ლო ვატში (ბათუმში) ტრაპიზონის იმპერიის ნავსადგურში” ტრაპიზონის სამხედრო გემების თავდასხმისგან განიცადა [Карпов С.П., 1998: 49]. სრულიად გაუგებარია, თუ რატომ უნდა დასხმოდა საკუთარ ნავსადგურში ტრაპიზონის სამხედრო გემები იტალიურ სავაჭრო ხომალდს. მით უფრო, რომ იტალიელის მოძღვნო საჩივარში ბათუმი ტრაპიზონის იმპერიის ნავსადგურად აღარ მოიხსენიება [Карпов С.П., 1998: 63].

ტრაპიზონის იმპერიისადმი გურიის ერისთავის ვასალური დამოკიდებულების დასამტკიცებლად იშველიებენ იმ ინციდენტს, რომელიც 1445 წელს ბურგუნდიელთა სამხედრო ფლოტის ერთ-ერთ მხედართმთავარს, ჟოფრე დე ტუას ბათუმში შეემთხვა.

1445 წლის გაზაფხულზე ბურგუნდიელთა ფლოტი, რომელიც ბალკანეთში ჯვაროსნების დასახმარებლად მიემართებოდა, შავ ზღვაში შემოვიდა. ამ ფლოტის ერთი ნაწილი მდინარე დუნაის შესართავისკენ გაემართა, მეორე ნაწილმა კი გეზი ტრაპიზონისკენ აიღო. აქედან, ერთი ქრონიკის მიხედვით, ბურგუნდიელთა ერთი კატარდა (გალერა) “კოფრე დე ტუაზის” მეთაურობით “ტრაპიზონის იმპერატორის სამარცხევინოდ საქართველოს ნაპირისკენ გაემართა, რადგან მან გაიგო, რომ იქ ძვირფასი საქონლით დატვირთული დიდი ხომალდი იდგა... მაგრამ ტრაპიზონელმა ბერძნებმა ეს აცნობეს ადგილობრივებს (იგულისხმება ქართველებს). ასე რომ, შეიტყვეს რა გალერის მოსალოდნელი თავდასხმის შესახებ, ისინი შეიარაღდნენ და ჩაუსაფრდნენ. საშუალება მისცეს მესირ ჟოფრეს გადასულიყო ნაპირზე ბათუმის ნავსადგურში... და როდესაც ის მიუახლოვდა ჩასაფრებულებს, დაესხნენ თავს, მისი მრავალი თანამებრძოლი დახოცეს, თვითონ კი ტყვედ ჩაიგდეს” [Warvin V., 1859: 96]. მეორე ევროპულ ქრონიკაში ამასთან დაკავშირებით აღნიშნულია, რომ, როდესაც ბურგუნდიელები ბათუმს თავს დაესხნენ, იქ მოვიდა “პატონი” გურიელი 600-კაციანი რაზმით... კოფრე დე ტუაზი ტყვედ ჩავარდა და ტყვებაში ერთი თვე გაატარა”. ამავე ქრონიკის მიხედვით ბურგუნდიელი მექობრე ქართველებმა ტრაპიზონის იმპერატორის შუამდგომლობით გაანთავისუპლეს “იმ პირობით, რომ ბურგუნდიელთა გალერები არ დაუწეუბენ ბრძოლას აღნიშნულ ქვეყანას” [Warvin V., 1863: 156-157].

როგორც ვხედავთ, ბათუმში ბურგუნდიელთა ინციდენტი სრულებითაც არ მოწმობს გურიის ერისთავის რაიმე დაქვემდებარებას ტრაპიზონის იმპერიისადმი.

ამრიგად, ევროპული ისტორიოგრაფიის მიხედვით, 1204-1461 წლებში შავი ზღვის პირას საქართველოსა და ტრაპიზონის იმპერიის საზღვარი მდინარე რიონზე გადიოდა. ბათუმი და, საერთოდ, გურიის საერისთაო კი რადაც ფორმით ტრაპიზონის იმპერატორს ექვემდებარებოდა. ევროპული ისტორიოგრაფიის ეს მოსაზრება არ შეესაბამება სინამდვილეს.

მითითებული ლიტერატურა

1. ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოისა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხებიშვილის მიერ, – ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973.
2. ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხებიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955.
3. ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხებიშვილის მიერ, ტ. II, თბ., 1959.

4. გეორგია, ბიზანტიული მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. VII, ტექსტები ქართული თარგმნითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთოს. ყაუხიომვილმა, თბ., 1967.
5. Берадзе Т., Мореплавание и морская торговля в средневековой Грузии, Тб., 1989.
6. Карпов С.П., Трапезунская империя и западно европейские государства в XIII-XV вв., М., 1981.
7. Карпов С.П., Регесты документов фонда DIVERSORUM FILZE секретного архива генуи, относящиеся к истории причерноморья-Причерноморье В средние века, С-Пб., 1998.
8. Карпов С.П., История трапезундской империи, С-Пб., 2007.
9. Панарет М., Трапезундская хроника, издал Хаханов А., М., 1905.
10. Успенский Ф., Очерки истории Трапезундской империи, С-Пб., 2003.
11. Antony Bryer and David Winfield, The Byzantine monuments and topography of the Pontos, Washington, D.C.
12. The Oxford Dictionary of Byzantium, Alexander P. Kazhdan, Editor in chief New York – Oxford, 1991.
13. Fallmerayer, J. Geschichte des Keisertums von Trapezund. Munchen, 1827.
14. Warvin V., Anciennes chroniques d'Angleterre, T. II, Paris, 1859.
15. Warvin V., Anciennes chroniques d'Angleterre, T. III, Paris, 1863.

Tamaz Beradze (Tbilisi, Georgia)

European Historiography on Batumi in XIII –XV cc

Summary

European historians of the Empire of Trebizond have a strong belief that Batumi was part of the Empire of Trebizond in 1204-1461 and that the borderline along the Black Sea between Georgia and the Empire of Trebizond passed along the Rioni River. The above-mentioned assertion is far from the truth. Research has shown that in 1204 the borderline between the Kingdom of Georgia and the newly-formed Empire of Trebizond was South of Khupati, and in the end of XIII c. moved farther South, till the cope of “Rkinis Palo” (Kerem-Burun).

ზაზა შაშიკაძე
(ბათუმი, საქართველო)

ბათუმი XVI ს-ის მეორე ნახევარში

ოსმალეთის იმპერიის მიერ სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიების დაპყრობის შემდეგ ქართული წყაროები მათ შესახებ თითქმის არანაირ ინფორმაციას არ გვაწვდიან. აქედან გამომდინარე, ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს ოსმალურ დოკუმენტურ თუ ნარატიულ წყაროებს, რომელთა დახმარებითაც ხდება ამ სიცარიელის შევსება. საინტერესოა ამ მხრივ თანამედროვე თურქული ისტორიოგრაფიაც. მიუხედავად იმისა, რომ იგი მეტწილად ტენდენციურია, მაინც გვაწვდის ძალიან ბევრ ჩვენთვის საინტერესო ცნობას. აქვე, ისიც უნდა ითქვას, რომ ისტორიული სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორია უწყვეტად არც თანამედროვე თურქულ ისტორიოგრაფიაშია შესწავლილი.

აღნიშნული რეგიონების XVI-XIX ს-ის გაბმული ისტორიის შესწავლის საშუალებას არც ოსმალური დოკუმენტების ის რაოდენობა გვაძლევს, რაც დღემდეა მოპოვებული და ნათარგმნი ქართულ ენაზე. ასე რომ, ეს უმნიშვნელოვანესი საქმე კვლავ მომავლის სამუშაოდ რჩება.

ერთ-ერთი უპირველესი, რაც უკელაზე დიდ ინტერესს იწვევს XVI ს-ის ბათუმის ისტორიაში, ეს არის თარიღი, თუ როდის გადავიდა ბათუმი და მიმდებარე ტერიტორიები ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში. ქართულ ისტორიოგრაფიაში ამასთან დაკავშირებით სარწმუნო წყარო არ გაგვაჩნია, თუმცა არსებობს სხვადასხვა ვერსია.

საინტერესოა ამ მხრივ თურქული ისტორიოგრაფიული მონაცემები. თანამედროვე თურქ ისტორიკოსთა ნაწილი თვლის, რომ ოსმალებმა ბათუმი პირველად 1479 წელს დაიპყრეს [Kırzioğlu, 1998: 43]. თუმცა, იგივე ოსმალურ წყაროებზე დაყრდნობით ჩვენ ვთვლით, რომ ეს მოსაზრება არ შეესაბამება სიმართლეს [ჯავალიძე, 1990: 116; შაშიკაძე, 2004: 419].

სულთან მეჰმედ II-ის (1451-1481 წწ.) ბრძანებით, მისმა შვილმა, ოსმალეთის მომავალმა სულთანმა ბაიაზიდმა მის ლალასთან (აღმზრდელთან) რაგა სინან ფაშასთან ერთად თორული (ამჟამად რიზეს მახლობლად მდებარე არდაშენის კაზას მიმდებარე ტერიტორიები – ზ.შ.) დაიპყრო. იმ დროს თორული ერთ მცირე სამთავროს წარმოადგენდა, რომლის მმართველიც ოსმალო სულთანმა თეთრ-ბატკნიანთა სახელმწიფოს გამგებლის უზურ ჰასანისადმი (1423-1478 წწ.) მხარდაჭერის გამო დასაჯა [Kırzioğlu, 1998: 43].

ოსმალთა დაშქარმა აიღო სამი ციხესიმაგრე: თორული, ჯეზრე და ჯენებახი. ამის შემდგომ ოსმალებმა დალაშქრეს ბათუმი და მაჭახლის ხეობა [ჯაველიძე, 1990: 116; შაშიკაძე, 2004: 419]. გაურკვეველია, თუ რამდენ ხანს გაჩერდნენ ოსმალები ამ ქართულ ტერიტორიებზე, მაგრამ ფაქტია, რომ გარკვეული პერიოდის შემდეგ ისინი აქ აღარ ჩანან.

ცხადია, რომ ეს ფაქტი სიმართლეს შეესაბამება, მაგრამ წყაროების ანალიზის საფუძველზე ირკვევა, რომ აღნიშნული ლაშქრობა ამ ტერიტორიების ხელში ჩასაგდებად არ ყოფილა გამიზნული. იგი მხოლოდ და მხოლოდ მარბიელი ლაშქრობის ხასიათს ატარებდა. ბაიაზიდმა და რაკა სინან ფაშამ მოაწყვეს ლაშქრობა, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ – სადამსჯელო ოპერაცია ოსმალო ვაჭრების თხოვნით, რომლებიც აქაურ მოსახლეობას უჩიოდნენ ყაჩაღობისა და სავაჭრო მიმოსვლაში ხელის შეშლის გამო. ამას მოწმობს ოსმალო ისტორიკოსის იბნ ქემალის ცნობები, რომელიც პირდაპირ მოგვითხრობს აღნიშნული ფაქტის შესახებ. აღნიშნულ მოსაზრებას ამყარებს ის გარემოებაც, რომ ოსმალები აქ არ გაჩერებულან და მალევე დატოვეს აქაურობა [ჯაველიძე, 1990: 116].

თუ დავაკირდებით ქართულ-ოსმალურ ურთიირთობებს XVI ს-ის პირველ ნახევარში, ირკვევა, რომ 30-იან წლებამდე სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიები ძირითადად (სპერის გამოკლებით) ოსმალეთისადმი ვასალურ დამოკიდებულებაში იყვნენ და დამოუკიდებლობას გარკვეულწილად ინარჩუნებდნენ. ქართული ტერიტორიების პერმანენტული დაპყრობა-ინკორპორაცია ოსმალთა იმპერიის მიერ მხოლოდ XVI ს-ის 30 წლების მეორე ნახევარში დაიწყო, მას შემდეგ, რაც სულთანმა სულეიმან I-მა აღმოსავლური პოლიტიკის ხელახალი გაძლიერება გადაწყვიტა.

სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიების ოსმალეთის იმპერიისადმი დაქვემდებარების პროცესი წყაროების სიმწირის გამო ქართულ ისტორიოგრაფიაში გარკვეულწილად ვარაუდის დონეზეა შესწავლილი და ამ მიზეზით ხშირად უზუსტობებს ვხვდებით.

ცნობილია, რომ სოხოისტას ომის (1545 წ.) შემდეგ ოსმალები თავს დაესხნენ გურიას. გურიელმა მარტომ მოახერხა მათი ძლევა, რის შემდგომაც მტერი გადავიდა ჭოროხს გადმა და გონიოს ციხეში გამაგრდა. ვიცით აგრეთვე, რომ ოსმალებმა ბათუმი 1547 წელს აიღეს [იაშვილი, 1948: 18].

კველაზე აღრეული ოსმალური წყარო, რომელშიც ბათუმი ოსმალეთის იმპერიის ტერიტორიულ ერთეულად (სახჯაყად) სახელდება, 1549 წლით არის დათარიღებული [BOA, KKT. RD 209, s. 78, 80, 154]. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ეს არის პერიოდი, როცა ორმხრივი ბრძოლების შედეგად ტერიტორიები ხელიდან ხელში გადადის და დაპყრობის კონკრეტული თარიღის დასახლება რთული იქნება. ამასთან დაკავშირებით საინტერესო უნდა იყოს 1550 წლით დათა-

რიდებული ცნობა, რომელშიც მოცემულია, რომ ჭანეთის (Canik) სანჯაყი მისი 200 000 ახხის შემოსავლით გადაეცა ბათუმის კოფილ სანჯაყბეგს ემირს [BOA, KKT. RD 209, s. 80]. თუ რომელ წლებში მართავდა ბათუმს ემირ ბეგი კონკრეტულად, ჯერჯერობით ამის დადგენა არ ხერხდება, თუმცა ერთ-ერთი ცნობის მიხედვით, 1549 წლის დეკემბერში იგი ბათუმის სანჯაყბეგად მოიხსენიება. ამავე დოკუმენტში ნათქვამია, რომ სუპეილ და სინან ბეგების შემდგომ 1556 წლის აგვისტოში ბათუმის სანჯაყბეგად სულეიმან ბეგი დაინიშნა [BOA, MD. II. s. 138]. ამას უკავშირდება კიდევ ერთი დოკუმენტი, რომელშიც აღნიშნულია, რომ არზრუმის დავთარდარი სუპეილ ბეგი 1549 წლის 15 დეკემბერს ბათუმის სანჯაყბეგად დაინიშნა [BOA maliye, 17879, s. 1]. სხვა ცნობის მიხედვით კი 1550 წლის 9 დეკემბერს ბათუმის სანჯაყბეგად შარქი (ანუ აღმოსავლეთ) ყარაპისარიდან განთავისუფლების შემდეგ სინან ბეგი დაინიშნა [BOA, KKT. RD 209, s. 141]. აქვე ცნობილი ხდება, რომ ამ პერიოდში ბათუმის სანჯაყბეგების რეზიდენციას გონიოს ციხე წარმოადგენდა [BOA, MD. II. s. 161]. აქვე, უნდა ვიცოდეთ, რომ ხშირად ბათუმს და გონიოს აიგივებენ ისტორიკოსები. ბათუმის ციხე და გონიოს ციხე ოსმალურ ისტორიულ წყაროებშიც ცალცალკე მოიხსენიება და ნათლად იმიჯნება ერთმანეთისაგან.

ცნობილია, რომ 1564 წელს როსტომ გურიელმა მოახერხა ბათუმის დაბრუნება, მაგრამ ძალზე მცირე ხნით [Aydin, 1998: 258]. არსებობს XVI ს-ის 60-იან წლებში შედგენილი დავთარი აღმოსავლეთის ლაშქრობებში (XVI ს-ის 70-იანი წლები) მონაწილეობის მიწების გადაცემის შესახებ, რომელიც დამუშავდება და თარგმნის შემდეგ შემოვა ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში [BOA, TD 1035].

ოსმალური წყაროების შესწავლით ნათლად ჩანს, რომ ბათუმის ვილაეთი დაარსების შემდეგ დასავლეთით იწყებს გავრცელებას. 1565-1566 წლების დოკუმენტებში (ჰიჯრით 972-973 წწ.) გონიოს, არხავის და ათინასაც (დღევანდელი ფაზარი) მოიცავს.

უნდა აღინიშნოს, რომ დღევანდელი აჭარის ტერიტორია ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში სამი – ბათუმის, აჭარის და მაჭახლის სანჯაყების სახით იყო გაერთიანებული. იმ ფაქტმა, რომ 1595 წლით დათარიდებულ „გურჯისტანის ვილაეთის დიდ დავთარში” ბათუმი, აჭარისწყლის ხეობა, მაჭახლი, შავშეთ-იმერხევი და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზოგიერთი სხვა რეგიონი არ არის რეგისტრირებული, აგრეთვე, სხვა დამატებითი წყაროს უქონლობამ, ქართველი ისტორიკოსები შეცდომაში შეიყვანა და ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრდა აზრი, რომ XVI ს-ის ბოლოსათვის ეს ტერიტორიები არ იყო დაპყრობილი ოსმალთა მიერ.

ბოლო წლებში მოპოვებული დოკუმენტური მასალა და აქამდე ჩვენთვის უცნობი თურქული საისტორიო ლიტერატურა ცხადყოფს, რომ აღნიშნული ტერიტორიები უფრო ადრე შეუერთდა ოსმალეთის

օմքերուս, մաշրամ „ՑՈՐՋՈՒՍՑԱՆՈՅԵ” զոլացտուս գուգու և ավտրուս” Մշականուս դրուս ուսոնո շերալու արմոնիս թրաբուլաւ ար յէշմարքարյան ծագնեն մաս. ուսոնո ցալքայլու սանչայյենուս սանուտ արթրումուս սանցայլարձեցուն Մշակուն ճեն. XVI և-ուս մշորյ նաեցարշու ռեմալցուս օմքերուս ցալքյ սանչայյաւ մուսենույնու ցուուց (Faş) [Aydin, 1998: 296]. ամասուան ճակավանուրյենու ჩայեն ցալքյ մուսաթրյեն ըշայք ճա ցույկրուն, րում այ ռեմալցու եցուուշուլցեն մեռլուն նոմոնալուրյաւ շրցելցուն.

1578 წյան օրան-ռեմալցուս ռմենուս կյրունուն արմոնիս թրաբուլաւ ցուուց արմոնիս սանցայյուն շեցացաւ ծատումու արթրումուս սանցայլարձեցուն ցա մույզու ճա ցալքյ սանցայլարձեցուն (ցուուցուաւ) համույալուն. 1580 წյան օցուց արթրումուս սանցայլարձեցուն Մշմաշալու ցուուց սանչայյուն արմոնիս թրաբուլաւ ծատումուս ցուուցուս ճայկայմարքարյան.

Ճատումուս ցուուցուն Մշակունու ճա յնդա օտյաս, րում սանցայլարձեցուն ցենքրու ամ ռու յալույն Շորուս եմուրաւ մոնաւուլցուն. Ցենքրուս Մշակունու յրուաւ օցուլցուն սանցայլարձեցուն սանցայլարձեցուն ամութապաա, րում XVI և-ուս մշորյ նաեցարշու կյրունու ցուուց ցեցուն սանցայլարձեցուն ճատումուս ան թրաპունուս ցուուցուս սանուտ, րաւ յրուունուց թրցութունուս վարմաւ յցեն.

Ճամույսին նշանակու ճա լության թշրի

1. Յ. օաՇյունու, աչարա ռեմալցու ծաբունուս կյրունուն, ճատ., 1948.
2. Կ. Շամոյամյ, ռեմալցու մոյր մականունու եցուն ճապարունուս տարունու ճագայնուսատցուս, տեղյ արմուսացլցումունցունուն յրյալուն, տն., 2004.
3. Բ. Հաջելույն, ցենքրու XV սայյանուս սայարացլուս Մշմաշեն, „մաշին“, օսբորուս եցրուս, №2, տն., 1990.
4. Başbakanlık Osmanlı Arşivi (BOA), Kamil Kepeci Tasnifi. Rüznamçe Defteri (KKT.RD) c. 209.
5. BOA, Mühimme Defteri (MD) II.
6. BOA maliye, 17879.
7. BOA, Tahrir Defteri (TD) 1035.
8. Aydin Dündar, Erzurum Beylerbeyiliği ve Teşkilatı, Kuruluş ve Genişleme Devri (1535-1566 yy.), Ankara 1998 yıl.
9. Kirzioğlu F. Osmanlılar’ın Kafkas-Elleriler’ni Fethi (1451-1590 yy.), Ankara 1998 y.

Zaza Shashikadze (Batumi, Georgia)

Batum in the second half of XVI century

Summary

The middle ages and the second half of XVI century is interesting for Batumi for the reason that in this particular period south-west Georgia with other territories, Batumi was conquered and settled by Ottomans.

There are very poor sources in Georgian historiography about history and current events of Batumi in that particular time. Hence it is very important Ottoman sources to enrich this lack.

It is represented in this Study the mentioned part of the history of Batumi according Georgian and Turkish historiography. We tried to identify the precise date of the Batumi occupation by Ottomans. It is illustrated in the study the ways how the Ottoman administration was inculcated in the city.

ნები გუმუში
(რიზე, თურქეთი)

სოციალური ურთისართობები რიზე-ბათუმს
შორის მე-19 საუკუნის დასასრულსა და
მე-20 საუკუნის დასაწყისში
(რიზეს შარიათის რეესტრების მიხედვით)

სასამართლო აღრიცხვა სოციალური ისტორიის წყაროებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანთაგანია. ოსმალეთის იმპერიაში კაზებსა და უფრო მსხვილ ადმინისტრაციულ ერთეულებში საკანონმდებლო და სასამართლო საქმიანობას ყადები აწარმოვბდნენ. რიზეს შარიათის რეესტრები (სასამართლო აღრიცხვის ჩანაწერები) მნიშვნელოვანია როგორც კონკრეტულად რიზეს, ისე მთლიანად ამ მხარის ისტორიისათვის. ჩვენს მოკლე მიმოხილვაში შევეცდებით მე-19 საუკუნის დასასრულსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში რიზე-ბათუმს შორის არსებული სოციალური ურთიერთობების გამოკლევას.

ამ საკითხთან დაკავშირებით სამი რეესტრის წიგნი იქნა შეს-წავლილი. ამათგან პირველი – 1869-1870 წლების, ანუ ბათუმის ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში ყოფნის დროინდელია, ხოლო მეორე და მესამე, შესაბამისად – 1892-1894 და 1912-1914 წლებისა, ბათუმის რუსეთის იმპერიაში ყოფნის პერიოდს მიეკუთვნება.

ბ) რიზეში მცხოვრები ქართველები

სხვადასხვა დავთრის მასალები გვამცნობს, რომ რიზეს ზოგიერთ სოფელში ქართველები ცხოვრობდნენ. მაგალითად, სოფელ ჰეითეფში ქართველი შვილი ახმედი¹ და მაფავრის სოფელ ლატუმში ქართველი შვილი ქასიმი² ცხოვრობდნენ. ამასთან, 1850 წლით დათარიღებულ უშრის საგადასახადო აღწერაში³ (Tahrir-i Öşür Envanter) ვაწყდებით ქართველი შვილის გვარის ოჯახების ყოფნის ფაქტს სხვა სოფლებშიც. მაგალითად, ქართველი შვილის გვარის წარმომადგენელები ოსმანი და ომერი ცხოვრობდნენ იქინდერეს სოფელ ეთერნეში. კალკანდერეს სოფელ სილიანში ცხოვრობდა ხუსეინი, სოფელ ფულიპოზ ქალუჭარაფში – ალი, გუნეისუს სოფელ გურგენში – მეჰმედი, ასევე, ჩაიელის სოფლებში ასრიფოსსა და ჰავრაში – მეჰმედის სახელით ცხობილი ქართველები, ხოლო სოფელ ფულიპოზში ქართველი ახმედის შვილები – ომერი, ჯევანირი, ახმედი და მუსტაფა.

¹ Rize Şer'iyye Sicilleri, 1495, 103 b

² RSS 1495, 18a

³ Rize Tahrir-i Öşür Envanteri, haz. Muhammet Safi, İstanbul 2007, s. 94, 98, 132, 135, 163, 164

ამათ უნდა დავუმატოთ 1870 წლის 2 ოქტომბრის ჩანაწერში⁴ მოხსენიებული რიზეს პალდოზის უბნის მცხოვრები ქალბატონი ფირდევს აბდულლაპის ასული და მისი მმისწული ჩურუქსუდან თაპირ აღა. ოსმალეთის მმართველობის პერიოდში ქობულეთი „წურუქსუ“-დ იწოდებოდა. აქედან ნათლად ჩანს, რომ თაპირ აღა ბათუმელი იყო.

რუსეთის იმპერიასთან ბათუმის შეერთების შემდეგ რიზეში ბათუმელი მუჭაჯირებიც აღმოჩნდნენ. 1892 წლის 12 მაისის ჩანაწერების მიხედვით, აბდულფადირი, რომელმაც მემკვიდრეობასთან და-კავშირებულ საკითხებზე სასამართლოს მიმართა მუჭაჯირმა აბდულ-ქადირმა. ირკვევა, რომ იგი ის პაჯი აბდულაპის ასულ ზეინების დვიძლი მმა იყო და ისინი ბათუმში იყვნენ დაბადებულნი.

გ) ბათუმში მცხოვრები რიზეელები

ისტორიული წყაროების მიხედვით ირკვევა, რომ ყოფილან ბათუმში მცხოვრები რიზეელებიც. 1869 წლის 19 ნოემბერის ჩანაწერის⁵ მიხედვით, სარიაპმედოდლუ თაპირ რეის ბინ ელ-ჰაჯ ახმედ ბინ ოსმანი, წარმოშობით რიზეს ციხის დასახლებიდან იყო, ჯერ კიდევ ბათუმში ცხოვრობდა.

ირკვევა, რომ წარმოშობით რიზეელი ოსმალეთის მოქალაქეები ბათუმში ცხოვრობდნენ, როგორც ოსმალთა იმპერიის პერიოდში, ასევე რუსეთის იმპერიის დროსაც. 1914 წლის 3 თებერვლის ჩანაწერი⁶ მოგვითხრობს, რომ რიზეს სოფელ ხანისიდან მუშოუნუ-ნოდლუ ოსმან მექმედის ძე და სოფელ ფილარდანთიდან ინჯენიო-დლუს გოგო პაფიზე მექმედის ასული 8 წლის შეუდლებული არიან და ბათუმში ცხოვრობდნენ. ოსმანი ცოლს – პაფიზეს 1912 წლის 10 აგვისტოს გაცილებულა და რიზეში გაუგზავნია. რადგანაც მოწმები ბათუმში იყვნენ, ქალმა სასამართლოზე მისი განქორწინების ფაქტი კერ დაამტკიცა.

დგინდება, რომ რიზედან ბათუმში ჩამომსვლელები სხვა მიზე-ზებითაც ყოფილან. 1870 წლის 12 აპრილის ჩანაწერების⁷ მიხედვით, მაფავრის რაიონის სოფელ კუვალიოზიდან ჩამოდლუ სალიჳ იბ-რაპიმის ძე სანადიროდ ბათუმში ჩამოსულა. 1870 წლის 5 ივლისის ჩანაწერების⁸ მიხედვით, ბათუმში გემით მგზავრობისას ბიიქოდლუ ხასანს ფული დაუკარგავს და ამის გამო სასამართლოსთვის მიუ-მართავს. აქედან ნათლად ჩანს რომ, რიზეელები საზღვაო გზითაც ჩამოდიოდნენ. ორი ქალაქის მცხოვრებლები ერთმანეთს სესხითაც ეხმარებოდნენ. 1870 წლის 11 მარტის ჩანაწერის⁹ მიხედვით, ბათუმის

⁴ RSS 1495, 103a

⁵ RSS 1495, 18a

⁶ RSS 1509, B 24

⁷ RSS 1495, 58b

⁸ RSS 1495, 82b

⁹ RSS 1495, 46a

სოფელ ჩაქვში მცხოვრებ მემიშ ბაირაქთაროდლუ მემიშს, რიზეს სოფელ ფილანდოზის მცხოვრებ ხასან ალის ძის ვალი პქონია.

ღ) ბათუმში რუსეთის იმპერიის მმართველობის პერიოდი

ბათუმის რუსეთთან შეერთების შემდეგაც ორ ქალაქს შორის სოციალური ურთიერთობები გრძელდებოდა. როგორც ქართველები რიზეში, ისე ცხოვრობდნენ რიზეელი მოქალაქეები ბათუმში და სავაჭრო ურთიერთობებს აგრძელებდნენ. შარიათის დავთართა ჩანაწერებში ჩვენ ამის რამდენიმე მაგალითს წავაწყდით. წყაროების ერთი ნაწილი 1892-1893 წლებს, მეორე ნაწილი კი 1912-1914 წლებს მიეკუთვნება.

1. 1892-1893 წლით დათარიღებული ჩანაწერები

რიზეელებს ბათუმში ამ უკანასკნელის რუსეთის იმპერიისადმი დაქვემდებარებიდან 15 წლის შემდეგაც ვხვდებით. ერთ-ერთ ჩანაწერში საუბარია იმის შესახებ, რომ რამოდენიმე რიზეელი სასამართლოში მოწმედ უნდა მოსულიყო, მაგრამ ავადმყოფობის გამო ისინი ერ გამოცხადდნენ.¹⁰ ვხვდებით ცხობებს ბათუმში გარდაცვლილი რიზეელების შესახებაც. რიზეს ხორცოზის უბნში მცხოვრები ჩინილიოდლუ ოსმან რეის ბინ მემიშ რეიისს, სასამართლოსთვის მიუმართავს იმის გამო, რომ ბათუმში გარდაცვლილი მამის ჰუსეინოდლუ ახმედ რეის ბინ აბდულლაჰის მემკვიდრეობა შთამომავლობით მის ცოლს და შვილს გადასცემოდა¹¹. წარმოშობით ტრაპიზონის ფაზარკაფუს უბნელი მიკდაც აღაზადე ომერ ნადიმ ეფენდის ბათუმში გარდაცვალება¹², მოწმობს, რომ ბათუმში ოსმალეთის მოქალაქეები არა მხოლოდ რიზედან იყვნენ ჩამოსული, არამედ სხვადასხვა ადგილებიდან. საქართველოში გარდაცვლილი რიზეელების შესახებ საყურადღებოა 1893 წლის 7 თებერვლის ჩანაწერი. აქ ნათქვამია, რიზეს ემინედინის უბნის მცხოვრებთაგან ბერძენი მარუპოლიოდლუ იანბოლი ნიკოლას ძე ქუთაისში გარდაცვლილა და მისი ქონება სასამართლოს ცოლისთვის დუმეშიე ნიკოლას ასულისთვის და შვილებისთვის ნიკოლა და ლაზარიესთვის მიუკუთვნებია¹³.

ვხვდებით ისეთ ფაქტებსაც, როდესაც რუსეთის იმპერიისადმი დაქვემდებარების შემდეგ ბათუმიდან რიზეში მუჰაჯირები გადავიდნენ. 1892 წელის 17 მაისის ჩანაწერების¹⁴ მიხედვით, გარდაცვლილი თიმარლიოდლუ აბდულეყადირ ბინ აბდულლაჰ ბინ აბდულგელი წარმოშობით ბათუმელი უფლება.

2. 1912-1914 წლით დათარიღებული ჩანაწერები

როგორც ჩანაწერებიდან ჩანს, აჭარის რუსეთის იმპერიასთან მიერთებიდან 30 წლზე მეტი იყო გასული და ბათუმში რიზეელები

¹⁰ RSS 1501, 618

¹¹ RSS 1501, 429

¹² RSS 1501, 549

¹³ RSS 1501, 400

¹⁴ RSS 1501, 200

კვლავ უძრავ ქონებას ფლობდნენ. 1913 წლის ნოემბრით დათარი-დებული ჩანაწერით ირკვევა, რომ რიზეს როშის უბანში მცხოვრებ, აწ გარდაცვლილ პაჯი ომერზადეს შვილს პაჯი ზექერია ეფენდის რიზესა და ბათუმის რაიონებში უძრავი ქონება, მიწა და სხვა შემოსავლები ჰქონდა¹⁵.

ჩანს, რომ ბათუმში უძრავი ქონება ჰქონიათ არა მხოლოდ რიზეელებს, არამედ ოსმალეთის სხვა მოქალაქეებსაც. მაგალითად 1914 წლის 4 მაისით დათარიღებული ჩანაწერის¹⁶ მიხედვით, აღი-ნიშნება, რომ ხოფის რაიონის, არჭავის საკრებულოს სოფელ ოზუბაშქოის მცხოვრებლებიდან მეტყველ ხალიდის ძეს ბათუმში უძრავი ქონება, მიწის ნაკვეთები და ანგარიშები ჰქონია.

რიზეელები ბათუმში მირითადად ვაჭრობით იყვნენ დაკავებულნი. ამასთან დაკავშირებით შეგვიძლია რამდენიმე მაგალითი მოვიყვანოთ. 1912 წლის 16 ნოემბრით დათარიღებულ ჩანაწერის¹⁷ მიხედვით, რიზეს სოფელ ფაოლას მცხოვრებ მუჰიედინის მეტილე იუნუსთან ერთად ბათუმში ყავახანა ჰქონდა. როდესაც მუჰიედინი გარდაიც-ვალა, მას საერთო წილიდან 90 რუბლი დარჩა ასაღები. მუჰიედინის მამას რიზეში სასამართლოსთვის მიუმართავს და 90 რუბლის შესაბამისი 1125 ყურუში მოუთხოვნია. სასამართლოს იუნუსისათვის 80 რუბლის, ანუ 1000 ყურუშის გადახდა დაუკისრებია. ამ ჩანაწერის მიხედვით შეგვიძლია ვთქათ, ამ პერიოდისთვის რიზეში 1 რუბლის ღირებულება 12,5 ყურუში იყო.

1914 წლის 18 მაისით დათარიღებული ჩანაწერის¹⁸ მიხედვით, რიზეს კამაშინოზის უბნის მცხოვრები სარი ახმედზადე ისმაილ ეფენდი ოსმანის ძე ბათუმში მეჰანეს (დუქანი, დვინის სახლი) ამჟმავებდა. ამასთან ნათქვამია, რომ მას რამდენიმე აღგილზე უძ-რავი ქონება და მიწა ჰქონდა. სასამართლოსგან იგი რუსეთის ხელისუფლებასთან მოლაპარაკებების გზით ამ ქონების მის შთა-მომავლობაზე გადაცემას მოითხოვს. მსგავსი შინაარსის მქონე სხვადასხვა ჩანაწერის¹⁹ მიხედვით ვგვტულობთ, რომ ასეთი საკით-ხები ხშირად შეიძლებოდა რუსეთ-ოსმალეთს შორის მიმოწერის გზით წყდებოდა.

1914 წლის 22 მაისით დათარიღებული ჩანაწერი²⁰ გვაუწევს, რომ ერთ-ერთ რიზეელს ბათუმში საკუთარი უძრავი ქონების გასაყიდად აქ მცხოვრები სხვა რიზეელი ვაჭრისათვის მინდობილობა მიუცია. აგრეთვე რიზეს ფირიჩელების უბნის მცხოვრებ ყუველოდლუ პაჯი მუსტაფა პაჯი აღის ძეს ბათუმში მისი კუთვნილი მიწის წილის გაყიდვასთან და თანხის მიღებასთან დაკავშირებით მინდო-

¹⁵ RSS 1509, 298

¹⁶ RSS 1509, B89

¹⁷ RSS 1509, 7

¹⁸ RSS 1509, B 99.

¹⁹ RSS 1509, B 100, B 101.

²⁰ RSS 1509, B 106.

ბილობა ბათუმში მცხოვრებ რიზელ გუზელ ოსმანზადე მაპმუდ ნედიმ ეფენდი თსმან ეფენდის ძისათვის გაუცია. 1893 წლის 6 ივნისით დათარიღებული ჩანაწერის²¹ მიხედვით, ერთ-ერთ რიზელ ვაჭარს დაახლოებით 21 წელი ბათუმში უცხოვრია და მისი საქმიანობა მინდობილობით უწარმოებია. ტრაპიზონში ფაზარქაფუს უბნის მცხოვრებ მიპდათ ადაზადე პუსეინ ეფენდის, ბათუმში მცხოვრები შეილი ოქერ ნედიმ ეფენდი გარდაცვლია. ეს უკანასკნელი ოსმალური დოკუმენტით ფლობდა მიწასა და შენობა-ნაგებობას ბათუმში აზიზიეს უბანში. მიპდათ ადაზადე პუსეინ ეფენდის შენობა-ნაგებობების ქირის აღებისა და განკარგვის უფლების მინდობილობით ბათუმში მცხოვრებ ოსმალეთის მოქალაქე რიზელ ვაჭარ გუზელ თსმან ადაზადე მაპმუდ ეფენდიზე გადასაცემად რიზეს სასამართლოსთვის მიუმართავს. აქვე ნათქვამია, რომ ზემოთ აღნიშნული ადგილის ერთ მხარეს გზა, ერთ მხარეს აღი ეფენდის მიწა, ერთ მხარეს ჰაჯი ისმაილეფენდის მიწა და მეოთხე მხარეს კი ნურედლინის მიწა ესაზღვრება.

დასკვნა

ამრიგად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენს მიერ განხილულ პერიოდში ხშირი იყო შემთხვევა, როდესაც რიზეში ბათუმელები ცხოვრობდნენ და პირიქით – რიზეელები ცხოვრობდნენ ბათუმში. რიზეელთა უმეტესობა ბათუმში სავაჭროდ იმყოფებოდა. ამ ნაშრომში სამი სასამართლო აღრიცხვის რეესტრის ამონაწერია განხილული. ამ მცირე ნაწილის განხილვით ზოგ დასკვნამდე მისვლა ვცადეთ. თუ რიზეს სასამართლო აღრიცხვის ჩანაწერებს გამოვიკვლევთ, ბათუმის ისტორიის შესახებ, შეიძლება სხვა შედეგებსაც მივაღწიოთ, გამომდინარე იქიდან, რომ სასამართლო აღრიცხვა სოციალური ისტორიის მნიშვნელოვანი ნაწილია. რიზეს სასამართლო აღრიცხვაში მთლიანობაში 30-მდე დავთარია ცნობილი. მოკლევის შემთხვევაში შესაძლებელია უფრო მეტიც აღმოჩნდეს. როგორც ცნობილია ოსმალეთის მმართველობის პერიოდში ბათუმში შარიათის სასამართლო და ყადი იყო. მაგრამ 1878 წლიდან, ბათუმის რუსეთის იმპერიაში გადასვლის შემდეგ, აქაური სასამართლო ჩანაწერების ბედი ჩვენთვის უცნობია. ამის შემდეგ რუსეთმა დაიპყრო არზრუმიც და იქაური სასამართლო ჩანაწერებიც გაქრა. აქედან გამომდინარე იმ ჩანაწერების შესახებაც არაფერი ვიცით. ბათუმისა და არზრუმის სასამართლო ჩანაწერების ბათუმის, თბილისის, ან რუსეთის რომელიმე ქალაქის ბიბლიოთეკაში აღმოჩნდის შემთხვევაში, ამ მხარის სოციალური ისტორიის მნიშვნელოვან და ფართო ცნობებს მოვიპოვებთ.

უფლება გვაქვს, რომ ამის იმედი გვქონდეს, ხოლო განხორციელებისათვის შრომაა საჭირო, რაც ჩვენი პირდაპირი მოვალეობაა.

²¹ RSS 1501, 549.

Nebi Gumushi (Rize,Turkey)

Social relations between Rize and Batumi in the end of 19th century and beginnings of 20th century (in the light of the muslim court recordds of Rize)

Summary

Sheriyye Registry records are important sources for social history as well as for region history. In this paper we will try to make some decisions about the social relations between Rize and Batumi in the ends of 19th century and beginnings of 20th century, using Muslim Court Records of Rize.

Records indicate that some Georgians have been living in the villages of Rize for many long times. surnames such as *Gurcuoglu* also show this fact. On the other hand, many people from Rize have been living in Batumi too. This situation can be valid for Batumi in the period of Russian domination as well as in its period of Ottoman rule. Rize residents had been in Batumi for hunting, shipping, trade and similar things. In case of the discovery of the lost Registry of Batumi and of Erzurum Sheriyye Registry, the access to important information about the much more comprehensive social history of the region can be quite possible.

Keywords: Rize, Batumi, social relations, Sheriyye Registry

Doç. Dr. Nebi GÜMÜŞ*

19 - yüzyıl sonu ve 20 - yüzyıl başlarında rize ile batum arasında sosyal ilişkiler (rize şeriyye sicillerine göre)

Özet

Şer'iyye Sicilleri sosyal tarih için olduğu kadar bölge tarihleri için de önemli kaynaklardır. Bu tebliğde Rize Şeriyye Sicillerinden yararlanarak 19. yüzyılın sonu ve 20. yüzyılın başında Rize ve Batum arasındaki sosyal ilişkiler hakkında bazı tespitlerde bulunmaya çalışacağız.

Kayıtlardan Rize'nin bazı köylerinde Gürcülerin uzun zamandır yaşadıkları anlaşılmaktadır. Gürcüoğlu soyadları bunu göstermektedir. Buna mukabil çok sayıda Rizeli Batum'da oturmaktadır. Bu durum Batum'un Osmanlı hakimiyetinde olduğu dönem için olduğu kadar Rus hakimiyeti dönemi için de geçerlidir. Rizelilerin avcılık, gemicilik ve ticaret gibi çeşitli sebeplerle Batum'da bulundukları anlaşılmaktadır. Kayıp bulunan Batum ve Erzurum Şer'iyye Sicilleri'nin de bulunması halinde bölgenin sosyal tarihi ile ilgili çok daha kapsamlı ve önemli bilgilere ulaşabiliriz.

Anahtar kelimeler: Rize, Batum, sosyal ilişkiler, Şer'iyye Sicilleri

* Rize Üniversitesi İlahiyat Fakültesi İslam Tarihi Öğretim Üyesi

გორგა საითიძე, იზა ალლაძე
(თბილისი, საქართველო)

**ავსტრიული მაცნიერი და მოგზაური
ამანდ ფონ შვაიგერ-ლერხენფელდი ბათუმისა
და აჭარის შესახებ
(XIX საუკუნის 80-იანი წლები)**

რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომის შემდეგ, სან-სტეფანოს დროებითი ზავისა და ბერლინის კონგრესის შედეგების საფუძველზე, ოსმალთა მიერ XVI-XVII სს-ში მიტაცებული საქართველოს ერთ-ერთი ძირძველი კუთხე – აჭარა რუსეთს გადაეცა. XIX ს-ის 70-იანი წლების მიწურულიდან მგვეთრად მოიმატა ქართულ პერიოდულ გამოცემებში გამოქვეყნებული პუბლიკაციების რიცხვმა ბათუმის, ზოგადად, აჭარის შესახებ.

ქართველი ავტორების პარალელურად, XIX ს-ის 70-80-იანი წლების აჭარის შესახებ საინტერესო ცნობებს ვპოულობთ ამ პერიოდის ზოგიერთი დასავლეთევროპელი მეცნიერის ნაშრომებშიც. მათგან საგანგებო აღნიშვნის დირსია ავსტრიელი მწერლის, მეცნიერის, მოგზაურისა და სამხედრო მოღვაწის – ამანდ ფონ შვაიგერ-ლერხენფელდის მონოგრაფია "Zwischen Donau und Kaukasus (Land- und Seefahrten im Bereich des Schwarzen Meeres)" ("დუნაისა და კავკასიას შორის (სახმელეთო და საზღვაო მიმოსვლა შავი ზღვის რეგიონში)"), რომელიც 1887 წელს ვენა-პეშტ-ლაიფციგში გამოიცა. თვითონ ამანდ ფონ შვაიგერ-ლერხენფელდის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ შედარებით მცირერიცხოვანი ცნობები გაგვაჩნია. იგი დაიბადა 1846 წლის 17 მაისს ვენაში; აქვე გარდაიცვალა 1910 წლის 24 აგვისტოს, 64 წლის ასაკში [Biographisches Jahrbuch..., 1913; Deutscher Biographischer..., 1998].

რაც შეეხება ზემოთ დასახელებულ მონოგრაფიას – "დუნაისა და კავკასიას შორის (სახმელეთო და საზღვაო მიმოსვლა შავი ზღვის რეგიონში)", იგი ჩვენ აღმოვაჩინეთ 2005 წელს გერმანიაში, ზაარლანდის უნივერსიტეტში, სამეცნიერო მივლინების დროს. წიგნი შედგება 778 გვერდისაგან, დართული აქვს 215 ილუსტრაცია და 11 რუკა. მეტად ფართოა მონოგრაფიაში განხილული საკითხების სპეციალისტთა უკვლევები შავი და კასპიის ზღვების აუზების ქვეყნების წარსულს (სათანადო წეარეგბზე დაყრდნობით) და მათ თანამედროვე ვითარებას. წიგნი დაყოფილია შემდეგ თავებად: "შესავალი (ისტორიული და გეოგრაფიული მიმოხილვა)", "დუნაის ქვემო წელზე მდებარე ქვეყნები", "სამხრეთ რუსეთი", "ყირიმი", "სამხრეთ-აღმოსავლეთი რუსეთი", "ჩრდილო კავკასია", "ამიერკავკასია", "კასპიის

ზღვის სამხრეთში”, “სომხურ-პონტოური რეგიონი”, “ტრაპიზონიდან სტამბულისაკენ”, “კონსტანტინოპოლი”, “ბულგარეთი”.

მონოგრაფიაში ჩვენს განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს თავი სახელწოდებით “ამიერკავკასია” (გვ. 389-448). მასში სომხეთსა და აზერბაიჯანთან ერთად, განხილულია საქართველოსთან დაკავშირებული საკითხები, კერძოდ: “საქართველოს გეოგრაფიული მიმოხილვა”, “სარწყავი სისტემა”, “ძველი კოლექტი”, “დვინის კულტურა”, “იბერები და ალბანელები”, “ბაგრატიონები”, “ქართველები”, “ამიერკავკასიის დაპყრობა ოსმალთა მიერ 1549 წელს”, “ფოთი და რიონიფაზისი”, “გურია”, “პეტრა”, “ბათუმი”, “აჭარლები”, “ტიფლისი”, “ტიფლისის შემოგარენი”, “დუხობორები”, “მოლოკნები”. გარდა ამისა, თავში სახელწოდებით “სომხურ-პონტოური რეგიონი” არის ქვეთავი “ლაზისტანი და ლაზები” (გვ. 589-590).

ნაშრომიდან ჩანს, რომ ა. ფონ შვაიგერ-ლერხენფელდმა პირადად იმოგზაურა სამეცნიერო მიზნით შავი ზღვის რეგიონის ქვეყნებში, მათ შორის, საქართველოში. მონოგრაფიის წინასიტყვაობაში ავტორი აღნიშნავდა: “შავიზღვისპირეთის ქვეყნები მომავალს ეკუთვნიან. ისინი ევროპის ხალხებისა და სახელმწიფოების ცხოვრების ამოსავალ პუნქტს წარმოადგენენ. სარმატის დაბლობიდან და თრაკიის სრუტეებიდან (ბოსფორი და დარდანელი) იწყებოდა ხალხთა ყოველი შემოტევა, რომელთაც ჩვენი კონტინენტის რუკა არაერთგზის შეცვალეს. მას შემდეგ, რაც ოსმალეთის აგრესიული ძალაუფლება დაიმსხვრა – და ეს თითქმის უკვე ერთ საუკუნეს ითვლის – დასავლეთის ინტერესები და იდეები იქ ბრუნდება, სადაც ოდესაც ჩაისახა.

აზიასა და ევროპას შორის საუკუნეების მანძილზე არსებული მრავალფეროვანი ურთიერთობები რომ მეჩვენებინა, შევეცადე გამევლო ბურუსით მოცული ბილიკი კაცობრიობის უძველეს, მითებსა და ლეგენდებში განხეულ მოგონებებამდე. კიმერიელები პომეროსთან, არგონავტების დაშქრობა, კავკასიის ქედზე მიჯაჭვული პრომეთე – ეს ცალკეული მაგალითებია ჩვენი არსებობის საწყისი პერიოდიდან, გადმოცემების მეშვეობით მოგანილი. გადამწყვები მნიშვნელობისაა, რა თქმა უნდა, უძველესი ისტორიული ცნობები. ვერ წარმომიდგენია, როგორ შეიძლება ვინმერ სწორად იმსჯელოს ქვეყნებისა და ხალხების დღევანდელ მდგომარეობაზე, თუ წარსულის ცოდნა არ გააჩნია.

ამიტომ მიზნად დავისახე, აწმოს მეტავალი ხატი მრავალი ათწლეულის, ზოგჯერ საუკუნის, მატერიალური გარსიდან გამომეცალკევებინა, რათა მკითხველისათვის მეჩვენებინა, რა იყო მანამდე და როგორ მოვიდა ყველაფერი, რაც ამჟამად არსებობს... თავისთავად ცხადია, წიგნში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა და უდიდესი ინტერესის საგანს წარმოადგენს შავიზღვისპირეთის ქვეყნების ურთიერთობები – “რკინის ჭიშკრიდან” დაწყებული კასპიის ზღვის სანაპიროებამდე. დღევანდელობის რეალური საგნები საყოველთაოდ თვალსაჩინო რომ გაგეხადა, საილუსტრაციო მასალას დიდი გულდასმით მოვეკიდეთ და საფუძვლად თითქმის ყველგან იღუსტრაციები დავუ-

დეთ, რომელთა მოძიება ხანდახან არცოუ იოლი იყო. დიდი მიმოსილვითი რუკები ძვირფასი დანართებია, რომელთა მსგავსიც იშვიათად რგებია წილად ამ სახის პუბლიკაციებს”.

მართლაც, საგანგებო აღნიშვნის დირსია წიგნში დაცული ილუსტრაციები – ესაა ჩვენთვის უცნობი, საქმაოდ მაღალი დონის, მხატვრის ჩანახატები, რომელთა საერთო რაოდენობა, როგორც მივუთითეთ, 215 ცალია. ამათგან საქართველოს და კავკასიის თემატიკას რამდენიმე ათეული ილუსტრაცია ეძღვნება. ისინი ჯერჯერობით უცნობია ქართველი მკვლევრებისა და საზოგადოების ფართო წრეებისთვის. ჩანახატების უბრალო ჩამონათვალიც კი გვიჩვენებს, რაოდენ ძვირფას წყაროსთან გვაქვს საქმე: ”გურული მამაკაცი”, ”სვანები”, ”ხევსური ქალი”, ”სოხუმის ციხე”, ”მეგრული მამაკაცი”, ”მეგრული ქალი”, ”ქართველები”, ”ბათუმი”, ”ქართველი ქალები”, ”ციხესიმაგრის ნაგრუები საქართველოში”, ”ტფილისის ხედი”, ”ტფილისის ქუჩა”, ”კურორტი ბორჯომი”, ”მოლოგნები”, ”დუხობორები”, ”ლაზისტანის ლანდშაფტი”, ”ლაზი გლეხები” და სხვ. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ აღნიშნული პერიოდის საქართველოს შესახებ შედარებით მცირე რაოდენობის ილუსტრაციები (ფოტოები, ნახატები) მოგვეპოვება, ა. ფონ შვაიგერ-ლერხენფელდის ნაშრომისადმი ინტერესი და მისი მნიშვნელობა კიდევ უფრო გაიზრდება.

აღსანიშნავია, რომ ”დუნაისა და კავკასიას შორის (სახმელეთო და საზღვაო მიმოსვლა შავი ზღვის რეგიონში)” არ არის ერთადერთი ნაშრომი, რომელიც ა. ფონ შვაიგერ-ლერხენფელდმა ქართულ თემატიკას მიუძღვნა. 1877 წელს ავსტრიულმა ჟურნალმა ”Oesterreichische Monatschrift fuer den Orient” (№ 3, გვ. 121-123) დასტამბა მისი სტატია ”Lazistan und die Lazen” (“ლაზისტანი და ლაზები”). ჩვენ ისიც მოვიძეთ, დავამუშავეთ და უახლოეს ხანებში სათანადო სამეცნიერო აპარატის დართვით გამოვაქვეყნებთ წელიწლების – ”ქართული დიპლომატია” მორიგ ტომში.

რაც შეეხება ა. ფონ შვაიგერ-ლერხენფელდის უმთავრეს ნაშრომს – ”დუნაისა და კავკასიას შორის (სახმელეთო და საზღვაო მიმოსვლა შავი ზღვის რეგიონში)”, ჩვენ უახლოეს მომავალში ვაეგმავთ საქართველოსთან დაკავშირებული მონაკვეთის სრულად თარგმნას და სათანადო საკავლევი აპარატითურთ მის სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანას, წინამდებარე პუბლიკაციაში კი ვაქვენებთ ავსტრიელი მკვლევრის ცნობებს XIX საუკუნის 80-იანი წლების ბათუმისა და აჭარლების შესახებ.

ა. ფონ შვაიგერ-ლერხენფელდი მიმოიხილავს ბათუმში არსებულ ვითარებას რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომამდე და ომის შემდეგ; კურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ ომის შემდგომ ბათუმი, რომელიც მანამდე “ძალზე უმნიშვნელო პუნქტი იყო. ის რამდენიმე ასეული ხის სახლის, ბარაკისა და საბრძოლო მასალის საწყობებისგან შედგებოდა”, სწრაფი ტემპებით განვითარდა, რაც განაპირობა მისმა ხელსაყრელმა საპორტო ადგილმდებარეობამ; ავტორის თქმით,

“ნის ბარაკები ქვის შენობებმა შეცვალა, სანაპიროები მოეწყო და გამშვენდა, გაიხსნა მაღაზიები და, რაც მთავარია, სიმაგრეები აშენდა”. გარდა ამისა, მკვლევარი გვაწვდის ცნობებს პეტრას და გონიოს ციხეების, მდ. ჭოროხის, მასზე მიმდინარე ნაოსნობის, ბათუმის შემოგარენის ტოპოგრაფიული სურათის და ა. შ. თაობაზე. ა. ფონ შვაიგერ-ლერხენფელდი მოგვითხრობს აჭარელთა ზნე-ჩვეულებების, საცხოვრისების, საოჯახო მეურნეობების, რელიგიის, სულთნის ცენტრალურ ხელისუფლებასთან მათი დამოკიდებულების და სხვ. საკითხების შესახებ.

აქვე გთავაზობთ ბათუმისა და აჭარლების შესახებ ა. ფონ შვაიგერ-ლერხენფელდის ცნობების ქართულ თარგმანს; პუბლიკაციას ბოლოში დავურთეთ კომენტარები.

ამანდ ფონ შვაიგერ-ლერხენფელდი ბათუმისა და აჭარლების შესახებ

მდინარე ჩოლოქსა და ჭოროხს შორის შუა გზაზე წააწყდებით საქმაოდ მოზრდილი ციხის ნაგრევებს, რომლებიც ქართული წარმოშობისა არ უნდა იყოს. საგარაუდოდ, ეს ნაგრევები ბერძნულ პეტრას უნდა ეპუთვნოდეს, რომელიც სადღაც ამ სანაპიროზე მდებარეობდა და არავითარ შემთხვევაში ოზურგეთთან, როგორც ამას დიუბუა დე მონაკერე (1) მიიჩნევდა.

ამ პუნქტიდან ოდნავ მოშორებით მთებს უკან მოიტოვებ და მდინარე ჭოროხის ფართო ხეობაში შედიხარ, პონტოს ბობოქარი მთის მდინარისა, რომლის სათავეც შორულ სომხეთშია. ბათუმი მის შესართავთან ახლოს მდებარეობს, რაც მის მნიშვნელოვან მდებარეობას განაპირობებს. რუსეთ-ოსმალეთის ყველა ომის დროს ბათუმი, მართლაც, მეტად მნიშვნელოვან საბაზისო პუნქტს წარმოადგენდა ოსმალთათვის ამიერკავკასიაში რუსეთის წინააღმდეგ ჩატარებულ ოპერაციებში.

ბათუმმა რუსეთ-ოსმალეთის უკანასკნელ ომშიც (2) დიდი როლი შეასრულა. ახლა იგი, ჭოროხის სათავემდე არსებული ტერიტორიის ჩათვლით, რუსული რეგიონია, რითაც ამ უკანასკნელმა პონტოდან სომხეთის მაღალმთიანეთის ცენტრამდე ახალი გასასვლელი მიიღო. სამწუხაროდ, ძლიერი დაქანებისა და მრავალი ჩქერის გამო, მდინარე ჭოროხი ნაოსნობისათვის გამოუსადევარია; თუმცადა, მის ქვემო წელში დაცურავენ ტივები, რომლებიც ნაწილობრივ ხელს უწყობენ ვაჭრობას რეგიონის შიდა ნაწილიდან სანაპიროსკენ (და არა პირიკით).

ჭოროხის შესართავის მოპირდაპირე მხარეს, რომელიც, სხვათა შორის, სამ ტოტად ჩაედინება ზღვაში, მდებარეობს გონიო, უმნიშვნელო ადგილი, რომელიც თურქთა ბატონობის დროს სუსტად იყო გამაგრებული. წინა ხანებში ბათუმიც ძალზე უმნიშვნელო პუნქტი

იყო. ის რამდენიმე ასეული ხის სახლის, ბარაკისა და საბრძოლო მასალის საწყობებისგან შედგებოდა. ბათუმის ირგვლივ საშიში ჭაობებია, რომლებსაც ბუღი ახდით, და მხოლოდ ბორცვების მწკრივი არღვევს ერთფეროვან დაბლობს.

რუსეთის ბატონობის დროს ბათუმში სწრაფი აღმავლობა განიცადა, იმის გამო, რომ ფოთს – ამიერკავკასიის ჭიშკარს, არა ნავსადგური, არამედ მეჩხერი, ქარიშხელების სათარეშოდ გამხდარი დიარეიდი გააჩნია, ბათუმი კი ნაწილობრივ მაინც დაცული ყურის მიღმა მდებარეობს. უკანასკნელ ომში რუსეთმა, როგორც იქნა, დიდი ხნის ნატვრა აისრულა და თავისი ამიერკავკასიური პროვინციებისათვის შავ ზღვაზე მნიშვნელოვანი პორტი მოიპოვა. თანდათანობით, ხის ბარაკები ქვის შენობებმა შეცვალა, სანაპიროები მოეწყო და გამშვენდა, გაიხსნა მაღაზიები და, რაც მთავარია, სიმაგრეები აშენდა. დაგეგმილია, აგრეთვე, რომ ფოთიდან თბილისში, შესაბამისად, ბაქოში მიმავალი რკინიგზა, რომელიმე ხელსაყრელი პუნქტიდან ბათუმამდე – რუსების მომავალ სამხედრო ნავსადგურამდე – გაიყვანონ... (გვ. 407-408).

ბათუმის შემოგარენის ტოპოგრაფიული სურათის დასაფიქსირებლად მაღალი მთისკენ მივემართებით, რომელიც დაახლოებით ერთი გერმანული მილის (3) დაშორებით აჩუკუს დასავლეთ სანაპიროს დაჰურებს. წელიწადის ცივ დროს მისი ძირი და კალთები ხშირი მცენარეული საფარითა შემოსილი, ზაფხულში კი ყველაფერი გადამწვარია. მწვერვალზე რამდენიმე უძველესი ჯიშის ნეკერჩხალი დგას ძველისძველი ქრისტიანული ეკლესიის ნანგრევების გვერდით. აქედან წრდილო-დასავლეთის მიმართულებით ზღვისკენ თუ გავიხედავთ, შორს ხშირი ტყით დაფარულ საშუალო სიმაღლის რამდენიმე პარალელურ მთაგრეხილს მოვკრავთ თვალს. მისი ერთ-ერთი განტოტების ფერდობზე ბოლო ომის დროს ძალზე გამაგრებული თურქული საწყობი იდგა. მის უკანა მხარეს, თვალისათვის მიუწვდომელ ადგილზე, იმდროინდელი თურქული ფორტი ციხისძირი მდებარეობდა.

მთებს შორის ჩვენს თვალსაწიერზე თავის ფართო კალაპოტში ვერცხლის ძაფივით პატარა მდინარე კინტრიში მიიკლაპნება. მისი ხეობა მარაოსებურად იშლება და ჭაობიან დაბლობში გადადის, რომელიც ზედ ზღვის ნაპირზე ნორჩი ტყითა და გვიმრითაა დაფარული. მისი შესართავი პატარა ქალაქ ჭოროხ-სუს სამხრეთით 3-4 კილომეტრის მანძილზე – ქვემო ქობულეთში იმყოფება. მოპირდაპირე მხარეს გადაჭიმულ ბორცვებზე შეფენილი ტყებიდან წითელი კრამიტით გადახურული სახლები იმზირება... ბოლო ომის დროს ბათუმისთვის მიმდინარე გააფთრებული ბრძოლების დაწყებამდე იქ რუსული მოწინავე რაზმები იდგა. ახლა იმ ხალხის შესახებაც უნდა ვიდაპარაკოთ, რომელიც დასავლეთ ამიერკავკასიაში, მათ შორის, პონტოს მთიანეთში ცხოვრობს. ესენი არიან ქართველები... (გვ. 410).

ქართველური ტომის ხალხი, რომელიც აქამდე თურქების უღელ-ქვეშ იმყოფებოდა, ხოლო ბოლო ომიდან მოყოლებული, რუსეთის ძალაუფლების გაფართოების შემდეგ, მას ემორჩილება, აჭარლებია. ისინი ლაზების უახლოესი მეზობლები არიან, რომლებზე საუბარიც სხვა ადგილას გვექნება, რამდენადაც ისინი პონტო-სომხეთის ზღვის-პირა მოებში, ბათუმსა და ტრაპიზონს შორის ცხოვრობენ.

აჭარლები რაინდული მოდგმაა, არა მარტო იმიტომ, რომ კარგი ცხენები ჰყავთ და კარგად არიან შეიარაღებულნი; არც მხოლოდ იმიტომ, რომ მძარცველი რაინდების მსგავსად, თავიანთი მოების მწვერვალებიდან ქვემოთ ჩამოდიან და გზებს ხიფათს უქმნიან, არამედ იმიტომაც, რომ თავი რაინდულად უჭირავთ და რაინდულად იქცევიან; მეტწილად კეთილშობილურ თვისებებს ატარებენ, ძველი დროის დიდგვაროვანი ფრანგებისა და გერმანელების მსგავსად, მიცემულ სიტყვას არასოდეს გატეხენ და მეგობარს ბედის ანაბარა არასდროს მიატოვებენ.

თავიანთი ოჯახური ცხოვრებისა და მონასტრულ განმარტოებაში მცხოვრები ცოლების მიმართ აჭარლები დიდ პატივისცემას ამჟღავნებენ და მათი ოჯახური დირსების შელახვისათვის შურს მკვლელობით იძიებენ ხოლმე. ისინი მუსლიმები, თუმცა წარმოშობით ქართველები არიან და მათ ენაზე ლაპარაკობენ.

აჭარელთა საცხოვრებლები მდინარე აჭარისწყლის სათავესა და ხეობაში, ნაწილობრივ, აგრეთვე, ჭოროხეზე მდებარეობს. ამ უკანასკნელის ბინადრები მნიშვნელოვნად, მაგრამ არცოთ მათ სასარგებლოდ, განსხვავდებიან აჭარისწყლის ხეობაში მცხოვრები თავიანთი თანამომექებისგან. მათზე ამბობენ, რომ ზარმაცები და ქურდები არიან. დანარჩენი აჭარლები აღიარებენ, რომ მათ ყველა აჭარელს გაუტეხეს სახელი, თვითონ კი პატიოსანნი და ბეჯითნი არიან. “ჩვენ მაძღრები ვართ, ტყე და პატარა სიმინდის ყანა გვარჩენს, ცხოვრება არ გვიჭირს” – უთხრა ერთმა აჭარელმა კაგასიის მაგლევარ გუსტავ რადეს (4), – “მაგრამ, აბა, თვითონ განსაჯეთ: იქ, ქვემოთ, ბათუმის გზაზე, ბევრი ოჯახია, რომელთა ერთადერთ ქონებასაც სახედარი წარმოადგენს. აბა, როგორ არ იშიმშილებენ? ვინც შიმშილობს, კიდევ ვაც იპარავს”.

იგივე გუსტავ რადე აღნიშნავს, რომ სამხრეთის ზეგანის უბად-რუკ ბინებთან შედარებით, სადაც ადამიანი, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, გამოქვაბულის ბინადარიგით ცხოვრობს, აჭარაში ნამდვილი სასახლეებია წამოჭიმული. ეს საცხოვრებელი სახლები, რომელთა ქვედა სართული ქვითან ნაგები, ზედა კი – ფიცრულია, მათ ბინადართა სილამაზის შეგრძნებაზე მიუთითებს. მიუხედავად ყველაფრისა და, განსაკუთრებით, რაინდული სულისკვეთებისა, აჭარლები არც პორტას ერთგული ქვეშევრდომები და არც რუსეთის მშვიდობიანი მეზობლები არ ყოფილან.

სხვათა შორის, აჭარლებს ეტყობათ, რომ მათ ძირითადად ბრწყინვალე პორტას საქციელი აღიზიანებდათ და დროდადრო დაუ-


მორჩილებლობისაკენ უბიძგებდათ. მათ მუდამ საკუთარი კანონები და ადათ-წესები პქონდათ და არ სურდათ ისინი მსხვერპლად შეეწირათ ოსმალური ადმინისტრაციული შაბლონებისათვის, რომლებიც, ამასთანავე, არაფრად ვარგოდა. აჭარლები აღიარებდნენ სულთნის უზენაესობას, მაგრამ ხარჯის ოდენობას თვალი აწესებდნენ. როცა ვინმე შემთხვევით მის გაზრდას დააპირებდა, ტრაპიზონის გუბერნატორის წარმომადგენელს ჯიუტად პასუხობდნენ – წადი და შენ თვითონ აკრიფეო. ეს კი შეუძლებელი იყო, რადგან ტყით დაფარული მათი მთიანი მხარის მიუდგომლობა აჭარლებს საშუალებას აძლევდა, ნახევრად დამოუკიდებელი ადგილი მოეპოვებინათ სულთნის ქვეშევრდომთა შორის (გვ. 419-420).

კომენტარები

1. ფრედერიკ დიუბუა დე მონპერე (1798-1850 წწ.) – შვეიცარიელი მოგზაური, სიძველეთა მკვლევარი და გეოლოგი. 1831-1834 წლებში მოგზაურა ამიერკავკასიაში.
2. იგულისხმება რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომი.
3. თანამედროვე ქალაქი ქობულეთი.
4. გუსტავ რადე (1831-1903 წწ.) – გერმანელი ბუნებისმეტყველი და ეთნოგრაფი, პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. XIX საუკუნის 70-90-იან წლებში სამეცნიერო-კვლევითი მიზნით რამდენჯერმე იმოგზაურა „ოსმალოს საქართველოში“.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Biographisches Jahrbuch und Deutscher Nekrolog, Band XV, Berlin, 1913.
2. Deutscher Biographischer Index, Band 2, Muenchen, 1998.



ძველი ბათუმი
(იღუსტრაცია ამანდ ფონ შვაიგერ-ლინხენფელდის წიგნიდან)

Gocha Saitidze, Iza Agladze (Tbilisi, Georgia)

The Austrian Scientist and Traveller Amand von Shveiger-Lerchenfeld about Batumi and the Ajarians (The 80-ies of the 19th Century)

Summar

In the work is discussed the information about Batumi and the Ajarians (the 80-ies of the 20th Century), saved in the monograph “Between the Danube and the Caucasus (the voyages by land and sea in the Black Sea region)”, written by the Austrian writer, scientist, traveller and military person Amand von Shveiger-Lerchenfeld (1846-1910), published in Vienna-Pest-Leipzig in 1887. We found the monograph in Saarland University, Germany in 2005 during our scientific mission. The information about Batumi and the Ajarians together with the appropriate researching apparatus we are carrying into scientific circulation for the first time.

გია გელაშვილი
(თბილისი, საქართველო)

ლუჯი 30 ლეკა 1905 წლის ბათუმის შესახებ

შესავლის მაგიერ

ლუჯი ვილლარი (1876-1959) იყო იტალიელი ისტორიკოსი, მოგზაური და დიპლომატი. იგი არის ავტორი წიგნებისა „რუსეთი დიდი ჩრდილის ქვეშ“, „იტალიის საგარეო პოლიტიკა მუსოლინის დროს“, „იტალიის განთავისუფლება. 1943-1947“ და სხვა.

1905 წელს ინგლისურმა გაზეთმა „ტაიმსმა“ ლუჯი ვილლარი, როგორც საკუთარი კორესპონდენტი, მოვლინა საქართველოში. მან ლონდონში ვარლამ ჩერქეზიშვილისგან წამოიღო სარეკომენდაციო წერილები ილია ჭავჭავაძესთან, გიორგი ზდანოვითან და მიხილ წერეთელთან. კავკასიაში ის იმყოფებოდა 1905 წლის ზაფხულ-შემოდგომაზე რამდენიმე თვე. უკან დაბრუნებისას გამოსცა წიგნი „ცეცხლი და მახვილი პავასიაში“ (ლონდონი, 1906). ამ წიგნს ჩვენ გავეცანით ქ. ოქსფორდის ბოდლის ბიბლიოთეკის უორდროპის კოლექციაში. მისი ერთი დიდი ნაწილი ეხება 1905 წლის ამბებს საქართველოში. როგორც ინგლისელი შურნალისტი ჰენრი ნევინსონი თავის სტატიაში „პავასიის ტვირთი“ წერს: „ჩემი მეგობარი ლუჯი ვილლარი იქ (=გურიაში – გ.გ.) იყო, როცა კომუნალური სისტემა ჯერ კიდევ არსებობდა... ის აგვიწერს სოფლის სასამართლო გარჩევას, რასაც დაესწრო...“ [გ. გელაშვილი, 2008: 433]. გურიის ამბებთან დაკავშირებით ლუჯის მიმოწერა ჰქონდა ლევ ტოლსტოისთან. „უნდა გაკეთდეს ის, რასაც ზუსტად გურულები სჩადიან – მოაწყონ ცხოვრება იმჩაირად, რომ საჭირო არ გახდეს არავითარი ხელისუფლება...“ – წერს ტოლსტოი ვილლარის [იქვე].

რომ გავიგოთ ვილლარის სამოგზაურო მიზნები და განწყობა, დავესესხოთ მას: „რევოლუციურმა გამოსვლებმა რუსეთი მთლიანად მოიცვეს ბოლო 18 თვის მანძილზე. ძველი ეროვნული იდეალები, რომლებიც თითქოს დაიმარხნენ და მიავიწყდათ, გამოცოცხლდნენ. განაპირა პროვინციები დუღან; პოლონელები, ფინელები, ლეკები, ქართველები, სომხები – ყველანი მოითხოვენ უფლებებს, რომლებიც ასე დიდხანს ჰქონდათ წარომეული. რუსეთის არც ერთი მხარე ამჟამად არაა უფრო საგსე მწვავე პრობლემებით და არ იწვევს მეტ ინტერესს პოლიტიკის შემსწავლელებში, ვიდრე პავასია. იქ ნაციონალისტური მოთხოვნების მხარდამხარ ვხედავთ სოციალ-დემოკრატიების კონცეფციების განხორციელების ცდებს; ვხედებით ადამიანებს, რომლებიც აქტიურად ატარებენ პრაქტიკაში მარქსის თეორიებს. რუსი ხელისუფალნი მერყეობენ უხეშ რეაქციასა და სუსტ დათმო-

ბებს შორის. კავკასიაში მე მოვინახულე პოლიტიკური მოძრაობის უკელა მნიშვნელოვანი ცენტრი, ვაკვირდებოდი ქვეყნის ძირეულ ვითარებას. ვეთათბირებოდი უკელა საზოგადოებრივი ფენის, რასისა და რელიგიის წარმომადგენლებს – რუსი მეფისნაცვლიდან დაწყებული, უბრალო გლეხამდე, საიდუმლო პოლიციის უფროსიდან, ქართველ რევოლუციონერ ლიდერებამდე. დარწმუნებული ვარ, ბოლოს და ბოლოს მიეცემათ თავისუფალი განვითარების საშუალება იმ ერებს, რომლებიც ასე დიდხანს იყვნენ ისტორიული უკუღმართობის გერები. თუ მე მოვახერხებ საზოგადოების უკრადღების მიპყრობას კავკასიაში მიმდინარე მოვლენებისადმი და აღვუძრავ მცირე სიმპათიებს ცივილიზებულ დასავლეთს აღმოსავლეთის ამ მებრძოლი და დატანჯული ხალხების მიმართ, ჩემი მიზანი მიღწეული იქნება“.

სწორედ ვილლარის აღნიშნული წიგნიდან წარმოვადგინეთ თარგმანი მესამე თავისა „ბათუმი“, რაც მირითადად ეხება ქალაქის 1905 წლის ამბებს. სამომავლოდ ვაპირებთ საქართველოს შესახებ ვილლარის მთელი ცნობების თარგმანს.

ბათუმი

შუადღემდე ჩვენ დავინახეთ ბათუმი, რომელიც გვთავაზობს ულამაზეს სანახაობას. დიდებულ უურეს გარს ერტყმის გორაპების ამფითეატრი, დაფარული უმშვენიერესი, ხავერდოვანი მწვანე ფერის მდიდრული მცენარეულით. ჩრდილოეთისკენ ვრცელდება რიონის ჭაობიანი დაბლობი, რომლის იქითაც შეიძლება თვალი მოვკრათ კავკასიონს; სამხერეთით და აღმოსავლეთით არის აჭარის ველური მთები – მოწითალო, ლურჯი და მკეთრი ვარდისფერი, რომლებიც მიემართებიან თურქეთის საზღვრამდე და შემდგებაც, სანამ ბურუსიანი და არამკაფიო ანატოლიის მთები უერთდებიან ზღვას მრავალრიცხოვან კლდოვან კონცხებად. თვით ბათუმი დაბლობზეა და გაშენებულია ნაგსაღვურის ირგვლივ. გემიდან ის ჩანს როგორც თეთრი და ყავისფერი სახლების ჯგუფი, რომლებსაც მრავლად ენაცვლებიან ტროპიკული მცენარეები. ნაგსაღვურში ძალზე ცოტა გემებია, რადგან ქალაქი მარტიდან მოყოლებული იმყოფება განუწყვეტილი მღელვარების პირობებში; ასევე ვაჭრობაც თითქმის ჩაკვდა. ყურე ბუნებრივად საუკეთესო ნავსაყუდელია ამ სანაპიროზე და რუსების მიერ ჩატარებულმა დიდმა სამუშაოებმა ის აქცია ნამდვილ, მშვენიერ ნავსადგურად.

ბათუმის მხარე ყარსთან ერთად შეადგენს რუსეთის ბოლო შენაძენს კავკასიაში, რომელიც მას ბერლინის 1878 წლის ხელშექრულებით გადაეცა ჯილდოდ ძლევამოსილი, თუმცა სხვა მხრივ უშედეგო კომპანიისა. ომის დროს რუსების შეტევა ბათუმზე შესუსტებული იყო, მაშინ როცა ოპერაციები ევროპულ თურქეთში წარმატებული.

რასაც რუსებმა ბალკანეთში მიაღწიეს, ჩამოართვეს ბერლინში; სამაგიეროდ გადაეცათ ბათუმი, ოდონდ გარკვეული შეზღუდული პირობებით: ბათუმი რჩებოდა რუსელი საბაჟო გადასახადებისგან თავისუფალ ნავსადგურად და არ უნდა გამაგრებულიყო. ამ შეზღუდვის მიზანი იყო დაეცვათ უცხოური კომერციული ინტერესები შავ ზღვაზე და თავიდან აეცილებინათ საფრთხე, რომელსაც უქადდა რუსეთი დიდი საზღვაო ბაზის შექმნით ზედ თურქეთის საზღვრებთან. რუსეთისთვის ბათუმს ჰქონდა მნიშვნელობა როგორც ერთადერთ კარგ ნავსადგურს ამიერკავკასიაში.

სახელმწიფოთა მიერ დაკისრებული პირობები არაბუნებრივი იყო და ვერ გაუძლებდა დაძაბულ ვითარებას. დაუჯერებელი იყო, რომ რუსეთი არ მოისურვებდა ისეთი მნიშვნელოვანი სასაზღვრო პოზიციის გამაგრებას, როგორიც ბათუმი იყო. მცირედაც კი არ იყო დასაშვები, რომ ამის გამო თურქეთი ან სხვა სახელმწიფო შეებრძოლებოდა მას. ჯერ კიდევ ადრე, ოთხმოციან წლებში, რუსეთმა დაიწყო სიმაგრეების აგება ქალაქის სიახლოვეს, ოდონდ თავისუფალი პორტის ზონის გარეთ. შემდგე სხვა სიმაგრეებიც ააგეს უპვე იმ ზონის შიგნით, თუმცა შეიარაღების გარეშე. 1870 წელს რუსეთის მთავრობამ განაცხადა, რომ ადარ დაემორჩილებოდა პარიზის ხელშეკრულების პირობებს, რაც უკრძალავდა მას სამხედრო ფლოტის ყოლას შავ ზღვაზე. ახლა მან გადასცა ნოტა სახელმწიფოებს ბერლინის ხელშეკრულების საწინააღმდევოდ, რომ ბათუმს გაამაგრებდა, რის გამოც ის ვეღარ იქნებოდა თავისუფალი ნავსადგური. ამის შემდეგ შიდა ფორტები შეიარაღეს და ქალაქი გახდა პირველი მნიშვნელობის საყრდენი პუნქტი, რომელიც ომის შემთხვევაში იქნებოდა ოპერაციების ბაზა შავ ზღვაზე.

ჩემი პირველი შთაბეჭდილება ბათუმში გადმოსვლისას იყო ის, რომ ნამდვილად ვიყავი თურქეთში და არა რუსეთში, თუმცა, რა თქმა უნდა, არის რუსელი შენობები, რუსელი წარწერები, რუსელი უნიფორმები. იქ არის უსუფთაობა, უწესრიგობა და დაუსრულებელი წარმოჩენა ისეთი ფაქტების, რაც ჩვეულებრივ დამახასიათებელია ორივესთვის – რუსეთისა და თურქეთისთვის. მაგრამ იქ არის რაღაც უფრო მეტი, ვიდრე ყოველივე ეს. გარემოს შეგრძნება თურქელია: საოცარი თავმოყრა მუქი აღმოსავლური სახეების, თვალწარმტაცი სამოსი და წითელი ფესკები გვაგონებენ თურქელი აღმოსავლეთის ნავსადგურებს. რუსელი უწესრიგობა მდგომარეობს მოუწყობელ გარემოში და შიდა მოწყობისადმი (პირველი დანიშნულების საგნებისადმი) უყურადღებობაში, მაშინ როცა უყრადღებას აქცევენ გარებან მხარეს. თურქელი კი ერთნაირად უყურადღებოა როგორც გარებანი, ისე შინაგანი მხარისადმი. მებარგულთა ბრძოს ხმაური და გაურკვევლობა, ყველა კოლორიტული და ვალური გამომეტვებით რომაა, არის ასევე მოლად თურქელი მახასიათებელი. რუსეთში ამ საქმეს უკეთესად ასრულებენ: როცა მგზავრები ჩამოდიან მატარებლიდან თუ გემიდან, ნაკლები ფაცი-ფუცია და გაცილებით კომფორტულად

გრძნობენ თავს. კები, რომელმაც გადამიყვანა სასტუმროში, არის რუსული. ის ნაკლებ მოძველებულია, ვიდრე თურქული. მას აქვს სახელგანთქმული რეზინის სალტე, რაც წარმოადგენს ცივილიზაციის ნიმუშს, რომელიც ღრმად შეიჭრა კავკასიაში. ამიერკავკასიის შორეულ ქალაქებში, სადაც ნაკლებობაა სუფთა სასტუმროების, უმწერო საწოლების, კარგი საკვების, სკოლების, გზების, უსაფრთხოების და თანამედროვე ცხოვრებისთვის საჭირო ფუფუნების, რეზინის სალტე კველგან ყვავის. ჩემმა სასტუმრომ კვლავ თურქეთში ჩამძირა: ფრანგულად მოლაპარაკე საეჭვო წარსულის თარჯიმანი, მხიარული ფერის აღმოსავლური ნოხები, შედებილი რკინის საწოლები, დამტკრეული ავეჯი ადრე ალბათ ეკუთვნოდა იუსკიუბის ან სალონიკის სასტუმროს.

ბათუმის სახეა ბულვარი. ყოველ რუსულ ქალაქს, მიუხედავად სიდიდისა, აქვს საზოგადოებრივი ბაღი ანუ პარკი, ბულვარად წოდებული – ან ალექსანდროვსკი სად (ალექსანდრეს ბაღი), ან გორდესკო სად (ქალაქის ბაღი), სადაც უკრავს ორკესტრი, ხალხი კი აღმაღალმა დასეირნობს. ამ გასართობ ადგილთა უმეტესობა პროვინციულ ქალაქებში მოსაწყენია, ის შემოღობილი, ნაკლებად მოვლილი და მიმზიდველია, აქვს უყვავილო კვლები და ავადმყოფური შესახედაობის ხეები. ბათუმის ბულვარი კი სილამაზისა და საოცრების განსახიერებაა. ეს გახლავთ ფართე ალევა ორივე მხარეს ჩამწერივებული აკაციებით, პალმებით, კაქტუსებით, ბანანებით და სხვა ტროპიკული ხეებით, ასევე ზომიერი სარტყლების მცენარეულობით. აქედან ტკბები უკეთის ლამაზი ხედით, მისი ინდიგოსავით მუქი ფერის წყლით, რომელიც დაკბილულია ზღაპრული კონცხების რიგით (ჯაჭვით). მდიდრული ფერები – საოცარი მწვანე, მუქი ლურჯი, კაშკაშა წითელი, და ნესტიანი ცხელი (დახუთული) ჰაერი სავსებით ქმნიან აღმოსავლურ ატმოსფეროს. ალეას შემდგომ ბულვარი გადადის მოვლილ ბაღში, სადაც გხვდებით იშვიათ ხეებს, საოცარ ტროპიკულ ყვავილებს და მობიბინე ბალახს. მის ბოლოში არის პატარა ტბა, რომელიც დია ზღვისგან მოწყვეტილია ხმელეთის ვიწრო ზოლით. მზის ჩასვლისას მისი წყალი ძალზე ლამაზად ციმციმებს ოქროსა და ვარდისფერ-წითლად; მისი ზედაპირისკენ დახრილან ხშირფოთლიანი ხეები, რომლებიც ჩრდილოვენ ტბის მეტალისებურ ზედაპირს და თითქოს კოცნიან მას; მათ შესახვდრად კი მრავალგვარი ფორმისა თუ ფერის ლერწამი წამომართულა. მათ უკან მაღალი, მოხდენილი პალმები მუქად ჩანან ცის ფონზე; ქვიშის გამყოფ ხაზზე კი ვხედავთ ცხენოსანი კაზაკების მწკრივებს, რომლებსაც ცხენები მიჰყავთ წყლისკენ. მთელი სანახაობა გვახსენებს ინდოეთის ან ეგვიპტის სურათებს, არანაკლებ მბრწყინავი ფერებით და დაძაბული ატმოსფეროთი. ჰაერი მძიმეა და ნესტიანი; შეხებისას ყველაფერი სველია და წებოვანი. ანაორთქლი გამოიყოფა მცენარეებიდან, ტბორებიდან და ადამიანი გრძნობს დაღლილობას, გამოფიტულობას და ენერგიის ნაკლებობას. იქ დადიან ცხენოსანი კაზაკები

– რუსეთის ძალის ეს სიმბოლოები, მაშინ როცა მათი სასიკვდილო მტერი კაგასიაში არის წყლის ზედაპირზე მობზუილე, ციების გა-მავრცელებელი კოდოები.

რუსელმა მთავრობამ ბევრი იზრუნა ბათუმის კლიმატის გასაუმჯობესებლად, ჭაობების დასაშრობად, ქალაქის გასაჯანსაღებლად. ჯანმრთელობის პუნქტები დაარსდა მწვანე კონცხზე და ჭაობიანი ზონის მაღლა მდებარე აღგილებში. ტონობით შემოიტანეს ქინაქინა, მაგრამ ბათუმი ჯერაც ციებიანია და მაცხოვრებლები ადრე თუ გვიან დაიტანჯებიან ამ საწამლავით. ნავსადგურთან უბერავს აღმოსავლური მურალი სუნი; დია კანალიზაციით სახლებიდან ზღვაში ჩადის სიბლანტე.

რუსების ოკუპაციამდე ბათუმი წარმოადგენდა საცოდავ სოფელს, დასახლებულს მირითადად თურქებით, რომლებსაც შერეოდნენ ბერძნები და სხვა აღმოსავლელები. ამჟამად ის არის ქალაქი 30000 მაცხოვრებლით, სადაც უფრო მეტია ხალხებისა და რელიგიების ნარევი. აქ დარჩა 10000-მდე თურქი, რომელთა უმეტესობა სულთანს ემორჩილება; არის 10000-მდე ქართველი – გურულები, მეგრელები, იმერლები, მაკმადიანი აჭარლები, 7000 რუსი (მირითადად ჯარისკაცები და ოფიცირები) და 3000-დან 5000-მდე საარსელი, ბერძენი, სომეხი, თათარი და სხვა. ამასთან მაცხოვრებლთა დიდი ნაწილი მოძრაობს. გურული გლეხები ჩამოდიან ქალაქში, როცა სამუშაო ჩნდება სხვა და სხვა სამრეწველო საწარმოებში და იღებენ მას, ხოლო უბრუნდებიან თავიანთ ყანებს მოსავლის აღების (თიბვის) პერიოდში, ანდა სამუშაოს დასრულებისას. ცოტა ქალაქში თუა ამდენი განსხვავებული პირთა ჯგუფები – მუქი საარსელიდან დაწყებული, ქერა რუსით დამთავრებული.

აღმოსავლეთის ყველა საზღვაო ნავსადგურში გვხვდება ხულიგნური ელემენტები; ბათუმს ეკუთვნის პირველობის პალმა თითქმის ყველა სახის თაღლითობაში. მგლელობა, ქურდობა, წაქეზება (გადაწვა) ყოველთვის გავრცელებული მოვლენა იყო. ძალზე საოცარ ამბებს ყვებიან თვით მაღალი საზოგადოების წევრთა მიერ ჩადენილი დანაშაულებების შესახებ; ირგვლივ ქვეყნის კვადრატული მილიც კი არაა თავისუფალი ყაჩაღობისგან. არაა ადვილი ასეთ ხალხში წესრიგის დაცვა; რუსეთმა ნამდვილად განიცადა მარცხი ამ მხრივ. თურქების დროს უწესობას ხსნიდნენ ჯარებისა და პოლიციის უუნარობით და ადმინისტრაციის არაეფექტურობით. ამჟამად ჯარის რაოდენობა ბევრია, რადგან ბათუმი წარმოადგენს პირველი ხარისხის სიმაგრეს არტილერიით ქალაქის ცენტრში; პოლიცია მრავალრიცხვანია და კარგად შეიარაღებული, ადმინისტრაცია თუმცა კორუმპირებულია და უუნარო, ნამდვილად უფრო სრულყოფილია თურქებისაზე. მაინც სახალხო წესრიგი სულ უფრო მიდიოდა ცუდიდან უარესისკენ, სანამ ახალმა პოლიტიკურმა რდვევებმა არ მიიყვანა ქალაქი და მხარე აბსოლუტურ ქაოსამდე.

ბათუმის კეთილდღეობა დამოკიდებულია მის მდებარეობაზე, როგორც კავკასიიდან ექსპორტის სავაჭრო ცენტრზე და მის მრეწველობაზე. ეს უკანასკნელი წარმოადგენს ბაქოს ნავთობით ვაჭრობას და მოიცავს მთელ რიგ მსხვილ ნავთობგადამაუშავებელ ქარხნებს. ნავთობის ტრანსპორტირება ბაქოდან ხდება რეინიგზით ან მილებით; ბათუმში კი მას ან გემზე ტვირთავენ, ან ცისტერნებს ავსებენ საექსპორტოდ. ცისტერნების დამზადება ძალზე საგულდაგულო საქმიანობაა და იმპორტული ვაჭრობის საგანია. უდიდესი ქარხნები (საწარმოები) არის ბ-ნი როტშილდის, რომელსაც ბაქოში ეკუთვნის ნავთობის დიდი სარეწვები და, რა თქმა უნდა, დიდად არის დაინტერესებული საექსპორტო ბიზნესით. მის ქარხანაში, რომელიც ბათუმს გარეთაა, დასაქმებულია რამდენიმე ათასი ადამიანი.

მუშები, როგორც ზემოთაც ვთქვი, ძირითადად არიან გურულები ოზურგეთის ოკრუგიდან; ასევე იყვნენ ქართველთა სხვა ჯგუფებიც. უკანასკნელ წლებში სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ ძალზე აქტიურად წარმართა თავისი პროპაგანდა და ბათუმის მუშათა კლასში ბევრი მომხრე გაიჩინა. მას შემდეგ, რაც საერთო მდელვარება რუსეთში კავკასიამდე გავრცელდა, ბათუმი იქცა აჯანყების ნამდვილ კერად. 1905 წლის აღრე გაზაფხულზე პორტისა და ქარხნების მუშები გაიფიცნენ მაღალი ხელფასისა და მოკლე სამუშაო დღის მოთხოვნით. სინამდვილეში ხელფასები ნავთობის ქარხნებში უწვეულოდ მაღალია; დღეში გამოიმუშავებენ 2-3 მანეთს, რაც აღემატება სხვა რომელიმე კატეგორიის მუშათა ხელფასს რუსეთში.

სტ.-პეტერბურგის პირველი გაფიცვების მსგავსად ეს იყო ნამდვილი გამოვლინება საერთო მდელვარებისა ქვეყანაში და გაფიცულთა მოთხოვნებს ჰქონდა პოლიტიკური ხასიათი. მაგრამ, სტ.-პეტერბურგის გაფიცვებისგან განსხვავებით, ბათუმისამ ერთაშად მიიღო დიდი მასშტაბები და იმ დღიდან აქამდე ქალაქს ერთი წუთითაც ნამდვილად არ მოუსვენია. ჩემი ჩამოსვლისას გარეგნულად საკმაო სიმშვიდე ჩანდა, თუმცა საალყო მდგომარეობა ძალაში რჩებოდა; თითქმის არ ჩანდა პატრული და პოლიცია. ახლა დღე არ ჩაივლის ქუჩაში მკვლელობის გარეშე, ხოლო მკვლელებს ვერ იჭერენ. არსებობდა ტერორისტული კომიტეტი, რომელიც არც ერთ კონკრეტულ პარტიას არ ეკუთვნოდა, მაგრამ მეტ-ნაკლებად უკავშირდებოდა სოციალისტებს და სოციალ-რევოლუციონერებს; მათში შედიოდნენ ხალხის ნაძირალები, რომლებიც მკვლელობებით ასრულებდნენ ბრძანებებს. ბათუმის ერთ გარეუბანში, სადაც ყველაზე მეტად აულაგმავი ელემენტები ცხოვრობენ, დაასახელეს პირვენება, როგორც ბათუმის ნამდვილი გუბერნატორი. განსხვავებით ოფიციალური რუსი გუბერნატორისაგან, ჩანდა მისი დიდი ავტორიტეტი, რადგან მის სიტყვას კანონის ფასი ჰქონდა. ტერორისტთა მოქმედების მეთოდები ძალზე უბრალოა. ბრძანება, რომ ამა და ამ ფაბრიკის მუშები უნდა გაიფიცონ, უცბად სრულდება; ისინი უნდა დამორჩილდნენ ბუზდუნის გარეშე და თუ რომელიმე მმართველი ან მომსახურე ეცდება მოძრაობის შე-

ფერხებას, მას მოკლავენ. თავზეხელადებულები რამდენჯერმე ავიდნენ გემზე ნავსადგურში და უბრძანეს დოკის მუშებს შექმნიტათ სამუშაო დღის 3 საათზე; მიუხედავად იმისა, რომ მათ არ გააჩნდათ ამის რწმუნება, ვერავინ გაბედა შეწინააღმდეგება. თვით ქალაქში ტერორი ისე ძლიერი იყო, რომ მცირე ხმაური ან სიმშვიდის დარღვევა იწვევდა უეცარ პანიგას.

ერთ ნაშუადლევს წამიყვანეს ბათუმს გარეთ როტშილდის ნავთობის ქარხნების სანახავად. სანავთობე ნავით (ბარკასით) გავემართეთ ზღვის ყურის გავლით, რადგან ეს უფრო უხილვათო იყო, ვიდრე საეტლე გზა. სარეწები გაჩერებული იყო რამდენიმე თვე და ახლო მომავალშიც არ ჩანდა მათი ხელახალი ამუშავების პერსპექტივა. ყველა ახალი დანადგარი და საუკეთესო მოწყობილობა დამონტაჟებული იყო, მაგრამ იდგა ჩუმად და უქმად. კაზაკი გუშაგები დაბანაკებული იყვნენ შემოღობილში, მაგრამ ესეც არ წარმოადგენდა საკმაო დაცვას. ფირმამ რუსული მთავრობის სრული ნებართვით მოაწყო და შეაიარადა საკუთარი კერძო დაცვა. ეს დათმობა, რაც {ქარხნის} მმართველმა მამცნო, თავისთავად ამტკიცებდა ბიუროკრატიის სრულ უძლურებას. ყველა შესასვლელებში იდგნენ მადალი ტანის ადგილობრივები, მეტწილად აჭარელი მაპმადიანები, შეიარაღებული რევოლუციერებით და ხანჯლებით (კავკასიური დანები), ხოლო კაზაკთა ჯგუფი, უსუფთაო ტანისამოსში, ჩაცუცქეულები მიწაზე თამაშობდნენ ბანქოს საჯინიბოს წინ, სადაც მათი ცხენები იდგნენ. აქა-იქ ჩანდნენ მცირე რაოდენობით მუშები, რომლებიც მეთვალყურეობდნენ დანადგარებსა და საწყობებს. მიუხედავად ამ ყოველივე სიფრთხილისა, თვრამეტი მუშა მოკლეს გასული რამდენიმე თვის მანძილზე, ცოცხლად დარჩნილებს დაემუქრნენ და ხშირად მკალელობის მცდელობაც ჰქონდათ. ყოფილ მუშებს ან არ სურდათ სამუშაოზე დაბრუნება, ან ვერ ბედავდნენ, რადგან ტერორისტთა კომიტეტი არ მოერიდებოდა დაწესებულების გადაწვას, ან დინამიტით მის აფეთქებას.

არ არის ადვილი გაიგო რევოლუციური პარტიების მიზანი, გარდა იმისა, რომ ქეუნის ხელისუფლება გახადონ გაუსაძლისი რეფორმების გატარებამდე. სანამ ლიდერებს, განსაკუთრებით რუსეთის დიდ ქალაქებში, გაუზნდებათ მეტ-ნაკლებად ზუსტი აზრი, მასებს არაფერი ესმით, გარდა ტერორისტების შიშისა და დაყაჩადების შესაძლებლობისა. დისციპლინა მთლიანად შესუსტდა, მთელი ხელისუფლება (ავტორიტეტობა) სძულო. მთავრობას სრულიად არაფერი გაუკეთებია, გარდა საოცრად სულელური ქმედებით ან მავნე დაპირებებით ხალხის გადიზიანებისა. დაუჯერებელი იყო, რომ ბათუმივით გამაგრებულ ქალაქში, რომელსაც გარს ერტყა ქვემეხები, მრავლად ჰქონდათ თოფები და ჰყავდათ ჯარის დიდი რაზმები, ასე იოლი იქნებოდა მკალელობა და ძალადობა. არაფერი უცდიათ დამნაშავეთა დაპატიმრებისთვის; ჩანს, თითქოს გაიცა ბრძანება, რომ რევოლუციონერების-თვის თავი დაენებებინათ.

მთავრობის პოზიციის უვარგისობის შესახებ საოცარი მაგალითი მოაქვს ადგილობრივ გაზეთს – „ჩერნომორსკი ვესტნიკ“. ეს ორგანო, ვინმე მ. პალმის რედაქტორობით, იყო მთლად რეაქციონერული [1]. როცა დაიწყო მდელგარება, რევოლუციონერებმა დააწესეს მასზე კონტროლი, აიძულეს რედაქტორი გაქცეულიყო და თანამშრომლები შეცვალეს თავისიანებით. მას შემდეგ გაზეთი პროპაგანდას უწევს ულტრა-რადიკალურ, რომ არ ვთქვათ ტერორისტულ, აზრებს.

გასულ წელს ქალაქში შედგა სოციალისტთა მნიშვნელოვანი ურილობა სამხედრო გენერალ-გუბერნატორის, გენერალ ორბეგლიანის საგანგებო ნებართვით, რომელმაც მოსთხოვა თავმჯდომარეს, რომ ყოფილიყო პასუხისმგებელი თავის ქმედებებსა და სიტყვებზე. მაგრამ, როგორც კი გაისძი სიტყვები მთავრობის წინააღმდეგ (ძნელად იყო დასაჯერებელი, რომ მსგავს მიტინგზე შეიკრიბებოდნენ აუტოკრატიისა და ბიუროკრატიის დალოცვის მიზნით), ზემოდასახელებული თავმჯდომარე სასწრაფოდ დაპატიმრეს და რამდენიმე თვით ჩასვეს ციხეში. როცა ის გაანთავისუფლეს, დანიშნეს ტფილისის საქონლის სასაკლაოს ვეტერინარ ექიმად (ქირურგად). ამასობაში ნამდვილად საშიში ანარქისტები არ შეუწუხებიათ.

მთელი ანარქისტული და ტერორისტული მოძრაობის უკან იდგნენ სხვადასხვა შეხედულებების ქართველი ნაციონალისტები, რომლებსაც მრავლად უჭერდა მხარს არისტოკრატია. ამ კლასის მოქცევას რუსული ხელისუფლების ხელში არ გაუძლიერებია მათი ლოიალობა; ისარგებლეს საყოველთაო მდელგარების ხელსაყრელი მომენტით, რათა წამოეუნებინათ მოთხოვნები ქართული ნაციონალიზმის დასაცავად. მათ გამოიყენეს ტერორისტები, ფარულად ეხმარებოდნენ და აფინანსებდნენ კოდეც აგიტაციისა და გაფიცვისთვის. ეს წარჩინებულები ხშირად კარგ ურთიერთობაში არიან რუს მოხელეებთან (ოფიციალურ პირებთან), ხვდებიან მათ როგორც ამხანაგებსა და მეგობრებს. ვიცე-გუბერნატორმა ერთ უცხოელ კონსულს უთხრა (როცა მსჯელობდნენ ზოგიერთ უახლეს ძალადობაზე): „რომ შეგვეძლოს რამდენიმე ნამდვილად მნიშვნელოვანი ლიდერის დაჭერა, ყველა უბედურება დასრულდებოდა; მაგრამ წარმოდგენა არ გვაქვს, სად ვეძიოთ ისინი“. კონსულმა უპასუხა: „თქვენ უნდა მოძებნოთ ისინი თქვენს კლუბებში ბანქოს კომპანიონებს, ან თქვენს სუფრის სტუმრებს შორის“. აქტიურობის ერთადერთი გამოვლინება ხელისუფლების მხრივ მოხდა პორტსმუტის ზავის ოფიციალურად გამოცხადების წინა დღეს, როცა მისი გაფორმება უპვე გადაწყვეტილი იყო; ადგილობრივმა სამხედრო კომენდანტებმა გასცეს ბრძანება, რომ ფორტები გადაეყვანათ თავდაცვის მდგომარეობაში იაპონელთა მხრივ მოსალოდნელი შეტევის გამო!

გაურკვევლობის დამატებით ელემენტს ქმნიდნენ თურქები და მაკმადიანი აჭარლები. ეს უკანასკნელები არიან ქართველები, მაგრამ, როგორც პომაკები და სხვა ახლად გამაპმადიანებულები, განსაკუთრებულ ფანატიკოსებს წარმოადგენენ; მათ ძალზე ეჯავრებათ ქრის-

ტიანი ქართველები. ისინი არ მონაწილეობენ გაფიცვებში და თათრებივით სურთ იყვნენ კარგ ურთიერთობაში ხელისუფლებასთან, მაგრამ უცდიან შესაფერის დროს, რომ შევარდნენ ბათუმში და ადგილობრივ მაკმადიანთა დახმარებით ხელი მიჰყონ ქრისტიანების საყოველთაო ქლეტას. აჭარლები სათანადოდ კარგად არიან შეიარაღებული. ბევრი მათგანი შევიდა არარეგულარულ ადგილობრივ მილიციაში, ან სასაზღვრო პოლიციაში. ამბობენ, რომ მთავრობა ცდილობს წაკეზონ ისინი გურულებისა და სხვა ქრისტიანების წინააღმდეგ, ისევე, როგორც ხელს უწყობდა თათრებს სომხების წინააღმდეგ აღმოსავლეთის პროვინციებში. მაგრამ აქამდე ქრისტიანულ-მაკმადიანური აფეთქება არ მომხდარა. აჭარლები ცდილობდნენ თავის ხელში აედოთ ნავთობის მრეწველობის ქარხნები და დოკები, მაგრამ ხელისუფლება ვერ ბედავდა, რაც ბათუმს აუცილებლად დააქცევდა. აქ მრავლადაა უცხოური დაინტერესება ქალაქით და მთავრობას აშინებდა საერთაშორისო გართულებები, რაც აუცილებლად მოხდებოდა.

ბათუმში ჩემი პირველი შეხვედრა (ინტერვიუ) მქონდა კავკასიელ რევოლუციონერთან მის ქვეყანაში. ეს გახდდათ ვინმე დოქტორი ვ[2], რომელიც თუმცა არ იყო დაბადებით ქართველი, მაგრამ სავსებით უთანაგრძნობდა ქართულ ნაციონალისტურ მოძრაობას; ის ეწინააღმდეგებოდა სოციალ-დემოკრატებს, რომლებიც უგულვებელ-ჰყოფდნენ ქართველთა ეროვნულ სწრაფვას. გარდა იმისა, რომ ის იყო ექიმი, იყო ქალაქის საბჭოს (მუნიციპალიტეტის) ცნობილი წევრი და ქალაქის მერის – თავად ანდრონიკოვის [3] მარჯვენა ხელი. ძალიან მსურდა მასთან საუბარი და მივადწიე შეხვედრას მეგობრის საშუალებით. იმიტომ კი არა, რომ შეხვედრა აუცილებელი იყო, რადგან კავკასიაში ყველა მზადაა უმასპინძლოს უცხოელს, განსაკუთრებით, თუ ეს უკანასკნელი უურნალისტია, ან მწერალი; ყველას სურს თავისი საკუთარი დაკვირვება გააცნოს ეფროპელებს. იმ დროს ქვეყნისათვის მე ვიყავი უცნობი და ვიფიქრე, რომ წარდგენის გარეშე უჭვის თვალით შემხედავდნენ. დრი ვ. არის დაბალი, გამსჭვალავი მზერით, შუა ხნის კაცი, ძალზე ემოციური, მაგრამ ინტელიგენტური და ენთუზიაზმით სავსე. რაღაც მან არ იცოდა არც გერმანული და არც ფრანგული, ხოლო მე რუსული დავიწყებული მქონდა, მან მოიხმო თარჯიმანი – მუქი ფერის კანის მქონე, შავთვალება იტალიელ-ბერძენ-ლევანგინელ-თურქი, პროფესიით გემების მომარაგების აგენტი. ის არის (თუ იყო იმ დროს) თურქული სუბიექტი, მაგრამ თავს იტალიელს ეძახდა და საუბრობდა ძალზე საოცარი იტალიურით, როგორიც კი ოდესმე მსმენია. ეცვა აღმოსავლური (ლევანგინური) ბუტაფორული სამოსი, პქონდა შავი თმა და ულვაში, პრიალა ყელ-სახვევი და პატარა ვერცხლის ბუნიკიანი ხელ-ჯოხი. დრ. ვ-მ და თარჯიმანმა მომაკითხეს სასტუმროში. ჩემს რამდენიმე შეგითხვაზე რევოლუციური მოძრაობისა და მისწრაფებების შესახებ, დოქტორი დან ამოფეთქა მჭევრმეტყველების ნაკადმა, რომელშიც ჩართო სა-

ქართველოს ისტორია დასაბამიდან მთელი მისი ეთნოლოგიური, გეოგრაფიული სიმდიდრითა და ფილოსოფიური გადახრებით. კარგა ხანი გავიდა, სანამ მიადგა რუსეთის მიერ დაპყრობას და, უქველია, მთელი დამე რომ დარჩენილიყო, დღევანდელ ვითარებამდე მოვიდოდა. მას უბრალოდ დრო არ ეყო, რომ მოკლედ მოეთხოვ დეტალუ- ბის გარეშე, რადგან პქონდა სხვა შეხვედრა. ეს იყო ჩემი პირველი შთაბეჭდილება აბსტრაქციებისა და ორორიებისადმი იმ სიუგარულის- გან მიღებული, რაც ასეა გავრცელებული კავკასიაში; ასევე ჩვეუ- ლება საგნის ბუნდოვან საწყისამდე უკან სვლისა, სანამ საბოლოო მიზნამდე მივლენ. მე ვერ ვიტყვი, რომ საკმაოდ გავნათლდი ჩემი ინტერვიუთი, რადგან დრ. ვ. ისე ჩქარა ლაპარაკობდა და დიდხანს არ ჩერდებოდა, რომ პაუზების დროს საწყალი თარჯიმანი ვერ იმახსოვრებდა ნათქვამის მეოთხედს; ხოლო რასაც იხსომებდა, მისი იტალიური ძალზედ გაუბედავი იყო, რომ შემდებოდა ეთარგმნა. ფაქტობრივად, მე უფრო მეტს ვიგებდი ან ვხვდებოდი დრ. ვ.-ს რუ- სულიდან და უსტებიდან, ვიდრე პატივცემული გემის მომარაგების აგენტის იტალიურიდან. ამის მიუხედავად, მომეცა საშუალება ჩავწვ- დომოდი ქართულ აზრს (სულს) და ის არასრული ინფორმაცია, რაც შევკრიბე, დამეხმარა შემექვნო დანარჩენი, რაც უნდა მიმედო ჩემი მოგზაურობისას.

ბათუმში დღეები საკმაოდ სასიამოგნოდ გავატარე; მოვინახულე ქალაქი და მისი მშევნიერი შემოგარენი; არ გამოვტოვე ჩაქის საიმპერატორო მამული, სადაც არის ჩაის ვრცელი პლანტაცია, რომელსაც მართავს ჩინელი პიროვნება. ყოველ დილით ვიღებდი მშევნიერ აბაზანებს თბილ ზღვაში. სადამოთი სამხედრო ორკესტრი უკრავდა ბულვარზე. მიუხედავად მკვლელობებისა და ძალადობის ძლიერი განცდისა, მიუხედავად ეჭვისა, რომ ყოველ წუთს შეიძ- ლებოდა ბომბი აფეთქებულიყო, ხალხი მიდი-მოდიოდა და უსმენდა „კარმენის“ და „ტრუბადურის“ მელოდიებს. ესენი იყენენ ჭრელი ჯგუფები ქართველებისა გრძელ „ჩერკესკებში“ (ესაა ერთგვარი სერთუკი შეკრული წელზე, შემცული სამასრე ჯიბეებით) და თავზე „ბაშლიკით“ (=ყაბალახი – გვ.), მუქანიანი სპარსელები მაღალი შავი ფესით, ლურჯმუნდირიანი უანდარმები, ველურად მზერი კაზა- კები, ლამაზი აჭარლები ინდიგოს ფერი (ლურჯი-იისფერი) მჭიდროდ მომჯდარი ტანსაცმლით, მცირე რაოდენობით კაცები და ქალები ევროპულ სამოსში – რუსები ან უცხოელები. ყველა ეს განსხვავე- ბული არსებები გარეგნულად ერთმანეთთან მეგობრულად იყვნენ განწყობილი; დღეს ისინი მზად იყვნენ მშვიდად ესაუბრათ, ხოლო ხვალ ერთმანეთისთვის ყელი გამოეჭრათ.

მცირე კომუნტარები

[1] „ჩერნომორსკი ვესტნიკის“ რედაქტორი იყო შავრაზმელი პალ-მი, რომელიც, დეკანოზ რალცევიჩთან და ნოტარიუს გრიელსკისთან ერთად, ყველანაირად ხელს უშლიდა ქართველი ინტელიგენციის საქმიანობას ბათუმში და აღვივებდა შუღლს ეროვნებებს შორის. სასტიკად ებრძოდა ქართველების გასვლას ქალაქის თვითმმართველობაში. მისი ქმედება მკაცრად დაგმო და ამხილა გრიგოლ ვოლსკიმ.

[2] დოქტორი ვ. არის ცნობილი პოეტი, პუბლიცისტი, ლიტერატურული კრიტიკოსი, მთარგმნელი, ექიმი გრიგოლ იოსების ძე ვოლსკი (1860 ქუთაისი – 1909 თბილისი). ქუთაისის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ სწავლობდა მოსკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე. 80-იანი წლების დამდეგს მონაწილეობდა სტუდენტთა მოძრაობაში და შექმნა ქართველთა სათვისტომო ორგანიზაცია. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ მუშაობდა ბათუმში ჯერ რკინიგზის ექიმად, მერე როგორდის ქარხნის ექიმად. არტურ ლაისტის პირველი ნაცნობი ბათუმში 1895 წელს ყოფნისას იყო გრიგოლ ვოლსკი. მაშინ როცა ბეგები, მოლები თურქოფილობით და ისლამის რეაქციული შეხედულებებით უნერგავდნენ აჭარლებს საქართველოს სხვა კუთხეების მოსახლეობისადმი სიძულვილს, გრიგოლ ვოლსკი დავით კლდიაშვილთან და ივანე მესხთან ერთად იცავდა ადგილობრივი მოსახლეობის ეროვნულ ინტერესებს. იგი დაუდღედად იბრძოდა, რომ ქალაქის თვითმმართველობა არ ჩავარდნოდა ხელში იმათ, ვინც ქართველთა ინტერესებს ფეხსვეშ თელავდა. ქართველებს სურდათ თვითმმართველობის სათვეში მოქცევა, ბათუმის ქართულ ქალაქად ქცევა. ამ ბრძოლის შედეგი იყო ქალაქის თავად ჯერ ლუკა ასათიანის, ხოლო ცოტა მოგვიანებით – ივანე ანდრონიქაშვილის არჩევა, ხოლო გრიგოლ ვოლსკისა – გამგეობის წევრად. 1902 წელს ვოლსკი დაითხოვეს თვითმმართველობიდან; 1905 წელს ისევ თვითმმართველობაშია. 1907 წელს იძულებით გაგცადა ბათუმს და თბილისში სათავადაზნაურო გიმნაზიაში ქართულის მასწავლებლადაა. ბათუმში ის იყო ყველა კულტურული წამოწევების მოთავე, იქნებოდა ეს სკოლების, გიმნაზიის გახსნა, თუ გზების გაყვანა, ბაღების, ბაზრის მოწყობა, ჭაობების ამოშრობა, სადამო-წარმოდგენების მოწყობა. მთელ თავის სიცოცხლეს უკავშირებდა საზოგადოებრივ ინტერესებს, ქვეყნის სამსახურს. აი, როგორ ახასიათებენ მას გამოჩენილი ქართველი მოღვაწეები: „იგი იყო ღრმად ნაკითხი, ცოდნით აღჭურვილი, მშვენიერი მოლაპარაკე, ოხუნჯი, სასიამოვნო მოსაუბრე, გულექოლი, დრმად მგრძნობიარე, ხალისიანი... მებრძოლი ხასიათის, გაბედული, შეუდრეველი“ (დავით კლდიაშვილი); იყო „აზრიანი, ჭკვიანი და კილოიანი მეტყველი“ (იაკობ გოგებაშვილი); „ბათუმში ჩვენი ფარ-ხმალი შენა ხარ“ (გიორგი წერეთელი).

გარდაიცვალა 1909 წელს. დაასაფლავეს თბილისში, ხოლო შემდეგ გადაასვენებს ბათუმში.

[3] ქალაქის თავად ლუგა ასათიანის შემდეგ, ივანოვის თავიდან მოცილების მერე, იყო ივანე ანდრონიკაშვილი, პატრიოტი მოღვაწე. მისი და ვოლსკის მოკვლაც კი იყო გადაწყვეტილი, რაც ამცნო ვინმე ოფიცერმა იოსელიანმა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გ. გელაშვილი, ინგლისელი ჟურნალისტი პენრი ნევინსონი საქართველოს შესახებ (1906), – ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, ტ. 4, ნაწ. II, 2008.

Gia Gelashvili (Tbilisi, Georgia)

Luigi Villari about Batumi in 1905

Summary

Luigi Villari (1876-1959) an Italian historian, traveler and diplomat. Author of number of books including works about Russia, Italian Foreign Policy, Caucasus etc. In summer and autumn 1905 he traveled in Caucasus (Georgia and Armenia). It was the time of the first Russian revolution. In 1906 in London he published his work „Fire and Sward in the Caucasus“.

In the following article there is given the Georgian translation and comments to Luigi Villari's material about Batumi.

He describes everything he saw himself and felt personally – social-economic and political situation, life of the several races, their religion, relations with each other. He speaks about importance of Batumi, about Rothschild oil works, about revolutionary parties. The author describes sights of the town, its boulevard, tea plantation of Chakva etc.

ბიჭიყო დიასამიძე
(ბათუმი, საქართველო)

ბათუმის აღგილი XVIII-XIX საუკანეების რესატის სამხელო-პოლიტიკურ გეზმებში

XV საუკუნის შუა ხანებიდან, ოსმალთა მიერ კონსტანტინეპოლის აღების (1453 წ.) შემდეგ, საქართველო ერთადერთი ქრისტიანული ქვეყანა დარჩა ახლო ადმოსავლეთში ირანელი და ოსმალო დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლაში, რომელთა მიზანს ამიერკავკასიაში გაატონება წარმოადგენდა.

XVIII საუკუნის დასაწყისიდან ამ ბრძოლაში რუსეთიც ჩაება. სამეფო-სამთავროებად დაყოფილი და ირან-ოსმალებთან ბრძოლებში დაუძლურებული საქართველო ერთმორწმუნე რუსეთთან ურთიერთობით გეგმავდა მუსლიმ დამპყრობელთა არა მარტო შეჩერებას, არამედ ადრე დაკარგული მიწების დაბრუნებასაც.

ერეკლე II და სოლომონ I რუსეთზე მხარდაჭერით ცდილობდნენ „გამოხსნა-აღდგომის” გეგმის განხორციელებას. ამ გეგმაში შედიოდა ოსმალთაგან სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიების, კერძოდ, აჭარის და, შესაბამისად, ბათუმის გათავისუფლებაც.

1768-1774 წლების რუსეთ-თურქეთის ომის მსვლელობისას, სოლომონ I-ის მიერ ტოტლებენის რუსულ ძალებთან ერთად ოსმალთაგან შორაპნისა და, ბადდადის, აგრეთვე 1770 წლის აგვისტოში ქუთაისის გათავისუფლების შემდეგ, გათვალისწინებული იყო ბათუმზე ლაშქრობაც, მაგრამ ტოტლებენთან ვერც სოლომონმა ნახა საერთო ენა ერეკლე მეორეს მსგავსად და ლაშქრობა ჩაიშალა [შ. მეგრელიძე, 1963: 14]. არადა, საამისოდ ხელსაყრელი სიტუაცია ბათუმსა და აჭარისწყლის ხეობაში შექმნილი იყო. 1770 წელს აჭარლებს უარი უთქვამთ ასპინძასთან ბრძოლაში მონაწილეობაზე ახალციხის ფაშის მხარეზე, რის გამოც 1774 წელს დამსჯელი რაზმები გაგზავნეს ოსმალებმა აჭარელთა დასასჯელად. ტოტლებენის საქმეთა შესასწავლად რუსეთიდან გამოგზავნილი კაპიტანი იაზიკოვი ცენტრს ატყობინებდა: „აჭარლები, რომლებადაც შევი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროდან გურიასა და თურქეთს შორის მთებში დასახლებული ხალხი იწოდება, ოსმალთა ქვეშევრდომობას მოლიანად განუდგა; როდესაც ახალციხის ფაშა მათ დასაწენარებლად თურქთა ჯარით აჭარაში შევიდა, ამ ხალხმა ფაშა დაამარცხა და აჭარიდან განდევნა [შ. მეგრელიძე, 1963: 15].

მეფე ერეკლე მეორეს მოთხოვნით, 1783 წლის ტრაქტატის ერთ-ერთი მუხლით, რუსეთს ევალებოდა ეზოუნა საქართველოს დაკარგული ტერიტორიების დასაბრუნებლად. ამ მოთხოვნას კანონიერებას ანიჭებდა ისიც, რომ ხელშეკრულების ტექსტში ერეკლე II იწოდება „მეფე ჯართლისა, მეფე კახეთისა, მემკვიდრე მფლობელი სამცხე-საათაბაგოსი [საერთაშორისო სამართლისა, 1949: 32].

1788 წელს, რუსეთ-თურქეთის (1787-1791) ომის მსგლელობისას, ერეკლე მეორე ეკატერინე II-ს სთხოვდა, რომ „საქართველოს შეერთებოდა ახალციხის პროვინცია, ხოლო აჭარა კი იმერეთს, როგორც ძეგლთაგან მისი კუთვნილი.“

1801 წლიდან, როცა აღმოსავლეთ საქართველოში მეფობა გაუქმდა და და რუსული მმართველობა დამყარდა, კიდევ უფრო გაიზარდა რუსეთის ინტერესები საქართველოს შავიზღვისპირეთში. მათ სამხედრო-პოლიტიკურ გეგმებში განსაკუთრებული ადგილი დაიკავა შავიზღვისპირა ნავსადგურებმა, კერძოდ, ბათუმმა. 1804 წ. გენერალი პავლე ციციანოვი საგარეო საქმეთა მინისტრს (ჩორტოროცე) წერდა: ბათუმი და ახალია „უოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე უნდა გვეკუთვნოდეს ჩვენ და ივი ჩვენს ხელში უნდა იყოს“ [შ. მეგრელიძე, 1956: 22]. ასე რომ ბათუმის ოსმალთაგან გათავისუფლების საკითხი დღის წესრიგში იდგა 1806-1812 წლების რუსეთ-თურქეთის ომის წლებშიც. ამ მიზნის განხორციელებისათვის ჩატარდა საზღვაო ფლოტის ოპერაცია, რომელიც ითვალისწინებდა რუსეთის არმიის მიერ ჩოლოქიდან ტრაპიზონამდე ტერიტორიის დაკავებას, მაგრამ 30 ოქტომბერს ფლოტი უშედევოდ დაბრუნდა სევასტოპოლიში.

რუსეთი სხვა გზითაც ცდილობდა ბათუმის ხელში ჩაგდებას. კერძოდ, 1810 წელს გარდაიცვალა ბათუმის მმართველი ქუჩა ბეი შარვაშიძე (აფხაზური შტოს წარმომადგენელი). შემცვლელად მოიაზრებოდა აფხაზეთის მმართველის – სეფერ ალი ბეის უმცროსი მმასოსლან ბეი შარვაშიძე, ოღონდ ქუჩა ბეის ქვრივზე დაქორწინებით. რუსებს სოსლან ბეი შეუთანხმდა ბათუმის ჩაბარებაზე, თუ რუსეთის ფლოტი შევიდოდა ბათუმის უკრეში (შ. მეგრელიძე, 1956, 23), მაგრამ ვიდრე სარდლობა ამას განახორციელებდა, ზავი ბუქარესტში დაიდო ძველ საზღვრებში. რუსების მიერ დაკავებული ფოთი და ახალქალაქი დაუბრუნდა თურქებს.

ასე რომ, საზავო მოლაპარაკებისას ბათუმის საკითხი საერთოდ არც დასმულა.

პრაქტიკული ნაბიჯები ბათუმის ოსმალთაგან გასათავისუფლებლად 1828-1829 წლების რუსეთ-თურქეთის ომის წლებში გადაიდგა. ომის დაწყებამდე მოისინჯა ახალციხის ფაშისა და აჭარის მმართველის – ახმედ ფაშა ხიმშიაშვილის პოზიციაც, რომელიც მზად იყო სამხრეთ საქართველოს ცალკე გამოყოფისათვის რუსეთთან ეთანამშრომლა, თუ შემდეგ რუსეთი მას დაამტკიცებდა გუბერნატორად, სამემკვიდრეოდ აქცევდა ამ თანამდებობას, მისცემდა მას გენერლის ჩინს და არ შეეხებოდა აქაურთა რელიგიას. რუსეთისათვის ეს პირო-

ბები ომის დასაწყისში, როცა ჯერ კიდევ გაურკვეველი სიტუაცია იყო, მისაღები ჩანდა და გენერალი ბებუთოვი აგრძელებდა მოლაპარაკებას ხიმშიაშვილთან, მაგრამ შემდეგ, ამ უკანასკნელის (ახმედ ფაშა) მერყევება პოზიციამ, ომში რუსეთის წარმატებებმა და ბებუთოვის ადგილზე დანიშნული გენერლის თსტენ-საკენის პროვოკაციულმა ლაშქრობამ აჭარაში (1929 წ. აგვისტო) და მოსახლეობის აკლებამ, ახმედ ფაშას საბოლოოდ აბრუნებინა პირი თსმალებისაკენ. საზავო მოლაპარაკებისას ბათუმზე საერთოდ არაფერი თქმულა, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ 1828 წლის 26 ივლისს კავკასიის კორპუსის უფროსი პასკევიჩი საგარეო საქმეთა მინისტრს წერდა, რომ „იხმარეთ თქვენი გავლენა, რომ საზაო ხელშეკრულების დადგებისას, თუნდაც ახალციხის ერთი საფაშო თავის საზღვრებში და თურქეთის საქართველოს ერთი ნაწილი ქალაქ ბათუმით შემოუკროდეს რუსეთს,“ ხოლო ნიკოლოზ პირველის წინადაღება ყოფილა, რომ თურქეთის მიერ გადასახადი კონტრიბუციის ნაწილი შეეცვალათ ტერიტორიული დათმობით აზიაში. „ბათუმი და ყარსი, – უთქვამს მეფეს, – დირს იმად, რომ მათთვის გავწიროთ რაძღვიმებულითი” (Потто В., 1908: 43].

აჭარისა და ბათუმის გათავისუფლების საკითხი აქტიურად იყო დასმული 1853-1856 წლების ყირიმის ომის დროსაც. ითვალისწინებდა რა ბათუმის გეოგრაფიულ მდებარეობას, კავკასიის მეფისნაცვალი კორონცოვი თვლიდა, რომ ბათუმის ასაღებად საჭირო იყო შეტევა ზღვიდან და ხმელეთიდან ერთდროულად. ადგილობრივი მოსახლეობის პოზიციის შესახებ კი წერდა, რომ „აჭარლები და უმეტესი ნაწილი ზღვისპირას მოსახლე მცხოვრებლებისა, ომის შემთხვევაში, ჩვენ გვეყოლება წინამდგომლებად და გვთავაზოდები ჩვენს ავანგარდში სამსახურს,“ [შ. მეგრელიძე, 1963: 95].

მართალია, ომი 1853 წლის 14 ივლისს დაიწყო ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, მაგრამ აქტიური მოქმედებები გვიან განხორციელდა და პირველი შეტაკებაც მტერთან არა ბალკანეთში, არამედ სოფელ შეკვეთილთან მოხდა 1853 წლის ნოემბრის შუა რიცხვებში. რუს-ქართველთა მამაცობის მიუხედავად, ოსმალთა სიმრავლემ თავისი გაიტანა. სამაგიეროდ, 14 ნოემბერს გენერალმა ადრონიკოვმა თურქების დიდი ჯარი გაანადგურა ახალციხესთან, ხოლო 19 ნოემბერს გენ. ბებუთოვმა თურქთა 35 ათასიანი კორპუსი დაამარცხა ბაშკი-დიკლარატან. ერთი დღით ადრე ადმირალმა ნახამოვმა სინოპთან სასტიკად გაანადგურა თურქთა ფლოტი. ასე რომ 1853 წლის შემოდგომა წარმატებული გამოიდგა რუსეთისათვის. ნიკოლოზ I საჭიროდ თვლიდა ბათუმის, ყარსისა, ერზრუმის და არტაანის მიმართულებით შეტევას, მაგრამ მეფისნაცვალი კორონცოვი საამისო ძალებს არ ფლობდა და საბრძოლო მოქმედების 1854 წლის ზაფხულისათვის გადატანა მოითხოვა.

რუსეთის სარდლობამ კვლავ გაიმეორა 25 წლის წინანდელი შეცდომა, როცა გენერალი თსტენ-საკენი გაგზავნა მთიან აჭარაში

იქაური მოსახლეობის დასასჯელად. ამჯერადაც, რუსეთის სარდლობამ, დააბრალა რა აჭარის მოსახლეობას 1853-54 წლების ზამთარში თურქთა მიერ აჭარის მხრიდან ცალკეული თავდასხმების ორგანიზაცია და მასში მონაწილეობა, გენერალ-ლეიტენანტ კოვალევსკის დაავალა მათი დასჯა. 30 მაისს, შტაბის უფროსმა ციმერმანმა გადაწვა ზედა და ქვედა თხილვანა, პოლკოვნიკმა დავიდოვმა სოფ. მუმსუ (მთისუბანი), კოვალევსკიმ – სოფ. ბაკო. ასევე გადაწვეს ფოცხვის სასაზღვრო სოფლებიც. ამან, რა თქმა უნდა, მოსახლეობის უგმაყოფილება გამოიწვია. 1855 წლის ზაფხულში რუსეთის არმიისათვის მთავარი ყარსის აღება იყო. წარმატებულად მოქმედებდა გურიის რაზმიც. მან 24 მაისს ქობულეთი დაიკავა. 1855 წ. ნოემბერში ყარსის ოსმალმა დამცველებმა იარაღი დაყარეს. ახლა შეიძლებოდა შეტევის განხორციელება ბათუმის მიმართულებით, მაგრამ მალე ზავი დაიდო. მართალია, ეს ომი რუსეთის მარცხით დასრულდა, მაგრამ კავკასიის ფრონტზე მიღწეულმა გამარჯვებებმა ხელი შეუწყო რუსეთს პარიზის საზავო მოლაპარაკებისას, რომ აქ საზღვრები უცვლელი დარჩენილიყო. თურქებს დაუბრუნდათ რუსთა მიერ დაკავებული ტერიტორიები, მათ შორის ქობულეთის სანჯავიც. პარიზის საზავო ხელშეკრულების 30-ე მუხლით დადგინდა რუსეთიურქეთის საზღვარიც – მდ. ჩოლოქზე.

ასე რომ, მიუხედავად დიდი სურვილისა, ყირიმის ომშიც ვერ გადაწყდა ბათუმის გათავისუფლება-დაბრუნების საკითხი.

ყირიმის ომში რუსეთის დამარცხებამ აშკარა გახადა ახალი ომისათვის მზადების აუცილებლობა. საამისოდ ორივე მხარე თადარიგს იქრდა, როგორც სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით, ასევე აღგილობრივი მოსახლეობის მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად. რუსეთის მხრივ, ამ მიზანს ისახავდა „ოსმალოს საქართველოში” ცნობილი ქართველი მოდგაწების მოგზაურობა 1877-78 წლების ომის წინ (ივ. კარესელიძე, დ. ბაქრაზე, გ. ყაზბეგი...). მზადდებოდა საზოგადოებრივი აზრი თანამემამულეთა ოსმალთაგან გათავისუფლებაში აქტიური მონაწილეობის მისაღებად. ეს პროცესი 1876 წელს დაიწყო და ომის დაწყებისას შექმნილი იყო 12 სამხედრო შენაგრო 10000 კაცის რაოდენობით (მილიციის ჯარის სახით). სულ ომში მონაწილეობა რაოდენობა 30 000-ს აჭარბებდა [შ. მეგრელიძე, 1956: 51].

ომი დაიწყო 1877 წლის 22 აპრილს და იგი ორ ფრონტზე მიმდინარეობდა: ბალკანეთსა და კავკასიაში. კავკასიის ფრონტს, რომელსაც რუსეთის სარდლობა მეორე ხარისხოვნ როლს აკისრებდა, აჭარა-გურიის მთები ბრძოლის ორ ასპარეზად ჰყოფდა: სამხრეთის, სადაც ლორის მელიქოვის კორპუსი (50 000 კაცი) იბრძოდა და რიონისპირეთ-ოზურგეთის, სადაც ოკლობურის 25 000 კაციანი ჯარი ახორციელებდა შეტევას (შემდეგ ქობულეთის რაზმი). რუსულ სამხედრო ნაწილებთან ერთად იბრძოდნენ ქართველ მილიციელთა ნაწილებიც (სახალხო ლაშქარი).

რუსეთის არმიის წარმატებებმა ბალკანეთში და კავკასიის სამხრეთ ასპარეზზე (ყარსი, არტაანი, არზრუმი), აღგილობრივი მოსახლეობის მხარდაჭერამ და შერიფ ხიმშიაშვილის (ზემო აჭარის მმართველი) ეროვნულმა პოზიციამ, ბევრად განსაზღვრა აჭარისა და ქ. ბათუმის ბევრი. რადგან ომის დამთავრების დროსაც ქობულეთის რაზმის ჯარები კვლავ ციხისძირთან იდგნენ, ბათუმის გათავისუფლება იარაღით არ მოხერხდა. ამიტომ იყო, რომ მიუხედავად სანსტეფანოს 1878 წლის 3 მარტის ხელშეკრულებით რუსეთზე სამხრეთ-საქართველოს და დასავლეთ სომხეთის ტერიტორიების (ქალაქები – არტაანი, ყარსი, ბათუმი) მიკუთვნებისა, თურქეთი, ევროპის კონგრესის გადაწყვეტილების მიღებამდე, არ ათავისუფლებდა ბათუმს.

საქმე იმაშია, რომ ევროპის ქვეყნები (ინგლისი, საფრანგეთი, ავსტრია, იტალია, გერმანია) შეაშფოთა რუსეთის წარმატებებმა ომში და მიაღწიეს იმას, რომ ზავის პირობები მაღაში შესულიყო ევროპის კონგრესზე განხილვის შემდეგ. ინგლისის მინისტრთა საბჭოს სხდომაზე ნათქვამი – „ინგლისს არ შეუძლია დაუშვას ცალმხრივი ხელშეკრულების დადგება რუსეთსა და ოსმალეთს შორის“ – მიღწეული იქნა. აშკარა იყო, რომ რუსეთი ან დათმობებზე უნდა წასულიყო, ან ჩაბმულიყო ახალ ომში კოალიციურ ძალებთან. იგი მზად იყო რიგ დათმობებზე წასულიყო ახალი ომის თავიდან ასაცილებლად (1878 წ. მაისში ინგლის-რუსეთის საიდუმლო მოლაპარაკება).

ასეთ პირობებში 1878 წლის ივნისში ბერლინში შეიქრიბა ევროპის სახელმწიფოთა კონგრესი.

კონგრესზე გამოიკვეთა ბათუმის განსაკუთრებული მნიშვნელობა ამ ომში. სოლბერი (ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრი) აცხადებდა: „ინგლისი უკანასკნელ პირობად რუსეთს განუცხადებს, რომ მან უარი სოჭას ბათუმზე“ [Батумъ и его окрестности..., 1906: 92]. რუსეთის წარმომადგენელს დავალებული პქნოდა, თუ ოსმალები უარს იტყოდნენ ბათუმის ნებაყოფილებით დაცლაზე, განცხადებინა: „კონგრესის უკელა დადგენილებას რუსეთი სისრულეში მაშინ მოიყვანდა, როდესაც სულთანი ბათუმს რუსეთს გადასცემდა [შ. მეგრელიძე, 1963: 158].

მართლაც, ბათუმის საკითხმა კონგრესზე მწვავე დისკუსია და შეხელა-შემოხლა გამოიწვია და იგი დასრულდა იმით, რომ ინგლისის მთავრობის მეთაურის – ბიკონსფილდის მოთხოვნით, ბათუმი გადაეცა რუსეთს პორტ-ფრანკოს, ანუ საერთაშორისო ვაჭრობის ქალაქის სტატუსით, ხოლო ოსმალეთს დაუბრუნდა ვალაშკერტი და ბაიაზეთი.

ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილებით თურქეთმა დაიბრუნა ომის დროს რუსეთის მიერ დაკავებული ქართველებითა და სომხებით დასახლებული ტერიტორიის თითქმის ნახევარზე მეტი. მართლია, კონგრესის გადაწყვეტილებით 3 წლის განმავლობაში ნება ეძლეოდათ მცხოვრებლებს (ქრისტიანებს, მუსლიმებს) სურვილისამებრ აერჩიათ, სად სურდათ ცხოვრება: ოსმალეთის თუ რუსეთის ტერი-

ტორიაზე, მაგრამ სინამდვილეში ოსმალეთი ამის საშუალებას არ აძლევდა ქართველებს.

კონგრესის შემდეგ კარგა ხანს გაჭიანურდა გადაწყვეტილებათა პრაქტიკული შესრულება. რუს-ქართველთა ჯარი ბათუმში მხოლოდ 1878 წლის 25 აგვისტოს შევიდა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. დ. ბაქრაძე, არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, ბათ., 1987.
2. ო. გოგოლიშვილი, ბერლინის კონგრესი, „საისტორიო მაცნე,” ტ. XIV, ბათ., 2005.
3. მ. დუმბაძე, დასავლეთი საქართველო XIX ს. პირველ ნახევარში, თბ., 1957.
4. 6. ზოიძე, რუსეთ-თურქეთის 1877-78 წლების ომი და საქართველო, „საისტორიო მაცნე,” XII, ბათ., 2008.
5. შ. მეგრელიძე, აჭარის გათავისუფლება თურქთა ბატონობისაგან, ბათ., 1956.
6. შ. მეგრელიძე, სამხეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან, ბათ., 1963.
7. შ. მეგრელიძე, საქართველო აღმოსავლეთის ომებში, თბ., 1974.
8. საერთაშორისო სამართლის და საერთაშორისო ურთიერთობის დოკუმენტები, შეადგინა და კომენტარები დაურთო დ. ენექიძემ, თბ., 1949.
9. ბათუმъ и его окрестности, к 25-летию присоединения гор.Батуми к Российской империи, Бат., 1906.
10. Потто В., Утверждение русского владычества на Кавказе, т. IV, часть II, Тиф., 1908.

Bichiko Diasamidze (Batumi, Georgia)

Batumi in XVIII-XIX Military plans of Russia

Summary

besides Iran and Ottoman Empire Russia got involved in struggles for supremacy over Transcaucasia in XVIII century. Russia was especially interested in Georgian Black Sea ports, particularly in easily accessible and deep harbour of Batumi. Therefore Russia's plan in all wars (in total 6) between Russia and Turkey in the second half of XVIII century, was emancipation of Batumi, but due to different reasons the aim was achieved only after war that took place in 1877-1878 between Russia and Turkey.

რევაზ უზუნაძე
(ბათუმი, საქართველო)

თანამედროვე ბათუმის საქალაპო ფასახლების ფორმირება-განვითარების პირველი ნაბიჯები

(XIX ს. დამდეგი - 70-იანი წლები)

ადრეული ბათუმი მდებარეობდა მდ. კოროლისწყლის შესართავთან [ს. ყაუხებიშვილი, 1950-1951: 17-23; ა. კახიძე, დ. ხახუტაიშვილი, 1989; ა. კახიძე, 2007: 247-249; თ. ყაუხებიშვილი, 1987: 109-116; ა. ინაიშვილი, 1966: 69-75; ვლ. სიჭინავა, 1962: 79-85; ჯ. ჩხეიძე, 1959: 3-15; რ. უზუნაძე, 2008: №№ 13-14, 15-16]. იგი წარმოადგენდა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის მნიშვნელოვან საზღვაო-სავაჭრო პუნქტს, რომელიც ფუნქციონირებდა დაახლოებით XVIII საუკუნის ბოლომდე. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, „ბათომი მცირე ქალაქი“ იყო, რომელსაც კარგი „ციხეეც ჰქონდა“ [ქართლის ცხოვრება, 1973: 176].

XVIII საუკუნეში იწყება საქალაქო ცენტრის თანდათანობით გადანაცვლება სამხრეთით, ბათუმის კონცხის მიმართულებით და მთავრდება XIX ს-ის 60-იან წლებში. აღნიშნული პროცესი დაკავშირებულია ბათუმის ყურის მოხერხებულ სანაცვალდურო პირობებთან. თსმალური გემები სწორედ აქ უშვებდნენ დუხას [კოლფოგლი ი., 1905: 41]. ყურეს გარშემო გამლილი ვრცელი დაბლობი შესაძლებლობას იძლეოდა ახალი საქალაქო დასახლების გასაშენებლად.

XIX საუკუნის დამდეგისათვის უკვე ძირითადად დამთავრებული ჩანს საქალაქო ცენტრის ზღვისპირა ყურესთან გადანაცვლების პროცესი, მაგრამ ბათუმის ციხე XIX საუკუნის 10-იან წლებამდე ჯერ კიდევ ფუნქციონირებდა.

აღნიშნული პერიოდის ბათუმის შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის ფრანგი მოგზაური ადრიან დიუპრე. მან ბათუმი მოინახულა 1807 წელს. იგი ბათუმს ახასიათებს, როგორც მოზრდილ ზღვისპირა დასახლებას, 2000-მდე მცხოვრებით. მოგზაური ბათუმის შესახებ წერდა: „აქა-იქ მიმოფანტული სახლებით იგი უფრო ვრცელ სოფელს წააგავს, ვიდრე ქალაქს. ბათუმი გაშენებულია ზღვის სანაპიროზე. რეიდი დაცული არ არის სიმაგრეებით. ბაზარში ორმოცდაათიოდე უხეირო დუქანია, სადაც იაფვასიანი საქონლით ვაჭრობენ. აქ შემოსულ პატარა და დიდი ზომის ხომალდებს ძირითადად შემოაქვთ რკინა, მარილი, საპონი და ქსოვილი“ [ქ. ფ. გამბა, 1987: 262-263].

აღნიშნული ცნობიდან ჩანს, რომ ბათუმში უკვე იგრძნობა საქალაქო ცხოვრებისათვის დამახასიათებელი პირველი ნიშნები – მოქმედებს ბაზარი, დუქნები, წარმოებს აღებ-მიცემობა, გემებით შემოაქვთ

და გააქვთ სხვადასხვა საქონელი. ქალაქს პყავდა კომენდანტი. იგი ემორჩილებოდა ახალციხის ფაშას.

ამ პერიოდის ქალაქი გაშენებული ყოფილა მდ. ბარცხანის სამხრეთით, დაახლ. ყოფილ ხის დამამუშავებელ კომბინატისა და საზღვაო ბანკს შორის მდებარე ტერიტორიაზე [რ. უზუნაძე, 1997: 9].

ბათუმის ახალი უბნების გაშენების მიზნით 1807 წ. ოსმალეთის ხელისუფლებამ ნება დართო თურქ და ბერძენ ემიგრანტებს, 1866 წლიდან კი აფხაზ მუჭაჯირებს, ქალაქის ტერიტორიაზე არენდით აედოთ მიწის ნაკვეთები [Кольфоглу И., 1905: 46; Анисимов С., 1911: 17].

20-იან წლებში წინ წასული ჩანს ბათუმში საქალაქო ცხოვრების განვითარების პროცესი. გერმანელი მეცნიერისა და მოგზაურის პ. კოხის დახასიათებით ბათუმი (ჩამოსული 1836 წ. მაისში) წარმოადგენდა საკმაოდ დიდ და სტუმართმოყვარე ქალაქს, სადაც „სიცოცხლე ჩქეფდა და ქალაქში ჭრელი ხალხი ირეოდა“ [პ. კოხი..., 1981: 194]. პ. კოხის მოგზაურობა დამთხვევია ბათუმში გამართულ ბაზრობას, რომელსაც, მისი თქმით, ახლო და შორეულ ადგილებიდან დიდალი ხალხი მოეზიდა. მათ შორის ჭარბობდნენ საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან სავაჭროდ ჩამოსული ქართველი მოსახლეობა. „ისინი ერთი წარმოშობისა იყვნენ და ერთ დიდ ხალხს, სახელდობრ, ქართველებს ეკუთვნიდნენ“, – წერდა იგი [პ. კოხი..., 1981: 184]. როგორც ჩანს, მიუხედავად ოსმალთა ბატონობისა, ამ პერიოდში საქართველოს რეგიონებსა და ბათუმს შორის არსებობდა საქმაოდ ახლო ურთიერთობა.

30-იანი წლების ბოლოს ქალაქის დასახლება წაწეულია ყურეს სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით. იგი დაახლ. მოიცავდა გოგებაშვილის ქუჩის ტერიტორიას „თევზის ბაზრის“ სამხრეთით ხულოს ქუჩამდე, მაიაკოვსკის, წერთლისა და ჯორჯიაშვილის ქუჩების გაყოლებით [რ. უზუნაძე, 1997: 15]. რესი რფიცრის, პოლკოვნიკი ი. პოლსკურიაკოვის ცნობით (1842 წ. იმყოფებოდა ბათუმში სამხედრო მისიონ), ყურეს სანაპირო დაბლობზე გაშლილი იყო ქალაქის მშენებლობა [Прокуряков Я., 1905: 3].

ბათუმი წარმოადგენდა ამავე სახელწოდების სანჯაყის ცენტრს. ყურეს დასავლეთ ნაწილში ყოფილა ბაზარი რამდენიმე დუქნით, ბათუმის სანჯაყის უფროსის (სანჯაყბეგის) რეზიდენცია, ინგლისის კონსულის სახლი [GVARRACINO F., 1845: 296], მეჩეთი და სხვა. მითითებული მეჩეთი იყო ახმედ-ფაშას ჯამე, რომელიც მდებარეობდა მოქმედი ორთაჯამეს ადგილას. 30-იანი წლების დამდეგს იგი აუგია ახმედ-ფაშა ხიმშიაშვილს. ამის შესახებ საინტერესო ცნობას გვაწვდის ი. კალფოლლუ. იგი, შესაბამის ცნობებზე დაყრდნობით, მიუთითებს, რომ გარკვეულ პერიოდში ლაზისტანის მუთასარიფის მოადგილის – „მუსელიმის“ თანამდებობა ეკავა ახმედ-ფაშა ხიმშიაშვილს, რომელიც იჯდა ბათუმში. თავდაპირველად მისი სახლი მდებარეობდა ბათუმგორაზე. შემდეგ ახმედ-ფაშას თავისი რეზიდენცია გადაუტანია ყურეს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. ამ მიზნით მან ააშენა

ახმედიეს მეჩეთი, ე.ი. მეჩეთი ახმედ-ფაშას პატივსაცემად. ამის შემდეგ მოსახლეობამაც თავი მოიყარა ამ მეჩეთის გარშემო [Кольфоглу И., 1905: 41].

ამ პერიოდის ქალაქი ითვლიდა 300-ზე მეტ სახლს და ორივე სქესის 2000-მდე მცხოვრებს. მოსახლეობის ძირითად ნაწილს შეადგენდნენ ქართველები.

ბათუმში საქალაქო ცხოვრების განვითარება შედარებით ინტენსიურ ხასიათს დებულობს XIX საუკუნის 60-იან წლებიდან. აღნიშნულ პროცესს ბიძგი მისცა ნაოსნობის გამოცოცხლებამ, რაც განაპირობა ბათუმის უაღრესად მოხერხებულმა ბუნებრივმა სანაცხადგურო პირობებმა. ინგლისური გაზეთი „დეილი ნიუსი“ 1878 წელს წერდა: „ბათუმის ნაგვადგური ერთადერთი უსაფრთხო ნავსაყედელია შავი ზღვის მოელ სამხრეთ და აღმოსავლეთ სანაპიროზე ყირიმამდე. აქ წყალი იმდენად ღრმაა, რომ ყველა დიდ გემს შეუძლია ჩაუშვას დუზანის ახლოს“.

თავისი მოხერხებული სანაცხადგურო პირობების გამო, ფოთსა და სხვა საზღვაო პუნქტებში დიდ რეიდზე დგომას, გემები ამჯობინებდნენ ბათუმის უსაფრთხო ნავსადგურში შესვლას. გახშირდა გემების მიმოსვლა ბათუმში. თუ ადრე აქ მხოლოდ თურქეთის გემები შემოდიოდნენ, უკვე 60-იანი წლებიდან სისტემატურად შემოდიან ნაოსნობისა და ვაჭრობის რუსული საზოგადოების, ინგლისის, ნორვეგიის, ავსტრიის, საბერძნეთის, საფრანგეთის, იტალიის და სხვა ქვეყნების სავაჭრო გემები. 1859 წელს ბათუმის პორტში გემთბრუნვამ 2100 ერთეულს გადააჭარბა.

ყირიმის ომის შემდეგ ბათუმის გზით მნიშვნელოვნად იზრდება გემების მიმოსვლა, ტვირთბრუნვა. შესაბამისად, იზრდება აქედან დასავლეთის ქვეყნებსა და შავიზღვისპირეთის აღმოსავლეთ რაიონებს შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა. ბათუმის ნავსადგურით განსაკუთრებით ინტენსიური ხდება ამიერკავკასიის საგარეო ვაჭრობა. ვინაიდან დიდი საზღვაო გემები დიდ რეიდის გამო ერიდებოდნენ ფოთის ნაგვადგურში შესვლას, აქედან პატარა გემებით ხდებოდა ტვირთის გადმოტანა ბათუმში. აქ კი დიდ გემებზე ტვირთავდნენ. „ამავე გზით მიდიოდა საქონელი ამიერკავკასიაში“.

იზრდება ბათუმის გზით საქართველოსა და შესაბამისად ამიერკავკასიის საქონლის ტვირთბრუნვა. 60-იან წლების ბოლოსათვის მან შეადგინა შავი ზღვის პორტებით ამიერკავკასიის ტვირთბრუნვის 41% [რ. უზუნაძე, 2002: 51-66]. ნ. ნიკოლაძის თქმით, ბათუმი გახდა ამიერკავკასიის სავაჭრო საქონლის უმთავრესი საწყობი [ნ. ნიკოლაძე, 1966: 385].

ბათუმის საქალაქო ცხოვრების ფორმირება-განვითარების მნიშვნელოვან მონაკვეთს წარმოადგენდა XIX ს-ის 60-70-იანი წლები. სანაოსნო და სავაჭრო კავშირ-ურთიერთობის ზრდამ ბიძგი მისცა ბათუმში საქალაქო ცხოვრების გამოცოცხლებას. „ბათუმში ყოველდღე სულ უფრო იგრძნობა გამოცოცხლება და ზრდა, როგორც მოსახ-

ლეობის, ისე ვაჭრობის მხრივ“, – წერდა იტალიის კონსული ბათუმში მალმუზი [მალმუზ გ., 1874-1875: 35].

არსებული ვითარებიდან გამომდინარე, ოსმალეთის ხელისუფლება მეტ დაინტერესებას და ყურადღებას იჩენს ბათუმის მიმართ. მიმდინარეობს ქალაქის ცენტრის გადანაცვლება ყურეს დასავლეთ ნაწილში და უშუალოდ ბათუმის კონცხზე საქალაქო დასახლების გაშენება. ამ მხრივ საინტერესო ცნობას შეიცვას სულთან აბდულ აზიზის (1861-1876 წ.წ.) მიერ 1863 წელს გაცემული ფირმანი. მასში ვკითხულობთ: „ტრაპიზონის ვილაიეთის ვალიმ (გუბერნატორი – რ.უ.), ვეზირმა ესედ მეშვე ემინ მეხლის ფაშამ, თავის მოხსენებაში დასვა საკითხი ბათუმის ნავსადგურის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში ახალი ქალაქის აშენების შესახებ, რომელიც იქნებოდა ლაზისტანის საფაშოს ცენტრი.“ „ახალი ქალაქის“ გასაშენებლად აღნიშნულ ტერიტორიაზე გამოიყო 60 ათასი კვადრატული არშინი (დაახლოებით 42 ჰექტარი) ნაკვეთი, „რომელიც გეომეტრიის წესის მიხედვით, ყველა მიმართულებით ქუჩების გაყვანით დაიყოს ნაწილებად (უბნებად). სიგანე ქუჩების 12 არშინი უნდა იყოს და ამ ნაკვეთის შუა ნაწილში მოხერხებულ ადგილას აშენდეს მეჩეთი“ [ა. ავალიანი, 1960: 98]. ფაქტობრივად, ეს იყო დაგეგმარების წესით (ქუჩებით, კვარტალებით) ქალაქის განაშენიანების პირველი მცდელობა. შემდგომში ბათუმის ქალაქებებით პროექტებს ძირითადად აღნიშნული გეგმა დაედო საფუძვლად.

ბათუმის კონცხის ტერიტორიის ათვისებისა და დასახლების გაშენების მიზნით დაინტერესებულ კერძო პირებს შედავათით ეძლეოდათ მიწის ნაკვეთები. ამის თაობაზე სულთანი ბრძანებდა: „ეს მიწა გამოეყოს კერძო პირებს შემდეგი პირობით: მათ ყოველწლიურად ხაზინას უნდა გადაუხადონ ას კვადრატულ არშინ (1 ა = 71 სმ) მიწაზე ერთი ბეშლიყი მეჯიდიე (1 მეჯიდიე = 5.67 რუბლს), რათა კერძო პირებმა შეძლონ მიწებით სარგებლობა და სრული საკუთრების უფლებით ფლობდნენ საკუთარი სახსრებით აშენებულ ყოველგვარ შენობას“ [ა. ავალიანი, 1960: 98-99].

ქალაქის ცენტრის ჩრდილო-დასავლეთით გადანაცვლების პროცესი ძირითადად დამთავრებული ჩანს 60-იანი წლების ბოლოსათვის. ჯ. პალეოგის 1867-1868 წლების ცნობით, ქალაქი მდებარეობდა ყურეს დასავლეთ ნაწილში [Палльгрев В.Дж., 1882 : 46]. ყურეს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში 1868 წელს აშენდა ქვის მეჩეთი, რომელიც ისტორიაში ცნობილია აზიზიეს ჯამეს სახელწოდებით. მდებარეობდა გოგებაშვილის ქუჩაზე, ყოფილ ტექნიკის სახლის მიდამოებში [რ. უზუნაძე, 1977: 33]. შემდეგ მეჩეთის მიმდებარე საკმაოდ ვრცელ ტერიტორიასაც ეწოდა აზიზიეს უბანი. იგი იმ დროს ყველაზე უფრო ცენტრალური ადგილი ყოფილა ბათუმში.

საგაჭრო ეკონომიკური ურთიერთობის განვითარების კვალობაზე ბათუმში გაიხსნა საკონსულოები. 1856 წელს გაიხსნა რუსეთის საკონსულო. ვიცე-კონსულად დაინიშნა პეტერე ნიკოლოზის-ძე ჯუდიში.

შემდეგ გაიხსნა სპარსეთისა და იტალიის საკონსულოები. 1862 წელს გაიხსნა საფრანგეთის საკონსულო. ბათუმში გაიხსნა აგრეთვე სავაჭრო და სანაოსნო საზოგადოებათა სააგენტოები, საბაჟო, საკარანტინო სახლი. მოქმედებდა სატელეგრაფო სადგური, ფოსტა. შესაბამისად, იზრდებოდა ქალაქის მოსახლეობა. 60-იანი წლების ბოლოსათვის ქალაქის მოსახლეობა უდრიდა 4970 კაცს [რ. უზუნაძე, 1997: 35]. ბათუმში ცხოვრობდნენ ქართველები, აგრეთვე აფხაზები, ჩერქეზები, ბერძნები, სომხები, ოურქები. 1875 წლისათვის ბათუმის მოსახლეობა შეადგენდა 8730 სულს [გაზ. „დროება“, 1875: №145].

შესაბამისად, იზრდება ქალაქი. 70-იანი წლებისათვის ქალაქის საზღვრები აღწევდა ნურის („ნური გიოლ“) ტბამდე, მაგრამ ძირითადად ტერიტორია დასახლებული იყო ნაგსადგურის ზღვისპირა ზოლიდან მოყოლებული, დაახლოებით, ბარათაშვილის ქუჩის ჩათვლით. იყოფოდა უბნებად: აზიზიეს უბანი, ახმედიეს უბანი, ნურიეს უბანი, მუფტიეს უბანი და სარი-სუს უბანი. ქალაქი შედგებოდა 20-მდე ქუჩისაგან.

60-იანი წლებიდან ბათუმი წარმოადგენდა ლაზისტანის საფაშოს მთავარ ადმინისტრაციულ ცენტრს. აქ განთავსებული იყო მუთასარიფის (გუბერნატორის) რეზიდენცია, მეჯლისი, სასამართლო, ლაზარეთი, ბატალიონის შტაბსადგომი, საბაჟოს სამსართველო და სხვა ადმინისტრაციული დაწესებულება.

ბათუმში დღითი-დღე იზრდებოდა ვაჭრობა. ქალაქი მოფენილი იყო დუქნებით, მაღაზიებით. 1873 წლისათვის ბათუმში ითვლებოდა 800-მდე ღუქანი [დ. ბაქრაძე, 1987: 24]. შეიმჩნევა ქალაქის კეთილმოწყობის ნიშნები.

ამრიგად, თანამედროვე ბათუმის საქალაქო დასახლების ფორმირება-განვითარების პროცესის მნიშვნელოვანი ეტაპია XIX ს. დამდეგი - 70-იანი წლები.

გამოყენებული ლიტერატურა

- დ. ბაქრაძე, არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, ბათ., 1987.
- ქ. ფ. გამბა, მოგზაურობა ამიერკავკასიაში, თბ., 1987.
- „დროება“, 1875, № 145.
- ა. ინაიშვილი, ბათუმის ისტორიისათვის ახალი არქეოლოგიური გათხრების საფუძვლზე, პრ. „კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები“, თბ., 1966.
- ა. კახიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთი ძვ.წ. VI-IV საუკუნეებში, – სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები (აჭარა), ტ. I, ბათ., 2007.
- ა. კახიძე, ხახუტაიშვილი დ., მასალები ბათუმის ძველი ისტორიისათვის (წინანგრიური და ანტიკური ხანა), – სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, ტ. XVIII, თბ., 1989.

7. პ. კოხისა და ო. სპენსერის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთოლ. მამაცაშვილმა, თბ., 1981.
8. ნ. ნიკოლაძე, თბზ., გ. 5, თბ., 1966.
9. ვლ. სიჭინავა, ქათუმის ძელი ისტორიიდან, – ბათუმის პედ. ინსტიტუტის შრომები, გ. 9, ბათ., 1962.
10. რ. უზუნაძე, ბათუმის ისტორიიდან, ბათ., 1997.
11. რ. უზუნაძე, ნაოსხობა ბათუმის თლქში, ბათ., 2002.
12. რ. უზუნაძე, ბათუმის წარსულის ქრონიკები, – გაზ. „თანადგომა“, 2008, №№13-14, 15-16.
13. ს. ყაჯებიშვილი, ანტიკური მასალები ბათუმის ისტორიისათვის, – ქუთაისის პედ. ინსტიტუტის შრომები, გ. X, ქუთ., 1950-1951.
14. თ. ყაჯებიშვილი, ქ. ბათუმის ისტორიის ანტიკური წყაროები, – სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, გ. XVI, თბ., 1987.
15. ჯ. ჩხეიძე, ბათუმი (ისტორიული ნარკვევი), ბათ., 1959.
16. Батумское побережье, под. ред. С.Анисимова, Бат., 1911.
17. GVARRACINO F., Excuvision from Batum to Artvin, Jornal of the Royal Geographical Society of London, Vol XV.
18. Джудич П., Заметки о Батуме, – ИКОИРГО, Т.3, №3, Тиф., 1873.
19. Кальфоглу И., Древнейшие известия о Батуме, – ИКОИРГО, т. XVIII, вып. I, 1906.
20. Мальмуз Г., Состояние города и порта Батуми, август 1873 г., – ИКОИРГО, т. 3, №2, Тиф., 1874-1875.
21. Материалы для описания Азиатской турции и Батумской области, Отчеты В. Джиффорда Пальгрева о провинциях Анатолии за 1867-1868 и 1872 годы, Тиф., 1882.
22. Прокуряков Я., Заметки о Турции, – ЗКОИРГО, кн., XXУ, Тиф., 1905.

Revaz Uzunadze

First Steps towards Formation and Development of Urban Settlements in Modern Batumi (Early 19th c. – 1870es)

summary

The movement of the modern urban Settlement from the estuary of the river Korolistskali towards Batumi cape begins 18th century and ends in 1960es. This process is connected to the favourable harbor conditions of the Batumi bay. In addition, the vast lowland around the bay gave opportunities to develop new urban Settlements.

The 1860-70es is the significant period in the development of urban life in Batumi.

მალხაზ სიონიძე
(ბათუმი, საქართველო)

უცხოთის ქვეყნების საკონსულოები ბათუმში

ბუნებრივად კარგი და ქარიშხელისაგან დაცული ნავსადგურის გამო ბათუმი ჯერ კიდევ ოსმალთა მფლობელობის პერიოდში ჩაერთო აღმოსავლეთ შავიზდვისპირეთის ქალაქებს შორის გემების მომოსვლასა და საგაჭრო ოპერაციებში. ამან ხელი შეუწყო აქ სხვადასხვა ქვეყნის საკონსულოების და წარმომადგენლობების გახსნას. საკონსულოების მთავარი ამოცანა იყო მათი ქვეყნების და მოქალაქეების ინტერესების დაცვა და მისწრავებების განხორციელებაში ხელის შეწყობა.

მე-19 საუკუნის 40-იანი წლებიდან ბათუმში უკვე მოქმედებდა ინგლისის საკონსულო და იჯდა ვიცე-კონსული.

ამავე პერიოდში რუსეთის იმპერიის მაღალ ექილონებშიც გაჩნდა აზრი ბათუმში საკონსულოს გახსნის თაობაზე. 1846 წელს კავკასიის მეფისნაცვალმა ვოროვცოვმა ეს წინადადება დასვა იმპერიის ფინანსთა და საგარეო საქმეთა სამინისტროების წინაშე [Акты, т.10, Тифл., 1885: 183]. საკითხი განხორციელდა მხოლოდ ყირიმის ომის (1853-1856 წწ.) შემდეგ, როცა რუსეთმა ბათუმში დააარსა ჯერ შტატგარეშე ვიცე-საკონსულო, რაც 1858 წლის 1 იანვრიდან გადაკეთდა შტატიან ვიცე-საკონსულოდ [Акты, т.12, Тифл., 1904: 565].

რუსეთის პირველ ვიცე-კონსულად ბათუმში დაინიშნა პეტრე ჯუდიში. მან საკონსულოს შენობა ააგო მაშინდელი ქალაქის განაპირას, რომელსაც ერთი მხრით ზღვა ესაზღვრებოდა, ხოლო მეორე მხრით ტყე. საკონსულოს ორსართულიანი ქვის სახლი მდებარეობდა დღევანდელი მეზღვაურთა სამედიცინო ცენტრის მიდამოებში.

დაახლოებით ამავე დროს ბათუმში გაიხსნა სპარსეთის საკონსულო, ხოლო შემდეგ – იტალიის საკონსულო. მე-19 საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში ბათუმში იტალიის კონსული იყო მალმუზი. ის ამ მოვალეობას ასრულებდა 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომამდე. მალმუზმა საინტერესო ცნობები დაგვიტოვა ოსმალობის პერიოდის ბათუმის შესახებ [მ. სიორიძე, 2003: 40]. მისი ნაშრომის სახელწოდებაა – ”ქალაქ ბათუმის და პორტის მდგომარეობა” [Малмұз Г., 1974-1975].

მე-19 საუკუნის 60-იანი წლებიდან ბათუმში მოქმედებდა საფრანგეთის საკონსულოც. ამ დროს ბათუმის მუთასერიფის (გუბერნატორის) სამსახურში მყოფი ევროპელი ოფიცერი ფრ. ლაიონსი ასახელებს კონსულის ვინაობასაც – სტეიერი. ის ყოფილა ძალზედ პრინციპული პიროვნება და ევროპელების ინტერესების თავგამოდებული დამცველი.

ფრანგი კონსული სტევიერი თურმე სერიოზულად წაჰყიდებია რუსეთის მოახლოებული თავდასხმის და მისი ჯაშუშების მომრავლების პანიკური შიშით შეპყრობილ ბათუმის ოსმალო გუბერნატორს იმის გამო, რომ მას ასევე ეჭვის ნიადაგზე, რუსეთის ჯაშუშობის ბრალდებით, დაუპატიმრებია იტალიელი ვაჭარი. ფრანგი კონსული იმდენად მტკიცე და შემტევი აღმჩნდა, რომ აიძულა ბათუმის მუთასერიფი უსაფუძვლოდ დატუსადგული და სტამბოლში გასასამართლებლად გაგზავნილი იტალიელი ტრაპიზონიდან უკან მოებრუნებინა* [Lyons Fr. A., : 215, 279].

გარდა სხვა სახის ინტერესებისა, ბათუმში საფრანგეთის საკონსულოს დაარსება აგრეთვე გამოუწვევია ფრანგული სანაოსნო საზოგადოების – ”მესაუერ მარიტიმის” გემების ჩართვას ბათუმ-ფოთს შორის ტვირთების გადატანასა და მგზავრების გადაყვანაში, რაც ძალზე შემოსავლიანი ხაზი ყოფილა. მარტო 1867 წელს ამ სანაოსნო საზოგადოების ერთ-ერთ გემს (“რიონი”) ბათუმ-ფოთს შორის გადაუტანია 196 ათასი რუბლის ღირებულების სხვადასხვა სახის ტვირთო. ეს იყო იმ წელს ბათუმის გზით ამიერკავკასიის საქონლის ტვირთორუნვის საერთო ღირებულების (1.5-მილიონამდე რუბლი) 1/7ნაწილი [რ. უზუნაძე, 2001: 53-54].

1872 წლიდან, თბილის-ფოთის რკინიგზის გახსნის შემდეგ, საფრანგეთის საკონსულო ფოთში გადავიდა, მაგრამ ბათუმის საქართველოსთან დაბრუნების შემდეგ, 1878 წლის 31 ოქტომბერს საფრანგეთის მთავრობამ თავისი საკონსულო ფოთიდან ისევ ბათუმში გადმოიტანა [ი. ტაბაძე, 1980: 78].

თავისუფალი ქალაქ-ნავსადგურის სტატუსის მიღებისთანავე ბათუმი მოექცა უცხოეთის კომერსანტთა და გემომცლობელთა უურადღების ცენტრში. ყოველწლიურად მატულობდა საქმიანი უცხოელების მიმოსვლა. მათი, და აქ მოქმედი უცხოური სავაჭრო-სამრეწველო ფირმების ინტერესების დაცვისთვის ბათუმში გაიხსნა არაერთი ქვეყნის საკონსულო და წარმომადგენლობა.

1881 წელს ბათუმში მუშაობდა ოსმალეთის, საფრანგეთის და ინგლისის საკონსულოები [K.K. ჩა 1884: 124], ხოლო 1884-1885 წლებში უკავ 6 ქვეყნის საკონსულო მოქმედებდა: ოსმალეთის, საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის, იტალიის, ავსტრია-უნგრეთის და აშშ-ის. ამავე დროს ფოთში კვლავ 4 ქვეყნის საკონსულოა, ხოლო კაგბასიის სამეფისნაცვლო რეზიდენციაში – ქ.თბილისში – 7 საკონსულო [K.K. ჩა 1885: 126; K.K. ჩა 1886: 120].

პორტ-ფრანგოს მოქმედების პერიოდში ბათუმმა, როგორც მეტად ხელსაყრელმა საერთაშორისო ქალაქ-ნავსადგურმა, იმდენად მაღალი რეპუტაცია შეიძინა, რომ ამ სტატუსის გაუქმებამ მასზე ვეღარ იმოქმედა. პირიქით, 1887 წელს ბათუმში უკავ 10 ქვეყნის საკონსულო მოქმედებდა, ამავე პერიოდში ფოთში – 6, ხოლო თბილისში – 8 ქვეყნის გენერალური საკონსულო და საკონსულო იყო [K.K. ჩა 1888:

226-227].

ზემოაღნიშნული, აგრეთვე, შემდგომი წლების მონაცემები, ადასტურებს, რომ მე-19 საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევრიდან – 1917 წლამდე პერიოდში კავკასიის სამეფოსნაცვლოს ყველაზე მნიშვნელოვანი სანავსადგურო და შიგა სავაჭრო ცენტრებს შორის, ნებისმიერ წელს, ბათუმში იყო ყველაზე მეტი უცხოეთის ქვეყნის საკონსულო წარმომადგენლობა. ამის საილუსტრაციოდ მოვიტან ცხრილს (მ. სიორიძე, 2003: 114).

უცხოეთის სახელმწიფოების საკონსულოები კავკასიის
სამეფოსნაცვლოს მთავარ სანავსადგურო და სავაჭრო-სამრეწველო
ცენტრებში

№	საკონსულოების რაოდენობა წლების მიხედვით ქალაქი	1878	1881	1884	1887	1890	1893	1896	1899	1902	1904	1908	1912	1916
		1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	14
1	თბილისი	6	6	7	8	6	6	7	7	7	9	11	12	6
2	ბაქო	1	1	1	2	3	3	5	6	9	9	12	13	10
3	ბათუმი	-	3	6	10	13	13	13	13	15	14	14	14	12
4	ფოთი	4	5	6	6	6	6	6	6	4	5	5	3	2
5	ნოვოროსიისკი	-	-	-	-	2	3	4	6	7	9	12	12	8
6	ერევანი	-	-	-	-	1	1	1	1	1	1	1	1	1
7	ყარსი**	-	-	-	1	1	1	2	2	2	2	2	6	2

აღსანიშნავია, რომ 1901-1903 წლებში ბათუმში იყო 15 სახელმწიფოს საკონსულო. გთავაზობთ მათ სრულ სიას შესაბამისი სტატუსისა და კონსულთა ვინაობის მითითებით (სანიმუშოდ ვიღებ 1903 წლის მონაცემებს):

1. ოსმალეთის გენერალური კონსული – აბდულ ქერიმ საბითბეი;
2. საბერძნების კონსული – არისტიდ პავლიძესი;
3. იტალიის კონსული – ლორენცო ვალერი;
4. ნიდერლანდების ვიცე-კონსული – ჰენრი ბლეი (მისი საკონსულო უფლებამოსილება გარდა ბათუმისა, ვრცელდებოდა მთელს კავკასიაზე);
5. იაპონიის კონსული – ალ. ვანშეიდტი;
6. სპარსეთის კონსული – მირზა აღა ხანი;
7. დანიის კონსული – ვარნეგე;
8. აშშ-ის ვიცე-კონსული – ჰარი ბრიგსი;
9. ესპანეთის შტატგარეშე ვიცე-კონსული – სადორო;
10. ბელგიის ვიცე-კონსული – დეიბელი;
11. გერმანიის ვიცე-კონსული – ფრიდრიხ ბურგარტი;

12. ავსტრია-უნგრეთის კონსული – სტივენისი;
13. დიდი ბრიტანეთის ვიცე-კონსული – სტივენისი (შეთავსებით) და უუდჰაუზი;

14. შვეცია-ნორვეგიის ვიცე-კონსული – გუსტავ პააგერი;
15. საფრანგეთის საკონსულო აგენტი – დელაკრუა.

წარმოდგენილი მასალა ნათლად გვიჩვენებს, რომ საკონსულოთა მატება-კლება დამოკიდებული იყო მათი მდგბარეობის პუნქტებში კომერციასა და მრეწველობაში შექმნილ ვითარებაზე.

ბათუმში კი, პირველ ეტაზზე საკონსულოების მატება, ხოლო შემდეგ სტაბილური რიცხვის შენარჩუნება უდავოდ არის იმის მოწმობა, რომ ამ ქალაქ-ნავსადგურის პოტენციალი საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში სათანადოდ იყო დაფასებული უცხოეთის სახელმწიფოთა მმართველი წრეების მიერ. ამის საიდუსტრიაციოდ გამოდგება თუნდაც 1916 წელი, როცა პირველი მსოფლიო ომის გამო ჩაკეტილი იყო შავი ზღვის სრუტეები და ბათუმი საგარეო საქონელ-ბრუნვის ოპერაციებს ვედარ აწარმოებდა. უცხოეთის სახელმწიფოების დიდმა ნაწილმა (აშშ-მა, ბელგიამ, დიდმა ბრიტანეთმა, საბერძნეთმა, დანიამ, ესპანეთმა, იტალიამ, ნიდერლანდებმა, ნორვეგიამ, სპარსეთმა, პორტუგალიამ და საფრანგეთმა) ბათუმში მაინც შეინარჩუნა თავისი საკონსულო წარმომადგენლობები.

1918-1920 წლების პერიოდის ბათუმში უცხოეთის ქვეყნების საკონსულოების შესახებ მასალები მეტად მწირია, თუ არ ჩავთვლით გენერალ დენიკინისა და ვრანგელის წარმომადგენლობებს, აგრეთვე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საკონსულოს. ამავე პერიოდში ბათუმში თავისი ქვეყნის ინტერესებისათვის აქტიურად საქმიანობდა აზერბაიჯანის (კონსული მაშუდ ეფენდიევი) და სომხეთის საკონსულოები [აბ. სურგულაძე, მ. სიორიძე, 1996: 75]. სხვა ქვეყნების საკონსულოების ბათუმში საქმიანობის შესახებ ცნობები არ მოგვპოვება.

აღსანიშნავია, რომ უცხოეთის ქვეყნების წარმომადგენლობები, სხვადასხვა გარემოებათა გამო, არაიშვიათად იცვლიდნენ ადგილსამყოფელს. ამის მიუხედავად, შესაძლებელია ძირითად მათგანთა მისამართების დადგენა, რაც ასევე შემდგომი მუშაობის საქმეა.

1920 წლის ივნისში ბათუმი დაუბრუნდა საქართველოს რესპუბლიკას. საარქივო მასალებიდან ჩანს, რომ ბათუმში უკვე მოქმედებს დიდი ბრიტანეთის საკონსულო. ცნობილია კონსულის ვინაობაც – პაბბარდი. ბათუმში ამოქმედებულა ლიტვის დიპლომატიური წარმომადგენლობაც, სადაც კონსულის მოვალეობას ასრულებდა ლეონ ზიკა [სცსსა, ფ. 1891, ან. 1, ს. 416, ფ. 3-4].

საქართველოსა და რუსეთის ბოლშევიკურ მთავრობას შორის 1920 წლის 7 მაისს დადებული ხელშეკრულების საფუძველზე თბილისში გაიხსნა რსფსრ საელჩო, ხოლო ბათუმში – ამავე ქვეყნის საკონსულო. მათ დიდი როლი ითამაშეს საქართველოს პირველი რესპუბლიკის დამხობაში, თუმცა ეს არის ცალკე საუბრის თემა, რაზე-

დაც სხვა დროს შევჩერდებით.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში მიმდინარე რეპრესიებმა საზღვარგარეთიდან საქმიანი ადამიანების და ტურისტთა მიმოსვლა ბათუმში თითქმის ნულამდე დაიყვანა. მაგალითად, 1928 წელს ბათუმის ნავსადგურით შემოვიდა და გავიდა 5250-მდე მგზავრი [აცსა, ფ. 43, ან. 1, ს. 48, ფ. 8], 1935 წელს – 1600, რომელთაგან 560 იყო საზღვაო კრუიზით აქ ერთი დღით შემოსული უცხოელი ტურისტი, 56 – სპარსეთში მიმავალი მგზავრი, 8 – დიპლომატი [სუიცსა, ფ. 617, ან. 1, ს. 7870, ფ. 17]. 1935 წელს ბათუმში შემოსული 2542 მგზავრიდან 1800 უცხოელიდან საცხოვრებლად გადმოსული სომეხი მიგრანტი იყო, ხოლო 1937 წელს ბათუმის ნავსადგურში სულ შემოვიდა და გავიდა მხოლოდ 341 მგზავრი [აცსა, ფ. 43, ან. 1, ს. 65, ფ. 6].

ეს მდგომარეობა თავისებურად აისახებოდა ბათუმში უცხოეთის ქვეყნების საკონსულოებზეც. თუ 1922-1923 წლებისათვის ბათუმში 5 ქვეყნის (სპარსეთის, თურქეთის, ჩეხოსლოვაკიის საკონსულოები, იტალიის და გერმანიის საკონსულო აგენტები) დიპლომატიური წარმომადგენლობა იყო [სუიცსა, ფ. 804, ან. 1, ს. 19, ფ. 246], 1936 წელს აქ მხოლოდ თურქეთის, სპარსეთის და იტალიის საკონსულოები მოქმედებდა.

დღეისათვის ბათუმში მოქმედებს რამდენიმე უცხოური ქვეყნის დიპლომატიური წარმომადგენლობა: თურქეთის რესპუბლიკის გენერალური საკონსულო; უკრაინის საკონსულო სააგენტო (2004 წლიდან); სომხეთის რესპუბლიკის გენერალური საკონსულო (2008 წლიდან).

მოლაპარაკებები მიღის სხვა ქვეყნების საკონსულოთა გახსნის თაობაზეც, რაც კიდევ უფრო მიმზიდველს გახდის ბათუმს უცხოური საფინანსო წრეებისათვის და ხელს შეუწყობს მისი საერთაშორისო მნიშვნელობის შემდგომ ზრდას.

შენიშვნები

* იმ დროს ბათუმსა და სტამბოლს შორის საზღვაო მიმოსვლა ხდებოდა ტრაპიზონის გავლით. ბათუმ-სტამბოლის პირდაპირი საზო შემუშავდა და ამოქმედდა მოგვიანებით.

** ყარსის და არტაანის ოლქები 1918 წლამდე შედიოდა რუსეთის შემადგენლობაში.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

1. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი (სცსსა), ფონდი 1891, ანაწერი 2, საქმე 416.
2. საქართველოს უახლები ისტორიის ცენტრალური არქივი (სუიცსა), ფონდი 617, ანაწერი 1, საქმე 1810.
3. სუიცსა, ფ. 804, ან. 1, ს. 19.
4. აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი (აცსა), ფონდი 43, ანაწერი 1, საქმეები №№ 48; 65.
5. Акты собранные Кавказской Археографической комиссией (Акты), Т. 10, Тифл., 1885; Т.12, Тифл., 1904.
6. Кавказский Календар (К.К.) на 1884, на 1885, на 1886, на 1888 და ა.შ. 1917 წლის „კავკასიის კალენდრის“ ჩათვლით.
7. Lyons Fr. A Illustrated Travels, London-paris-new-york.
8. Мальмиз Г. Состояние города и порта Батуми, август 1873 г. – ИКОИРГО, т. 3, №2, Тифл. 1874-1875.
9. აბ. სურგულაძე, მ. სიორიძე, პორტო-ფრანკო ბათუმში, ბათ., 1996.
10. მ. სიორიძე, ბათუმის საბაჟო, ბათ., 2003.
11. ი. ტაბაღუა, საქართველოში საფრანგეთის კონსულების მოღვაწეობის ისტორიიდან (1821-1921 წწ.), უკრნ. „მაცნე“ (ისტორიის სერია), №№ 1986.
12. რ. უზუნაძე, ნაოსნობა ბათუმის ოლქში (სამხედრო-პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ასპექტები), ბათ., 2001.

Malkhaz Sioridze (Batumi, Georgia)

Foreign Countries Consulates in Batumi

Summary

In 19th century, Batumi joined the international maritime trade. It became a reason of opening the foreign consulates in Batumi.

The consulates of Great Britain, Russia, Iran, Italy, and France were opened in it in 40-60-s of 19th century when the town was controlled by Ottoman.

After giving the status of Porto-Franco – free port to Batumi, town became more attractive for foreign visitors. If in 1884 there were six foreign consulates in Batumi, in 1887 their number reached ten, and in 1901-1913 there were 14-15 consulates in it. It was the highest level among the dominant towns of Caucasus.

During the Soviet Regime, the number of consulates of foreign countries was quickly diminished. After the Second World War, there was the single general consulate of Turkish Republic in Batumi. In 2004 the consulate of the Ukraine and in 2008 the general consulate of Republic of Armenia were opened in Batumi.

ხათუნა ქოქრაშვილი
(თბილისი, საქართველო)

**გიორგი ყაზახი ბათუმის სტრატეგიული
მნიშვნელობის შესახებ**

ეირიშის ომის შემდეგ რუსეთ-ოსმალეთის სამხედრო-პოლიტიკურ დაპირისპირებაში დუნაისპირეთისა და შავი ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროს უზარმაზარი სამხედრო სტრატეგიული დანიშნულება მნიშვნელოვნად დაკნინდა. სამაგიეროდ, ამ ორი იმპერიის ურთიერთჭიდილში, გამოიკვეთა ამიერკავკასიისა და მისი მიმდებარე პროვინციების უზარმაზარი მნიშვნელობა. XIX ს-ის 70-იანი წლების დასაწყისში შექმნილი საერთაშორისო ვითარების ფონზე ცხადი გახდა რუსეთ-ოსმალეთის მორიგი ომის გარდაუვალობა. ამგვარ ვითარებაში ოსმალეთის მიერ დაპყრობილი, ისტორიული სამხედრო-დასავლეთ საქართველოს ტერიტორია რუსეთისათვის მეტად საინტერესო რეგიონად იქცა. 1874 წლის გაზაფხულზე, რუსეთის ხელისუფლების საგანგებო სადაზვერვო მისით, ამ რეგიონში იმოგზაურა ცნობილმა სამხედრო და საზოგადო მოღვაწემ გიორგი ყაზბეგმა. მისი მოგზაურობის შთაბეჭდილებები 1875 წელს რუსულ ენაზე გამოქვეყნდა სახელწოდებით: „სამი თვე თურქეთის საქართველოში“ [გ. ყაზბეგი, 1995]. უფრო მოგვიანებით კი, 1876 წელს, კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის ტიპოგრაფიამ რუსულ ენაზე გამოსცა გიორგი ყაზბეგის, იმუამად გენერალური შტაბის პოდპოლკოვნიკის, მეტად საყურადღებო ნაშრომი – „ლაზისტანის სანჯაყის სამხედრო-სტატისტიკური და სტრატეგიული ნარკევი“ [Военно-статистический..., 1876]. მასში ავტორმა გადმოგვცა ზემოთ ხევნებული მოგზაურობის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის დეტალური ანალიზი და ვითარების სამხედრო-სტრატეგიული შეფასება. წიგნის პირველი ნაწილი ლაზისტანის სანჯაყის სამხედრო-სტატისტიკურ აღწერას შეეხება. ის შეიცავს ინფორმაციას სანჯაყის გეოგრაფიული საზღვრების, ტოპოგრაფიის, კლიმატის, დასახლებული პუნქტების, მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობისა და საქმიანობის, მისი ოსმალეთის მთავრობისადმი დამოკიდებულების, სახელმწიფო გადასახადებისა და სამხედრო ვალდებულებების, შესახებ და სხვა. წევნი ყურადღება, ამჯერად, დაეთმობა ნაშრომის მეორე ნაწილს – „სტრატეგიულ ნარკევს“, რომელშიც უმთავრესი ადგილი ქალაქ ბათუმის სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობის წარმოჩენასა და ანალიზს ეთმობა.

გიორგი ყაზბეგის შესახებ გამოცემულ სამეცნიერო ლიტერატურაში ნ. ნაჭყებია, მ. სვანიძე, რამაზ სურმანიძე, მამია ხაბაზი და სხვები ძალზე საინტერესოდ გადმოსცემენ ამ საზოგადო მოღვაწის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველ მანამადე უცნობ ფაქტებს [გ.

ყაზბეგი, 1995; რ. სურმანიძე, 2006; ნ. ნაჭყებია, 1960; გიორგი ყაზბეგი აჭარის.., 1960]. თუმცა სამეცნიერო ლიტერატურაში ნაკლებად არის ხაზგასმული ის, რომ გიორგი ყაზბეგი ერთ-ერთი პირველთაგანია, რომელმაც XIX ს-ის 70-იან წლებში რეალურად შექმნილი საერთაშორისო, ისტორიულ-პოლიტიკური ვითარების ფონზე, წინ წამოწია, ბათუმის განსაკუთრებული გარემო-პირობებისა და გეოგრაფიული მდებარეობის გამო, ამ ქალაქის მზარდი სამხედრო-სტრატეგიული და პოლიტიკური მნიშვნელობა. ჩვენი ნაშრომის მიზანიც, სწორედ, გიორგი ყაზბეგის, როგორც საზოგადო მოღვაწისა და მოაზროვნის, ამ მიზნებისა და თვალსაზრისის ფართო საზოგადოებისათვის ჩვენებაა, რადგან მან უდიდესი როლი შეასრულა ბათუმის საქართველოს წიაღში დაბრუნების საქმეში.

ცნობილია, რომ XIX ს-ის 50-იან წლებში, მას შემდეგ, რაც აჭარა (ჭანეთთან და ქობულეთთან ერთად) ახლად შექმნილ ლაზისტანის სანჯაყში შევიდა და ბათუმის კამაკს დაეჭვებარა, ქალაქმა ადმინისტრაციული დანიშნულება შეიძინა. ამავე საუკუნის 60-70-იანი წლებიდან ბათუმში საქალაქო ცხოვრების ფორმირება-განვითარება ინტენსიურ ხასიათს იძენს [რ. უზუნაძე, 1997: 68]. გიორგი ყაზბეგის ლაზისტანის სანჯაყში მოგზაურობის დროს, ბათუმი შავიზღვიპირეთის მომცრო, მაგრამ კარგად გამაგრებული, შესანიშნავი ნავმისადგომის მქონე ქალაქი იყო [გ. ყაზბეგი, 1995: 155]. მას გააჩნდა სამხედრო საპორტო ქალაქის ყველა თვისება, სადაც ერთდროულად რამდენიმე მსხვილი გემის დატვირთვა და დაცლა ხერხდებოდა. გიორგი ყაზბეგის შეფასებით, ბათუმის საქმაოდ დიდ მანძილზე გადაჭიმული გემების რეიდი საუკეთესო იყო შავ ზღვაზე სევასტოპოლის შემდეგ [Военно-статистический..., 1876: 43].

ოსმალები რომ ქალაქს სამხედრო მნიშვნელობას ანიჭებდნენ, გიორგი ყაზბეგის დაკვირვებით, კარგად ჩანდა ბათუმის რეიდის დასავლეთით და აღმოსავლეთით მშენებარე საქმაოდ მტკიცე სიმაგრეების მიხედვით. გიორგი ყაზბეგის, როგორც სამხედრო სპეციალისტის დაკვირვებით, მიმდინარე სამუშაოების მოცულობის მიხედვით, იმ ეტაპზე, ბასტიონებს ნავსადგურის შესასვლელების დამცავი ფუნქცია უნდა პქონოდათ. თუმცა, მისივე შეფასებით, რუსეთ-ოსმალეთის მომავალი სამხედრო დაპირისპირების შემთხვევაში, რაც გარდაუვალი ჩანდა, ქალაქის მხოლოდ თავდაცვითი მიზნებისთვის გამოყენება ოსმალეთის ხელისუფლებისაგან დიდ შეცდომად ჩაითვლებოდა. გიორგი ყაზბეგის აზრით, ბათუმის სამხედრო-სტრატეგიულ მნიშვნელობას დიდად ზრდიდა ლიგანის გზატკეცილი, რომელის გაყვანა, მისი ლაზისტანში მოგზაურობის დროს (1874 წელი), უკვე მიმდინარეობდა. გზატკეცილი ბათუმს ყარსთან აკავშირებდა. ამ შემთხვევაში, ყარსი, ეს პირველი კლასის ციხესიმაგრე, მოიპოვებდა ზღვაზე გასასვლელს, ხოლო ბათუმი კი მისი ნავსადგურის ფუნქციას შეიძენდა [Военно-статистический..., 1876: 44]. ამდენად, მოსალოდნელი ომის დროს ლაზისტანის სანჯაყს და მის ცენტრს –

ბათუმს გეოგრაფიული პირობებისა და მზარდი სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობის გამო, სხვა ტერიტორიებზე შეტევისა და საბრძოლო მოქმედებების გასაშლელად საბაზისო როლი უნდა შეესრულებინა.

ცნობილია, რომ საომარი მოქმედებების წარმატებას მნიშვნელოვნად განაპირობებს მოწინააღმდეგის სამხედრო ძალების წინასწარი შეფასება, მისი ტაქტიკისა და სტრატეგიული ჩანაფიქრის ამოცნობა და ანალიზი, მოქმედების დაგეგმვა მოვლენების განვითარების ყველა შესაძლო ვარიანტის შემთხვევაში. ჩვენს მიერ განსახილველი წერო სწორედ ამგვარი ანალიტიკური ხასიათისაა.

რუსეთ-ოსმალეთის შესაძლო ომის შემთხვევაში საბრძოლო მოქმედებების თეატრი, — გიორგი ყაზბეგის დასკვნით, — სავარაუდოდ, ბაიაზეთი-ყარსი-არტაანი-ბათუმის ფრონტის ხაზზე გაიშლებოდა. სომხეთის ზეგანზე ბრძოლების პარალელურად, საომარი მოქმედებები ამიერკავკასიაში, კერძოდ, საქართველოში უნდა წარმართულიყო. ამ მიზნით ოსმალეთი თავისი არმიის ძირითად ძალებს ყარსსა და ბათუმში მოუყრიდა თავს. საომარი ოპერაციების დროს სწორედ ყარსი და ბათუმი იქნებოდა ოსმალეთის სამხედრო ძალების საყრდენი პუნქტები. ამ ორ, ერთმანეთისაგან საქმაოდ განცალკევებულ, მაგრამ ერთმანეთთან კავშირის მქონე პუნქტებში სამხედრო ბაზების განლაგება ოსმალეთს საშუალებას მისცემდა საომარი მოქმედებები ეწარმოებინა ერთდღოულად, ან ბრძოლების სიმძიმის ცენტრი გადაეტანა ხან ყარსი-არტაანის, ხან ბათუმის მიმართულებით. სამხედრო ოპერაციების ლავირება დამოკიდებული იქნებოდა იმაზე, საბრძოლო მოქმედებების რა მიმართულებას აირჩევდა ოსმალეთის ხელისუფლება: სკლას ახალქალაქის, ახალციხისა თუ ქუთაისის მიმართულებით [Военно-статистический..., 1876: 47]. როგორც ვხედავთ, ბათუმის სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობა გიორგი ყაზბეგმა ყარსის მნიშვნელობის პარალელურად განიხილა [Военно-статистический..., 1876: 43, 46-47, 56], ამასთან, აღნიშნულ ნაშრომში საქმაოდ წარმატებით დაასაბუთა კიდევ თავისი მოსაზრება. გიორგი ყაზბეგის დასკვნების სისწორე მოგვიანებით სამეცნიერო გამოკვლევებმაც დაადასტურეს. ცნობილია, რომ ჩვენთვის საინტერესო პერიოდში, ამიერკავკასიაში, კერძოდ საქართველოში საბრძოლო მოქმედებების გაშლის გეგმას ოსმალეთი და მისი მოკავშირე სახელმწიფოები საკმაოდ აქტიურად განიხილავდნენ [ა. ჩხეიძე, 1974: 11-13, 19-20].

გიორგი ყაზბეგის ხელთ არსებული ინფორმაციის ანალიზი იძლევდა შემდეგი დასკვნის გამოტანის საშუალებას: ოსმალეთი რეალურად ფლობდა ყველა შესაძლო საშუალებას, დროის უმოკლეს მონაკვეთში კონსტანტინოპოლიდან ბათუმში გადაესხა სამხედრო შენაერთებისა და დესანტის უზარმაზარი რაოდენობა, რომელიც რიცხობრივად და აღჭურვილობით მნიშვნელოვნად აღემატებოდა დასავლეთ საქართველოში განლაგებულ რუსეთის კავკასიის ფრონტის სამხედრო ძალებს. კირიმის ომში რუსეთის სამხედრო საზღვაო

ფლოტის განადგურება და ოსმალეთის შავ ზღვაზე გაბატონება, თითქმის სრულიად გამორიცხავდა ხელისშემშლელ ფაქტორებს ამ საკითხში [Военно-статистический..., 1876: 45-49]

ბათუმის დესანტის მთავარი სტრატეგიული მიზანი საქართველოს სამხედრო გზების ხელში ჩაგდება და რიონის აუზის ტერიტორიის გაკონტროლება უნდა ყოფილიყო. ამ მიზნით, ბათუმიდან მოსალოდნელი იყო ოსმალეთის სამხედრო ძალების ქუთაისის მიმართულებით გადაადგილება და სურამის (რიკოთის) უდელტეხილის დაკავება. ბუნებრივია, ეს პოზიცია ოსმალეთს აძლევდა თბილისზე, ბორჯომის ხეობიდან გამოსახვლელებსა და ახალციხეზე მუქარის საშუალებას. გიორგი ყაზბეგის აზრით, საგანგებო როლს შეასრულებდა ოსმალეთის მიერ ქ. ფოთის დაკავებაც, რაც საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი სარკინიგზო მაგისტრალის გაკონტროლებისა და რიონის აუზში იოლი გადაადგილების პირობა იქნებოდა [Военно-статистический..., 1876: 54-56]. მოქმედების სისწრაფეს ოპერაციის წარმატებით განხორციელებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. ოსმალეთის ამოცანა იქნებოდა პოზიციების დაკავება და გამყარება მანმადე, სანამ რეგიონში დისლოცირებულ გურიის მცირერიცხოვან სამხედრო გარნიზონს ვლადიკავკაზიდან რუსების დამხმარე ეშელონები მიეშველებოდა. გიორგი ყაზბეგის შეფასებით ოსმალეთი ანატოლიის არმიის სავარაუდო ფრონტის ხაზის (ბაიაზეთი-ყარსი-არტანი-ბათუმი) ძირითად პუნქტაგან ყველაზე აღრე ძალების მობილიზებას სწორედ ბათუმში მოახერხებდა და საომარი მოქმედებებიც პირველად შესაძლოა აქედან დაწყებულიყო [Военно-статистический..., 1876: 55-57].

ამგვარად, გიორგი ყაზბეგი სამხედრო სტატისტიკური მონაცემებისა და ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე დაასკვნის, რომ ქალაქ ბათუმის სტრატეგიულ მნიშვნელობა ოსმალეთის ხელისუფლების მიერ განიხილებოდა: 1. როგორც ყარსის სამხედრო ნავსადგური; 2. როგორც ოსმალეთის დამოუკიდებელი სამხედრო შენაერთუების სამობილიზაციო-შემკრები პუნქტი და ამიერკავკასიის ტერიტორიაზე საომარი მოქმედებების საყრდენი ბაზა.

ამ ოპერაციაში ოსმალეთის წარმატებას ძირითადად შემდგა ფაქტორები განსაზღვრავდა: 1. ოსმალეთის პეგემონობა შავ ზღვაზე; 2. ბათუმის მეტად ხელსაყრელი მდებარეობა, რაც ოსმალეთს საშუალებას აძლევდა უფრო აღრე მოეყარა თავი სამხედრო ძალებისათვის, ვიდრე რუსების სამხედრო გარნიზონი მოასწრებდა დანიშნულ აღგილზე კონცენტრირებას; 3. სამხედრო მოქმედებების სისწრაფე რიონის აუზისა და სურამის უდელტეხილისაკენ.

ბუნებრივია, სამხედრო-საზღვაო ფლოტის უქონლობის გამო, რუსეთი უძლეური იყო, მოცემულ სიტუაციაში, შავ ზღვაზე ოსმალეთის საზღვაო უპირატესობა დაეძლია ან გაენეიტრალებინა; სხვა საკითხი იყო ქვეყნის შიგნით ოსმალეთის სამხედრო ძალების თავისუფლად და სწრაფად გადაადგილების აღეკვეთა, რაც, ბუნებრივია, რუსეთის მხრიდან მოქმედებების სწორ დაგეგმვას მოითხოვდა. გიორგი ყაზ-

ბეგის აზრით, მოწინააღმდეგის დასაბრკოლებლად რამოდენიმე გზა არსებობდა: 1) ბათუმის დაკავება ან 2) ბათუმიდან ყარსში და ამიერკავკასიაში მიმავალი გზების გადაკეტვა; 3) ოსმალების ჯარების დასავლეთ საქართველოში შეჩერება მანამდე, სანამ შეიკრიბებოდა მტრის მოსაგერიებლად საკმარისი სამხედრო ძალები [Военно-статистический..., 1876: 57-58].

ამ სამი ოპერაციის მოსალოდნელი შედეგების ჩვენებით, გიორგი ყაზბეგმა ერთ-ერთმა პირველმა დაუსაბუთა არგუმენტირებულად რუსეთის სამხედრო ხელისუფლებას ქალაქ ბათუმის დაკავების აუცილებლობა; მან უჩვენა, რომ ბათუმის აღება უზარმაზარი სახელმწიფო ებრივი მნიშვნელობის ფაქტი იყო და რუსეთის იმპერიას ოსმალებთის წინაშე გადამწყვეტ უპირატესობას მოუპოვებდა [Военно-статистический..., 1876: 58].

აღსანიშვანია, რომ ბათუმის დასაკავებლად სპეციალური დამოუკიდებელი სამხედრო ოპერაციის ჩატარება აქამდე არასოდეს ყოფილა რუსეთის ხელისუფლების სტრატეგიული მიზანი. 1829 წელს პასკევიჩის ბრძანებით აჭარაში გენერლების პესესა და ოსტენ საკენის სამხედრო ლაშქრობა, მირითადად, ოსმალებთის სამხედრო ძალების დაქსაქსვისა და ახალციხე-ყარსიდან ადგილობრივი მოსახლეობის ყურადღების გადასატანად გამიზნულ ექსპედიციას წარმოადგენდა. ეს ბრძოლები, როგორც ცნობილია, რუსეთის სრული მარცხით დამთავრდა. ყირიმის ომის დროს (1853-1854 წწ.) კი თავად ანდრონიკაშვილის მიერ ჩოლოქის მარცხენა სანაპიროზე ოსმალებთის ჯარების დამარცხების მიუხედავად, სვლა ბათუმის მიმართულებით არ ყოფილა. ბათუმის აღება, სხვადასხვა დამაბრკოლებელ ფაქტორთან ერთად, მაშინ საკმაოდ რთულ ამოცანად ითვლებოდა ოსმალებთის საზღვაო უპირატესობისა და ადგილობრივი მოსახლეობის ანტირუსული განწყობილების გამო [Военно-статистический..., 1876: 58-59; ჯ. ჩხეიძე, 1950: 22-27; ნ. ვარშანიძე, 2005: 46-47; ვ. სიჭინავა, 1958: 38-40].

XIX ს-ის 70-იან წლებში შექმნილი ვითარების ფონზე გიორგი ყაზბეგი საგანგებოდ შეეხო ბათუმის წარმატებით აღების უმთავრეს ფაქტორებს. ამ მხრივ, მისი აზრით, უმნიშვნელოვანები იყო: 1. ადგილობრივი მოსახლეობის მხარდაჭერა, ან უკიდურეს შემთხვევაში ნეიტრალური დამოკიდებულების მოპოვება. „ოურქეთის საქართველოში“ არსებობდნენ ოპოზიციური ძალები, რომელთა მეშვეობით რუსეთს არ გაუჭირდებოდა მოსახლეობაში სასურველი განწყობის შექმნა. ამ შემთხვევაში წარმატება გონივრული და გულწრფელი პროპაგანდის შედეგად მიიღწეოდა, რომელიც ქვეყნის წარსულისა და აწმყოს კარგ ცოდნაზე უნდა ყოფილიყო დაფუძნებული. 2. საჭირო იყო კავკასიის არმიის რეორგანიზაცია: რიონის აუზში მისი დისლოკაციის გაძლიერება, ამიერკავკასიაში სამხედრო ვალდებულების საკითხის გადახედვა, მოსალოდნელ ბრძოლებში ადგილობრივი

მოსახლეობისაგან დაკომპლექტებული, თანამედროვე შეიარაღებით აღჭურვილი სამხედრო შენაერთების გამოყენება [Военно-статистический..., 1876: 60-61].

რუსეთ-ოსმალეთის დაპირისპირების შემდგომი ისტორია, კერძოდ, 1877-1878 წლების ომის სამხედრო ოპერაციები გვიჩვენებს, რომ გიორგი ყაზბეგის უაღრესად მნიშვნელოვანმა დასკვნებმა და რეკო-მენდაციებმა უშუალო ზეგავლენა იქონია რუსეთის ხელისუფლების გადაწყვეტილებებზე, ისტორიული მოვლენების განვითარებაზე და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიული ტერიტორიების დაბრუნების საქმეში დიდი წვლილი შეიტანა.

გვინდა ჩვენს მიერ განხილული წყაროს მნიშვნელობის ერთ ას-პექტსაც შევვხოთ. დღეს, საქართველოში სამხედრო ძალების განახ-ლებამ და განვითარებამ მეტად აქტუალური ხასიათი შეიძინა. ქართ-ველი ოფიცერების აღზრდისა და განათლების უმნიშვნელოვანებს კომ-პონენტებს თანამედროვე უახლესი სამხედრო ტექნოლოგიების გაც-ნობასთან ერთად, ქართული საბრძოლო ხელოვნებისა და სამხედრო-ანალიტიკური აზროვნების შესწავლაც შეადგენს. ალბათ, უპრიანი იქნება, რომ გიორგი ყაზბეგის განხილული ნაშრომი, ქართულ ენაზე თარგმნის შემდეგ, სამხედრო აკადემიის შესაბამისი კურსის ქრესტო-მათიაში შევიდეს, როგორც ქართველი სამხედრო მოღვაწის სტატის-ტიკურ-სტრატეგიული აზროვნების თვალსაჩინო და შესანიშნავი ნიმუში.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

1. გ. ყაზბეგი, სამი თვე თურქეთის საქართველოში, ნაშრომი თარგმნებს, შესავალი წერილები, კომენტარები და საძიებლები დაურთეს და გამოსცეს რამაზ სურმანიძემ და მამა ხარაზმა, ბათ., 1995.
2. Военно-статистический и стратегический очерки Лазистанского Санджака, составленные генерального штаба подполковником Казбеком, Тип. Окр. штаба Кавк. воен. окр., Тиф., 1876.
3. რ. უზუნაძე, ბათუმის ისტორიიდან, ბათ., 1997.
4. რ. სურმანიძე, გენერალ-ლეიტნანტი თერგდალებულთა თაობიდან, ბათ., 2006.
5. ჯ. ჩხეიძე, ბათუმი, ისტორიული ნარკევი, ბათ., 1950.
6. ა. ჩხეიძე, ბათუმი ინგლისის ახლოაღმოსავლურ პოლიტიკაში (1875-1878 წწ.), ბათ., 1974.
7. 6. ვარშანიძე, ბათუმი საერთაშორისო პოლიტიკის კონტექსტში (XIX ს-ის ბოლო მეოთხედი), ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საისტორიო მაცნე, №14, ბათ., 2005.
8. ვ. სიჭინავა, ბათუმის ისტორიიდან, ბათ., 1958.
9. 6. ნაჭუებია, ქართველი მოგზაური გიორგი ყაზბეგი, თბ., 1960.
10. გიორგი ყაზბეგი აჭარის შესახებ (კრებული), ბათ., 1960.

Khatuna Kokrashvili (Tbilisi, Georgia)

Giorgi Kazbegi About the Strategic Importance of Batumi

Summary

In the 60 - 70es of the 19th century the territory of south-west Georgia, mainly: Ajara, Shavshet - Imerkhevi, Tao -Klarjeti, that were occupied by Ottomans, became a region of Russia's extreme interest. In Spring, 1874 well known military and public figure Giorgi Kazbeki traveled on special intelligence mission of Russian government in this region. His impressions were written in his tow works in Russian: "Three Months in Georgia of Turkey" and "Military-Statistical and Strategic Review of Lazistani Sanjak". The last one gives us military-statistical and strategic analysis of the information that was gained during the travel in Lazistani Sanjak. The author presented it to the headquarters of The Caucasian Military District. In his analysis Giorgi Kazbeki paid his special interest to Batumi. He was one of the first military and public figures who, because of special environment and geographical location of Batumi, put forward and underlined the increasing military and strategic importance of this town on the background of real international, historical and political situation. He showed that if Russian-Turkey war broke, the possible frontier of the military operations would have been on the line of Baiazeiti-Karsi-Ardagani-Batumi. To be more precise, Batumi would have been used by the Ottoman government as the main base for the attack operations in the Caucasus, mainly in Georgia. In this case Ottoman's aim would have been to occupy the military roads of Georgia and finally put Tbilisi under threat.

Giorgi Kazbegi showed the possible results of this military operation and thus was one of the first who reasonably proved to the military government of Russia the importance of occupying Batumi by Russia and presented its possible plan. He underscored the importance of the attitude of Lazistan population towards Ottoman government for the success of the operation and the great importance of composing Russian military units from native population for military operations carried on by Russia.

The further history of Russia - Turkey opposition, mainly military operations of the war in 1877 - 1879 showed that the extremely important conclusions and recommendations that were given in this work straightly effected the development of the events and greatly contributed in returning the territories of south Georgia.

ვაჟა ჩოჩია
(გორი, საქართველო)

1878 წლის სან-სტეფანოს ზავი და ბათუმის საკითხები ბარის პრეზიდენტის პირის

1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომი თურქეთისათვის წარუმა-
ტებლად მიმდინარეობდა. რუსეთის ჯარები კონსტანტინოპოლის მიუ-
ახლოვდნენ და აღებით დაემუქრნენ [11, 357]. კანცლერი ბისმარკი
დაუინებით ურჩევდა პეტერბურგს კონსტანტინოპოლი დაეცავებინა [18,
181]. ბისმარკს იმედი ჰქონდა, რომ ამით ინგლისს ჩართავდა კონფ-
ლიქტში, რომელსაც შეიძლებოდა ვენაც შეერთებოდა [6, 143]. ამაზე
ისიც მეტყველებდა, რომ ინგლისის სამხედრო-საზღვაო ფლოტი შავი
ზღვის სრუტეებთან გაიგზავნა [2, 115; 4, 147]. ომი ინგლისსა და რუ-
სეთს შორის გარდაუვალი ჩანდა, თუ რუსეთი უარს არ იტყოდა კონ-
სტანტინოპოლიში შესვლაზე [5, 449]. ასეთ სიტუაციაში იმპერატორმა
ალექსანდრე II-მ აუკრძალა მთავარსარდალს, დიდ თავად ნიკოლოზ
ნიკოლოზის ძეს (უფროსი), კონსტანტინოპოლიში შესვლა, რათა
მიზეზი არ მიეცათ ინგლისისათვის [1, №21]. ამის მიუხედავად, ომში
წარმატებამ საშუალება მისცა რუსეთს ზავის პირობები ეკარნახა
თურქეთისათვის [14, 117].

1878 წ. 31 იანვარს რუსეთსა და თურქეთს შორის დაიდო ზავი
ადრიანოპოლიში. ის შეიცავდა თურქეთის თანხმობას საზავო
ხელშეკრულების წინასწარ შეთავაზებულ პირობებზე [1, №11-12].
ავსტრია-უნგრეთმა მოითხოვა მომავალი რუსეთ-თურქეთის ზავის
პირობების გადაცემა საერთაშორისო კონფერენციისათვის განსახილ-
ველად [13, 397]. დასაწყისში დონდონი მერყეობდა, მაგრამ მალე
ინგლისის მთავრობა შეუერთდა ვენის მოთხოვნას საერთაშორისო
კონფერენციის მოწვევის თაობაზე [15, 246].

1878 წ. 3 მარტს რუსეთსა და თურქეთის შორის დაიდო სან-სტე-
ფანოს პრელიმინარული საზავო ხელშეკრულება, რომელიც 21
აუგსტს მოიცავდა [1, №55]. ეს ხელშეკრულება მთლიანად ცვლიდა
ბალკანეთის პოლიტიკურ სახეს [5, 451; 11, 359]. ევროპულ თურქეთს
მხოლოდ კონსტანტინოპოლი რჩებოდა.

ზავის თანახმად, სერბია, ხერნოგორია და რუმინეთი დამოუკი-
დებლობას იღებდნენ და მნიშვნელოვნად აფართოებდნენ თავის
საზღვრებს. ბულგარეთი, რომელიც თავის შემადგენლობაში მაკედო-
ნიას მოიცავდა, ავტონომიური სათავადო ხდებოდა. მისი ურთიერთო-
ბანი თურქეთთან მხოლოდ ხარჯის გადახდით ამოიწურებოდა. თურ-
ქეთის ჯარებს უნდა დაეტოვებინათ ბულგარეთის ტერიტორია [7,
125]. ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე თვალყურის მისა-
დევნებლად, სათავადოში ორი წლით შედიოდა რუსეთის ჯარი 50

ათასი კაცის საერთო რაოდენობით. ინგლისისა და ავსტრია-უნგრე-თისათვის ასეთი პირობები მიუღებელი იყო [16, 514]. ლონდონში ეშინოდათ, რომ რუსეთი თავისი გავლენის სფეროში მოქცევდა ბულგარეთს და ამით, ფაქტობრივად, ხმელთაშუა ზღვის სახელმწიფო გახდებოდა. ამასთანავე, ბულგარეთის ახალი საზღვრები იმდენად ახლოს იყო კონსტანტინოპოლითა, რომ სრუტეები და თურქეთის დედაქალაქი მუდმივი საფრთხის წინაშე იქნებოდა. არც ვენაში სურდათ ახალი სლავური სახელმწიფო წამოშობილიყო ბალკანეთზე და ამაში ბერლინის მხარდაჭერის იმედი პქონდათ. ავსტრია-უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრი – ანდრაში აღნიშნავდა კიდეც, რომ ბერლინსა და ვენას შორის მეცნიერული ურთიერთობები არსებობდა [1, №55].

თურქეთის მთავრობა ვალდებულებას იღებდა ჩაეტარებინა რეფორმები ბოსნიაში, პერცეგოვინაში და სევა ტერიტორიებზე, რომლებიც შედიოდნენ ევროპული თურქეთის შემაღებლობაში; თურქეთს უნდა დაენგრია სიმაგრეები დუნაიზე და იქიდან გაეყვანა სამხედრო გემები; რუსეთს უბრუნდებოდა სამხრეთ-დასავლეთი ბესარაბია, რომელიც ჩამოაცილეს 1856 წლის პარიზის ზავით, აგრეთვე ქალაქები – არტანი, ყარსი, ბაიაზეთი, ბათუმი; რუმინეთს ეძლეოდა დობრუჯა; თესალიაში, კუნძულ კრეტაზე და ეპირში თურქეთი ვალდებულებას იღებდა შემოედო რეგლამენტი, რომლის შემუშავებაშიც დასახული იყო ადგილობრივი მოსახლეობის მიზიდვა. ზოგიერთი რეფორმა უნდა გატარებულიყო აგრეთვე სომხებით დასახლებულ ტერიტორიებზე. თურქეთი ვალდებულებას იღებდა გადაეხადა 300 მილიონი მანეთის კონტრიბუცია. საკითხი სრუტეების შესახებ სანსტეფანოში რუსეთს არ დაუყენებია [12, 159-165].

სანსტეფანოს საზავო ხელშეკრულების მიმართ ინგლისის დამოკიდებულება განისაზღვრა ინდოეთის საქმეთა მინისტრის მარკიზ სოლსბერის ნოტაში რუსეთის მთავრობისადმი 1878 წ. 14 იანვარს, ე.ი. ჯერ კიდევ ზაგზე ხელმოწერამდე, ნოტით რუსეთის მთავრობას ატყობინებდნენ, რომ ყოველგვარ შეთანხმებას, რომელიც არღვევდა 1856 წლის პარიზის ზავს და 1871 წლის ლონდონის კონფერენციას, არ ექნებოდა კანონიერი ძალა პარიზის საზავო ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოების თანხმობის გარეშე [5, 448]. არსებითად, ინგლისმა წამოაყენა მოთხოვნა საერთო-ევროპული კონფერენციის მოწვევის აუცილებლობის შესახებ, რათა დაგმტკიცებინათ სამშვიდობო შეთანხმების პირობები რუსეთსა და თურქეთს შორის. 31 იანვარს მსგავსი მოთხოვნა გაუგზავნა რუსეთის მთავრობას გრაფმა ანდრაში. 1 თებერვალს რუსეთის კანცლერმა, თავადმა გორჩაკოვმა ვენაში გააგზავნა დეპეშა რუსეთის მთავრობის თანხმობის შესახებ კონფერენციის მოწვევაზე, მაგრამ იმ პირობებით, რომ მისი ჩატარების ადგილი არ უნდა ყოფილიყო ლონდონი ან ვენა [10, 437].

სანსტეფანოს პრელიმინალური ზავის ხელმოწერა ნიშნავდა, რომ აღმოსავლეთის კრიზისი დასასრულს უახლოვდებოდა და ამიტომ ბოლო წერტილი უნდა დაესვა საერთაშორისო კონფერენციას. 1878 წ.

9 მარტს ვენა გამოვიდა მოთხოვნით სასწრაფოდ მოეწვიათ ბერლინში საერთაშორისო კონგრესი. ასეთ სიტუაციაში, ლონდონში გადაწყვიტა არ დაეჩქარებინა მოვლენები, თუმცა სულაც არ ერიდებოდა საერთაშორისო მდგომარეობის გამწვავებას. ამის შესახებ მეტყველებდა პრემიერ-მინისტრ დიზრაელის (ლორდი ბიკოსფილდი) სიტყვა ლორდთა პალატაში 1878 წ. 8 აპრილს. მისი განცხადებით, შექმნილი საერთაშორისო მდგომარეობა გამორიცხავდა კონგრესის მოწვევას და მან მიმართა დედოფალს თხოვნით – არმიაში ნამდვილი სამსახურისთვის გაეწიათ 38 ათასი რეზერვისტი. საინტერესოა, რომ 17 აპრილს კალკუტიდან მიიღეს დეპეშა, რომელშიც იტყობინებოდნენ უპრეცედენტო ბრძანების შესახებ ინდოეთის მთავრობისადმი – გაეგზავნა ჯარი ხმელთაშუა ზღვის რაიონში 7-8 ათასი კაცის ოდენობით.

ინგლისის უარი მონაწილეობა მიეღო ბერლინის კონგრესის მუშაობაში, რუსეთის მიერ შეთავაზებულ პირობებზე და მის მიერ განხორციელებული სამსედორ ხასიათის ღონისძიებანი, რეალურს ხდიდა ომის წარმოშობის შესაძლებლობას ამ ორ ქვეყანას შორის [11, 359]. რუსეთის სამსედორ და პოლიტიკური მდგომარეობა ამ დროს რთული იყო. ეს იმაში გამოიხატებოდა, რომ 1. რუსეთის სარდლობაში აპრილის დასაწყისში შეუძლებლად მიიჩნია ბოსფორის სრუტის დროებით დაკავებაც კი რუსეთის ჯარების მიერ, რადგან არ გააჩნდა არტილერიის აუცილებელი რაოდენობა, რათა ბლოკირება მოეხდინა შავი ზღვის სრუტებისათვის, რომ იქ ინგლისის ფლოტი არ შესულიყო; 2. რუსეთში იზრდებოდა რევოლუციური მოძრაობა; 3. ავსტრია-უნგრეთი და გერმანია უარს ამბობდნენ მხარი დაჭირათ რუსეთისათვის ინგლისთან შესაძლო კონფლიქტში. შექმნილ სიტყვიაში რუსეთი იძულებული გახდა უკან დაეხია.

მაისის დასაწყისში რუსეთსა და ინგლისს შორის მიღწეულ იქნა პრინციპული შეთანხმება საიდუმლო სეპარატული მოლაპარაკებების ჩატარების შესახებ. ამასთან დაკავშირებით, 1878 წ. 3 მაისს, ახალმა საგარეო საქმეთა მინისტრმა სოლსბერიმ მთავრობაში განსახილველად შეიტანა მემორანდუმი ინგლისის პოზიციის შესახებ მომავალ მოლაპარაკებებზე. მასში მითითებული იყო, რომ სან-სტეფანოს შეთანხმების პირობების შესრულება გამოიწვევდა რიგი პრობლემების და ნეგატიური სიტუაციის წარმოქმნას, რაც იძულებლად ინგლისს მტკიცედ გამოსულიყო მის წინააღმდეგ. ამ პრობლემების რიცხვს მინისტრი აკუთვნებდა: 1. ახალი საზღვაო სახელმწიფოს შექმნა ეგეოსის ზღვის სანაპიროზე; 2. ბალკანეთის ნახევარკუნძულის არასლავური მოსახლეობის გაქრობის საფრთხე; 3. თურქეთის მდგომარეობა, რომელიც ძლიერ იყო დამოკიდებული რუსეთზე და მას შეეძლო დაეკარგა შესაძლებლობა დამოუკიდებლად შეესრულებინა პოლიტიკური ფუნქციები, რომლებიც ჯერ კიდევ განეკუთვნებოდა მას და რომლებიც ძალიან აინტერესებდათ სხვა ერებს. ამასთან დაკავშირებით, სოლსბერი წინადადებას იძლეოდა: 1. გადაეწიათ ბულგარე-

თის სლავური სახელმწიფო ბალკანეთის ჩრდილოეთით; 2. არ დაეშვათ ანექსია აზიაში – ყარსის წართმევით შეირყეოდა თურქეთის მიმართ სირიისა და მაკედონიის მოსახლეობის ერთგულება; 3. ნათელი გაეხადათ კონტრიბუციის ბუნდოვანი პუნქტები, რომელებიც შეიძლება გადაზრდილიყო შემდგომ „ანექსიებში, ან იძულებით კავშირში“ [19, 639].

ეს მოთხოვნები მოიწონა ინგლისის მთავრობამ და გასაცნობად გადაეცა რუსეთის ელჩს ლონდონში შუვალოვს. პეტერბურგმა მას ნება დართო მოლაპარაკებები ეწარმოებინა, მაგრამ არავითარი ინსტრუქციები არ მიუციათ. ამის მიუხედავად, მოლაპარაკებათა მსვლელობაში შუვალოვმა აღნიშნა, რომ რუსეთს სურდა ბათუმის, ყარსის, ბესარაბიის შენარჩუნება და ანტივარის ჩერნოგორიისათვის გადაცემა. იმავე დროს, შუვალოვი წინააღმდეგი არ იყო ბულგარეთის გაყოფისა [19, 637]. ამაზე მოლაპარაკებანი შეწყდა და რუსეთის ელჩი მთავრობასთან კონსულტაციისათვის პეტერბურგში გაემართა.

11 მაისს ინგლისის მთავრობის სხდომაზე მიიღეს პრემიერ ბიკონსფილდის წინადადება – თავდაცვითი კავშირი დაედოთ თურქეთთან. ამის საკომპენსაციოდ ლონდონს უნდა მოეთხოვა თურქეთისაგან კუნძული კვიპროსი, რომელიც ინგლისს ძლიერ პოზიციებს შეუქმნიდა შესოპოტამიის, სირიის და ეგვიპტის მიმართ.

23 მაისს მოლაპარაკებანი სოლსბერიისა და შუვალოვს შორის განახლდა. ინგლისის მიერ წამოყენებულ პირობებზე რუსეთის ელჩმა განაცხადა, რომ რუსეთის მთავრობა თანახმა იყო: 1. ტერიტორიულ ცვლილებებზე იმ მიზნით, რომ გადაეწიათ ბულგარეთი ეგეოსის ზღვიდან; 2. დასავლეთის საზღვრების გასწორებაზე სხვა ეროვნების მოსახლეობის მთლიანი გამორიცხვისათვის; 3. ბულგარეთის გაყოფაზე ორ პროვინციად, რომელთაგან ერთი – ბალკანეთის ჩრდილოეთში, აღიჭურვება პოლიტიკური ავტონომიით, გენერალ-გუბერნატორის მმართველობით, რომელიც დასახელდებოდა ეგროპის თანხმობით, ხუთი ან ექვსი წლით. ამ თანხმობის სანაცვლოდ ერთი პირობა იყო წამოყენებული – სამხრეთ ბულგარეთიდან თურქეთის ჯარი უნდა გასულიყო.

პეტერბურგი თანახმა იყო აგრეთვე საერთაშორისო კონგრესზე მიწვევის ფორმულაზე, რომელსაც წინასწარ მოიწონებდნენ ბისმარკი და სოლსბერი. დასასრულს, იყო შეთავაზება დაეწყოთ რუსეთის ჯარის გამოყვანა კონსტანტინოპოლის მისადგომებიდან და ინგლისის ფლოტისა – მარმარილოს ზღვიდან, ერთდროულად, ორ ეტაპად. ინგლისის მთავრობა თანახმა იყო თურქეთის ჯარის გაყვანაზე ბულგარეთის სამხრეთი პროვინციებიდან, მაგრამ ისიც ითქვა, რომ ინგლისი იტოვებდა მოქმედების თავისუფლებას კონგრესზე ბოსფორისა და დარდანელის საკითხებში. ამ შენიშვნას შუვალოვი დაეთანხმა. მოლაპარაკების დასასრულს, სოლსბერი გამოვიდა განცხადებით, რომ „ანექსიები სომხეთში თავისთავად არ არის სასურველი და

შეიცავს მუქარას თურქეთის მომავალი სიმშვიდისათვის აზიაში, რის იგნორირებაც შეუძლებელი იქნება” [19, 643-645].

27 მაისს ინგლისის ელჩმა კონსტანტინოპოლში დეიარდმა აცნობა მთავრობას, რომ სულთანმა ხელი მოაწერა შეთანხმებას კვიპროსზე ინგლისის პროტექტორატის შესახებ. ამასთანავე, სულთანმა ითხოვა, რომ კვიპროსის ოკუპაცია არ მომხდარიყო მანამდე, ვიდრე ხელი არ მოეწერებოდა კონვენციას, რომელიც იძლეოდა აზიური თურქეთის უსაფრთხოების გარანტიას. ამავე დღეს ელიოტს, ინგლისის ელჩს ვენაში, მიეცა ბრძანება, დაედო საიდუმლო კონვენცია ავსტრია-უნგრეთთან ბერლინის კონგრესზე რუსეთის წინააღმდეგ ერთობლივი მოქმედების შესახებ. ელისიადმი გაგზავნილ დეპეშაში გადმოცემული იყო ამ კონვენციის პირობები [17, 25].

29 მაისს ლონდონში გაიმართა მთავრობის მორიგი სხდომა, რომელიც მიეძღვნა რუსეთის წინააღმდებას ცვლილებების შესახებ სანსტეფანოს ხელშეკრულებაში და პუნქტებს, რომლებშიც გათვალისწინებული იყო ინგლისის პოზიცია. 1878 წ. 30 მაისს სანსტეფანოს ზავის პირობებში ცვლილების შესახებ საიდუმლო შეთანხმებას ინგლისსა და რუსეთს შორის ხელი მოაწერეს სოლსბერიმ და შუვალოვმა [5, 456]. ამ შეთანხმებით რუსეთი სანახევროდ კარგავდა იმ წარმატებას, რომელსაც სანსტეფანოს ზავით მიაღწია [5, 457]. ინგლისი თანახმა იყო გადასცემოდა რუსეთს ბათუმი და ყარსი, აგრეთვე ბესარაბია. ბაიაზეთზე რუსეთი უარს ამბობდა [7, 128].

1878 წ. 1 ივნისს სოლსბერი შეხვდა შუვალოვს პეტერბურგში მისი გამგზავრების წინ. საუბრისას სოლსბერიმ აღნიშნა, რომ ინგლისის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება თავისი ფლოტის მარმარილოს ზღვიდან გამოყვანის შესახებ, თუ რუსეთის ჯარები დატოვებდნენ კონსტანტინოპოლის მისადგომებს.

4 ივნისს კონსტანტინოპოლში ხელი მოაწერეს საიდუმლო კონვენციის ინგლისსა და თურქეთს შორის, რომლის თანახმად ინგლისი იღებდა კუნძულ კვიპროსის ოკუპაციის და მართვის უფლებას იმის სანაცვლოდ, რომ რუსეთის ხელყოფისაგან დაცული იქნებოდა ბათუმი, არტანი და ყარსი [8, 39-40]. 6 ივნისს კი ლონდონშა დავენამ ხელი მოაწერეს ასევე საიდუმლო კონვენციის ბერლინის კონგრესზე რუსეთის წინააღმდეგ ერთობლივი მოქმედების შესახებ [17, 25]. ახლოვდებოდა კონგრესის დაწების თარიღი.

1878 წ. 13 ივნისს ბერლინში ბისმარკის თავმჯდომარეობით ოფიციალურად გაიხსნა კონგრესი. ექვსი დიდი ქვეყნის და თურქეთის წარმომადგენლები შეიკრიბნენ რაძიფილების ყოფილი სასახლის სამეჯლისო დარბაზში. ბალკანეთის ქვეყნების წარმომადგენლები ჩავიდნენ ბერლინში, მაგრამ ისინი არ მონაწილეობდნენ კონგრესის მუშაობაში [7, 129]. კონგრესზე უნდა განეხილათ რუსეთ-თურქეთის ომით გამოწვეული ცვლილებები, რომლებიც დააფიქსირა სანსტეფანოს ზავმა. მრავალ მწვავე პრობლემას შორის იყო ბათუმის საკითხი. ინგლისმა, თავისი ინტერესებიდან გამომდინარე, ეს გარე-

მოება კარგად გამოიყენა რუსეთთან ბრძოლის დროს. თურქეთი ცდილობდა ბათუმის დაბრუნებას ინგლისის დახმარებით. სხვა დიდი სახელმწიფოები ბათუმის საკითხით დაინტერესებას არ იჩენდნენ და ამდენად, რუსეთს მარტო მოუხდებოდა ბრძოლა ბათუმის შენარჩუნებისათვის. ბათუმის საკითხისადმი ხელის ჩაჭიდებით, ლონდონი ფიქრობდა შავი ზღვის სრუტეებისა და კვიპროსის პრობლემა ინგლისის ინტერესების შესაბამისად გადაეწყვიტა [17, 102]. ეს გულისხმობდა ინგლისის სამხედრო გემების თავისუფლად გასვლას სრუტეებში, იმ შემთხვევისათვის, თუ რუსეთი ბათუმს შეინარჩუნებდა და ამით თურქეთს გარკვეულ საფრთხეს შეუქმნიდა. ლონდონში ვარაუდობდნენ, რომ რუსეთს შეეძლო ებრძოლა სრუტეებისათვის და ხმელთაშუა ზღვაში გასვლისათვის, რაც ინგლისის ინტერესებს შეღასავდა. ბესარაბიისა და ბათუმის მიღებით რუსეთი ძლიერ პოზიციებს შეიქმნიდა შავ ზღვაზე.

ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრმა სოლსბერიმ 16 ივნისს კანცლერ ბისმარკთან საუბრისას განაცხადა, რომ ბათუმის რუსეთის ხელში დარჩენის შემთხვევაში, საფრთხე შეექმნებოდა შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროებს და თვით ბოსფორის სრუტეს. ინგლისი თანახმა იყო სრუტეები თურქეთის გამგებლობაში დარჩენილიყო, მაგრამ რუსეთისაგან თურქეთის დაცვის მიზნით ინგლისს უნდა ჰქონდა სრუტეებში ფლოტის შეყვანის უფლება. ბისმარკს ამ განცხადებაზე პასუხი არ მიუცია, თუმცა უთხრა სოლსბერის, რომ კონგრესზე ამ საკითხს დააყენებდა განხილვის მიზნით [17, 103-104].

ინგლისის პრემიერი ბიკონსფილდი და სოლსბერი ბათუმის საკითხზე ყურადღების გამახვილებით ცდილობდნენ მიეღოთ შავი ზღვის სრუტეებში თავისუფლად გავლის უფლება. სოლსბერის მთავარი არგუმენტი ის იყო, რომ ინგლისი ყველაზე მძლავრი საზღვაო სახელმწიფო იყო, ამიტომ მას შავ ზღვაშიც უნდა ჰქონდა უპირატესობა [17, 104]. ეს არ იყო საკმარისი არგუმენტი და სხვა დიდ სახელმწიფოებსაც აღიზიანებდა, ამიტომ ლონდონს არ გააჩნდა წარმატების მიღწევის პერსპექტივა, რადგან დიდი სახელმწიფოები არ დაუშვებდნენ, რომ სრუტეებში თავისუფლად გასვლის უფლება მხოლოდ ინგლისს ჰქონდა.

ბიკონსფილდი მიხვდა, რომ მხოლოდ ბათუმის საკითხი არგუმენტად არ გამოდგებოდა და უარი თქვა მასზე. სამაგიეროდ წამოაყენა წინადაღება – ბათუმი თავისუფალ ქალაქად გამოეცხადებინათ [3, 67]. ეს არ ნიშნავდა, რომ ლონდონი ხელს იღებდა მცდელობაზე ბათუმი თურქეთის შემადგენლობაში დარჩენილიყო. უბრალოდ, ლონდონი დიპლომატიური ლავირების პოლიტიკას ატარებდა და ცდილობდა სიტუაციის გამოყენებას. ბათუმისა და მცირე აზიის სხვა ტრიტორიების ბედის საბოლოო გადაწყვეტის საქმე ჯერ კიდევ წინ იყო და კონგრესზე ის ბოლოს გადაწყდა, რაც გამოწვეული იყო რუსეთის მიმართ ინგლისის თანმიმდევრული მტრული პოზიციით [3, 76].

1878 წ. 6 ივლისს კონგრესზე სიტყვით გამოვიდა სოლსბერი და განაცხადა, რომ რუსეთის ხელში ყარსისა და არტაანის გადასვლა ასუსტებდა თურქეთს, რაც ხელს შეუშლიდა მას სიმშვიდე დაემ- ყარებინა თავის აზიურ სამფლობელოებში. მისი სიტყვებით, ასეთ სიტუაციაში ინგლისი თავის ინტერესებს აღნიშნულ რეგიონზე უვე- ლა საშუალებით დაიცავდა. ამ განცხადებას ზომიერი პასუხი გასცა გორჩაკოვმა. მისი განცხადებით, რუსეთი მომდა არზრუმს, ბაია- ზეთს და ალაშკერტის ხეობას. მისი აზრით, ეს ინგლისის საგაჭრო ინტერესებს პასუხობდა, რადგან ამ ტერიტორიებზე გადიოდა მთავარი სავაჭრო გზა სპარსეთისაკენ. გორჩაკოვის აზრით, ბათუმის თავისუფალ ქალაქად გამოცხადება რუსეთის სუვერენული უფლე- ბების შენარჩუნებით, უველა მოვაჭრე ქვეყნის ინტერესებს პასუხობდა, პირველ რიგში კი ინგლისის ინტერესებს, რომელსაც უველაზე დიდი სავაჭრო ფლოტი გააჩნდა [3, 91]. ასეთი პოზიციის დაკავებით რუსეთი ესწრაფვოდა, რომ ზედმეტად არ გაემწვავებინა ურთიერთობა ინგლისთან, თუმცა კარგად ხედავდა, რომ სერიოზულ დათმობებზე მიღიოდა. ბათუმის თავისუფალ ქალაქად გამოცხადების იდეას ბისმარკი მისალმებია და აღუნიშნავს, რომ მას მნიშვნელოვა- ნი ცვლილებები შეჰქონდა სან-სტეფანოს ზავის პირობებში. თუ კონგრესი ამას მიიღებდა, მისი სიტყვებით, მაშინ მხოლოდ დეტა- ლების განხილვა დარჩებოდა. ბისმარკი ცდილობდა „პატიოსანი მაკ- ლერის“ როლი შეესრულებინა და მიუკერძოებელი ყოფილიყო, რამ- დენადაც ამის საშუალებას მოვლენები აძლევდა. იგი მხარს უჭერდა როგორც რუსების პრეტეზზიებს შავი ზღვის ევროპულ და აზიურ სანაპიროებზე, ისე ავსტრია-უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ანდრაშის პოლიტიკას, პუოლოდა სამხედრო კონტიგენტი ბოსნიასა და პერცეგოვინაში [11, 363].

1878 წ. 8 ივლისს ცნობილი გახდა, რომ 4 ივნისს ინგლისსა და თურქეთს ხელი მოუწერიათ საიდუმლო სამხედრო კონვენციაზე. ამ ცნობას უკმაყოფილება გამოუწევია კონგრესზე [19, 164], რადგან ბათუმისა და მცირე აზიაში საზღვრების დაწესების საკითხების გამო ინგლისსა და რუსეთს შორის ბრძოლა გრძელდებოდა. თურ- ქეთს იმედი ჰქონდა, რომ ლონდონი დაეხმარებოდა ბალკანეთზე საზღვრების დაწესების, ბათუმისა და ალაშკერტის ხეობის დაბ- რუნების და სხვა საკითხების გადაწყვეტაში. ლონდონში ელოდნენ თურქეთის სულთნის მიერ კონვენციის რატიფიცირებას და აზიის საკითხები ამ დროისათვის შემონახული ჰქონდათ განსახილველად. იმავე დროს სულთანს ემუქრებოდნენ, რომ მხარს დაუჭერდნენ თურ- ქეთის დაყოფის გეგმას, თუ დროზე არ მოხდებოდა კონვენციის დამტკიცება. ბიკონსფილდი ჯერ კიდევ 1877 წელს ფიქრობდა შეექმნა სამხედრო-საზღვაო ბაზა ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში. კვიპროსის ხელში ჩაგდება კი წარმოადგენდა აზიაში ინგლისის ექს- პანის არსებით ელემენტს, რომელიც შეადგენდა ინგლისის კონ- სერვატიული მთავრობის მთავარ ამოცანას [7, 129]. 6 ივლისს

თურქეთმა მოახდინა კონვენციის სანქციონირება და ინგლისის დელეგაციამ 9 ივლისს ბათუმის საკითხის საბოლოო გადაწყვეტაზე თანხმობა განაცხადა.

ლობანოვი, რუსეთის ელჩი თურქეთში, 15 ივლისს იტელინებოდა, რომ ვიდრე ბათუმის საკითხი დაისმებოდა კონგრესზე, ლონდონს სურდა გარანტიების მიღება, რომ კვიპროსს დაუუფლებოდა. ამიტომ იყო, რომ 6 ივლისს ინგლისის ელჩმა კონსტანტინოპოლში ლეიარდმა თურქეთის მთავრობას გადასცა სოლსბერის დეპეშა, რომელშიც ლონდონი მოითხოვდა 24 საათის განმავლობაში სულთანს მიეღო კვიპროსის გადაცემის ფირმანი, წინააღმდეგ შემთხვევაში თურქეთის ინტერესების დაცვაზე უარით იმუქრებოდა. 7 ივლისს თურქეთის მთავრობის სხდომაზე გადაწყდა კვიპროსის გადაცემის ფირმანის საკითხი, რის შესახებაც აცნობეს სოლსბერის. ამის მიუხედავად, თურქეთის დიდმა საბჭომ კვიპროსის დათმობის შესახებ ფირმანის გამოცემა გადასდო კონგრესის დამთავრებამდე იმის შიშით, რომ რუსეთს უარი არ ეთქვა მცირე აზიაში ბაიაზეთისა და ალაშკერტის ხეობის დათმობაზე. ბიკონსფილდი და სოლსბერი ინგლისის პარლამენტს არწმუნებდნენ, რომ ისინი აგრძელებდნენ ბრძოლას ბათუმისა და დასავლეთ სომხეთის გარშემო [17, 102]. ცხადი იყო, რომ ბათუმისა და დასავლეთ სომხეთის საკითხებზე ლონდონის დიპლომატიურ ბრძოლას უშუალო კავშირი ჰქონდა კვიპროსის ხელში ჩაგდების საკითხოან.

1878 წ. 8 ივლისს ინგლისმა თანხმობა განაცხადა რუსეთისათვის უარისის, არტაანის და ბათუმის გადაცემაზე. ამის მიზეზი გახდა ის გარემოება, რომ იმავე დღეს ბიკონსფილდმა გამოაცხადა ინგლისის მიერ კვიპროსის დაპავების შესახებ, თუმცა კვიპროსი ფორმალურად და იურიდიულად თურქეთის იმპერიის ნაწილად 1914 წლამდე რჩებოდა. ამის შემდეგ გორჩაკოვს აღარ გაუმნელდა ბიკონსფილდის თანხმობის მიღება, რომ ბათუმი „ძირითადად კომერციულ“ ნაგადებურად გამოეცხადებინათ. რუსაზე საზღვრების ზესტი მიმართულების განსაზღვრის მიმართ სირთულეების გამო, დაწესებული იქნა უბრალო სწორხაზობრივი საზღვარი მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის და ადგილის რელიეფის თავისებურების მხედველობაში მიუღებლად. ამის მიუხედავად, კონგრესის XIX სხდომაზე საზღვარი დაამტკიცეს და ბერლინის კონგრესის მუშაობაც დასასრულს მიუხელოვდა. ბერლინის ტრაქტატის 58-ე მუხლით ბათუმი, აჭარა, შავშეთი, არტაანი, ძველი სამცხე-საათაბაგოს სხვა ნაწილები, აგრეთვე ყარსი და დასავლეთ სომხეთის ნაწილი, რუსეთს უერთდებოდა. 59-ე მუხლში მოცემული იყო ბათუმის პორტ-ფრანკოს სტატუსი [9, 229]. მიუხედავად ლონდონის დიპლომატიური ძალისხმევისა, ისტორიული ქართული ტერიტორიების დიდი ნაწილი დაბრუნებულ იქნა და რუსეთს გადაეცა. თუმცა, ლონდონმა შეძლო ამ დათმობების საფასურად კვიპროსი ჩაეგდო ხელში და ბათუმის საკითხში რუსეთი აიძუ-

ლა დაეთმო. ამით რუსეთმა, რა თქმა უნდა, ბრძოლით და სისხლით მიღწეულ სან-სტეფანოს მონაცვარზე ნაწილობრივ უარი თქვა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. „დროება”, 1878 წ.
2. გ. დონაძე, ბოსფორი და დარდანელი, თბ., 1983.
3. ა. ჩხეიძე, ბათუმი ინგლისის ახლოადმოსავლერ პოლიტიკაში (1875-1878 წწ.), ბათ., 1974.
4. Бригс Э., Клэвин П., Европа нового и новейшего времени с 1789 года и до наших дней, Пер. с англ., М., 2006.
5. Дебидур А., Дипломатическая история Европы. 1814-1878, Т. II, пер. с фран., Ростов-на-Дону, 1995.
6. Ерусалимский А.С., Бисмарк. Дипломатия и милитаризм, М., 1968.
7. История дипломатии, т. II, М., 1963.
8. Королов А. Г., Фрейфельд О. Н., Международные отношения, 1870-1918, Сборник документов, М., 1940.
9. Международная политика новейшего времени в договорах, нотах и декларациях, ч. I, М., 1925.
10. Освобождение Болгарии от турецкого ига, т. 1-2, М., 1964 (т.2, док. 400).
11. Палмер А., Бисмарк, Пер. с англ., Смоленск, 1998.
12. Сборник договоров России с другими государствами, 1856-1917, М., 1952.
13. Чубинский В. Бисмарк – биография, С-Пб., 1997.
14. Buchheim K., Das Deutsche Kaiserreich, 1871-1918, München, 1969.
15. Engelberg E., Bismarck, Das Reich in der Mitte Europas, Berlin, 1990.
16. Gall L., Bismarck Der Weise Revolutionär, Frankfuct a/M., 1980.
17. Medlicott W.N., The Congress of Berlin and after, – A Diplomatic History of the Eastern Settlement, 1878-1880, London, 1938.
18. Rachahl F., Deutschland und die Weltpolitik, 1871-1914. Bd. I, Stuttgart, 1923.
19. Summer B. H., Russia and Balkans, Oxford, 1937.

Vazha Chochia (Gori, Georgia)

1878 San-Stephano truce and issue of Batumi on Berlin congress

Summary

In this article there are shown reasons and terms, that stipulated to form secret contract between Russia and England on 30th May of 1878 about changes of San-Stephano contract's articles. On 4th June of 1978 between England and Turkey was signed secret convention in Constantinople, according that England took Cypress occupation and administration right in return to protect Batumi, Ardagani, Karsi

from Russia's encroach. On 6th June England signed secret convention with Austria-Hungary that considered united action against Russia on Berlin congress.

Among the many critical problems on Berlin congress there was also Batumi question. With the help of England, Turkey tried to return back Batumi which was lost by San-Stephano truce. By means of diplomatic fight related to the Batumi and West Armenia issues London tried to seize cypress. Hence the situation of congress Beaconsfield understood that Batumi issue wouldn't settle cypress problem and refused it. Return he raised the issue to declare Batumi. as an independent. Russia avoided to tense the situation toward England and declared consent, in spite of England's consent on 8th July of 1978 for Kars, Ardahan and Batumi transfer to Russia. By that reason, Beaconsfield declared cypress capture by England that was a result of diplomatic pressure on Turkey. Russia managed to preserve Batumi, but lost many gains of San-Stephano.

ლოცო ჭუმბურიძე
(თბილისი, საქართველო)

გაზეთი „დროება“ ბათუმის დაკავების შესახებ

1878 წლის 13 ივნისს ხელმოწერილი ბერლინის ტრაქტატის ძალით რუსეთის იმპერიამ შეიერთა აჭარა, შავშეთი, კლარჯეთი, იმერევი, კოლა-არტაანი და ოლთისი. ეს ტერიტორიები ტრაქტატის ხელმოწერისას უკვე რუსულ ჯარს ეპავა, თურქთა ჯარი მხოლოდ ბათუმში რჩებოდა. არავინ იცოდა, რას მოიმოქმედებდა ეს პანთურქული იდეოლოგიით აღგზნებული არმია, როდესაც ქალაქში რუსული ჯარის ნაწილები შევიდოდნენ. რუსული ჯარის ნაწილებს ბათუმში შეჰვევა გაზეთ „დროების“ რედაქტორი, ცნობილი პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე – სერგეი მესხი. იმდენად დიდი იყო ხალხის ინტერესი ამ ისტორიული ფაქტისადმი, რომ რედაქტორი არავის დაანებებდა ამ მოვლენის გაშუქებას.

ქართველი ხალხის ოცნება სამუსლიმანო საქართველოს დაბრუნებაზე კარგად გამოჩნდა ომში წამსვლელ მოხალისეთა ენთუზიაზმში, ქართული საზოგადოების გამორჩეულ ინტერესში ომისადმი, რაც ქართულ პრესაში ჯერ კიდევ მომდევ, ბალკანეთის კრიზისის გადრმავებისთანავე აისახა. 1875 წელს აჭარლებმა უარი განუცხადეს თურქეთის მთავრობას ბალკანებში, აჯანყებული ჰერცეგოვიანელების წინააღმდეგ გალაშქრებაზე, რამაც ხელისუფლებასა და ხალხს შორის დაპირისპირება გამოიწვია [ს. ახვლედიანი, 1957: 123]. აჭარელთა ანტიურქულმა გამოსვლაში გაზეთი „დროება“ და მისი რედაქტორი მაშინვე გაახარა და დააინტერესა. მან ამ მოვლენაში საქართველოსთვის სასარგებლო ფაქტი დაინახა [ს. მესხი, 1950: 196].

ბათუმის დაკავება არზრუმის სანაცვლოდ 1878 წლის 13 ივნისს ბისმარკის მეთაურობით შეკრებილმა ბერლინის კონგრესმა გადაწყვიტა. თურქები დათანხმდნენ ამ პირობას, თუმცა ყოველმხრივ აფერხებდნენ ქალაქის დაცლას. მათი მიზანი იყო, რაც შეიძლება მეტი სიმდიდრე გაეზიდათ ბათუმიდან და მთლიანად აჭარიდან. თუ რა ხდებოდა ბათუმში და რას აკეთებდნენ თურქი სამხედროები, კარგად ჩანს სერგეი მესხის შვიდ წერილში, „დროებაში“ რომ გამოქვეყნდა. ეს წერილები აცოცხლებენ ისტორიულ ფაქტებს, ბევრ დეტალს მატებენ ამ ომის ისტორიას, აღადგენენ მძღოლინდელი ბათუმის საქალაქო სახესა და აქ მცხოვრებ ქართველთა პორტრეტებს. წერილები დაწერილია: 1. თვითმხილველის მიერ მოვლენების ცხელ კვალზე; 2. წერილების ავტორი გამორჩეული ნიჭის პუბლიცისტი და მოაზროვნეა, რომლის შეხედულებები რუსეთ-საქართველოსა და საქართველო-უროპის ურთიერთობებზე დღესაც აქტუალურად უდერს და ობიექტურად აღიქმება; 3. სტატიებში დაუფარავად იკითხება, რომ რუსეთი არ ფიქრობდა არც აჭარის მკვიდრ ქართველებზე და არც საქართ-

ველოზე, რომლის ხევნებაც კი ამ დროს ცენტურის აღშფუთვებას იწვევდა; ის თითქოს წინასწარ გრძნობს აჭარის ხევდრს კოლონიურ საქართველოსა და იმპერიულ რუსეთში. მართლაც, ბათუმის აღები-დან სულ რაღაც სამ თვეში, 1879 წლის 3 თებერვალს ხელისუფლებამ გამოსცა კანონი აჭარის კ. წ. თავისუფალი მიწების რუსი კოლონისტებით დასახლების თაობაზე, 1884 წელს კი, ქუთაისის მაშინდელი სამხედრო გუბერნატორის – გენერალ-ლეიტენანტ სმეკალოვის ხელმძღვანელობით, დაარსდა პირველი რუსული დასახლება აჭარაში – „სმეკალოვკა“. სერგეი მესხი ქართული ეროვნული მოძრაობის აქტიურ ფრთას მიეკუთვნებოდა და მისთვის უპეე ნაცნობი იყო რუსული იმპერიულ-დაპყრობითი ხრისტი, მის წერილებში, აჭარის დაბრუნების დიდ სიხარულთან ერთად, ეს ცოდნა და პატრიოტი ქართველის გრძნობაც იკითხება. თუ გავითვალისწინებოთ ამდროინდელი ცენტურის სიმკაცრეს, სტატიები ობიექტური, გაბედული და პრინციპული პოზიციით, ქართული პრესის ეროვნული ბრძოლის ავანგარდში ყოფნის უტყუარ ნიმუშადაც შეიძლება მივიჩნიოთ.

სერგეი მესხი რუსულ ჯართან ერთად სამტრედია-ოზურგეთის გზით გაემართა ბათუმისაკენ. გზა იმდენად ცუდი ყოფილა, რომ სვიატოპოლქ-მირსკის გზის სამხედრო ინსპექტორის – ვახრამოვისთვის სასტიკი საყვედური გამოუცხადებია. ამის გამო მთელი გურია გამოსულა გზის სამუშაოზე.

ბათუმის დაკავების თარიღად ბერლინის კონგრესით დაწესებული იყო 25 აგვისტო. მესხი იმასაც აღნიშხავს, რა ძნელი იყო ამ თარიღის ზუსტად განსაზღვრა, რადგან მოწინააღმდეგებს ასე ადვილად არ შეეძლო მისი შეღევა. პუბლიცისტის აზრით, ბათუმში პირველად არტაანის რაზმი უნდა შესულიყო 25 რიცხვში, თუმცა ვრცელდებოდა ხმები, რომ 5 სექტემბრამდე ვადა ითხოვეს თურქებმა, ამასობაში შესაძლოა საომრად მოემზადონ ლაზები და ქობულეთლები, მათ 10 ათასამდე მეომარი ჰყავთ გამზადებული.

ამ ჭორებს სერგეი მესხი „დამფრთხალი ტვინის მოგონილ ამბავს“ უწოდებს და სრულიად საპირისპირო ამბავს აუწყებს „დროების“ მკითხველს. მისი აზრით, ლაზებსა და ქობულეთლებზე დიდი გავლენა მოახდინა გრიგოლ გურიელმა, რომელიც, ბათუმში შესვლამდე, ქობულეთის სამოქალაქო მმართველად დაინიშნა და რომელიც ისე უყვარდათ აქაურებს, რომ მისი ყოველი სიტყვისა სჯეროდათ. ქართული საზოგადოება აღაფრთოვანა შექმნილ რთულ სიტუაციაში გურიელის დიპლომატიამ და მამული შვილურმა ქმედებამ. ამას თუ გულისხმობდა პეტერბურგიდან „დროებისთვის“ გამოგზავნილ წერილში აკაკი წერეთელი, როდესაც გრიგოლ გურიელთან დაკავშირებით საუბრობდა ქართულ ჭკუასა და გონებაზე, ავ-კარგის გარჩევასა და ზნეობაზე [გაზ „დროება“, 1878, №183]. სწორედ გურიელის სამოქალაქო მმართველად მისვლის შემდეგ შემწყდარა ბათუმიდან და ქობულეთიდან ხალხის წასვლა თურქეთში. ის კი არადა, ბევრი მის გამო უკანვე დაბრუნებულა. ამ საკითხზე რომ საუბრობს,

სერგეი მესხი აკრიტიკებს რუსულ სამხედრო ხელმძღვანელობას, რომელმაც ბათუმში არ შეიყვანა არც ერთი ქართული დრუჟინა. „რაც არ უნდა იყოს, ჩვენ, ქართველებს, ისინი მაინც უფრო გვიცნობენ, უფრო თავის მძებად მივაჩივართ და ამიტომაც უფრო გვენდობიან, ჩვენებური ჯარების დანახვა ამათ უფრო დაარწმუნებდა, რომ რუსები მართლა იმათი ქვეყნის ასაკლებად და ასაოხრებლად, იმათი სარწმუნოების შესავიწროებლად არ მიდიან იმათთან. სამწუხაროდ, ეს გარემოება არ მიუღია მხედველობაში ჩვენს სამხედრო მთავრობას. არცერთი სოტნა ჩვენებური ჯარისა არ მჰაჟავთ ახლად შეძენილს ოსმალოს საქართველოში“ [გაზ. „დროება“, 1878, №174].

24 აგვისტოს დამე ჯარმა და „დროების“ პუბლიცისტმა ჩაქვში გაატარა. იგი აღწერს ციხისძირსა და ჩაქვს, აკრიტიკებს და საბრძოლო გეგმას უწუნებს რუსული ჯარის მეთაურებს ციხისძირთან დამარცხებისათვის, რაც, რუსული ჯარის წარმატებებით აღტყინების ქამს, დიდი გაბედულება იყო ქართველი პუბლიცისტის მხრიდან.

იმდროინდელი ჩაქვი, მესხის თქმით, ეკონომიკის თვალსაზრისით ძლიერი ყაზი (მაზრა) იყო, მოჰყავდათ დიდი რაოდენობით სიმინდი, დომი და ბრინჯი, მარტო პუსტი-ბეგი (ბეჟანიძე) ყოველწლიურად 3000 მანეთის ბრინჯს ჰყიდდა, ჩაქვის ღვინო კი მთელს ოსმალოს საქართველოში ყოფილა განთქმული. აქ მოდიოდა შესანიშნავი ხილის მოსავალიც, რომელიც გასაყიდად გაჰქონდათ არტაანსა, ტრაპიზონსა და სხვა ქალაქებში.

ჩაქვიდან ბათუმში მიმავალ ჯარს შუა გზაზე შეეგება თურქეთის არმიის ბრიგადის გენერალი მუსტაფა-ფაშა ერთი პოლკოვნიკით, ორი ოფიცრით და 30 ცხენოსნით. მუსტაფა-ფაშა, სერგეი მესხის დახასიათებით, ძალიან ახალგაზრდა და ლამაზი ვაჭაცი ყოფილა. მას შორიდან მიუცია სალამი სვიატოპოლკ-მირსკისთვის. როდესაც მიახლოვებიან ერთმანეთს, რუს გენერალს ხელი გაუწოდებია ჩამოსართმევად, თურქსაც მიუწევია ცხენი ხელის მისაცემად. ამ ინციდენტს ასე აღწერს მესხი: „როცა ო. მირსკიმ გაუწია ხელი ჩამოსართმევად და მუსტაფა ფაშამაც მოიწია ხელის მისაცემად, იმის ცხენმა უეცრად ერთი საშინლად დაიჭიბებინა, იტლინკა და უკან დაიწია, რამდენი ეცადა, რომ მოეწია ცხენი, მაგრამ არა ეშველა რა, როგორც მიუახლოვდებოდა და ხელს გაიშვერდა, იმწამსვე ცხენი დაიწყებდა ტოკვას, დადგებოდა უკანა ფეხებზედ და უკან დაიხევდა... თითქო არ სურდა, რომ იმის პატრონს რუსის გენერლისათვის ხელი მიეცა“ [გაზ. „დროება“, 1878, №176].

ბათუმის ოლქის თურქი ხელმძღვანელი – დერვიშ-ფაშა ერთ ვერსხე შეხვდა რუსეთის ჯარსა და სახოგადოებას. ზედ ბათუმის კართან კი სვიატოპოლკ-მირსკის დაუხვდა ქალაქის დეპუტატაცია. მირსკი ჩამოხტა ცხენიდან, მივიდა დეპუტაციასთან და მოკლე სიტყვით მიმართა, სადაც ადნიშნა, რომ ეს ქვეყანა რუსეთის იმპერატორს დარჩა, თქვენს სარწმუნოებას არავინ შეეხება, თქვენს ოჯახებს ნურაფრის შეეშინდებათ. იყავით და იცხოვრეთ მშვიდობიანად,

ემსახურეთ რუსეთის იმპერატორს ისე ერთგულად, როგორც აქამდე რსმალეთის სულთანს მსახურებდით და დარწმუნებულნი იყავით, რომ არა მხრივ საფრთხე და შეწუხება არ მოგელითო...

ბათუმში სამი დღის ყოფნის შთაბეჭდილება ასახულია მესხის მეოთხე წერილში. საინტერესოა დერვიშ-ფაშას მისეული შეფასება. დერვიშ-ფაშა ამ დროს სამოც წლამდე ასაკის ყოფილა. მაღალი ტანის, ოდნავ წელში მოხრილი, გამხდარი, პატარა ჭაღარა წვერით. ერთი შეხედვითაც ჩანს, რომ ჭკვიანი კაციაო, – წერს პუბლიცისტი. ის აცნობს მკითხველს სხვათა აზრს ბათუმის ყოფილ თურქ გამგებელზე: ამბობენ მშრომელი, პასუხისმგებელი ადამიანიაო, სიმაგრეების აგებასა თუ ყველა სხვა საქმეში თვითონ მონაწილეობდაო. შემდეგ აგრძელებს: ამაში მეც დავრწმუნდი, როდესაც ბათუმის პორტში მის საქმიანობას ვუყურე ამ დღეებში, ვნახე, როგორი წესრიგით ჩაალაგეს მისი ხელმძღვანელობით თურქებმა ბარგი-ბარხანა ხომალდებში ტრაპიზონში და სტამბულში წასაღებად. თითქმის დილიდან საღამომდე ფეხმოუცვლელად იჯდა ის ზღვის ნაპირას, ბათუმის რეიდზე და ხან ერთ განკარგულებას აძლევდა და ხან მეორეს – როგორ ჩაელაგებინათ სხვადასხვა საქონელი ხომალდებში, როგორ ჩაესვათ ჯარები და სხვა.

მესხის მიერ აღწერილი ახლად შემოერთებული ბათუმი იმდროინდელი ქართული ქალაქებისაგან განსხვავებული, ჩქარი მაჯისცემით გამოირჩევა. ამის მიზეზი იყო ის, რომ თურქები მიდიოდნენ და აღარაფერს ტოვებდნენ, ყველაფერი მიჰქოდათ. მეორეც, საქართველოს ყოველი კუთხიდან ჩამოდიოდნენ ვაჭრები და ყიდულობდნენ, ქირაობდნენ სავაჭრო სახლებს, მაღაზიებს, სასტუმროებს, დუქნებს. ეს აფიქრებინებს ავტორს, რომ რუსების შემოსვლა მაინც მოულოდნელი იყო როგორც ხალხისთვის, ასევე თურქული სარდლობისთვისაც [გაზ. „დროება“, 1878, №177].

სიიაფით განთქმულ ბათუმში ყველაფერი გაძვირებულა. ყველაზე იაფი ყოფილა ევროპული სასმელები, რასაც რუსი ჯარისკაცები ისე მისმალებიან, რომ, თვითმხილველის სიტყვით, მტკერსა და ტალახში ეყარნენ ხშირად. მიუხედავად ამისა, ბათუმში წესრიგი იყო. ოსმალები წყნარად ალაგებდნენ წასაღებ ტვირთს, მათ რამაზანი აქვთ და დღისით წყალსაც კი არ სვამენო. მესხი აღწერს სვიატოპოლკ-მირსკისთან გამართულ დარბაზობასაც. ჯერ დერვიშ-ფაშას გაუმართავს დარბაზობა რუსი გენერლებისათვის, მომდევნო დღეს კი სვიატოპოლკ-მირსკის, რუსულ გემზე „პამიატ მერკურია“ მიუწვევია თურქი გენერალი და მისი ამალა. დერვიშ-ფაშას ორჯერ წარმოუთქმის სიტყვა. პირველ სიტყვაში ის აზრი გამოუხატავს, რომ ჩვენ დღემდინ მტრები ვიყავით და ამ მტრობაში მტკიცედ, მარჯვედ, მხნედ ვიდექით ერთმანეთის წინააღმდეგო. ახლა მშვიდობიანობა დამყარდა და ვინატროთ, რომ ამ მშვიდობიანობის დროსაც ისე მტკიცედ და ენერგიულად დავდგომოდეთ ყველა სამშვიდობო საქმეს, როგორც მაშინ სამხედრო საქმეებს ვადექით.

მეორედ უთქვამს, რომ ყოველ კაცს თავის გულში უჭირებია, ერთი რამ კეთილშობილური გრძნობა, სიყვარული და წადილი აქვს ღრმად დაწერილი, რომელსაც ხშირად საქვეყნოდ არ გამოააშკარავებს ხოლმეო, ამ იღუმალი სიყვარულისა და გრძნობის სადღეგრძელო დავლიოთო..

ისე მშვენივრად და ტპბილად ლაპარაკობს თურმე დერვიშ-ფაშა, რომ ვისაც არ ესმის თათრული, იმასაც კი თავის დღეში არ მოწყინდება იმის უურისგდებაო, – ირწმუნება მესხი [გაზ, „დროება“, 1878, №177].

სერგეი მესხის აღწერით, 1878 წლის შემოდგომის ბათუმი ასე გამოიყურებოდა: ოსმალური ქალაქების მხეგვაცხად და მიმდინარე საომარი ბატალიების გამო, ის მტვრიანი, უსუფთაო ყოფილა. ძირითადად აზიური იყო ქალაქის არქიტექტურული ტიპიც და ხალხის ცხოვრების წესიც. მაგრამ იყო ევროპული ტიპის შენობებიც. ამის მაგალითად პუბლიცისტს მოაქვს: ალი-ფაშა თავდგირიძის და კონსულის სახლები, ე.წ. „დამოუნა“და კიდევ სანაპიროზე განლაგებული რამდენიმე სახლი. მთელი ობის დროს ქალაქი ჯარით იყო გავსებული, სახლი ადარ დარჩა, ფანჯარა რომ არ ჰქონდეს ჩატეხილი, იატაკი აყრილი, ქუჩაში, მოედნებზე, ზღვის პირებზე ნაგავი და მტვერი ყრიაო. ქალაქის მცხოვრებთათვის ყველაზე მავნებლად მესხს მიაჩნდა ოსმალური სასაფლაო, რომელიც ქალაქს დასავლეთის მხრიდან ეკრა და სადაც, მცხოვრებთა გადმოცემით, 30 ათასი კაცი მაინც იყო დასაფლავებული. ოსმალური წესით, მკვდრები ღრმად არ იმარხებოდნენ, ზოგან ჩანდნენ კიდეც მიცვალებულნი, რაც სანიტარული თვალსაზრისით საშინელ სურათს ჰქმნიდა.

„ქველი ოსმალოს სასამართლო (მეჯლისი) მოისპო, ახალი ჯერ არ დაუდგენიათ. სკოლები ოსმალებმა ჩვენი შემოსვლისთანავე დახურეს. აქ ყოფილა ერთი სახელმწიფო სკოლა გიმნაზიასავით და 15-მდის სამრევლო სკოლა მეჩეთებთან და მელრესებთან. სამოქალაქო საქმეების გამგეობას წარმოადგენს თ. გრიგოლ გურიელი, პოლიციას – სტეფანე მეფისაშვილი. ყოველ დამე აფხოვებად დადიან სამი რუსი და სამი ოსმალო სალდათი ქუჩებში და ერთად, მმურად იცავენ მცხოვრებთა მშვიდობიანობას. რაც ჩვენ აქ ვართ, ერთი უბრალო ქურდობა და ავაზაკობა რა არის, არ მომხდარა. რუსი და ოსმალო სალდათები მეგობრულად არიან. ხშირად ერთად შეკრებილნი შექცევიან ხილს, საზამთროს, ყურძენს, მსხალს, გალეტებს და გაცხარებით მუსაიფობენ“ [გაზ. „დროება“, 1878, №178].

სერგეი მესხი საუბრობს ბათუმში მცხოვრებ ქართველებზე. ესენია: თავდგირიძეების და ბეჭანიძეების წარჩინებული გვარის წარმომადგენლები, რომელთაც აჭარაში სხვადასხვა თანამდებობები ჰქირათ. ზოგიერთ მათგანს ის გასცნობია კიდეც ამ მოგზაურობის დროს. ესენი ყოფილან მმები ალი და ოსმან-ფაშა თავდგირიძეები. ბეჭანიძეებიდან (ის ყველგან ბეჭანიშვილს წერს) გასცნობია ჰუსეინ-ბეგ ბეჭან ოდლის, რომლის ერთი მმა ყირიმის ომში მოუკლავთ.

მოკლულ ძმას დარჩენია სამი ვაჟი. ერთ მათგანს – ხასან ბეგს ძალიან ახლოს გავეცანიო, – მიუთითებს პუბლიცისტი.

სერგეი მესხი ამ ორ გვარს წარჩინებულ გვარად თვლის ოს-მალეთის ხონთქრის კარზე. ისინი სცემდნენ ყველა განკარგულებას აჭარაში. ქობულეთსა და ბათუმში როგორც მეფეები, ისე გრძნობდნენ თავსო. ომის დროს მათ უნდა გამოეყვანათ ჯარი და სარდლებიც ისინი იყვნენო. მიმდინარე ომშიც თსმალოს მთავრობამ ქობულეთის, ჩაქვის და ბათუმის მაზრებში მილიციონერების მოკრება და სარდლობა ამათ მიანდო, როგორც დამარტმუნეს, 10 ათასამდე მეომარი გამოუყვანიათო. ამ ჯარების უფროსობა მინდობილი ჰქონდა ჯერ აღი-ფაშა თავდგირიძეს, მაგრამ მალე დერვიშ-ფაშამ მას რუსეთის მომხრეობა დასწამა და ტრაპიზონში გააგზავნა, სარდლობა იმის ძმას – თსმანს მისცა, მაგრამ მალე ისიც იმავე მიზეზით დაიჭირა და ტრაპიზონში გაუშვაო. უცხო ქვეყნის გაზეთები მათ მიერ ფულის გაფლანგვას ასახელებდნენ დერვიშ-ფაშასთან უკმაყოფილების მიზეზად, სერგეი მესხის აზრით, ისინი თავად რუსეთის ფაქტორს მიიჩნევდნენ ამ საქმეში გადამწყვეტად. მშები იმდენად შეურაცხყოფილი ყოფილან ბრალდებით, რომ მესხთან საუბრისას გამოუთქვამთ სურვილი სტამბოლში წასვლისა და ხონთქრის წინაშე თავის მართლებისა. მთავარი აქ თურქეთის ან რუსეთის პრობლემა კი არ იყო, არამედ ამ ადამიანებისთვის ერთგულების ზნეობრივი დორებულება.

თსმან ფაშა თავდგირიძე ამ დროს 45-50 წლის ყოფილა, დაფიქრებულ, მოწყენილ პირისახეზედ ატყვია, რომ ბევრი დარღი და მწუხარება გამოუვლიაო, – გვეუბნება პუბლიცისტი. ძალიან კარგი ქართულიო მეტყველებს და გარეგნობითაც ნამდვილი ქართველიაო. ასევე გვაცნობს ავტორი ხასან ბეგ ბექანიძეს – 33 წლის ჩაქელ მებატონეს ბათუმშიც დიდი მამულები აქვსო, ბევრი რამ მიამბო ხასან ბეგმა აჭარელთა შეხედულებებისა და ხასიათის შესახებო.

30 აგვისტოს ბათუმში შევიდა არტაანის რაზმი გენერალ-მაიორ კომაროვის სარდლობით, თან ჩამოჰყა დეპუტაცია ართვინიდან, მაჭახელიდან, შავშეთიდან და აჭარიდან. აქ ყოფილა შერიფ ბეგ ხიმშიაშვილის მმისწული – ნურიდ-ბეგიც. სვიატოპოლქ-მირსკიდ მომართა დეპუტაციას, იმედი მისცა, რომ მათ სარწმუნოებას და არც წეს-ჩვეულებებს არავინ შეეხებოდა

მესხი აღწერს მიწის ყიდვა-გაყიდვის საკითხში შექმნილ სირთულეებს და ამბობს, რომ ზოგჯერ ერთი და იგივე მამული ორჯერ და სამჯერაც იყიდებოდა, რაღაც კადასტრის დავთრები, საკანცელარიო და საარქივო მასალები თსმალებმა წაიღეს. გაუქმებული იყო ბათუმის მეჯლისიც. ახალი სამხედრო გუბერნატორი – გენერალ-მაიორი კომაროვი იძულებული გახდა გამოეცა ბრძანება უძრავ-მოძრავი ქონების გაყიდვის მანამდე შეჩერებაზე, სანამ ტრაპიზონიდან (სადაც იყო ბათუმის მაზრის მემამულების კადასტრი) არ მოვიდოდა საკუთრების შესახებ ცნობა [გან. „დროება“, 1878, №181].

„დროება“ აქვეყნებდა ინგლისური „მანჩესტერ გარდიანიდან“ გადმოღებულ წერილს ქობულეთიდან და ბათუმიდან გადასახლებულთა საშინელ მდგომარეობაზე, რომ თურქეთში წასულები საშინელ დღეში აღმოჩნდნენ და ისინი აქაურ ნათესავებს ურჩევდნენ სამშობლოში დარჩენას [გახ. „დროება“, 1878, №195].

ომის შედეგებს, აჭარის საკითხს – გაზეთი „დროება“ შემდეგაც მრავალჯერ მიუბრუნდა. მათ შორის სერგეი მესხის პუბლიკაციებიც იყო. რაც შეეხება ჩვენ მიერ განხილულ შვიდ სტატიას 1878 წლის გაზეთ „დროებაში“, მათ აქვთ წყაროს მნიშვნელობა. მასალა აღებულია თვითმხილველის მიერ და მასში გადმოცემულია უშალოდ, მოვლენების ეპიცენტრში მყოფი ადამიანის შთაბეჭდილებები და განცდები. მით უფრო დირებულია მოტანილი ფაქტები და შეფასებები, რომ ის ისეთ გამოჩენილ პუბლიცისტს, მოაზროვნესა და პატიოტ მოდვაწეს ეპუთვნის, როგორიც სერგეი მესხი იყო.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

1. ხ. ახვლედიანი, სახალხო-განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიიდან სამხრეთ საქართველოში, 1957.
2. სერგეი მესხი, წერილები, თბ., 1950.
3. გაზ. „დროება“, № 183, 1878; აკაკი წერეთელი, წერილი პეტერბურგიდან, გაზ. „დროება“, №183, 1878.
4. გაზ. „დროება“, №№ 174-181, 1878; სერგეი მესხი, წერილების სერია – „ბათუმში“, გაზ. „დროება“, №№174-181, 1878.
5. გაზ. „დროება“, №195, 1878; „ტრაპიზონში გადასახლებული ქობულეთლების მდგომარეობა“, გაზ. „დროება“, №195, 1878.

Dodo Chumburidze (Tbilisi, Georgia)

Magazine “Droeba” About the Occupation of Batumi

Summary

On the strength of the Berlin treaty of 1878, July 13 Russian empire annexed and joined Achara, Shavsheti, Klarjeti, Imerkhevi, Kola-Artaani and Oltisi to Russia. When the treaty was signing these territories had already been occupied by Russian troops and Turkish army was only in Batumi. No one knew what these troops, excited with pan-Turkish ideology, should have done when Russian sub-military units would enter the town. Together with Russian military sub-units and Georgian warriors who bravely fought, the editor of the magazine “Droeba”, famous publicist and public figure Sergei Meskhi, entered Batumi. He published seven articles in “Droeba”. In his articles he thoroughly described the enter of the

Russian army in Batumi, the mood of the citizens, the town itself and the relations of the Russian and Turkish troops who were located in the town.

The publications of Sergei Meskhi have the importance and the value of historical source. They may shed the light more precisely on historical facts. They also obviously show what Georgian Muslims thought about returning back to motherland.

**ოთარი გოგოლიშვილი
(ბათუმი, საქართველო)**

**ბათუმის განახანიანების ისტორიისათვის
მე-19 საუკუნის ფამალე**

(გ. რჩეულიშვილისა და პ. ლიპინსკის პროექტი)

1896 წლის ივნისში, ქუთაისის გუბერნიის სამხედრო გუბერნატორმა, ქალაქ ბათუმის მაშინდელ თავს ლუკა ასათიანს გადმოუგზავნა დამტკიცებული, გ. რჩეულიშვილის მიერ შესრულებული ქალაქის გენერალური გეგმა, რომელიც შეიცავდა კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიის ტექნიკოს-მშენებლის სიმონსონის შენიშვნებს.

ქუთაისის გუბერნიის გენერალ-გუბერნატორი ბათუმის ქალაქის თავს სთხოვდა ქალაქის განაშენიანება განხორციელებულიყო ამ გეგმის მიხედვით, არსებული შენიშვნების გათვალისწინებით.

1896 წლის 14 სექტემბერს ქალაქის სათათბირომ შექმნა სპეციალური კომისია გეგმაში შეტანილი სიმონსონის შენიშვნების დასამუშავებლად.

კომისიამ სათანადოდ შეისწავლა გენერალური გეგმა და დამატებითი შესრულებისათვის წარმოადგინა შემდეგი შინაარსის წინადაღებები (ქუჩები წარმოდგენილია მისი დღევანდელი სახელწოდებით):

1. გაგრძელდეს ახმედ მელაშვილის ქუჩა (ადრე ამ ქუჩას ეწოდებოდა სვიატოპოლკ-მირსკის ქუჩა) ზღვის უბემდე და გაფართოვდეს მისი სიგანე შვიდ საჟენამდე, 2. ახმედ მელაშვილის ქუჩა შეუერთდეს გ ელიავას ქუჩას (ყოფილი სავაჭრო ქუჩა), 3. ქუთაისის ქუჩიდან (ეს ქუჩა წარმოქმნილია მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში) დაწყებული, ზღვის უბემდე გაგრძელდეს ვახტანგ გორგასლის ქუჩა (ყოფილი ჯერ კათოლიკის, შემდეგ ბაგრატინსკისა და ოლდას ქუჩები), 4. სერგეი მესხის ქუჩა (წარმოქმნა მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში) გაფართოვდეს 25 საჟენამდე, 5. ილია ჭავჭავაძის ქუჩა (ყოფილი ჯერ პეტროგრადის, შემდეგ კი კოოპერაციის ქუჩა) სამხრეთ ნაწილში გაფართოვდეს 15 საჟენამდე (მდინარე ანგისის მიდამოებში).

კომისიის ეს წინადაღებები სიმონსონმა არ მიიღო და ამიტომაც გ. რჩეულიშვილის ეს გეგმა საერთოდ უარყოფილი იქნა.

მაშინ ლუკა ასათიანმა სთხოვა სიმონსონს, რათა მას თავად შეეღინა ქალაქის გენერალური გეგმა, რაზედაც სიმონსონმა უარი განაცხადა.

ამის შემდეგ ქალაქის გენერალური გეგმის შედგენა, გ. რჩეულიშვილის გეგმის საფუძველზე, დაევალა ქალაქის მთავარ არქიტექტორს კანდიდოვს, მაგრამ კანდიდოვის მიერ შედგენილი ქალაქის განაშენიანების გეგმის პროექტი აღარ დაამტკიცეს [აცსა, ფ. 6, ან. 1, ს. 27, ფ. 197-198].

1897 წლის 29 ოქტომბერს, ქალაქის თავშა ლუკა ასათიანმა ქალაქის გენერალური გეგმის შედგენაზე ხელშეკრულება გააფორმა ქუთაისის გუბერნიის მიწის მზომ პეტრე ალექსანდრეს-ძე ლიპინსკისთან, რომელსაც მიუცა დავალება, რათა გენერალური გეგმის შედგენისას გაეთვალისწინებინა წინა პერიოდში შედგენილი პროექტების მიმართებაში შეტანილი შენიშვნები.

პ. ლიპინსკი, სამსახურებრივი მოვალეობიდან გამომდინარე, კარგად იცნობდა ბათუმსა და მის შემოგარენს, ამიტომაც იყო, რომ იგი უყოფმანოდ დათანხმდა ემუშავა ქალაქ ბათუმის განაშენიანების გენერალური გეგმის პროექტის შედგენაზე.

ქალაქის განაშენიანების გენერალურ პროექტზე მუშაობის დაწყებამდე პ. ლიპინსკიმ ძირფესვიანად შეისწავლა ბათუმის ტოპოგრაფიული მონაცემები, რომლის საფუძველზე შემდეგი დასკვნა გააკეთა:

როგორც ცნობილია, ბათუმი განლაგებულია ზღვისპირა ზოლის ვრცელ დაბლობზე, რომელიც შექმნილია მდინარე ჭოროხის შემონაბანებით. მთელი ეს ტერიტორია, მდინარე ჭოროხიდან მდინარე ბარცხანამდე და მდინარე სკურკუბამდე, აღემატება ზღვის დონეს ერთი მეტრიდან 1,5 მეტრამდე და იგი მხოლოდ დასახლება „გოროდოკის“ შემდეგ მაღლდება.

ქალაქის ტერიტორიაზე ჩაედინება სამი მდინარე: ანგისა, დეგოლმანის წყალი და ბარცხანა. მდინარე ანგისა ძალიან მიხვეულ-მოხვეულია, ამავდროულად მცირეწყლიანია და იგი მდინარეზე უფრო დაგუბებულ ჭაობს გვაგონებს. ამ მდინარემ ზღვასთან შეერთებამდე ერთი კილომეტრის ფარგლებში შექმნა მრავალი ლიმანი, რომლებსაც დროთა განმავლობაში ჭაობის სახე მიუღია. თავისი მცირეწყლიანობის გამო ცუდ ამინდებში მდინარე ანგისას ძალიან უძნელდება ზღვაში შეჭრა (დღეისათვის მდინარე ანგისას ფაქტობრივად დაკარგული აქვს მდინარის მნიშვნელობა).

მდინარე ანგისის ჩრდილო-აღმოსავლეთით განლაგებულია შედარებით ვრცელი სუფთა ტბა, რომელიც ჩვენში ცნობილია ნური-გელის სახელწოდებით. ამ ტბის სიგრძე უდრის 155 მეტრს, სიგანე კი 50 მეტრს. ეს ტბა ძირითადად მიწისქვეშა წყაროებით იკვებება. მისი წყალი იმდენად სუფთაა და კამკამა, რომ დალევა თავისუფლად შეიძლება.

მეორე მდინარე – დეგოლმანი, მცირეწყლიანია, მაგრამ იგი სწრაფი დინებით გამოირჩევა.

მესამე მდინარე – ბარცხანა, ზემოთჩამოთვლილ ორ მდინარესთან შედარებით დიდია. იგი ზაფხულის ცხელი, მშრალი ამინდების პერიოდში მცირეწყლიანი ხდება, წვიმების დროს კი საგრძნობლად დიდდება. ეს მდინარე მთიდან მოედინება. ამდენად, ქალაქის ტერიტორიაზე შესვლამდე სუფთაა, შემდეგ კი თანდათან ბინძურდება ნავთობპროდუქტების ნარჩენების შერევის შედეგად. ბევრ ადგილას მდინარე ბარცხანის ნაპირები გამაგრებულია ბეტონის გამბრჯენი კედლებით.

გრუნტი, ნიადაგი ქალაქის უმეტესი ნაწილის ქვეშ ხრეშისა და ქვიშის ნარევია, რის გამოც გრუნტის წყალი განთავსებულია ორი-ოთხი მეტრის სიღრმეში. ზედაპირიდან მხოლოდ მდინარე ანგისისა და მთისძირის მიდამოებში ხრეში და ქვიშა იცვლება თიხით, ამი-ტომაც გრუნტის წყალი ამ მიდამოებში საგრძნობლად იწევს ზევით, ზოგიერთ ადგილას ზედაპირზედაც კი ამოდის [აცსა, ფ. 7, ან. 1, ს. 307, ფ. 12].

1899 წლის ზაფხულისათვის პ. ლიპინსკიმ ქალაქის განაშენიანების გენერალური გეგმის პროექტი თითქმის დაამთავრა. ამ პროექტში გათვალისწინებული იყო ყველა ის შენიშვნა, რაც წინა პერიოდში შესრულებული გეგმების მიმართ იყო მინიშნებული.

ამის შემდეგ პროექტის გადამამოწმებელმა კომისიამ ქალაქის სა-თათბიროს სახელზე მოამზადა შემდეგი შინაარსის მოხსენებითი ბა-რათი: „როგორც ცნობილია სათათბიროსათვის, ქალაქის გეგმა დღემდე არ დამტკიცებულა, ჯერ კიდევ გასწორების სტადიაშია მი-წის მზომ ლიპინსკის მიერ, ამიტომ ჯერ კიდევ გვაქვს დრო გეგმაში შევიტანოთ დამატებანი, რომლებიც ჩვენი შეხედულებით აუცილებ-ლობას წარიადგენს. ქალაქი ბათუმი გაიზარდა, მან მოლიანად მიაღ-წია გათვალისწინებულ საზღვრებს, ამიტომაც აუცილებელია ქალა-ქის ტერიტორიის გაფართოება, სანამდისაც არ დამტკიცებულა აღ-ნიშნული ლიპინსკისეული ქალაქის გეგმა. ყოველგვარი დაგვიანება ამ მხრივ ხელს შეუშლის ქალაქის ბუნებრივ ზრდას და ხელს შეუწყობს ქალაქის საზღვრებს გარეთ მშენებლობის თვითნებურად წარმოებას, რაც მომავლისათვის დასანგრევი გახდება” [აცსა, ფ. 7, ან. 1, ს. 307, ფ. 22].

ქალაქის სათათბირომ გაითვალისწინა კომისიის მოხსენება და აღნიშნული საკითხის უპერ შესწავლის მიზნით 1899 წლის 12 ოქ-ტომბრის სხდომაზე დაადგინა შექმნილიყო განსაკუთრებული მოსამ-ზადებელი კომისია შემდეგი შემადგენლობით: ნ. დუმბაძე, მ. ნიკოლა-ძე, ა. გუგუშვილი, ა. პოლსკი, დურსუნ-ბეგ აბაშიძე, ა. დიმიტრიადი.

კომისიამ საკითხი შეისწავლა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ქა-ლაქის საზღვრები თურმე არავის მიერ არ ყოფილა დაფიქსირებული თვით პორტ-ფრანკოს საზღვრების ჩათვლით და იგი განისაზღვრე-ბოდა თვითნებურად, ქალაქის მმართველობის მონაწილეობის გარეშე და, ამიტომაც, საჭიროება მოითხოვდა სასწრაფოდ განსაზღვრულიყო ქალაქის საზღვრები. კერძოდ, ქალაქის ტერიტორია უნდა განსაზღვ-რულიყო შემდეგ საზღვრებში: დასავლეთით – ჩრდილოეთიდან სამხ-რეთისაკენ, მდინარე მეჯინისწყლის ზღვასთან შეერთების ადგილი-დან ჟილინსკის სანიაღვრე არხის გასწვრივ, ქვის ხიდამდე, რომელიც აშენებული იყო მდინარე ურებზე. სამხრეთით – დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ – ხიდიდან სამხედრო უწყების მაგისტრალურ გზატკეცილამდე, იქედან კი მთების ძირამდე (გზატკეცილი უნდა შესულიყო ქალაქის ფარგლებში), აქედან საზღვარს უნდა გაევლო სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ ანდრევევისა და სისონკოს კუთვნილ

ტერიტორიაზე, იქნებან კი რკინის ხიდამდე, რომელიც აშენებული იყო მდინარე ბარცხანაზე, საიდანაც საზღვარი გაივლიდა ჩრდილოეთისაკენ მდინარე ბარცხანის მარცხენა ნაპირის გასწვრივ.

ქალაქის სათათბირომ თავის სხდომაზე, 1899 წლის 24 ოქტომბერს განიხილა განსაკუთრებული კომისიის დასკვნა ქალაქის საზღვრების დადგენასთან დაკავშირებით და მოიწონა იგი მხოლოდ ერთი შესწორებით – ქალაქის სამხრეთის საზღვარი უნდა გადატანილიყო მდინარე ყოროლისწყლის მარცხენა ნაპირამდე.

პ. ლიპინსკიმ ყველა ეს შენიშვნა სათანადოდ გაითვალისწინა გენერალური გეგმის პროექტში და 1900 წლის 27 ოქტომბერს იგი გაიგზავნა დასამტკიცებლად მიხაილოვის ციხის კომენდანტთან. ეს გეგმა კომენდანტის მიერ მთლიანად იქნა მოწონებული და ხელი მოაწერა კიდევ 1900 წლის 27 ნოემბერს.

1901 წლის 9 იანვარს გენერალური გეგმა დასამტკიცებლად გაეგზავნა ქუთაისის გუბერნიის სამხედრო გუბერნატორის. გუბერნატორმა ეს გეგმა არ დაამტკიცა იმ მიზეზით, რომ 1900 წლის 19 ივნისს მის მიერ დამტკიცებული იყო ბათუმის ნავთობის ქალაქის გეგმა, რომელიც შეადგენდა ბათუმის ნაწილს. ამიტომაც ახალ გენერალურ გეგმაში გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო ნავთობის ქალაქის ტრიტორიაც [აცსა, ფ. 7, ან. 1, ს. 307, ფ. 4547].

უნდა ითქვას ისიც, რომ არც პ. ლიპინსკის შემდგომი ქალაქის განაშენიანების გეგმებიც, რომლებიც ეკუთვნოდა ინჟინერ რიტელს და სხვებს, არ დამტკიცებულა. ძირითადი მიზეზი კი იყო ქვეყანაში შექმნილი ქაოსი, ანარქია და არეულობები. გამომდინარე აქედან, ყოველთვის ჯერ ჭიათურდებოდა, შემდეგ კი საერთოდ არ ეცალათ ასეთი გენერალური გეგმებისათვის, მაგრამ მდგომარეობა კი მოითხოვდა საქმის სასწრაფოდ დაწყებას.

გამოყენებული წყაროები

1. აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი (აცსა), ფონდი 6, ანაწერი 1, საქმე 27.
2. აცსა, ფ. 7, ან. 1, ს. 307.

Otar Gogolishvili (Batumi, Georgia)

**The Architectural Project of the Town of Batumi at the End of the XIX
Century**
(The Projects Composed by G. Rcheulishvili and P. Lipinski)

Summary

On 1896, the head of the town of Batumi Luka Alsatian received the architectural project of the town of Batumi. This project was sent from Kutaisi. The author of this architectural project was G. Rcheulishvili. This project was rejected because of some mistakes that had been made in it. Then Luka Alsatian signed a contract with P. Lipinski. The architectural project composed by P. Lipinski was better than the ones made previously by another authors. But the architectural project composed by P. Lipinski was also rejected because of many different reasons.

გელა საითიძე
(თბილისი, საქართველო)

პიტო სურგულაძე და ბათუმის საზოგადოება

1931 წლის 6 სექტემბერს სტამბოლში უეცრად გარდაიცვალა დიდი ქართველი პატრიოტი და პოლიტიკური მოღვაწე პეტრე სურგულაძე. ამ სამწუხარო ფაქტს დიდი გულისტკივილით შეხვდა ემიგრაციაში მყოფი ქართველობა და პერიოდული გამოცემების რედაქტორი. აქ კი, მის სამშობლოში, ერთი სიტყვაც არავის დასცდენია ამასთან დაკავშირებით.

გ. გვაზავა ლაკონური ფრაზით წარმოაჩენდა თავისი მეგობრის მიერ განვლილ ცხოვრებისეულ გზას: „მისი მოღვაწეობა იყო სხვადასხვანაირი – პედაგოგიური, პუბლიცისტური, პოლიტიკური...“ [გან. „დამოუკიდებელი საქართველო“ (პარიზი), 1931, №69; გ. შარაძე, 2001: 333]. სავსებით სწორი მინიშნებაა, მაგრამ თითოეულ ამ თემაზე საუბარს აქ არ შევუდგებით, მათზე ვრცლად ვმსჯელობთ მონოგრაფიულ გამოკვლევაში, რომელსაც მალე მიიღებს მკითხველი საზოგადოება.

პეტრე სურგულაძისთვის (1877-1931) მთელი მისი მოღვაწეობის მანილზე ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენდა სხვადასხვა სარწმუნოების (ქრისტიან, მაკმადიან და კათოლიკე) ქართველთა ურთიერთობის საკითხი. „განათლებაში“, „ერსა“ თუ „თავისუფალ საქართველოში“ დასტამბული წერილები, კონკრეტულ პირებთან ურთიერთობანი და პრაქტიკული ნაბიჯები მიმართული იყო არაქრისტიან მომქმეთა ინტერესების დაცვისაკენ, მათი შეჭირებული ყოფის გაუმჯობესებისაკენ. იგი არა მარტო მის მიერ რედაქტორებულ ჟურნალებში გამოგზავნილი კორესპონდენციებით ეცნობოდა მაკმადიან თანამომქმეთა სატკივარს, არამედ თავად ცდილობდა ადგილზე მისვლით გაცნობოდა მათ ცხოვრებას. ამიტომ იყო, რომ მას კარგად იცნობდნენ ბათუმელები. იგი არა თუ და, არამედ მეგობრებისადმი მიწერილ კერძო წერილებშიც თავის აღშფოთებას არ მალავდა, თუკი ვინმეში მაკმადიან თანამომქმეთა დირსების შემლახელ რაიმე ფაქტს დაინახავდა.

სანდორ შანშიაშვილისადმი მიწერილ ერთ პირად წერილში პ. სურგულაძე მიუთითებდა: „ამ ბოლო დროს ისე დატრიალდა ჩვენი ისტორია, რომ ქართველობა სამ უმთავრეს სარწმუნოებად დაიყო: ორთოდოქსალური ქრისტიანობა, კათოლიკობა და მაკმადიანობა... ცხადია, დღევანდელი გმირი ვერც ერთ სარწმუნოებრივ სამოსელში ვერ გაეხვევა; ჩვენ სარწმუნოება კერძო სინდისის საქმედ უნდა ვალიაროთ და ჩვენ ნამდვილ სარწმუნოებად სამშობლო და მისი სიყვარული გამოვაცხადოთ. ეს მეტად დიდი საქმეა... საზოგადო მოღვაწენი ყოველი გზით უნდა ცდილობდნენ სხვადასხვა სარწმუნოებ-

რივ ჯგუფთა შორის დაახლოებას. სამწუხაროდ, ჩვენი გაზეთები ისე დაეცნენ, რომ „კოლხიდაში“ ზედიზედ ვკითხულობთ: ქობულეთელი თათარი ბეჟანიძე, ბათუმელი ქართველი ოსმალო ნიჟარაძე. ისე დაგვცით, რომ ქართველს – თათარსა და ოსმალოს ვუწოდებთ...“ [სლმ, ს. შანშიაშვილის ფონდი, №6569-ხ].

უფრო ადრე, უურნალ „ერის“ პირველი ნომრის სარედაქციო წერილში, სხვა საკითხებთან ერთად, სარწმუნოების წინა პლანზე დაყენებას სახავდა უპირველეს მიზნად, რათა „ძალით გამუსლიმანებულ თანამომებებთან მტკიცე კაგშირი დამყარებულიყო...“; რომ „ქართველ ერს უნდა სცოდნოდა საქართველოში რუსის ფეხის შემოდგის შედეგად ნახევარი საქართველო დაცარიელდა...“. რედაქცია კი თავის მოვალეობად სახავდა მაჭმაღიან მომქმეთა შორის მუშაობის უფრო ინტენსიურად წარმართვას, რათა „მათ თავიანთ ქრისტიან მმებთან ერთად გაეწიათ გაჭირვების ჭაპანი, რომელიც ჩვენთვისაც არანაკლებ სამძიმო იყო, ვიდრე მათვის...“ [ქ. „ერი“, 1909, №1].

უურნალ „თავისუფალი საქართველოს“ ფურცლებზე გამოქვეყნებულ წერილში – „რისთვის უნდა ქართველ ერს საკუთარი სახელმწიფო,“ მიუთითებდა: „ქართველი ერი, რომელსაც რუსებმა ას წელიწადზე მეტია საკუთარი სახელმწიფოებრივი მართვა-გამგეობა წაართვეს, დღეს დაღუპვის გზაზეა დამდგარი... მათ ნახევარი საქართველო გაანადგურეს და დღესაც სარწმუნოების ნიადაგზე უფრო მეტად აბნევენ ისედაც გზააბნეულ მუსულმან ქართველებას... სამშობლოდაკარგული და ოსმალეთში დასახლებული ქართველობა სხვისი სტუმრები გახდნენ... ისინი თანდათან ჰკარგავენ მშობლიურ ენას და მასთან ერთად ქართულ ცნობიერებას... ქართველობა ჰკარგავს თავის დვიდლ შვილებს. ვინცა კვდება მისი სახსენებელი ქრება და არა ქართველად, არამედ თურქად ისესენიება... ეს პროცესი კი მეტად სასიხარულოდ გამხდარა რუსთათვის, რადგან ამაში ქართველთა რიცხვის შემცირების ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებას ხედავენ...“ [ქ. „თავისუფალი საქართველო“, 1914, №3].

თვითმკურობელობის დამხობის შემდეგ საზღვარგარეთ იძულებით გახიზნული პ. სურგულაძე სამშობლოში ბრუნდება და მისთვის ჩვეული შემართებით ებმება ეროვნულ საქმიანობაში. იგი ხვდება საქართველოს ქალაქებისა და სოფლების მცხოვრებთ, ისმენს მათ მოსაზრებებს, უზიარებს თავისას. განსაკუთრებით უურს უგდებს და ეფერება მაჭმაღიან ქართველობას, ჭირსა თუ ლენში მათ გვერდით დგას. მაგალითად, 1917 წლის აპრილში იგი ბათუმშია, როცა თბილისიდან მშობლიურ აჭარაში სახელოვანი მამულიშვილის ყადირ შარვაშიძის ცხედარი ჩამოასვენეს. მას ათასობით მაჭმაღიანი და ქრისტიანი ქართველი დახვდა აზიზიეს მოედანზე, საიდანაც მიცვალებული თავის მამულში, ქედაში წასვენეს. მიცვალებულს ბევრი ცნობილი თუ არაცხობილი ქართველი მიაცილებდა უკანასკნელ გზაზე. მათ შორის იყვნენ სოც-დემოკრატი ისიდორე რამიშვილი და ეროვნულ-დემოკრატი პეტრე სურგულაძე. მათ სასაფლაოზე ყადირ

შარვაშიძეს გულში ჩამწვდომი სიტყვით მიმართეს, რითაც დამსწრე საზოგადოების დიდი მოწონება დამსახურეს. „ილოცა ხიმშიაშვილმა“ – დასძენს ის. რამიშვილი თავის „მოგონებაში“ [ის. რამიშვილი, მოგონებები (ხელნაწერი): 135].

1918 წლის 11 მაისს ბათუმში საზავო კონფერენცია გაიხსნა, რომელსაც თურქეთის, გერმანიის და ამიერკავკასიის სეიმის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. ამ კონფერენციის მსვლელობისას მომხდარ ყველა დეტალზე, მის შედეგებზე აქ ყურადღებას აღარ შევაჩერებო. გავიხსენებთ მხოლოდ 20 მაისს ბათუმიდან სრულიად საიდუმლოდ გაგზავნილ წერილს საქართველოს ეროვნული საბჭოსა და მისი აღმასრულებელი პრეზიდიუმის სახელზე, რომელშიც დელეგაციის ხელმძღვანელი აპ. ჩხენკელი ა/კავკასიის სეიმის დაუყოვნებლივ დაშლას და საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას მოითხოვს. ამ ფაქტოან დაკავშირებით ზ. ავალიშვილი მიუთითებს: „მოხდა გადამწყვეტი სხდომა ვიწრო წრეში, რომელსაც უკვე მზად პქონდა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების პროექტი“. სხდომას დასწრებიან – აპ. ჩხენკელი, ნიკო ნიკოლაძე, ზ. ავალიშვილი და პეტრე სურგულაძე. ეს პროექტი გერმანიის დელეგაციასთან გულახდილი განხილვის შემდეგ „მხოლოდ რამდენიმე კაცს პქონდა საიდუმლოდ განდობილი“-ო, დასძენს ზ. ავალიშვილი [ზ. ავალიშვილი, 1990]. აქ ჩვენთვის საინტერესოა ის, რომ ოთხ პასუხისმგებელ პირს შორის პეტრე სურგულაძეც არის დასახელებული.

ნიკო ნიკოლაძე, შემდგომში იგონებს რა ბათუმის საზავო კონფერენციის პერიპეტიებს და მოლაპარაკებების შედეგების მნიშვნელობას, მშვენიერ დახასიათებას აძლევს პეტრე სურგულაძის პიროვნებას და მის როლს ამ მოლაპარაკებებში. „დღეს დილას (გულისხმობს 24 მაისს – გ.ს.) ჩხენკელის ოთახში ვნახე პეტრე სურგულაძე, შურწალ „განათლების“ დამაარსებელი, ოდესმე მყოფი მასწავლებლად... მერე ბევრი დევნა და ვაი-ვაგლახი გადაუტანია, საზღვარგარეთ გადახვეწილა და იქ ბევრი უშრომია იმ ჯგუფში, რომელსაც დიდძალი შრომა გაუწევია გერმანიის ყურადღების მისაქცევად საქართველოს და კავკასიის მდგომარეობაზე... პირადად ის სიმპატიური ადამიანია, ბლომათ ნაკითხი, საკუთარი შეხედულებების მქონე ქვეწნიერებაზე, დაკვირვებული და გონიერი, გამოცდილი, იცნობს ქვეყანას, ორიგინალური აზრი აქვს შედეგნილი ყველაზე და ყველაფერზე. სტამბოლში იცნობს მთელს მმართველ წრეს, იცის მათი ურთიერთდამოკიდებულება და თითოეულის განკერძოებული ხასიათი და სურვილი... ბათომშიაც ყველას იცნობს: როცა ჩხენკელის ოთახიდან ჩვენ მასთან და სპ. კედიასთან ერთად ყავახანისაკენ გავემგზავრეთ სასაუზმეთ, მას ვინ არ გინდა, ვინც შეხვდებოდა, მხიარულათ თავს უკრავდა და ემუსაიფებოდა, როგორც ძველ ნაცნობს და მეგობარს: დიდი და პატარა, მედუქნე, მუშა, გურული, თათარი, აფიცერი, ინტელიგენტი, ქალი თუ კაცი. მან ჩხენკელს გააცნო, თუ რას ამბობდნენ და შვრებოდნენ თურქული და გერმანიული დელეგაციების წევრები

და მათი მხლებლები სტამბოლიდან ბათომამდე მოგზაურობის დროს. ის თვითონ ამ გემითვე მოვიდა, ამ დელეგაციებს მოჰყვა, მათ მეგობრათ ითვლება და მექავშირეს წარმოადგენს ჩვენსა და მათ შეა. მისი სიტყვით, გერმანიელი დელეგაცია წამოვიდა მისი და მისი ჯგუფის მეცადინეობით... სურგულაძის რჩევით, ჩვენ უნდა ვიმეცადინოთ გერმანელების ჩართვისათვის კონფერენციაში, „დავაინტერესოთ საქართველოს ბეჭი და მათი დახმარებით ვიხსნათ თავი თურქების მადისა და გაუმაძღვრობისაგან“. სურგულაძემ სათითაოდ დაგვიხასიათა თითოეული წევრი გერმანიელი დელეგაციისა და ოსმალო დელეგაციის უმთავრესი მხლებლები, აგრეთვე ორივე მინისტრი – პალილ ბეი და ჯემალ ფაშა... ჩხენკელთან პ. სურგულაძის მოხსენებას ყურს უგდებდნენ აგრეთვე: გიორგი უურული, ზურაბ ავალიშვილი და სპირიდონ კედია, ჩვენი დელეგაციის მრჩეველები – სამრეწველო-საეკონომიო დარგისა, იურიდიულის და მესამე კი – მდივანი...“. 6. ნიკოლაძის თქმით, შემდეგ ქართული დელეგაცია რესტორანში წაუყვანია ბათუმიდან ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრს მგალობლიშვილს... საუბარი და აზრთა გაცვლა-გამოცვლა ძლიერ საამოდ გაგრძელებულა. „საუბრის მეთაური და თითქმის „სოლისტი“, რასაკვირველია, სურგულაძე გახლდათ, რომელიც თანდათან უფრო მეტ სიმპატიას იძენს ჩვენსას საზოგადოდ და ჩემსას განსაკუთრებით“, – აღნიშნავს 6. ნიკოლაძე [დ. ჩიკვილაძე, 2003: 129-130]. როგორც იტყვიან, უკათეს დახასიათებას კაცი ვერ ინატრებს, ეს სიტყვები ხომ ერთ-ერთ „სამოციანელს“ ექუთვნის, რომელსაც ჰაერზე სიტყვების წამოსროლა არასდროს უყვარდა. ამასთან ერთად თვალნათლივ შეგვიძლია იმის წარმოდგენა, თუ რა სიყვარულითა და პოპულარობით სარგებლობდა პ. სურგულაძე ბათუმის საზოგადოებაში, რომელიც ჰაიპარად გულს ისე იოლად არავის გაუხსნიდა, თუ მასში ჭეშმარიტ მამულიშვილს არ შეიცნობდა.

დამოუკიდებელი საქართველოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს წევრს, პ. სურგულაძეს, თავისი საქმიანობის ერთ-ერთ უპირველეს საზრუნავად აჭარისა და მისი ცენტრის, ბათუმის მცხოვრებია სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობა ყოველთვის წინა პლანზე პქნოდა წამოწეული. 1919 წლის აპრილში, გაზეთ „საქართველოში“ დასტამბულ ერთ-ერთ წერილში იგი ბათუმის მხარეში შექმნილ ვითარებას ეხება. მისი თქმით, ქართული საზოგადოება გულდამშვიდებით შეხვედრია ინგლისელთა შემოსვლას ამრეგიონში, რადგან დარწმუნებული იყო „მათ მიუდგომლობასა და სამართლიანობაში“, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ასე არ მომხდარა და შედეგი საწინააღმდეგო გამომდგარა. „ბათუმის მხარე გადაიქცა შავრაზმელ რუსთა აღთქმულ ქვეყნად. ყოველი მხრიდან, როგორც უორნები ლეშისაკენ, ისე მოეშურებიან ბათუმისაკენ... ჩვენთვის აუტანელია ის, რაც ჩვენს ქვეყანაში ხდება, როცა სიძულვილით აღსავსე მტრული ძალები ჩვენსავე დასაკლავ დანას ლესავენ. ამიტომ ქართველობამ, მუსლიმან თანამომეუბობან ერთად, ხმა უნდა აიმაღ-

ლოს შავ-ბნელი ძალების წინააღმდეგ და მეტი აქტიურობა გამოიჩინოს თავიანთი კერის დასაცავად“, – წერდა პ. სურგულაძე [გაზ. „საქართველო“, 1919, 2 აპრილი].

აჭარასთანაა დაკავშირებული პ. სურგულაძის დიდი პირადი უბე-დურება, რომელიც მას 1920 წლის მაისში დაატყდა თავს. „ზემო აჭარაში, სოფელ უთხის უბანთან“, ავაზაკთა მიერ გასროლილმა ტყვიამ სიცოცხლეს გამოასალმა მისი ერთადერთი მმა, სამხედრო ექიმი ირაკლი სურგულაძე. ამ ტრაგიკულ ამბავს ფართოდ გამოეხ-მაურა იმდროინდელი ქართველი საზოგადოება. 37 წლის ახალ-გაზრდა კაცს დამტირებლად და ჭირისუფლად უფროსი მმის მეტი არავინ დარჩენია. ცხედარი თბილისში იქნა გადასვენებული და ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში პანაშვიდის გადახდის შემდეგ, ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესის გალავანში დაკრძალეს. სამგლოვია-რო მიტინგზე გამოსულები თუ პრესის ფურცლებზე დასტამბული სამგლოვიარო განცხადებების ავტორები გულითად თანაგრძნობას უცხადებდნენ პ. სურგულაძეს. მათგან განსაკუთრებით საყურადღე-ბოა ბათუმში გამომავალ გაზეთ „სამუსლიმანო საქართველოში“ გა-მოქვეყნებული წერილი, რომელიც, უდავოა, მის რედაქტორს მემედ-ბეგ აბაშიძეს ეკუთვნის. მასში დირსეული შეფასება აქვს მიცემული უდროოდ დაღუპულის ხსოვნას და გულითადი, მშერი თანადგომაა გაცხადებული გულმოკლული მმის, პ. სურგულაძის მიმართ. „4 ამ თვეს, აჭარის გზაზე ყაჩადებმა სიცოცხლეს გამოასალმეს სამუსლი-მანო საქართველოს დიდი მეგობარი და მოსიყვარულე ექიმი ირაკლი სურგულაძე. მოკლეს ის ადამიანი, რომელსაც მთელი თავისი არსებით უყვარდა ქართველი მუსლიმანები... და მერე ვინ მოკლა? როგორც სჩანს, ის მოუკლავთ აჭარლების წრიდან გამოსულებს. მოუკლავთ იმ ხალხის შვილებს, რომლის ინტერესებისათვის ირაკლი მზაო იყო თავი გაეწირა.“

ირაკლი ერთად-ერთი მმა იყო სამუსლიმანო საქართველოში კარგად ცნობილი საზოგადო მოღვაწის პეტრე სურგულაძისა. პეტრემ ქართველ მუსლიმანთა დახმარების საქმეში დიდი უბედურება გამოიარა. სამუსლიმანო საქართველოდან გადახვეწილ თანამემამუ-ლებს პეტრე თავს ევლებოდა და უვლიდა მათ, როგორც მმებს და მეგობრებს. პეტრეს მეოხებით ბევრი ქართველი მუსლიმანი გადაურჩა სიმშილით სიკვდილს. და მას შემდეგ არ ყოფილა არც ერთი წუთი, როდესაც პეტრეს თავის კერძო საქმეზე ეზრუნოს; ის ყოველთვის სამუსლიმანო საქართველოს სიკეთეზე ფიქრობს და ზრუნავს. ასეთი იყო მისი ძმაც... რა საშინელი ირონიაა ბედისა. კაცი, რომელიც თავს ევლებოდა ქართველ მუსლიმანებს, რომელსაც თავის სიცოცხლის საგნათ ქართველი მუსლიმანებისადმი სამსახური დაუსახავს მიზნათ, რჩება კერძო ცხოვრებაში სრულიად ობლათ, ერთადერთ საყვარელ მმისაგან გამოთიშულად...“

საუკუნოთ იქნება ხსენება სამუსლიმანო საქართველოს დიდი მე-გობრის ირაკლი სურგულაძისა. ხოლო მის ძმას, ჩვენ დიდ მეგობარ

პეტრეს არ ვიცით, თუ რა ნუგეში ვუთხრათ... ჩვენმა ცრუმლებმა მისცეს მას მცირედით მაინც მისი ტანჯვის შემსუბუქება. ვუსურვებთ მას, რომ ვაჟაპურად გადაეტანოს ეს დიდი უბედურება და კვლავ დაუბრუნდეს თავის საყვარელ საქმეს: სამუსლიმანო საქართველოს თავდავიწყებით სამსახურს“, – ნათქვამია წერილში [გახ. „სამუსლიმანო საქართველო“, 1920, №356].

ბოლშევკური რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ პ. სურგულაძე მიდის ემიგრაციაში და თურქეთში რჩება. აქ იგი საქართველოდან ემიგრირებული მთავრობის პოლიტიკურ კომისიაში მოღვაწეობს და საქართველოს განთავისუფლებისათვის განაგრძობს ბრძოლას.

ამრიგად, პ. სურგულაძის, როგორც ზნეობრივი პიროვნების, სახელი სამაგალითოდ დარჩება სამშობლოს ბედ-იღბალზე მოფიქრალი თაობებისათვის.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

1. საქართველოს გ. ლეონიძის სახ. ლიტერატურის მუზეუმი (სლმ), სანდრო შანშიაშვილის ფონდი, №6569-б.
2. ზ. ავალიშვილი, საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში, თბ., 1990.
3. ი. გოგებაშვილი, თხ. ტ. III, თბ., 1954.
4. ის. რამიშვილი, „მოგონებები“ (ხელნაწერი).
5. გ. საითიძე, პეტრე სურგულაძის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და საგამომცემლო-პუბლიცისტური მოღვაწეობა, – წმ. გრ. ფერაძის სახ. თბილისის „უნივერსიტეტის „შრომები“, ტ. I, თბ., 2009.
6. გ. შარაძე, ქართული ემიგრანტული კურნალისტიკის ისტორია, ტ. I, თბ., 2001.
7. გ. შარაძე, ქართული ემიგრანტული კურნალისტიკის ისტორია, ტ. II, თბ., 2001.
8. დ. ჩიკვილაძე, დროსგასწრებული მამულიშვილი, თბ., 2003.
9. ოთ. ჯანელიძე, შურნალ „ერის“ ისტორიისათვის, – სამეცნიერო შრომების კრებული, ტ. II, თბ., 1999.
10. ოთ. ჯანელიძე, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია 1917-1923 წლებში (სადოქტორო დისერტაცია, ხელნაწერის უფლებით), თბ., 1999.

ქ უ რ ნ ა ლ ე ბ ი

1. „განათლება“, თებერვალი, №1; მარტი, №3-4, 1908.
2. „ბედი ქართლისა“, (პარიზი), №39-40, 1962.
3. „ერი“, სექტემბერი, №1, 1909.
4. „ოვისუფალი საქართველო“ (ექნევა), მარტი, №3, 1914.

ბ ა ზ ი თ ე ბ ი

1. „დამოუკიდებელი საქართველო“ (პარიზი), სექტემბერი, №69, 1931.
2. „თეორი გიორგი“, (პარიზი), №43-44, 1931.
3. „საქართველო“, (პარიზი), 1939.
4. „საქართველო“, 2 აპრილი, 1919.
5. „სამუხლიმანო საქართველო“, მაისი, №356, 1920.

Gela Saitidze (Tbilisi, Georgia)

Petre Surguladze and the Society of Batumi

Summary

Petre Surguladze, as a teacher, publicist, editor-publisher and politician took an important place in Georgian public and political life of the 20th century.

On every step of his activity he paid too much attention to the matters of relationships between Orthodox and Moslem Georgians. He had very close contacts with all sections of the population of South -West Georgia, also with the society of Batumi, the centre of this region. The facts brought in the article confirm it evidently.

ჯემალ კარალიძე
(ბათუმი, საქართველო)

ივანე ანდრონიკაშვილი - ბათუმის ქალაპისთავი

ბათუმის განვითარებაში დიდი როლი შეასრულა 1888 წლის 28 აპრილს გამოცხადებულმა საქალაქო თვითმმართველობამ. უმაღლესი განკარგულების შესაბამისად, ქალაქის პირველ თავად დანიშნული კ. გავრონსკი. 1894 წლის 12 ოქტომბერს ბათუმში მეორედ ჩატარდა სა-თათბიროს არჩევნები. თუ პირველ სათათბიროში მხოლოდ 11 ქართველი ხმოსანი გავიდა, 1894 წლის არჩევნებში 19 ქართველმა გაი-მარჯვა. სათათბიროში კი სულ 36 ხმოსანი იყო [ჭ. კარალიძე, 2009: 67]. არჩევნების ასეთ შედეგებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ვინაიდან მაშინდელი კანონმდებლობით ქალაქისთავს და გამგებლობის შემად-გენლობას საქალაქო სათათბირო აირჩევდა.

1894 წლის ბათუმის თავად აირჩიეს ლუკა ასათიანი, გამგეობის წევრებად – გრ. ვოლსკი და ი. ივანოვი, მდივნად – ი. მესხი. ბათუმის გამგეობა 1894-1901 წწ. ლუკა ასათიანის ხელმძღვანელობით სათათ-ბიროსთან ერთად აქტიურად ზრუნავდა ქალაქის როგორც ეკონო-მიკური, ისე კულტურული განვითარებისათვის.

1901 წლის 9 ნოემბერს ლუკა ასათიანი მოულოდნელად გარდაიც-ვალა. დადგა ქალაქისთავის კანდიდატურის შერჩევის საკითხი. გამ-გეობის შემადგენლობიდან გრ. ვოლსკის ჰქონდა შესაბამისი საზოგა-დოებრივი ავტორიტეტი და გამოცდილება, მაგრამ მას ხელისუფლება არაკეთილსაიმედოდ მიიჩნევდა. ცარიზმის მომხრე რეაქციონერებს თავიანთი კანდიდატურა თავს რომ არ მოეხვიათ, სათათბიროს “ქარ-თულმა პარტიამ” დახმარება ილია ჭავჭავაძეს სთხოვა. ილიასთან კონსულტაციის შედეგად გადაწყდა ბათუმის ქალაქისთავის პოსტზე ივანე ანდრონიკაშვილის წამოყენება. ”ილიამ ურჩია ივანე მესხს და მიხეილ ბეთანელს, რომლებიც თბილისში იყვნენ გამოგზავნილი მოსალაპარაკებლად, ივანე ანდრონიკაშვილზე შეტყრებულიყვნენ და დააიმედა, რომ იგი სასურველი კანდიდატი იქნებოდა ბათუმის ქალაქისთავის თანამდებობისათვის. ანდრონიკაშვილი, სპეციალობით აგრონომი, ახალგაზრდა, შრომისმოყვარე და ენერგიული პიროვნება იყო. ილიას აზრით, მთავრობაც წინააღმდეგი არ იქნებოდა, რადგან იგი იმხანად სახელმწიფო სამსახურში იმყოფებოდა“ [თ. კომახიძე, 2004: 311].

თავდაპირველი უარის შემდეგ ივანე დათანხმდა, მაგრამ მას არ გააჩნდა არჩევნებში მონაწილეობისათვის შესაბამისი ქონებრივი ცენ-ზი. პრორუსულ ძალებს, რომელთაც მხარს უჭერდა ქუთაისის სამ-ხედრო გუბერნატორი, სურდათ დაეჩქარებინათ არჩევნების პროცესი, რათა ივ. ანდრონიკაშვილს მასში მონაწილეობა ვერ მიეღო. მაგრამ ქართველმა ხმოსნებმა სათათბიროს რამდენიმე სხდომა ჩაშალეს,

მოძებნეს ცენზის დამფინანსებელი და პრობლემაც გადაწყვიტეს. ამის შემდეგ ივ. ანდრონიკაშვილს კანონიერი უფლება პქონდა მონაწილეობა მიეღო ბათუმის თავის არჩევნებში.

1902 წლის 4 იანვარს გვიან დამით გაიმართა ბათუმის საქალაქო სათათბიროს საგანგებო სხდომა. დღის წესრიგში იყო ერთი საკითხი – ქალაქის თავის არჩევნები, განიხილებოდა ერთი კანდიდატურა – ივანე ზაქარიას ძე ანდრონიკაშვილისა [აცსა, ფ. 7, ს. 379, ფ. 8], 26 ხმით 3-ის წინააღმდეგ იგი აირჩიეს ბათუმის თავად. ამიერიდან ივანე ანდრონიკაშვილი მთელი 14 წლის მანძილზე უცვლელად იყო ამ თანამდებობაზე და მართლაც დიდი წვლილი შეიტანა ბათუმის განვითარებაში. სამართლიანად შენიშვნავდა დავით კლდიაშვილი, რომ მან საავსებით გაამართლა ილია ჭავჭავაძის ნდობა.

როულ პირობებში უხდებოდა ქალაქის გამგეობას საქმიანობა. 1902 წლის 10 ნოემბერსა და 1 დეკემბერს ორ ეტაპად ჩატარდა ბათუმის სათათბიროს რიგით მეოთხე არჩევნები. 706 ამომრჩევლიდან არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 492 ამომრჩეველმა (აცსა, ფ. 7, ს. 569, ფ. 59; ბათუმ ი ეგი იკრების, 1906: 500-501]. ახლად არჩეულმა სათათბირომ ივანე ანდრონიკაშვილი კვლავ აირჩია ქალაქისთავად. მაგრამ გამგეობის წევრად არჩეული გრ. ვოლსკი ადმინისტრაციაში არ დაამტკიცა. მის ნაცვლად შემდეგ გ. ურული აირჩიეს. ასეთი უხეში ჩარევა თვითმმართველობის საქმიანობაში იშვიათი არ ყოფილა. ადმინისტრაციის მხრიდან ასეთ ფაქტებს სხვა დროსაც პქონდა ადგილი. მაგ. 1911 წლის 26 ივლისს ბათუმის თავმა მიიღო ოლქის სამხედრო გუბერნატორისგან მიმართვა, რომელშიც იგი მოითხოვდა ხმოსნების: გრ. ს. სოფოროვის, ექ. ს. ბერძენიშვილის, ან. დ. ელიაგასა და ხმოსანთა კანდიდატის ევტ. ი. ხორომანსკის გადაყენებას. მართლაც საქალაქო დებულების 52-ე მუხლის ძალით ისინი შეცვალეს სხვა კანდიდატებით: სპ. გურგენიძით, ვლ. რუხაძით, ნ. საიმოვით და ივ. კახიანით. გუბერნატორი ასევე მოითხოვდა ქალაქის გამგეობის სხდომის დღის წესრიგის მასთან წინასწარ შეთანხმებას [„ბათუმის გაზეთი“, 1911, №12]. ოლქის ადმინისტრაცია ცდილობდა აქტიურად ჩარეულიყო გამგეობის სამეურნეო საქმიანობაშიც. ამ შეზღუდვებისა თუ მოქმედი საქალაქო დებულების ხარვეზებზე ივანე ანდრონიკაშვილი საჯაროდ მიუთითებდა. მაგ. 1911 წლის 30 ივლისს, მიუღლოცა რა ქალაქის სათათბიროს ახლად არჩეულ შემადგენლობას არჩევნებში გამარჯვება, მან განაცხადა: “ბატონებო ... მოქმედი კანონმდებლობა ქალაქის წარმომადგენლობას ძალზე უმნიშვნელო უფლებებს აძლევს.. განსაკუთრებით პორტის მშენებლობისა და მისი კეთილმოწყობის საკითხებში.. ამის მიზეზი თანამედროვე მოთხოვნებთან ქალაქის მმართველობის ორგანიზაციის შეუსაბამობაშია.. მიუხედავად ამისა დაუინებული, ავტორიტეტული, დასაბუთებული სიტყვა ქალაქის გამგეობისა ხელს შეუწყობს წამოჭრილი პრობლემების გადაწყვეტას ადგილობრივი ვაჭრობისა და მრეწველობის ინტერესების შესაბამისად [აცსა, ფ. 7, ს. 502, ფ. 4-5].

ბათუმის თავი ივანე ანდრონიკაშვილი თვით კრიტიკულ სიტუაციებშიც კი აქტიურად გამოხატავდა საზოგადოებრივ პოზიციას. 1905 წელს მთელს რუსეთის იმპერიაში გაძლიერდა რევოლუციური გამოსვლები. ანალოგიური ვითარება შეიქმნა ბათუმშიც. ვაჟთა გიმნაზიის მოსწავლეებმა გიმნაზიის აღმინისტრაციას წაუყენეს მოთხოვნები, რასაც შედეგად დირექტორის ბრძანებით გიმნაზიაში სწავლის შეწყვეტა მოჰყვა. ივ. ანდრონიკაშვილი აქტიურად ჩაერთო ამ პრობლემის მოგვარებაში, პირადად გამართა მოლაპარაკება კავკასიის აღმინისტრაციასთან და მიაღწია რომ ვაჟთა გიმნაზიაში სწავლა განახლებულიყო [“ცნობის ფურცელი,” 1905, №27].

ბათუმის ქალაქისთავი 1905 წელსვე კავკასიის მეფისნაცვალთან პირადად გაემგზავრა და სთხოვა ბათუმის ოლქის აღმინისტრაციის მოქმედებების გამოძიება.

ილია ჭავჭავაძის მკვლელობასთან დაკავშირებით ივანე ანდრონიკაშვილის ინიციატივით ჩატარდა ქალაქის თვითმართველობის სხდომა და შედგა სპეციალური დეპუტაცია თბილისში გასამგზავრებლად [დ.კლდიაშვილი, 1984:80].

ივანე ანდრონიკაშვილი უნარიანი სამეურნეო ხელმძღვანელი იყო. იგი კარგად ხვდებოდა, რომ ქალაქის განვითარებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ფინანსების მოძიებას და მათ გეგმაზომიერ სარჯვას პქონდა. ბათუმის ეკონომიკურ განვითარებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა იმთავითვე საზღვაო პორტს გააჩნდა. ბათუმის გამგეობა და პირადად ივ. ანდრონიკაშვილი ყოველმხრივ მხარს უჭერდებო პორტის განვითარება-კეთილმოწყობას, მაგრამ ამავე დროს ცდილობდნენ პორტის საქმიანობიდან ქალაქის ბიუჯეტსაც მიეღო შესაბამისი შემოსავლები. ქალაქის თავმა საოცარი ენერგიულობა და პრინციპულობა გამოიჩინა პორტში გამავალ ტვირთებზე ქალაქის სასარგებლოდ საფუთო გადასახადის აღდგენის საკითხში. ამ საქმეში აქტიურად ჩართო ქალაქის თვითმართველობა [აცსა, ფ. 7, ს. 547, ფ. 5-7], აღნიშნულ საკითხზე პირადად მიმოწერა პქონდა სახელმწიფო სათათბიროს წევრებთან [აცსა, ფ. 6, ს. 664, ფ.4], მინისტრთა საბჭოსთან, სპეციალურად ამ საკითხთან დაკავშირებით არაერთხელ ჩასულა იმპერიის დედაქალაქში, ხოლო 1912 წლის მარტში როცა ბათუმისთვის საფუთო გადასახადის აღდგენის საკითხის ბედი სახელმწიფო სათათბიროში წყდებოდა, ივანე ანდრონიკაშვილი პეტერბურგში მყოფი ელოდებოდა პასუხს. ასეთმა მონდომებამ შედეგი გამოიღო – 1912 წლის 19 მარტს სახელმწიფო სათათბირომ დადგინა: 1) ბათუმს მოექსნას ყველა სახის დავალიანება საზინისადმი; 2) დაწესდეს პორტში გამავალ ტვირთებზე ფუთზე მეოთხედი კაპიტო ქალაქის საჭიროებისათვის [აცსა, ფ. 6, ს. 664, ფ. 351]. პორტის მაშინდელი ტვირთბრუნვის გათვალისწინებით ამ გადასახადით ბათუმის ბიუჯეტს წელიწადში 130-140 ათასი მანეთი შეემატებოდა [“ბათუმის გაზეთი,” 1912, №59].

ბათუმის თავი, როგორც ამ საქმის სულისხამდგმელი, პეტერ-ბურგში მყოფი დებულობდა მილოცვებს, მათ შორის თვით ოლქის სამხედრო გუბერნატორისაგან. ბათუმის გუბერნატორმა პოლკოვნიკმა ბ. რომანოვსკიმ პეტერბურგში ასეთი დეპეშა გაგზავნა: “პეტერბურგი, ნევის 11, თავად ანდრონიკოვს – გილოცავთ ბრწყინვალე წარმატებას, გულწრფელად ვხარობ ბათუმისთვის” [აცსა, ფ. 6, ს. 664, ფ. 352].

ასევე აქტიურად იყო ჩართული ივ. ანდრონიკაშვილი ბათუმ-ყარსის რკინიგზის პროექტის განხორციელებაში, რადგან კარგად გრძნობდა მის მნიშვნელობას ქალაქის განვითარებისათვის. პროექტის ინჟინერი დ. სვიმშევსკი საკითხის გადაწყვეტის მიმდინარეობის შესახებ მას პეტერბურგიდან რეგულარულად ატყობინებდა [“ბათუმის გაზეთი,” 1914, №6], სამწუხაროდ, ამ პროექტის განხორციელება პირველი მსოფლიო ომის გამო ვეღარ მოხერხდა. ივანე ანდრონიკაშვილი შეუვალი იყო, როცა საქმე ბათუმისა და მისი მმართველობის ინტერესებსა და დირსების დაცვას შეეხებოდა. 1910 წლის 2 აპრილს გაზეთ “რუსსკოე ზნამიაში” (რედაქტორი დუბრივინი) გამოქვეყნდა წერილი, რომლის ავტორი ბათუმის გამგეობას 1905-1907 წწ.-ში ახტისახელმწიფოებრივ საქმიანობაში, კერძოდ კი შეარაღებული რაზმების დაფინანსებაში პირდაპირ სდებდა ბრალს [აცსა, ფ. 6, ს. 652, ფ. 1-5]. ბათუმის სათათბირომ და გამგეობამ ცილისმწამებლისთვის პასუხის მოთხოვნა ქალაქისთავს დაავალა. ივანე ანდრონიკაშვილმა პეტერბურგში შესაფერისი ადგომატი ზარუდნი მოქმედნა [აცსა, ფ. 6, ს. 652, ფ. 54]. მართალია, საქმე გაჭინაურდა, მაგრამ საბოლოოდ, 1915 წლის 31 მარტს, პეტერბურგის სასამართლომ “რუსსკოე ზნამიას” რედაქტორს დუბრივინს 2 თვით პატიმრობა მიუსაჯა [აცსა, ფ. 6, ს. 652, ფ. 73].

საგულისხმოა, რომ პირადი მატერიალური პრობლემების მიუხედავად, ივანემ 1906 წლიდან უარი თქვა სამივლინებო ხარჯებისათვის წლიურად 800 მანეთის მიღებაზე, რითაც 8 წლის მანძილზე ქალაქის ბიუჯეტს 6400 მანეთი დაუზოგა [აცსა, ფ. 7, ს. 554, ფ. 14].

ყოველივე ზემოთ თქმულის გამო, ივ. ანდრონიკაშვილი დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობდა როგორც ბათუმში, ისე მის ფარგლებს გარეთ. იგი ზედიზედ ოთხჯერ აირჩიეს ქალაქისთავად. საგულისხმოა, რომ არჩევნებს დამაჯერებელი უპირატესობით იგებდა (აცსა, ფ. 7, ს. 503, ფ. 8-9]. “ბათუმის გაზეთი,” რომელიც ყოველთვის კრიტიკული იყო ხელისუფლების ორგანოებისადმი, 1911 წლის არჩევნების წინა დღეებში წერდა: ”რადგან საზოგადო ასპარეზზე უკეთესნი არ სჩანან... ამიტომ ჩვენ ვემხრობით არსებულ გამგეობას [“ბათუმის გაზეთი,” 1911, №10].

1916 წელს ოჯახის ფინანსური პრობლემების გამო ივანე ანდრონიკაშვილი თბილისში გადადის სამუშაოდ. ამის თაობაზე თავად წერდა: “1916 წლის შემოდგომაზე თბილისიდან მივიღე წინადაღება კომერსანტ ა. ხოშტარიასგან, მოხოვდა მის ფირმაში სამუშაოდ გა-

დასვლას, რასაც ეკონომიკური პირობების გაუმჯობესების მიზნით დაგეთანხმებ” [თ. კომახიძე, 1993: 73], იგი თბილისში გადასვლის შემდეგაც აქტიურ მოღვაწეობას აგრძელებდა. გარდაიცვალა 1947 წელს, 85 წლის ასაკში [თ. კომახიძე, 2003: 150-151].

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

1. აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი (აცსა), ფონდი 6, ანაწერი 1, საქმეები №№ 652; 664.
2. აცსა, ფონდი 7, ანაწერი 1, საქმეები №№ 379; 502; 503; 547; 554; 569.
3. “ბათუმის გაზეთი,” 1911, ივლისი, №№ 10, 12.
4. “ბათუმის გაზეთი,” 1912, აპრილი, №59.
5. “ბათუმის გაზეთი,” 1914, იანვარი, №6.
6. “ცნობის ფურცელი,” 1905, №27.
7. დ. კლდიაშვილი, ჩემი ცხოვრების გზაზე, ბათ., 1984.
8. თ. კომახიძე, ბათუმის ამაგდარნი, ბათ., 1993.
9. თ. კომახიძე, ივანე ანდრონიკაშვილი, ბათ., 2003.
10. თ. კომახიძე, ილია ჭავჭავაძე – აჭარის დიდი მოამაგე, ბათ., 2004.
11. ჯ. კარალიძე, აჭარა 1878-1903 წლებში – პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური კონტაქტები, ბათ., 2009.
12. ბათუმი և იგის ისტორია, ბათ., 1906 .

Jemal Karalidze (Batumi, Georgia)

Ivane Andronikashvili – Batumi City Head

Summari

Cityte as self-government announced in 1888, played an important role in the development of Batumi. In 1902 after the death of Luka Asatiani the supporters of Tsarism wanted to appoint their candidate as the head of head of Batumi, but „Georgian Party“ of the council managed to appoint progressive and energetic figure Ivane Andronikashvili by Ilia Chavchavadze’s direct recommendation and support.

Ivane Andronikashvili tried with all his might to create solid financial basis for the economic development of Batumi as well as its cultural promotion. He was an active public figure and he always expressed his point of view, heroically defended city’s prestige.

Right for this qualities he was respected by the society of Batumi and in 1902-1916 he was reelected four times as the head of Batumi. The present paper dead with the study of Ivane Andronikashvili’s work in Batumi.

ოლეგ ჯიბაშვილი
(ბათუმი, საქართველო)

ბათუმის უპნეაბის ისტორიიდან _ ბარცხანა

ბარცხანა დღეისათვის ბათუმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უბანი თაგანია შემდგომი განვითარების დიდი პერსპექტივებით. იგი მოქცეულია მდინარეებს – ბარცხანასა და სკურკუბას შორის, ხოლო ზღვის სანაპიროდან მოყოლებული გრძელდება ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფ. სალიბაურის მისადგომებამდე. 120-130 წლის წინათ ეს ტერიტორია ჭაობებითა და გაუგადი ტყე-ჯაგნარით იყო დაფარული. პირველი მოსახლეობა აქ ბათუმის რუსეთთან მიერთების შემდეგ გაჩნდა. გადავხედოთ ბარცხანის დაარსებისა და ცხოვრების პირველი ათწლეულების ისტორიას.

რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომის შედეგად ისტორიული სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს მიწების დიდი ნაწილი ოსმალთა მფლობელობიდან რუსეთის იმპერიის ხელში გადავიდა. ევროპული სახელმწიფოების წინააღმდეგობის დაძლევის შემდეგ ეს ფაქტი ბერლინის ტრაქტატის LVIII მუხლით დაკანონდა [ბათუმი ი. 1906: III].

აღნიშნული მიწებიდან განსაკუთრებულ შენაძენად ბათუმი მოიაზრებოდა, როგორც კარგი გეო-სტრატეგიული მდებარეობისა და მოხერხებული ნავსაყუდელის მქონე ქალაქი. სანკტ-პეტერბურგს დიდი ძალის ხმევა დასჭირდა მისი შენარჩუნებისათვის. ზოგიერთი ავტორის მონაცემით, ბათუმის ირგვლივ გამართულ დიპლომატიურ ჭიდილში გარკვეული როლი პარიზელი როტშილდების საბანკირო სახლმაც ითამაშა. „როტშილდების აუცილებლად უნდა მიედწიათ, რომ ბათუმი ნებისმიერი ფორმით რუსეთის იურისდიქციის ქვეშ აღმოჩნილიყო“, – მითითებულია მათ სტატიაში [Тарасов С., Ермолаев Д., <http://rosvestry.ru/1934/interes/?id=1000000301>]. ასე თუ ისე, 1878 წლიდან ეს ქალაქი რუსეთის იმპერიის ფარგლებში მოექცა.

XIX საუკუნის 70-იანი წლების ბოლოსათვის ბათუმში 3000 კაცამდე მცხოვრები თუ მოითვლებოდა [Френкель А., 1879: 60]. ქალაქს ტერიტორიაც მცირე ეკავა, ხოლო მისი შემოგარენი, როგორც ზემოთაც მივუთითეთ, ტყე-ტუჩქნარითა და ჭაობებით იყო დაფარული.

1883 წელს ბაქო-თბილისი-ბათუმის სარკინიზო ხაზის ამოქმედებისა და 1886 წელს პორტო-ფრანკოს გაუქმების შემდეგ ქალაქმა სწრაფად დაიწყო ზრდა. დ. კლდიაშვილის სიტყვებით რომ ვთქათ, „ბათუმი ყველასათვის საშოვარ ადგილად შეიქნა აღიარებული, ყოველი მხრიდან მორბოდნენ, რომ აქ ფეხი ჩაედგათ და ჯიბე გაეხელებინათ. სულ მოკლე ხანში დაიყიდა ცარიელი მიწები და გაშენდა ახალი ქალაქი“ [დ. კლდიაშვილი, 1984: 37].

განვითარების ასეთი ტემპის აღებაში დიდი როლი ითამაშა ბაქოს ნავთობმა. „ის საზღვარგარეთ ბათუმის ნავსაღბურით გაპქონდათ, რამაც მნიშვნელოვანწილად განაპირობა ქალაქის გადაქცევა მსხვილ სავაჭრო-სამრეწველო ცენტრად“ [მ. სიორიძე, 1995: 78].

სხვათა შორის, საინტერესოა, რომ ბათუმი-ბაქოს სარკინიგზო ხაზის დასრულება ზევით ნახევრები პარიზელი როტშილდების თანხებით განხორციელდა. 1886 წელს როტშილდებმა „ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ამხანაგობა“ (БНИТО) დააარსეს [ერგინ დ., 1999: 42-43] და პალაშოვსკისაგან შეძენილი ნავთობის ტარის პატარა ქარხანაც მაღლ ვრცელ საწარმოდ აქციეს. ბარცხანის დასახლების ჩამოყალიბებაში ამ კომპლექსმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა. 1898 წლისათვის აქ დასაქმებული 4 ათასამდე მუშიდან [აჭარის ისტორიულ-რევოლუციური.., 1973: 28] დიდი ნაწილი სწორედ ბარცხანაში იყო დამკვიდრებული.

როგორც აღნიშნეთ, 1880-იანი წლების II ნახევრიდან ქალაქმა სწორაფად დაიწყო ზრდა, შესაბამისად გაიზარდა ფასები მიწაზე. 1890 წლის მონაცემებით, ბათუმის ზოგიერთ უბანში (აზიზიე, ახმედიე, მუფტიე) 1 კვადრატული საჟენი (= 4,552 კვადრატულ მეტრს) მიწის ფასი 120 მანეთამდე აღწევდა, ხოლო მდ. ბარცხანის მარცხენა სანაპიროზე, სადაც როტშილდის ქარხანა და სხვა სამრეწველო ობიექტები იყო განლაგებული, კვადრატული საჟენი 10-15 მანეთი დირდა [Дакишевич Н., 1890: 12]. მიწის სიძვირისა და რუსეთის მთავრობის დისკრიმინაციული პოლიტიკის გამო, რომელიც მაქსიმალურად ზღუდავდა ადგილობრივი მოსახლეობის დამკვიდრებას ქალაქის ტერიტორიაზე, სამუშაოს მაძიებელი ქართველი გლეხობისათვის ხელმისაწვდომი ძირითადათ ქალაქებარეთ არსებული, მდ. ბარცხანის მარჯვენა სანაპიროს მიმდებარე ჭაობიანი ტერიტორია აღმოჩნდა.

აი რას წერს დ. კლდიაშვილი:

„სოფლიდან აყრილს, ქალაქს შემოხიზნულს, ერთადერთი ადგილი ჰქონდა დასაბინავებლად, ეს იყო როტშილდის ქარხნის გადაღმა, მდინარე ბარცხანის ნაპირზე. ამ დათმობაში გადაცდა მთავრობა, თორემ აქ არავის გააჭაჭანებდა – არ ეგონა, თუ აქ თავს მოიყრიდა ერთგვარი ელემენტი, რომელიც 905-ში ერთ ალიაქოთს აუტებავდა, გამოაცხადებდა თავის ნებას „ბარცხანის გუბერნატორის“ სახელით და თავისი ნების და ბრძანების ქვეშ მოქცევდა ბათუმსაც და მის მთავრობასაც“ [დ. კლდიაშვილი, 1984: 41].

დიახ, ბარცხანა დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან გამოსულმა მებრძოლი სულის ადამიანებმა დააარსეს. ბარცხანაც ბრძოლაში – მთავრობისა და ბუნების წინააღმდეგობათა დაძლევის პროცესში დაიბადა. მოგუსმინოთ გაზეთ „კვალის“ 1899 წლის 45-ე ნომერს (ტექსტი ამოღებულია თ. კომახიძის წიგნიდან „ლუბა ასათიანი“):

„ქ. ბათუმის ადმოსავლეთის მხრით ჩამოუდის პატარა მდინარე, რომელსაც ბარცხანის წყალს ეძახიან. ამ მდინარის ნაპირები 18-20 წლის წინათ დაფარული იყო ხეტყით და ბარდ-ეკალით, განსაკუთრებით მარჯვნივ, სადაც დღეს ბარცხანელები ცხოვრობენ. მარა მას შემდეგ დრონი იცვალება და ბარცხანის არე-მარემაც სახე გამოიცვალა. ის ტყე და ბარდ-ეკალი გაიკაფა, გაიჩეხა; მისი მიდამო მოსუფთავდა, ტყლაპო-ჭენჭყოები ამოშრა და იქაურობა მშვენიერ საცხოვრებელ... ადგილად გადაიქცა, კარგა ბლომათ მცხოვრებლებიც დაესახლნენ დღეს ბარცხანა საუკეთესო ნაწილია ბათუმის არე-მარის. ამ საუკეთესო ალაგზეა მოთავსებული მუშაორ უმეტესობა. ეროვნულათ: ქართველები და რუსები, უმეტესობა ქართველებია. დანარჩენ ეროვნებას აქ ვერც შეხვდებით“ [თ. კომახიძე, 2003: 65-66].

1901 წლისათვის ბარცხანაში, ერთ-ერთი წყაროს მიხედვით, არც თუ ისე მკვიდრად ნაგები 60-მდე ფიცრული სახლი მოითვლებოდა [Гурская Н., 1901: 58]. ადმინისტრაციული თვალსაზრისით კი იგი გოროდოკთან, ბათუმის მეორე გარეუბანთან ერთად შედიოდა ორთაბათუმის საზოგადოებაში [იქვე], რომელიც თავის მხრივ კინტრიშის უბანში ერთიანდებოდა (თუმცა ქალაქის სათაობიროს 1899 წლის 24 ოქტომბრის დადგენილების თანახმად უკვე გადაწყვეტილი იყო ბარცხანის დასახლების უშუალოდ ბათუმის ფარგლებში მოქცევა).

იმდროინდელი ვითარების გათვალისწინებით, 60-კომლიან დასახლებაში მცხოვრებთა მოზრდილი რიცხვი უნდა ვიგარაუდოთ. ჩვენი მოსაზრება ეყრდნობა დოქტორ ტ. სეგალის მიერ 1903 წელს ჩატარებულ ბათუმელი მუშების საცხოვრებელი ბინების სანიტარული შემოწმების ანგარიშს. იგი მიუთითებს, რომ ქალაქსა და მის გარეუბნებში არსებული კერძო სახლები და სპეციალურად მუშებისათვის აშენებული ბარაკები უკიდურესად გადატვირთული იყო მდგმურებით [Сегал Т., 1903: 10-20]. იქ, სადაც 2-3 ადამიანი ძლივს მოთავსდებოდა, 5-7-9 და მეტი კაცი ცხოვრობდა [Сегал Т., 1903: 15]. ბარცხანაში სეგალს აღწერილი აქვს როგორილდების მიერ თავისი მუშებისათვის აგებული 2 ბარაკი. მათში 3-3 კაცზე გათვალისწინებული 48 ბინა იყო განთავსებული [Сегал Т., 1903: 22]. კი. მხოლოდ ამ 2 ბარაკში ცხოვრობდა მინიმუმ 144 მუშა. ეს იმ შემთხვევაში, თუ სამკაციანი ნორმა დაცული იქნებოდა, რაც ძალიან საეჭვოა. ამდენად, 60 სახლში საკმაოდ ბევრი ადამიანი განთავსდებოდა.

ასეთი ხალხმრავლობისა და მცხოვრებთა მებრძოლი ხასიათის გამო 1905-07 წლების რევოლუციის დროს ბარცხანა ანგისამთავრობო მოძრაობის ბასტიონად გადაიქცა. რსდმპ (რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშაორ პარტია) ბათუმის კომიტეტს აქ პქონდა ბინა დადებული და „ბარცხანის გუბერნატორის“ სახელწოდებით საკმაოდ დიდხანს თითქმის ერთპიროვნულად განაგებდა ქალაქს. ამ საკითხთან დაკავშირებით ფრიად საინტერესოა ბათუმის ოლქის იმდროინდელი სამსედრო გუბერნატორის, გენერალ ფონ პარკაუს ცნობილი თვითაღიარებითი განცხადება.

„რა შემიძლია გავაკეთო მე, – დაუჩივლია მას, – ბრძანებას ვცემ, არავინ არ მისმენს, კომიტეტი კი ბრძანებს და მისი მოთხოვნა უსიტყვოდ სრულდება“ [ჭული ი., 1970: 125].

თავისი აქტიურობით ასევე გამოირჩეოდა რსდმპ ბათუმის კომიტეტის სამხედრო ორგანიზაციის ბარცხანის ჯგუფი, რომელსაც ბარცხანაში ჰქონდა კონსპირაციული შეხვედრის ადგილები და ანტისამთავრობო მუშაობას აწარმოებდა ახლო მდებარე სამხედრო ნაწილების ჯარისკაცებში [ჭული ი., 1960: 158-160].

აი ასე, ბედოთან ჭიდილში ყალიბდებოდა და ცხოვრობდა ბარცხანის დასახლება თავისი არსებობის პირველ ათწლეულებში.

აქვე ორიოდე სიტყვით გვსურს შევეხოთ ტოპონიმ „ბარცხან“-ის ეტიმოლოგიის საკითხს.

იყო ცდები, აღნიშნული ტოპონიმი უცხო ენების საშუალებით აქცხათ. მაგ. საბჭოთა პერიოდში ბათუმზე არსებულ საექსკურსიო თემებში მოთითებული იყო, რომ ბარცხანა მომდინარეობს თურქული სიტყვიდან „ბარუთ-ხანა“ (დენთის საცავი), სხვა ვერსიით „ბარ-(ც)-ხანა“ თითქოს ნიშნავდა აღგილს, სადაც „სპეციალურად გამოყოფილი მოხელე მოსახლეობას ხელისუფლების ოპერატორულ გადაწყვეტილებას აცნობდა“ („ბარ“ – საჯაროდ გამომცხადებელი სპარსულად, „ხანა“ – აღგილი) [ი. ბექირიშვილი, 2001: 54-55].

ქართველი მეცნიერები ამ ვერსიებს არ ცნობენ. მაგ. ი. ბექირიშვილი აღნიშნავს, რომ ქედის რაიონის სოფ. ჭინკაძეებში არსებობს მიკრო-ტოპონიმი „ბარცხანა“, ხოლო იმავე რაიონის სოფ. ლოლოგანთან ჩამოედინება მდ. ბარცხანილელე და სამართლიანად ასკვნის, რომ არავთარი საფუძველი არ გვაქვს დავუშვათ მათი არააღილობრივი, არაქართული წარმომავლობა.

მართლაც, აჭარაში, განსაძუთრებით ქედის მუნიციპალიტეტში, ბევრია ისეთი ტიპის ფონეტიკურად ურთიერმსგავსი ტოპონიმები, როგორებიცაა ბარცხანა-ფარცხანა-ბაგზარა-ბაგზარა და სხვ. [ი. სიხარულიძე, 1958: 47-85]. ხოლო ის, რომ „ბარცხანას სახელით ორი მდინარეა ცნობილი, ორივე აჭარის ქედის ერთი და იმავე მთიდან გამოდის და ერთი აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ მიედინება და ბათუმთან ახლოს ერთვის ზღვას, ხოლო მეორე – აჭარისწყლის შენაკადი – ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ მიემართება“ – უან მურიესათვისაც არ დარჩენილა შეუმნეველი [ჟ. მურიე, 1962: 39].

ქართველი მეცნიერების შრომებიდან ირკვევა, რომ ბარცხანა ჯერ ადგილს ერქვა და შემდეგ გადავიდა მდინარეზე. მაგ. ისტ. ი. ბექირიშვილი მიიჩნევს, რომ ბარცხანა (საუბარია ბათუმის უბანზე) ამ ადგილს ეწოდა, როგორც ბარში არსებულ რცხალ ანუ სასვენ მიწას (ბარ-რცხალ-ა – ბარცხალ-ა – ბარცხან-ა), თუმცა არ გამორიცხავს, რომ ტოპონიმი შეიძლება წარმომდგარიყო მცენარეების – რცხილას ან ბაძგი-ბარცხის სახელწოდებიდან [ი. ბექირიშვილი, 2001: 55-56]. ბაძგი-ბარცხის სახელიდან მიღებულად მიიჩნევენ ტოპონიმ

ბარცხანას მკვლევარები ნარგიზ ახვლედიანი [ნ. ახვლედიანი, 2000: 241-242] და გურამ ბედოშვილიც [გ. ბედოშვილი, 2002: 78-79].

ჩვენი ვარაუდით, არ არის გამორიცხული, რომ ბარცხანა პირველად მდინარეს დაერქვა, რომელიც ადიდების დროს სანაპირო მცენარეულობას დინების მიმართულებით მიწაზე აწვენდა, ერთგვარად ვარცხნიდა ანუ, კუთხურად, „ბარცხნიდა.“ აქედან ბარცხნიდელე, ბარცხნიწყალი. ყოველ შემთხვევაში, ძიება ზუსტი ეტიმოლოგიის დადგენისათვის ჯერ კიდევ საჭიროა.

აი, დაახლოებით, რაც გვინდოდა მოკლედ გვეთქვა ბარცხანის დაარსებისა და მისი ცხოვრების პირველი ათწლეულების თაობაზე. ვფიქრობთ, ცალკეული უბნების წარსულის საფუძვლიანი შესწავლა უდაოდ გაამდიდრებს მთელი ქალაქის, მთელი ჩვენი ქუთხის ისტორიას. სამომავლოდ აუცილებელია მუშაობის კიდევ უფრო გადრმავება ამ მიმართულებით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აჭარის ისტორიულ-რეგოლუციური ადგილები, ბათ., 1973.
2. 6. ახვლედიანი, „ბარცხან“-ისა და „ჭურია“-ს ეტიმოლოგიებისათვის, ქრ. საქნათმეცნიერო ძიებანი, ტ. X, თბ., 2000.
3. გ. ბედოშვილი, ქართულ ტოპონიმთა განმარტებით-ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბ., 2002.
4. ი. ბექირიშვილი, აჭარის გეოგრაფიულ სახელთა ლექსიკონი, ბათ., 2001.
5. დ. კლდიაშვილი, ჩემი ცხოვრების გზაზე, ბათ., 1984.
6. ო. კომახიძე, ლუქა ასათიანი, ბათ., 2003.
7. ჟ. მურიქ, ბათუმი და ჭოროხის აუზი, ბათ., 1962.
8. მ. სიორიძე, ბათუმის როდი ნაგობის მსოფლიო ბაზრისათვის ბრძოლაში (1883-1918წწ.), ბსუ შრომები (პუმანიტარულ მეცნიერებათა სერია), ტ. I, ბათუმი, 1995.
9. ი. სიხარულიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა (აჭარის ასებრ), წ. I, ბათ., 1958.
10. Батум и его окрестности (К 25-летию присоединения гор. Батума к Российской Империи), Бат., 1906.
11. Гурская Н., Путеводитель и справочная книжка по г. Батуму и окрестностям, Бат., 1901.
12. Дакишевич Н., Бат., Тиф., 1890.
13. Ергин Д., Дабича, М., 1999, http://lib.aldebaran.ru/author/ergin_dyeniel/ergin_dyeniel_dobycha/
14. Сегал Т., Жилища рабочих в г. Батум и меры к оздаровлению их, Кутаис, 1903.
15. Тарасов С., Ермолаев Д., Ропшильды и русская нефть, интернет-журнал „Российские вести“, 29 октября–6 ноября, 2008, <http://rosvesty.ru/1934/interes/?id=1000000301>
16. Френкель А., Очерки Чурук-су и Батума, Тиф., 1879.

17. Чулок И., Военно-боевая деятельность большевиков в Батуми в годы первой русской революции, Бат., 1960.
18. Чулок И., Очерки истории батумской коммунистической организации(1890-1921 годы), Бат., 1970.

Oleg Jibashvili (Batumi, Georgia)

From History of Batumi Districts – Bartskhana

Summary

Bartskhana is one of the most important districts of Batumi. It is located between the Bartskhana and the Skurkuba rivers. 120-130 years ago, this territory was covered with swamp, forests and bushes. The first settlement in this territory aroused after Batumi incorporating to Russia. These were peasants coming here from other parts of Georgia looking for jobs. In the beginning of XX century Bartskhana was the suburb of Batumi. From the administrative point of view it was included in Ortabatumi community of Kintrishi district. Its plentiful population at large was fighting against the unfavorable natural conditions as well as against the Russian colonial administration. It must be noticed that in 1905-1907 during the Russian Revolution, Batumi Committee head quarter of Russian Social-Democratic Labor Party was situated in Bartskhana and in the name of “Bartskhama Governor” administrated the town personally for a long period of time.

The name of Bartskhana is interpreted in many ways. In my opinion it must not be excluded that the first it appeared as the name of river; i. e. during its overflowing, it made the plants lie towards the stream and in some way combed them. “vartskhnis” in Georgian literary language means to brush, to comb, whereas “bartsknis” is mostly used in local speech. So from this the water of Bartskhana, in another words the Bartskhana River had to be derived.

უჩა ოქროპირიძე
(ბათუმი, საქართველო)

ბათუმის მოსახლეობის ეროვნული
შემადგენლობა და ერთაშორისი
ურთიერთობაზის ზოგიერთი საკითხი
(XX ს-ის პირველი ოცნებელი)

ფრანგი მკვლევრის – ჟან მურიეს მიხედვით, 1884 წელს ბათუმში ცხოვრობდა 8671 კაცი, რომელთა შორის იყვნენ ქართველები, რუსები, სომხები, ლაზები, თურქები, საარსები, აფხაზები, ბერძნები [ქ. მურიე, 1962: 35]. 1890 წლისათვის მიხი მოსახლეობა 14.891-მდე გაიზარდა [სემიმა, ფ. 4, ს. 45, ფ. 1-3]; 1897 წლის საიმპერატორო აღწერით ბათუმის მოსახლეობამ 28,5 ათასი შეადგინა, 1913 წლისათვის (პირველი მსოფლიო ომის დაწყების წინ) კი 38,6 ათას მიაღწია. პირველი მსოფლიო ომის პერიოდში მოსახლეობა აქ რამდენადმე შემცირდა და 1917 წლისათვის მან 35.048 კაცი შეადგინა [ართმელაძე შ., 1988: 33-34]; უცხოური, განსაკუთრებით კი თურქელი ოკუპაციის პირობებში ქართული მოსახლეობის უდიდესმა ნაწილმა ქალაქი დატოვა და 1918 წლისთვის ბათუმის მცხოვრებთა რაოდენობა 15.375-მდე დაეცა, 1920 წელს კი, აქ საქართველოს სახელმწიფო იურის-დიქტის ადგენისთანავე, მისმა მოსახლეობამ სწრაფად იწყო ზრდა და 1918 წელთან შედარებით თითქმის გასამაგდა, მიაღწია რა 45.446 მცხოვრებს [სემიმა, იქვე].

ამავე პერიოდის ქართუმის მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის სურათი კი ასე გამოიყერება: ჯერ კიდევ 1862 წლიდან ბათუმის ერთ-ერთი უბანი, კერძოდ ნურიე, გამოეყო მუპაჯირებსა და აფხაზეთიდან გამოსულებს თურქთა მიერ გამოცემული სპეციალური კანონის საფუძველზე [სცხია, ფ. 416, ან. 3, ს. 819, ფ. 5-8]. თუმცა, რეგიონზე რეგიონის მმართველობის დამყარების შემდეგ, აფხაზთა უმრავლესობა იქნება გაასახლეს.

უნდა აღინიშნოს, რომ ბათუმში სხვადასხვა ეროვნების მუშა-მოსამსახურეთა მოზღვავების მიუხედავად, მათ ძირითად მასას საქართველოს ცალკეული რეგიონებიდან ჩამოსულები შეადგენდნენ. როგორც ცნობილია, საქართველოში ბატონებობის გაუქმების შემდეგ განვითარებულმა მოვლენებმა ხელი შეუწყო დიდი რაოდენობით უმიწავლო გლეხეაცობის გაჩენას [სემიმა, ფ. 2, ს. 258⁵, ფ. 2-7], რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი საარსებო სახსრების საშოვნელად ქალაქებისაკენ დაიძრა. ისინი შეადგენდნენ მუშა-მოსამსახურეთა შექსების ერთ-ერთ ძირითად წყაროს ბათუმშიც. აქვე თავს იყრიდნენ რუსეთიდან და მუსლიმანური ქვეყნებიდან მოსულებიც [გრ. მარგიანი, 1974: 485], აგრეთვე იტალიიდან, საფრანგეთიდან, ინგლისიდან,

ბელგიიდან და ავსტრია-უნგრეთიდან გამოწერილი მაღალკვალიფიციური მუშახელი [გრ. მარგიანი, 1974: 488-489]; ბათუმის მცხოვრებთა საგრძნობ ნაწილს შეადგენდნენ ოსმალეთიდან XIX საუკუნის 90-იან წლებისა და პირველი მსოფლიო ომის დროს ლტოლვილი სომხები და ბერძნები; ბათუმში მოდიოდნენ რუსეთისა და უკრაინის ცენტრალური რაიონებიდან გამოქცეული გადატაკებული ელემენტებიც [ი. ბორიკი, აჭარაში რუსების დასახლების ისტორიისათვის 1878-1980 წ.წ.]. საარქივო დოკუმენტებში აღნიშნულია, რომ ბათუმში თავი მოიყარა სხვადასხვა წარმოშობის მუშათა მასამ, რომლის მთავარ კონტინგენტს ქართველები (ძირითადად გურულები), აგრეთვე რუსეთის შიდა გუბერნიებიდან და ოურქეთიდან მოსულები შეადგენდნენ [სემიმა, ფ. 2, ს. 258⁴/261, ფ. 11-14]. იქვე ნათქვამია, რომ ბათუმი დასახლებულია ქართველებით, ძირითადად, გურულებით და მეგრელებით [იქვე, ფ. 116-117], ხოლო ბათუმის პორტში მუშაობდნენ ქართველები (მათ შორის მუსლიმი აჭარლები), აფხაზები, სომხები, თურქები, რუსები და სხვანი [სემიმა, ფ. 4, ს. 62, ფ. 17].

თუ ეკელა ამ მონაცემებს გავითვალისწინებთ, უნდა ითქვას, რომ ქათუმში მცხოვრებთა უმრავლესობას აღნიშნული პერიოდისათვის, რუსეთის ცარიზმის მიერ გატარებული კოლონიური პოლიტიკის მიუხდავად, უკვე ქართველები წარმოადგენდნენ.

მე-20 საუკუნის დასაწყისში ბათუმში აღმავლობას განიცდის ანტისამთავრობო მოძრაობა, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ ყველა ეროვნების წარმომადგენლები: ქართველები, რუსები, პოლონელები, სომხები, ებრაელები და სხვ., – ნათქვამია დოკუმენტში „Обзор противоправительственного движения в г. Батуме“ [სემიმა, ფ. 2, ს. 258³/260, ფ. 1-10]. იქვე აღნიშნულია, რომ ანტისამთავრობო სწავლების წარმატებას ხელს უწყობდა მთელი რიგი მუდმივი და შემთხვევითი მიზეზები და პირველ მათგანს უნდა მივაკუთვნოთ ეროვნული საკითხი [იქვე].

ზოგიერთი მკვლევარი თავიანთ ნაშრომში აღნიშნავს, რომ ბათუმის არტელებში შეინიშნებოდა „ეროვნების მიხედვით დაჯგუფებანი: ქართველების არტელებში ქართველებია, რუსეთის ნაოსნობისა და ვაჭრობის საზოგადოების არტელებში – სომხები, ხოლო რუსული საზოგადოების არტელში – რუსები“ [აბ. სურგულაძე, 1962: 94-95], მაგრამ საპირისპირო სურათს გვაძლევს ბათუმის პორტის მუშათა არტელის ეროვნული შემადგენლობის 1909 წლის მონაცემები [სემიმა, ფ. 4, ს. 62, ფ. 17].

1905 წლით დათარიდებულ ზემოთ მოტანილ მიმოხილვაში პირდაპირაა მითითებული, რომ ბათუმის მუშებში ბევრია ქართველი (განსაკუთრებით გურულები), რომელთაც ბათუმში შექმნეს სასტიკი ტერორის ატმოსფერო, რაც იქცა ძლევამოსილ იარაღად მათ ხელში. დანარჩენი ეროვნებანი, რაოდენობრივად მცირენი, იძულებულნი არიან მათ მიეკედლონ. არავის შეუძლია დამნაშავის გაცემა, რაც არ

უნდა დააშავოს, არ არსებობს მოწმეები და აზრი არა აქვს თანამშრომლების ძებნას...

ტერორის გამო ქ.ბათუმის მთელი მოსახლეობა ისეა შეშინებული, საქმარისია სავაჭრო რიგებს ჩამოურბინოს ადგილობრივმა (იგულისხმება ქართველი – უ.ო.) დაკონკილმა ბიჭუნამ და წარმოთქას მუქარის სიტყვები, რომ დაიკეტოს მაღაზიები და ხშირ შემთხვევაში სხვა დანარჩენი დაწესებულებებიც. ამგვარი ძალადობის გამო ბათუმის მოსახლეობას დაკარგული აქვს კანონიერებისა და ადმინისტრაციული ორგანოებისადმი რწმენა, – აღნიშნულია მოხსენებაში [სემიძა, ფ. 2, ს. 258³/260, ფ. 1-10].

ამ შემთხვევაში რუსი მოხელე, რა თქმა უნდა, ძალიან აჭარბებს, მაგრამ ვერ მალავს რა ქ.ბათუმზე ქართული ეროვნული ელემენტის უდიდეს გავლენას, ამ ფაქტის ახსნას მისი ტერორისტული ქმედებების შედეგად გასაღებით ცდილობს. იგივე მოხელე აღნიშნავს, რომ სოციალ-დემოკრატიული პარტიის (რომელიც თითქმის მთლიანად ქართველებისაგან შედგებოდა) ბათუმის კომიტეტის თაოსნობით დაიბეჭდა და გავრცელდა პროკლამაციები „კავკასიის ყველა ხალხებისადმი,“ რომელშიც მოუწოდებდნენ მათ ჩაბმულიყვნენ განმათავისუფლებელ მოძრაობაში [სემიძა, ფ. 2, ს. 258³/260, ფ. 1-10]. ამავე ქართული ელემენტის მაღალი შეგნების ნიმუშად შეიძლება მივიჩნიოთ 1905 წელს სომებ-თათართა ულეტის დროს გამომჟღავნებული პოზიცია. მაშინ, როდესაც ცარიზმის საიდუმლო სამსახურების მიერ პროვოცირებულ ამ საშინელ აქციას მუსულმანური წრეების მიერ გამოხმაურების სახით მოყვა პროკლამაცია „Братъя мусульмане,“ რომელიც, ფაქტობრივად, წარმოადგენდა მოწოდებას კავკასიის ქრისტიანული მოსახლეობისადმი სასტიკი შერისგებისაკენ [აცსა, ფ. ი.-1, ს.ნ., ან. 1, ს. 189, ფ. 18-19]. ქართველთა მიერ მათდამი ბათუმში გაპეტებულ მიმართვაში ნათქვამია: „სალამი თქვენ მუსლიმან და ქრისტიან მშებს. ალბათ თქვენ უკვე გაიგეთ, რომ ახლახან კავკასიის სხვადასხვა ადგილებში მოხდა სისხლიანი ძმათამკვლელი ანგარიშ-სწორება მუსლიმანებსა და სომხებს შორის. ჩემთვის, როგორც ქართველისათვის, როგორც თქვენი თანამომმისათვის, ეს ძალიან სამწუხაროა... მე, როგორც თქვენმა მესამე ძმამ, შემიძლია გთხოვთ თრივე ხალხს, იცხოვროთ მეგობრულად და შეიგნოთ საერთო ინტერესები... ეცადოთ გამოასწოროთ თქვენი ამჟამინდელი ბნელი მდგომარეობა. იფიქრეთ ერთად, ძვირფასებო... გაფანტეთ თქვენს ირგვლივ ჩამოწლილი სიბრძეები, გააცნობიერეთ ერთად, როგორც ძმებმა და ერთმანეთის სიყვარულით იძრძოლეთ უკავშირი მომავლისათვის [აცსა, ფ. ი.-1, ს.ნ., ან. 1, ს. 189, ფ. 6].

ასეთი სულიერი განწყობილების ვითარებაში, ყალბად გამოიყურება რუსი სახელმწიფო მოხელის მიერ თავის მიმოხილვაში გაკეთებული დასკვნა, რომ თითქოს ბათუმში „შეუძლებელია გამოინახოს შერიგების დასაყრდენი როგორც პარტიულ, ისე არაპარტიულ საფუ-

ძველზე და ერთადერთი გამაფრთხილებელი ღონისძიება, რომ თავი-დან ავიცილოთ შეტაკება, არის მუსლიმანური, ქართული და სომხური მოსახლეობის განიარაღება“ [აცსა, ფ. 1, ს.ნ., ან. 1, ს. 741, ფ. 33-35].

აქვე უნდა ითქვას, რომ ბათუმში მცხოვრები მუსლიმებისათვის უცხო არ იყო ურთიერთსოლიდარობის გრძნობა. მაგალითად, რო-დესაც ბათუმში მოკლეს ორი მაჰმადიანი მეტოვე, პროტესტის ნიშნად ქალაქის საპოლიციო სამსახურიდან წავიდა 4 (ოთხი) მაჰმადიანი [სცსია, ფ. 10, ს. 55, ფ. 27]. ამასთან, მათ მიერვე ადგილი ჰქონდა რუსეთის საიმპერატორო ხელისუფლებისადმი საკუთარი ურ-ევი ლოიალობის დამტკიცების მცდელობასაც (მოხსენება „მეგრე-ლი“ პროპაგანდისტების ბათუმში საქმიანობის შესახებ – თარგმანი თურქულიდან) [სცსია, ფ. 10, ს. 55, ფურც. 76].

ბათუმში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეის გავრცელების თვალსაზრისით მეტად საინტერესო ცნობებს შეიცავს 1916 წლის ერთ-ერთი საიდუმლო მოხსენება, რომელშიც პირდაპირ ნათქვამია: „ყველა ადგილობრივ მცხოვრებს იმედი აქვს, რომ ოდესმე განმათავისუფლებელი მოძრაობის დახმარებით მიაღწევენ რუსეთი-საგან გამოყოფას“ [აცსა, ფ. 1, ს.ნ., ან. 1, ს. 741, ფ. 33-35].

ამავე დოკუმენტში ნათქვამია შემდეგი: „ქართველები, სომხები და მუსულმანები – ეს სამი ხალხია, რომელთა ურთიერთობაზე, ეროვნულ პრობლემებზე ძირითადად დამოკიდებული მთელი კავკასიისა და ამიერკავკასიის სიმშიდე. არ არსებობს ქართველი, რომელიც არ იზიარებდეს თავისი ხალხის მისწრაფებას შეინარჩუნოს ერის, ენის ბატონობა (გაბატონებული მდგომარეობა) და მომავალში საქართველოს აგტონომიის მიღწევის შესაძლებლობა... ქართველთა ეს უკანასკნელი მისწრაფება გახდა მთავარი საგანი მათი მოქმედებისა, ეს არის ყველა ქართველთა გაერთიანება, მიუხედავად რელიგიისა, საერთო მიზნების მისაღწევად...“

ბათუმის ოლქის მუსლიმანები, მოცემულ მომენტში, სრულიად დაქვემდებარებ ქართველების გავლენას და არავითარი საქუთარი არ გამოუვლენიათ, გარდა სომხებისადმი აშკარა მტრობისა, რაც უკანასკნელ პერიოდში კიდევ უფრო გამწვავდა აჭარლების პროცესთან დაკავშირებით. ამ გამწვავებას ხელს უწყობენ ქართველ მაჰმადიანთა ადვოკატები (დამცველები), რომელთაც სასამართლო დარბაზის უკანა კარებიდან გამოიტანეს ტენდენციური ფაქტები სომეხი მოწმეების გასამტკუნებლად (საწინააღმდეგოდ)...“

სამართლიანი არ იქნებოდა არ აღნიშნულიყო სომხების მხრიდან გამომწვევი ხასიათის მოქმედებანი, განსაკუთრებით მათი სასულიერო პირებისა, რომლის გავლენაც მათში ბატონობს.

სომხების ნაციონალური იმედები დამყარებულია ყველა სომხის გაერთიანებასა და ავტონომიური სომხეთის შექმნაზე“ [აცსა, ფ. 1, ს.ნ., ან. 1, ს. 741, ფ. 33-35].

იგივე დოკუმენტი გვაძლევს ბათუმში მოქმედი პოლიტიკური ორგანიზაციების ეროვნულ მახასიათებელთა საინტერესო სურათს. აქ აღნიშნულია, რომ ბათუმსა და მის ოლქში 1905–1907 წლების გამოსვლებისას სოციალისტ-რევოლუციონერთა, სოციალ-ფედერალისტთა, აგრეთვე დაშნაკისტებისა და გნჩაკისტების მოღვაწეობის ასპარეზი ძალიან სუსტი იყო, თუმცა ყველა რევოლუციური ორგანიზაცია მიტინგებისა და ქუჩების უწესრიგობისას სრული თანხმობით მოქმედებდა და ყველა უპირატესობას ანიჭებდა მათში ყველაზე ძლიერ სოციალ-დემოკრატიულ პარტიას, რომელშიც უპირატესად ქართველები იყვნენ გაერთიანებულნი (სოციალისტ-რევოლუციურში (ს.რ-ები) – რუსები, ს.ფ-ებში – ქართველი ინტელიგენცია – უ.ო.). რაც შეეხებათ დაშნაკებსა და გნჩაკს, ისინი ძირითადად დაკავებული ყოფილან თავიანთი ცენტრებისათვის მატერიალური სახსრების შეკრებით და აგრეთვე ასრულებდნენ მათ ცალკეულ დაგალებებს.

რაც შეეხება პანისლამისტური და პანთერქისტული პარტიების მოღვაწეობას, ასეთი ორგანიზაციები, როგორც ცალკე ერთიანი ერთეული, არ არსებობდნენ და მთელი მათი ქმედება პანისლამიზმის იდეის პროპაგანდისაკენ მიმართული, თავმოყრილი იყო მუსლიმანი სასულიერო პირებისა და მათი სპეციალური ემისრების ხელში, რომლებიც აქ ჩამოდიოდნენ ჩრდილოეთ კავკასიისა და ამიერკავკასიის მუსლიმური რეგიონებიდან.

მოხსენებაში ხაზგასმულია, რომ საბოლოო მიზნის მიღწევის თვალსაზრისით პანისლამიზმის იდეებმა ბათუმსა და მის ოლქში საგრძნობი შედეგები ვერ გამოიდო და ხელი შეუწყო მხოლოდ ფანატიზმის გაღვივებას.

რევოლუციის პერიოდში ბათუმში ყოფილა მცდელობა „რუსი ხალხის კავშირის“ შექმნისაც, მაგრამ მისი მოღვაწეობა ძალიან შეზღუდულ ხასიათს ატარებდა, არავითარი გავლენით არ სარგებლობდა და სულ ცოტა ხანში არსებობა შეწყვიტა, – მითითებულია დოკუმენტში [აცსა, ფ. 1, ს.ნ., ან. 1, ს. 741, ფ. 33-35].

აღსანიშნავია, რომ განმათავისუფლებელ მოძრაობას თანაუგრძნობდა უცხოეთიდან მოსული ზოგიერთი პიროვნებაც. მაგალითად, ბათუმში „ბნიტოს“ ქარხნის დირექტორი გონი, როგორც ფრანგი რესპუბლიკელი, არ თანაუგრძნობდა თვითმპურობელურ იდეას და, როგორც განმათავისუფლებელი მოძრაობის გულშემატკივარი, იფარავდა ცარიზმის მიერ დევნილებს და თავისთან სამსახურში იღებდა სხვა ქალაქებიდან აღმინისტრაციული წესით გასახლებულებს [სემია, ფ. 2, ს. 258³/260, ფ. 1-10].

დოკუმენტში აღნიშნულია, რომ სომხებიც მიეკედლნენ მოძრაობას, მაგრამ ყველა სომქემა, განსაკუთრებით მათმა ინტელიგენციამ, მხოლოდ მაშინ აიმაღლა ხმა, როდესაც მათ ჩამოართვეს საეკლესიო ქონება. ისინი ყოველთვის ცდილობენ დაეხმარონ თავიანთ თანამოძმებებს თურქეთში და ყოველთვის დაკავებულნი არიან იარაღის მიწოდებით სომხურ ცენტრებში: ერევანში, ალექსანდროპოლში და

სხვ. სხვა მასალებიც გვაძლევს საფუძველს ვიფიქროთ, რომ სომხური მოსახლეობა ბათუმში ხშირად მოქმედებდა თავისი ვიწრო ეროვნული თვალსაზრისიდან გამომდინარე [სემიმა, ფ. 2, ს. 7, ფ. 7-10; იქვე, ს. 258³/260, ფ. 1-10].

აი, ასეთია მოკლედ აღნიშნულ პერიოდში ქ.ბათუმის მცხოვრებთა ეროვნული შემადგენლობა და მათი საქმიანობის ზოგადი სურათი. მაგრამ უნდა ითქვას ისიც, რომ ქალაქ ბათუმის 1888 წლის პირველივე თვითმმართველობის არჩევნებში უპირატესობა ქართველებმა მოიპოვეს. ამ ორგანოს 36 წევრიდან ქართველი იყო 11 (7 ქრისტიანი და 4 მაჰმადიანი), 10 – სომები, 7 – რუსი, ორ-ორი წევრი გაიყვანეს პოლონელებმა, ბერძნებმა, ებრაელებმა და 1 გერმანელებმა [Батум по..., 1890: 121-135]. 1894 წლის ბათუმის თვითმმართველობის მეორე არჩევნებში კი გამარჯვებული 35 ხმოსნიდან ქართველი იყო 19, რუსი – 8, ბერძნი – 5 და პოლონელი – 3; ხოლო ქალაქის თავად მოიწვიეს და აირჩიეს ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე ლუკა ასათიანი [Месхи И., 1906: 496-497], მისი გარდაცვალების შემდეგ კი, 1902 წლის იანვრიდან 1916 წლის მარტამდე, ბათუმის ქალაქის თავი იყო ასევე ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე ივანე ანდრინიკაშვილი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქართველების სასარგებლო ბალანსი ქ.ბათუმის თვითმმართველობის არჩევნებში არ დარღვეულა 1898, 1902 და შემდეგი წლების არჩევნებშიც.

თუ გავითვალისწინებთ ყოველივე ზემოთ აღნიშნულს, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ მე-20 საუკუნის პირველ ოცწლეულში ბათუმი წარმოადგენდა მრავალეროვნულ დასახლებას, სადაც ერთმანეთის გვერდით ცხოვრობდნენ ქართველები, რუსები, სომხები, თათრები, სპარსელები, თურქები, ინგლისელები, ფრანგები, იტალიელები, გერმანელები, ბელგიელები, პოლონელები, ებრაელები და სხვები; მაგრამ, ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის მიუხედავად, აღნიშნულ პერიოდში მოსახლეობის უმრავლესობას აქ მაინც ქართველები წარმოადგენდნენ, რომელთაც წამყვანი პოზიციები ეკავათ ქალაქის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

- შ. ართმელაძე, აჭარის მოსახლეობის რიცხოვნების დინამიკა, სამხერეთ-დასავლეთ საქართველოს ეკონომიკის პრობლემები, ბათ., 1988.
- აჭარის არ ცენტრალური სახელმწიფო არქივი (აცსა), ფონდი 1, საიდუმლო ნაწილი, ანაწერი 1, საქმე №741.
- აცსა, ფონდი ი-1, საიდუმლო ნაწილი, ანაწერი 1, საქმე №189.
- აცსა, ფონდი 2, საქმე № 7.
- ი. ბორიკი, აჭარაში რუსების დასახლების ისტორიისათვის, 1878–1980 წ.წ.
- ქ. მურიკ, ბათუმი და ჭოროხის აუზი, ბათ., 1962.

7. გრ. მარგიანი, საქართველოს მრეწველობა და სამრეწველო პროდუცარიატი 1864–1917 წლებში, თბ., 1974.
8. საქართველოს ეროვნული მოძრაობის ისტორიის მუზეუმის არქივი (სემიმა), ფონდი 2, საქმეები №№ 7; 258³/260; 258⁴/261; 258⁵.
9. სემიმა, ფონდი 4, საქმეები №№ 45; 62.
10. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი (სცსსა), ფონდი 416, ანაწერი 3, საქმე № 819.
11. სცსსა, ფონდი 10, საქმე № 55.
12. აბ. სურგულაძე, ბათუმის ნავსადგურის მუშათა რევოლუციამდელი ყოფის საკითხისათვის, ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომები, გ. 2, ბათ., 1962.
13. Батум по однодневной переписи, 17 июня 1890 г., издание Батумской городской управы.
14. Месхи И., Очерк развития Батумского городского хозяйства, сбор. «Батум и его окрестности», Бат., 1906.

Ucha Okropiridze (Batumi, Georgia)

Some Questions of National Structure and National Relation of the Population of Batumi (The first twenty Years of the XX -th century)

Summary

The data discussed in the essay give us possibilities to announce, that in the first twenty years of the XX-th century the national structure of the population of batumi, in spite of the colonial policy of the Russian tsarism the leading position had the Georgians. Beside of them in Batumi there lived: the Russians, the armenians, the Tatars, the Persians, the Turks, the English, the French, the Italians, the Germans, the Belgians, the Polishs, the Jews and so long.

At this period, Georgians were not only majority of population of Batumi, but they also had the leading position in the political and social life of town.

ლელა სარალიძე
(თბილისი, საქართველო)

**ოსმალითის ოჯახაციის პარიოდის
ბათუმის ისტორიიდან (1918 წ.)**

1916 წლის 1 ნოემბერს ოსმალეთმა პარიზის 1856 წლის და ბერლინის 1878 წლის ხელშეკრულებები გაუქმდებულად გამოაცხადა, რის გამოც ბათუმი თხმალთა მხრიდან მოსალოდნელი აგრესის გაზრდილი საფრთხის ქვეშ აღმოჩნდა. ბრესტ-ლიტვისკის საზაფო მოლაპარაკებაშე (1918 წ.) ბათუმისა და სხვა ქართული ტერიტორიების ოსმალეთისათვის გადაცემის აუცილებლობა ოსმალეთის დელეგაციის წარმომადგენელმა პაკი ფაშამ ასე დაასაბუთა: „ყარს-არდაგან-ბათუმის თლქები ოსმალეთს ექუთვნოდა ოთხი საუკუნის განმავლობაში; ...ოთხი საუკუნის განმავლობაში ოსმალეთს არ უსარგებლია ბათუმით კავკასიაზე თავდასახსხმელად... ისეთი დიდი იმპერია, რომელსაც ხელთ პქონდა პორტი ბათუმი, არასოდეს თავს არ დასხმია პატარა სახელმწიფო საქართველოს. რუსეთს აქვს კავკასიაში საკმაო პორტები, მაგალითად, ფოთი, რომელიც მოხერხებულია თბილისთან სავაჭრო ურთიერთობისათვის. ბათუმი დავუთმეთ რუსეთს 1877-1878 წლის ბერლინის ტრაქტატით, როგორც სამხედრო კონტრიბუციის ნაწილი, რომელსაც დღვევანდელი პრინციპები, საზაფო კონფერენციის მიერ აღიარებული, ადარ ცნობს. ჩვენ ამ თლქებს ანექსიას არ ვუხდენთ, რაც შეეხება არდაგან-ყარს-ბათუმის მოსახლეობის ინტერესებს, მე ვკითხულობ: რომელ სახელმწიფოს აქვს მეტი უფლება ამ მხარეზე, ვინემ ოსმალეთს, რომელსაც ოთხი საუკუნის განმავლობაში ეჭირა იგი და თავის წინააღმდეგ არავითარი რევოლუციური მოძრაობა არ გამოუწვევია?...“ [ვ. ნოზაძე, 1989: 21].

1918 წლის 12 აპრილს, ოსმალეთის მთავარსარდალმა ვეხიბ ფაშამ, ბათუმის კომენდანტ გედევანიშვილს ქალაქის დაუყოვნებლივ დაცლა მოსთხოვა. 1918 წლის 14 აპრილს ოსმალეთის ჯარმა ბათუმი დაიკავა. ამიერკავკასიის რესპუბლიკის დაცემის შემდეგ, 1918 წლის 26 მაისს, საქართველოს ეროვნულმა საბჭომ საქართველოს დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ოსმალეთის ჯარების წინსვლის შესჩერებლად, დროის მოგების მიზნით, 1918 წლის 4 ივნისს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ ოტომანთა იმპერიის მთავრობასთან ხელი მოაწერა კაბალურ საზაფო ხელშეკრულებას [სცსსა, ფ. 1836, ან. 1, ს. 73]. გიორგი გვაზავა, რომელიც ამ ზავზე ხელმომწერთაგან ერთ-ერთი იყო, შემდგომში ასე აფასებდა ამ ნაბიჯს: „ჩვენ გამოვაცხადეთ დამოუკიდებლობა 26 მაისს. 4 ივნისს კი ჩვენ წინ იდგა ბათუმში შემოჭრილი ოსმალეთის ჯარი. თავის-თავად ცხადია, ერთი კვირის განმავლობაში საქართველო ვერ

მოაწყობდა საკმარის ჯარსა და სამხედრო მასალას, რომ შეეჩერებინა ოსმალეთის ლაშქარი. რუსეთი დამარცხებული იყო; ბრესტ-ლიტვასკის ხელშეკრულებით მან დაუთმო ოსმალეთს ბათუმის, არგაანის და ყარსის ოლქები. დღიდან ამ ხელშეკრულების დადებისა ჩვენთვის ცხადი იყო, რომ ოსმალეთი წამოვიდოდა ამ პროვინციების დასაჭერად და დიდ განსაცდელში ჩავარდებოდა მთელი საქართველო. ამიტომ ჩვენ მაშინვე დავიწყეთ საჭირო დიპლომატიური მუშაობა. ერთად ერთი ძალა, რომელსაც შეეძლო მაშინ რაიმე დახმარების აღმოჩენა, იყო გერმანია. ჩვენ დროზე შევეცადეთ და გავიტანეთ გერმანიაში ის აზრი, რომ არ იქნებოდა დიდი სახელი გერმანიისათვის, თუ ის ნებას მისცემდა თავის მოკავშირე ოსმალეთს, მუსულმანურ ქვეყანას, დაეჭირა საქართველო, ქრისტიანული ქვეყანა... ხელის მოწერა ოსმალეთის ზავზე ჩვენთვის იყო მხოლოდ დროის მოგება. რატიფიკაცია არ მომხდარა და თვით ოსმალეთი იძულებული გახდა დაეცალა სამუსულმანო საქართველო“ [გ. გვაზავა, 1938: 5].

ოსმალები კარგად აცხობიერებდნენ, რომ მათთვის იოლი ვერ იქნებოდა ბათუმისა და ახალციხე-ახალქალაქის შენარჩუნება. ისიც იცოდნენ, რომ მათი მოკავშირე გერმანია საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხისადმი დადებითად იყო განწყობილი. თავის მხრივ, არც რუსეთი იყო კამაყოფილი ბრესტ-ლიტვასკის ზავით და პროტესტი განაცხადა ოსმალების მიერ ბათუმის დაკავების გამო [ალ. მანველიშვილი, 1984: 188-189]. ხელშეკრულების დადების გარდა, ოსმალებმა ბათუმის შესანარჩუნებლად სხვა ხერხებაც მიმართეს. მათ ჩაატარეს პლებისციტი, რათა გამოერკვიათ, ბათუმის ოლქის მცხოვრებნი ოსმალებს დაუჭერდნენ მხარს თუ საქართველოს. პლებისციტის დროს საქართველოს მომხრე ყველა აჭარელი დაატუსაღეს და აიძულეს ოსმალეთის სასარგებლოდ მიეცათ ხმა. ქართველების მომხრეობის გამო, ოსმალო ჯარისაცებმა დახვრიტეს ქართველი მაჰმადიანი, ქობულეთელი ანანიძე სოფელ ქედაში, ხოლო ქობულეთელი ხასან თხილაიშვილი, რეფერენტუმის დროს ოსმალეთის საწინააღმდეგოდ ხმის მიცემისათვის დასახვრეტად ხეზე გააკრეს და მხოლოდ გერმანელმა ოფიცერმა გადაარჩინა სიკვდილს [სცხსა, ფ. 1864, ან. 1, ს. 5].

ოსმალთა ოჯახაცია 1918 წლის ბოლომდე გაგრძელდა. ბათუმის მცხოვრებთათვის ერთნაირად მიმიკ იყო როგორც მეფის რუსეთის, ასევე ოსმალეთის მმართველობა, რაც ადგილობრივი მოსახლეობისათვის ფაქტობრივად ერთი უდილის მეორეთი შეცვლას ნიშნავდა. თუმცა, ჩვენს მიერ შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში მიკვლეული ძველი ჩინოვნიკის, ვ. პ. მელნიკოვის ხელნაწერი მოგონების – „Турецкая оккупация в Аджарии“ – მიხედვით იკვეთება შედარებით განსხვავებული სურათს, რაც ხშირ შემთხვევაში არაობიექტურობის შთაბეჭდილებას სტოკებს [სცხსა, ფ. 8, ან. 1, ს. 73].

მელნიკოვი შემდეგნაირად გვიხატავს ოსმალთაგან თკუპირებულ ბათუმში შექმნილ ვითარებას:

მისი სიტყვით, აჭარაში ოსმალეთის ჯარების შესვლის წინ მრავალი ბათუმელი შიშობდა, რომ ოქუპანტები დაიწყებდნენ ცხოვრების უკვე დამკვიდრებული ფორმების რადიკალურ შეცვლას; თუმცა ბათუმელების სასიამოვნო იმედგაცრუება მოხდა, რადგან ამჯერად ოსმალებმა თავი წარმოაჩინეს არა როგორც მრისხანე, არამედ საქმაოდ ტაქტიანმა და კორექტულმა დამპყრობლებმა. გამარჯვებულ ოსმალო ჯარისკაცებს მრისხანე შეძახილებით არ დაუზოქებიათ ბათუმის დამარცხებული მოსახლეობა, ქალაქი ჯარისკაცებისათვის საძარცვავად არ გადაუციათ, როგორც ეს ადრე, მხგავს შემთხვევებში ხდებოდა. თავის მხრივ, ბათუმის მოსახლეობა ოსმალო დამპყრობელს კორექტულად, მაგრამ არა აღფრთვანებით, შეხვდა [სშსა, ფ. 8, ა. 1, ს. 73, ფ. 20]. მიუხედავად ამისა, აღგილობრივ მოსახლეობასა და მომხვდურებს შორის მჭიდრო კავშირი არ დამყარებულა, რისი მთავარი მიზეზიც ოსმალებისა და აღგილობრივი მოსახლეობის ხასიათებს შორის მკვეთრი განსხვავება იყო. ოსმალებისაგან შედარებითი ლმობიერება იმითაც იყო გამოწვეული, რომ I მსოფლიო ომში ოთხთა კავშირის ქვეყნებს არ უმართლებდათ. აშკარად იგრძნობოდა ომში გარდატეხის მოახლოება მოკავშირების სასარგელოდ. ცხადი იყო, აჭარა და ბათუმი ოსმალების ხელში დიდხანს ვერ დარჩებოდა. ალბათ, ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ გამარჯვებულის რანგში ბათუმში შესვლისა და მოსახლეობასთან ურთიერთობის დროს, ოსმალები მათ უპირატეს მდგომარეობას არანაირად არ უსვამდნენ ხაზს. ბათუმის გარნიზონის ოფიცერთა შემადგენლობა კარგი მანერებით, გარეგნული სიკონტაკითა და კორექტულობით გამოირჩეოდა. ოფიცერთა უმრავლესობა კარგად აღზრდილი იყო და თურქელის გარდა რამდენიმე უცხო ენის ფლობდა, უმეტესად ფრანგულს და თანაც შესანიშნავად. ოფიცერთაგან ფრანგული თითქმის ყველამ იცოდა [სშსა, ფ. 8, ა. 1, ს. 73, ფ. 21]. უცხო ენის ცოდნა ოსმალეთის არმიაში რაიმე განსაკუთრებულს არ წარმოადგენდა. კონსტანტინოპოლიში და იმპერიის სხვა საპორტო ქალაქებში ჩვეულებრივ მრავალი უცხოელი ცხოვრობდა და ოტომანთა იმპერიის ოფიცერები ბავშვობიდანვე შეჩვეული იყვნენ მათ გარშემო უცხო ენებზე საუბარს. თვალშისაცემი იყო ბათუმში მყოფი ოსმალო ოფიცერების კარგი ჩაცმულობა, რასაც ვერ ვიტყვით ჯარისკაცებზე, რომლებიც ცუდად იყვნენ შემოსილი, რაც იმდროინდელი ოსმალეთის ხაზინის სიღარიბით იყო განპირობებული. ცუდი ჩაცმულობისა და მწირი მომარაგების მიუხედავად, ოსმალო ჯარისკაცები არ მათხოვრობდნენ და არც რაიმე სახის გამოძალვას ეწეოდნენ ბათუმის მოსახლეობისაგან [სშსა, ფ. 8, ა. 1, ს. 73, ფ. 22].

ოსმალებმა მმართველობის თავიანთი წესები დაადგინეს, რომლებიც არსებული რუსული წესებისაგან სრულიად განსხვადებოდა. მაგალითად, მნიშვნელოვნად გამარტივდა როგორც ქალაქის მართვის

სისტემა, ასევე მოსახლეობასთან ხელისუფლების ურთიერთობის ფორმებიც [სშსსა, ფ. 8, ან. 1, ს. 73, ფ. 23].

ოკუპაციის დაწყების შემდეგ, — წერს მელნიკოვი, — ბევრი ბათუმელი საგონებელში ჩავარდა იმის გამო, თუ რა ფულის ნიშნები იქნებოდა მიმოქცევაში და რა მოელოდა მანამდელ ქაღალდის ფულს. შედარებით მშვიდად იყვნენ ოქროსა და ვერცხლის მონეტების მფლობელები. ახალმა ხელისუფლებამ საფინანსო პრობლემა შედარებით მარტივად გადაწყვიტა. ოსმალებმა სახელმწიფო ფულის ერთეულად გამოაცხადეს ლირა. ერთი ოსმალური ლირა უდრიდა 16 რუსულ რუბლს. კურსი მკაცრად იყო განსაზღვრული და ოკუპაციის პერიოდში არ შეცვლილა, რისი შედეგიც იყო პირველადი მოთხოვნების საგნებზე ფასების ურყეობა. ბათუმის მოსახლეობა სიხარულით ინახავდა ოსმალურ ფულს, რის გამოც დროდადრო აჭარაში ლირების, კერძოდ, წერილი კუპიურების დეფიციტიც კი იქმნებოდა. ოსმალეთის ფინანსურმა წრებებმა საგაჭრო ოპერაციების დროს ნაღდ ფულზე მოთხოვნილების პრობლემის გადაჭრის უბრალო და ორიგინალური გზა იპოვეს: ისინი ქადაღდის კუპიურას შუაზე ჭრიდნენ, თითოეულ ნაწილს საბანკო ნიშნებს ასვამდნენ და კვლავ მიმოქცევაში უშვებდნენ. ამ ნახევარ კუპიურს იგივე ძალა ჰქონდა რაც მთლიანს, ასეთი ფულის მიღება სავალდებულო იყო როგორც სახელმწიფო დაწესებულებისთვის, ასევე კერძო პირებისთვის [სშსსა, ფ. 8, ან. 1, ს. 73, ფ. 24].

განსაკუთრებული სიმკაცრით გამოირჩეოდნენ ოსმალო პოლიციულები. დამნაშავეებს მკაცრად სჯიდნენ, მათ იატაკზე აწვენდნენ და მსხვილ ჯოხს ურტყამდნენ. დარტყმების რაოდენობა დამოკიდებული იყო დანაშაულის ხარისხზე. ძალიან გაფრცელებული იყო დასჯა ჯოხის 31-ჯერ დარტყმით. ბათუმელებს კარგად ახსოვდათ დასჯის ეს ფორმა, რომელსაც ოსმალები „ოთვზ-ბირს“ ეძახდნენ. დასჯის შემდეგ ნებისმიერ პირს შეეძლო სადაც სურდა იქ წასულიყო, ან სულაც დაეტოვებინა ბათუმი [სშსსა, ფ. 8, ან. 1, ს. 73, ფ. 25].

ოსმალების ოკუპაციამდე, როგორც ცარიზმის, ასევე რევოლუციის პერიოდში, ხშირი იყო ქერდობისა და ძარცვის შემთხვევები. ბათუმის გაზოგმენი სპეციალური რებრიკაც კი იყო, სადაც რეგულარულ ქვეშდებოდა ცნობები მძარცველების შესახებ. ცარიზმი სუსტად ებრძოდა სისხლის სამართლის დამნაშავეებს, უფრო მეტიც, მათგან ქრომის სახით ხშირად სარგებელსაც ნახულობდა. მელნიკოვის სიტყვით, ოსმალეთის მმართველობის დროს ძირეულად ამოძირება ქურდობის ფაქტები, რადგან დაკავებულ მძარცველებს უმოწყალოდ სცემდნენ პოლიციაში და ქალაქიდან აძევებდნენ [სშსსა, ფ. 8, ან. 1, ს. 73, ფ. 26].

ბათუმელებმა, რომლებსაც, როგორც ნამდვილ სამხრეთელებს, ყოველთვის უყვარდათ სხვადასხვაგვარი გართობა და მხიარულება, ოსმალური ოკუპაციის პერიოდში ძალიან მოიწყინეს. ისეთ ქალაქს, როგორიც ბათუმი იყო, განსაკუთრებულობას ანიჭებდა პორტი და

გარნიზონი. ოკუპაციის პერიოდში მეზღვაურებს და პორტის მუშა-
ქებს მხიარულებისთვის აღარ ეცალათ. გაჭიანურებული ომის გამო
სამხიარულო განწყობა არც სახელმწიფო მოხელეებსა და
გარნიზონის ხელმძღვანელობას პქონდათ. ბათუმის თეატრიც უდიმ-
დამოდ აგრძელებდა თავის არსებობას, რომლის სცენაზეც ძირითა-
დად მოყვარულებისა და უმუშევრად დარჩენილი მსახიობებისაგან
სახელდახელოდ შეკოწიწებული დასები გამოდიოდნენ.

ოსმალეთის საოკუპაციო ხელისუფლება სიფრთხილეს იჩენდა
სხვადასხვა ენისა და დამწერლობის გამოყენების მიმართ. სახელმწი-
ფო ენა, რა თქმა უნდა, თურქული იყო, მაგრამ მასთან ერთად გა-
მოიყენებოდა რუსულიც, როგორც ადგილობრივი მოსახლეობისათვის
მეტ-ნაკლებად გასაგები ენა. თურქულ და რუსულ ენებზე იბეჭ-
დებოდა ოფიციალური განცხადებები, განკარგულებები და ბრძანე-
ბები, გაზეთები, თეატრალური აფიშები, სარეკლამო წარწერები.

მელნიკოვი აღნიშნავს სხვა ფაქტსაც. მიუხედავად იმისაო, რომ
საფრანგეთი ოსმალეთის მოწინააღმდეგებ ბანაკში იმყოფებოდა,
ადგილობრივ ოსმალურ ადმინისტრაციასთან ურთიერთობა ფრანგულ
ენაზეც იყო შესაძლებელი. ოსმალური ადმინისტრაცია, მშობლიურ
ენაზე საუბრის გამო, არ ავიწროვებდა ბათუმში მცხოვრებ არც
ადგილობრივ მოსახლეობას და არც სხვა ეროვნულ უმცირესობებს,
ბათუმის ქუჩებში ჩვეულებრივ ისმოდა საუბარი ქართულ, ბერძნულ,
სომხურ და სხვა ენებზე.

ძველი რუსული მმართველობის პერიოდისაგან განსხვავებით,
ბათუმის ქუჩებში ვერ ნახავდით ვერც ერთ არათუ მთვრალ, არამედ
ნასვამ ოსმალო ჯარისკაცებაც კი. ოსმალები თავიანთი რელიგიის
გამო ალკოჰოლურ სასმელებს არ იყენებდნენ, თუმცა, სპირტიანი
სასმელებით ვაჭრობის მიმართ მოთმინებას იჩენდნენ. თავის მხრივ,
ბათუმელი მოქალაქეებიც ერიდებოდნენ ქუჩაში გამოსულიყვნენ
ნასვამ მდგომარეობაში [სშსსა, ფ. 8, ან. 1, ს. 73, ფ. 28].

საკმაოდ მძიმე სიტუაცია იყო სანიტარული თვალსაზრისით,
რადგან ახალი ხელისუფლება მას სათანადო ყურადღებას არ აქ-
ცევდა. ბათუმის ცენტრალურ ნაწილშიც კი ქუჩები გავსებული იყო
ნაგვით. ეს იმითაც იყო გამოწვეული, რომ ოკუპაციის გამო სახ-
ლების ზოგიერთი მეპატრონე ქალაქიდან გაქცეული იყო და ეზოებიც
უპატრონოდ მიტოვებული [სშსსა, ფ. 8, ან. 1, ს. 73, ფ. 32].

1918 წლის 30 ოქტომბერს ოსმალეთმა ხელი მოაწერა მუდროსის
დროებით საზავო ხელშეკრულებას, რომლის ძალითაც მათ კონტ-
როლქვეშ მყოფი ამიერკავკასიის ტერიტორიები ანგანგის დაქვემ-
დებარებაში გადავიდა.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

1. გ. გვაზავა, ვინ გასცა საქართველოს მიწა-წყალი (პასუხად ზურაბ ავალიშვილი), გამ. „დამოუკიდებელი საქართველო“, 1938, იანვარი, №142.
2. ალ. მანველიშვილი, რუსეთი და საქართველოს დამოუკიდებლობა, სან-ფრანცისკო, 1984.
3. ვ. ნოზაძე, საქართველოს აღდგენისათვის ბრძოლა მესხეთის გამო, თბ., 1989.
4. 1918 წლის საზაფო და მეგობრობის ხელშეკრულება ოტომანის საიმპერიო მთავრობასა და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას შორის, საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი (სცსა), ფონდი 1836, ანაწერი 1, საქმე №73; იქვე, ფონდი 1864, ანაწერი 1, საქმე №27 (რუსულ ენაზე).
5. დ. თოფურიძე, ცნობები ოსმალობის მიერ ქართველების დახვრეტის შესახებ (1918 წლის დეკემბერი), საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი (სცსა), ფონდი 1864, ანაწერი 1, საქმე №5.
6. მელინიკოვ ვ. პ., ტურецкая оккупация в Аджарии, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (სშსსა), ფონდი 8, ანაწერი 1, საქმე №73.

Lela Saralidze (Tbilisi, Georgia)

From the history of period of Ottoman occupation of Batumi (1918)

Summary

This work is based on archival materials and discusses the existence of population of Batumi during Ottoman occupation. Ottomans occupied Batumi in 1918 of 15 April, after their government demanded to Russia to return the territory of Ardagani, Kharsi and Batumi according to Brest-Litovsk agreement which was made in 1918 of 3 marches. This work shows how the local inhabitants of Batumi obtained the Ottomans govern, which was radically different from Russians. There is also discussed the dependence of Ottoman soldiers to local inhabitants, work describes how local people and intelligence lived and spent their free time in occupied city. There is also discussed banking and financial system which was in power during Ottoman occupation. There is also underlined that Ottoman empire saw the approaching failure and that's why they became more liberal.

In this work there is also said that Ottoman occupation did not last long, because in 1918 of 30 October Ottoman Empire signed for Mudros peace treat. According to it the territory of Transcaucasia which was occupied by Ottoman Empire became the part of Antanta. According to it in 1919 of 18 January the army of England entered in Batumi and established English govern.

ნოდარ მუშკულიანი
(ქუთაისი, საქართველო)

**გერმანული დალგაციის საქმიანობა ბათუმში
1918 წელს**

პირველი მსოფლიო ომის დამამთავრებელ ეტაპზე რუსეთის იმპერიაში მიმდინარე დეზინტეგრაციულმა პროცესებმა ხელსაყრელი პორობები შექმნა საქართველოს პირველი რესპუბლიკის დაარსებისათვის.

გადამწყვეტი როლი საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნაში კაიზერულმა გერმანიამ შეასრულდა, რომელმაც თავისი „ქართული პოლიტიკა“ ყველაზე აქტიურად ბათუმის კონფერენციაზე გამოავლინა, სადაც ერთი პლენარული სხდომა ჩატარდა 11 მაისს და შემდეგ, თურქული მხარის დესტრუქციული პოზიციის და, ასევე, ამიერკავკასიის დელეგაციის შიგნით გადაუდაბავი წინააღმდეგობების გამო, ერთობლივი მუშაობა ჩაიშალა¹ [კრესი, 2002: 9–10]. კონფერენციის მუშაობის ორივე ეტაპზე (11-26 მაისი და 31 მაისი - 4 ივნისი) თურქები თავის ტერიტორიულ პრეტენზიებს მძლავრი სამხედრო აქციებით ამყარებდნენ და აშკარა იყო, მხოლოდ გერმანიას შეეძლო მისი მოკავშირის საპირწონე ძალის როლის შესრულება.

ბათუმის სამშვიდობო კონფერენცია, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ბედის განმსაზღვრელი მოვლენა გახდა, ქართველი მეცნიერების ინტენსიური ყურადღების ცენტრშია.² აქ მარტო იმის აღნიშვნაც საკმარისია, რომ პროფ. მ. სიორიძემ გამოკვლევაში „სამხერეთ-დასავლეთი საქართველო 1914-1918 წლებში“ სპეციალური პარაგრაფი მიუძღვნა კონფერენციის მუშაობას³ [მ. სიორიძე, 202: 234-247]. მისი ლაკონური შეფასებით „... საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აზრი საბოლოოდ ბათუმში გამოიძერწა და აქ შემუშავებული გეგმით 26 მაისს თბილისში განხორციელდა“. მიუხედავად ამისა, ცალკე არაა გამოკლეული გერმანული დელეგაციის საქმიანობის ბევრი დეტალი, არადა, როგორც ითქვა, გერმანია იყო ის უმნიშვნელოვანესი საგარეო პოლიტიკური ფაქტორი და რეალური ძალა, რომელმაც არსებითად განაპირობა ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენა.

გერმანული დელეგაციის საქმიანობის ანალიზი მოცემულია ჩვენს მიერ თარგმნილ ფონ კრესის მოგონებებისადმი წამდგვარებულ ნარკვევშიც [კრესი, 2002: 14-25], მაგრამ ახლა ჩვენს მთავარ წყაროს გერმანული მხარის რამდენიმე, ქართულ ისტორიოგრაფიაში უცნობი დოკუმენტი წარმოადგენს. საქმე ეხება იოჰანეს ლეპსიუსის⁴ მიერ ჯერ კიდევ 1919 წელს, მოვლენათა კვალდაკვალ, პოტსდამში გამოცემულ დოკუმენტთა კრებულს – „გერმანია და სომხეთი 1914 - 1918“,

რომელშიც შევიდა გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიკური არქივის დოკუმენტები – ძირითადად დიპლომატიური მიმოწერა და ანგარიშები. კრებული შეიცავს მასალას, რომელიც საქართველოს და, კონკრეტულად, ბათუმში გერმანული მისიის საქმიანობას ეხება. საინტერესოა, რომ თავის დროზე ლეპსიუსის მიერ გამოქვეყნებული დოკუმენტები რამდენადმე სახეშეცვლილი (მანიპულირებული) აღმოჩნდა. ამ მასალების ახალი, ორიგინალებთან შეჯერებული ვერსია გამოქვეყნებულია 2003 წელს ვოლფგანგ და ზიგრიდ გუსტების მიერ.

გერმანიის კავკასიური პოლიტიკაში ბათუმის კონფერენციის წინ იკვეთება ორი ხაზი. ერთი – ტრადიციული, რომელიც ადგილობრივი არარუსი ხალხების ანტირუსული ინსურეციული სულისკვეთების გადავივებას ემსახურებოდა და მეორე – რომელიც თურქების კავკასიური ექსპანსიონისტური პოლიტიკის მხარდაჭერას გულისხმობდა. ეს უკანასკნელი კი მიუღებელი გახლდათ ქართველებისა და ამიერკავკასიის სხვა ხალხებისთვისაც. გერმანიის დელეგაციას ბათუმში თავისი მთავრობის პოლიტიკა უნდა გაეტარებინა და, ამიტომ, მუდმივად იყო მოკავშირებს შორის სერიოზული კონფლიქტის საშიშროება. გასათვალისწინებელია აგრეთვე, რომ გერმანული სამხედრო და საგარეო პოლიტიკური უწყებები, არცთუ იშვიათად, საერთო ენას ვერ პოულობდნენ კავკასიაში გასატარებელ პოლიტიკისთან დაკავშირებით, რასაც კიდევ უფრო ართულებდა თურქული მხარის საწინააღმდეგო ქმედებები.

ამ წინააღმდეგობათა მთელი კომპლექსი სრულად გამოვლინდა გერმანული დელეგაციის ბათუმში მოღვაწეობისას. გერმანული მხარე ბათუმის კონფერენციაზე უწინარესად საკუთარი ინტერესების დასაცავად ჩამოვიდა, რასაც სრულიადაც არ გამოუწევია თურქული მხარის აღფრთოვანება. ანტიკავკასიური თურქული სამხედრო აქციების განუწყვეტელი ესაბალაციის პირობებში გერმანიის მიზანი – თურქთა ექსპანსიონისტური გეგმების შეკავება და, უპირველესად, ქრისტიანი ხალხების მხარდაჭერა – ობიექტურად ხელსაყრელი იყო ქართული პოლიტიკისათვის.

გერმანიის დელეგაცია მაღალი კლასის პროფესიონალებისაგან შედგებოდა და მას გენერალი ოტო ფონ ლოსოვი (1868–1938 წწ.) ხელმძღვანელობდა, რომელიც მანამდე კონსტანტინოპოლიში სამხედრო რწმუნებული იყო. გენერლის დანიშვნა დელეგაციის მეთაურად სამხედროების პინდენბურგ-ლუდენდორფის მკაცრი პოლიტიკის დომინანტობას ნიშნავდა. ოსმალეთის გენშტაბის უფროსი გენ. ჰ. ფონ ზეექტი აღნიშნავდა, რომ დელეგაციის მეთაურად ოფიცრის და არა დიპლომატის დანიშვნა ნამდვილად კმაყოფილების ღირსი მოვლენა იყო [აუმგატ ჭ., 1966: 178].

დელეგაციის დანარჩენი ორი წევრი – გრაფი ფ.-ვ. ფონ დერ შულენბურგი (1875–1944 წწ.) და ო.-გ. ფონ ვეზენდონეკი დიპლომატებს წარმოადგენდნენ. შესაბამისად, რუსეთის და აღმოსავლეთის საქმეთა

სპეციალისტებად ითვლებოდნენ. განსაკუთრებით კოლორიტული ფიგურაა გრაფი შულენბურგი, რომელიც 25 წლის ასაკიდან შევიდა საქონსულო სამსახურში. მისი კოლეგა ჰ. ფონ ჰერვარტი მას საქართველოს რესტაურაციის „ერთ-ერთ დამფუძნებელ მამას“ უწოდებს⁷ [Herwarth H. von, 1985: 99] და საყურადღებო ინფორმაციას გვაწვდის, რომ მას „საქართველოს დამოუკიდებლობის საქმეში დამსახურებისათვის“ მადლიერებით იხსენებდნენ „ემიგრანტები და ბოლშევიკი ქართველებიც.“ ჰერვარტისავე ცნობით, შულენბურგის საუკეთესო სტრატეგია ბისმარკისეული პრინციპი იყო: აკეთო საქმე ისე, რომ დინების წინააღმდეგ არ იცურო.

ბათუმის კონფერენციაზე გერმანელთა მიზნები და საქმიანობა ოფიციალურად განისაზღვრებოდა აპრილის ბოლოს „აუსენამტის“ მიერ შემუშავებული ინსტრუქციით, რომელიც ამიერკავკასიასთან და თურქეთთან მოლაპარაკებისათვის შემდეგ პრინციპებს ეფუძნებოდა:

I. ამიერკავკასიასთან მოლაპარაკებებისას გასათვალისწინებელია:

1. მაშინ, როცა სასურველია ამიერკავკასიასა და თურქეთს შორის კავშირის დადება, უნდა უარვყოთ ამიერკავკასიელთა შესაძლო მცდელობა გერმანიასთანაც ანალოგიურ კავშირში შესვლის თაობაზე.

2. ამიერკავკასიის მთავრობას უნდა ვურჩიოთ, რომ თურქეთს ბათუმის დაბრუნების სანაცვლოდ ბათუმის ნაგსადგურით სარგებლობასთან დაკავშირებით ეკონომიკური პრივილეგიები მიეცეს.

3. საჭიროა იმ მიმართულებით მოქმედება, რომ სომხებს მათი კოპაქტური განსახლების ადგილებში ქართველებმა და თაორებმა ლოკალური ავტონომიები მიანიჭონ, ასევე ამიერკავკასიის სხვა ოლქებში მათ უნდა მიეცეთ თავიანთი საეკლესიო და კულტურული საქმეების მოწესრიგების თავისუფლება.

4. საჭიროა იმ მიმართულებით მოქმედება, რომ ჩრდილო-კავკასიელ მთიელთა კავშირი ამიერკავკასიას შემოუერთდეს.

II. თურქეთთან მიმართებაში გასათვალისწინებელია:

1. როგორც კი თურქეთის მთავრობა მიიღებს ართვინის ახლოს მდებარე ამერიკული საზოგადოების კუთვნილ სპილენძის საბადოს, შესათანხმებელია, რომ თურქეთი ამ საბადოს ექსპლოატაციის მიზნით იჯარით გადასცემს გერმანიას, შესაბამისად, გერმანულ საზოგადოებას.

2. თურქეთის მთავრობას უნდა ვურჩიოთ, რომ ბრესტის ზავით და ამიერკავკასიასთან დადებული ხელშეკრულებით მიღებულ ოლქებში სომხებს მათი კომპაქტური განსახლების ადგილებში ლოკალური ავტონომია და ქვეყნის სხვა ნაწილებში მათი საეკლესიო და კულტურული ცხოვრების ორგანიზებაში სრული თავისუფლება მიანიჭოს⁸ [1918–04–30 – 001].

ამ დოკუმენტიდან ცხადია, რომ გერმანიის მთავარი მიზანი თურქეთსა და ამიერკავკასიას შორის ხელშეკრულების დადებაა, რომე-

ლიც რეგიონში მშვიდობას უზრუნველყოფდა. თუმცა ბუნდოვანი და თითქმის გაურკვეველია იმ „სახელმწიფო ეპრივატიზაციის წარმონაქმნის“ ტერიტორიული კონფიგურაცია, რომელიც გერმანელთა წარმოდგენით კავკასიაში უნდა შექმნილიყო. დამოუკიდებელი კავკასიური სახელმწიფოს იდეას, რომელიც „ყოფილი რუსთის ტერიტორიის ფარგლებში“ უნდა შექმნილიყო და ოფიციალური ურთიერთობა დაუმჯარებინა კაიხერის ხელისუფლებასთან⁹ [აჲლ, 1992: 32-33], ცენტრალური სახელმწიფოები ჯერ კიდევ 1917 წლის ზაფხულში განიხილავდნენ. 1918 წლის მაისში გერმანიის კავკასიური პოლიტიკის ზემოთ აღნიშნული ორი ხაზი არსებითად სამხედრო და დიპლომატიური უწყების წარმომადგენელთა მხრიდან კონკრეტული მოვლენებით განპირობებულ მანევრული სვლების კომბინაციას უფრო წარმოადგენდა, ვიდრე გერმანიის მთავარი მიზნიდან – კავკასიური სახელმწიფოს შექმნის გზიდან გადახვევას. ამ სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის ბირთვი საქართველო უნდა ყოფილიყო. გერმანული დიპლომატია თითქმის გადაუჭრები დილემის წინაშე აღმოჩნდა, რაც გამოიხატებოდა ერთდროულად საქართველოს დამოუკიდებლობისადმი მხარდაჭერასა და, მეორე მხრივ, მოკავშირის შელახული რეპუტაციის აღდგენის მიზნით მისი ჩრდილო-აღმოსავლური ექსპანსიის წახალისებაში.

ბათუმის კონფერენციაზე თურქული დელეგაციის ხელმძღვანელმა პალილ-ბეიმ რადიკალური ტერიტორიული პრეტენზიები დააყენა, რომლებიც ბრესტის ზავით დადგენილი ტერიტორიული დათმობების გარდა, დამატებით, ახალციხის, ახალქალაქის და ალექსანდროპოლის ოლქებს მოიცავდა. იმავდროულად, თურქთა არმიებმა წინსვლა დაიწყეს აღნიშნული ოლქების მიმართულებით და გეგმავდნენ თბილისზე გადაშერებას.

გერმანიის კონსტანტინოპოლელი ელჩი გრაფი ი.-ჰ. ფონ ბერნსტორფი, ლოსოვის ინფორმაციაზე დაყრდნობით, 15 მაისს ბერლინს აცნობებს, რომ „თურქების ზღვარს გადასული მოთხოვნების მიზანი, ბრესტის ხელშეკრულების ზემოთ, წმინდა სომხური ოლქების – ახალქალაქის (ბერნსტორფი აქ ცდება – ნ.მ.), ალექსანდროპოლის, ერევნის და ... მთელი კავკასიის კონომიკური ექსპლოატაციაა“. „თურქებმა ულტიმატუმის ფორმით მოითხოვეს ყარს-ალექსანდროპოლ-ჯულფის რკინიგზის გადაცემა, ისე რომ ჩემთვის არაფერი უცნობებიათ წინასწარ და არც თანხმობა უთხოვიათ“... ბერნსტორფის აზრით მწვავე საკითხების დარეგულირების გზა შემდეგია: 1. „თურქებმა ბრესტის ხელშეკრულება უნდა აღიარონ როგორც მოლაპარაკებების საფუძველი. 2. თურქების პატივმოყვარეობა რომ დავაკმაყოფილოთ და უკანდახევა გავუადვილოთ... ახალციხის მუსულმანური ოლქი უნდა გაიცვალოს ბათუმის ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორიაზე...¹⁰ [1918-05-15 – 002]. აქედან ჩანს, რომ ბერნსტორფს მხოლოდ საომარი მოქმედებების შეწყვეტის სურვილი ამოძრავებს და მზადაა ქართული ტერიტორიების ხარჯზე მოკავშირის ინტერესები დააკმაყოფილოს. ავსტრიელი მკვლევარი ვ. ბილი წერს, რომ გერმა-

ნული პოლიტიკის ორმაგი სტანდარტი ომის ბოლომდე გრძელდებოდა და ამ ხნის განმავლობაში გერმანიის კავკასიური პოლიტიკის წინააღმდეგობრივი მიმართულებების შეთანხმების ცდასაც ჰქონდა ადგილი. ასეთ შემთხვევაში „ქართული ფაქტორი", იგივე ემიგრაციაში მყოფი „დამკომი," მაქსიმალურად ცდილობდა საბუთარი ინტერესების დაცვას და, ბერნსტორფის აზრით, ამნელებდა კიდეც ხანდახან „კავკასიის შესახებ აუცილებელი გერმანულ-თურქული კომპრომისის მიღწევას" [იპლ, 1992:49].

„სრული გაგების" გამომედავნება ერთდროულად ორივე მხარისათვის – ქართველებისა და თურქებისათვის – შეუძლებელი იყო. გერმანიის მთავრობისათვის ჯერაც არ იყო ცხადი, თუ რამდენად შორს უნდა წასულიყვნენ თურქები საქართველოსთან მიმართებაში „პოლიტიკური, ეკონომიკური და ტერიტორიული თვალსაზრისით". ეს გარემოება მეტისმეტად ართულებდა ქართული პოლიტიკური სპექტრის და, შესაბამისად, ა. ჩხერიძის დელეგაციის საქმესაც, რომელსაც ასევე ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა უახლოესი მომავლის სამოქმედო გეგმაზე.

ბერნსტორფი მოახსენებს ბერლინს, რომ ბათუმის „მოლაპარაკებები, როგორც აქამდე, მნელად მიდის და ნაკლებად იმედისმომცემია". იგი მოითხოვს „კონფერენცია კონსტანტინეპოლში გადაიტანონ, თუ მას ავსტრია-უნგრეთი და ბულგარეთიც შეუერთდებიან". ამასთან, მიაჩნია, რომ გერმანული დელეგაცია ბათუმში უნდა დარჩეს, სხვაგვარად არ გვეცოდინება, თუ იქ რა ხდებათ. გენ. ლოსოვს შეეძლო, მაგალითად, კავკასიაში დარჩენილიყო უმაღლესი სარდლობის წარმომადგენლად, რადგან პასუხისმგებლობის აღება უკალაფერზე ჩვენ (ე.ი. დიპლომატებს – ნ.მ) მოგზიშვილს.

როცა ბათუმში აშკარა გახდა ძირეული უთანხმოებანი ამიერკავკასიის დელეგაციის შიგნით, ლოსოვის პოლიტიკაშიც გამოიკვეთა უფრო რადიკალური მიღვომა თურქებისადმი. მან შეიტყო, რომ თურქები ამიერკავკასიის მთავრობასთან მოლაპარაკებებს „თავიანთ განსაკუთრებულ საქმედ" განიხილავდნენ და გერმანიის დელეგაციას ხელს უშლიდნენ მუშაობაში. ამის გათვალისწინებით იგი ბერნსტორფისგანაც ლებულობს მითითებას, რომ „საქართველოსთან სეპარატიული შეთანხმებას უნდა მიაღწიონ". ლოსოვს ბათუმში დრო არ დაუკარგავს და ცალ-ცალკე ხვდებოდა ამიერკავკასიის სეიმის დალეგაციის ეროვნულ წარმომადგენლობებს. ქართულ დელეგაციასთან შეხვედრები და „ქართული პოზიციის" გამომუშავება დაწვრილებითაც აღწერილი ა. ჩხერიძის წერილებში, რომლებიც 12-დან 23-მაისამდე პერიოდს მოიცავს ¹¹ [უ. ბახტაძე, 1990: 85–98] და მასზე დაწვრილებით აღარ შევჩერდებით: 14 მაისს საქართველოს ეროვნული საბჭო მიმართავს ლოსოვს, რომ გერმანიის მთავრობამ აღმოუჩინოს დახმარება საქართველოს საერთაშორისო და სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური საქმეების მოგვარებაში, საშინაო წესრიგის დამყარებასა და ბოლშევიკური ანარქიის წინააღმდეგ ბრძოლაში. ა.

ჩენკელმა მიიღო ლოსოვისაგან დაპირება, რომ გერმანია და მისი მოკავშირეები საქართველოს აღიარებენ დამოუკიდებლობის გამოცხადების შემთხვევაში.

გენ. ლოსოვი ასევე ხვდებოდა სომებ დელეგატებსაც. ბერნსტორფის ანგარიშზე „აუსენამტისადმი“ ხაზასმულია, რომ სომხები, მართალია, ომამდე რუსეთზე და ინგლისზე იყვნენ ორიენტირებული, მაგრამ ახლა ხსნას გერმანიისგან ელიან და მომავალში „სამუდამოდ გერმანიის ერთგულნი იქნებიან“¹² [1918-05-23- 001]. სომხური წარმოშობის გერმანულენოვანი მკვლევარი ა. ოპანჯანიანი საყვედურს გამოთქამს ლოსოვისადმი და აღნიშნავს, რომ მან ამიერკავკასიის დელეგაციის სომხური ნაწილი უყურადღებოდ მიატოვა, მაშინ როცა ლოსოვი სთავაზობს ბერნსტორფს და „აუსენატმს“, რომ სომხებისადმი მხარდაჭერით „ჩვენ შეგვიძლია ერთი დარტყმით ჩავახშოთ სომხეთა საკითხის გამო მსოფლიოში ჩვენს წინააღმდეგ მომართული პროპაგანდა“ [1918.05.23- 001]. სომხეთა ეროვნული საბჭო გერმანიისაგან ისეთსავე მხარდაჭერას ითხოვდა, როგორიც მან საქართველოს გაუწია.

ლოსოვმა საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი 6. ჟორდანიასთან კონფედერაციალური შეხვედრების დროსაც განიხილა 17-დან 21-მაისამდე და დაარწმუნა იგი თურქეთთან მორიგების შეუძლებლობასა და ამიერკავკასიის ფედერაციის პოლიტიკურ უპერსპექტივობაში. დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდგომ ო. ლოსოვმა და ა. ჩენკელმა, როგორც დამოუკიდებელი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა, ხელი მოაწერეს ფოთის ხელშეკრულებებს, რაც საქართველოს დამოუკიდებლობის „დე-ფაქტო“ აღიარებას ნიშნავდა. ვ. ბილის მართებული შეფასებით, ფოთის ხელშეკრულებები კავკასიასთან მიმართებაში გერმანიის იმპერიის „ძალისმიერი პოლიტიკის გამოვლინების ერთ-ერთი კულმინაციური მომენტი იყო“ [იპლ, 1992: 63], ხოლო თვით ლოსოვისთვის საქართველოში მოღვაწეობის ბოლო აკორდი. მას, როგორც გერმანიის იმპერიის დიპლომატიურ წარმომადგენერალს ბათუმის სამშენებლო მოლაპარაკებებზე, 1 ივნისს უფლებამოსილება შეუწყდა, თუმცა მისი თანამშრომლობა ჩენკელის მისიასთან გერმანიაში, სამშობლოში დაბრუნების შემდეგაც გრძელდებოდა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ფ. კრეს ფონ კრესენშტარი, ჩემი მისია კავკასიაში, გერმანულიდან თარგმნა, ისტორიული ნარკვევი და კომენტარები დაურთო 6. მუშადიანმა, ქუთ., 2002.

2. ა. ხილაგაძე, ვ. გურული, საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებლობის აღდგენა 1917-1918, თბ. 1998; ვ. გურული, მ. ვაჩნაძე, ქართული

- სოციალ-დემოკრატიის იხტორია 1898-1918, ობ., 1999. ა. ბენდიანიშვილი, საქართველოს პირველი რესპუბლიკა 1918-1921 წწ., ობ., 2001.
3. მ. სოფრიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველო 1914-1918 წწ., ბათ., 2002 და სხვ.
 4. Lepsius (Hrsg)Dentschland und Armenien 1914-1918 Sammlung diplomatischer Akusticke.
Potsdam, 1919. meore gamocema Bremen, 1986.
 5. Gust. W. und Gust S. (Hrsg) Der Voelker morda on den Armeniern im Ersten Weltkrieg. Vorgeschichte und Ereignisse anhand von Dokumenten aus staatlichen und privaten Archiven. Erstverofen tlichung 2000. In: www. armenocide. net.
 6. Baumgart W. Deutsche Ostpolitik 1918. Von Brest-Litowsk bis zum Ende des Ersten Weltkrieges, Wien, Munchen, 1966.
 7. Herwarth H. von. Zuwischen Hitler und Stalin. Erlebte Zeitgeschichte 1931-1945. Frankfnrt a/M 1985
 8. 1918-04-30-DE-001 www. armenocide. net.
 9. Bihl W. Die Kaukasuspolitik der Mittelmachte. Teil II. Die Zeit der versuchten Kaukasischen Staatlichkeit (1917-1918) Wien, Koeln etc. 1992.
 10. 1918_05_15_DE_002 www. armenocide. net.
 11. 1918_05_23_DE -001 www. armenocide. net.
 12. 1918.05-23-DE-001 www. armenocide. net.

Nodar Mushkudiani (Kutaisi, Georgia)

The German Delegation's Activities in Batumi in 1918

Summary

In May, 1918, Batumi became a venue for the international conference and the political decisions being particularly significant for Georgia. I mean the establishment of the first democratic republic of Georgia, having been an outcome of the ultimate activeness within the Caucasian policy of Kaiser Germany.

After the Russian annexation in 1801, the sovereign Georgian state was established for the first time, and the German imperial authorities were the first to recognize it de facto.

The present paper addresses the preparation of the issue in point and the process of epochal decision-making associated with it. It is a detailed study fo the role of Kaiser Germany, as that of an initiator of the establishment of the independent state of Georgia and its international guarantor, in the Batumi negotiations. The German delegation's activities have been highlighted based on German documentary sources and also on official data provided by the delegation members (General O. von Lossiw, F.-W. von der Schullenburg,, O.-G. von Wesendonck).

ოთარ თურმანიძე
(ბათუმი, საქართველო)

გემთმშენებლობის განვითარება ბათუმში

საქართველოში გემთმშენებლობის ისტორია სათავეს შორეულ წარსულში იდებს, მაგრამ ქარხნული წარმოება რუსეთ-გერმანიის 1941-1945 წლების ომის დროს დაიწყო. კერძოდ, ბათუმში გემთმშენებელი ქარხანა 1943 წელს დაარსდა ნავსადგურთან არსებული სახელოსნოების ბაზაზე. სახელოსნოები კი 1921 წელს შეიქმნა, რომლის დანიშნულებას შეადგენდა გემების მიმდინარე, საშუალო და კაპიტალური შეკეთება.

ბათუმში გემთმშენებელი ქარხნის დაარსება რამდენადმე განაპირობა მეორე მსოფლიო ომთან დაკავშირებულმა პრობლემებმა. მტერმა დაიკავა სსრ კავშირის ევროპული ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი. ომის დასაწყისშივე სსრ კავშირის შავი ზღვის აკვატორიის პორტების უმეტესობას ოკუპაციის სერიოზული საფრთხე შეექმნა. ასეთ პირობებში სევასტოპოლიდან ტუაფსეში, ფოთსა და ბათუმში ევაკუირებული იყო გემთმშემკეთებელი ქარხანა. მას თან გადმოყვა საწარმოს კოლექტივი და მათი ოჯახების დიდი ნაწილი.

ბათუმში გემთმშენებელი ქარხნის დაარსების შესახებ ბრძანება სსრ კავშირის საზღვაო ფლოტის სახალხო კომისარმა გამოსცა 1943 წლის პირველ იანვარს, ხოლო საწარმო ამოქმედდა ივნისში. ქარხანა სსრ კავშირის საზღვაო ფლოტის სამინისტროს დაქვემდებარებაში შედიოდა. იგი უშუალოდ დაექვემდებარა ოდესის სანაოსნოს. მოგვიანებით კი ე.წ. "სოვტანკერს". ქარხნის დაფინანსება, ტექნიკური გადაირადება, ნედლეულითა და საჭირო მასალებით მომარაგება მთლიანად დამოკიდებული იყო საზღვაო ფლოტის სამინისტროზე.

საზღვაო ფლოტის სამინისტრო განსაზღვრავდა საწარმოო პროგრამას, ამტკიცებდა მატერიალურ, ფინანსურ და ეკონომიკურ გეგმებს და დირექტივის სახით აგზავნიდა ადგილზე. თავისი არსებობის მანძილზე ბათუმის გემთმშენებელ ქარხანას არ ჰქონდა მყარი საწარმოო პროგრამა. ზოგჯერ წლის განმავლობაში იგი რამდენჯერმე იცვლებოდა, რაც უარყოფითად მოქმედებდა წარმოების განვითარებაზე.

1943-1950 წლების საწარმოო პროგრამა ითვალისწინებდა გემების შეკეთებას, ახლის მშენებლობას, სათადარიგო ნაწილების დამზადებას. ქარხანა ფართო მოხმარების პროდუქციასაც ამზადებდა. მართალია, 1948 წლიდან დაიწყეს ლითონის გემების (კარჭაპების) აგება, ხოლო 1949 წლიდან – ორთქლის მანქანებისა, მაგრამ ქარხნის ძირითადი საწარმო საქმიანობა მაინც გემების შეკეთება და სათადარიგო ნაწილების დამზადება იყო. 1950 წელს მათზე მოდიოდა საერთო პროდუქციის 84 პროცენტი.

დიდხანს გაიწელა ქარხნის პროფილის განსაზღვრა. 1943-1956 წლებში ქარხანას ეწოდებოდა გემთშემკეთებელი. საწარმოო პროფილის განსაზღვრის შედეგად 1956 წელს ეწოდა გემთშემკეთებელი-გემთმშენებელი, ხოლო 1957 წლიდან ცნობილია გემთმშენებელი ქარხნის სახელწოდებით. აქედან მოყოლებული ქარხნის საწარმოო პროგრამაში გემთმშენებლობამ განმსაზღვრელი ადგილი დაიკავა. ქარხანაში აგებდნენ პატარა გემებს.

ომის დროს ქარხანას არასაკმარისად მიეწოდებოდა საჭირო ტექნიკა, მასალები, საწვავი და სხვა. ამის გამო საამქროების მოწყობა და საჭირო ინსტრუმენტებით აღჭურვა გაძნელებული იყო. ოუჯის გამოდნობა, საწვავის უქონლობის გამო, ასევე გართულდა. გაიწელა ელინგის მშენებლობა. სიძნელეების მიუხედავად, ქარხნის კოლექტივი ენერგიის დაუზოგავად შრომობდა. 1944 წელს ბათუმის გემთმშენებელი ქარხნის კოლექტივი 234 კაცს ითვლიდა. მათ შორის მუშების რაოდენობა – 157-ს, ხოლო ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა – 36 კაცს შეადგენდა. ქარხანაში ითვლებოდა აგრეთვე 18 მოსამსახურე, ამდენივე მოსწავლე და 5 უმცროსი მომსახურე პერსონალი. 1945 წელს არსებითი ცვლილებები არ ყოფილა [აცხა, ფ. 455, ან. 1, ს. 28, ფ. 18].

ქარხნის მუშების უმრავლესობა ბათუმის №1 სახელოსნო სასწავლებლის კურსდამთავრებული იყო. ეს იყო ახალგაზრდა თაობა, რომელიც პროფესიული კვალიფიკაციით საგრძნობლად ჩამორჩებოდა ქარხნის წინაშე არსებულ მოთხოვნებს. ამიტომ ქარხანაში განუწყვეტლივ მიმდინარეობდა საწარმო პერსონალის ტექნიკური და ტექნოლოგიური კვალიფიკაციის ამაღლება, ახალი პროფესიების ათვისება.

ასეთი შემადგენლობითა და სუსტი მატერიალ-ტექნიკური ბაზით, საჭირო მასალებით არასაკმარისი უზრუნველყოფის პირობებში, ქარხნის კოლექტივმა წარმატებით გაართვა თავი საქმეს. ომის დროს შეაკეთეს დიდი გემები და სახაზო ხომალდები: "იუპიტერი", "კრასნია მოლდავია", "კრასნია კუბანი", "ჩაპავი", "კურსკი", "ტოროსი" და სხვა [კ. ტოტოჩავა, 1987: 11].

ომის დამთავრების შემდეგ გაგრძელდა ქარხნის მშენებლობა და პირველი რიგის სამუშაოები 1950 წელს დასრულდა. ქარხანაში ამოქმედდა 7 საამქრო: მექანიკური, საქვაბე-საკორპუსე, ელექტროტექნიკური, ხისდამამუშავებელი, საჩამომსხმელო-სამოდელო, ინსტრუმენტალური, სარემონტო, მოეწყო საქარხნო ლაბორატორია, ააშენეს ადმინისტრაციული სახლი და სხვა. 1946-1950 წლებში ქარხანაში დაიდგა 50-ზე მეტი დაზგა-მოწყობილობა, უქსპლუატაციაში გადაეცა საუწყებო ელექტროსადგური და სხვა. ამ ხნის განმავლობაში ქარხნის საწარმოო სიმძლავრეები 15-ჯერ გაიზარდა. ამის მიუხედავად, ქარხანას ეკლო თანამედროვე ტექნიკა, დაბალ დონეზე იდგა წარმოების ტექნოლოგია.

XX საუკუნის 50-იანი წლებიდან მოყოლებული ქარხანაში პერმანენტულად მიმდინარეობდა ახალი ტექნიკის დანერგვა, წარმოების

ტექნოლოგიური პროცესების გაუმჯობესება, შრომითი კოლექტივის რაოდენობრივი და თვისებრივი მახასიათებლების ამაღლება. 1953-1959 წლებში დაიდგა სამი სხვადასხვა ტიპის ("მ-15", "მ-150", "ტმსგ") თვითმეტვირთავი, ერთი 150 ტონიანი პნევმატური დუმელი, დაინერგა სხმული მუშაობის აერო დამუშავება, ექსპლუატაციაში გადაეცა თორმეტ და სამტონიანი მოძრავი, ავტომატური და ნახევრადავტომატური შედუღების უბანი და მექანიკური საამქრო. ქარხანაში დაამონტაჟეს საკარიბჭო ამწე, ელექტრომართვის სისტემა [პ. ტოტოჩავა, 1987: 290-291].

1960 წელს დაიდგა 8 ცალი ახალი, მოდერნიზირებული ტვირთამწე, რეკონსტრუქცია ჩაუტარდა ლითონესაჭრელ ჩარხებს, გემების ზღვაში ჩასაშვებ სანაპიროს, სამჭედლო-საწესებო მოწყობილობას და სხვ. [აცსა, ფ. 455, ან. 1, ს. 510, ფ. 12]. ცხადია, ქარხნის გადაიარაღება სისტემატურად ხდებოდა, რაც განპირობებული იყო ძირითადად ტექნიკის მოვალებულობით, ხოლო ნაწილის – ფიზიკური გაცვეთის გამო.

ტექნიკური გადაიარაღების, საწარმოო პროგრამების გაზრდის შედეგად, ასევე, მნიშვნელოვანი რაოდენობრივი და თვისებრივი ცვლილებები განიცადა ქარხნის კოლექტივმა. 1950 წელს ქარხნის კოლექტივი 305 კაცს შეადგენდა. ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი 43-მდე გაიზარდა. 1955 წლისათვის საერთო პერსონალი – 369-მდე, 1960 წელს – 553-მდე, ხოლო 1976 წელს – 722 კაცამდე გაიზარდა. 1950-1976 წლებში ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი 44-დან 125 კაცამდე, ე.ო. 3-ჯერ გადიდდა [აცსა, ფ. 455, ან. 1, ს. 268, ფ. 21: იქვე, ს. 404, ფ. 5; იქვე, ს. 510, ფ. 9].

შრომითი კოლექტივის ჩამოყალიბება, საწარმო პერსონალის პროფესიული დაოსტატება ძალზე რთული, წინააღმდეგობრივი, ამავე დროს სასიკეთო პროცესია. ცხადია, ეს არის ახალი სამუშაო ადგილები, რაც არაერთი ოჯახის არსებობის წყაროს წარმოადგენდა. ამავე დროს გემთმშენებელი ქარხნის შრომითი კოლექტივის სახით შეიქმნა საზოგადოების ტექნიკური ფენა, რაც რეგიონის, მთლიანად ქვეყნის განვითარების დიდმნიშვნელოვანი ფაქტორია.

გემთმშენებელი ქარხნის კოლექტივი სისტემატურ განახლებას განიციდა. იგი განპირობებული იყო თაობათა ცვლით, წარმოების გაფართოების შედეგად ახალი კადრების მიზიდვით. ამასთან კადრების დენადობის მიზეზებს შორის აღსანიშნავია: შრომის დისციპლინის დარღვევა, არმიაში გაწვევა, სასწავლებელში წასვლა, უკეთესი სამუშაოს ძიება, არანორმალური საბინაო და ყოფითი პირობები და სხვა. მაგალითად, 1955 წელს სამუშაოზე მიიღეს 116 კაცი, დაითხოვეს – 103 [აცსა, ფ. 455, ან. 1, ს. 404, ფ. 7]. მეტნაკლებად ასე იყო სხვა დროსაც. კერძოდ, 1960 წელს სამუშაოზე მიიღეს 110, ხოლო დაითხოვეს – 123 კაცი [აცსა, ფ. 455, ან. 1, ს. 510, ფ. 11].

ცხადია, ასეთ პირობებში კადრების მომზადებასა და გადამზადებას, ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიების ათვისებას განსაკუთ-

რებული კურადღება ექცეოდა. ამისათვის ქარხანაში შექმნილი იყო კადრების მომზადებისა და გადამზადების ე.წ. საფაბრიკო-საქარხნო სკოლა, სპეციალური ჯგუფები და წრეები. გამოიყენებოდა კვალიფიციაციის ამაღლების ინდივიდუალური ფორმაც. მაგალითად, 1952 წელს ინდივიდუალური სწავლების წესით მოამზადეს 29 კაცი, მეორე პროფესია აითვისა ოთხმა პიროვნებამ [აცსა, ფ. 455, ან. 1, ს. 337, ფ. 71]. 1955 წელს 44 ახალი კადრი მოამზადეს, ხოლო კვალიფიციაცია აიმაღლდა 78 მომუშავებ [აცსს, ფ. 455, ან. 1, ს. 395, ფ. 2]. 1959 წელს მოამზადეს 60 ახალი კადრი, ხოლო კვალიფიციაცია აიმაღლდა 75 პიროვნებამ [აცსა, ფ. 455, ან. 1, ს. 488, ფ. 8].

რაც შეეხება საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობებს, მძიმე სურათია ომისა და ომისშემდგომ აღდგენით წლებში. ამ მიმართულებით მდგომარეობის გაუმჯობესება 50-იან წლებში დაიწყო. ქარხანაშ თავისი კოლექტივისათვის პირველი საცხოვრებელი სახლი 1952 წელს ააგო. იგი გათვალისწინებული იყო 50 ოჯახზე და მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებდა კოლექტივის მოთხოვნას. მომუშავეთა სისტემატური დენადობის გამო ქარხნის კოლექტივი ყოველთვის განიცდიდა საცხოვრებელი ბინების ნაკლებობას. საკავშირო და საქართველოს რესპუბლიკური ხელისუფლების გადაწყვეტილებით ყველა საწარმოს, მათ შორის ბათუმის გემთმშენებელ ქარხანას, ნება დართეს და კიდეც დაავალეს საკუთარი სახსრები გამოეყენებინათ საბინაო მშენებლობისათვის. 1957 წელს ექსპლუატაციაში გადაეცა ქარხნის სახსრებით აშენებული საცხოვრებელი სახლი, რის შედეგად საგრძნობლად გაუჯობესდა ქარხანაში მომუშავეთა პირობები, ეს დადებითი ტენდენცია მომდევნო წლებშიც გაგრძელდა. მოწესრიგდა კვების, დასვენების, გართობის და სხვა ყოფითი საკითხები: გაიხსნა კლუბი და ე.წ. წითელი კუთხე, ქარხნის ტერიტორიაზე სკვერიც მოეწყო.

ქარხნის კოლექტივის მუშაობა ბევრად იყო დამოკიდებული სსრ კავშირის საზღვაო ფლოტის სამინისტროზე, მაგრამ იგი საჭირო უკურადღებას ვერ იჩენდა ქარხნის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების თვალსაზრისით. ქარხანა თავისი არსებობის მთელ მანძილზე განიცდიდა მასალების ნაკლებობას.

არასაკმარისი მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მიუხედავად, ბათუმის გემთმშენებელი ქარხნის კოლექტივი თავდადებულად შრომობდა, მუდმივად ახლის ძიებაში იყო და თვალსაჩინო მიღწევები ჰქონდა. უკვე 1953 წელს 16 სხვადასხვა ტიპის საზღვაო გემი ააგეს. მათ შორის აღსანიშნავია კატარდა "უემზუინა", 1956 წელს დაიწყეს "მაგნოლიასა" და "ბ-1" ტიპის კატარდების გამოშვება. 1957-1958 წლებში აწარმოეს კატარდები "მოსკოვი", "აჭარა", "თბილისი-1500", რომლებიც განკუთვნილი იყო თბილისის წყალსაცავისათვის (თბილისის ზღვა). ამ წლებში ქარხანამ გამოუშვა წყლის ველოსიპედები, პატარა ნავები (ე.წ. "შლიუპები") და სხვა. 1955 წელს ქარხანამ გამოუშვა 7 ცალი კატარდა, 85 ცალი სასეირნო და სამუშაო ნავი.

ქარხნის სასაქონლო პროდუქცია 1961 წლის ფულის კურსის მიხედვით 1222 ათას მანეთამდე გაიზარდა. აქედან გემთმშენებლობაზე და მანქანათა ნაწილებზე მოდიოდა 89,3 პროცენტი [აცსა, ფ. 455, ან. 1, ს. 404, ფ. 4-5]. 1960 წელს აღნიშნული მახასიათებლები კიდევ მეტად გაიზარდა. ამ წელს ქარხანამ გამოუშვა 282 ცალი კატერი, კატარლა, თბომავალი, სამუშაო და სასეირნო ნავი, ნაგვის გამტანი შალანდა (ბრტყელძირა კარჭაპი) და სხვა. სასაქონლო პროდუქციამ 2 მილიონი მანეთი შეადგინა [აცსა, ფ. 455, ან. 1, ს. 510, ფ. 8].

XX საუკუნის 60-70-იან წლებში ქარხნის ინჟინერების, კონსტრუქტორებისა და მუშების შემოქმედებითი ძიების შედეგად შეიქმნა ახალი თაობის გემები. მაგალითად, 1959 წელს ქარხანაში აითვისეს წყალქვეშაფრთიანი კატარლის "ვოლგა" და მოდერნიზირებული სამგზავრო კატერის "არკადია" წარმოება, რომელთა სერიული გამოშვება 1960 წელს დაიწყეს. წყალქვეშაფრთიანი კატარლა "ვოლგა" ქარხნის ძირითად პროდუქციად იქცა, რადგან მაღალი ხარისხისა და კომფორტულობის გამო, დიდი მოწოდებით სარგებლობდა. 1962 წელს ქარხანამ გამოუშვა საბუქსირო ძრავიანი ნავი, ხოლო 1966-1967 წლებში – მაშველი ნავების რამდენიმე სახეობა. 1969-1970 წლებში დაიწყეს 6 და 12 კაციანი მაშველი ნავის, ხოლო 1971 წელს – "ვოლგა-70"-ის წარმოება.

XX საუკუნის 70-იან წლებში ბათუმის გემთსაშენი ქარხანა 6 სახეობის გემს აგებდა. მათ შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა წყალქვეშაფრთიან კატარლის "ვოლგა-73", რომელიც წინაძელობით შედარებით საგრძნობლად გაუმჯობესებული მოდელი იყო. ასევე შესამჩნევლად გაუმჯობესდა კატერ "ლიმუზინის", ფლოტის მაშველი ნავების წარმოება და სხვა.

60-70-იან წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა გემების გამოშვების რაოდენობრივი მაჩვენებლები. მაგალითად, 1966 წელს ქარხანამ გამოუშვა 98 ცალი წყალქვეშაფრთიანი კატარლა და 154 ცალი საბუქსირო ნავი [ო. თურმანიძე, 2005: 142-143]. ეს მაჩვენებელები მომდევნო წლებში გაორკეცდა. XX საუკუნის 70-იან წლებში ქარხანა 4 მილიონი მანეთის სასაქონლო პროდუქციას უშვებდა, რაც 1960 წლის მაჩვენებელს ორჯერ, ხოლო 1950 წლისას – 3-ჯერ აჭარბებდა.

ბათუმის გემთმშენებელი ქარხნის პროდუქციის ძირითადი შემსყიდვები იყო სსრ კავშირის საზღვაო და სამდინარო ფლოტის ორგანიზაციები. მნიშვნელოვანი ნაწილი საზღვარგარეთის ქვეყნებში იგზავნებოდა. მაგალითად, 1966 წელს ბათუმური წარმოების გემები 46 ქვეყანამ შეისყიდა [ო. თურმანიძე, 2005: 143]. მომდევნო წლებში ეს მაჩვენებელი გაიზარდა. ბათუმური წარმოების გემები შეიძინეს აშშ-მ, დიდმა ბრიტანეთმა, გერმანიამ, საფრანგეთმა, იტალიამ, ნიდერლანდებმა, ფინეთმა, ჩეხოსლოვაკიამ, საბერძნეთმა, პოლონეთმა, ავსტრიამ, შვეიცარიამ, შვედეთმა, აზიისა და აფრიკის ქვეყნებმა.

საზღვარგარეთის ქვეყნების დაინტერესება შემთხვევითი არ ყოფილა. ბათუმის გემთმშენებელი ქარხნის მიერ წარმოებული გემების,

კერძოდ, წყალქვეშაფრთიანი კატარდის შესახებ ცნობილი ინგლისური ფირმის ”ვირავია” კომერციული დირექტორი ედი ტვიგზი წერდა: ”კატარდის მართვით უდიდესი სიამოვნება მივიღე. იგი მეტად სადა, მოხერხებული და საიმედო სამართავია. აქვს თანამედროვე, ელექტროულ შესახედაობა. ერთი სიტყვით, ზაფხულობით ის არის იდეალი საზღვაო გასეირნებისა, რომელიც ასე უყვართ ინგლისელებს” [გან. ”კომუნისტი,” 1969, 9 თებერვალი].

თანამედროვე პატარა გემბის, განსაკუთრებით, წყალქვეშაფრთიანი კატარდის წარმოების ათვისება და სერიული გამოშვება ბათუმის გემთსაშენი ქარხნის კოლექტივის დიდ მიღწევად ჩაითვლება. იგი არის ქარხნის საწარმოო პერსონალის ხანგრძლივი ძიებისა და თავდადებული შრომის შედეგი, ათობით ნოვატორის ტექნიკური შემოქმედების ნაყოფი. სწორედ ნოვატორებმა შექმნეს ახალი მანქანები, მექანიზმები, სქემები, დეტალები და სხვა. გემთსაშენი ქარხნის ნოვატორებს შორის გამორჩეული იყვნენ ვ. ტაბანოვი, ა. სტრელიაევი, ვ. ჯორბენაძე, რიჩკოვი, ლ. ბესტავაშვილი, ო. ხასან-ოდლი, ა. შმაგინი, ა. სეიდიშვილი და სხვები. ნაყოფიერი ტექნიკური შემოქმედებითი საქმიანობისათვის ქარხნის ნოვატორებს ვ. ტაბაჩოვსა და ა. სტრელიაევს 1967 წელს მიანიჭეს აჭარის ასსრ დამსახურებული რაციონალიზატორის წოდება [ო. თურმანიძე, 2005: 352].

XX საუკუნის ბოლოს ბათუმის გემთსაშენი ქარხანა სამხედრო პროგრამაზე გადაიყვანეს და მისი საქმიანობა გასაიდუმლოებული გახდა. 80-იანი წლების ბოლოს ახალი საწარმო კორპუსების მშენებლობა დაიწყო ქალაქის გარეუბანში, მდინარე მეჯინისწყლის ზღვასთან ხერთვისის მარჯვენა ნაპირზე. მისი მშენებლობა 80-იანი წლების ბოლოს დასრულდა, მაგრამ სსრ კაგშირის დაშლის შემდეგ ქარხნის ფუნქციონირება მოიშალა. XX საუკუნის 90-იანი წლების მეორე ნახევარში იყო ცდები ქარხნის აღორძინებისა. ბათუმის გემთმშენებელმა ქარხანამ რამდენიმე ცალი სწრაფმაგალი კატარდა, კერძოდ, სასაზღვრო დაცვის სამხედრო-სადესანტო ნავი და სხვა გამოუშვა, მაგრამ 2004 წლის მაისის ცნობილი მოვლენების შედეგად ეს წამოწყება ჩაიშალა. საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ ქარხნის კორპუსების დემონტაჟი მოახდინა. ამის შემდეგ ბათუმის გემთსაშენი ქარხანა ისტორიის გუთვნილება გახდა.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

1. აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი (აცსა), ფონდი 455, ანაწერი 1, საქმეები №№ 28; 268; 337; 395; 404; 488; 510.
2. ო. თურმანიძე, სოციალ-ეკონომიკური ვითარება აჭარაში ომისშემდგომ პერიოდში (1946-1990წწ.), ბათ., 2005.

3. ქ. ტოტოხავა, საქართველოს სსრ ტრანსპორტი და სატრანსპორტო მანქანათმშენებლობა დიდი სამამულო ომისა და ომისშემდგომ პერიოდში, თბ., 1987.

4. გაზ. „კომუნისტი“, 9 თებერვალი, 1969.

Otar Turmanidze (Batumi, Georgia)

Shipbuilding Development in Batumi

Summary

The work studies the history of Batumi shipbuilding factory and shows its contribution in the social-economical development of the region of Adjara. The factory was founded in 1943 and worked until 2004. The article characterises the qualitative and quantitative features of the staff, also the productive results of the factory. It informs about the fruitful work of the technical staff and the society of rationalists and inventors. At the result of their productive work the technical progress was hastened.

ამირან კახიძე
(საქართველო, ბათუმი)

ბათუმი და მისი შემოგარენი ძვ.წ. I ათასწლეულში (ბათუმის ციხე)

სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ანტიკური ხანის სამოსახლოთა შორის ყველაზე უფრო თავისებურსა და მნიშვნელოვან ძეგლს ბათუმის ციხე წარმოადგენს. პირდაპირი წერილობითი ცნობები უძველესი ბათუმის შესახებ არ გაგვაჩნია. პროფ. თ. ყაუხეჩიშვილმა ამ ადგილებს ფსევდო არისტოტელესთან მოხსენებული წათხავაშიც დაუკავშირა [თ. ყაუხეჩიშვილი, 1969: 10-14]. წათხავაშიც უფროსთან [PL.NH, 11,224, VI, 12] და არიანესთანაც გვხვდება [არიანე, პერიპლუსი, 37]. ეს პუნქტი დასახელებულია, აგრეთვე, ახ.წ. V ს ანონიმ, უფრო გვიან კი – ბიზანტიულ ისტორიკოს მიქელ პანარეტოსთან [პანარეტოსი, 1960: 40]. კმიულერი ბათუმთან აიგივებს „ტაბულა პეუტინგერიანაზე“ აღნიშნულ პუნქტს „Portus altus“-ს.

XIX ს შუა წლებიდან ჩნდება მეცნიერული ინტერესი ბათუმის უძველესი წარსულის შესახებ. არაპირდაპირი წერილობითი ცნობების გამოყენებისა და, ხშირ შემთხვევაში, პიპოტეტური შეხედულების მიხედვით გამოითქვა არაერთი ურთიერთგამომრიცხავი მოსაზრებანი ბათუმის უძველესი სახელწოდების, ლოკალიზაციისა და ქალაქად ქცევის პერიოდების შესახებ. პ. ხიცუნივი თვლიდა, რომ ცნობილი ბერძენი ორატორი დამოსთვენ ბათუმიდან იყო [Хицунов П., 1847: 848]. პ. იოსელიანის აზრით, ბათუმი დაარსებული იქნა XI ს დამდეგს ბაგრატ IV მიერ [იოსელიანი П., 1850: 31-32]. საამისოდ არც პირველსა და არც მეორე მაგლევარს რაიმე წყარო არ გააჩნია. დ. ბაქრაძე აღნიშნავს, რომ ბათუმი ცნობილი იყო ადრეული ეპოქებიდან Bathys სახელწოდებით, ჰქონდა შესანიშნავი ნავსადგური და იდგა რომაელთა გარნიზონიც [Бакрадзе Д., 1878: 12-20]. არაერთ შეცდომასა თუ უზუსტობას შევხვდებით ა. ფრენკელის [Френкель А., 1879: 58], უან მურიესა [უან მურიე, 1962] და ბ. დაკიშვილის [Дакишевич Н., 1890: 25] შრომებშიაც (მხედველობაშია ქალაქის ისტორიის საწყისი პერიოდი). ამათგან განსხვავდება ი. კალფოდლუ, რომელიც აკრიტიკებს რა ზოგიერთ წინამორბედ მკვლევარს, გვთავაზობს საინტერესო დაკვირვებებს. მისი აზრით, არიანესთან მოხსენებული მდ. აკამფისი ჭოროხია, ხოლო მდ. ბათისი – ჩულქუბაა (იგივე სპურკუბა), რომელიც ბათუმის ჩრდილოეთით ჩამოდის მდ. ბარცხანის იქეთ. თავისი სახელ-

წოდება ბათუმმა მიიღო Bathys limen – ლრმა ჰავანისაგან (ეტყობა ეს შეხედულება პ. კესარიელისაგან აქვს აღებული). იგი არ იზიარებს ა. ხიცუნოვის მიერ სტრაბონისეულ „ბატას“ ბათუმთან გაიგივებას და ადგენს, რომ სტრაბონის „ბატა“ და პლინიუს-არიანეს „ბატისი“ სხვა-დასხვა პუნქტებია [კალფოგლი ი., 1906].

ბათუმის ძველი ისტორიისადმი ინტერესი კიდევ უფრო გაიზარდა XX საუკუნეში. ს. კაკაბაძე პლინიუს-არიანესთან მოხსენებული ბათუ-ს ლოკალიზაციას ჩაქვისწყლის მიდამოებს უკავშირებს [ს. კაკაბაძე, 1928: 28], მაგრამ ამ შეხედულებამ ვერ პოვა სათანადო აღიარება სამეცნიერო ლიტერატურაში. პეტრასა და ბათუმს ერთმანეთთან აიგივებს აკად. ს. ყაუხებიშვილი და მას ძველთაგანვე დაარსებულად მიიჩნევს. მისი აზრით, „ბათუსი“ ადგილობრივი სახელის ბერძნული გააზრებაა, რაც ლრმას ნიშნავს. „პასკალურ ქრონიკაში“ ნახსენები „მეგალე პოლისი“ და „ტაბულა პეუტინგერიანაზე“ აღნიშნული „პორტუს ალტუს“ იგივე ბათუმია. ამ ტოპონიმის ძირი „ბათ“ სვანურ „ბაჩს“ დაუკავშირა და ბერძნული პეტრას შესატყვისად მიიჩნია.

აკად. ს. ყაუხებიშვილი თვლის, რომ პეტრას სიმაგრეები ციხის-მირში იყო, ხოლო ნავსადგური, სავაჭრო მონოპოლიის ცენტრი და სტრატეგოსის რეზიდენცია ბათუმში [ს. ყაუხებიშვილი, 1950-51: 17-23]. ამ შეხედულებათა გაზიარება არქეოლოგიური მონაცემების მიხედ-ვით შეუძლებელი ჩანს, რადგან პეტრა ბათუმთან შედარებით უფრო გვიან ქცეულა (აღრეფერდალური ხანა) აღმოსავლეთ შავიზღვის-პირეთის ციხე-ქალაქად.

პროფ. ი. სიხარულიძემ ერთ-ერთმა პირველთაგანმა შეაგროვა ბა-თუმის ციხის ტერიტორიაზე ზედაპირული არქეოლოგიური მასალები. გამოთქვა ვარაუდი აქ უძველესი ფენების არსებობის შესახებ. მოგვ-ცა გადარჩენილ ნაგებობათა აღწერა და სამშენებლო პერიოდების დახასიათება [ი. სიხარულიძე, 1956:83-91; მისივე, 1959:79-90; მისივე, 1962]. მისი მოსაზრებით, აქ I-III საუკუნეებში ნავსადგური უნდა ყო-ფილიყო. ბათუმს მნიშვნელოვან სავაჭრო და სამხედრო ნავსადგუ-რად თვლის დოც. ვლ. სიჭინავა [ვლ. სიჭინავა, 1958]. ბათუმის ფორმირების საქმეში დიდ როლს ანიჭებს ნავსადგურისა და დიდი საზღვაო სავაჭრო გზის არსებობას დოც. ჯ. ჩხეიძე, რომელიც ს. ყაუხებიშვილისაგან განსხვავებით, ვფიქრობთ სამართლიანად, მეგაპო-ლის აფხაზოსს უკავშირებს [ჯ. ჩხეიძე, 1959]. დოც ა. სურგულაძე მიუთითებს, რომ ბათუმის, როგორც დასახლებული პუნქტის ისტო-რია გორიდან იწყება. იგი ქალაქურ დასახლებად იქცა ა.წ. წ-II საუკუნეებში [ა. სურგულაძე, 1965].

ბათუმის ტოპონიმის გარევევას სპეციალური ნაშრომი უძღვნა ა. ინაიშვილმა. იგი ასკვნის, რომ ბათუმის სახელწოდება მომდინარეობს მდ. ბათუ-საგან. თავდაპირველი ბაჩ/ბათ-ყორონ/ყოროლ უძველესი სა-ხელწოდება შეიცვალა ბერძნულად გაგებული ბათუსით [ა. ინაიშვი-ლი, 1976].

ბათუმის უძველესი ისტორიის შესწავლაში გადამწყვეტი სიტყვა XX საუკუნის 60-იან წლებში წარმოებულმა საველე არქეოლოგიურმა კვლევა-ძიებამ თქვა. პროფ. დ. ხახუტაიშვილის ხელმძღვანელობით პირველი გათხრითი სამუშაოები ბათუმის ციხეზე 1962-63 წლებში განხორციელდა. შესწავლითი იქნა შიდაციხის ტერიტორია, სადაც კულტურული ფენების სიმძლავრე 120-140 სმ უდრიდა. მაგრამ აქ უმეტესად შემორჩენილი იყო გვიანდელი პერიოდის მასალა, თუმცა, აქა-იქ ყვითელ თიხნარ ფენაში თავი იჩინა ანტიკური ხანის კოლხური ძველისა და შავლაკიანი კერამიკის ნატეხბმაც. გათხრების პროცესში აშკარა გახდა, რომ მშენებელები პერიოდულად ბორცვის თავზე ამზადებდნენ სამშენებლო მოედანს და ფერდობზე ურიდნენ წინა ეპოქის მასალებსაც. ამიტომაც შიდაციხის შესწავლის პარალელურად, პირველ ხანებში საცდელი თხრილი გავლებული იქნა გორასამოსახლოს ჩრდილო-აღმოსავლეთ ფერდზე (სიგრძე 30 მ, სიგანე 15 მ), ხოლო შემდგომ კი ჩრდილო-დასავლეთ ფერდზე [ა. ჯახიძე, დ. ხახუტაიშვილი, 1989]. ამ უკანასკნელზე 1968 და 1979 წლებში სტრატიგრაფიული გვერდების გამოყენებით გაგრძელდა გათხრითი სამუშაოები სამშენებლო პერიოდების და გადმონაყარი ფენების თანამიმდევრობის დაზუსტების მიზნით.

ბათუმის ციხეზე განხორციელებული საველუ-არქეოლოგიური კვლევა-ძიება შემდგებ სურათს იძლევა: ძეგლი წარმოადგენს ტიპიურ განცალკევებულ ბუნებრივ გორასამოსახლოს [ნ. ბერძენიშვილი, 1964: 346-347, 367-427]. მისი დასახლება ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებში იწყება, თუმცა, ნანახია კაუის დამუშავებული იარაღებიც, მაგრამ ამ ერთეული მონაპოვრების მიხედვით ამ ადგილებში ქვის ხანის ადამიანის არსებობის პირობების შესახებ მსჯელობა ჭირს. ძვ.წ. VIII-VII საუკუნეების უძრავი კულტურული ფენები დადასტურებული იქნა გორასამოსახლოს ძირზე. აქ წარმოდგენილია წინაანტიკური ხანის თიხის ჭურჭლის ნატეხები, ხელსაფეხავები, საწაფები. კურადღებას იქცევს აქვე ნანახი თიხისაგან დამზადებული ხარის თავისა და ტანის სკულპტურული გამოსახულების ფრაგმენტები. პროფ. დ. ხახუტაიშვილმა ბორცვის თხემის გათხრებისას კურადღება მიაქცია თაროსებრ ვიწრო ბილიკს, რომელიც სამოსახლოს, ეტჟობა, ირგვლივ შემოუყენება. სამხრეთ შავიზღვისპირეთში ქსენოფონტეს მიერ ძვ.წ. 401 წელს „ანაბაზისში“ დრიდების ტომში არსებული საფორტიფიკაციო ნაგებობის ანალოგიის მიხედვით (ე.წ. „მეტროპოლისის“ დამცველი თხრილი) ჩათვალა, რომ ამ ადგილას ბათუმის გორასამოსახლო ხის მექერით უნდა ყოფილიყო გამაგრებული. ამ ფენაში უცხოური ნაკეთობანი არ ჩანს. იმპორტული ნაწარმი ჩნდება ზედა შრეში (სისქე 10 სმ, წინა ფენის 30-35 სმ). ესენია სადაზოლებიანი იონიური კერამიკული ნაკეთობანი (თასები, კილიკები, ოინოხოიები, ასკოსები და ა.შ.). აქვე და მომდევნო გადმონაყარ ფენაში ნანახია ე.წ. თეთრანგობიანი ქიოსური ამფორის ნატეხები, რომელთა რიცხვი კიდევ უფრო გამრავლდა 1979 წელს. ეს ნატეხები გვესახება ძველი

კოლხეთის შემოტანილი კერამიკის ყველაზე ადრეულ ნიმუშად, რომელთაც პ. ქიოსტე [Anderson J. K., 1954:168-178], პ. ფერაზე [Dragendorf H., 1903:228, sur. 425; Anderson J. K., 1954:136], პ. როდოსზე [Clara Rhodos, III, pl. III], ისტრიაში [Lambrino M., 1938:100 და ა.შ.], პ. ბერეზანზე და ნიმფეაში [ვეესტ ი.ბ., 1960:70], პანტიკაპეონში [Блаватский В.Д., 1962:10, рис. 4], პატრესა და გერმონასაში [ვეესტ ი.ბ., 1960:70] აღმოჩენილი მასალების მიხედვით ძვ.წ. VII ს ბოლოსა და VI ს დამდეგით ვათარილებთ [ა. კახიძე, 1965: 203-206; მისსივე, 1971: 29-31]. ვერნერ ტეხნიუ ამავე პერიოდით ათარილებს ბათუმისციხის მსგავს სამოსურ ონიონიებს, რომლებიც შემკულია მოთეთრო (ვერცხლისფერი) და მოწითალო ზოლებით [Technau W., 1929]. ამ ფენის შესწავლისას ყურადღება მიიქცია ნამწვავ-ნანგრევმა შრემ. ამ მონაცემებით დასტურდება, რომ ფენა უნდა ასახავდეს ადგილობრივი კოლხური მოსახლეობისა და იონიული მოახალ შენერების პირველ შეხვედრებს, რომელსაც მშვიდობიანი ხასიათი არ უნდა ჰქონოდა. მომდევნო დონეების მძლავრი მასალების მიხედვით ჩანს, რომ ძველ კოლხურ გორასამოსახლოს ადრინდელი სტატუსი შეუნარჩუნებია და კლასიკურ ხანაში ცხოვრებას კიდევ უფრო ფართო, ინტენსიური ხასიათი მიუღია. აღმოჩენილ მასალებში წამყვანი ჩანს ადგილობრივი ნივთიერი კულტურის ძეგლები. გაკვირვებას იწვევს სამეურნეო კერამიკის, კერძოდ, კოლხური ქვევრების მრავალრიცხოვნება, შემკობის სხვადასხვა მოტივი და რიგი თავისებურებანი [ნ. ვაშაკიძე, გ. ლოროტქიფანიძე, 1976]. აშგარაა, რომ ძველი კოლხური სამეურნეო კერამიკის წარმოების ერთ-ერთი მსხვილი ცენტრი ძვ.წ. VII საუკუნიდან ბათუმის მიდამოებშიც მოქმედებდა. მრავლადაა ნანახი სხვა სახის ჭურჭელთა ნატეხები, რიყის ქვის საწაფები, ხელსაფქვავები, შურდულის ქვები, თიხისაგან ნაკეთები ორნამენტირებული ვერძის თავის შესანიშნავი სკულპტურული გამოსახულება და სხვა. კლასიკური ხანის გადმონაყარ ფენაში ზომიერადა წარმოდგენილი საქმიოდ ადრეული ყელგამობერილი ქოსური, სამოსური, სასმისებრძირიანი და თაზოსური ამფორის ნატეხები, ძვ.წ. VI საუკუნის იონიური სადა ზოლებიანი ჭურჭლის ფრაგმენტები. ცოტაა ატიკური შავლაკიანი კერამიკა. ბათუმის უძველეს მოსახლეობას გვიანარქაულ ხანაში გაცხოველებული სავაჭრო ურთიერთობა აქვს აღმოსავლეთ საბერძნეთის იონიურ ცენტრებსა და ეგვიპტის ზღვის კუნძულებთან. კლასიკურ ხანაში ბათუმის სამოსახლოს როლი საერთაშორისო ურთიერთობათა სფეროში შედარებით დაკნინებულია, თუმცა, იგი ამ ამ ეპოქაშიც რჩება საკმაოდ მსხვილ ადგილობრივ სამეურნეო და სახელოსნო ცენტრად.

ძვ.წ. VIII-IV საუკუნეებისათვის ბათუმის გორასამოსახლოზე ხის ნაგებობები ივარაუდება. ამ პერიოდში მოქმედებდა, აგრეთვე, ხის მესერი და სავარაუდო დამცველი თხრილი (აღმოსავლეთიდან მას მდ. ყორლისწყალი ჩამოუდიოდა). ძვ.წ. IV საუკუნის ბოლოსათვის მომხდარა ბორცვის წვერის მთლიანი ნიველირება, გადმოყრილ მი-

წის გრუნტსა და არქეოლოგიურ მასალებს მთლიანად შეუვსია ბორცვის ძირი და ხის მესერიანი დამცველი კედელი აღარ აღუდგენიათ. ელინისტური ხანისათვის ბორცვზე აღმართული შენობების ნაწილი, საძირკვლები მაინც, უკვე ქვის უნდა ყოფილიყო. საქმე იმაშია, რომ ადრეფეოდალური ხანისათვის ბორცვის ხელახალი ნიველირებისას მოხსნილ და გადმოყრილ ყვითელ თიხნარ ფენაში მოზრდილი სამშენებლო რიყის ქვებიც ურევია. ელინისტურ-გვიანანტიკური ხანის გადმონაყარ ფენაში წარმოდგენილია მოწითალო-მოყავისფროდ გამომწვარი ქვერების, ადგილობრივი და სინოპური ამფორებისა და კრამიტის ნატეხები, კვლავაც ბევრია შურდულის ქვები. ნანახია წისქვილის მრგვალი ქვა, თიხის პირამიდული საწაფი, კვირისტავები, რკინის მოხრილი დანა და ა.შ. ჩანს, რომ ბათუმის უძველესი სამოსახლო ამ ეპოქებშიც მნიშვნელოვან როლს თამაშობდა. მის აღმავლობას, ბუნებრივია, ხელს უწყობდა ბათუმის ყურეში მოხერხებული ნავსადგური. ასევე ითქმის მომდევნო ეპოქების შესახებაც. ბორცვის ახალი განაშენიანება მომხდარა ადრე და განვითარებულ ფეოდალურ ხანაშიაც. გათხრებისას მრავლადაა აღმოჩენილი ამ ეპოქის მასალები. ციხე საბოლოოდ ინგრევა XIX საუკუნეში. ბორცვის ძირზე შექმნილია ამ ნგრევის ამსახველი თითქმის 2 მ სისქის ქვადორდიანი ფენა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ნ. ბერძენიშვილი, ისტორიული გეოგრაფიისათვის, – საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1964.
2. ნ. ბერძენიშვილი, ერთი ფურცელი ისტორიულ-გეოგრაფიული დღიურიდან, – საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1964.
3. ნ. ვაშაკიძე, გ. ლორთქიფანიძე, კოლხური ქვევრი, – სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, ტ. II, 1971.
4. ა. ინაიშვილი, ბათუმის ეტიმოლოგიისათვის, – აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, I, თბ., 1976.
5. ს. კაკაბაძე, ძიებანი ქართველთა IV-VII საუკუნეების ისტორიის შესახებ, – საისტორიო კრებული, II, 1928.
6. ა. კახიძე, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ანტიკური ხანის ქალაქები, საკანდიდატო დისერტაცია, თბ., 1965.
7. ა. კახიძე, კერამიკული ტარა ანტიკური ხანის ნაქალაქარიდან, – სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, ტ. II, 1971.
8. ა. კახიძე, დ. ხახუბაიშვილი, მასალები ბათუმის ძველი ისტორიისათვის, – სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, ტ. XVIII, 1989 (სურ. I-XLVII).
9. მ. ანარეგოსი, ტრაპიზონის ქრონიკა, – მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 33, 1960.
10. უან მურიკ, ბათუმი და ჭოროხის აუზი, ბათ., 1962.
11. ი. სიხარულიძე, ბათუმის წარსულიდან, – შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის პედინსტიტუტის შრომები, ტ. V, 1956.

12. о. სიხარულიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა, ნაშ.
II, ბათ., 1959.
13. о. სიხარულიძე, ბათუმის უძველესი ისტორიის ახალი არქეოლოგიუ-
რი მასალები, – გაზ. „აჭარა“, 9 ივნისი, 1962.
14. ა. სურგულაძე, ბათუმის ისტორიისათვის, – აჭარის მოსახლეობის
ყოფისა და კულტურის საკითხები, თბ., 1965.
15. ვდ. სიჭინავა, ბათუმის ისტორიიდან, ბათ., 1958.
16. ცლავიუს არიანე, მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო, თბ., 1961.
17. თ. ყაჟხიშვილი, ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესა-
ხებ, ტ. II, თბ., 1969.
18. ს. ყაჟხიშვილი, ანტიკური მასალები ბათუმის ისტორიისათვის, –
ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუ-
ტის შრომები, ტ. X, 1950-51.
19. ჯ. ჩხეიძე, ბათუმი, ბათ., 1959.
20. Бакрадзе Д., Археологическое путешествие по Гурии и Адчаре, СПб, 1878.
21. Блаватский В.Д., Отчёт о раскопках Пантикея в 1945-1949, 1952 и 1953 гг.,
– МИА, 103, М., 1962.
22. Дакишевич Н., Батуми, Тиф., 1890.
23. Зеест И.Б., Керамическая тара Боспора, – МИА, 83, 1960.
24. Иоселиани П., Города, существовавшие и существующие в Грузии, Тиф.,
1850.
25. Кальфоглу И.И., Древнейшие известия о Батуме, – ИКОИРГО, XVIII, 1960.
26. Френкель А., Очерки Чурук-Су и Батума, Тиф., 1879.
27. Хицунов П., О состоянии некогда бывшего христианства на Кавказе, – Сб.
«Кавказ», Тиф., 1847.
28. Anderson J. K., Excavations at the Kofina Ridge, Chios, – BSA, XLIX, 1954.
29. Clara Rhodos, III, pl.III.
30. Dragendorf H., Thera II, Berlin, 1903.
31. Lambrino M., Les vases archaiques d'Histria Bucurest, 1938.
32. Technau W., Griechische keramic in Samische Heraion – Athenische mitteilungen,
LIV, 1929.

Amiran Kakhidze (Georgia, Batumi)

Batumi And Its Suburbs (Batumi Fortress) in I Millennium BC

Summary

Great many authors mention the Batumi Fortress (Aristotle, Plinius, Arian, Anonym, Panaretos, etc.) into their works. Huge interest about Batumi Fortress has been arisen in historiography since 19th century. Some mutually exclusive ideas have been stated about the fortress name, localization, and periods of its turning into a town (P. Khitsunov, P. Ioseliani, D. Bakradze, A. Frenkel, Jan Murrie, N. Dakishevich, I. Kalfoglu, S. Kakabadze, S. Kaukhchishvili, I. Sikharulidze, V. Sichinava, J. Chkheidze, A. Surguladze, D. Khakhutaishvili, A. Inaishvili, and

others). The decisive concept in studying ancient history of Batumi was based upon archaeological excavations in 60-70's of 20th century. It was reviled and acknowledged that the monument used to be a hill-type settlement dated back to 8th-7th centuries BC. The hill was surrounded with a wooden fence. The oldest Greek import throughout eastern Black Sea shore and the Caucasus in general was found at Batumi Fortress. White ground chian amphora and simple stripped ionian ceramics found there have similar parallels dated back to late 7th and early 6th centuries. Batumi Fortress used to be an important urban settlement during the Classical and Hellenistic periods. Its functions were significantly increased following ages that prepared a good basis for turning Batumi into a well developed town centre of Middle Ages.

ნინო ინაიშვილი
(საქართველო, ბათუმი)

ბათუმი ადრეაზიზანტიურ ხანაში

ბერძნულ-რომაულ წერილობით წყაროებში (არისტოტელე, პლიუსი, არიანე, ტაბულა პევტინგერიანა) Bathys-ის სახელწოდებით ცნობილი მდინარისა და გეოგრაფიული პუნქტის სახელწოდება (საიდანაც წარმოსდგება დღვეული ბათუმის სახელწოდება) ადრებიზანტიურ წყაროებში ამ სახელით არ იხსენიება, თუმცა ბათუმის ტერიტორია ექცევა ისტორიული ლაზიკის იმ ნაწილში, სადაც ბიზანტია-სპარსეთის ომების ძირითად ეპიზოდებს პქონდა ადგილი და რომელთა შესახებაც საქმაო დეტალურ ინფორმაციას გვაწვდიან ბიზანტიელი ავტორები – პროკოპი კესარიელი და აგათია სქოლასტიკოსი.


წერილობითი წყაროების სიმწირის პირობებში ბათუმის უძველესი და მკელი ისტორიის შესწავლისათვის უდიდესი მნიშვნელობა პქონდა ბათუმის ციხის არქეოლოგიური შესწავლას. ბათუმის ციხე ან თამარის ციხე ბათუმის ჩრდილოეთით, მდინარე ყოროლისწყლის შესართავთან, ზღვის ნაპირას მდებარე მაღალ ბორცვზე მდებარეობს, სადაც შემორჩენილია ციხე-სიმაგრის ნაშთები. გასული საუკუნის 60-იან წლებში ივ.ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტმა და ბათუმის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა ბათუმის ციხეზე განახორციელეს არქეოლოგიური სამუშაოები (ხელმძღვანელი – აკად. ნ. ბერძენიშვილი) [დ. სახურაიშვილი, 1962-1963].

ბათუმის ციხის არქეოლოგიური კვლევა-ძიების დაწყების დროისათვის სასიმაგრო კედლებისა და კულტურული ფენების დაცულობა მეტად არასასარბიულო იყო. ციხის ნაგრევები მიმოფანტული იყო ბორცვის აღმოსავლეთ, დასავლეთ და ჩრდილო ფერდობებზე. ციხე ინგრეოდა დროთა განმავლობაში და ადამიანის ზემოქმედების შედეგად. იგი განსაკუთრებით დაზიანდა დიდი სამამულო ობის დროს აქ ბათუმის ჰაერსაწინააღმდეგო დაცვის ერთ-ერთი ქვედანაყოფის საცეცხლე პოზიციის გამართვის შედეგად. სამხედროებმა ციხის სასიმაგრო კედლები გამოიყენეს და ბორცვზე დიდი მოცულობის მიწის სამუშაოები ჩაატარეს. ციხის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილის განადგურება კი განაპირობა 1960 წლს კაფე-პავილიონის მშენებლობამ, რომელმაც ციხის ტერიტორიის 200 კვ. მ ფართობი დაიკავა. ციხის ფერდობებზე კულტურული ფენები დააზიანა აგრეთვე გამწვანების ტრესტის მიერ გავლებულმა ტერასებმა.

არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად გაირკვა, რომ ბათუმის ციხე მრავალფენიანი ძეგლია და იგი, როგორც აკად. ნ. ბერძენიშვილი გარაუდობდა, აგებული იყო იმ ძველი კოლხური სამოსახლოს

ადგილას, რომელიც ამ პროვინციის ადრეული ხანის ცენტრს წარმოადგენდა. მან დასაბამი მისცა ქალაქ ბათუმის წარმოქმნას. წინაანატიკური და ანტიკური ხანის სამოსახლოს შესწავლის შედეგები გამოქვეყნებულია ა. კახიძისა და დ. ხახუტაიშვილის ნაშრომში [ა. კახიძე, დ. ხახუტაიშვილი, 1989].

ბათუმის ციხე მნიშვნელოვან როლს თამაშობდა მომდევნო ეპოქებშიც. ბორცვის ხელახალი ნიველირება-განაშენიანება მომხდარა ადრე და განვითარებულ შეუსაუკუნეებში. ციხე თავის ფუნქციას საბოლოოდ XIX ს. კარგავს. ბორცვის ძირზე შექმნილია ამ ნგრევის ამსახველი თითქმის 3 მ სისქის ქვადორფიანი ფენა.



სურ. 1 ბათუმის ციხის გეგმა
ვ. ლექვინაძის მიხედვით

და სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეებში. ადნიშნავენ, შიდაციხე II მშენებლობაში გამოყენებული ქვათლილები და დუღაბი ძალიან ჰგავს პეტრას ციტადელისა და სამხავიანი ბაზილიკის წყობას, რაც მის თარიღზე მიუთითებს. თუმცა, სამწუხაროდ, შიდაციხე II კედლის ნანგრევების უდიდესი ნაწილი საბჭოთა პეტრიოდში განხორცილებული სამუშაოების შედეგად ბორცვის ჩრდილო-აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ფერდობებზე იყო გადაყრილი [დ. ხახუტაიშვილი, 1962-1963].

ბორცვის თხემსა და ფერდობებზე გავლებულმა თხრილებმა შემდეგი სტრატიგრაფიული სურათი დაადასტურა: აქ მოპოვებული მასალები დიდი ქრონოლოგიური დიაპაზონისაა (ძვწ. I ათასწლეულის პირველი ნახევარი – XIX-XX სს). უძველესი და ადრე შეუსაუკუნეების კულტურული ფენები შედარებით უკეთაა გადარჩენილი ბორცვის ქვედა დონეზე. ადრე შეუსაუკუნეების ფენა წარმოდგენი-

გათხრების შედეგად დადგინდა, რომ ბორცვის თხემზე დაცული სასიმაგრო ნაგებობანი რამდენიმე პერიოდს მიეკუთვნება. მიუხედავად იმისა, რომ ციხის კედლები მრავალგზის არის გადაკეთებული, მათ შორის XX საუკუნის შეუსანებელი, გამთხრელებმა შეძლეს ციხის კედლების მშენებლობაში უძველესი, ადრე შეუსაუკუნეების ფენის გამოყოფა (შიდაციხე II), რომელიც შედარებით უკეთაა გადარჩენილი სწორგუთხა მოყვანილობის ციხის ჩრდილო-აღმოსავლეთ, სამხრეთ-დასავლეთ

ლია ახ.წ. VI საუკუნეების ყავისფერკეციანი, წელშეზნექილი და წითელკეციანი, დაღარულტანიანი ამფორების, აგრეთვე სამზარეულო და სუფრის ჭურჭლის, აგრეთვე კრამიტის ფრაგმენტების სახით [დ. ხახუბაიშვილი, 1962-1963].

დასავლეთ საქართველოს ადრე შუა საუკუნეების ხანის მონუმენტური არქიტექტურის კვლევის პროცესში, ბათუმის ციხეში მიიპყრო მკვლევარ ვ. ლექვინაძის ყურადღება, რომელმაც მას სპეციალური ნაშრომი მიუძღვნა [ლექვინაძე ვ.ა., 1967:505-510]. ვ. ლექვინაძის აზრით, ბათუმის ციხის ძირითადი სამშენებლო ფენა აშკარად ადრებიზანტიური ხანისაა, თუმცა ტიპიური ადრებიზანტიური შერეული წყობა, რომელიც ხასიათდება ქვისა და აგურის სარტყლების სისტემატური მონაცვლეობით, აյ მხოლოდ ერთ მცირე ადგილასაა შემორჩენილი [ლექვინაძე ვ.ა., 1967:505-510; ლექვინაძე ვ.ა., 1973:172-173, რიც. 2].

მკვლევრის აზრით, ბათუმის ციხის ყველაზე დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენს ბორცვის რელიეფისათვის შეუფერებელი, მაგრამ ადრებიზანტიური ხანის ციხესიმაგრეების მშენებლობაში დამკვიდრებული სტანდარტული სწორკუთხა გეგმარების გამოყენება და კიდევ ერთი საყურადღებო დეტალი: ციხესიმაგრის უძველესი ფენა კუთხებში აღჭურვილი იყო ფართო სწორკუთხა კოშკისებური შვერილებით (ისინი შემონახულია სიმაგრის სამხრეთ-დასავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილებში), რომლებიც მხოლოდ VI-X საუკუნეების ბიზანტიური სიმაგრეებისათვის იყო დამახასიათებელი. აღნიშნულ დეტალს მკვლევარი საინტერესო პარალელს უძებნის სებასტოპოლისის კასტელუმის იმ ნაშთებთან, რომელიც აღმოჩენილია ორი რომაული სიმაგრის ნაგრუების ზემოთ და რომელიც იუსტინიანეს პერიოდის სამშენებლო საქმიანობას უნდა უკავშირდებოდეს [ლექვინაძე ვ.ა., 1973:172-173, 178, რიც. 6; შერვაშიძე ლ.ა., სილევ ლ.ნ., 1960:171-179, რიც. 1].

ციხესიმაგრის ადრებიზანტიური ხასიათის დადგენის შემდეგ მკვლევარი პროკოპის ნაშრომში “შშენებლობათა შესახებ” დასახელებული პუნქტის – ლოსორიონის ბათუმის ციხესთან იგივეობას ამტკიცებს. ავტორის აზრით, პროკოპის ნაშრომში ლოსორიონი დასახელებულია იმ პუნქტებს შორის, რომლებიც აგებული იყო იუსტინიანეს მიერ ევქსინის პონტოს სანაპიროზე. ამასთან, ლოსორიონის მიების არეალი შეიძლება შემოიფარგლოს აფსაროსსა (გონიო) და პეტრას (ციხისძირი) შორის მდებარე სანაპიროთი. აღნიშნულ მონაკვეთში კი ლოსორიონის ლოკალიზაციისათვის ყველაზე შესაფერისი აღგილი ბათუმის ციხეა [ლექვინაძე ვ. ა., 1973:169-173], რაშიც შეუძლებელია ავტორს არ დაეთანხმო.

რატომ დასჭირდათ ბიზანტიულებს ციხესიმაგრის აგება ბათუმში? როგორც ცნობილია, იმპერატორ იუსტინიანეს (527-565) დროს დასავლეთ საქართველო ბიზანტიურ-სპარსული შეტაკებების ცენტრად იქცა. 523 წელს აღმოსავლეთ საქართველოში (იბერიაში)

მყარად ფეხმოკიდებულ სპარსელებს უკვე ლაზიკის გავლით შეეძლოთ ბიზანტიის იმპერიაში შეჭრა, რაც კარგად არის გამოხატული პროკოპი კესარიელის სიტყვებში: „კავკასიაში მოსახლე ბარბაროს-თათვის ლაზიკე არის მხოლოდ საწინააღმდეგო ტიხარი. ყველაზე უფრო კი, მას [ხოსროს] იმედი ჰქონდა, ლაზიკის მხრით გაძლიერება სპარსელთათვის იმით იქნებოდა სასარგებლო, რომ იქიდან შეტევით ისინი ადგილად შეძლებდნენ თაგს დასხმოდნენ ხმელეთითაც და ზღვითაც, ეგრეთ წოდებულ ევქსინის პონტოზე მდებარე სოფლებს, დაემორჩილებინათ კაპადოკიელები, მათი მოსაზღვრე გალატიელები და ბითვინიელები, და მოულოდნელად დაეპუროთ ბიზანტიელები, ისე, რომ მათ არავინ გაუწევდა წინააღმდეგობას“ [BP.II.28 - გეორგიკა, 1965: 94-95]. ამ საფრთხემ აიძულა ბიზანტიელები სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში გაეჩადებინათ საფორტიფიკაციო მშენებლობა, რათა გაეკონტროლებინათ ის გზები, რომლითაც შესაძლებელი იყო ბიზანტიის იმპერიაში შეღწევა [ა. ბოგვერაძე, 1973: 249-250; ლეკვინაძე ვ.ა., 1973: 171-172; Braund D., 1994: 273-274, 297]. ამ რეგიონში აგებულ სხვა ციხეებთან (რიზე, პეტრა) ერთად, ლოსორიონის სტრატეგიული მნიშვნელობა ბიზანტიის იმპერიის მისადგომების დაცვაში გამოიხატებოდა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ა. ბოგვერაძე, ბრძოლა ირანელი და ბიზანტიელი დამპურობლების წინააღმდეგ ეგრისში, – საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 2, თბ., 1973.
2. გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. 2, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხებიშვილმა, თბ., 1965.
3. ა. კახიძე, დ. ხახუტაშვილი, მასალები ბათუმის ძველი ისტორიისათვის, I, – სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, ტ. XVIII, თბ., 1989.
4. დ. ხახუტაშვილი, ბათუმის ციხის არქეოლოგიური გათხრები – საველე დღიური, 1962-1963, ბათუმის ნიკო ბერძნიშვილის ინსტიტუტის არქივი.
5. ლეკვინაძე ვ.ა., Об одной византийской крепости, – Сообщения АН Грузинской ССР, XLVII, 2, 1967.
6. ლეკვინაძე ვ.ა., О постройках Юстиниана в Западной Грузии, – Византийский Временник, 34, 1973.
7. შერვაშიძე ლ.ა., Соловьев Л.Н., Исследование древнего Себастополиса – Советская Археология, №3, 1960.
8. Braund D., Georgia in Antiquity, Oxford, 1994.

Nino Inaishvili (Batumi, Georgia)

Batumi in Early Byzantine Period

Summary

Bathys (from which the present name *Batumi* originates) the name of a river and a geographical location known from the Greek and Roman written sources (Aristotle, Pliny, Ariane), is not mentioned by Byzantine writers though the territory of Batumi falls into the part of ancient Lazica where the main battles of the Byzantine-Persian wars took place and about which quite detailed information is provided by the Byzantine authors – Procopius and Agathias.

In the Early-Byzantine deposit revealed during the archaeological excavations on the Batumi Fortress (Tamara Fortress) in 1960s there appeared the fragments of brown clay concave-body and red clay amphorae with grooved surface of the 6th century. The scholar V. Lekvinadze who specialized in the study of the sites of West Georgian monumental architecture, distinguished in the multi-deposit site of the Batumi Fortress the Early-Byzantine period layer that is characterized by typical Roman-Byzantine rectangular planning and tower-like projections in the corners thus greatly resembling Sebastopolis' Castellum built by Justinian.

In V. Leqvinadze's opinion, based on the analysis of the data of the archaeological and written sources it is possible to identify the Batumi Fortress with the fortress Losorion in Lazica built by Justinian which is mentioned in the Byzantine written sources. Losirion should have been located on the coast between Apsarus and Petra.

შოთა მამულაძე, რეზო უზუნაძე
(ბათუმი, საქართველო)

ბათუმი შუა საუკუნეებში

**(წერილობითი წყაროებისა და არქეოლოგიური
მასალების მიხედვით)**

ბათუმის საქალაქო დასახლება სათავეს იღებს ანტიკური ხანი-დან [ს. ყაუხებიშვილი, 1950-1951; დ. ხახუტაიშვილი, 1989; ა. კახიძე, 2007; თ. ყაუხებიშვილი, 1987; ა. ინაიშვილი, 1966; ვლ. სიჭინავა, 1962; ჯ. ჩხეიძე, 1959; კალფოგლი И.И., 1905]. იგი დიდ განვითარებას აღწევს XII-XV სს-ში. წინა აზიაში თურქ-სელჩუკების გაბატონებამ (XI ს.) მთლიანად გადაკეტა საქართველოდან ბიზანტიაში მიმავალი სახმელეთო გზები, რამაც საქართველოსა და ბიზანტიას შორის საზღვაო ურთიერთობა ქალაქ-ნავსადგურების, მათ შორის – ბათუმის მეშვეობით, კიდევ უფრო ინტენსიური გახდა [თ. ბერაძე, 1981: 167; ბერაძე T., 1989: 71-72; მისივე, 2009: 119-132]. ამას დაემატა ისიც, რომ თურქ-სელჩუკთა წინა აზიაში გაბატონებამ და გამუდმებულმა რბევათარეშმა გამოიწვია მსოფლიო სატრანზიტო გზების („აბრეშუმის გზა“) საქართველოში გადმონაცვლება [ს. მასხარაშვილი, 2006: 131], რომლის ერთი შტო გადიოდა ბათუმზე. იგი ახალციხე-თბილისის გავლით მიემართებოდა კასპიისპირეთისა და სპარსეთისაკენ, აქედან ინდოეთისა და ჩინეთისაკენ [თ. ბერაძე, 1981: 167]. შესაბამისად, იმატა ბათუმში ცხოვრების მაჯისცემამ. აღნიშნული პროცესი განსაკუთრებით წინ წავიდა დავით აღმაშენებლისა (1089-1125) და თამარის მეფობის (1184-1213) ხანაში. ბათუმი გახდა მნიშვნელოვანი საზღვაო ქალაქი.

ბათუმში საქალაქო ცხოვრების განვითარების შედეგად გაიზარდა ქალაქის მოსახლეობა. ერთი ცნობის თანახმად, ამ პერიოდის ბათუმში ცხოვრობდა 30 ათასამდე კაცი [თ. ბერაძე, 1981: 183]. პროფ. თ. ბერაძის სამართლიანი შენიშვით, მონაცემები ბათუმის მოსახლეობის შესახებ ერთობ გადაჭარბებულია. მაგრამ ერთი რამ ცხადია: ამ დროისათვის ბათუმი წარმოადგენდა რიცხვმრავალ ქალაქს, სადაც ცხოვრება ძალუმად ჩქევდა.

იზრდება ქალაქის დასახლება. იგი მოიცავდა ვრცელ ტერიტორიას მდ. ყოროლისწყალის შესართავიდან მარცხენა სანაპიროს გაყოლებით, ეწ. მენავთობებთა (თამარის) დასახლების ჩათვლით.* ქალაქის სამხრეთი საზღვარი აღწევდა მდ. ბარცხანამდე. ეს მიდამოები რომ შუა საუკუნეებში მართლაცდა ისტორიული ბათუმის ძირითად ცენტრს წარმოადგენდა, კარგად ჩანს სხვადასხვა დროს ბათუმის ციხეზე წარმოებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოძიებული მასალების მიხედვითაც. ამ ეპოქის აქ აღმოჩენილ მრავალრიცხვან

მასალათაგან ამჯერად მოკლედ შევჩერდებით მხოლოდ მოჭიქულ კერამიკაზე. ბათუმის ციხეზე აღმოჩენილი მოჭიქული ჭურჭელი 100-ზე მეტი ერთეულითაა წარმოდგენილი. მათ უმრავლესობას ჯამები წარმოადგენს (80-ზე მეტი ერთეული). ჯამები და, განსაკუთრებით, ჭუსლები იმეორებენ ძირითადად განვითარებული შუა საუკუნეების სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი სადა კერამიკის ფორმებს. მათი დიდი ნაწილი სხვადასხვა ელფერის მწვანე ჭიქურითაა დაფარული. ზოგიერთი ნიმუშის მიხედვით ჩანს, რომ თეთრი ანგობით დაფარული ჯამების შიგაპირი (ნაწილობრივ გარეთ, ქიმის არ) შემქულია ნაკარი მარყუჟიანი რგოლებით, გაშლილი სპირალებითა და ურთიერთგადამკვეთი ხაზებით, ორმაგი ხაზოვანი და, ასევე, სხვადასხვა სახის გეომეტრიული ორნამენტით. ამ ტიპის კერამიკაში გვხვდება სადა, უორნამენტო მწვანედ მოჭიქული ჯამებიც. ბათუმის ციხეზე აღმოჩენილი მწვანედ მოჭიქული კერამიკის მსგავსი ნიმუშები საკმაოდ მრავლადაა აღმოჩენილი და-სავლეთ საქართველოს ისეთ ძეგლებზე, როგორიცაა: სოხუმი, ბაგრატის ციხე, გონიო, ციხისმირი, ციხესულორი, ოჩამჩირე, უქიმერიონი, ქუთაისი [შ. მიწიშვილი, 1976: 8], აჭარისწყლის ხეობის განვითარებული შუასაუკუნეების საფორტიფიკაციო თუ საეკლესიო ნაგებობათა ტერიტორია [შ. მამულაძე, 1993: 58] და ა.შ.

ბათუმის ციხეზე აღმოჩენილ ერთფრად მოჭიქულ ჭურჭელში წარმოდგენილია ასევე ყვითლად მოჭიქული კერამიკაც. ისინი ფორმებითაც და შემკობის მოტივითაც იმეორებენ მწვანედ მოჭიქული ჭურჭლის ფორმებსა და ორნამენტს. ერთ ფერში და, განსაკუთრებით, ყვითლად მოჭიქული კერამიკა ძირითადად დამახასიათებელია დასავლეთ საქართველოსათვის. ისინი მწვანედ მოჭიქული ჯამების მსგავსად, ძირითადად, აღმოჩენილია სოხუმის, ბაგრატის, გონიოს, უქიმერიონის, ციხისმირის, ციხესულორის [შ. მიწიშვილი, 1976: 10], აჭარისწყლის ხეობის განვითარებული შუა საუკუნეების ძეგლებზე [შ. მამულაძე, 1993: 58-59]. ამ ტიპის ჭურჭელი ასევე ცნობილია ჩრდილოეთშავიზღვისპირეთის შუასაუკუნეების ნაქალაქარებიდან, განსაკუთრებით კი ქერსონესიდან [Якобсон А.Л., 1959: 172-173]; აგრეთვა ტმუტარაკანიდან, ორენფალადან [Якобсон А.Л., 1959: 258], შუა აზიიდან (მუნხაკ-თევზე) [Гайдукевич В.Б., 1947: 167-168] და სხვა. ისინი ყველგან XI-XII სს.-ითაა დათარიღებული. ამოკაწვრით მოხატული და ერთფრად (ყვითელის გარდა) მოჭიქული ჯამები დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა ძეგლებზე [შ. მიწიშვილი, 1969: 23-28; მისივე, 1979: 29-30; კ. ჯაფარიძე, 1956: 24-28; ხ. მაისურაძე, 1953: 27-37]. ისინი აქ წამყვანია XI-XII სს.-ში და განაგრძობენ არსებობას XIII ს.-ის I ნახევარში [შ. მიწიშვილი, 1969: 25]. დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა ძეგლზე აღმოჩენილი მსგავსი კერამიკა საკმაოდ საფუძვლიანად აქვს შესწავლილი გ. მიწიშვილს, რომელიც მათ XII-XIII სს.-ით ათარიღებს [შ. მიწიშვილი,

1976: 16]. ბათუმის ციხის განვითარებული შუა საუკუნეების მასალებს შორის ასევე საკმაო რაოდენობითაა წარმოდგენილი მრავალფრად მოჭიქული კერამიკაც. აქაც უმრავლესობა ჯამებზე მოდის. მათ სუფთად განძლებილი, მოყვითალო, მოვარდისფრო და მოწითალო კეცი აქვთ. დასავლეთ საქართველოს და, კერძოდ, ბათუმის ციხეზე აღმოჩენილი ჯამები გარდებული თავისებურებით ხასიათდებიან. სამკაული ზოგჯერ სამ-სამი ხაზით არის გამოყვანილი. ამოკაწვრით მოხატული ორნამენტი ფერადი სადებავით კი არ ივსება, არამედ აქა-იქ დაღვენთილია ფერადი ლაქებით. ასეა შემკული დასავლეთ საქართველოს მრავალფრად მოჭიქული ჯამების დიდი ნაწილიც. მრავალფრად მოჭიქულ ჯამებს შორის ყველაზე მცირე რაოდენობით ფრინველის გამოსახულებით შემკული ჯამები გვხვდება. ბათუმის ციხეზე აღმოჩენილია ჯამის ნატეხები, რომელზედაც შერჩენილია ფრინველის ფრთა და ფეხის ზედა ნაწილები (№113). ფრინველის ბოლო ტანისაგან ორი ხაზით არის გამოყოფილი. მისი ტანი და ფრთა დია მწვანე ფერისაა. ბოლო და ტანის ზედა ნაწილები კი ყვითელია. ჯამი დაფარულია უფერული ჭიქურით. მსგავსი გამოსახულება ჯერჯერობით სხვა ძეგლებიდან უცნობია. ბათუმის ციხის მრავალფრად მოჭიქულ მონაპოვარ ჯამებს შორის გვხვდება ისეთი ნიმუშებიც, რომელთა შიგა ტანზე წყვილი ხაზებისაგან გადმოცემულია სხვადასხვა სახის ორნამენტი. ისინი, უმთავრესად, შედგენილია ყვავილის (გვირილას) ფურცლებისაგან. იგი შექმნილია სამ-სამი ხაზისაგან. გახალისებულია ფერადი – მწვანე და ყვითელი ლაქებით. დაფარულია უფერული, კრიალა ჭიქურით.

ბათუმის ციხის მრავალფრად მოჭიქულ ჯამებში გვხვდება ისეთი ნიმუშებიც, რომლებიც შემკულია სხვადასხვა სახის გეომეტრიული ორნამენტით. ამ ტიპის ორნამენტით შემკობა ძალზე გავრცელებულია აღმოსავლეთ საქართველოში. როგორც მ. მიწიშვილი ფიქრობს, არაა გამორიცხული ეს ორნამენტი დასავლეთში აღმოსავლეთ საქართველოდან იყოს შეტანილი [მ. მიწიშვილი, 1976: 21]. ბათუმის ციხეზე აღმოჩნდა წყვილი ხაზებისაგან შედგენილი ორნამენტით შემკული ჯამის ძირ-ქუსლი (№308). წყვილი ხაზები ფაქიზად არის გამოყვანილი. ისინი ერთმანეთს კვეთენ. ცენტრში გამოსახულია ხვია. ჯამის ძირზე კი ნიშანია ამოკაწვრული. იგი არ არის მოჭიქული, ნახევრად ნამზადია. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ დაგუშვათ მისი ადგილობრივი წარმოება.

ბათუმის ციხის მონაპოვართა შორის არის მრავალფრად მოჭიქულ ჯამთა ნატეხები ორნამენტით, რომელიც, როგორც ჩანს, ქიმს სარტყელივით გარშემოუყვება. ნატეხეზე შერჩენილია პარალელურ ხაზებს შორის ამოკაწვრული თანაბარი ხვიები. აქა-იქ დაღვენთილია

ფერადი – მწვანე და ყვითელი ლაქები; გადავლებულია უფერული კრიალა ჭიქური. მსგავსი ორნამენტით შემკული, მწვანედ მოჭიქული ჯამი აღმოჩნდა ქერსონესში. აღმოსავლეთ საქართველოში კი ხვიებითა და მარყუჯებით მხოლოდ ერთფრად მოჭიქულ ჯამებს ამკობდნენ. ასეთი ორნამენტი დასავლეთ საქართველოში გამოყენებულია მრავალფრად მოჭიქულ ჯამებზე. ბათუმის ციხეზე და, საერთოდ, დასავლეთ საქართველოს მრავალფრად მოჭიქული ჭურჭელი ძალზე საინტერესო და თავისებურია. მათი თავისებურება გამოიხატება კეცში, ჭიქურთა ფერებში, ორნამენტის გადმოცემის ხასიათში და სხვა, რაც ვფიქრობთ, კიდევ ერთხელ, იმის მაჩვენებელი უნდა იყოს, რომ დასავლეთ საქართველოში და, ჩვენ შემთხვევაში, ბათუმის ციხეზეც, ამ ტიპის კერამიკის აღგილობრივი წარმოება იყო.

დასავლეთ საქართველოს და, მათ შორის, ბათუმის ციხეზე აღმოჩენილი მრავალფრად მოჭიქული ჯამები, ისევე როგორც აღმოსავლეთ საქართველოსი, XII-XIII სს.-ს უნდა მიგადაუთვნოთ.

ბათუმის ციხეზე ყველაზე დიდი რაოდენობით აღმოჩენილია მწვანედ მოჭიქული „მსხვილი“ ჭურჭელი, მოპოვებულია ამ ეპოქის იმპორტული (ბიზანტიური) მოჭიქული კერამიკაც. აქვე ხაზი უნდა გაესვას ერთ გარემოებასაც, რომ დასავლეთ საქართველოს ძეგლებზე და მათ შორის ბათუმის ციხეზე აღმოჩენილი კერამიკა ბიზანტიის გავლენასაც განიცდის (ჭიქურის ფერები-მწვანე, ყვითელი; ორნამენტი-კონცენტრული წრეები და სხვა). ასეთივე სურათი ჩანს ჩრდილოეთშავიზღვისპირეთისა და რუსეთის ქალაქებში აღმოჩენილ მოჭიქულ ჭურჭელზეც. ასეთ დიდ სივრცეზე ერთი და იგივე ელემენტის გავრცელება იმის მანიშნებელი უნდა იყოს, რომ ბიზანტიას გარკვეული გავლენა და ურთიერთობა პქონდა დასახლებულ პუნქტებთან. ბიზანტიასა და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ცენტრებს შორის მჭიდრო კავშირს ადასტურებს ნუმიზმატიკური მონაპოვრებიც, რომელზედაც ჩვენ აქ აღარ შევჩერდებით.

ბათუმის ციხის განათხარ მასალაში წარმოდგენილია გვიანი შუა საუკუნეების მოჭიქული ჭურჭელიც. მათზე აქ ვრცლად აღარ შევჩერდებით. ისინი შეიძლება ძირითადად ორ ჯგუფად გაიყოს. პირველი ჯგუფისათვის დამახასიათებელია სუფთად განლექილი მოწითალო კეცი, ჯამთა შიგაპირის ანგობით დაფარვა, ფერადი ნაღვენთებით ან მკვეთრად ამოკაწრული ორნამენტით შემკიბა. ამ ჯგუფის მასალები მსგავსი მონაპოვრების მიხედვით სწორედ გვიანი შუა საუკუნეებით (XIV, XV-XVI სს.) უნდა დათარიღდეს.

მეორე ჯგუფში გაერთიანებული მოჭიქული ჭურჭელი პირველისა-გან მკვთრად განსხვავდება საერთო იერით, ორნამენტის გამოყვანის ხერხით, ჭურჭელთა ფორმებითა და სხვა. მათვის დამახასიათებელია სუფთად განლექილი მოწითალო კეცი, ჯამების ორმხრივ ანგობით დაფარვა და ორმხრივ მოჭიქვა. ორნამენტი გამოიყვანება ფუნჯით. ჯამები რამდენიმე სახისაა. მათ დაბალი, გამოყვანილი ქუსლი და ბრტყელი ძირი აქვთ. ამ ტიპის მოჭიქული კერამიკაც გვიანი შუა

საუკუნეებით თარიღდება. XVIII ს.-ის შემდგომი ნივთები განათხარ მასალებში საქმაოდ კლებულობს, რაც იმის მიმანიშნებელია, რომ ქალაქ ბათუმის ტერიტორია თანდათანობით თანამედროვე პორტის მიდამოებისაკენ ინაცვლებს.

ასე რომ, თუ გადავხედავთ არქეოლოგიურ მასალებს და, განსაკუთრებით, მოჭიქულ კერამიკას, დავინახავთ, რომ ყოროლისწყლის მარცხენა სანაპიროზე მდებარე ე.წ. ბათუმის ციხე და მისი შემოგარენი ტერიტორია მეტ-ნაკლები დატვირთვით XI ს.-დან მოკიდებული XVIII ს.-ის ჩათვლით ფუნქციონირებს. ვფიქრობთ, ეს ბორცვი თავისი შემოგარენი ტერიტორიით შეა საუკუნიებებშიც წარმოადგენდა იმ ადგილს, იმ ბათუმს, რომლის შესახებაც საინტერესო ცნობებია დაცული ანტიკური თუ მოგვიანი ხანის ავტორებთან. ამ მოსაზრებას რამდენადმე მხარს უჭერს დ. ბაქრაძესთან დაცული ცნობაც, რომლის მიხედვითაც ბათუმის ციხის მიმდებარე ტერიტორიაზე მის დრომდე შემორჩენილი იყო დიდი კედლისა და შვიდამდე ეკლესიის ნაშთი. მისი მთხოვნელის, ხასან-ალას მიხედვით, ოთხამდე ეკლესიის ნაშთი იყო ამ ტერიტორიისაგან ცოტათი მოშორებითაც. ერთი გუმბათიანი ეკლესიის ნანგრევები ზედ ყოროლისწყლის სათავესთანაც იყო [დ. ბაქრაძე, 1987: 27].



შეა საუკუნეების ეკლესია
ძველ ბათუმში (თამარის დასახლება)

საინტერესოა ისიც, რომ საკუთრივ ყოროლისთავში დღემდე საკმაოდ კარგადაა შემორჩენილი შეა საუკუნეების საფორტიფიკაციო ნაგებობის ნაშთები. ამდენი ძეგლის თავმოყრა, კონცენტრაცია ყოროლისწყლის ზღვასთან შეერთების მარცხენა სანაპიროზე შემთხ-

ვევეითი არ უნდა იყოს. ეს ფაქტი, კიდევ ერთხელ, ხაზს უსვამს ამ ადგილის განსაკუთრებულობას, იმას, რომ მას გამორჩეული ცენტ-რის ფუნქცია უნდა ჰქონოდა შუა საუკუნეებშიც. ამ ადგილის დაწინაურება სხვა ფაქტორებთან ერთად უნდა განეპირობებინა იმასაც, რომ სწორედ აქ, ბათუმის გორის შიდა სივრცეში უნდა გაევლო სახმელეთო გზებს, რომლებიც, ერთის მხრივ, როგორც ჩრდილოეთით ისე სამხრეთით მიემართებოდა, ხოლო მეორეს მხრივ, ახალშენევერუ-ჯოჭო-ერგება და აჭარისწყალზე, შემდეგ კი ჭოროხზე გავლით ამ რეგიონს აკავშირებდა ისტორიულ ტაო-კლარჯეთთან, სამცხე-ჯავახეთთან, იძერიასთან თუ სომხეთთან. სწორედ ბათუმის გორიდან ჭოროხის და აჭარისწყლის ხერთვისამდე მონაკვეთში იყო აშენებული თავის დროზე ქვის სამი თაღიანი ხიდი, რომელთა ნაშთებმაც ჩვენამდე მოაღწია. სოფელ ყოროლისთავში არსებული ციხის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაც სწორედ აქ გამავალი გზების გაკონტროლება უნდა ყოფილიყო. ბათუმი რომ საკმაოდ დაწინაურებული პუნქტი და სავაჭრო ნავსადგური იყო შუა საუკუნეებში, კარგად ჩანს სხვა ფაქტებითაც. იგი დატანილია XIII ს.-ის ვენეციელთა თუ XIV ს.-ის იტალიურ საკომპასო რუკებზე, კერძოდ, ვესკონტეს 1318 წლის, ლუკსორის XIV ს.-ის დასაწყისის და პიციგანების 1367 წლის, გრაციზო ბენიკაზას (1480 წ.), ჯაკოფო გასტოლდის (1561 წ.) რუკებზე და ა.შ. ევროპულ საზღვაო რუკებზე ბათუმი მითითებულია ციხე-ქალაქის აღმნიშვნელი კარტოგრაფიული ნიშნებით. ჯ. გასტოლდის რუკაზე ბათუმთან ახლოს გამოსახულია იალქნიანი გემი, რაც მიანიშნებს, რომ ბათუმი წარმოადგენდა მნიშვნელოვან სანავსადგურო ქალაქს [თ. გვანცალაძე, 1981: 33]. 1426წ გერმანელი მოგზაური პანს შილტბერგერი თავის „მოგზაურობის წიგნში“ ბათუმს უწოდებს მთავარ ქალაქს, რომელიც წარმოადგენდა მსხვილ ზღვისპირა დასახლებას [ე. მამისთვალიშვილი, 1980: 108]. 1472 წ. იტალიელი დიპლომატი და მოგზაური იოსაფატ ბარბარო ბათუმს მოიხსენიებს ქალაქად, სადაც მიმოქცევაში ყოფილა ქართული თეთრი [Барбарио Иосафат, 1971: 138-139]. ვენეციის ელჩი სპარსეთში ამბროჯო კონტარინი, რომელმაც ბათუმი მოინახულა 1474 წ., მას ციხე-ქალაქად მოიხსენიებს [Барбарио Иосафат, 1971: 215-216] და ა.შ. 1615 წლისათვის მისიონერი ლუი გრანჟიე უპავ საგანგებოდ ასახელებს ბათუმს, როგორც საზღვაო პორტს [მ.თამარაშვილი, 1995: 545].

შენიშვნა

* აღნიშნულის თაობაზე საინტერესო ცნობას გვაწვდის ი. კალფოლეუ: „ბათუმის მკვიდრი მოხუცი გლეხები მოგვითხოვთ, რომ ყირიმის ომის წინ მდ. ჩულგუბა (სკურკუბა – მცირე მდინარე, მოქდინება ყოფილი ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის ტერიტორიაზე) ადიდდა და გადარეცხა სანაპირო მინდვრები, რომელთა ქვეშ გამოჩ-

ნდა „შენობათა ნანგრევები და საძირკვლები” [Кальфоглу И.И., 1905: 40-41].

გამოყენებული ლიტერატურა

1. დ. ბაქრაძე, არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, ბათუმი, 1987.
2. თ. ბერაძე, ზღვაოსნობა ძველ საქართველოში, თბ., 1981.
3. თ. ბერაძე, საქართველოს ურთიერთობა შავი ზღვით ბიზანტიასთან V-XV სს., – ბიზანტიოლოგია საქართველოში-2, თბ., 2009.
4. თ. გვანცალაძე, 1561 წლის უცნობი იტალიური რუპა საქართველოს შესახებ, თბ., 1981.
5. მ. თამარაშვილი, ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე, თბ., 1995.
6. ა. ინაიშვილი, ბათუმის ისტორიისათვის ახლი არქეოლოგიური გათხრების საფუძველზე, – კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები, თბ., 1966.
7. ა. კახიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთი ძვ.წ. V-IV სს., სდსინ (აჭარა), I, თბ., 2007.
8. ზ. მაისურაძე, ქართული მხატვრული კერამიკა, თბ., 1953.
9. ე. მამისოვალიშვილი, საქართველო პანს შილტბერგის „მოგზაურობის წიგნში”, – „მაცნე”, 1980, №2.
10. შ. მამულაძე, აჭარისწყლის ხეობის შუასაუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები, ბათ., 1993.
11. ს. მასხარაშვილი, მატიანე ქართველთა, თბ., 2006.
12. მ. მიწიშვილი, მოჭიქული ჭურჭელი ძველ საქართველოში (IX-XIII სს.), თბ., 1969.
13. მ. მიწიშვილი, ქართული მოჭიქული ჭურჭლის წარმოების ისტორია, თბ., 1976.
14. მ. მიწიშვილი, მოჭიქული კერამიკის საწარმოო შუასაუკუნეების თბილისში (IX-XIII სს.), თბ., 1979.
15. ვლ. სიჭინავა, ქ. ბათუმის ისტორიიდან, – ბათუმის პედ. ინსტიტუტის შრომები, ტ. 9, ბათ., 1962.
16. თ. ყაუხჩიშვილი, ანტიკური წყაროები ბათუმის ისტორიისათვი, – სდსი, XVI, თბ., 1987.
17. ს. ყაუხჩიშვილი, ანტიკური მასალები ბათუმის ისტორიისათვი, – ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ.V, ქუთ., 1950-1951.
18. ჯ. ჩხეიძე, ბათუმი, ბათ., 1959.
19. დ. ხახუბაიშვილი, მასალები ბათუმის ძველი ისტორიისათვის (წინა ანტიკური და ანტიკური ხანა), – სდსი, XVIII, თბ., 1989.
20. ვ. ჯაფარიძე, ქართული კერამიკა, თბ. 1956.
21. Барборо Иосафат, Путешествие в Тану, Барбаро и контарини о Росии, Л., 1971.
22. Берадзе Т., Мореплавание и морская торговля в средневековой Грузии, Тб., 1989.
23. Гайдукевич В.Б., Работа фархадской археологической экспедиции в Узбекистан 1943-1944 гг., КСИИМК, вып.9, 1947.

24. И.И.Кальфоглу, Древнейшие известия о Батумье, – ИКОИРГО, XVIII, т. 1, Тиф., 1905.
25. Якобсон А.Л., Раннесредневековый Херсонес, – МИА, №63, М-Л, 1959.
26. Якобсон А.Л., Художественная керамика Баилакана (Орен-Кала), МИА, №69, М-Л, 1959.

Shota Mamuladze, Revaz Uznadze (Batumi, Georgia)

Batumi In The Middle Ages
(According to Written Sources and Archaeological Materials)

Summary

On the basis of the written sources and archaeological materials the research shows that the so called Batume Fortress located on the left bank of the modern Korolistskali, 150m away from the sea, and its surrounding territory represented the historical Batumi and a sea harbour in the Middle Ages.

**გიორგი თავამაიშვილი
(ბათუმი, საქართველო)**

გვიანი შუასაუკანაობის არქეოლოგიური მასალა ბათუმის ციხიდან

ბათუმის ისტორიული წარსულის შესწავლის თვალსაზრისით, წერილობით წყაროებთან ერთად, დიდი მნიშვნელობა ენიჭება არქეოლოგიურ არტეფაქტებს. ქალაქშა და მის შემოგარენში მოპოვებული არქეოლოგიური მასალა თვალნათლივ მეტყველებს, რომ ცხოვრება ქალაქში, მეტ-ნაკლები ინტენსივობით, გრძელდებოდა პოლიტიკურად და ეკონომიკურად საკმაოდ მძიმე პერიოდშიც, კერძოდ, გვიან შუა საუკუნეებში.

ამჯერად, ჩვენ მიზანს არ შეადგენს აღნიშნული პერიოდის მასალის სრულად მიმოხილვა. თქვენი ყურადღება გვსურს შევაჩეროთ ბათუმის ციხის გათხრებისას აღმოჩენილი საყოფაცხოვრებო კერამიკის ერთ სახეობაზე - თამბაქოს მოსაწევ თიხის ჩიბუხებზე, რომლებიც კონკრეტული ეპოქისა (გვიანი შუა საუკუნეები) და ეთნიკური ჯგუფის (თურქები) კუთვნილებადაა მიჩნეული და მათი ტრადიციული ცხოვრების წესის დამახასიათებელ ატრიბუტს წარმოადგენს. შესაძლოა, უცნაურად მოგვეჩენოს, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში თიხის ჩიბუხები საკმაოდ დიდი რაოდენობითაა მიკვლეული, ეს ნაკეთობები არასოდეს გამხდარა დრმა მეცნიერული შესწავლის ობიექტი.

თიხის ჩიბუხების ფორმის ჩამოყალიბება სხვადასხვა ხალხებში თამბაქოს მოხმარების განსხვავებული წესისა და პირობების არსებობას უკავშირდება. თამბაქოს კულტურის გავრცელების კვალდაკვალ, ჩიბუხების ორი ტიპი დამკვიდრდა: ევროპული და აღმოსავლური. პირველი ტიპის ჩიბუხებმა, რომელთა შემადგენელი ნაწილები - ჯამი, ღერო და სატუჩე ერთი მთლიანი ფორმითაა წარმოდგენილი, ძირითადად საფრანგეთში, ინგლისები და ჰოლანდიაში მოიკიდა ფეხი. აღმოსავლური ტიპის ჩიბუხები, რომელთა ჯამი, ღერო და სატუჩე ცალ-ცალკე ელემენტებადაა დანაწევრებული, გავრცელდა სამხრეთ და აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში, ჩრდილო აფრიკიდან და ეგვიპტიდან მოყოლებული, თურქეთისა და ბალკანეთის ჩათვლით [Show, 1960].

სრული საფუძველი გვაქვს გიფიქროთ, რომ აღმოსავლური ტიპის თიხის ჩიბუხები თურქეთიდან გავრცელდა საქართველოში. XVI საუკუნის მეორე ნახევარში, საგარეო თუ საშინაო პრობლემებით დასუსტებულ საქართველოს, ოსმალეთმა ჩამოაშორა ტურიტორიის დიდი ნაწილი. ქართული ციხესიმაგრებებში, მათ შორის ბათუმის ციხეში, ჩადგა თურქული გარნიზონი. თურქეთის მთავრობისათვის

ბათუმის ციხეს სტრატეგიული მნიშვნელობა პქონდა, რადგან ის, გონიოს ციხესთან ერთად, ქმნიდა ერთგვარ პლაცდარმს კავკასიის სამხრეთ-დასავლეთ ზღვისპირა ზოლზე კონტროლის გასახორციელებლად და დასავლეთ საქართველოს ცალკეულ სათავადოებზე თავდასახმელად [შენგელია, 1984:250]. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ საქართველოში თიხის ჩიბუხების აბსოლუტური უმრავლესობა ნაპოვნია ციხესიმაგრეების გათხრების დროს, ალბათ, საფუძველს მოკლებული არ იქნება ვამტკიცოთ, რომ კონკრეტულ პერიოდში, საქართველოში (მათ შორის ბათუმში), თიხის ჩიბუხების ძირითადი მომხმარებელი (თუ შემომტანი) თურქი ჯარისკაცი იყო.

ბათუმის ციხეზე თიხის ჩიბუხების მხოლოდ რამოდენიმე ნიმუშია მოპოვებული [კახიძე, ხახუტაიშვილი, 1989:124, 125, ტაბ. X VIII], რაც, ჩვენი აზრით, განპირობებული უნდა იყოს კონკრეტულ პერიოდში ამ უბანზე თამბაქოს მომხმარებელთა არა სიმცირით, არამედ ციხის არქეოლოგიური შესწავლის ნაკლები მასშტაბურობით.

ბათუმის ციხის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ერთ-ერთი თიხის ჩიბუხი (№75¹) ზარის ფორმისაა. გაადარჩენილია ნაკეთობის თავი, პირი დაზიანებულია. ნაკეთობას მთელ სიგრძეზე გასდევს ბადისებური ჭდეების ორნამენტირებული ზოლი. კეცი წითელი წერნაქითაა დაფარული. მეორე ჩიბუხი (№75²) სადაა, მომრგავალებული ზარის ფორმით. თავი ტანისაგან გამოყოფილია ამოღარული ხაზებით. მესამე ნიმუშის (№75⁴) პირი დაზიანებულია, თავი ტარისაგან გამოყოფილია რომბისებური ორნამენტის ორი რიგით, თავის წინა ხედი შემკულია მცენარეული ორნამენტით. ტარი წერტილოვანი ხაზებით დაყოფილია რომბისებური ორნამენტით შევსებული ზოლებით. ზედაპირი წითელი წერნაქითაა დაფარული. დანარჩენი მასალა ჩიბუხების ნაკლებად მეტყველ ფრაგმენტებს წარმოადგენს.

ბათუმის ციხეზე აღმოჩენილი ჩიბუხების სავარაუდო მომხმარებლების თაობაზე, ზემოთ მოგახსენეთ. რაც შეეხება კონკრეტული ნიმუშების ქრონოლოგიურ ჩარჩოებს, ამ საკითხის დასაზუსტებლად, ჩიბუხების ფორმების და დეკორის ევოლუციას უნდა გავაღევნოთ თვალი.

ჩიბუხების სათუთუნო ჯამები მზადდებოდა ორნაწილიან ყალიბში, კარგად გარეცხილი და გაფილტრული თიხისაგან. ჩიბუხების ადრეული ნიმუშები თეთრი ან მონაცრისფრო იყო. XVII საუკუნის ბოლოსათვის ის წითელი თიხით შეიცვალა, რომელიც მოჰქონდათ ეგვიპტიდან, ბულგარეთიდან და ვანის ტბის მიდამოებიდან. როდესაც წითელი თიხის მოპოვება პრობლემური იყო, მაშინ ჩიბუხები იფარებოდა მოწითალო ფერის წერნაქით, რადგან წითელი ფერის ჩიბუხებზე მოთხოვნილება მეტი იყო და ისინი უფრო კარგად საღდებოდა [Kocabas, 1963:12]. ადრეული პერიოდის ჩიბუხებისათვის დამახასიათებელია შედარებით პატარა ზომები, რაც, მკვლევართა აზრით, განპირობებული იყო თამბაქოს ნედლეულის სიძვირით (Robinson,

1983:268, Duco, 1980). სხვა პარამეტრებს თუ გადავხედავთ, თვალშისაცემია, რომ თავიდან სათუთუნე ჯამთან დეროს მისაერთებელი ადგილი საკმაოდ ვიწრო იყო (1 სმ), რომელიც მოგვიანებით გაიზარდა (1,5 სმ), XIX საუკუნეში კი 2 სმ-ს მიაღწია. XVIII საუკუნეში ძალიან ცოტა ნიმუშზე თუ იყო დატანილი დამამზადებლის მონოგრამა, XIX საუკუნეში კი ძალიან ცოტას თუ არ ჰქონდა ის. ადრეულ ჩიბუხებს არ გააჩნდა სათუთუნე ჯამის დეროსთან მიერთების ფიგურა. ეს დეტალი დასტურდება XVII საუკუნის ბოლოსა და XVIII საუკუნის დასაწყისის ნიმუშებზე და დამახასიათებელი ნიშანი ხეგბა (თუმცა სახეცვლილებით: ხან ბრტყელი, ხან კი დაკუთხული) ჩიბუხების წარმოების ბოლო პერიოდამდე. ჩიბუხებს ამკობდნენ გეომეტრიული თუ მცენარეული ორნამენტით, ასევე დამლებით [Kocabas, 1963:11]. დამლებზე მირითადად დამამზადებლის მონოგრამები იყო ამოტვიფრული, თუმცა ზოგიერთ ნიმუშზე ორტაქპიანი ბაიათებიც იყო დატანილი. მაგალითად: „თქვენი კეთილდღეობა არ შესუსტდება, თუ მიეცით შეკვეთა ჩიბუხზე. აბა, ისიამოვნეთ მოწევით“, ან კიდევ „შეგიძლიათ ისიამოვნოთ ჩემი საჩუქრით და მეც მასიამოვნებთ, თუ მას არ დაკარგავთ“ [Bakla, 1985:8].

არსებითად, ჩიბუხების თურქელი წარმომავლობის აღიარება გახდა საფუძველი ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკიდრებული ნაკლებად არგუმენტირებული დასკვნისა, რომ აღნიშნულ ნაკეთობათა ქვედა ქრონოლოგიური ჩარჩო, ე.ო. ჩვენ ქვეყანაში მათი შემოტანის თარიღი, XVI საუკუნით უნდა განისაზღვროს [ჩხაიძე, 1982; არჩვაძე, 1978; ჯანდიერი, 1974]. უახლეს გამოკვლევებზე დაყრდნობით, ჩვენ შევეცადეთ დაგენსაბუთებინა, რომ XVI საუკუნეში საქართველოში თურქელი ჩიბუხების შემოტანა პრაქტიკულად შეუძლებელი იყო, რადგან, არც წერილობითი წყაროებით და არც არქეოლოგიური მონაცემებით, XVI საუკუნის ბოლო წლებამდე მათი დამზადება თურქეთშიც არ დასტურდება. ჩვენი აზრით, აღნიშნული კერამიკული ნაწარმის საქართველოში შემოტანის რეალურ თარიღად, თურქეთის პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარების, აგრეთვე სხვა ფაქტორების (თამბაქოს სიძირე, სხვადასხვა სახის აკრძალვები) გათვალისწინებით, XVII საუკუნის პირველი ნახევრის ბოლო ათწლეული შეიძლება მიეთხოოთ [თავამაიშვილი, 2009].

რაც შეეხება ბათუმის ციხეზე აღმოჩენილ ჩიბუხებს, ეს ნიმუშები ძირითადი პარამეტრებით, მათ შორის ზომებით, სათუთუნე ჯამის ფორმებით, ჯამსა და დეროზე დატანილი ორნამენტის მიხედვით [Robinson, 1983:270-272; Hayes, 1980:5], საბერძნეთის, თურქეთის, რუმინეთისა და ბულგარეთის ანალოგებთან შედარების საფუძველზე, XVIII საუკუნით შეგიძლია დავათარიდოთ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. არჩვაძე თ. აღმოსავლეთ საქართველოს გვიანფეოდალური ხანის მოუჭიქავი თიხის ნაწარმი. ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები, III, თბილისი, 1978.
2. თავამაიშვილი გ. გვიანშუასაუკუნეების ოსმალური თიხის ჩიბუხები. ქართველი ხალხის სოციო-კულტურული ანთროპოლოგიისა და ეთნოლინგვისტური ცენტრის სამპოზიტოს მასალები. ბათუმი, 2009 (იბჟდება).
3. კახიძე ა., ხახუტაიშვილი დ. მასალები ბათუმის ძველი ისტორიისათვის. I. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, XVIII, თბილისი, 1989.
4. ჩხაიძე ლ. გვიანფეოდალური ხანის კერამიკული ნაწარმის ერთი სახეობა გონიოდან. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, XI, თბილისი, 1982.
5. ჯანდიერი ე. ჯავახეთის ახალქალაქი გვიანფეოდალურ ხანაში. ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები, II, თბილისი, 1974.
6. Bakla Erdinç. Unutulmuş bir halk sanatı lüleçilik.A Long-forgotten Popular Handcraft: Clay Pipe Making. Antika; The Turkish Journal of Collectable Art, August, Issue 5. 1985.
7. Duco D.H. Clay Pipe Manufacturing Processes in Gouda. The Archaeology of the Clay Tobacco Pipes. IV.Europe I, edited by Peter Davey, BAR International Series 92 , 1980.
8. Hayes J.W. Turkish Clay Pipes: A Provisional Typology. The Archaeology of the Clay Tobacco Pipes. IV.Europe I, edited by Peter Davey, , BAR International Series 92 , 1980.
9. Kocabas Hüseyin. Tophane Lüleciliği. Türk Etnografya Dergisi, Jayi,V,Ankara, 1963.
10. Robinson Rebecca R. Tobacco Pipes of Corinth and of the Athenian Agora Hesperia, Journal of the American School of Classical Studies at Athens, volume 54, American School of Classical Studies at Athens, 1985.
11. Robinson Rebecca R. Clay Tobacco Pipes from Kerameikos. Mittelungen Des Deutschen Archäologischen Instituts. Athenische Abteilung, Band 98, Gebr. Mann Verlag. Berlin, 1983.
12. Show Th. Early Smoking Pipes: in Africa, Europe, and America. Journal of the Royal Anthropological Institute of Great Britain and Ireland, 90, 1960.
13. Шенгелия Н. Османские источники о крепостях Батуми и Гонио. Тюркологический сборник. 1978. М.1984.

Giorgi Tavamaishvili (Batumi, Georgia)

Archaeological Materials of Late Middle Ages from Batumi Fortress

Summary

Together with written sources, archaeological artifacts are of great significance in view of studying historical past of Georgia. The archaeological findings revealed in the city and its vicinities show that life in the city was flowing with more or less intensity, even during politically and economically hard periods, namely, in the Late Middle Ages.

The paper deals with the tobacco pipes found during the excavations at the Batumi fortress. They belong to the definite epoch (Late Middle Ages), are considered to belong to a certain ethnic group (the Turks) and represent a characteristic attribute to their traditional way of life. In our opinion, the main customers of the tobacco clay pipes excavated at Batumi fortress were Turkish soldiers. These items can be dated to 18th century by their shape parameters and decoration.

ნოდარ კახიძე
(ბათუმი, საქართველო)

უილიამ ჯიფორც პალგრავი ბათუმის შესახებ

ქალაქ ბათუმის, მისი წარმოშობისა და განვითარების, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების საკითხების შესწავლა დიდი ხანია იქცევს როგორც ქართველ, ისე უცხოელ (ევროპელ, რუს, თურქ და სხვ) მოგზაურ-მკვლევართა ყურადღებას.

მკვლევართა ასეთი დაინტერესება ბათუმისადმი აიხსნება თვით ქალაქ ბათუმის გეოპოლიტიკური და სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობით, რითაც იგი დიდ როლს თამაშობდა ევროპულ და მსოფლიო პოლიტიკაში, პირველ რიგში რუსეთ-თურქეთის ურთიერთობაში. ამ ურთიერთობათა მთავარი ღერძი იყო შავ ზღვაზე გაბატონება, რაც ბათუმის ხელში ჩაგდების გარეშე ვერ განხორციელდებოდა.

ბათუმის, როგორც შავ ზღვაზე ხელსაყრელი სანავსადგურო ქალაქის მნიშვნელობაზე ბევრს წერდნენ სამხედრო ისტორიკოსები, დიპლომატები, სხვადასხვა პროფესიის მოგზაური მკვლევრები.

ერთ-ერთი მათგანი იყო ცნობილი ინგლისელი დიპლომატი, ინგლისის კონსული ტრაპიზონში უილიამ ჯიფორდ პალგრევი (1826-1888). 1882 წელს თბილისში რუსულ ენაზე გამოქვეყნდა მის მიერ 1867-1868, 1869 და 1872 წლებში ინგლისურ ენაზე დაწერილი „ანგარიშების“ თარგმანი, რომელიც საინტერესო ცნობებს შეიცავს ქალაქ ბათუმისა და მთელი ლაზისტანის სანჯაყის შესახებ [Палъгрев, 1882].

პალგრევის ჩანაწერებიდან ჩანს, რომ იგი თავად მოგზაურობდა ლაზისტანის სანჯაყის პროვინციებში, რათა შეეხსავლა აქაური საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება, მოსახლეობის განწყობა ოსმალეთის მთავრობისადმი და შესაბამისი ცნობები მიეწოდებინა ინგლისის, ანუ თავისი ქვეყნის მთავრობისათვის. ბუნებრივია, ასეთი ცნობების შეკრებას ძირითადად პოლიტიკური დატვირთვა ჰქონდა, მაგრამ ინგლისელი დიპლომატი ლაზისტანის სანჯაყის ცალკეული რაიონების (ყაზა, ნაპიე) ისტორიულ, ეთნოგრაფიულ, გეოგრაფიულ და ეკონომიკურ დახასიათებასაც იძლევა.

დასავლეოეროპელ მოგზაურთაგან პალგრევი იმით გამოირჩევა, რომ მან შედარებით ვრცლად მიმოიხილა საკუთრივ ქალაქ ბათუმისა და მთლიანად ბათუმის ყაზის საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრება.

ბათუმის შესახებ ცნობები პალგრევის ყველა წლების ანგარიშებშია შესული, მაგრამ ამ მხრივ განსაკუთრებით 1872 წლის ანგარიში

გამოირჩევა, რომელშიც ბათუმი შედარებით ვრცლადაა დახასიათებული. პალგრევიც აღასტურებს, რომ მაშინ ბათუმი წარმოადგენდა ლაზისტანის სანჯაყის ადმინისტრაციულ ცენტრს, რომელსაც მართავდა ფაშის ჩინის მატარებელი მუთესარიფი, ანუ გუბერნატორი. სანჯაყი მოიცავდა საქმაოდ ვრცელ ტერიტორიას, რომელიც იწყებოდა რუსეთის საზღვრიდან ანუ ჩოლოქიდან და ვრცელდებოდა ქალაქ რიზემდე. სანჯაყში ბათუმის გარდა შედიოდა ჩურუქ-სუს, ქვემო აჭარის (აჭარა-სუფლა), ზემო აჭარის (აჭარა-ულია), მაჭახლის, გონიოს ყაზები [Палъгрев, 1882: 56-59].

პალგრევი პირველ რიგში ყურადღებას ამახვილებდა ქალაქ ბათუმის ნავსადგურის მდებარეობაზე, მის ზრდა-განვითარებაზე, როლსა და მნიშვნელობაზე შავი ზღვის აუზის ქალაქებთან მიმართებაში. იგი წერდა, რომ 1850-იან წლებამდე ბათუმი წარმოადგენდა მცირე დასახლებას, მაგრამ შავი ზღვის რუსეთის ვაჭრობისა და საზღვაო სანაოსნოს საზოგადოების დაარსების შედეგად და ფოთთან სიახლოვის გამო მან შეიძინა ფართო სავაჭრო მნიშვნელობა და მოიპოვა მთელი რიგი უპირატესობანი შავი ზღვის აუზის სხვა პორტებს შორის [Палъгрев, 1882: 46]. ბათუმის ერთ-ერთი უპირატესობა იმაში მდგომარეობდა, რომ მას გააჩნდა ღრმა ნავსადგური, რომელიც ამავე დროს კავკასიის მთებთან სიახლოვის გამო დაცული იყო ქარებისაგან. ნავსადგურის ასეთი მოხერხებული მდებარეობა ქმნიდა უსაფრთხო და ხელსაყრელ პირობებს აქ სხვადასხვა კაპოტაჟის მქონე გემების მიმოსვლისათვის. პალგრევი აქვე შენიშნავდა, რომ ოსმალთა ბატონობის დროს ქერჩიდან სინოპამდე და სურმენებდე შავ ზღვაზე ბათუმის გარდა არც ერთი ხელსაყრელი ნაემისადგომი არ არსებობდა [Палъгрев, 1882: 47]. ამასთან დაკავშირებით, საინტერესოა ინგლისური გაზეთის „დეილი ნიუსის“ ცნობაც, რომელშიც აგრეთვე ნათქვამია, რომ ბათუმი ერთადერთი უსაფრთხო ნავსადგურია შავი ზღვის მთელ სამხრეთ და აღმოსავლეთ სანაპიროზე ყირიმამდე [რ. უზუნაძე, 2001: 47]. არ არის გამორიცხული, რომ ინგლისური გაზეთი ამ შემთხვევაში პალგრევის მონაცემებს იყენებდა. პალგრევი იმაზეც მიუთითებდა, რომ სხვადასხვა ქამყნის ალმებით ფოთში მიმავალი და უკან დაბრუნებული გემებიც აუცილებლად ბათუმში უნდა შესულიყვნენ. ბათუმის ქალაქ-ნავსადგურის მსგავს დახასიათებას იძლევა გ. ყაზბეგი, რომელიც წერდა: ბათუმის ნავსადგური წარმოადგენდა გემების ყველაზე საუკეთესო თავშესაფარს შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, ვიდრე ფოთის ნავსადგური. დიდი გემების გადმოტვირთვა-დატვირთვაც სწორედ ბათუმში ხდებოდა, რომლებიც ფოთში ვერ შედიოდნენ. გ. ყაზბეგის დახასიათებითაც ეს იმით აიხსნებოდა, რომ ბათუმის ნავსადგური იყო ღრმა და დაცული ქარებისაგან [Казбек Г., 1876: 86]. პალგრევი ბათუმის ქალაქ-ნავსადგურის სხვა მხარეებზეც გვაწვდის ცნობას. იგი მიუთითებდა რეინის 15 მეტრიან ბოძზე აღმართულ ორსანთლიან შუქურაზე, რომელიც დაღმული ყოფილა კონსტანტინოპოლში არსებული შუქურების

ადმდგენელი ფრანგული საზოგადოების მიერ [Палъгрев, 1882: 47]. შუქურა ზღვაში კველა მხრიდან მოჩანდა და აიოლებდა ბათუმში მომავალი გემების მოძრაობას. ნავსადგურს ჰქონია ხის ბაქანი, რომელიც აუშენებია შავ ზღვაზე ნაოსნობისა და ვაჭრობის რუსულ საზოგადოებას. თუმცა, ეს ფაქტი არცოუ ისე სასიამოვნო ყოფილა თურქეთისათვის, რომელიც თითქმის არაფერს აკეთებდა ნავსადგურში გემების უსაფრთხო მიმოსვლისა და ხელსაყრელი პირობების შექმნისათვის.

პალგრევის ჩანაწერებიდან ისიც ირკვევა, რომ თურქეთის ბატონობის ქვეშ მოქცეულ შავი ზღვის სანაპიროზე გაბატონებული მდგომარეობა რუსეთის ფლოტს ეჭირა. ამ საქმეში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა რუსეთის შავი ზღვის ნაოსნობისა და ვაჭრობის საზოგადოებამ, რომელმაც ჯერ კიდევ 1858 წელს გახსნა საზღვაო სანაოსნოს სააგენტო ბათუმში და სხვადასხვა ტვირთის შესახახი საწყობები [Палъгрев, 1882: 47]. ამ გარემოებამ სრულიად შეცვალა ნავსადგურის ცხოვრება და მისი ჩართვა საერთაშორისო სავაჭრო ოპერაციებში [მ. სიორიძე, 2003: 46]. ამიერიდან ბათუმის ყურეში ყოველთვის იდგნენ რუსეთის გემები. დასახელებული ინგლისური გაზეთის ცნობით, ბათუმი ამ პერიოდში უფრო რუსეთის ზღვისპირა ნავსადგურად ითვლებოდა, ვიდრე თურქეთის. ამას ადასტურებს პალგრევის 1867 წლის მონაცემები: ბათუმში შემოსულა რუსეთის 182 გემი 61 ათას ტონაზე მეტი სხვადასხვა ტვირთით, ხოლო თურქეთიდან მცირე ტონაჟის 18 გემი, აგრეთვე, 258 ფლუკა და რამდენიმე ანძიანი ნავი [Палъгрев, 1882: 117-118], რომელსაც შეუტანია და გაუტანია ათჯერ ნაკლები ტვირთი, ვიდრე რუსეთის ფლოტს. ეს ცნობები იმის დასტურიც არის, რომ იზრდებოდა რუსეთის გავლენა შავ ზღვაზე ბატონობისათვის.

თურქეთი იძულებული იყო შერიგებოდა რუსეთის საზღვაო ფლოტის ასეთ უპირატესობას შავ ზღვაზე იმის გამო, რომ მისი ფლოტი შედარებით სუსტად იყო განვითარებული და ვერ ახერხებდა დიდი რაოდენობით დაგროვებული ტვირთის გატანა-შემოტანას. გარდა ამისა, თურქეთის ფლოტი მოქველებულიც იყო და ნაკლებ ტვირთგამტარი [Палъгрев, 1882: 48].

სამაგიეროდ, თურქებს კარგად ჰქონდათ დაცული ბათუმის ნავსადგურის მიმდებარე ტერიტორია სამხედრო თვალსაზრისით. პალგრევის თქმით, ოტომათა მთავრობას ბათუმის თავდაცვის მიზნით 1860-იანი წლების ბოლოს ნავსადგურის დასავლეთ მხარეს განლაგებული ჰქონდა საკმაოდ ძლიერი ბატარეია 80 ქვემეხით. მეორე ასეთივე ბატარეია კი იდგა ნავსადგურის სამხრეთით, მესამე კი ნავსადგურის შესასვლელთან აღმოსავლეთით.

ბათუმის ნავსადგურის საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობის განვითარების კვალობაზე იზრდებოდა საქალაქო ვაჭრობა. პალგრევის 1872 წლის ანგარიშში ვკითხულობთ, რომ ამ დროისათვის ბათუმში იყო 385 სავაჭრო ფარდული, რომლებშიც იყიდებოდა საკ-

მარისი რაოდენობის სასურსათო პროდუქტი, სპირტიანი სასმელები და მანჩესტერიდან შემოტაქტურული ნაწარმი [Палъгрев, 1882: 48]. ჩვენ გვაქვს დ. ბაქრაძის ცნობაც, რომლის მიხედვით 1873 წელს ბათუმში 800-მდე სავაჭრო დუქანი არსებობდა, სადაც ვაჭრობას ეწეოდნენ ბერძნები, ლაზები, სომხები, თურქები და ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლები [დ. ბაქრაძე, 1987: 24]. დ. ბაქრაძის ცნობიდან ჩანს, რომ დუქნების რაოდენობა ერთი წლის მანძილზე ორჯერ და უფრო მეტად გაზრდილა. დ. ბაქრაძის ცნობა არ უნდა იყოს გადაჭარბებული, თუ გავითვალისწინებოთ ბათუმის მოსახლეობის ყოველწლიურ ზრდას და, შესაბამისად, სავაჭრო საქმის განვითარებას. ხუთი წლის შემდეგ, 1878 წელს, ა. ფრენკელიც ადასტურებდა, რომ მთელი ბათუმი დუქნებით ყოფილა დაფარული [Френкель А., 1878: 98].

პალგრევი მხოლოდ მანუფაქტურულ ნაწარმზე მიუთითებდა, რომ იგი ინგლისიდან იყო ბათუმში შემოტანილი. სხვა სავაჭრო საქონლის სადაურობაზე კი არაფერს ამბობს. ჩვენი აზრით, ინგლისელი დიპლომატი ინგლისის საზოგადოების ყურადღების მიქცევის მიზნით მხოლოდ თავისი ქვეყნიდან შემოტანილი საქონლით ვაჭრობაზე ამახვილებდა ყურადღებას. დ. ბაქრაძის მონაცემებით კი ირკვევა, რომ ბათუმსა და მის შემოგარენში სავაჭრო საქონელი შემოდიოდა არა მარტო ინგლისიდან, არამედ შვეციიდან (ფეიქრული ნაწარმი), რუსეთიდან (რკინა და ქვანახშირი), საფრანგეთიდან (შაქარი), არაბეთიდან (აბრეშუმის ქსოვილი) [დ. ბაქრაძე, 1987: 25]. გ. ყაზბეგის მონაცემებით, ევროპული ნაწარმი, მათ შორის ინგლისიდან შემოტანილი ქსოვილები, ხულოს სავაჭრო დუქნებშიც იყიდებოდა [გ. ყაზბეგი, 1960: 69].

პალგრევის 1868 და 1872 წლების ანგარიშები საინტერესო სტატიისტიკურ სურათს იძლევა ოსმალთა ბატონობის დროინდელი ქალაქ ბათუმის და მთლიანად ბათუმის ყაზის მოსახლეობის რაოდენობრივ და ეთნიკურ შემადგენლობაზე. 1872 წლისათვის საკუთრივ ბათუმში იყო 246 საცხოვრებელი სახლი 1383 მცხოვრებით. უმრავლესობას ადგილობრივი მაჰმადიანები შეადგენდნენ. სხვა ეროვნებებიდან ქალაქ ბათუმში პალგრევი ასახელებს ბერძნებსა და ჩერქეზებს, რომლებიც შესაბამისად მთელი მოსახლეობის 1/12 და 1/3 ნაწილს შეადგენდნენ [Палъгрев, 1882: 48]. ქალაქის მოსახლეობის საერთო რიცხვს ემატებოდა 400 სული, რომელიც სხვადასხვა ქალაქ-ნავსადგურებიდან შემოდიოდა სეზონურ სამუშაოზე [Палъгрев, 1882: 48]. აქვე შევნიშნავთ, რომ პალგრევის მონაცემები ბათუმის მოსახლეობაზე რამდენადმე შეუსაბამობაშია იმ მონაცემებთან, რომლებსაც გვაწვდის რუსეთის კონსული ბათუმში ჯუდიჩი 1971 წლისათვის. ჯუდიჩის მონაცემებით, 1871 წელს ბათუმში ცხოვრობდა 1076 კომლი 3327 მცხოვრებით [Френкель А., 1878: 10]. პალგრევის 1872 წლის ცნობებით, ანუ ერთი წლის მანძილზე, ქალაქ ბათუმის მოსახლეობა კომლობრივად და

რიცხობრივად ძალზე შემცირებული ჩანს. ჩვენ უფრო სარწმუნოდ გვეჩვენება ჯუდიჩის მონაცემები.

მთლიანად ბათუმის ყაზაში შედიოდა 52 სოფელი. მისი მოსახლეობა კი შეადგენდა 13.388 მცხოვრებს. მათ შორის იყო: 12.370 მაკმადიანი, 804 ბერძენი, 214 სომეხი, 9500 ჩერქეზი, 1200 აფხაზი. აფხაზები და ჩერქეზები 1860-იან წლებში ჩამოსახლებულან [Палъгрев, 1882: 56]. პალგრევის მონაცემებით, მთლიანად აჭარის მოსახლეობა შეადგენდა 44824 კაცს. თუ ამ რიცხვს შევადარებოთ გ. ყაზბეგის მიერ 1874 წელს მოტანილ რიცხვს აჭარაში 52990 მცხოვრების შესახებ [Казбек Г., 1876: 86], მაშინ აჭარის მოსახლეობა ორი წლის შემდეგ (1872 წლის შედარებით) გაზრდილი ჩანს 8166 კაცით, რაც, შესაძლოა, მოსახლეობის ბუნებრივი მატების შედეგი იყო.

როდესაც პალგრევის 1872 წლის ანგარიში იწერებოდა, ბათუმი არ იყო ჩართული ერთიან სარკინიგზო სისტემაში, ურომდისოდაც უპერსპექტივო ჩანდა სანავსადგურო ქალაქის განვითარება. ინგლისელ დიპლომატს კარგად ესმოდა, რომ თუ ბათუმი სარკინიგზო ქსელში ჩაერთვებოდა, გაიზრდებოდა მისი ეკონომიკური მდგომარეობა და ტვირთზიდვის თვალსაზრისითაც უკან მოიტოვებდა შავი ზღვის დაწინაურებულ ნავსადგურებს თდესისა და ტრაპიზონის სახით [Палъгрев, 1882: 56]. იგი ამავე დროს მიანიშნებდა, რომ თურქეთის ხელში ბათუმის სანავსადგურო ქალაქის განვითარებისათვის არაფერი შეიცვლებოდა. ამის გამოც დიდ იმედებს ამყარებდა ბათუმში რკინიგზის შემოყვანაზე, რომელიც ხელს შეუწყობდა ბათუმის ეკროპულ ქალაქად გადაქცევას. ეს პროცესი რამდენიმე წელიწადში მართლაც შესამჩნევი გახდა, რაზეც გარკვევით წერდნენ 1880-იან წლებში ფრანგი ორიენტალისტი ჟან მურიე („ბათუმს უკვე ამჟამად აქვს ეკროპული ქალაქის სახე“) [Жан მურიე, 1962: 23] და რუსი სამხედრო ისტორიკოსი ვ. ლისოვსკი („ბათუმმა შეიძინა ეკროპული სახე“) [Лисовский В., 1887: 132].

ბათუმის ქალაქ-ნავსადგურის განვითარების პერსპექტივებზე ერთ-მანეთს ემთხვევა პალგრევისა და ნიკო ნიკოლაძის შეხედულებანი. ნ.ნიკოლაძე ბათუმს სწორედ 1872 წელს ეწვია, როდესაც პალგრევი თავის ანგარიშებს წერდა. ნიკო ნიკოლაძემ შემდეგაც რამდენიმე წერილი უძღვნა ქალაქ ბათუმისა და საქართველოს შავიზღვისპირა სხევა ქალაქების საკითხებს. იგი წერდა, რომ ბათუმისა და მისი შემოგარენის კეთილმოწყობა, მისი რკინიგზის ქსელში ჩართვა მკვეთრად გაზრდილა მის სანავსადგურო მნიშვნელობას და ეკროპასთან ვაჭრობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ცენტრად გადაიქცეოდა [ვ. დონაძე, 1981: 98].

10 წლის შემდეგ ეს მართლაც ასე მოხდა. 1883 წელს ბათუმი ჩაერთო ბაქო-ბათუმის ერთიან სარკინიგზო სისტემაში. ამას მოჰყვა ბაქო-ბათუმის ნათობსადენის გაყვანა. ამ ორმა ფაქტორმა განსაზღვრა ბათუმის, როგორც საზღვაო და სახმელეთო მაგისტრალზე მდე-

ბარე სანავსადგურო ქალაქის მნიშვნელობა არა მარტო აჭარისა და მთლიანად საქართველოს ეკონომიკურ, არამედ საერთოდ მსოფლიო ეკონომიკურ ცხოვრებაში. ბათუმი გადაიქცა მესამე სამრეწველო ქალაქად კავკასიაში ბაქოსა და თბილისის შემდეგ და ნავთობის ექსპორტის ძირითად ცენტრად ამიერკავკასიაში [ვ. ჯაოშვილი, 1962: 178-179].

ამ ფონზე XIX საუკუნის ინგლისელი დიპლომატის, ტრაპიზონში ინგლისის კონსულის ჯიფორდ პალგრევის ცნობები მნიშვნელოვანი ისტორიული წყაროა ოსმალთა ბატონობისღროინდელი (60-70-იანი წლები) ქალაქ ბათუმისა და ბათუმის ყაზის (ოკრუგის), ასევე მთელი ლაზისტანის სანჯაყის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების სხვადასხვა ასპექტით შესწავლაში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. დ. ბაქრაძე, არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, ბათ., 1987.
2. ვ. დონაძე, ნიკო ნიკოლაძე ბათუმის შესახებ, – სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა, ტ. IX, თბ., 1981.
3. უან მურიე, ბათუმი და ჭოროხის აუზი, ბათ., 1962.
4. მ. სიორიძე, ბათუმის საბაჟო, ბათ., 2003.
5. რ. უზუნაძე, ნაოსნობა ბათუმის ოლქში, ბათ., 2001.
6. გ. ყაზბეგი, სამი თვე თურქეთის საქართველოში, – გიორგი ყაზბეგი აჭარის შესახებ, ბათ., 1960.
7. ვ. ჯაოშვილი, აჭარის ქალაქები, – ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომები, ტ. IX, ეკონომიკურ-გეოგრაფიული სერია, აჭარის ასსრ, თბ., 1962.
8. Казбек Г., Военно-статистический и стратегический очерки Лазистанского Санджака, Тиф., 1876.
9. Лисовский В., Чорохский край, Тиф., 1887.
10. Отчёты В.Джифорда Пальгрева о провинциях Анатолии за 1867-68, 1869 и 1872 годы, – Материалы для описания Азиатской Турции и Батумской области, Приложения к VII тому ИКОИРГО, Тиф., 1882.
11. Френкель А., Очерки Чурук-Су и Батума, Тиф., 1878.

Nodar Kahidze (Batumi, Georgia)

William Dzhiford Paligrev about Batumi

Summary

U.D.PALIGREV was an Britain diplomat of the second half of the XIX th century, which in 1867-1872 worked as the consul in Trabzone of Lazian Sandzak. In his "Report" he described all regions of this Sandzhak including the centre of Sandzhak Batumi and its vicinities.

Batum was characterized by him as deep and protected from winds port. Coming thereof, the author pointed to the advantages of the port Batumi in Russian-Turkish rivalry on Black sea with standpoint of military-political and trade-economic position. Thus itself Paligrev has shown the leading role of Russia in mastery on Black sea.

Paligrev was one of the first European traveller, who detailed characterized public, political and economic life of the Batumi at period of Turkish mastery.

ნაილა ჩელებაძე
(ბათუმი, საქართველო)

ბათუმი I. ერიქსონის ნაშრომის მიხედვით

მზარდი ინტერესი საქართველოს ამ ისტორიული ქალაქის მიმართ აჭარის დედასაქართველოსთან დაბრუნების შემდეგ განსაკუთრებით გაძლიერდა. ცალკეული ავტორის მიერ პროფესიული ინტერესების პარალელურად, ბათუმისა და ბათუმელებისაგან მიღებული შთაბეჭდილებების საფუძველზე, ქალაქის ისტორიასთან დაკავშირებით მრავალმხრივი ინფორმაცია დაგროვდა. ამ მხრივ საყურადღებოა ექიმ ერიქსონის შრომები, რომლებშიც ავტორმა არაერთი საინტერესო მოსაზრება განავითარა. ერიქსონი ექიმთა იმ პლეადის წარმომადგენელია, რომლებიც XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე, რუსეთის სხვა წარმომადგენელთა მსგავსად, დიდად იყვნენ დაინტერესებულნი როგორც საქართველოს, ისე კავკასიის ხალხთა ისტორიული წარსულით. ყოველივე ამას ზედ ერთვოდა ერიქსონის იმპერიული მიზნებიც, რაც ავტორის მიერ საქართველოს საკუთარ ქვეყნად მოაზრებაში არაერთგზის გამოიხატა.

რაოდენ გასაოცარიც არ უნდა იყოს, რუსეთის სამედიცინო წრის ისეთი წარმომადგენელი, როგორიც იყო ე. ერიქსონი, ვისი ნაშრომებიც იბეჭდებოდა რუსეთის თითქმის ყველა აკადემიურ გამოცემაში – როგორც სამედიცინო, ისე ისტორიულ-ანთროპოლოგიურ კრებულებში („Естествознание и география,” „Русский антропологический журнал”, „Медицинская служба” და სხვ.), არაა შეყვანილი არც სამედიცინო და არც დიდ საბჭოთა ენციკლოპედიაში. ამას, როგორც ჩანს, სერიოზული საფუძველი ჰქონდა და მისი გარკვევა საგანგებო კვლევის საგანს წარმოადგენს.

საყურადღებო ის გარემოება, რომ ერიქსონები, რომლებიც სკანდინავიური წარმოშობისანი არიან, ეთნოლოგიურ მეცნიერებაში საკმაოდ ცნობილ გვარს წარმოადგენენ. ასე მაგალითად, სიგურდ ერიქსონი (1888-1968) არის არაერთი ეთნოგრაფიული ქურნალის დამფუძნებელი. ასევე, მან შექმნა სკოლა, რათა დაეძლია სხვაობა აღწერილობითსა და თეორიულ მეთოდებს შორის. 1951 წლიდან ს. ერიქსონი სათავეში ედგა ევროპელ ეთნოგრაფთა საზოგადოებას. ამ გვარის სამეცნიერო დინასტიის თვალსაჩინო წარმომადგენელია მსოფლიოში აღიარებული ფსიქოანალიტიკოსი ერიკ ერიქსონი (1902-1994). ასე რომ ერიქსონების ცნობილი წარმომადგენელი ექიმი ე. ერიქსონი ეთნოლოგიური კვლევებით დაინტერესდა ჯერ კიდევ მაშინ, როცა სახელოვანი თანამოგვარე ეთნოლოგი, თავისი სეხნია ერიკ ერიქსონი დაბადებულიც არ იყო.

ერიკ ერიქსონის დაინტერესება საქართველოსა და, კერძოდ, აჭარის მიმართ შემდეგი ნაშრომებით დაგვირგვინდა: „Опыт санитарного обзора окрестностей Батума“, „Из воспоминаний о Батуме и его окрестностях“, „О призрении душевно-больных на Кавказе Док-ра мед. Э.В. Эрикссона“, „Отношение мусульманских эаконов к душевно-больным в Персии, Турции и на Кавказе“, „О половом развлечении и неестественных половых отношениях в коренном населении Кавказа“ და ა.შ. ეს ნაშრომები ძირითადად ანთროპოლოგიური ხასიათისაა. რუსეთში ანთროპოლოგიური კვლევის ცენტრი ახლად დაარსებული იყო, სადაც ანთროპოლოგია ეთნოგრაფიის, არქეოლოგიისა და გეოგრაფიის მომცველ მეცნიერებად მოიაზრებოდა. მიუხედავად ამისა, ერიქსონის ნაშრომებში აშკარად იგრძნობა როგორც სამამულო სამეცნიერო ტრადიციების, ასევე აშშ-სა და დასავლეთში ჩამოყალიბებული კულტურული და სოციალური ანთროპოლოგიის სათანადო ცოდნა, რაც კარგად ჩანს ბათუმის სანიტარული მდგომარეობის ანალიზის დროს ნაკლებად აპრობირებული ანთროპოლოგიური მეთოდიკის გამოყენებაში. ასე რომ გაბედულად შეიძლება საუბარი ნაშრომების ლირსებისა და ავტორის ნიჭიერების შესახებ შესაღარებელი მასალების – ისტორიული წყაროების (სტრაბონი, ჰიპოკრატე, არიანე, ქსენოფონტე, ვახუშტი ბატონიშვილი, მ. ჯანაშვილი და სხვ.), სტატისტიკური მონაცემების, განსაკუთრებით კი ავტორის მიერ შეგროვებული მასალების ფართოდ გამოყენების, ასევე, ნაშრომის სტრუქტურისა და მრავალფეროვანი თემატიკის, წერის კულტურისა და სხვათა საფუძველზე.

ერიქსონის ნაშრომი ბათუმის შესახებ წარმოადგენს 92 გვერდისაგან შემდგარ მონოგრაფიულ გამოკვლევას, რომელიც 1901 წელს გამოიცა. ბათუმს შეეხება ავტორის მოგონებები მოგვიანებით გამოქვეყნებულ სტატიაშიც. ნაშრომში მოცემულია ბათუმის შემოგარენისა და მის საზღვრებში მოქცეული ხელვაჩაურის, ქობულეთისა და ქედის რაიონების ტერიტორიული აღწერილობა. ერთგან ავტორი აზუსტებს ქალაქის საზღვარს და მას ჭოროხამდე მოიაზრებს, ანუ იმ პირობით ადგილამდე, სადაც კარგად მოვლილი ჭა ყოფილა ქალაქში შემაგალი მგზავრებისათვის. ზოგადად, ქალაქ ბათუმის ტერიტორიას ავტორი რუსეთის ლაზისტანს უწოდებს, რაც საკვლევ პერიოდში უკვე დამკიდრებულ ტერმინს წარმოადგენდა. ქალაქის წარმოშობასთან დაკავშირებით ერიქსონი გამოთქვამს აზრს, რომ XVI საუკუნეში ბათუმის ადგილას ჭაობები უნდა ყოფილიყო. ავტორი ბუნებრივ-გეოგრაფიულ პირობებზე უშეალო დაკვირვების შედეგად ეთანხმება იმ მოსაზრებას, რომ ადრე ბათუმის მხარეს არ უნდა არსებულიყო დიდი ქალაქები და რომ სანაპირო ზოლმა ახალი წელთაღრიცხვიდან მოყოლებული ძალზედ უმნიშვნელო ცვლილებები განიცადა. ერიქსონი ასეთივე ინტერესით აღწერს ბათუმის ოლქის ნიადაგებს, ფლორას, ფაუნას და მათი დახასიათების პარალელურად იძლევა

ბათუმისა და მისი შემოგარენის ტოპონიმიურ მასალასაც: პორტი, ბარცხანა, სტეფანოვკა (რომელსაც ნურიეს დასახლებასაც უწოდებს), კახაბრის დაბლობი, სოუქჩუ (ალბათ სოუქსუ) და სხვ.

იმუსიმინდელ პერიოდიკის მასალებზე დაყრდნობით ავტორი ადასტურებს თურქეთის ბატონობის დროს აჭარაში არსებულ სანიტარულ პრობლემას და იძლევა არსებული სანიტარული მდგომარეობის ვრცელ ანალიზს. საქალაქო ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში წარმატებული კვლევის შედეგების საფუძველზე ავტორმა შესძლო ადგილობრივი მოსახლეობის ანთროპოლოგიური გამოკვლევის ჩატარებაც. ერიქსონი მათ აღწერს როგორც ფიზიკური, ისე სულიერი მდგომარეობის მიხედვით და საინტერესო დასკვნებს აკეთებს. აღნიშნულ გამოკვლევაში ავტორი მნიშვნელოვან ადგილს უთმობს აჭარლებისა და ლაზების აღწერას და უცხო ტომელებთან – თურქებთან მათ შედარებას. ფიზიკური სხვაობის გარდა, ნაშრომში მოცემულია მოსახლეობის კლასიფიკაცია რელიგიური, სქესობრივი, წოდებრივი და ფსიქოლოგიური ნიშნების მიხედვითაც. ერიქსონი თავისებურად აღწერს ქალაქის სოციალურ შემადგენლობას, იძლევა ქალაქის ინტელიგენციის კონკრეტულ სურათს, რომელსაც ძირითადად ჩინოვნიკები, ვაჭრები, აგენტები და მრეწველები წარმოადგენდნენ. ასე რომ ერიქსონის კვლევის ინტერესი გაცილებით შორსმიმავალია, ვიდრე ექიმი სანიტარისა, რაც უცხოელი მკვლევრისაგან ჩვეულებრივ ამბავს უნდა წარმოადგენდეს.

ექიმი ერიქსონი ფართო აღწერილობას იძლევა აჭარაში ამა თუ იმ დაავადებათა გავრცელების შესახებაც. განსაკუთრებულ უურადღებას აქცევს ჰაერის შემადგენლობას და გადაუდებელ საქმედ მიიჩნევს მისი ქიმიური ანალიზის ჩატარებას. ექიმი სწორედ ამ მიზეზით ხსნის ადგილობრივი ბავშვების უფერულობასაც. მისი შენიშვნით, ამ პრობლემას ქალებიც განიცდიან, რაღგან მათ მამაკაცებთან შედარებით ნაკლებად უწევთ ჰაერზე ყოფნა და ამას უფრო მთაში დასვენების დროს ახერხებენ. ამასთან დაკავშირებით ავტორი წერს, რომ ზაფხულის სეზონში ადგილობრივი მოსახლეობა ცხრა საათის შედეგ ქალაქის ბულვარშიც არ ჩნდებოდა. ტექსტიდან ჩანს დამსვენებელთა შორის თბილისელთა სიჭარბე, რომლებიც ასევე განიცდიდნენ ადგილობრივ კლიმატთან დაკავშირებულ პრობლემებს.

ქალაქის მეტეოროლოგიური სადგურის ინფორმაციის საფუძველზე ავტორი დაწვრილებით აღწერს კლიმატურ პირობებს. აღნიშნული მონაცემების მიხედვით ირკვევა, რომ ჰაერის მაქსიმალური ტემპერატურა აგვისტოს თვეში $23^{\circ}7$ აღწევდა, ხოლო დაბალი მაჩვენებელი იანვრის თვეში $5^{\circ}9$ ყოფილა. ყველაზე ნალექიან თვედ იანვარს – 258 მმ, ხოლო ყველაზე უნალექოდ მაისის თვეს – 72 მმ – ასახელებს. აქედან გამომდინარე, გაანალიზებულია ბათუმის შემოგარენში გავრცელებულ დაგადებათა შედეგები და ექიმი იწონებს მოსახლეობის

მიერ ალპური ზონის დასასვენებელ ადგილად გამოყენების ტრადიციას.

ერიქსონი მოსახლეობის ჯანმრთელობის საკითხს სამართლიანად უკავშირებს სახმელი წყლის პრობლემასაც. ქალაქის წყლით უზრუნველყოფის საკითხში ხაზგასმულია წყაროს წყლის, ადგილობრივი ჭებისა და წყალგაყვანილობის მნიშვნელობა. ექიმი განსაკუთრებულ საშიშროებას ჭების გამოყენებაში ხედავს და სასმელად უპირატესობას ბარცხანის წყალს ანიჭებს. იგი ყურადღებას ამახვილებს აგრეთვე სამკურნალო აბანოებთან დაკავშირებით და ბათუმელებისათვის ყველაზე მოსახერხებულ და სასარგებლო ადგილად მიზეზების გამო ადგილობრივი მუსლიმებისათვის მახინჯაურის სამკურნალო „სერნი“ (გოგირდოვანი) აბანოების სეზონი უფრო გვიან – სექტემბრის თვი-დან იწყებოდა.

ავტორი ბათუმის მიეროკლიმატის შექმნაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ზღვის, მდინარეების, ჭაობებისა და ტბების არსებობასაც. ამასთან დაკავშირებით ანალიზებს ჭოროხის დელტასთან ზღვის ძლიერი ტალღებით გამოწვეული წყალდიდობების მძიმე შედეგებს, კერძოდ, 1895 წლის ტრაგედიას, რომელსაც ადამიანთა მსხვერპლიც კი მოჰყოლია. ჩანს, რომ ამასთან დაკავშირებით ექიმი გასცნობია ბათუმის საზოგადოების სამომავლო პროგრამას, რომელიც დატბორვის თავიდან აცილების მიზნით ითვალისწინებდა გადაუდებელი ლონისძიებების გატარებას. ქალაქის სამხრეთ ნაწილში ჭაობების ამოშრობასთან დაკავშირებული აბსოლუტური უმოქმედობა და სკეპტიციზმი ავტორის სერიოზული შეშფოთების საფუძველს წარმოადგენს. სხვა შემთხვევაში კი ერიქსონი საკმაოდ დადებითად აფასებს ბათუმის თვითმმართველობის გადაწყვეტილებას და გვაუწყებს, რომ მათ მეტად გამოცდილი ინჟინერი მოუწვევიათ და ამ საქმეში ჩადებული ასიგნაცია 150 000 მანეთს აღწევს.

გარდა ბუნებრივ-კლიმატური პირობებისა, მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობა ერიქსონს რთული საყოფაცხოვრებო პირობებითაც აქვს ახსნილი. ამასთან დაკავშირებით ავტორმა შეისწავლა განათების პრობლემა და გვამცნო, რომ მოსახლეობა ნაკლებად იყენებდა სანთელს და მირითადად ნავთის ლამპას, ბუხარსა და სხვ. საშუალებებს მიმართავდა, რაც ბავშვებზე განსაკუთრებულად ცუდად ზემოქმედებდა. როგორც ანთროპოლოგი, ერიქსონი საკმაოდ დიდ ყურადღებას უთმობს ქალაქის ეთნო-დემოგრაფიულ პრობლემებს. ავტორის ცნობით, 1896 წელს ბათუმის მოსახლეობა შეადგენდა 28 500 ადამიანს, ხოლო 1901 წლისათვის ბათუმის ოკრუში 57 064 კაცი ცხოვრობდა ბათუმელთა გამოკლებით, მაშინ როდესაც ბათუმში სავარაუდოთ 30 000 მცხოვრები უნდა ყოფილიყო. ერიქსონი დაწრილებით იძლევა მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის სურათს, საიდანაც ვგებულობთ, რომ საკვლევ პერიოდში ქალაქში ცხოვრობდა არაერთი ეროვნების ადამიანი, რომელთა ისტორიის, ყოფისა

და კულტურის საკითხები ავტორმა შეძლებისდაგვარად წარმოადგინა. ესენია: ბერძნები, აფხაზები – 600-ზე მეტი; ჩერქეზები – 150-მდე; ქურთები – 500-მდე; ხემშილები – 400-ზე მეტი; ციგნები (ბოშები) და, ასევე, გამუსლიმებული ზანგების რამდენიმე ოჯახი. საინტერესოა ცნობები რუსების შესახებაც. ერიქსონის ცნობით, XIX საუკუნის 80-იან წლებში შიმშილობისაგან თავის დასაღწევად რუსეთის მოსახლეობის ერთი ნაწილი ბათუმს შეფარებია, მაგრამ მოწყენილობის მიზეზით მაღლევე ასახლებულან. ავტორი ზემოთ დასახლებული ხალხების შესასწავლად ფართოდ იყენებს შესადარებელ მასალას და მიღებული დასკვნებით მკითხველს სთავაზობს საინტერესო ანალიზს ცალკეული ეთნოსის უცხო გარემოში ადაპტაციის პრობლემებთან დაკავშირებით.

ერიქსონი ექიმის პოზიციიდან განიხილავს რა ქალაქის სანიტარულ მდგომარეობას, საპორტო ქალაქში უცხოელთა შემოსვლას არაერთგვაროვან კვალიფიკაციას აღლევს. იგი უწინარესად მათ მიერ სხვადასხვა ინფექციურ დაავადებათა გავრცელების შესაძლო საფრთხეზე დაპარაკობს. ამავე კუთხით არის დახასიათებული მეჩეთთან არსებული იმდროინდელი სკოლებიც.

ექიმი საინტერესოდ აღწერს ქალაქური ცხოვრების არაერთ ნიუანსს. ავტორის თქმით, ყველა საგაჭრო გარიგებისა და სხვადასხვა სახის პრობლემათა გადაჭრის ადგილს ყავასანა წარმოადგენდა. იგი ხაზს უსვამს საგაჭრო ადგილების, განსაკუთრებით კი ლვინის დუქნების მომრავლების ფაქტს და დასხენს, რომ მამაკაცები ძალზედ მიეძალნენო ღვინოსა და დროსტარებას. მათ რიცხვში ასახელებს ადგილობრივ სასმელს. მამაკაცების დროსტარების ადგილად ასახელებს სპეციალურ სახლებს და დასტენს, რომ 1898 წლისოფის ასეთი სახლების მთელი ქუჩაც კი ყოფილაო ბათუმში. ამასთან დაკავშირებით ერიქსონი გულდასმით განიხილავს ადგილობრივი მოსახლეობის ზნეობრივ პრობლემებს. საინტერესოა ავტორის ცნობა ბათუმის აბანოებთან დაკავშირებითაც. ქალაქში ყოფილა ათამდე აბანო, სადაც სადღესასწაულოდ ჩატმული ქალები კოლექტიურად დადიოდნენ. ქალაქის დაწესებულებათაგან დასახელებულია ჰოსპიტალი, ტყავის ქარხანა მდინარე ჭოროხთან ახლოს და სხვ.

გარდა შიდასასაქონლო ურთიერთობებისა, ერიქსონის შენიშვნით, საგაჭრო ურთიერთობათა მნიშვნელოვანი წილი თურქეთთან მოდიოდა. მისი ცნობით, თურქებს ბათუმიდან გაჭონდათ თევზეულობა, განსაკუთრებით კი დელფინები. ავტორი განსაკუთრებით აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ გასაყიდად ბათუმში ძირითადად ართვინის ყურძენი შემოჰკონდათ.

ამრიგად, ექიმ ერიკ ერიქსონის ცნობები ბათუმის შესახებ ასახავს XIX ს. დასასრულისა და XX საუკუნის დასაწყისის ქალაქური ცხოვრების არაერთ მნიშვნელოვან მხარეს. ავტორი ისტორიული წყაროების, სტატისტიკური მონაცემების, ანთროპოლოგიური გამოკვლევებისა და საკუთრივ მის მიერ შეკრებილი მრავალფეროვანი მასა-

ლების საფუძველზე იძლევა მეტად საინტერესო და გრცელ მასალას ბათუმის ისტორიის, ქალაქის საზოგადოებრივი, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების, ასევე, ეთნო-დემოგრაფიული და ეთნო-რელიგიური მოზაიკის საკითხებთან დაკავშირებით. ერიქ სონის ნაშრომების ეთნოგრაფიული მასალების მცირე ნაწილი უკვე დაიბეჭდა, ძირითადი ნაწილი კი დღემდე არ შესულა სამეცნიერო მიმოქცევაში. ამიტომ ამ მასალების მოძიება და სათანადო შესწავლა გარკვეულ მნიშვნელობას შეიძენს ბათუმის წარსული ისტორიისა და კულტურის კვლევის საქმეში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Эриксон Э.В., Из воспоминаний о Батуме и его окрестностях, журн. „Естествознание и география“, М., 1899, №1.
2. Эриксон Э.В., Опыт санитарного обзора окрестностей Батума, Тиф., 1901.
3. Эриксон Э.В., Абастуманское ущелье, журн. „Естествознание и география“, М., 1904, №4.
4. Эриксон Э.В., О призрении душевно-больных на Кавказе Док-ра мед. Э.В. Эрикsona, М., 1904.
5. Эриксон Э.В., Отношение мусульманских законов к душевно-больным в Персии, Турции и на Кавказе, М., 1905.
6. Эриксон Э.В., О половом разврате и неестественных половых отношениях в коренном населении Кавказа, I, М., 1907.
7. 6. ჩელებაძე, ერიქსონის ეთნოგრაფიული კოლაჟი აჭარის შესახებ, – სამეცნიერო კონფერენცია თემაზე „აჭარა უცხოელ აგზორთა შრომებში“, ბათ., 2009.

Naila Chelebadze (Batumi, Georgia)

Batumi in the works of E. Ericson

Summary

Dr. Eric Ericson's data about Batumi were collected at the end of the XIX and at the beginning of the XX centuries. On the basis of historical sources, statistic data and anthropological research the author gives very interesting and extensive materials connected with the history of Batumi, anthropological description of the population, the public, social-economical, and cultural life of the town, as well as its ethnodemographic and ethnoreligious inlay. The principal part of the above mentioned materials has not entered the scientific circulation yet, that gives more importance to the materials represented in the article.

თამილა ლომთათიძე
(ბათუმი, საქართველო)

ეთნოეთნოლოგიური დირექტორი ტრანსფორმაციის ზოგიერთი ასპექტი თანამედროვე ბათუმში

ბოლო დროს მთელ მსოფლიოში და, განსაკუთრებით, პოსტსაბჭოთა სიგრცის ქვეყნებში ანთროპოლოგიის პრიორიტეტულ მიმართულებად იქცა ქალაქის ეთნოგრაფიის შესწავლა. მოხდა მკვლევართა ინტერესების გლობალური გადამისამართება არქაიკიდან თანამედროვე კულტურაზე. მას შემდეგ, რაც ტრადიციული აგრარული ცივილიზაცია ინდუსტრიულმა, ხოლო ეს უკანასკნელი პოსტინდუსტრიულმა (ანუ ინფორმაციულმა) საზოგადოებამ შეცვალა, კულტურის განვითარება პირდაპირ დაუკავშირდა ქალაქების როლის ზრდას კაცობრიობის ისტორიაში და არა მხოლოდ იმიტომ, რომ ამ ეტაპზე ეთნოსოციალური და ეთნოკულტურული პროცესების განმსაზღვრელი ქალაქია, არამედ იმიტომაც, რომ აქ მიმდინარეობს მოდერნიზაციის როული და წინააღმდეგობრივი სოციოკულტურული პროცესი, რომლის მსგლელობისას ყალიბდება თანამედროვე საზოგადოების ინსტიტუტები და სტრუქტურები. ეთნოსის ტრადიციული და თანამედროვე მოდერნიზებული კულტურების ურთიერთობის პრობლემაც სწორედ აქ იკვეთება [Томилов Н.А., 1996: 9].

ქალაქი ყოველთვის იყო ეთნოკულტურული პროცესების დამაჩქარებელი, ხალხური კულტურის ფორმირების აქტიური მონაწილე. ქალაქს განვითარების ყველა ეტაპზე, დროის მოთხოვნებიდან გამომდინარე, კორექტივები შეჰქონდა ეთნოკულტურის ისტორიულად ჩამოყალიბებულ სისტემაში, სახეს უცვლიდა მის ცალკეულ კომპონენტებს. სწორედ სიახლეებისადმი ქალაქის გახსნილი დამოკიდებულების შედეგია ის, რომ დღეისათვის ტრადიციული მატერიალური კულტურა ქალაქში თითქმის მთლიანად ტრანსფორმირებულია. ინვაციური პროცესები სულიერ კულტურაში კი ინტენსიურად ახლა მიმდინარეობს. ბევრი ტრადიცია ქრება, ბევრი სიახლე დროთა განმავლობაში ტრადიციად იქცევა [Рабинович М. Г., Шмелева М. Я., 1984: 23]. ეთნოკულტურულ დირებულებათა ტრანსფორმაციის პროცესი, გარკვეულწილად, ტრადიციების თაობათა შორის ტრანსლაციის პრობლემასაც უკავშირდება. ბევრი მოვლენა, რაც ახალი თაობისათვის ტრადიციაა, წინა თაობისათვის სიახლეს, ზოგჯერ მიუდებელ ინოვაციასაც წარმოადგენდა, მაგრამ დრომ იგი ეთნოკულტურის შემადგენელ ნაწილად აქცია. ახალი თაობა ტოლერანტულადაა განწყობილი სხვა კულტურებიდან შემოსული ელემენტების და ე.წ. “მასობრივი კულტურის” მიმართ. ამ ფონზე იქმნება განსაკუთრებული,

ახალგაზრდული სუბკულტურა, რაც საზოგადოებრივი აზრის ძალით შენარჩუნებული ტრადიციულისა და ინოვაციურის ერთგვარ სინთეზს წარმოადგენს.

ევალა დიდი თუ პატარა ეთნოსისათვის დამახასიათებელია სპეციფიური და უნიკალური კომპლექსები, რომლებიც თაობიდან თაობას გადაეცემა და ეთნო-კულტურული ფასეულობების ისტორიულ ერთობლიობას წარმოადგენს. ამავე დროს, ისინი მეტ-ნაკლებად ცვლილებებსაც განიცდიან. გლობალიზაციის თანამედროვე პროცესები თავის კვალს ტრადიციული კულტურაზე, არღვევს ტრადიციებს, აძლიერებს ურბანიზაციის ტენდენციებს. ხდება მოსახლეობის თავმოყრა და მკვეთრი ზრდა ქალაქებში, ყოფის სტანდარტიზაცია, ეთნოკულტურულ დირექტულებათა ტრანსფორმაცია [Этносоциальные проблемы города, 1986: 49].

ეს პროცესები მიმდინარეობს ჩვენს თვალშინ, თანამედროვე ბათუმში და იგი განსაკუთრებით თვალნათლივ იკვეთება უკანასკნელ პერიოდში სოფლებიდან მიგრირებულთა სულიერი კულტურის სფეროში მომხდარი ცვლილებების შესწავლისას. ამ ასპექტში მათი მიგრაციის შედეგების განხილვა საინტერესოა იმდენად, რამდენადაც სოფელმა ბოლო დრომდე კარგად შემოინახა ეთნოკულტურული ტრადიციები. სოფლიდან მიგრირებულებს ტრადიციული კულტურის ეს ელემენტები თან მოაქვთ და ქალაქურ გარემოში მათი ინტეგრაციის პროცესი, სოფლისა და ქალაქის სუბკულტურების ურთიერთობა ფაქტობრივად ეთნოკულტურულ დირექტულებათა ტრანსფორმაციის მრავალ ასპექტს ასახავს [Михайлова Л.И., 1999: 9].

უპირველეს ყოვლისა, ტრანსფორმაციას განიცდის ქცევის ტრადიციული სტერეოტიპები. სოფლიდან ქალაქში გადმოსახლებულთა ქალაქურ გარემოში ადაპტირებისას ქცევის ტრადიციული პროგრამები, თავისი “სტანდარტებით”, ნორმებით, “ეჯახებიან” ქალაქური ცხოვრების წესს. ქალაქი ტრადიციული კულტურის ელემენტების მატარებელ მიგრირებულთათვის ქმნის არა მხოლოდ ცხოვრებისა და საქმიანობის ახალ პირობებს, არამედ ცვლის ურთიერთობათა და ქცევის ტრადიციულ სისტემებს, მათ დამოკიდებულებას მატერიალური და სულიერი კულტურის ტრადიციულ ელემენტებთან. პირველ ყოვლისა, იცვლება საყოფაცხოვრებო ეტიკეტი. ქალაქი შედარებით მიმტევებლურად, ტოლერანტულად ეკიდება ქცევის ტრადიციული წესებიდან გადახრას, ტრადიციული კულტურული დირექტულებების უგულებელყოფას. აქ ნიველირებულია ქცევის ტრადიციული სტერეოტიპები, თავს იჩენს მზარდი ინდივიდუალიზმი. ადამიანი უფრო ორიენტირებულია თავის პირად მიზნებზე, მაშინ, როცა ტრადიციულ საზოგადოებაში ეს მიზნები უფრო ჯგუფური, კოლექტიურია, მიღებულია მჭიდრო კონტაქტები სხვა ოჯახებთან, მეზობლებთან, თანასოფლებთან. სოფლიდან გადმოსახლებულ ადამიანებს ქალაქში ხვდებათ “გაუცხოებული” ურთიერთობები. ისინი იძელებული არიან აკონტროლონ თავიანთი ემოციები და კონტაქტების დამყარებისას

იყვნენ დისტანციურები. მაგრამ მიუხედვად იმისა, რომ ინდივიდის ქცევა ქალაქურ გარემოში გარკვეულწილად “ემორჩილება” ამ ფაქტორებს, ეს მათში არ იწვევს ცხოვრების წესის ეროვნული თავისებურებების სრულ იგნორირებას. პარალელურად მოქმედებს მისწრაფება, ქალაქში ჩამოიტანონ და შეინარჩუნონ ტრადიციული საზოგადოებისათვის დამახასიათებლი ყოფითი კულტურის ელემენტები თავისი ღირებულებითი ორიენტირებით, ტრადიციებით, ნათესაური და მეზობლური კავშირებით. ადაპტაციის საწყის ეტაპზე ისინი, ასევე, ცდილობენ შეინარჩუნონ ქცევისა და ურთიერთობების ის ფორმები, რაც ტრადიციული საზოგადოებისთვისაა დამახასიათებელი. განსაკუთრებით ცდილობენ შეინარჩუნონ კონტაქტები სოფლებიდან გადმოსახლებულ ასეთივე ოჯახებთან. უფრო მეტიც, ისინი ქალაქშიც ახერხებენ იმ ტრადიციული “სამყაროს” რეტროსპექციას, რომელშიც ცხოვრობდნენ სოფელში და ქალაქში, მრავალსართულიან სახლებში ცხოვრების პროცესშიც, ცდილობენ შეიქმნან ერთგვარი “მიკროსამყარო” - ტრადიციული აგრარული საზოგადოების ერთგვარი მოდელი: იდობავენ ტერიტორიებს ეზოებში, აკეთებენ ბოსტნებს, რგავენ მცენარეებს, ამრავლებენ ქათმებს და ყოველნირად ცდილობენ შეინარჩუნონ სოფლისათვის დამახასიათებელი საცხოვრებელი გარემო. თუმცა, ყველაფერი ეს დროებითია და ქალაქური ურთიერთობები, დროთა განმავლობაში, არღვევს ამ სტერეოტიპებს, რადგან “სოფლური ეთნიკური ტრადიციული სოციონორმატიული ქცევის კულტურა თანდათან აღმოჩნდება უმოქმედო, ზედმეტი და დავიწყებას ეძლევა” [(Арутюнов С.А., Рыжакова С.И., 2004: 149]. თუმცა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ შიგასივრცეში, ოჯახურ მიკროკოსმის ტრადიციები ბოლომდე შენარჩუნებული და მორგებულია თანამედროვეობას.

ქალაქურ გარემოში იცვლება ტრადიციული საქორწინო-საოჯახო ურთიერთობები. თანამედროვე ქალაქური ქორწილი არის რთული სოციოკულტურული მოვლენა, რომელიც ორი განსხვავებული კულტურის – ტრადიციულ-ყოფითი და თანამედროვე ინდივიდუალურ-კრეატიული კულტურების შერწყმითა მიღებული. ქორწილის სამნაწილიანი სტრუქტურა (წინასაქორწინო, საქორწინო და ქორწილის-შემდგომი) შენარჩუნებულია, მაგრამ ძალზე ტრანსფორმირებული სახით. თითქმის მთლიანად დაიკარგა საწესო და სადღესასწაულო სემანტიკა. საქორწინო ციკლის ბევრი ელემენტი რედუცირებულია ან მთლიანად ამოვარდნილია. განსაკუთრებით ფუნქციდაკარგულია წინასექორწინო ეტაპი – ნიშნობა. იგი ერთგვარად ფაკტურტატურ ელემენტად იქცა. მოხსნილია შეზღუდვები შეხვედრებზე, ასევე, საპატარძლოს მიერ სასიძოს ოჯახის წევრებისათვის საჩუქრების მომზადების წესი, აკრძალვები და ბრძნილობები. თუმცა, მიუხედავად ამისა, თვითონ საქორწინო წვეულების მიმდინარეობისას ბევრ ტრადიციულ ელემენტს იყენებენ (ეროვნული ტანსაცმელი, სადილის

მიტანის წესი, მეფე-დედოფალთან ტკბილულით შეგებება, ხალხური ფოლკლორი და სხვ.).

ქალაქი არსებით გავლენას ახდენს ოჯახების შემადგენლობაზე, ფორმებზე, ფუნქციათა განაწილებაზე. ტრადიციული მრავალთაობიანი ოჯახებისაგან განსხვავებით, ქალაქში მკვიდრდება მშობლების ოჯახისაგან ახალგაზრდა წყვილის ცალკე გამოყოფის ტენდენცია. ასეთი ოჯახი შედგება ორი თაობისაგან – მშობლებისა და შვილებისაგან. მათში ბავშვების რაოდენობაც მცირდება. მრავალშვილიანი ოჯახები ერთი ან ორშვილიანი ოჯახებით იცვლება. ნაწილობრივ ეს მოვლენა ქალის საზოგადოებრივი პოზიციის აქტივობაციითაც აიხსნება. ქალაქში იცვლება ქალის როლი როგორც ოჯახში, ისე საზოგადოებაში. ტრადიციულ ოჯახში მას მხოლოდ დიასახლისის ფუნქცია აკისრია და ხშირად ოჯახშიც არა აქვს გადამწყვეტი ხმის უფლება. ქალაქში, სადაც ქალის დასაქმებისათვის მეტი შესაძლებლობებია, ის ხშირად ოჯახის მარჩენალის ფუნქციასაც იძენს და, შესაბამისად, იზრდება მისი დამოუკიდებლობის ხარისხი, უფლებები. ქალი ქალაქად ჩართული აღმოჩნდა ფემინიზაციის პროცესებში, შეიცვალა მისი სოციალური სტატუსი და, ხშირად, გადამწყვეტი ხმაც კი მოიპოვა საოჯახო პრობლემების მოგვარებაში.

აჭარაში, ტრადიციულ საზოგადოებაში, ძალზე იშვიათია შერეული ქორწინებები. იმ იშვიათ შემთხვევებში, როცა სოფლად ასეთ ქორწინებას აქვს ადგილი, „მოსული“ უსიტყვოდ იდებს ტრადიციული ცხოვრების წესსა და ჩვეულებებს. ქალაქში გადასახლების შემდეგ კი ეს კანონზომიერება ხშირად ირდევება და იზრდება ქორწინებათა რიცხვი როგორც სხვადასხვა ეთნოსის, ისე განსხვავებული კონფესიების წარმომადგენელთა შორისაც.

დღეისათვის ბათუმში იკვეთება ტრადიციული კულტურების თანამედროვე მოდერნიზებულ კულტურასთან შეთავსებადობის პრობლემაც. სოფლიდან გადმოსახლებულებს ქალაქში თან მოჰყებათ საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული ეთნიკური კულტურის თავისებურებები, ქართულ ტრადიციები, წეს-ჩვეულებები, მენტალობა, რაც აქ მზარდი მოდერნიზაციის ტენდენციებს „უჯახება“ და თვითმყოფადობის ხაზგასასმელად ამოქმედებას იწყებს სოციოკულტურული ანტითეზა – „ჩვენ“ – „ისინი“, „თავისი“ – „სხვისი“. სოფლებიდან მიგრირებულები მხელად ელევიან ტრადიციული კულტურის ელემენტებს, რადგან ისინი ქართული მენტალობის განმსაზღვრელ ნიშნებად, ეთნოსის სპეციფიკურ მახასიათებლებად აღიქმებიან. ამიტომაც, დიდხანს ინარჩუნებენ ტრადიციულ წეს-ჩვეულებებსა და დღესასწაულებს. უფრო მეტიც, ხშირად ახალ გარემოში განსაკუთრებულ მნიშვნლობასაც კი ანიჭებენ და აღადგენენ ხოლმე წინაპართავის დამახასიათებელ ბევრ რიცხვალს (ტრადიციული მრავალრიცხოვანი და ხმაურიანი ქორწილები, ნათლობა, რელიგიური დღესასწაულები, სტუმარ-მასპინძლობა, უფროს-უმცროსობა და სხვა) და ამით არა მხოლოდ იცავენ, ხაზს უსვამენ საკუთარ თვითმყოფადო-

ბას, არამედ თანამედროვე საზოგადოებასაც აჩვენებენ, თუ როგორ უნდა დაიცვან და შეინარჩუნონ ქართული ცნობიერება ტრადიციული ღირებულებების შენარჩუნებით. ეს ტენდენცია, სოფლებიდან მიგრირებულთა მეშვეობით, ქალაქის სუბკულტურაშიც მავიდრდება და ტრადიციული მატერიალური და სულიერი კულტურის მრავალი ელემენტი მოდერნიზაციის პირობებშიც ნარჩუნდება. მეტიც, თვით-შენარჩუნების ეს მექანიზმი ხელს უწყობს თანამდროვე ქალაქში ზოგიერთი მივიწყებული ტრადიციის აღდგენას, აღორძინებას და ასეთი, მართალია უკვე მოდერნიზებული, გათანამედროვებული, მაგრამ მაინც ეროვნულ ფესვებზე დაფუძნებული, ტრადიციების ხელახლა დამკვიდრებას ქალაქურ სუბკულტურაში. ამგვარად, თანამედროვე ქალაქში აქტიურად ვითარდება კონტაქტები ეთნოკულტურის სხვადასხვა ელემენტს შორის, ყალიბდება ახალი, “სინთეზური” კულტურა ტრადიციული და ინოვაციური ელემენტების შერწყმით, რასაც, საბოლოო ჯამში, ერის კულტურულ ერთიანობამდე მივყავართ.

ამდენად, დღევანდელი ბათუმის კულტურული ცხოვრებაც თანამედროვე სამყაროს მსოფლმსევდველობრივი ტენდენციების შესაბამისად ვითარდება. მიმდინარეობს ქვევის ტრადიციული ნორმების, სოციალური ყოფის ზოგირთი რგოლის, ეთნოკულტურული ტრადიციების გადააზრება. ყალიბდება ახალი სოციალურ-კულტურული ურთერთობები, ტრადიციული ყოფისა და კულტურის ელემენტები ქალაქურ გარემოში ტრანსფორმირდებიან, იძენენ ახალ ფორმებს. ეთნოკულტურა ტრადიციულობასაც ინარჩუნებს და, ამავე დროს, ხდება მოდერნიზებული. რეალურ ცხოვრებაში იქმნება ტრანსკულტურული მოდელი, რომელიც ტრადიციული და თანამედროვე ელემენტების ნაერთს წარმოადგენს. რაც ამტკიცებს, რომ ტრადიცია და მოდერნიზაცია ერთმანეთის გამომრიცხველი ცნებები არაა, მათი თანაარსებობა შესაძლებელია. საჭიროა ისეთი ნაბიჯების გადადგმა, რომ ტრანსფორმაციის პროცესები რაც შეიძლება უმტკივნეულო იყოს ეთნოსისათვის. ამისათვის კი აუცილებელია საუკუნეების განმავლობაში გამომუშავებული, დროში გამოცდილი და მემკვიდრეობით მიღებული ჯანსაღი ტრადიციების შენარჩუნება. ტრადიცია ეთნიკურობის გამომხატველი იყო და არის. ეს ტრადიციები ცხოვრების ისტორიული პირობებით, ეთნოსის სულიერი და მატერიალური ყოფის თავისებურებებითაა განპირობებული. ბევრი მათგანის შენარჩუნება ხალხებს ეთნიკურ თავისთავადობას შეუნარჩუნებს, რადგან თითოეული ეთნოსი, თითოეული ერი არსებობს იქამდე, სანამდე ინარჩუნებს თავის თვითმყოფადობას, კულტურულ იდენტურობას [Шилакაძე M., 2007: 441].

გამოყენებული ლიტერატურა

1. Арутюнов С.А., Рыжакова С.И., Культурная антропология, М., 2004.
2. Михайлова Л.И., Социология культуры, М., 1999.
3. Рабинович М. Г., Шмелева М. Я., Город и этнические процессы, СЭ, №2, М., 1984.
4. Томилов Н.А., Проблемы динамики духовной роли городов в постиндустриальной цивилизации, Проблемы этнографического изучения народной городской культуры, Омск, 1996.
5. Этносоциальные проблемы города, Под редакцией Бромлея Ю.В., М., 1986.
6. Шилакадзе М., Глобализация и проблема культурной идентичности этноса, Археология, этнология, фольклористика Кавказа, Тб., 2007.

Tamila Lomtadidze (Batumi, Georgia)

Some aspects to transformation of ethno cultural values in modern Batumi

Summary

In the course of globalization occurs change in traditional ethnic culture. Globalization pulls down traditions, so-called tendencies of an urbanization – a population concentration in mega cities, standardization of its life, ethnic assimilation amplify. These changes proceed in a city as the city is more susceptible to innovations and innovations more actively.

Cultural will develop a modern city basically occurs on norms of modern outlook and tendencies. General globalization introduces the corrective amendments in traditional system of cultural values. At the given stage in the city environment occurs collapsing ethnic stereotypes, a metamorphosis of traditional cultural values and new reference points are formed. There is a reconsideration of traditional norms of behavior, a functional purpose of this or that link of a social life, culture forms. New welfare relations and traditions and though some norms of behavior, etiquette, cultural values come under to influence are formed and adapt in the city welfare environment, many elements of traditional material and spiritual culture remain. It is very important, because universality of any ethnus is shown in ethno culture, traditions. Each ethnus, each nation exists until keeps the originality, cultural identity and a city plays the important role in this process.

**ნუგზარ მგელაძე, მანუჩარ ლორია
(ბათუმი, საქართველო)**

ბათუმის თანამედროვე რელიგიური პორტრეტი

**(კათოლიკები, გრიგორიანელები, მუსლიმები,
იუდეველები, მართმადიდებელი ბერძნები)**

XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან ბათუმში საქალაქო ცხოვრების განვითარება წინ სწრაფი ტემპით წავიდა. ბათუმი გახდა ამიერკავკასიის, შუა აზიისა და ჩრდილოეთ საარხეთის ევროპის ქვეყნებთან გაჭრობის ძირითადი სატრანზიტო ნაგსადგური. ამან გამოიწვია მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდა, სხვადასხვა ეთნიკური და კონფესიური თემის ჩამოყალიბება. ამჟამად ქალაქში ქართველების გვერდით ცხოვრობენ - ბერძნები, სომხები, რუსები, აფხაზები, ებრაელები და სხვა ეროვნების წარმომადგენლები. აქ მცხოვრები ეთნიკური ჯგუფებისათვის ტრადიციული რელიგიური მიმდინარეობებია ქრისტიანობა (მართლმადიდებლობა, კათოლიციზმი, გრიგორიანობა), ისლამი და იუდაიზმი.

კათოლიკების ისტორია ბათუმში საკმაოდ საინტერესოა. აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნების (1878 წელი) შემდეგ ბათუმში მომრავლდა ქართველ კათოლიკეთა რიცხვი და აბატი პეტრე ხარისხირაშვილის მეთაურობით დაიბადა ეკლესიის აშენების იდეა.

ბათუმში კათოლიკების განსახლება გარკვეულწილად სავაჭრო-ეკონომიკურ ინტერესებთანაც იყო დაკავშირებული. ზ. ჭიჭინაძის დაკვირვებით, ბათუმში ეკლესიის აშენებას ითხოვდა ქართველ კათოლიკეთა გარკვეული რიცხვი და ის გარემოებაც, რომ ამ კუთხეში ცხოვრობდნენ ქართველი მაკმადიანებიც, რომლის დიდ ნაწილს შენარჩუნებული პქონდა მშობლიური ენა და მთელ ოლქში ქართულ ენაზე საუბრობდნენ. კათოლიკებს ბათუმში პატარა ეკლესიაც პქონდათ, სადაც წირვა-ლოცვა სომხურ ენაზე სრულდებოდა. საერთოდ, ქართველი კათოლიკები ლათინური ტიპიკონის საეკლესიო წესების მიმდევრები იყვნენ, მაგრამ რადგან ბათუმში ლათინური ორიენტაციის ეკლესია არ იყო, ამიტომ ისინი სომებს კათოლიკეთა ეკლესიაში დაიარებოდნენ და კათოლიკური აღმსარებლობის სომებს მდგვდელს ემორჩილებოდნენ, თუმცა მრევლი გამჟღვებით ცდილობდა ლათინური ტიპიკონის მატარებელი ქართველი მოძღვარი პყოლოდა. იყოლიეს კიდეც. მაგალითად, ზ. ჭიჭინაძე ასახელებს პატრი ანსელმო მღებრიშვილს, რომელიც სომხურ კათოლიკურ ეკლესიაში სამი წლის მანძილზე სწირავდა [ჭიჭინაძე, 1903:138].

გასული საუკუნის დასაწყისში ბათუმში კათოლიკეთა რიცხვი არც ისე დიდი იყო, რაზეც ისიც უნდა მიუთითებდეს, რომ ბათუმის

კათოლიკური ეკლესიის მშენებლობისათვის მრევლში ერთი თვის მანძილზე 1500 მანეთზე მეტი არ შეგრებილა. ვფიქრობთ, ეკლესიის აგების უმთავრესი მიზეზები სხვა ფაქტორებშიც უნდა ვეძებოთ. ერთ-ერთ ასეთ ფაქტორად ოსმალთაგან ხანგრძლივი დროით მიტაცებულ ქართულ მხარეებში ზოგადად ქრისტიანობის და არა მხოლოდ კონკრეტულად კათოლიკობის როლის ამაღლება შეიძლება მივიჩნიოთ. როგორც ჩანს, იმ დროს ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიას არ ძალუდა ფართომასშტაბიანი მოღვაწეობა და საქართველოს ფარგლებში, განსაკუთრებით ისლამიზებულ ზონებში, ესოდენ მაღალხარისხოვანი ეკლესიების მშენებლობა. გარდა ამისა, რუსეთის სინოდმა ქართულ ეკლესიას XIX საუკუნის პირველ ნახევარში ავტოკეფალია გაუქმდა და ქართულ ენაზე ლოცვაც აუკრძალა. სამაგიეროდ, ევროპის სახელმწიფოთა წინაშე ნაკისრი ვალდებულებით სინოდი ასეთ აკრძალვებს არ ახორციელებდა კათოლიკურ ეკლესიებში. ამით ისარგებლებს მოწინავე ქართველმა მოღვაწეებმა – მმებმა ზუბალაშვილებმა და დედასაქართველოსთან დაბრუნებული აჭარის ტერიტორიაზე, კერძოდ, ბათუმში, ააშენეს კათოლიკური ეკლესია, რომელშიც ნებადართული იყო ქართულ ენაზე ლოცვა და ქართველ მოწმუნებს შეუქმნეს ხელსაყრელი პირობები მშობლიურ ენაზე ლოცვისათვის, რაც მთავარია, ქართულ ენას განუმტკიცეს პოზიციები. წვეულებრივ, ქართველი კათოლიკები ყოველმხრივ შეკრულნი იყვნენ, მით უმეტეს, რომ აღმშენებლობით საქმიანობას ხელს უწყობდა ბიზნესში მათი სამმოს ცალკეულ წევრთა წარმატება, რაც აისახა კიდეც მმები ზუბალაშვილების დედის – ელისაბედ თუმანიშვილის ნატვრაში: „თუ ვინცობაა და ჩვენ ბაქოს ნავთის მრეწველობის საქმე კარგათ წაგვივიდა, მაშინ, საქართველოს რომელიმე კუთხეს ქართველ კათოლიკთავის ეკლესიას აღვაშენებთ“-ო [ჭიჭინაძე, 1903:134]. როცა გაირკვა, რომ ეკლესიის მშენებლობა მრევლის სახსრებით შეუძლებელი გახდა, დახმარებისთვის მიმართეს ცნობილ ქართველ ქველმოქმედს სტეფანე ზუბალაშვილს, რომელსაც ადრე ეწადა ბათუმში ეკლესიის აშენება. მან მრევლის თხოვნა დააკმაყოფილა და ეკლესიის მთლიანი მშენებლობა დააფინანსა.

1898 წლის 12 აპრილს ბათუმში დაიწყო გოთური ტიპის კათოლიკური ტაძრის მშენებლობა, რომელიც 1902 წლის 21 ივნისს დასრულდა. ნიშანდობლივია, რომ ტაძარს დღესაც ამკობს საკურთხევლის უკან მარმარილოს დაფაზე ამოკვეთილი შემდეგი წარწერა: „ტაძარი ესე ყოვლად-წმიდა ღვთის-მშობლი მარიამისათვის ზღუდი-თურთ, აღვაგე მე სტეფანე კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილმა საცხონებლად სულისა ჩემისა“. ორ შპილს ქვემოთ, ნიშებში გამოსახულია საქართველოს განმანათლებლის, წმიდა ანდრია პირველწოდებულებისა და მოციქულთა სწორ წმიდა ნინოს ბრინჯაოს ქანდაკებები [დაწვრ. იხ. ტოტოხავა,

1995:24-25].

ბათუმის ყოფილი კათოლიკური ეკლესია განსაკუთრებული არქიტექტურული ორიგინალობით გამოირჩევა. ბათუმელები მას ფრანგულ ეკლესიას ეძახდნენ.

ეკლესის რესტავრაციის პერიოდში ქართველი საზოგადოებრიო ბისათვის ცნობილი გახდა, რომ გარკვეულ მოთხოვნათა საფუძველზე სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქმა იღია II დასვა საკითხი ბათუმის კათოლიკური ეკლესის ნაგებობის საქართველოს საპატრიარქოზე გადაცემის შესახებ. საკითხი სპეციფიკური და მრავალმხრივ საყურადღებო იყო, რადგან საქმე იმ ტერიტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეს ეხებოდა, რომელიც ისტორიული განვითარების ბეჭდ-იღბლით XIX საუკუნის 70-იან წლებამდე მეტ-ნაკლებად განსხვავდებოდა საქართველოს სხვა პროვინციებისაგან.

ადრე, აჭარის საოლქო კომიტეტმა, იმდროინდელმა შმართველობით მა ორგანომ, საზოგადოებრივი აზრის შესწავლა დაიწყო და დასვა ასევე კონკრეტული კითხვა იმის თაობაზე, იყო თუ არა მართებული ბათუმის კათოლიკური ეკლესის საქართველოს საპატრიარქოზე გადაცემა. ქალაქის ინტელიგენციის წერილობით პასუხები არაცალსახოვანი გახლდათ. ათეისტ-კომუნისტთა ნაწილი კატეგორიულად უარყოფდა ეკლესის საჭიროებას და ეწინააღმდეგებოდა მის ამოქმედებას; მეორე, ამ მხრივ გაცილებით ზომიერი ნაწილი გამოსავალს ეკლესის შენობაში კულტურული დაწესებულების გახსნაში ხედავდა ან გარდამავალ საფეხურზე ასეთი დაწესებულების გახსნის შესაძლებლობას არ გამორიცხავდა და კომპრომისულ გადაწყვეტილებას კონკრეტული არგუმენტებით ხსნიდა, ხოლო საზოგადოების უმრავლესობა ნაგებობაში მართლმადიდებელი ეკლესის ამოქმედებას ითხოვდა, რითაც, დამაჯერებელი მოტივირებით, მათ შემდეგ ში ქალაქს სულიერი ფასეულობების დაკმაყოფილების შესაძლებლობა შეუქმნეს. საკითხის ასე დასმის პირობებში, პირველ რიგში, როგორც ჩანს, აჭარის მუსლიმანური მოსახლეობის საქართველოს სხვა ქრისტიანული პროვინციების მოსახლეობასთან ურთიერთობების რელიგიურ-სარწმუნოებრივი სფეროც ითვალისწინებოდა. დასამალი არაა, რომ ისტორიის გარკვეულ მონაკვეთებში, თუნდაც უახლოეს წარსულში, მიუხედავად ათეიზმის პროპაგანდისა, სხვა ფაქტორებთან ერთად სწორედ რელიგიურმა სხვაობამაც განაპირობა კუთხურობისა და პარტიკულარიზმის ისტორიულად ჩამოყალიბებული სტერეოტიპების სიცოცხლისუნარიანობა და აქედან გამომდინარე რიგ საკითხზე არასწორი შეხედულებების ფორმირება. ხშირად ეს იმიტომაც ხდებოდა, რომ პრაქტიკულად რელიგიური მიკუთვნებულობის ეთნიკურ მიკუთვნებულობაში ტრანსფორმაციის რეალური ნიადაგი არსებობდა. იდენტობის ეს ფორმა გულისხმობდა მოსახლეობაში რელიგიურობისა და ეროვნულობის ერთმანეთში

გათანაბრებას, რომლის კვლევასაც თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში უაღრესად დიდი ყურადღება ექცევა.

დისკუსიის პროცესში საზოგადოების ერთი ნაწილის მიერ ისიც ითქვა, რომ ქალაქში არსებული მართლმადიდებლური ეკლესია თითქოს „რუსულია” და მასში წირვა-ლოცვა რუსულად მიმდინარეობს, ამიტომ ისინი ქართული საგალობლებით „ქართული” მართლმადიდებლური ეკლესიის გახსნას ვარაუდობდნენ არა კათოლიკური ეკლესიის ხარჯზე, არამედ ახალი ეკლესიის აგების გზით. საუბარი იყო იმ დროს შემოქმედის ეპარქიაში შემავალი ქართულენოვანი მოქმედი ეკლესიის შექმნაზე. აქ ისიც უნდა ითქვას, რომ საერო ხაზის მეცნიერ-სპეციალისტთა გარკვეულ წრეებში გაჩნდა აზრი იმის თაობაზეც, კომუნისტური რეჟიმის რღვევის ეტაპზე ბათუმის მართლმადიდებლური ეკლესიის ისლამიზებულ ზონაში ამოქმედება საწინააღმდეგო რეაქციას – მუსლიმთა გამოცოცხლებასა თუ ჯამეებისა და მუსლიმანურ საკულტო ნაგებობათა აღდგენა-აღორძინებასა და მათ ინტენსიურ მშენებლობასაც გამოიწვევდა. ბუნებრივია, ეს ასეც მოხდა, რადგან ბათუმში არსებობდა ჯამე – მუსლიმთა საკულტო დანიშნულების ცენტრი. რელიგიური თავისუფლებისა და დემოკრატიული ფასეულობების კონსტიტუციურად აღიარების პირობებში ამ ფაქტს ნორმალური თვალთახდვით უნდა შევხედოთ, თუ, რა თქმა უნდა, ისლამი ჩვენში ფუნდამენტალიზმს არ დაუკავშირდა და ქვეყნის საზიანოდ პოლიტიკური ფუნქციით არ დაიტვირთა. იგი ყველა შემთხვევაში მხოლოდ სარწმუნოებრივი მისწრაფებებით უნდა დაქმაყოფილდეს. ბათუმის კათოლიკური ეკლესიის საქართველოს საპატრიარქოზე გადაცემისაგან თავშესაკავებლად მოქალაქეთა განსაზღვრულ ნაწილს რიგი მათვის ობიექტური სხვა მიზეზიც გააჩნდა. თანამოქალაქეთა ამ ნაწილში საკითხი ასე იდგა: ოღონდ ნაგებობაში მაღალი მაბვის დანადგარები, სახიფათო დეტანატორები და საწყობი მოშლილიყო და რადგან ეკლესიის გახსნას კომუნისტური ოფიციალური იდეოლოგია მაინც ეწინააღმდეგბოლდა, მათი აზრით, ისინი კომპრომისზე იმ შემთხვევაში წავიდოდნენ, თუ მათ შეეთავაზებოდა ამ ლამაზ ნაგებობას მხოლოდ კულტურული ღირებულება დაბრუნებოდა. ამ პოზიციის მომხრეთა ერთ ნაწილში დასახელებული ნაბიჯი ტაქტიკურ ეტაპობრივ სფლად იყო აღქმული, თუმცა მეორე კულტუროფილურ ნაწილში კულტუროლოგიური პოზიცია კონკრეტული თვალთახდვით იხსნებოდა. მათი შეხედულებით, აღნიშნული ეკლესია კათოლიკურია და ამდენად, იგი არქიტექტურულ-ესთეტიკური თვალსაზრისით, კათოლიკური გარემოსია და კათოლიკურ სულიერ სამყაროს შეესაბამება. ამიტომ, „გაკეთდება კარგი საქმე”, თუ ეკლესიაში სწორებ კათოლიკური მიმართულები-სათვის ნიშანდობლივი ორდანი დაიდგმება და შეიქმნება საორდანო-

საკონცერტო დარბაზი გარკვეულ აკუსტიკასთან და დამახასიათებელ კომპონენტებთან შესატყვისობაში.

საბოლოოდ, ბათუმის კათოლიკური ეკლესიის ნაგებობა საქართველოს საპატრიარქოს გადაეცა და ნაგებობაში მართლმადიდებლური ცხოვრება დაიწყო. საქართველოს პატრიარქის - ილია II მზრუნველობით უმოკლეს დროში ეკლესიამ აღორძინება დაიწყო და მან არა მარტო წმინდა საეკლესიო, არამედ უკეთილშობილესი საზოგადოებრივ-აღმზრდელობითი ფუნქციაც იტვირთა, რაც სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის, საქართველოს არაერთი კუთხის, მათ შორის აჭარის ერთ-ერთი მომქუდვისა და განმანათლებლის სახელის მატარებელი სასულიერო გიმნაზიის სრულფასოვანი ჩამოყალიბებით დაგვირგვინდა. საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ბათუმის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზიის პირველი რექტორის - მამა დავითის [ამჟამად ეპისკოპოს დიმიტრის] მეცადინეობით, ქალაქის საზოგადოებრიობამ მიიღო სკოლა, სადაც საღვთო რჯულის პარალელურად წარმატებით ისწავლება საერთ საგნები: ქართული ენა და ლიტერატურა, ისტორია, უცხო ენები, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება და სხვა. შემდეგში მართლმადიდებლური ეკლესიის კათოლიკებზე გადაცემის საკითხი კვლავ განაახლდა ცალკეულმა ცნობილმა ქართველმა პუბლიცისტმა და მეცნიერმა. ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ კათოლიკური დიასპორა ბათუმში არაა ისე მრავალრიცხოვანი, რომ ფართომასშტაბიანი გარემოთი დაქმაყოფილებას ითხოვდეს. ამასთან, ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებასაც, რომ ამ ტიპის საკითხები არაა ჩვენი გადასაწყვეტი, რადგან იგი უშუალოდ საქართველოს საპატრიარქოს კომპეტენციაში შედის და რაიმე გადაწყვეტილების საფუძველი შეიძლება მხოლოდ საქართველოს პატრიარქისა და რომის პაპის ურთიერთობაში იყოს. ამით ჩვენ არ გვინდა იმის თქმა, თითქოს მეცნიერს, ლიტერატორს ან უბრალოდ ეკლესიის ისტორიით დაინტერესებულ პირსა და ჩვეულებრივ მოქალაქეს ამა თუ იმ პრობლემაზე საუბრის უფლება არა აქვს, თუმცა არც ისაა მისაღები ესა თუ ის მოსაზრება საზოგადოებრივი აზრის ჩამოსაყალიბებლად გამოვიყენოთ, განსაკუთრებით ისეთ სათუთ თემასთან მიმართებაში, როგორიცაა მართლმადიდებლობა და კათოლიკობა საქართველოში. გარდა ამისა, საუბარი ახალი მართლმადიდებლური ეკლესიის მშენებლობისა და ძველის ბეჭის თაობაზე მიზანშეწონილია მხოლოდ მაშინ, როცა ნაცვალი ეკლესია აიგება [მგელაძე, ხელნაწერი, 1994].

ვინაიდან კათოლიკური ეკლესია მართლმადიდებლურ ტაძრად გადაკეთდა, ბათუმში მცხოვრებმა კათოლიკებმა საკითხი დააყენეს მთავრობისა და კათოლიკეთა ცენტრის, კერძოდ, რომის პაპის წინაშე, რათა მათთვისაც ახალი კათოლიკური ეკლესია აეშენებინათ. საკითხი რომის პაპმა დადებითად გადაწყვიტა და მშენებლობაც

თვითონა დააფინანსა. დღეს ეს პრობლემა სრულადაა გადაწყვეტილი და ბათუმის შესასვლელში – გოგებაშვილისა და შავშეთის ქუჩების კვეთაში აგებულია და ფუნქციონირებს კათოლიკური ეკლესია [მიქელაძე, 2007:61-62].

1873 წელს ბათუმში აშენდა სომხურ-გრიგორიანული ეკლესია. იგი მდებარეობს ვახტანგ გორგასალისა და კონსტანტინე გამსახურდიას ქუჩების კვეთაში. ეკლესია გუმბათოვანია, კონუსური ფორმის სახურავით. საბჭოთა ხელისუფლების წლებში ამ ტაძრის შენობაში პლანეტარიუმი ფუნქციონირებდა.

ბათუმის ოლქში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათა შორის განსაპირებული ადგილი სომხებს უჭირავთ. ბათუმის ოკრუგში მათი დამკვიდრება უკავშირდება 1877-1878 წლების ომსა და ომის-შემდგომ პერიოდს, ართვინის ოკრუგში კი ოსმალთა ბატონობის ხანას. სომებთა მცირე ჯგუფი ბათუმში ადრეც ცხოვრობდა. ავტორთა ერთი ნაწილი 1872 წლისათვის აქ მიუთითებდა 120 სომებს [სიჭინავა, 1958:110]. ისინი გრიგორიანები იყვნენ, ნაწილი – კათოლიკები. ართვინის მოსახლეობის ძირითად ნაწილს სომხები შეადგენდნენ [Кавказский календар,... 1892:9]. სომებთა რაოდენობა ბათუმის ოლქში მკვეთრად გაიზარდა 1895 წელს ოსმალეთში მათი პირველი კონფლიქტის შედეგ. მათ შორის ბევრი იყო გამაპმადიანებული სომები, რომლებსაც პეტშილებს ეძახდნენ [მგელაძე, ტუნაძე, 2005:235-251]. 1915 წელს ოსმალეთში კვლავ დაიწყო სომებთა დევნა, რამაც გაზარდა ლტოლვილთა რაოდენობა. 1916 წლისათვის ბათუმში იყო 4026 გრიგორიანი სომები, 1948 - სხვა რელიგიის მიმდევარი, მათგან 418 - დროებითი, დანარჩენი - მუდმივი მაცხოვრებელი. 1922 წლისათვის ბათუმში სომებთა რაოდენობა გაიზარდა 14969 კაცამდე დაწვრ. იხ. ტმგელაძე, ფუტკარაძე, 2008].

XIX საუკუნეში ქართველი მუსლიმანების მიერ ბათუმში სამი მეჩეთი აიგო: აზიზიეს მეჩეთი ანუ სულთან ჯამე, ორთაჯამე ანუ ახმედ ფაშას ჯამე და მუფთიეს ჯამე [ახვლედიანი, 1944:92, 122-135; კომახიძე, 2001:474]. ცნობილია, რომ აზიზიეს მოედანზე მეჩეთი აშენდა ხანუმ ვალიდეს მიერ სულთნის შვილის აბდულ აზიზის სახელზე [Дакишевич, 1890:2-3]. დასახელებულ მეჩეთთაგან დღეისათვის მხოლოდ ორთაჯამეა შემორჩენილი. სამეცნიერო ლიტერატურაში მიჩნეულია, რომ XIX საუკუნის დასაწყისიდან, უკვე რუსეთის იმპერიის მმართველობის პერიოდში, რეგიონში ისლამის გავრცელების ხელშემწყობ ფაქტორს სასულიერო სასწავლებლებისა და მეჩეთების მშენებლობა წარმოადგენდა. შემდეგში რუსეთის იმპერიის ინტერესებშიც შედიოდა მუსლიმებთან და მათ ლიდერებთან კარგი ურთიერთობისა და თანამშრომლობის დამყარება. მათდამი კეთილგანწყობა მუსლიმებზე ზრუნვით იხსნებოდა, თუმცა, როგორც ცნობილია, მზრუნველობა, უპირველეს ყოვლისა, გავლენიანი და მრავალრიცხოვანი სასულიერო წრეების, საერთო ორგანიზაციული სტრუქტურის

ფარგლებში კონტროლსა და იმპერიაზე დაქვემდებარებას გულისხმობდა. საბჭოთა პერიოდში ისლამი, ისე, როგორც სხვა რელიგიები, განსაკუთრებით მართლმადიდებლობა, განსაზღვრული ანტირელიგიური პროპაგანდის საფუძველზე იზღუდებოდა. ნაწილი სამლოცვალოებისა დაანგრიეს, ხოლო ნაწილი უფუნქციო დარჩა ან სხვადასხვა მიზნისათვის გამოიყენეს. საბჭოთა სახელმწიფოს არსებობის პირველ წლებში ადგილობრივი პარტიული მუშაკების საქმიანობა რელიგიის დარგში ხშირად სცდებოდა დეკლარირებულ წესებსა და ნორმებს, რაც მოსახლეობის მდელგარებასა და აჯანყებასაც კი იწვევდა [ბარამიძე, 2009:7-8]. უფრო მეტიც, ეს იყო არა კონკრეტულად ისლამის წინააღმდეგ, არამედ რელიგიურობისა და საერთოდ, დათის რწმენის წინააღმდეგ დაუნდობელი და ტოტალური ათეისტური ბრძოლა, რამაც არაერთი სულიერი და კულტურული ფასეულობა შეიწირა [იხ. Mgeladze, 1994:12-15]. საბჭოთა იმპერიის რდვევის შემდეგ რელიგიური ცხოვრება რეგიონში კვლავ გამოციცხლდა. ადსდგა ძველი ან აშენდა ახალი სამლოცველოები, მათ შორის მეჩეთები და მინარეთები შესაბამისი სასულიერო სასწავლებლებით - მედრესეებით [ბარამიძე, 2008:40-51]. მაგალითად, 1985 წელს ბათუმის ჯამეს რკინა-ბეტონისაგან ჩამოსხმული მოჩუქურობებული მინარეთი დაუყენეს, რომელმაც ნაგებობას თავისებური ესთეტიკური იერსახე მისცა და ზღვის სანაპიროზე არსებულ ნაგებობათა შორის მნიშვნელოვანი ადგილი დაუმკვიდრა.

ბათუმში ცხოვრობენ როგორც აშენაზი, ისე სეფარდი ებრაელები. ზოგადად ებრაელთა ამგვარ დაყოფას ხანგრძლივი ისტორია გააჩნია. მათ შორის განსხვავება ვლინდება ლოცვის წესებში, სინაგოგის მოწყობაში, ტრადიციული ყოფითი კულტურის სხვა საკითხებში. აშენაზ ებრაელებს მიეკუთვნებიან ეკროპელი ებრაელების დიდი ნაწილი. ისინი ჩამოყალიბდნენ შუა საუკუნეების გერმანიაში და გავრცელდნენ ევროპის სხვა ქვეყნებში, აგრეთვე ამერიკაში, აფრიკაში, ავსტრალიაში. სეფარდი ებრაელები კი ჩამოყალიბდნენ: ესპანეთში, პორტუგალიაში, იტალიაში, თურქეთში, აზიაში, ბალკანეთში, აფრიკის ნაწილში. მკვლევართა ნაწილი მათთან აერთიანებს იმ ებრაელებსაც, რომლებიც არ არიან აშენაზები და პირდაპირი კავშირი არ აქვთ სეფარდებთან. მაგალითად, კავკასიის ებრაელები. ამ სათვისტომოთა სალაპარაკო ენაა იდიში და ლადინო, რომლებიც თანდათანობით ხმარებიდან გამოდის. ეს ენები ებრაელთა სხვადასხვა ხალხებთან ასიმილაციის პროდუქტს წარმოადგენს და მსოფლიოს ებრაელთა უმრავლესობამ არ იცის. ამჟამად, ისრაელში სახლმწიფო ენაა იურითი - ძველი ებრაული.

ევროპელმა ებრაელებმა ბათუმში დამკვიდრებისთანავე არადეგალურად დააარსეს სალოცავი სახლი. განათლებულმა აშენაზმა ებრაელებმა სინაგოგის გახსნის თაობაზე მიმართეს ქუთაისის გუბერნიის გუბერნატორს, რომელიც აცნობებდა კავკასიის მეფისნაცვალს

1895 წლის 21 ივნისს: „თქვენს მაღალ კეთილშობილებას ვაცნობებ, რომ ბათუმში დიდი რაოდენობით ცხოვრობენ ებრაელები... ებრაელების დიდი სურვილია, რომ ქალაქში პქონდეთ მათ სალოცავი სახლი, აქეთკენ არის მიმართული მათი საქმიანობა. ამ რამდენიმე ხნის წინ ჩემთან იმყოფებოდა 10 ებრაელი ბათუმიდან და მათ მომიტანეს სინაგოგის პროექტი”. ხოლო შემდგომ, მთხოვობელთა თქმით, უშუალოდ მიმართეს იმპერატორ ნიკოლოზ II-ს: „თქვენი აღმატებულებავ, - ნათქვამი ყოფილა მიმართვაში, - ჩვენ, ბათუმელი ებრაელები გთხოვთ, ნება დაგვრთოთ სინაგოგის ასაშენებლად. ეს საჭიროა ერთი ღმერთისათვის სალოცავად, რათა, მან მოგცეთ შთამომავალი-ძე, რამეთუ თქვენ ქალიშვილები გყავთ”. შინაგან საჭმეთა მინისტრმა სინაგოგის გახსნის თაობაზე დაწერა ოფიციალური ბრძანება 1899 წელს, რის შემდეგაც ბათუმის ევროპელმა ებრაელობამ თურქი მოქალაქისაგან 2000 მანეთად შეისყიდა ნაქირავები შენობა. სინაგოგაში პირველი დოცვა 1904 წელს აღევლინა.

1923 წელს სინაგოგა დაიხურა. წლების მანძილზე სინაგოგის ამ შენობაში არსებოდა სპორტული ორგანიზაციები – შევარდენი და სპარტაკი. 1998 წლამდე ფუნქციონირებდა კულტურული ცენტრი „ქართველთა და ებრაელთა ურთიერთქავშირი“. 1998 წლის ნოემბრიდან შენობამ კვლავ დაიბრუნა რელიგიური სტატუსი. მდებარეობს ვაჟა ფშაველას ქ. №33-ში.

მაშიახ ჯანაშვილმა, აბრამ ხუხაშვილმა, არონ აშურმა მოქალაქე სიმონ ენუქიძისაგან 1920 წელს შეისყიდეს კერძო სახლი, რომელიც სახუქრად გადასცეს ქართველ ებრაელთა თემს, რათა ამ სახლში ქართველ ებრაელთა სინაგოგა გახსნილიყო. აღნიშნული პერიოდიდან ეს სახლი სინაგოგის ფუნქციას 9 მარტის ქუჩაზე ასრულებდა 2000 წლამდე. ამ წელსვე ხანძრის გამო შენობა დაზიანდა [ლორია, 2009:58-64].

ქართველი ხალხის ტოლერანტული ბუნება საქართველოში დასახლებული სხვადასხვა ეთნიკური ჯაზფებისადმი და დიასპორებისადმი, რაც ერის შემწყნარებლურ ხასიათშია გამოხატული, კარგიდ ჩანს ბერძნულ-ქართულ ურთიერთობათა ფონზე. ბერძენთა დიდი ნაკადი - 253 ოჯახი [2107 სული] - აჭარაში ჩამოსახლდა 1881 წლის 6 ნოემბერს [დემუროვა, 1983:97]. ისინი იყვნენ სივასის ვილაიეთის საჯარის სხვადასხვა სოფლებიდან, მიდიოდნენ ყარსის ოლქში დასასახლებლად, მაგრამ დიდოოვალობის გამო მიმართულება შეიცვალეს და ბათუმში შემოვიდნენ. 1907 წლისათვის ბათუმის ოკრუგიდან საკუთრივ ბათუმში ბერძნები ცხოვრობდნენ დაახლოებით 3500 სული. 1917 წლისათვის კი ბათუმში ბერძენთა რაოდენობა შეადგინდა 4008 სულს. 1922 წელს ბათუმში ბერძენთა რაოდენობა გაიზარდა 7629 სულამდე [დაწერ. იხ.: მგელაძე, ფუტკარაძე, 2008].

ოსმალთა სამასწლიანი ბატონობის პერიოდში ბათუმში ეკლესია-მონასტრების მშენებლობას მთელი რიგი დაბრკოლება ექმნებოდა, მაგრამ ზოგიერთი მათგანის აშენება მაინც მოხერხდა. ამის ნათელი მაგალითია ბათუმში მცხოვრები ბერძნების მიერ დაწყებული წმიდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესია. მიუხედავად იმისა, რომ ეკლესიის მშენებლობა ოსმალეთის სულთნის თანხმობითა და ნებართვით ხდებოდა, ადგილობრივმა მმართველობამ რამდენჯერმე შეაჩერებინა მშენებლობა იმ მოტივით, რომ ბერძნები ეკლესიის მაგიერ თითქოს ციხესიმაგრეს აშენებდნენ. შექმნილი ვითარების გამო ბერძნებმა თხოვნით მიმართეს ტრაპიზონის მიტროპოლიტს – კონსტანტინეს და რუსეთის ვიცე-კონსულს ბათუმში – ჯიუდიჩს. ერთიანი ძალისხმევით მათ შეძლეს ფირმანის მიღება, რომლითაც შესაძლებელი გახდა ეკლესიის მშენებლობის გაგრძელება [კომანძე, 2001:374]. ეკლესიის მშენებლობა 1865 წელს დასრულდა, თუმცა არსებობს სხვა მოსაზრებებიც. გუმბათოვანი მართლმადიდებლური ტაძარი კლასიკურ სტილს მიესადაგება. მას 1999 წელს ჩაუტარდა კაპიტალური რესტავრაცია. განახლებული ტაძარი ერთ-ერთი ყველაზე ძველი სალოცავია ბათუმის ტერიტორიაზე. ეკლესია მდებარეობს ფარნავაზ მეფის ქ. № 20-ში [მიქელაძე, 2007:60]. სამლოცველოები პქონდათ სოფლად მცხოვრებ ბერძნებსაც [ლეკვეიშვილი, 2000:28].

ამრიგად, დემოკრატიული ფასეულობების დამკვიდრების, მათ შორის ტოლერანტული შეხედულებების ჩამოყალიბებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სხვადასხვა ეთნოსთა თუ რელიგიათა კულტურული ფასეულობების ურთიერთგაცნობას, მათ დაახლოებას. საზოგადოება უნდა იყოს ფართოდ ინფორმირებული რელიგიათა კულტურული მიღწევების შესახებ, რათა საკუთარი რელიგიური აღმსარებლობის ფარგლებში ადამიანებს ჩამოუყალიბდეთ სხვა რელიგიისადმი პატივისცემისა და შემწყნარებლობის უნარი. აღსანიშნავია ისიც, რომ საკულტო ნაგებობა რელიგიური თემის ცხოვრების წესის განსაზღვრისა და მოსახლეობის სულიერი კოორდინაციის თვალსაზრისით გადამწყვეტი ფუნქციის მატარებელია. იგი საზოგადოებისათვის არა მარტო სულიერი ყოფის ცენტრი, არამედ გარკვეული სოციოკულტურული ღირებულებების მქონე არქიტექტურული ძეგლიცაა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. **ახვლედიანი ხ.**, ნარკვევი აჭარის ისტორიიდან (მე-16-19 საუკუნეები), ბათ., 1944.
2. **ბარაშიძე რ.**, სამუსლიმანო სასულიერო გაერთიანების ორგანიზაციისა და ფუნქციონირების თავისებურებანი აჭარაში. - ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის „შრომები”, VII, ბათ., 2008.
3. **ბარაშიძე რ.**, ისლამი და მუსლიმები აჭარაში (ისტორიულ-ეთნოლოგიური და სოციო-კულტურული ასპექტები), - „ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი ანოტაცია”, ბათ., 2009.
4. **დემუროვა ლ.**, ბერძენთა დასახლების ისტორიიდან აჭარაში, - „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს კულტურა”, X, თბ., 1983.
5. **კომახიძე თ.**, რელიგია და სადღოსმსახურო ნაგებობები აჭარაში, ბათ., 2001.
6. **ლეკვეიშვილი ს.**, ასე იწყებოდა ქალაქი, ბათ., 2000.
7. **ლორია მ.**, საქართველოს შავიზდვისპირეთის ებრაელები: ისტორია, ეთნოგრაფია, კულტურა, ბათ., 2009.
8. **მგელაძე ნ.**, ეთნოკულტურული პროცესები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში - წარსული და თანამედროვეობა, ხელნაწერი, ბათ., 1994, იხ. საოჯახო არქივი.
9. **მგელაძე ნ., ტუნაძე თ.**, ჰემშინთა ისტორიისათვის აღმოსავლეთ თურქეთსა და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. „საისტორიო მაცნე”, ბათ., 2005.
10. **მგელაძე ნ., ფუტკარაძე თ.**, მოსახლეობის დინამიკა, ეთნოკონფესიური და სოციალური სტრუქტურა, - „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები - აჭარა”, III, ბათ., 2008.
11. **მიქელაძე ჭ.**, ქალაქ ბათუმის არქიტექტურული ძეგლები, - ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის „შრომები”, V, 2007.
12. **სიჭინაგა გ.**, ბათუმის ისტორიიდან, ბათ., 1958.
13. **ტოტოჩავა გ.**, „რა არ შეუძლია დვთისა და ერის სიყვარულით სავსე გულებს”, - ქურნ. „მარჯი”, №1, ბათ., 1995.
14. **ჭიჭინაძე ზ.**, კათოლიკეთა ეპლესია საქართველოში, ტფ., 1903.
15. **Дакишевич Н.**, Батум, Тиф., 1890.
16. **Кавказский** - Кавказский календарь на 1892 год, отд. II, Тиф., 1892.
17. **Mgeladze N.**, Ajarians, - Encyclopedia of World Cultures, vol. VI. Russia and Eurasia/China. Boston, Massachusetts, 1994.

Nugzar Mgelandze, Manuchar Ioria (Batumi, Georgia)

**Current Religious Picture of Batumi
(Catholics, Gregorian, Muslims, Jewish, Orthodox Greeks)**

Summary

Batumi is a poly ethnical town. Side by side Georgians there are Greeks, Armenians, Russians, Jewish, Abkhazians and representatives of different nations in Batumi. Traditional religious confessions of ethnical groups inhabited in Batumi are Christianity (Orthodoxy, Catholicism and Gregorian), Islam and Judaism. The research based on investigation of ethnographical and special literature provides the illustration of historical features and fragments of current religious picture of Catholics, Gregorian, Muslims, Jewish and Orthodox Greeks in Batumi.

რესლან ბარამიძე (ბათუმი, საქართველო)
სერგეი რუმიანცევი (ბაქო, აზერბაიჯანი)

ბათუმის მეჩეთები (წარსული და თანამედროვეობა)

ბათუმის მეჩეთების ისტორია ოსმალთა ბატონობის დროიდან იწყება. თავდაპირველად, ვიდრე ბათუმი პატარა დასახლებული პუნქტი იყო [გამბა, 1987: 262], რომელიც ძირითადად წარმოადგენდა ერთგვარ სამხედრო და ნაკლებად სავაჭრო ადგილს, მეჩეთები ქალაქში არ ფუნქციონირებდა. ამგვარი ვითარება იმდროინდებული ბათუმის მცირე მნიშვნელობით უნდა ყოფილიყო განპირობებული. მოგვიანებით, ქალაქის სამხედრო-სტრატეგიული დანიშნულების ზრდასთან ერთად, გაიზარდა ყურადღება მისი განაშენიანების მიმართ, რამაც მეჩეთების მშენებლობაც განაპირობა. ბათუმის როლის ზრდა მოსახლეობის რაოდენობაზეც აისახა. სტატისტიკური ცნობების მიხედვით უკვე 1871-1873 წლებისათვის ქალაქსა და მის შემოგარებში 8324 მოსახლე ცხოვრობდა, რომელთა უმრავლესობა მუსლიმი იყო [Джудиц, 1873]. ამას მეჩეთების მშენებლობაც მოჰყვა. ა. ავალიანის აზრით, პირველი, ე.წ. აზიზიეს მეჩეთი ბათუმში 1863 წელს უნდა აგებულიყო ქალაქის განაშენიანების გეგმის ფარგლებში [ავალიანი, 1960: 94-100]. ის სულთან აზიზის დედის, ვალიდე ხანუმის ინიციატივით გაკეთდა ოსმალო სამხედროებისთვის ნავსადგურის მიდამოებში [Френкель, 1879: 62]. დაახლოებით ამ პერიოდიდან იწყება მეჩეთების ფართო მშენებლობა აჭარაში [ჭიჭინაძე, 1913: 99; ავალიანი, 1960: 94-100], თუმცა, ჩვენი აზრით, ეს პროცესი მცირე მასშტაბით გაცილებით ადრე უნდა დაწყებულიყო.

მეორე მეჩეთი ახმედ-ფაშა ხიმშიაშვილს აუგია ბათუმის ყურეს სიახლოეს თავის რეზიდენციასთან, რომელიც ახმედიეს მეჩეთის სახელით გახდა ცნობილი [Кальфоглу, 1905: 41]. ეს მეჩეთი ხის იყო [Френкель, 1879: 62] და მაღლ დაიწვა. მის ადგილზე მაღლ, 1866 წელს, ორთა (ახმედიე) ჯამე აშენდა, რომელიც ლაზ თხტატს მოუხატავს [უზუნაძე, 2001: 100]. ეს მეჩეთი ძირითადად ქართველ მუსლიმებზე იყო გათვლილი. მესამე მეჩეთი 1870-1973 წლებში ყოფილა აგებული ვიდაც მუფთის მიერ და მუფთიეს სახელით იყო ცნობილი [უზუნაძე, 2001: 100]. აღნიშნული სახელები, მეჩეთების მნიშვნელობიდან გამომდინარე, მაშინდელი ბათუმის სამი დასახლებული უბნის სახელწოდების წარმოქმნას დაედო საფუძვლად [სიჭინავა, 1958: 106]. შესაბა-

მისად, ეს უბნები იყო აზიზიე, ახმედიე და მუფთიე. ეს თავის მხრივ ოსმალეთის პერიოდში მეჩეთის განსაკუთრებული ფუნქციითაც იყო განპირობებული – ის აჭარული სოფლის (დასახლების) მაცხოვრებელთა დამაკავშირებელ რელიგიურ და სოციალურ ცენტრს წარმოადგენა [Казбек, 1876: 27.; Лисовский, 1887: 79]. თუმცა, ზოგიერთი ავტორის ცნობით, იმდროინდელი მეჩეთებიდან მხოლოდ აზიზიეს მეჩეთი იყო ნორმალურ მდგრამარებაში, დანარჩენი კი მხოლოდ მიშენებული მინარეთებით თუ განსხვავდებოდა სხვა შენობებისგან [Френкель, 1879: 62].

დამოუკიდებელი ფუნქციონირებისათვის მეჩეთებს საკუთარი შემოსავალი სჭირდებოდა. მეჩეთების შემოსავლის ერთ-ერთ ძირითად სახეს ვაყუფები წარმოადგენენ, თუმცა ისინი მხოლოდ აზიზიეს მეჩეთს გააჩნდა [Батумъ..., 1906: 106]. ასევე სხვადასხვა საჭიროებისათვის მოსახლეობა ყოველწლიურად იხდიდა გადასახადს – ვეზიფეს, რასაც მარხვასა და სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა შესაწირი ემატებოდა [ახვლედიანი, 1943: 36].

მეჩეთებთან სასულიერო-საგანმანათლებლო ქსელიც მუშაობდა. ბათუმის ოლქში 3 მედრესე და 28 მექთებე მოქმედებდა [Джудич, 1873; ახვლედიანი, 1943: 132-135]. ბათუმის მედრესეს უმაღლესი სტატუსი ჰქონდა, სადაც რეგიონის წარჩინებული მოსწავლეები გადიოდნენ სწავლებას, ხოლო საუკეთესოებს აქვთ სტამბულში აგზავნიდნენ შეიხ-ულ-ისლამის სკოლაში [Френкель, 1879: 85, 126; ბაქრაძე, 1987: 73]. ბათუმში მოქმედებდა ასევე რუმბიეს ტიპის (საერთ ხასიათის ოსმალური სკოლა) სასწავლებელიც [Френкель, 1879: 85, 132-136; „დროება“, 1882, №270]. ახალგაზრდებს სამსახურისგან მოუწყვეტლივ დილის დერსებშიც ასწავლიდნენ [ახვლედიანი, 1943: 131].

1878 წლიდან, როცა ბათუმი რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში გადავიდა, ქალაქის მოსახლეობა თანდათან იზრდება, ამასთანავე, იცვლება მისი ეთნიკური და რელიგიური შემადგენლობა [Отчет..., 1882: 115-116; სიჭინავა, 1958: 115; Батумъ..., 1906: 16, 17, 24]. ამის გამო, აზიზიეს მეჩეთი, რომელიც ძირითადად თურქებისათვის იყო განკუთვნილი, ჩქარა კარგავს ფუნქციას და თავის საკუთრებასაც. დანარჩენი ორიდან, რომლებიც ქართველ მუსლიმებს ემსახურებოდა, მუფთიეს მეჩეთმა, ამ კატეგორიის მოსახლეობის შემცირების გამო, თანდათან დაკარგა ფუნქცია და ქალაქში მხოლოდ ერთი მოქმედი მეჩეთი – ახმედიე შემორჩა.

რუსეთის იმპერია კავკასიის მაკმადიანური საზოგადოების ორგანიზაციულ საკითხებს 1872 წლის დებულებით აწესრიგებდა [Положение..., 1872; ბარამიძე, 2008: 38-39]. უნდა ვივარაუდოთ, რომ აჭარაშიც ამ დოკუმენტზე დაყრდნობით ხდებოდა მუსლიმთა სასულიერო მართვა და შესაბამისი საქმისწარმოება [სახოკია, 1950:161-163].

აჭარაში რუსულ მმართველობას ვაყუფების შემცირება ან გაუქ-

მება მოჰყვა, მათ შორის ბათუმის აზიზიეს მეჩეთის ვაჟუფებისაც [აცსა, ფ. 0-81, ან. 1 ს.1. ფ. 73-87; სსცსა, ფ. 229, ან. 1, ს. 1297, ფ. 2-8; სსცსა, ფ. 12, ან. 10, ს. 2026, ფ. 1-11; ასცა, ფ. 0-7, ან.1, ს. 338. ფ 8-9; ასცა, ფ. 0-6, ან.1, ს.238, ფ. 38; ბარამიძე, 2004: 40-43]. ამ საკითხის მოწესრიგების თხოვნით გარკვეული შუამდგომლობა პეტერბურგში ოსმალეთის ელჩსაც პქონდა [ასცა, ფ. 0-6, ან. 1, ს. 238, ფ. 38]. საყურადღებოა, რომ მეჩეთისათვის ჩამორთმეულ ტერიტორიაზე შემდგგ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ინიციატივით ბათუმის პირველი ქართული სკოლა აშენდა, სადაც ერთხანს მუსლიმური რელიგიური საგნებიც ისწავლებოდა [ნიორაძე, 1958: 13, 42-43, 83-90].

რუსეთის იმპერიის პერიოდში მოქმედებდა რელიგიური სასწავლებლების ფართო ქსელი [Батумъ..., 1906: 17], რომელშიც თბილისში მოქმედი, როგორც სუნიტებისათვის, ისე შიიტებისათვის განკუთვნილი სპეციალური სასულიერო სასწავლებელიც შედიოდა [ანდრიაშვილი, 1984: 41; ბაინდურაშვილი, 2008: 50].

XX საუკუნეში დაწყებულ როცენტში, ბათუმის მეჩეთს, როგორც სოციალურ ორგანოს, განსაკუთრებული ადგილი ეკავა. 1917 წელს ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლობითი კრების მიერ დაფუძნებული „ქართველ მუსლიმანთა კომიტეტის“ სხდომები ერთხანს სწორედ აქ იმართებოდა [მესხია, 1997: 8-9]. მეჩეთს, როგორც ტრიბუნას, ანტიქართული ძალებიც იყენებდნენ [ანდრიაშვილი, 1973; ანდრიაშვილი, 1984].

საქართველოს დამოუკიდებელობის მოკლე პერიოდში იყო „სამუსლიმანო საქართველოს“ რელიგიურ-კულტურული უფლებების გათვალისწინების ცდა, რაც 1921 წლის 21 თებერვლის საქართველოს კონსტიტუციაშიც აისახა, თუმცა, მეჩეთების ფუნქციონირებაზე ამას დიდი ზეგავლენა არ მოუხდენია.

1921 წლიდან საქართველოს დგმოკრატიული რესპუბლიკის დაპყრობას მეჩეთების ისტორიაში ახალი ეტაპი მოჰყვა. საბჭოთა კავშირი 1917 წლიდან მუსლიმი მოსახლეობისა და სასულიერო პირების კონტროლის მიზნით ქმნის მუსლიმების საქმეთა კომისარიატს ეროვნული უმცირესობების კომისარიატის ფარგლებში. 1921 წლიდან მხგავსი სტრუქტურა შეიქმნა აჭარაშიც ეროვნულ უმცირესობათა სახალხო კომისარიატის ფარგლებში. მუსლიმთა სექციას ქართველ (მათ შორის ლაზი), თურქ და ქურთ მუსლიმებთან მუშაობა ევალებოდა, რომლებიც ქალაქის მოსახლეობის 50% შეადგენდნენ [აცსა, ფ. პ-1, ან. 1, ს. 38, ფ. 1-2; აცსა, ფ. პ-1, ან. 1, ს. 77, ფ. 1-95; ბარამიძე, 2008: 48-57]. სექცია ძირითადად აწარმოებდა ადმინისტრაციულ, ორგანიზაციულ, ინფორმაციულ, სააგიტაციო-პროპაგანდისტულ და რეპრესიულ საქმიანობას. ამ მიზნით ტარდებოდა შეხვედრები, მიტინგები, ლექციები [აცსა, ფ. პ-1, ან. 1, ს. 77, ფ. 72], იხსნებოდა სამკითხველო სახლები [აცსა, ფ. პ-1, ან. 1, ს. 77, ფ. 73-74] და წარმოებდა მუსლიმების კომუნისტურ პარტიაში გაწევრიანება [აცსა, ფ. პ-1, ან. 1, ს.

77, ფ. 27]. მისი ბეჭდვითი ორგანო თურქულენოვანი გაზეთი „იშთორაქი“ იყო [აცხა, ფ. პ-1, ან. 1, ს. 38, ფ. 1-2]. სექციისა და სხვა სტრუქტურების საქმიანობა გვიჩვენებს, რომ გასაბჭოების პირველ პერიოდში რელიგიური პოლიტიკის ქუთხით აჭარაში აქცენტი რელიგიური სისტემების განადგურებაზე იყო აღებული. ახალი ხელისუფლება რელიგიის მიმართ დათმობებს და მუსლიმთა მხარდაჭერას მხოლოდ საწყის ეტაპზე ახდენდა [ბარამიძე, 2008: 46-73]. მთავარი აქცენტი მუსლიმთა ლიდერებისა და რელიგიური ცენტრების განადგურებაზე იყო აღებული. ამ მიზნით უშიშროების სამსახურის მიერ ჩატარებული საანგარიშო კვლევები იძლეოდა არსებული სიტუაციის ამომწურავ ანალიზს, რის შედეგადაც რელიგიურ ლიდერთა აღრიცხვა და მათი კონტროლი აღმინისტრაციულ-ძალადობრივი მეთოდებით შედარებით ადვილად ხორციელდებოდა [ფ. პ-1, ან. 3, ს. 54]. ამას თანდათან პარტმუშაკების თვითნებობა და აღმინისტრაციული მეთოდების აქტიური გამოყენება მოჰყვა [სპა, ფ. 14, ან. 4, ს. 301, ფ. 150, 154, 157]. საყურადღებოა, რომ ამავე პერიოდში მეჩეთებს და იქ შეკრებილ მრევლს ანტისაბჭოური და პროთურქული პროპაგანდისათვისაც იყენებდნენ [ანდრიაშვილი, 1973; ანდრიაშვილი, 1984]. ამ პროცესების შედეგად XX საუკუნის 20-იანი წლების ბოლოს და 30-იანი წლების დასაწყისში გაუქმდა სამუფთო, დაიხურა მეჩეთები და მედრესები [ანდრიაშვილი, 1984: 55], მცირე ხნით დაიხურა ბათუმის მეჩეთიც. ათეისტურ-პროპაგანდისტული კუთხით წარმართული ძირითადი სამუშაოები 1930 წლისათვის დასრულდა. ამის შემდეგ ხელისუფლება, ფაქტობრივად, მიღწეულის შენარჩუნება-დამკვიდრებაზე ზრუნავს. მიუხედავად იმისა, რომ ანტირელიგიური და კონტრეგოლუციური ბრძოლა პრაქტიკულად დასრულებული იყო, საბჭოთა ხელისუფლება მეორე მსოფლიო ომის წინა პერიოდში მუსლიმი მოსახლეობის რეპრესიებსაც არ ერიდება [ნათმელაძე, 1993: 33-34; დუმბაძე, 2002: 26-27; ჯანიაშვილი...]. ამის შემდეგ საბჭოური სისტემა შემოიფარგლებოდა მიღწეული წარმატების კონტროლით, რაც შესაბამის ინსტრუქციებსა და რეკომენდაციებს ეყრდნობოდა [О религии..., 1977: 105-117; Емелианова, 1999: 78, 86]. ინერგებოდა ახალი საბჭოური რიტუალებიც [ბარამიძე, 2008: 57-63].

რელიგიურ სფეროში 1940-იანი წლებიდან დაწყებულმა ერთგვარ-მა დემოკრატიულობამ ბათუმში, როგორც საპორტო და საკურორტო ქალაქში, მეჩეთის მოქმედების აღდგენა განაპირობა. იგი ამ პერიოდიდან უწევებად ფუნქციონირებს. ამავე დროიდან საქართველოს სსრ-ში მინისტრთა საბჭოებთან იქმნება რელიგიურ საქმეთა საბჭოები, რომლებიც რელიგიური ჯგუფების კონტროლისა და მართვის მიზნით აწარმოებენ საქმიანობას არსებული კანონმდებლობისა და შესაბამისი დირექტივების ფარგლებში [საბჭოთა..., 1982].

საბჭოთა პერიოდიდან ბათუმში მოქმედებს ორთაჯამის მეჩეთი, რომელიც 1990-იანი წლების შემდეგ ფუნქციონირად წარმოადგენს როგორც საკრებულო მეჩეთს, ისე (1995 წლიდან) სამუფთოს ცენტრა-

ლურ მეჩეთსაც (თუმცა მას არ აქვს ოფიციალური სტატუსი). მასთან მოქმედებს რელიგიური სასწავლებელი. მეჩეთს ასევე გააჩნია ფართი, რომელსაც აქირავებს.

სამუფოოში დაცული დოკუმენტებით ორთაჯამის მეჩეთი 1866-1935 წლებში უწყვეტად მოქმედებდა. 1935 წლიდან ის დაიკეტა და ძირითადად სამხედრო საწყობად გამოიყენებოდა. 1946 წლიდან ის აღადგინეს [ბარამიძე, 2008: 164]. 1995 წლის შემდეგ გაუკეთდა მინარეთი, ხოლო 2007 წელს ბოლო, ძირითადი რემონტი ჩაუტარდა, რომლის დროს მოწესრიგდა მეორე სალოცავი დარბაზი, შესასვლელები, გამოიყო გასაქირავებელი ფართი, სამუფოო ადმინისტრაციის ფართი, სასწავლებლის კლასები, საცხოვრებელი და სამურნეო ოთახები [ბარამიძე, 2008-2009]. ბათუმის მეჩეთის პერსონალს წარმოადგენენ მუფტი, სამუფოო აპარატი, მეჯლისი და იმამები. რელიგიური სასწავლებელი მოქმედებს პანსიონატის ფორმით, სადაც ბათუმის სხვადასხვა სასწავლებლის მოსწავლეები და სტუდენტები ცხოვრობენ და სწავლობენ [ბარამიძე, 2008: 176-181].

მეჩეთში იმართება როგორც ყოველდღიური, ისე სადღესასწაულო ლოცვები, ქადაგებები, ვედრებები. სადღესასწაულო ლოცვებისათვის მორწმუნებს მუედინი მოუხმობს. თავისი სტატუსისა და მნიშვნელობის გამო მეჩეთს ხშირად სტუმრობენ სახელმწიფო მოხელეები, სხვადასხვა ორგანიზაციებისა და კონფესიების წარმომადგენლები, ტურისტები.

ამრიგად, ბათუმში მეჩეთების არსებობასა და ფუნქციონირებაზე ძირითად გავლენას ქალაქის განაშენიანების თავისებურებანი ახდენდა. ოსმალეთის პერიოდში, ქალაქის მნიშვნელობის ზრდასთან ერთად, შენდება მეჩეთები ოსმალო სამხედროებისათვის და ქართველი მუსლიმებისათვის. რუსეთის იმპერიის პერიოდში, ქალაქგანვითარებისა და მოსახლეობის შემადგენლობის ცვალებადობასთან ერთად, ოსმალო სამხედროებისათვის განკუთვნილი მეჩეთი ფუნქციას კარგავს, ხოლო ქართველი მუსლიმების მეჩეთებიდან მხოლოდ ერთი რჩება. საბჭოთა პერიოდში ორთაჯამის მეჩეთი, საბჭოთა პოლიტიკის გავლენით, მცირე ხნით იკეტება, თუმცა, ქალაქის დანიშნულებიდან გამომდინარე, მოგვიანებით ისევ იღება. დამოუკიდებლობის პერიოდიდან ბათუმის მეჩეთი აჭარის სამუფოო ცენტრი ხდება და მას შესაბამისი ადმინისტრაციული, საფინანსო და საგანმანათლებლო ფუნქციებიც ემატება.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

1. აჭარის არ ცენტრალური სახელმწიფო არქივი (აცსა), ფონდი პ-1, ანაწერი 1, საქმეები №№ 38; 77.
2. აცსა, ფ. პ-1, ან. 3, ს. 54.
3. აცსა, ფ. ი-81, ან. 1 ს. 1.
4. აცსა, ფ. ი-6, ან. 1, ს. 238.
5. აცსა, ფ. ი-7, ან. 1, ს. 338.
6. სპა, ფ. 14, ან. 4, ს. 301.
7. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი (სცსა), ფონდი 12, ანაწერი 10, საქმე 2026.
8. სცსა, ფ. 229, ან. 1, ს. 1297.
9. ა. ავალიანი, მიწათმფლობელობს ფორმები აჭარაში (თურქეთის ეპონომიკური განვითარება 1878-1907 წლებში), ბათ., 1958.
10. რ.ანდრიაშვილი, ისლამის დოგმატიკა და სოცილური მოძღვრება, თბ., 1984.
11. რ. ანდრიაშვილი, მუსულმანური სამდგდელოების შემგუებლური ტენდენციები საქართველოში, – რელიგიური გადმონაშოების დაძლევის პროცესი საქართველოში, თბ., 1973.
12. ბ. ახვლევიანი, ნარკვევი აჭარის ისტორიიდან (XVI-XIX საუკუნეები), ბათ., 1943.
13. ბ. ბაინდურაშვილი, ისლამი და მუსლიმები XIX საუკუნის თბილისში (სტაგნაციის პერიოდი), – ნოდარ შენგალია, 75, თბ., 2008.
14. ი. ბარამიძე, ბათუმის აზიზიეს მეჩეთის სავაჟუფო მიწების საკითხისათვის, – საისტორიო მაცნე (შრომების კრებული), ტ. XIII, ბათ., 2004.
15. რ. ბარამიძე, მეჩეთების აღწერის მასალები დასავლეთ საქართველოში, 2008-2009, სავაჟუფო დღიურები.
16. რ. ბარამიძე, ისლამი და მუსლიმები აჭარაში (ისტორიულ-ეთნოლოგიური და სოციო-კულტურული ასპექტები), საკვალიფიკაციო ნაშრომი ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, ბათ., 2008.
17. დ. ბაქრაძე, არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, ბათ., 1987.
18. ბატონობისაგან განთავისუფლების წინ (XIX საუკუნის 40-70-იანი წლები), ბათ., 1960.
19. ქ. გამბა, მოგზაურობა ამიერკავკისიაში, თბ., 1987.
20. ს. დუმბაძე, საბჭოთა ხელისუფლების სამარცხებინო ფურცლები, – საისტორიო მაცნე (შრომების კრებული), ბათ., 2002.
21. „დროება“, 1882, №270.
22. ე. მესხია, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან, ბათ., 1997.
23. მ. ნათმელაძე, დემოგრაფიული პროცესები საქართველოში XX საუკუნის 40-იან წლებში (თურქებისა და მოსახლეობის სხვა ჯგუფების გასახლებანი საქართველოდან 1941-1945 წლებში), თბ., 1993.
24. გ. ნიორაძე, პირველი ქართული სკოლა ბათუმში, თბ., 1958.
25. საბჭოთა საკანონმდებლო სახელმძღვანელო დოკუმენტებისა რელიგიური კულტების დარგში (სამსახურებრივი სარგებლობისათვის), თბ., 1982.
26. თ. სახოკია, მოგზაურობანი (გურია, აჭარა, სამურზაყანო, აფხაზეთი), თბ., 1950.
27. გ. სიჭინაგა, ბათუმის ისტორიიდან (რუსეთთან შეერთება და სოციალურ – ეპონომიკური განვითარება 1878-1907 წლებში), ბათუმი, 1958.
28. რ. უზუნაძე, ნაოსნობა ბათუმის ოლქში (სამხედრო-პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ასპექტები), ბათ., 2001.

29. ბ. ჭიჭინაძე, მუსულმან ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში, ტფ., 1913.
30. ლაჯანიაშვილი, სამცხე-ჯავახეთის ეთნოდემოგრაფიული ტრანსფორმაციის ისტორიულ-პოლიტიკური და ეთნოლოგიური ასპექტები XIX საუკუნეებში, <http://sic.iatp.ge/lavrenti>
31. ლ. ჯანიაშვილი, სამხრეთ საქართველოდან დეპორტირებული მაკადინი მოსახლეობის რეპარიაციის საკითხისათვის, <http://sic.iatp.ge/lavrenti>
32. Батумъ и его окрестности, Бат., 1906.
33. Джудич П., Заметки о Батуме, ИКОИРГО, т. 3, №3, Тиф., 1873.
34. Емелианова Н., Мусульмане Кабарды, М., 1999.
35. Казбек Г., Военно-статистический и стратегический очерки Лазистанского санджака, Тиф., 1876.
36. Кальфоглу И., Древнейшие известия о Батуме, ИКОИРГО, т. XVIII, №1, Тиф., 1905.
37. Лисовский В., Чорохский край (военно-статистический очерк), Тиф., 1887.
38. О религии и церкви, - Сборник высказываний классиков марксизма-ленинизма, документов КПСС и советского государства, М., 1977.
39. Отчет консула Пальгрева за лето 1872 г., ИКОИРГО, т. VII, Тиф., 1882.
40. Положение объ управлениі Закавказскаго мусульманскаго духовенства Суннитскаго учения, от 5-го апреля 1872 года.
41. Френкель А., Очерки Чурук-Су и Батума, Тиф., 1879.

Ruslan Baramidze (Batumi, Georgia)
Sergey Rumyancev (Baku, Azerbaijan)

**Batumi Mosques
(Past and present)**

Summary

The peculiarities of the town building had a great influence on functioning and existence of Batumi mosques. During the Ottoman period, the mosques were built for Ottoman militaries and Georgian Muslims together with the increase of the town importance. During the Russian Empire period, together with the development of the town and changing population composition, The mosque for Ottoman militaries loses its importance, and only one mosque remains for Georgian Muslims. During Soviet Era the Ortajame mosque temporarily is closed due to the influence of Russian Policy, however, its functioning resumed. From the period of Independence Batumi mosque has been the centre of Adjara Mufti Residence and it has the financial and educational functions as well.

ცაცა ჩხარტიშვილი
(თბილისი, საქართველო)

ბათუმის კულტურული ცენტრება XIX საუკუნის 80-90 წლებში

(პრესის მასალების მიხედვით)

თურქეთის თითქმის სამასწლიანი ბატონობის მიუხედავად, ქართული ენა კვლავ უდერდა აჭარაში. თურქთა უღლისაგან აჭარის განთავისუფლების შემდეგ ქართველი საზოგადო მოღვაწეებისათვის ნათელი გახდა, რომ უშედგეოდ ჩაიარა ოსმალთა ხანგრძლივმა ცდამ – მიეღწიათ მოსახლეობის მთლიანი ასიმილაციისათვის. ახლად შემოერთებულ კუთხეს მზრუნველი სჭირდებოდა და ამ ზრუნვას მას არ აკლებდნენ: ი. ჭავჭავაძე, ი. გოგებაშვილი, გ. ნათაძე, ალ. ყაზბეგი, დ. კლდიაშვილი, გრ. ვოლსკი, ს. მესხი, გრ. გურიელი, დ. ბაქრაძე და სხვები, რომელთა სახელებთან მჭიდროდ არის დაკავშირებული ბათუმისა და აჭარის შემდგომი კულტურული წინსვლა და განვითარება.

პრესის მასალების მიხედვით შევეცდები წარმოვაჩინო ბათუმის კულტურული ცხოვრება: პირველი სცენისმოყვარულთა წრე, სამკიონებელო, სკოლა, გიმნაზია, სტამბა, გაზეთი.

კულტურული საშუალებებით დაახლოება აჭარასთან და მისი განათლების გზით გათვითცნობიერება, – ასეთი იყო სერგეი მესხის და მასთან ერთად მთელი მოწინავე ქართველობის აზრი. ახლად-შემოერთებული კუთხის შემომტკიცების საქმეში დიდი როლი შეასრულა პრესამ („დროება“, „ივერია“, „კვალი“, „თეატრი და ცხოვრება“, „ცნობის ფურცელი“), რომელთა ფურცლებზე სისტემატურად იბეჭდებოდა ყოველგვარი სიახლე კულტურისა და განათლების სფეროში. ეს იყო სკოლების გახსნა, სცენისმოყვარეთა წრის ჩამოყალიბება, სამკიონებლოების დაარსება, პირველი სტამბა, საქველმოქმედო საზოგადოების შექმნა და სხვ.

ყველაზე აქტიურად წამოიჭრა ბათუმში თეატრალური წარმოდგენების გამართვის საკითხიც, რაც ბუნებრივ მოვლენად უნდა ჩაითვალოს.

ქართველი საზოგადო მოღვაწეები თეატრს თვლიდნენ ისეთ დაწესებულებად, რომელსაც ჩვენი ხალხის გათვითცნობიერებასა და კულტურის ამაღლებაში უდიდესი როლი უნდა შეესრულებინა. სამოციანი წლების მოღვაწეთა მეთაური ილია ჭავჭავაძე წერდა: „სცენა იგივე სკოლაა, რომელიც ცხოველის სურათებით ელაპარაკება კაცის გულსა და ჭკუასა. იგი ამ თვისებით კაცის გუნებაზედ უფრო მეღგრად მოქმედებს, ვიდრე სხვა რამე... სცენა ხალხის მწვრთნელი, ხალხის გამზრდელი უნდა იყოს... ჩვენ სცენას ორ დვაწლსა ვსოთხოვთ,

პირველი – რომ მართლა გამწმენდელი იყოს ჩვენი ცხოვრებისა, ჩვენი ჭარუისა და გულის განმანათლებელი, მწვრთნელი, და მეორეც იგი უნდა იქმნას იმ ადგილადა, სადაც ჩვენი ენა უკაზე უნდა წამოდგეს მთელის თავის მშვენიერებითა და სიმდიდრითა. დღეს ჩვენს მდგომარეობაში სცენის მეტი სხვა ისეთი სახსარი არა აქვს რა ჩვენს ხალხს, რომ გონიერა, გული გაუხსნას და ენაც ავარჯიშოს საჯაროდ, საქვეუნდ“ [ი. ჭავჭავაძე, 1927: 47].

პირველ ხანებში, საგამო ძალების არყოლის გამო, წარმოდგენების გამართვა შეუძლებელი შეიქმნა, მაგრამ შემდეგ ბათუმში თანდათანობით იმატა კულტურულმა ძალამ, აღმოჩნდნენ სცენაზე მუშაობის უნარით დაჯილდოებული პირნი და წარმოდგენების გამართვის დაწესებაც შესაძლებელი გახდა. ბათუმში სასცენო ხელოვნების საწყისებიც ამ ეპოქასთან არის დაკავშირებული [ს. გერსამია, 1949, 82].

ქართული დრამატული თეატრი ბათუმში სათავეს იღებს 1879 წლიდან, როდესაც ადგილობრივ სცენისმოყვარეთა მიერ გაიმართა პირველი წარმოდგენა.

1879 წელს გაზეთი დროება ასეთ ცნობას აქვეყნებს: „ბათუმიდან გვწერენ: ამ მოკლე ხანში აქ ქართული წარმოდგენა იმართება - „განა ბიძამ ცოლი შეირთო?“ ზ. ანტონოვის პიესა და ვ. აბაშიძის ვოდევილი „ცოლი თუ გინდა ეს არის“ უნდა ითამაშონ. წარმოდგენის შემოსავალი გაჭირვებულ ქობულეთელებისთვის არის დანიშნული“ [დროება, 1879, №122]. ამ წარმოდგენის ორგანიზაციონი, ხელმძღვანელი იყო ქეთევან უურულისა. იმავე წლის 8 ივლისს აღნიშნული წარმოდგენა მართლაც გაუმართავთ. გაზეთი „დროება“ გაკვრით ეხება წარმოდგენის ღირსება-ნაკლოვანებას და ამბობს: „ჩვენ არ შევეხებით პატივცემულ მოთამაშების როლების სინამდვილით ან ნაკლულოვანებით აღსრულებას, რაღანაც შესაძლებელია, რომელიმე ნაკლოვანების გამოაშკარავება გახდეს ხალხის მომწამვლელი [დროება, 1879, №123].

1882 წელს დეკემბრის დასაწყისში ქეთევან უურულის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა ეგრეთ წოდებული „მუდმივი სცენისმოყვარეთა წრე“, რომელმაც გადაწყვიტა დროგამოშვებით წარმოდგენების გამართვა, შემოსავალი კი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სკოლის სასარგებლოდ უნდა გადაცემულიყო. „მუდმივი სცენისმოყვარეთა წრის“ დაარსება ბათუმელებს ძლიერ მოქმედი და საზოგადო მოღვაწეებმა მას ყოველგვარი დახმარების გაწევა აღუთქმეს. გაზეთმა „დროებამ“ ამ ამბავს საგანგებო წერილი მიუძღვნა: „სიამოვნებით ვისწრაფი ვახარო „დროების მკითხველებს გარემოება, რომ ჩვენი ბათუმის ქართველი საზოგადოება არ ყოფილა თურმე ისე გულცივად ჩვენ საქმეზე, როგორც ბევრს ჰგონია. თურმე ამ პატიოსან საზოგადოებაშიც ღვიოდა ქართველური გულმხურვალება და სიყვარული საზოგადო საქმისადმი. დღეს კი, თვალსაჩინოდ დაამტკიცა ბათუმის ქართველობამ, რომ იგი არის განუყოფელი და

არსებითი ნაწილი ჩვენი ქართველი საზოგადოებისა“ [დროება, 1833, №3].

წარმოდგენები იმ დროს მეტწილად ქართული სკოლის დარბაზში იმართებოდა. დარბაზი პატარა იყო, ძლივს ეტეოდა 120-მდე მაყურებელი. მოუწყობელიც იყო, მაგრამ სცენისმოყვარენი ამას არ უშინდებოდნენ და წარმოდგენებს დროგამოშვებით მართავდნენ. სპექტაკლები პრიმიტიულად იმართებოდა – სტანდარტულ დეკორაციებში. სცენისმოყვარენიც ვერ იყვნენ დახელოვნებული, მაგრამ ეს წარმოდგენები ბათუმში იმსანად ერთადერთი საშუალება იყო ქართველი საზოგადოების, მათ შორის, ქართველი მაჭადიანების შესაკრებად და დასახლოებლად.

ბათუმში სცენისმოყვარულთა წრის დაარსებისთანავე მასში შევიდა იმსანად ბათუმში სამხედრო სამსახურში მყოფი დავით კლდიაშვილი. მოგონებებში იგი ოგვიწერს თავის პირველი სასცენო ნაბიჯებს: „რასაკვირველია, მეც, ყმაწილი ოფიცერი, მიმიყვანეს ჟურულის ოჯახში და გააცნეს ჩემი თავი ქეთევანს, მან პირველი გაცნობისთანავე მისაყველურა, რომ ქართული ძლივს მეხერსებოდა და დედისებური დარიგება მომცა, მშობლიური ენა შემესწავლა. რამდენიმე წნის შემდეგ საქმეში ჩამაბა. იმართებოდა წარმოდგენა სკოლის სასარგებლოდ, იდგმებოდა გიორგი ერისთავის „გაყრა“. მე დამაკისრებ გაბრიელის როლი. გულმოდგინედ შევუდექი როლის შესწავლას, მაგრამ ჩემი ჩიქორთული ქართული მეტად მიჭირვებდა საქმეს. ამის დასაძლევად, ენის გასატეხად ცალკე რეპეტიციები მქონდა ხოლმე, ჩამაჯენდა სავარძელში ქეთევანი და მათქმევინებდა როლს. გაწვალებული ვიყავი ასეთი სწავლით იმიტომ, რომ ბევრჯერ მიწევდა განმეორება. ასევე გაწვალებული იყო მასწავლებელიც, რომელიც შემომძახებდა ხანდახან მოთმინება დაკარგული: „არ შეიძლება, ყმაწვილო, უნდა ისწავლო ქართული, ქართველი ხარ!...“ ამ მომზადების დროს რეპეტიციაზე აგვიტყდა ოჯახის პატრონი და, როგორც პოლიცეისტერმა, პიესის ცენზორობა მოინდომა, არ მოსწონდა მოურავის ლექსი, ანდუყაფარს რომ ეუბნებოდა მოსამართლეზე, „ასი თუმანი სუდა ...ა იმ კუკუნასა სუდ ვათამაშებ ლეკურბუქნასა“. დაიჯინა ეს ადგილი ამოშალეთო, ამის თქმის ნებას არ მოგვცემენო, სამსახურიდან დამითხოვენო. დიდი შეტაკება მოუვიდა ცოლ-ქმარს ამის თაობაზე. ქეთევანმა ჩახუმა შეშინებული პოლიცეისტერი და ლექსი არ ამოშალა.“

ოცდაექვსი წელიწადი ცხოვრობდა დავით კლდიაშვილი ბათუმში, ვიდრე სამხედრო სამსახურს თავს დაანებებდა. იგი მუდამ მხურვალე მონაწილეობას იღებდა ბათუმის თეატრალურ ცხოვრებაში როგორც ორგანიზატორი, რეჟისორი, აღმზრდელი, მრჩეველი [დ. კლდიაშვილი, 1932: 20].

წშირად იმართებოდა წარმოდგენები ბათუმელი სტუდენტების დასახმარებლად, რომლებიც საზღვარგარეთ სწავლობდნენ და ფინანსურად ძალიან უჭირდათ. გაზეთი „ივერია“ ამის შესახებ წერს: „1892

წლის 10 თებერვალს ბათუმში აქაური სცენისმოყვარეთა დასის მიერ წარმოდგენა გაიმართა ბათუმიდან ვარშავის უნივერსიტეტში სასწავლებლად წასული სტუდენტის ნ. შენგალიას სასარგებლოდ. შემოსავალი იყო 289 მ. 55 კ. წარმოდგენის გასამართათ დაიხარჯა 175 მ. დანარჩენი 114 მ. 55 კ. შენგალიას გაეგზავნა დანიშნულებისამებრ“ [ივერია, 1892, № 54].

თეატრის მნიშვნელობაზე საინტერესო წერილს ბეჭდაგს ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“. „თეატრი სახალხო ტრიბუნაა, სკოლაა, სასწავლებელია, ცხოვრების სარკეა. მისი დანიშნულებაა გაავრცელოს და დაამკვიდროს ახალი ახალი, იდეა, ახალი ჭეშმარიტება. იგი ხალხის სულიერი კულტურის განვითარების ერთ-ერთი ძლიერი ფაქტორია [თეატრი და ცხოვრება, 1914, № 1].

გაზეთი „ცნობის ფურცელი“ უკმაყოფილებას გამოთქვამს ქართული თეატრის რეპერტუარის გამო. „ქართული თეატრი ვერდარ იზიდავს საზოგადოებას, რადგან იგი სინამდვილეს მოწყვეტილია და მხოლოდ დროის გასართობ ადგილად ხდება. ყოველივე ეს მათქმევინა ამ დღეებში ქუთაისიდან ბათუმში ჩამოსულმა დრამატული დასის რეპერტუარმა.... მერწმუნეთ, რომ ბათუმში, როგორც განსხვავებულ პირობებში მყოფი ქალაქისათვის, ისეთი რეპერტუარი სრულიად ინტერესს მოკლებულია, მან ვერ დააგმაყოფილა მაყურებელი. მაგრამ მიუხედავად ამისა ქართველი ხალხი მაინც აფასებს ქართული სცენის საშუალებით ქართველობის სასარგებლოდ მოღვაწეთ“ [ცნობის ფურცელი, 1901-1401½].

სცენისმოყვარენი ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე მუშაობდნენ, წარმოდგენიდან თანხა თუ დარჩებოდა, ეს საქველმოქმედო ან კულტურულ საქმეებს ხმარდებოდა.

ილია ჭავჭავაძის დიდი მცდელობის შედეგად, 1881 წლის 12 მარტს ბათუმში გაიხსნა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, რომელსაც იდიასთან ერთად სათავეში ჩაუდგა ნ. ცხვედაძე. ამ მნიშვნელოვან საქმესთან დაკავშირებით, სკოლის გახსნის წინ, ბათუმში ჩასულა ილია, რის შედეგადაც წარმატებით დაგვირგვინებულა დიდი ეროვნული წამოწყება.

პრესაში მოძიებულ მასალებს შორის საინტერესო „ბათუმის გაზეთის“ ინფორმაცია ბათუმში წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დარსების შესახებ.

მეცხრამეტე საუკუნის 80-იან წლებში აუცილებელი გახდა მოზრდილი თაობის მშობლიურ ენაზე განვითარების საჭიროება. ამ აუცილებლობას კარგად ხედავდნენ მოწინავე ქართველები, რომლებმაც მთავრობის ნებართვით დაარსეს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამარცელებელი საზოგადოება და შეადგინეს ამ საზოგადოების წესდებაც.

საზოგადოების საგანი იყო ხელი შეეწყო წერა-კითხვისა და დაწყებითი განათლების გავრცელებისთვის კაგებისაში მკვიდრ ქართველთა შორის. სკოლებს გარდა საზოგადოებას უნდა გაემართა სა-

ხალხო სამკითხველოები, გამოეცა სახწავლო სახელმძღვანელოები და სხვა წიგნები ხალხისათვის საკითხავად, საკუთარი სასწავლებელი გაემართა მასწავლებელთა მოსამზადებლად, სადაც სწავლება მშობლიურ ენაზე იქნებოდა, მას უნდა ეზრუნა, აგრეთვე, რუსული ენის სწავლებაზეც.

მოწინავე ქართველი ინტელიგენციის ეროვნული მეობისა და დედაენის შენარჩუნება-დაცვისათის არსად იმდენი შრომა და ბრძოლა არ სჭირდებოდათ, რამდენიც ახლადშემოვრთებულ ბათუმში. ამიტომ ერთ-ერთი მთავარი ამოცანა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა (რომელიც ის-ის იყო დაარსდა) იმაში მდგომარეობდა, რომ გაეხსნათ სკოლები ბათუმში. აი რას წერს გაზეთი „პგალი“ ბათუმის სწავლა-განათლების შესახებ: „სწავლა-განათლების საქმე ხომ დიდი ხანია შეგნებული აქვთ ბათუმლებს, ასე რომ არ ყოფილიყო ვერ დაარსებდნენ ვაჟთა კლასიკურ გიმნაზიას, ქალთა სასწავლებლებს და სხვა. გარდა ამისა ბათუმში არის ქართული სკოლა, ქართულს გარდა ასწავლიან რუსულსაც, ამ სკოლაშივე არის ქართველ მაკმადიანთათვის თათრული ენის განყოფილებაც, რომელსაც ქართველი მაკმადიანი ხოჯა განაგებს... ეს სკოლა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობას ექვემდებარება. ...იმედია მოსალოდნელზე უფრო მეტ სიკეთეს მოუტანს ეს სკოლა პირველ რიგში ქართველ მაკმადიანებს და მერე ბათუმის დარიბ მკვიდრო“ [კვალი 1899, 39½].

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საქმიანობის შესახებ გაზეთი „ივერია“ გვაუწყებს: „წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“ ათი წლის წინ ბათუმში დაარსა სახალხო სკოლა. სკოლის დაარსების აუცილებლობა მდგომარეობდა იმაში, რომ ახლად შემოერთებულ მაკმადიან ქართველთა შვილები მიეზიდნა, პირველ-დაწყებითი განათლება მიეცა მათოთვის, მათის შუამავლობით გაგრცელებინა აჭარა-ქობულეთში ქართულის წიგნის ცოდნა და ამ გზით გაეახლებინა კავშირი დვიძლ ძმათა შუა, რომელიც ბედმა ერთმანეთს გაჰყარა წარსულს საუკუნეში ათასის წლის ძმური ისტორიულის ცხოვრებისა და ერთად მოქმედების შემდეგ.

თურქეთის ბატონობისაგან გამოხსნილი აჭარლები, რომელთაც ქართული ენა და ბევრი მამა-პაპური ადათ-წესი მტკიცედ ჰქონდათ შემონახული, მთლიანად მაკმადის რწმენას აღიარებდნენ. რელიგიური ფანატიზმი, რასაც ასე ღრმად ნერგავდნენ მათში მაკმადის რჯულის მსახურნი, სერიოზულად აბრკოლებდა განათლების მიღებას და სწორებ ამიტომ გახდა აუცილებელი სკოლის გახსნა. სკოლის დაარსების აუცილებლობას წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება იმით ამართლებდა, რომ იგი იქნებოდა ქართული სკოლა მაკმადიან ქართველთათვის. წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ ბათუმში სკოლა გახსნა 1881 წელს, რომელშიც ბევრმა ქართველმა ახალგაზრდამ თითქმის უსასყიდლოდ მიიღო პირველ-დაწყებითი სწავლა-განათლება. ამავე სკოლაში სწავლობდნენ ქართ-

ველ მაპმადიანთა შვილები, რომელიც დანარჩენ ქართველთაგან მარტო სჯულით განსხვავდებოდნენ და მძიმე ისტორიულ გარემოებათა მიუხედავად ქართული ენა ქრისტიან ქართველებზე ნაკლებად არ იცოდნენ.

„ბათუმიდან მოგვივიდა სასიამოვნო ამბავი... ბათუმის საქრებულო ტაძარი მთავრობის განკარგულებით უკურთხებიათ. დიდი მადლობის ღირსნი არიან ამ საქმის თაოსნები: მდვრელი ოოთიბაძე, გედევანი-შვილი, ლომინაძე, საბაშვილი და ნიკოლაძე... უველამ ვიცით, თუ ქრისტიანულ სათხოებისათვის რამდენად საჭიროა ქართული წირვა-ლოცვის გამშვენიერება ქართული გალობით, არ ვეჭვობთ, რომ გურულები, როგორც დახელოვნებული ქართულ გალობაში, შეადგენენ შესაფერის ქართულ გალობის ხოროს და ამით ადმრავენ კეთილ-მორწმუნეთა გულ-ლმობიერებას და სხვებსაც აღუძრავენ სურვილს ქართულის წირვა-ლოცვისათვის“ [კვალი, 1893, №13].

„ბათუმის ქალაქში უკანასკნელი მონაცემებით 6000 სული ქართველია და ერთი ეკლესია არა აქვთ, რომ წირვა-ლოცვა და დვდელ-მოქმედება ქართულ ენაზე იყოს. ნუთუ ამდენ ქართველ მართლმადიდებელს ერთი ეკლესიის შენახვა არ შეუძლია?... ბათუმში რატომ არ უნდა ისმოდეს ძველი ქართული გალობა, რომლითაც ასე განთქმულნი იყვნენ გურულები: გუგუნავა, გურიელი, თავთგირიძე, თაყაიშვილი. ყველანი ახლა ბათუმის მცხოვრები გამხდარან და თავიანთი განთქმული „დვრინი“ და „ქრინი“ კი დავიწყებიათ, რომ ამით განამშვენონ ქართული წირვის წესი, მოულბონ გული თავიანთ მეგობრებს და მეზობლებს. ათი წლის წინ გადაკარგული მმები ისევ დაგვიძრუნდნენ... ვინ წარმოიდგენს იმ განსაცდელს, რაც მათ დაატყდათ თავს... აი, ახლა უნდათ ამათ ხელისშეწყობა... ერთ-ერთი საშუალებაა ამისა ქართული ენა იმათი გულისა და სულის მოსაგებად... ყველა იქაური წარჩინებული გვარის კაცები: სანჯახ-ბეგ აბაშიძე, ნური-ბეგ შარვაშიძე, თავთგირიძეები, ხიმშიაშვილები, ბეჟანოდლი ბეჟანიშვილები და ნიუარაძეები სიყვარულით მოგვეგებნენ, დაგვიახლოვდნენ. ბათუმში ამართეს მართლმადიდებლობის სამრეკლო, ააგეს ეკლესია, გაისმა ზარის რეგა ქრისტიანების წირვა-ლოცვისათვის. წარმოიდგინეთ! ჩვენს დაშორებულ მმებს თითქმის გულმა უფეოქა! იმათ იგრძნეს ქრისტეს სარწმუნოების სითბო და ისურვეს ეკლესიაში შესვლა... მაგრამ იმათ ყურს ერთი სიტყვაც არ მოუსმენიათ ქართულად, ამიტომ ისინი გამოგიდნენ ეკლესიიდან შეძრწუნებულნი... ის იყო და ის. ამის მეტად ჩვენს დაკარგულ მმებს ეკლესიაში ადარ გაუვლიათ“ [კვალი, 1893, №7].

კვირას, 15 დეკემბერს, ბათუმის საზოგადოებამ მოისმინა ქართული ქადაგება მდვრელის ს. ოოთიბაძესი, რომელმაც წარმოსთქმა სიტყვა განსცენებულის ეპისკოპოსის გაბრიელისა [ცნობის ფურცელი, 1896, №52].

ბათუმში 1879 წელს დაარსდა სტამბა ალექსანდრე მახარაძის ხელმძღვანელობით. სტამბის დაარსების შესახებ გაზეთი „ივერია“

წერს: „აქ ორად ორი სტამბა არსებობს, ერთი ეკუთვნის ა. მასარაძეს, რომელსაც ლიტოგრაფიაც აქვს და მეორე სასიამოვნო ამბავი ის არის, რომ მასარაძეს ორი ქალი აუყვანია შეგირდად და ასოთამწყობლის ხელობა უსწავლებია. ერთს დაუსრულებია სწავლა და მუშაობს, მეორე კი ისევ მასარაძესთან არის და სწავლობს“ [ივერია, 1886, №150].

1884 წლიდან ა. მასარაძის სტამბაში რუსულ ენაზე მასიური ტირაჟით იბეჭდება პატარა ფორმატის გაზეთი „ბატუმსკი ლისტოკ“. 1890 წ., სტამბა გახსნა ვინმე ლაპკომ, ხოლო უფრო ადრე, 1887 წელს – ნ. გურსკიმ. მოგვიანებით, 1911 წელს ბათუმში გამოვიდა პირველი ქართული გაზეთი „ბათუმის გაზეთი“, ყოველდღიური პოლიტიკური, ლიტერატურული, ეროვნულ-პატრიოტული მიმართულებისა. გამოდიოდა 1911-1914 წწ. სხვადასხვა დროს რედაქტორები იყვნენ: ნ. ხომერიკი, ა. ჭელიძე, ლ. გუგუნავა. გაზეთში იბეჭდებოდა თარგმანები, სტატიები, პოლიტიკური და ლიტერატურული სტატიები, განცხადებები, ქრონიკები. დაიხურა ადგილობრივი ხელისუფლების განკარგულებით [ი. ლორთქიფანიძე, 1997, 332].

„ბათუმში გაიხსნა ბიბლიოთეკა, რომლის დაარსებასთან დაკავშირებით არაერთი უიმედო პუბლიკაცია იბეჭდებოდა პრესაში. ბათუმში, გადაწყვიტეს ცალკე სამკითხველოს დაარსება და შეუდგნენ კიდევ საქმეს...“ [კვალი 1899, №27].

სამშობლოსთან ბათუმის შემოერთების შემდეგ, მიუხედავად დიდი სირთულეებისა, ქართველი საზოგადო მოღვაწეების დახმარებით კულტურის საკითხებში მაინც პროგრესული დონისძიებები იქნა გატარებული.

საერთოდ, ამაღლდა ქართველი მოსახლეობის კულტურული დონე, გაიზარდა მისი მოთხოვნილებაც, რაც პრესის, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების, სკოლების, სცენის მოყვარულთა წრის, მუდმივმოქმედი დრამატული თეატრის, სამკითხველოების და სხვათა უდავოდ დიდი დამსახურებაა. უამრავი მასალის მოძიება შეიძლება პრესაში, მაგრამ კონფერენციის ფორმატის გამო მხოლოდ ამ ინფორმაციით შემოვიფარგლებით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ს. გერსამია, ბათუმის თეატრი 70 წლის მანძილზე, ბათ, 1949.
2. დ. კლდიაშვილი, მემუარები, თბ., 1932.
3. ი. ლორთქიფანიძე, ბათუმის გაზეთი, – საქართველო (ენციკლოპედია), თბ., 1997.
4. ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. VI, თბ., 1927.
5. გაზეთი „დროება“, 1879, №№ 122; 123.
6. გაზეთი „დროება“, 1883. №3,

7. გაზეთი ივერია, 1889, №4.
8. გაზეთი ივერია, 1892, №54.
9. გაზეთი კვალი, 1893, №№ 7; 13.
10. გაზეთი კვალი, 1899, №№ 27; 39.
11. ქურნალი „თეატრი და ცხოვრება“, 1914, №1.
12. გაზეთი „ცნობის ფურცელი“, 1896, №52.

Tsatsa Chkhartishvili (Tbilisi, Georgia)

Cultural Life of Batumi in 1880s-1890s according to Printed Media

Summary

In 1979, when Batumi rejoined Georgia, Georgian public figures from the very beginning paid an attention to newly rejoined ancient Georgian region and started arranging issues of culture in Batumi. Mainly to raise the national spirits. These significant issues were worked out at Georgian cultural-educational societies as well as in the press. Georgian newspapers: "Droeba", "Iveria", "Tsnobis Purtseli" ("Messenger"), journal: "Teatri da Tskhovreba" ("Theater and Life") were widely reporting about the revival of the cultural life in Batumi, its first steps in the spheres of education, art, music, theatre. The special point was given to the issue of founding a theater as theater should have to play the significant role in giving an information and illuminating Batumi society and people.

მერაბ მეგრიულიშვილი
(ბათუმი, საქართველო)

**ბათუმის თვითმმართველობის
კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა
XIX საუკუნის დამლიცა და XX საუკუნის დასაცყისში**

1888 წლის პირველ ოქტომბერს ბათუმია იზეიმა თვითმმართველობის დაფუძნება. თვითმმართველობამ თავისი არსებობის პირველივე დღიდან მოსახლეობისათვის დაწესა ქალაქის განვითარებისა და კეთილმოწყობისთვის საჭირო მოსაკრებელი. შემოსული თანხების დიდი ნაწილი ხმარდებოდა კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას [აცსა, ფ. ი-7, ან. 1, ს. 5, ფ. 5-7].

1889 წლის 12 ივნისის ბათუმის თვითმმართველობის სხდომის ოქმიდან ვგებულობთ, რომ ქალთა სასწავლებლის შენობად შეარჩიეს ზღვისპირა პარკთან მდებარე გენერალ-მაიორ, თავადი ერისთავის სახლი, საკარმიდამო ნაკვეთით [აცსა, ფ. ი-7, ან. 1, ს. 52, ფ. 101].

1889 წლის 12 აგვისტოს თვითმმართველობის სხდომაზე განიხილეს საიდუმლო მრჩევლის იანოგსკის წერილი, რომელიც ითხოვდა ბათუმში ტექნიკური სახელოსნო სასწავლებლის გახსნას (სამკლასიანი). თავდაპირველად სახელოსნოში ასწავლიდნენ საღურგლო და საზეინკლო ხელობას [აცსა, ფ. ი-7, ან. 1, ს. 61, ფ. 16].

1889 წლის 24 ივლისს თვითმმართველობამ გამოჰყო მიწა ბერძნული და სომხური სკოლების ასაშენებლად [აცსა, ფ. ი-7, ან. 1, ს. 58, ფ. 19].

1895 წლის 26-27 ივნისს, ბათუმის თვითმმართველობამ ვაჟთა გიმნაზიის შენობისათვის ზღვის სანაპიროსთან გამოჰყო ერთ-ერთი საუკეთესო ნაკვეთი მიწისა 2623,95 კვ. საჟ. მოცულობით. გიმნაზიის შენობის გეგმა შეადგინა სამხედრო ინჟინერმა დ. ს. სედელნიკოვმა. ამავე პერიოდში დადგა იქვე გვერდით არსებული ციხის გადატანის საკითხი [აცსა, ფ. ი-7, ან. 1, ს. 228, ფ. 23]. 1897 წლის 29 სექტემბერს ბათუმის თვითმმართველობამ ვაჟთა გიმნაზიასთან გახსნა პანსიონი [აცსა, ფ. ი-7, ან. 1, ს. 277, ფ. 17].

ბათუმი თავისი დაარსების დღიდანვე ინტერნაციონალური ქალაქი იყო. აქედან გამომდინარე, ბათუმის თვითმმართველობა დიდ მზრუნველობას იჩენდა სხვადასხვა ეროვნების ახალგაზრდებისთვის შესაბამისი სასწავლო დაწესებულებებით უზრუნველსაყოფად. ბათუმში თითქმის ყველა ეროვნებას გააჩნდა საკუთარი სკოლები. 1909 წლის 16 დეკემბერს თვითმმართველობამ საზოგადოებისათვის „პოლონური სახლი“ კომაროვისა და გოორგიევსკის ქუჩების კუთხეში სკოლისა და ბიბლიოთეკის ასაშენებლად გამოჰყო 137,32 კვ. საჟ. მიწის ნაკვეთი. ბათუმის რომაულ-კათოლიკურმა ეკლესიამ სურვილი

გამოთქვა გაეხსნა სკოლა, სადაც სხვადასხვა ეროვნების ბავშვი მიიღებდა განათლებას, კერძოდ, ქართველები, პოლონელები, ფრანგები, ჩეხები. ამ იდეით თვითმმართველობის წინაშე გამოვიდა რომაულ-კათოლიკური ეკლესიის წინამდგარი დონ გაბრიელ ასლანიშვილი. ამ დროს ბათუმში ცხოვრობდა 20 პოლონელი, ასევე იყვნენ ლიტველები [აცსა, ფ. ი-7, ან. 1, ს. 488, ფ. 39].

განსაკუთრებული ყურადღება ექცევდა რუსეთის განაპირა მხარი-დან საქართველოში სასწავლად ჩამოსულ ახალგაზრდებს. 1910 წლის 24 მაისს ბათუმის თვითმმართველობამ მხარი დაუჭირა თბილისში კავკასიის უნივერსიტეტის გახსნას. თვითმმართველობის სხდომის დღიურში ვკითხულობთ: „Наши дети, не выдерживающие в большинстве случаев сурового климата Российских университетских городов, будут учиться высшим наукам у нас, здесь в Грузии, мы ничего не должны щадить для того, чтобы дело это осуществилось и как можно скорее” [აცსა, ფ. ი-7, ან. 1, ს. 491, ფ. 10].

ამ მიზნით, ერთოულად დანიშნებს 5.000 მან. დახმარება, ხოლო უნივერსიტეტის გახსნის დღიდან ყოველწლიურად დაინიშნა დახმარება 5.000 მან. ოდენობით. 1902 წლის 25 აპრილს ბათუმის რუსეთიან შეერთების 25 წლისთავთან დაკავშირებით დაისვა საკითხი თეატრისა და სახალხო ბიბლიოთეკის მშენებლობის შესახებ [აცსა, ფ. ი-7, ან. 1, ს. 386, ფ. 101].

ბათუმის თვითმმართველობამ თეატრის მშენებლობა სასურველ და აუცილებელ საქმედ მიიჩნია, რომელიც მოემსახურებოდა სამ მიზანს: 1. იქნებოდა საუკეთესო საშუალება მასებში პუმანიტარულ-აღმზრდელობით და საგანმანათლებლო საქმიანობისთვის 2. ქალაქს მოუტანდა კარგ შემოსავალს 3. თეატრის შენობა გააღამაზებდა ქალაქს. თეატრის შენობის პროექტზე გამოაცხადეს კონკურსი. თავდაპირველად თეატრი გათვალისწინებული იყო 100 მაყურებელზე. თეატრის ადგილსამყოფელად აირჩიეს ნურიუ-გელის მიღამოები. უფრო ადრე, 1889 წლის 17 აპრილს, თავადი სტეფანე ოსიანის-ძე სტეფანოვი თვითმმართველობას სთხოვს ზღვისპირა პარკში მიწის გამოყოფას საზაფხულო თეატრის მოსაწყობად [აცსა, ფ. ი-7, ან. 1, ს. 44, ფ. 14].

ზემოთ აღნიშნულ იუბილესთან დაკავშირებით თვითმმართველობამ ასევე გადაწყვიტა მოეწყო ერთი უფასო დაწყებითი სკოლა: „Под знаменем осуществленной Российской империи, в смысле развития гражданственности” [აცსა, ფ. ი-7, ან. 1, ს. 386, ფ. 20]. თვითმმართველობის წევრი ჯაელი წინადადებით გამოვიდა იუბილესთან დაკავშირებით გამოეშვათ კრებული, სადაც მოცემული იქნებოდა ბათუმის ისტორიულ-გეოგრაფიული აღწერილობა.

1908 წლის 19 მარტს, თვითმმართველობამ მხარი დაუჭირა მოქალაქე გ. გომანის იდეის და ქალაქის ა. პუშკინის სახელობის დაწყებით სკოლაში გახსნა მუზეუმი ზოოლოგიის, ბოტანიკის, მინერალოგიის განყოფილებებით, ზოოლოგიური ბაღითა და აკვარიუმით [აცსა, ფ. ი-7, ან. 1, ს. 476, ფ. 24].

1907 წლის 10 სექტემბერს ბათუმსა და მის შემოგარენში საფუ-
ძელი ჩაეყარა კლიმატურ სადგურს. ამასთან დაკავშირებით კავკა-
სის მეფისნაცვალთან გაიგზავნა დეპუტაცია ი. ანდრონიკაშვილის,
ტ. ტრიანგაფილიძესის, გ. კვიცინსკისა და ს. დუნინის შემადგენ-
ლობით [აცსა, ფ. ი-7, ან. 1, ს. 439, ფ. 10].

1907 წლის 10 აგვისტოს ბათუმის თვითმმართველობამ შავი
ზღვის სანაპიროზე მოაწყო კავკასიის მხარის საზღვაო-სამედიცინო-
სამეთვალყურეო სადგური [აცსა, ფ. ი-7, ან. 1, ს. 438, ფ. 2].

1910 წლის 24 მაისს, ბათუმში მცხოვრები ი.ა. ბაიადეანი თვით-
მმართველობისაგან ითხოვს მიწის ფართს ზღვისპირა პარკში ზღვის
აბაზანების მოსაწყობად [აცსა, ფ. ი-7, ან. 1, ს. 491, ფ. 19].

1908 წლის 19 მარტს, მოქალაქებმა ვეიდემანმა და ზგურიცისმა
ზღვისპირა პარკში მოაწყვეს ოეატრი „ილუზიონი“ [აცსა, ფ. ი-7, ან.
1, ს. 471, ფ. 25]. ბათუმში მცხოვრებმა შტენბერგმა თვითმმართველო-
ბას წარუდგინა კინემატოგრაფიის სახლის პროექტი.

1908 წლის 19 მარტს ბათუმელი ნ. რუსეთშვილი ზღვისპირა
პარკში ხსნის ატრაქციონებს.

1910 წელს, მოქალაქე ივანე მორუსი ზღვისპირა პარკში საფუ-
ძელს უყრის კულტურულ კერას, ამავე დროს ალექსანდრე სტეფა-
ნის-ძე ტკაჩოვმა იქვე ააშენა კინემატოგრაფიის სახლი და მუსიკა-
ლური დარბაზი, ხოლო ზღვასთან ახლოს გამოიყო ადგილი სკე-
ტინგ-რინგის მოსაწყობად (ინგ. skating rink – მოსფალტებული მოე-
დანი ან ხის იატაკი გორგოლაჭებიანი ციგურებით სარბენად) [აცსა,
ფ. ი-7, ან. 1, ს. 991, ფ. 20].

თვითმმართველობამ ბევრი რამ გააკეთა ქალაქის დაგეგმარებისა
და კეთილმოწყობისათვის. ასე მაგალითად, 1898 წლის 20 აპრილს
თვითმმართველობის სხდომაზე, რომელსაც ესწრებოდნენ ლ.
ასათიანი, ნიკოლაძე, სევერინი, საბაშვილი, ვოლსკი და სევები, განი-
ხილეს ქალაქის დაგეგმარების საკითხი. სხდომაზე წარმოდგენილი
იყო ქალაქის ყოველი ქუჩის, ეზოსა თუ მოედნის მათვმატიკური
სიზუსტით, პროპორციების დაცვით შესრულებული ფოტოგრაფიული
აღწერილობა [აცსა, ფ. ი-7, ან. 1, ს. 224, ფ. 7].

1889 წლის 10 ივნისს თვითმმართველობამ ნება დართო ვიქტორ
პოლიშეგსკის მოაწყო ცენტრალური სატელოფონო ხაზი [აცსა, ფ. ი-
7, ან. 1, ს. 56, ფ. 2].

აღსანიშნავია ისიც, რომ თვითმმართველობის წევრი ფიცს დებდა
დვორის წინაშე, რომ მის მოვალეობას შეასრულებდა კეთილსინდისიე-
რად და პასუხისმგებელი იქნებოდა დვორის წინაშე.

ამრიგად, ზემოთ მოტანილი საარქივო მასალებიდან გამომდინარე
შეიძლება დავასკვნათ, რომ ბათუმის თვითმმართველობამ XIX საუ-
კუნის დამლევს და XX საუკუნის დასაწყისში დიდი მუშაობა გასწია
ქალაქის კულტურული განვითარებისთვის.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

1. აჭარის ა/რ ცენტრალური სახელმწიფო არქივი (აცსა), ფონდი ი-7, ანაწერი 1, საქმეები №№ 5; 44; 52; 56; 58; 61; 224; 228; 386; 438; 439; 476; 488; 491.
2. გ. სიორიძე, ბათუმის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო საქმიანობა 1888-1920 წლებში, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 5, ბათ., 2003.

Merab Megrelishvili (Batumi, Georgia)

The Cultural and Educational Activities of Batumi Self-Government at the Boundary of XIX-XX Centuries

Summary

The present article deals with the problem of cultural and educational activities of Batumi self-Government at the boundary of XIX-XX centuries depending on the archival materials.

ერმილე მესხია
(ბათუმი, საქართველო)

ბათუმის თეატრის სათავეებთან

2005 წლის 14 იანვარს ბათუმში მაღალ დონეზე აღინიშნა ბათუმის დრამატული თეატრის დაარსებიდან 125 წელი. საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირმა, ქართული თეატრის დღე, ბათუმის დრამატული თეატრის საიუბილეო წელთან დაკავშირებით აღნიშნა ბათუმში. ამ თარიღებს მიეძღვნა სპეციალური საგაზეოთ გამოშვება „ქართული თეატრის დღე“ (2005 წლის 14 იანვარი).

ეს პატარა შესავალი იმიტომ წარგუმძღვარეთ წინამდებარე ნაშრომს, რომ საზოგადოებისათვის შეგვეხსნებინა ქართული თეატრის ისტორიაში დამკავიდრებული აზრი – ბათუმის დრამატული თეატრის ისტორია იწყება 1879 წლიდან.

რა არგუმენტებს ემყარება ეს საყოველთაოდ აღიარებული თარიღი?

არსებობს ცნობა, რომ პირველი ქართული წარმოდგენა ბათუმში გაიმართა 1879 წლის 8(20) ივნისს. წარმოდგენის ინიციატორი იყო ბათუმის პოლიცემისტერის მეუღლე ქეთევან ჟურული. სცენისმოყვარეებმა წარმოადგინეს ზ. ანტონოვის კომედია „განა ბიძიამ ცოლი შეირთო?“ [გ. ბუხნიკაშვილი, 1979: 7]. ეს იყო საქველმოქმედო წარმოდგენა, რომლის შემთხვევაში გამიზნული იყო ბათუმის ქართული სკოლის სასარგებლოდ.

ბათუმში სცენისმოყვარეთა პირველ წარმოდგენას გაზეთი „დროება“ გამოეხმაურა „[დროება,“ 1979, №4]. ეს არც არის გასაკვირი. ბათუმი, სხვა ქართულ მიწა-წყალთან ერთად ხომ სულ ერთი წლის წინათ დაუბრუნდა დედასამშობლო საქართველოს. ამიტომ ქართული საზოგადოებრიობის ინტერესი სპეციალური დიდი იყო, როგორც ბათუმში, ისე საქართველოს დედაქალაქში. წარმოდგენა გაიმართა ფიცრულ შენობაში, რომელიც აგებული იყო ახლად დაარსებული რუსული სამოქალაქო სასწავლებლის ეზოში. როგორც ავტორი (გ. ბუხნიკაშვილი) აღნიშნავს, ეს ერთადერთი ადგილი ყოფილა იმდროინდელ ბათუმში, სადაც შეიძლებოდა წარმოდგენის გამართვა.

ბათუმელ სცენისმოყვარეთა პირველ წარმოდგენას მოჰყვა თბილისის ახლად აღორმინებული ქართული თეატრის (გაიხსნა 1879 წლის 5 სექტემბერს) გასტროლები ბათუმში. თბილისელ მსახიობთა სპეციალი გაიმართა 1879 წლის 12 ივნისს. როგორც მოგვიანებით ავ. ცაგარელი წერდა, ბათუმის საზოგადოებას დიდი ინტერესი გამოუჩენია სპეციალებისადმი [ავ. ცაგარელი, 1936: 391]. უნდა ვიფიქროთ, რომ თბილისის თეატრის გასტროლებმა კიდევ უფრო გაზარდა ბათუმელი მაყურებლისა და სცენისმოყვარეთა ინტერესი ახალი წარმოდგენისადმი. გაზეთმა „დროებაშ“ შემოგვინახა კიდევ ეს

საინტერესო ფაქტი. 1880 წლის 25 მარტს სცენისმოყვარებს გაუმართავთ: მ. ტერ-გრიგორიანის ვოდევილი „ესეც შენი მაჟანკლობა“ და ვ. აბაშიძის ვოდევილი „ცოლი თუ გინდა ეს არის“. გაზეთ „დროების“ ცნობით, წარმოდგენა რიგიანი ყოფილა და ხალხიც ბლობად დასწრებია [„დროება“, 1980, №70].

თეატრისადმი დიდმა დაინტერესებამ (როგორც მაყურებლის, ასევე „მსახიობთა“) განაპირობა ქეთევან ჟურულის ინიციატივით სცენისმოყვარეთა მუდმივი წრის შექმნა 1882 წელს [ს. გერსამია, 1949: 9].

ამ საკითხებზე ასე დაწვრილებით იმიტომ შევაჩერეთ უურადღება, რომ თვალი მიგვედევნებინა ბათუმის თეატრის შექმნამდე განვლილი რთული გზისადმი. ინტერესმოკლებული არ იქნება იმის გახსენებაც, რომ თბილისის თეატრმაც, ვიდრე ის თეატრად ჩამოყალიბდებოდა, განვლო მოსამზადებელი პერიოდი. თბილისის თეატრალური დასი 1879 წლის გაზაფხულისათვის ძირითადად ფორმირებული იყო [ვ. კიკნაძე, 2001: 208]. იმავე წლის 20 აგვისტოს დასრულდა თეატრის გასტროლები. საქართველოს ქალაქებში გასტროლებმა დაარწმუნა დასი, რომ „მუდმივი თეატრისათვის“ მზად იყო საზოგადოება (ხაზგასმა ჩვენია, ე.მ.). „მუდმივი სცენის“ დაბადების თარიღად თეატრის ისტორიის მკვლევარები მიიჩნევენ 1879 წლის 5 სექტემბერს. ამ დღიდან დაიწყო თეატრის პირველი სეზონი. გ. ჯორჯაძის კომედიით („რას ვეძებდი და რა ვიპოვე“) 1879 წელს თბილისში გაიხსნა პროფესიული თეატრი [ვ. კიკნაძე, 2001: 210-211].

როგორც ვხედავთ, თბილისის თეატრმა, ვიდრე ის ჩამოყალიბდებოდა „მუდმივ თეატრად“ (პროფესიულ თეატრად), შექმნა თეატრალური დასი და გამართა გასტროლებიც, მაგრამ არც დასის ჩამოყალიბების და არც გასტროლების გამართვის თარიღი არაა მიჩნეული „მუდმივი თეატრის“ დაბადების თარიღად. ვიმეორებთ, მხოლოდ ამის შემდეგ დაარწმუნდა დასი, რომ „მუდმივი თეატრისათვის“ მზად იყო საზოგადოება.

ასე რომ, ბათუმელ სცენისმოყვარეთა დიდი დაინტერესების ან მათი შემოქმედებისადმი ჩვენი პატივისცემის მიუხედავად, არ შეგვიძლია 1879 წელი მივიჩნიოთ ბათუმის თეატრის, მით უმეტეს, ბათუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის, დაბადების თარიღად.

ერ დაგეთანხმებით აგტორების: ს. გერსამიას, გ. ბუხნიკაშვილის, ლ. ბოლქვაძის, თ. კომახიძის („საიუბილეო თარიღმა“ შთააგონა ნ. ჯაფარიძეს პოეტური სტრიქონები) და სხვ. მოსაზრებას, რომ 1879 წელი ჩაითვალოს ბათუმის თეატრის შექმნის თარიღად. ამ შემთხვევაში გ. ბუხნიკაშვილის მოსაზრება, სხვა ავტორებთან შედარებით, უფრო მოკრძალებულია, იგი წერს: „აჭარის შემოერთებიდან ერთი წლის შემდეგ, 8(20) ივნისს, ბათუმში ადგილობრივმა სცენისმოყვარებმა გამართეს პირველი ქართული წარმოდგენა და ამით დასაბამი მისცეს ქართული თეატრის არსებობას ბათუმში“ (ალბათ უმჯობესი იქნებოდა ავტორს ეთქა, ქართული თეატრალური ტრადი-

ციების აღორძინებას მიეცა დასაბამი, რაც სრულიადაც არ ნიშნავს თეატრის შექმნას). უფრო მიუღებლად მიგვაჩნია ნაშრომში გატარებული აზრი: „ამ ღირშესანიშნავი თარიღიდან (იგულისხმება სცენის-მოყვარეთა პირველი წარმოდგენა, კ. მ.) ასი წელი შესრულდა. წინამდებარე ნაშრომიც ბათუმის დრამატული თეატრის ამ საიუბილეო თარიღს ეძღვნება“ [გ. ბუხნიკაშვილი, 1979: 4].

როგორც ვხედავთ, ავტორი უკრიტიკოდ აღიარებს და საფუძვლიანად მიიჩნევს სცენისმოყვარეთა პირველი წარმოდგენის გამართვის თარიღს ბათუმის დრამატული თეატრის შექმნის თარიღად, რაც ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია. ცნობილია, რომ ბათუმის სცენისმოყვარეთა პირველი წარმოდგენის გამართვიდან პროფესიული თეატრის შექმნამდე საქმაოდ დიდი დრო გავიდა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის ყოფილი მინისტრი ლ. ბოლქვაძე უფრო შორს მიდის და ამტკიცებს, რომ „ბათუმის პროფესიული თეატრის საწყისად სწორედ ამ პერიოდის (იგულისხმება 1879 წ. ე.მ.) სცენისმოყვარეთა სპექტაკლებს თვლიან“ (ხაზგასმა წვენია, ე. მ.) [ლ. ბოლქვაძე, 1977: 9]. თუ რატომ თვლიან, ამის ახსნა ავტორს არ უცდია და არც სათანადო არგუმენტები მოუტანია. გამოთქმული მოსაზრებები კი მხოლოდ ვარაუდებს ემყარება და დამაჯერებლობას მოკლებულია.

დაახლოებით იგივე შეიძლება ითქვას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის ყოფილი მინისტრის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ბატონ თ. კომახიძის ნაშრომზე „აჭარის კულტურის ისტორია“ (ბათუმი, 1999 წ.), სადაც ვრცელი თავი ეთმობა ბათუმის თეატრის ისტორიას. ავტორს იგივე მოსაზრებები აქვს გამოთქმული ნაშრომში „თეატრალური წარმოდგენები“ [სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები. აჭარა, 2008: 568-577].

ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით მეცნიერი დეტალურად აღწერს ბათუმში (და ბათუმის შემოგარენში) თეატრალური ტრადიციების დამკვიდრების ისტორიას. ავტორს დამოწმებული აქვს ბიზანტიული მწერლის პროკოფი კესარიელის ცნობა აფსარუნგში (გონიო) V საუკუნეში თეატრის არსებობის შესახებ [თ. კომახიძე, 1999: 171].

ანტიკური თეატრის ისტორიის თემა ამჟამად ჩვენი მსჯელობის საგანს არ წარმოადგენს. ბუნებრივია, არც საფუძველი არსებობს ეჭვი შევიტანოთ უცხოელი მწერლის ცნობაში. ქართული თეატრალური კულტურის ტრადიციებიც ამაზე ნათლად მეტყველებენ. თუმცა, კონკრეტულ შემთხვევაში, საკამაოა, რამდენ ხანს იარსება გონიო-აფსაროსის თეატრმა.

ვერ გავიზიარებთ თ. კომახიძის მოსაზრებას, რომ „1547 წლიდან, მას შემდეგ რაც გონიო და საერთოდ აჭარა, ოსმალებმა დაიპყრეს, ცხადია, თეატრმა ფუნქციონირება შეწყვიტა“ [თ. კომახიძე, 1999: 171]. ავტორს ნაშრომში დამოწმებული არა აქვს წყარო, რომელიც დაასაბუთებდა 1547 წლამდე გონიოში თეატრის არსებობას.

ბათუმის თეატრის ისტორიის მკვლევარი გ. ბუხნიკაშვილი გარკვევით მიუთითებს, რომ ბათუმში პროფესიული დასის შექმნა პირველად 1891 წელს უცდიათ (ხაზგასმა ჩვენია, ე.მ.), მაგრამ უშედეგოდ მოგვიანებით ეს საქმე წამოიწყეს 1902 წელს, მაგრამ ორივე შემთხვევაში მიზანს ვერ მიაღწიეს [გ. ბუხნიკაშვილი, 1979: 46].

1912 წელს ბათუმში იქმნება ე. წ. „მოგზაურთა დასი“, რომელსაც სათავეში ედგა ცნობილი მწერალი და დრამატურგი შალვა დადიანი. პროფესიონალური თეატრალური დასი [თ. კომახიძე, 1999: 192]. თუმცა შემდგომმა მოვლენებმა დაგვარწმუნა, რომ ეს დასი არ შეიძლება ჩაითვალოს მუდმივმოქმედ, პროფესიონალურ დასად, რადგან დასმა 1914 წელს ფუნქციონირება შეწყვიტა და ადგილი დაუთმო სცენის-მოყვარულთა წრეს. ამას მაშინდელი პრესაც ადასტურებდა. კერძოდ, გაზეთი „მეგობარი“ 1916 წელს წერდა: „ბათუმში ამ ორი თვის წინათ დაარსდა სცენისმოყვარულთა წრე. ამ ფრიად სიმპათიურ საქმეს ქართველი საზოგადოების დემოკრატიული ნაწილი თანაგრძნობით შეხვდა. თვით სცენისმოყვარულებსაც ენერგიული მუშაობა ეტყობათ, ხოლო საქმეს თუ აბრკოლებს ის, რომ წრეს არ ჰყავს გამოცდილი და საიმედო, ცოდნით აღჭურვილი რეჟისორი“ [თ. კომახიძე, 1999: 194].

1916 წელს სცენისმოყვარულთა წრეს სათავეში ჩაუდგა გამოცდილი რეჟისორი ე. შალიკაშვილი.

1914 წელს „კამერულ საკრებულოში“ (დღევანდელი სპეცოლიკლინიკის შენობა ბარათაშვილის ქუჩაზე) გაიხსნა ქართულ-რუსული თეატრალური წრე გ. შილოვის ხელმძღვანელობით. წრე ფუნქციონირებდა 1920 წლამდე.

1915 წელს ა. მამულოვმა ბათუმში ჩამოაყალიბა სცენისმოყვარულთა წრე, რომელიც შენობის უქონლობის გამო წარმოდგენებს მართავდა დამისათვე თაგშესაფარში. წარმოდგენები იმდენად დაბალ დონეზე იმართებოდა, რომ მაშინდელი პრესის (ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“) კრიტიკის ობიექტი გახდა.

1917 წელს ბათუმში მოქმედებდა ლანსკის თეატრი (კონსტანტინე გამსახურდიასა და სანდო ახმეტელის ქუჩების კვეთაში), სადაც იდგმებოდა საბალეტო და სამუსიკო ნაწარმოებები.

ბათუმის პროფესიული თეატრის შექმნის გზაზე წინგადადგმულ ნაბიჯად უნდა მივიჩნიოთ 1913 წელს დრამატული საზოგადოების და 1920 წელს „სახალხო წარმოდგენების მმართველი წრის“ დაარსება [გ. ბუხნიკაშვილი, 1979: 56-63]. წრე სისტემატურად ვერ მართავდა წარმოდგენებს. მისი მუშაობა არ აკმაყოფილებდა მაყურებელს. მაშინდელი პრესა გულისტკივილით წერდა ამაზე: „ბათუმში საჭიროა პროფესიული თეატრი (ხაზგასმა ჩვენია, ე.მ.)“ („ბათუმის ფურცელი“, 1920, № 22].

1920 წელს ცნობილმა მომდევრალმა და მსახიობმა ვასო ურუშაძემ დაარსა სახალხო წარმოდგენების მმართველი წრე. წრის დადგმას

უფრნალმა „თეატრი და ცხოვრება“ (1920 წ. № 28) მისასალმებელი წერილი უძღვნა.

1921 წლისათვის ბათუმში მოქმედებდნენ ბერძნული, სპარსული, სომხური, რუსული დრამატული და საოპერო არაპოფესიული დასები.

1921 წელს შმაევსკის ნაციონალიზებულ (1920 წელს დააპატიმრეს ანტისახელმწიფოებრივი დანაშაულისათვის) თეატრთან შეიქმნა თეატრალური დასი, რომელსაც ხელმძღვანელობდა ვასო ურუშაძე. ქართული დასში შედიოდნენ ცნობილი მსახიობები: ნატალია ჯავახიშვილი, კირილე მაჭარაძე, ცაცა ამირეჯიბი, მიხეილ გელოვანი, ვასო აბაშიძე, აკაკი ვასაძე, შალვა დამბაშიძე, ემანუელ აფხაიძე და სხვები. დასის წარმოდგენებმა საზოგადოების მოწონება დაიმსახურა [„უწყებანი“, 1921, №62]. მომდევნო წლებში წარმოდგენები დიდი შეფერხებებით ტარდებოდა, რაღაც რეპერტუარი მოწვეული დასის სპექტაკლებისაგან შედგებოდა.

როგორც ვხედავთ, ვერც საბჭოთა ხელისუფლების პირველი წლები აღმოჩნდა წარმატებული ბათუმის სცენისმოყვარულთათვის (თუ მხედველობაში არ მივიღებთ რამდენიმე წარმოდგენას და გასტროლებს). 1925 წლისათვის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, მთელი უურადღება გადაეტანა დრამატული სტუდიის დაარსებაზე, რადგან სეზონურად მოწვეული დასი ვერ ასრულებდა თავის ნამდვილ დანიშნულებას. ამავე დროს, დაიდო შეთანხმება ქუთაისის დასთან, რათა დროდადრო ჩამოსულიყო ბათუმში წარმოდგენების გასამართვად (ზოგჯერ ამ დასს „ქუთაის-ბათუმის თეატრსაც“ კი უწოდებდნენ [ა. ზამბახიძე, 1980: 5]). ქუთაისის დასმა ვერ შეძლო ამ შეთანხმების ბოლომდე შესრულება. მხოლოდ ორი წარმოდგენის გამართვა მოახერხა სეზონის დასაწყისში [გ. ბუხნიკაშვილი, 1979: 78].

1924 წელს დამტკიცდა დრამატული სტუდიის სამუშაო გეგმა. სტუდია ორწლიანი იყო. მსმენელებად 60-მდე ახალგაზრდა უნდა მიეღოთ. სტუდიას რამდენიმე თვის შემდეგ უნდა გაემართა საჩვენებელი წარმოდგენები. 1925 წლის დამდეგს 20 მსმენელი (პროფესორი თ. კომახიძე 40 მსმენელს ასახელებს [თ. კომახიძე, 1999: 201]) შეუდგა მეცადინეობებს. ბოლოს სტუდიას შემორჩა 13 მსმენელი. სტუდიამ ერთი წელი ძლიერ იარსება და დაიხურა. უფრნალი „ხელოვნება“ სინაულით წერდა: „ჩვენ უურები გაგვიყრუეს ორი წლის განმავლობაში აჭარისტანის აკადემიური თეატრის სტუდიის შესახებ. და მართლაც ცოტა ფული დაიხარჯა? შედეგები? არავითარი. არც ერთი საჩვენებელი წარმოდგენა. თავიდანვე „კაზიონურად“ იყო ამ სტუდიის საქმე. ძლიერ მშვიდობიანად მიიცვალა“ [„ხელოვნება“, 1926: 25].

დრამატული სტუდიის დაშლის გამო ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობა იძულებული იყო ისევ პროფესიული დასი მოეწვია. დასის ხელმძღვანელობა დაევალა მიხეილ ქორელს. სეზონი გაიხსნა 26 დეკემბერს და გაგრძელდა 10 აპრილამდე. 1926-1927 წლები უფრო

ნაყოფიერი აღმოჩნდა ბათუმის თეატრალური დასისათვის. ამ პერიოდში დასს სათავეში ედგა მოსკოვის სამხატვრო თეატრის მსმენელი, რეჟისორი აკაკი ფალავა. 1927-1928 წლების სეზონში დასს შექმატენენ მსახიობები ვერიკო ანჯაფარიძე, მარო მესხიშვილი, შალვა ბერუაშვილი და რეჟისორი ნ. გომიაშვილი. შეიქმნა აგრეთვე პატარა ორკესტრი. 1930-1931 წლების სეზონიდან ქუთაის-ბათუმის თეატრი სამოღვაწეოდ თბილისში გადავიდა (ხაზგასმა ჩვენია, ე.მ.). აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობა იძულებული გახდა საკუთარი დასის შედგენაზე ეზრუნა [გ. ბუხნიკაშვილი, 1979: 79-82].

1930-1931 წლების თეატრალური სეზონი, შეიძლება ითქვას, იყო ცდა ბათუმის დამოუკიდებელი (და არა პროფესიული) თეატრის შექმნის გზაზე. თუმცა ამ სეზონსაც არ ჩაუვლია პრობლემების გარეშე. განსაკუთრებით მტკიცნეული აღმოჩნდა მსახიობთა დასის ხშირი ცვლა. 1931-1932 წლების სათეატრო სეზონის დამთავრების შემდეგ ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ მიზანშეწონილად აღარ სცნო სხვა ქალაქებიდან მოწვეულ მსახიობთაგან სეზონური დასის შედგენა. სამწუხაროდ, 1937 წლამდე, ბათუმში არ შემდგარა დრამატული დასები. მიუხედავად ამისა, ბათუმელი მაყურებელი არ იყო მოწყვეტილი ქართულ თეატრს, რადგან აქ რეგულარულად მართავდნენ წარმოდგენებს თბილისის თეატრები [გ. ბუხნიკაშვილი, 1979: 84-85].

ამავე დროს ბათუმში არსებობდა თეატრის პატარა კერა მუშა-ახალგაზრდობის თეატრის სახით. მკვლევარ გ. ბუხნიკაშვილის აზრით, ბათუმში 1937 წლამდე არსებობდა მხოლოდ მოყვარულთა თეატრალური დასი – მუშა-ახალგაზრდობის თეატრის სახით (ხაზგასმა ჩვენია, ე.მ.).

ბათუმის თეატრალურ ცხოვრებაში ახალი ეტაპი დაიწყო 1932 წლიდან. პრაქტიკულად ამ დროიდან გადაიდგა ნაბიჯი მუდმივმოქმედი პროფესიული თეატრის შესაქმნელად. 1932 წელს ბათუმში გასტროლები გამართა რუსთაველის თეატრმა. გასტროლების მიმდინარეობისას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობა შეუთანხმდა თეატრის ხელმძღვანელს ა. ახმეტელს, რომ რუსთაველის თეატრთან არსებულ დრამატულ სტუდიაში შექმნილიყო აჭარის სექცია და მომზადებულიყო მსახიობთა ჯგუფი ბათუმის თეატრისათვის. ბათუმშივე გამოცხადდა მიღება. სტუდიაში შესვლის სურვილი განაცხადა 54 ახალგაზრდამ. თეატრის ხელმძღვანელობამ მათგან შეარჩია 20-ზე მეტი (პროფესორი თ. კომახიძე 22 მსმენელს ასახელებს [თ. კომახიძე, 1999: 207]) ახალგაზრდა [გ. ბუხნიკაშვილი, 1979: 86].

სტუდიაში სწავლა 4 წელი გაგრძელდა. სტუდიელთა სადიპლომო საექტაკლის („სასტუმროს დიასახლისი“, ავტორი კ. გოლდონი) პრემიერა შედგა რუსთაველის თეატრში 1936 წლის 5 აპრილს. სპექ-

ტაკლმა ისეთი მოწონება დაიმსახურა, რომ თეატრის ხელმძღვანელობამ მიმდინარე რეპერტუარში შეიტანა (დაახლოებით ასეთივე რამ განმეორდა 2000 წელს. ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტის მსახიობთა პირველი გამოშვების (ჯგუფის ხელმძღვანელი პროფესორი ლევან მირცხულავა) საკურსო და სადიპლომო სპექტაკლებმა („ყვარყვარე თუთაბერი“, „ბილოქსური ბლუზი“) ისეთი მოწონება დაიმსახურა, რომ კურსდამთავრებულები უკლებლივ მიიღეს ბათუმის დრამატულ თეატრში, სპექტაკლები კი შევიდა თეატრის რეპერტუარში. რა თქმა უნდა, ეს ფაქტი 1936 წლის მოვლენებს ვერ გაუტოლდება მაშინდელი მოვლენის მასშტაბებისა და მნიშვნელობის გამო).

გ. ბუხნიკაშვილი ბათუმის თეატრის ისტორიის პირველი მკვლევარია, რომელიც მეცნიერული კეთილსინდისიერებით და ობიექტურად (ზოგიერთი ფაქტის ტენდენციურად გაშუქების მიუხედავად) აღწერს ბათუმში თეატრალური ტრადიციების დამკვიდრებისა და განვითარების გზას. მისი ნაშრომი „ბათუმის თეატრი“ ნამდვილი მეგზურია თეატრის ისტორიით დაინტერესებული მკითხველებისა და სპეციალისტებისათვის. კიდევ ერთხელ გვინდა ხაზგასმით მივუთითოთ გ. ბუხნიკაშვილის ნაშრომში ბათუმის თეატრის ისტორიის ერთ დეტალზე. კერძოდ, იგი წერს: „ბათუმელები დიდი ინტერესით ადევნებდნენ თვალყურს თავიანთ მკვიდრთა წარმატებას რუსთაველის თეატრის სცენაზე. ამ ყურადღებას გამოხატავდა გაზეთი „საბჭოთა აჭარისტანი“, რომელმაც „სასტუმროს დიასახლისის“ პრემიერიდან ათი დღის შემდეგ დაბეჭდა წერილი ბათუმის მომავალი თეატრის (ხაზგასმა ჩვენია, ემ.) ამ პირველ დადგმაზე“. გ. ბუხნიკაშვილს ნაშრომში მოტანილი აქვს დასახელებული გაზეთის გამოხმაურება: „... აჭარას შეგვიძლია მივულოცოთ ნიჭიერ და კარგად მომზადებულ აქტიორთა ჯგუფის შექმნა, აჭარას არ ჰყავდა მსახიობი, დღეს ის მას ჰყავს“ [გ. ბუხნიკაშვილი, 1979: 85].

1937 წლის 12 მარტს აჭარის ჯგუფი ორი სპექტაკლით მუდმივად გამოემგზავრა ბათუმში [ლ. ლორთქიფანიძე, 1980: 5]. 1937 წლის 18 მარტს (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებამ აღნიშნული თარიღი საგანგებოდ დამთხვია აჭარის ეწ. გასაბჭოების თარიღს) ბათუმში საზეიმო ვითარებაში გაიხსნა პირველი პროფესიული თეატრი. ახლადარსებული თეატრის დასი შედგებოდა რუსთაველის თეატრის დრამატულ სტუდიაში დაოსტატებული ახალგაზრდებისაგან. თეატრის საზეიმო გახსნის შემდეგ დასმა წარმოადგინა გ. მდიგნის „ბრძანა“. დადგმა განახორციელდა ცნობილმა რეჟისორმა დ. ალექსიძემ. სპექტაკლში მოელი დასი (სამხატვრო ხელმძღვანელი არჩილ ჩხარტიშვილი) მონაწილეობდა. ზოგიერთი მსახიობი კი რამდენიმე ეპიზოდურ როლს ასრულებდა. აღსანიშნავია, რომ დასში შედიოდნენ როგორც სტუდიადამთავრებულები, ასევე მოწვეული მსახიობები.

ფაქტობრივად, ბათუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის ისტორია იწყება 1937 წლის 18 მარტიდან, როცა გაიხსნა პირველი მუდმივმოქმედი, პროფესიული თეატრი ბათუმში (ბათუმის სახელმწიფო თეატრის 1937 წელს გაიხსნა არც თ. კომახიძეს დაუყენებია ეჭვის ქვეშ [თ. კომახიძე, 1999: 207]).

მწერალი ნ. მოდებაძე, რომელსაც ეპუთვნის ერთ-ერთი შესანიშნავი ნარკევე ბათუმის სახელმწიფო თეატრის პირველ მსახიობ ქალბატონზე ნუნუ თეოტრაძეზე, საგულისხმო ინფორმაციასაც გვთავაზობს თეატრის ისტორიასთან დაკავშირებით: „...სახელმწიფო თეატრში რიგით მეორე სპექტაკლი გ. მდივნის „ალვაზარი“ შ. ინასარიძემ დადგა... გამართლდა გულშემატკიფართა იმედები – **ბათუმში მართლაც რომ გაიხსნა მუდმივი თეატრი** (ხაზგასმა ზემოთაც და აქაც ჩვენია, ე.მ.) და ამ თეატრის დირსეული შემოქმედნი იყვნენ ადგილობრივი ძალები“ [ნ. მოდებაძე, 1980: 12].

როგორც ვხედავთ, 1937 წლამდე ბათუმში მოქმედებდნენ მოყვარულთა წრეები და გასტროლიორთა ან მოწვეულთა დასები. ბუნებრივია, ეს ოდნავადაც ჩრდილს არ აყენებს ბათუმში თეატრალური ტრადიციების დამკვიდრების ისტორიას. ჩვენ საკამათოდ თეატრალური ტრადიციების დამკვიდრება კი არ გაგვიხდია, არამედ ბათუმის სახელმწიფო თეატრის ისტორიის სათავეები, რომელიც რეალურად 1937 წლიდან იწყება.

როცა ბათუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის 125 წლის იუბილეს აღნიშნავენ და უყოფმანოდ ამ საიუბილეო თარიღის აღნიშნას უკავშირებენ სცენისმოყვარულთა პირველი წარმოდგენის გამართვის თარიღს, უხერხელია, სცენისმოყვარულთა პირველი წარმოდგენა პროფესიული თეატრის დაარსების თარიღად ჩაითვალოს, რადგან არანაირი პირდაპირი კავშირი ამ ორ სხვადასხვა მოვლენას შორის არ დასტურდება. ასე რომ იყოს, ქართული თეატრის ისტორიის მკლევრები საქართველოში პროფესიული თეატრის დაარსების თარიღად ჩათვლიდნენ არა გიორგი ერისთავის თეატრის პირველი სპექტაკლის გამართვის თარიღს (1850 წ.), რომელსაც სიმბოლურად უოვლწლიურად 14 იანვარს აღნიშნავთ, არამედ ერგალე II-ის სამეფო კართან არსებულ თეატრს, რომლის დამადასტურებელი უტყური საბუთები არსებობს.

ქართული თეატრის მეისტორიენი გვერდს არ უვლიან ამ ფაქტს (ერეკლე II-ის თეატრი), საგანგებოდაც არის შეფასებული და აღნიშნული ამ მოვლენის მნიშვნელობა ქართული თეატრის ისტორიაში, მაგრამ მიჩნეულია, რომ ეს არ იყო პროფესიული თეატრი და არც არავის აზრად მოსვლია რუსთაველის ან მარჯანიშვილის თეატრის ისტორიის ათვლა დაეწყო XVIII საუკუნიდან ან 1850 წლიდან.

ისტორიული ფაქტები ყველაზე უტყური და ობიექტური მსაჯულია მოვლენების შეფასებისას. რა თქმა უნდა, ყოველი ჩვენთაგანი სიამაყით აღნიშნავს ქართული თეატრის ფესვების – უფლისციხის, გონიო-აფსაროსის და სხვა თეატრების ადგილს და მნიშვნელობას

ერის სულიერ ცხოვრებაში. არანაკლებ თავმოსაწონებელია ამა თუ იმ ქალაქის პროფესიული ოეატრის სიძველის წარმოჩენა და დამტკიცება, მაგრამ ეს უნდა მოხდეს სრული ობიექტურობის დაცვით, ფაქტებისა და მოვლენების შელამაზების გარეშე.

ლოგიკური და კანონზომიერი იქნება სამომავლოდ მაინც გამოვასწოროთ ეს შეცდომა და აღვნიშნოთ ბათუმში თეატრალური ტრადიციების დამკვიდრების თარიღი. ამით უფრო მეტად წარმოვაჩენთ და დირსეულ პატივს მივაგებთ იმ ადამიანების დვაწლსა და დამსახურებას, ვინც ბათუმში თეატრალური ტრადიციების დამკვიდრების სათავეებთან იდგა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ლ. ბოლქვაძე, აჭარის ხელოვნება, თბ., 1977.
2. გ. ბუხნიკაშვილი, ბათუმის თეატრი, თბ., 1979.
3. გაზ. „დროება“, 1979, № 4.
4. გაზ. „დროება“, 1980, № 70.
5. გაზ. „ბათუმის ფურცელი“, 1920, № 22.
6. გაზ. „უწყებანი“, 1921, № 62.
7. გაზ. „საბჭოთა აჭარისტანი“, 1936, № 37.
8. ს. გერსამია, ბათუმის თეატრი, ბათ., 1949.
9. ვ. კიკნაძე, ქართული დრამატული თეატრის ისტორია, I, თბ., 2001.
10. თ. კომახიძე, აჭარის კულტურის ისტორია, ბათ., 1999.
11. ა. ზამბახიძე, „იუსუფ კობალაძე“, ბათ., 1980.
12. ლ. ლორთქიფანიძე, „მერაბ ხინიკაძე“, ბათ., 1980.
13. ნ. მოდებაძე, „ნუნუ თეორაძე“, ბათ., 1980.
14. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები. აჭარა, ტ. III, ბათ., 2008.
15. ურნალი „ხელოვნება“, 1926, № 25.
16. ურნალი „თეატრი და ცხოვრება“, 1920, № 28.
17. აპ. ცაგარელი, კომედიები, თბ., 1936.
18. ნ. ჯაფარიძე, „ასი წელია გულში ხარ“, თბ., 1981.

Ermile Meskhia (Batumi, Georgia)

At Batumi theatre background

Summary

In 1879 on 8-20 of July the first georgian performance was staged in Batumi. We don't consider when researchers of theatre history confront this date with opening of Batumi Drama Theatre, because there is no connection between these historical events.

It will be logical and legitimated to call the year of 1879 as revival of Batumi theatre traditions.

ტარიელ ჭილვარია
(ქუთაისი, საქართველო)

ბათუმ-ქუთაისის თეატრის ისტორიისათვის

ქართველ ხალხს დრამატულ სანახაობათა კულტურა უძველესი დროიდან მოდგამს. თეატრისადმი განსაკუთრებული სიყვარული ბა- დებდა უბადლო ტალანტებს. ისიც ცნობილია, როგორი მოვლა-პატ- რონობა და სათუთი მოფრთხილება სჭირდება ამ სიყვარულს. თეატ- რის მაცოცხლებელი ენერგია არასოდეს არ უნდა დაიშრიტოს. ამ ენერგიის სათავე კი ჩვენშია, ჩვენს სულიერ ცხოვრებაში.

საქართველოს თეატრალურ კულტურას ფეხვი შორეულ წარსულ- ში აქვს გადგმული. იგი უძველესი დროიდან არსებობს და ანტიკურ სანას უკავშირდება.

XIX საუკუნეში განახლებული ქართული თეატრის წინსვლა XX საუკუნეში ახალი გზით წარიმართა, რასაც თან სდევდა როგორ პროცესები, თუმცა ბრწყინვალე რეჟისორთა და მსახიობთა ძალისხ- მევით მთელი კპოქა შეიქმნა და მსოფლიო თეატრალურ ხელოვ- ნებაში საკუთარი სიტყვა ითქვა.

1872 წლის 8 ივნისს ყვარელში დაიბადა ახალი თეატრალური სკოლის ფუძემდებელი კოტე მარჯანიშვილი, ხოლო 1886 წლის 14 აპრილს ანაგაში (სინაძი) – ალექსანდრე ახმეტელაშვილი (სანდრო ახმეტელი). შემდგომში ამ ორი ხელოვანის ურთიერთობაში ბევრი რამ განსაზღვრა ქართულ თეატრალურ სივრცეში.

კ. მარჯანიშვილი რეჟისორის სხვადასხვა ქალაქში (მოსკოვი, პეტ- როგრადი, კიევი, რიგა) ოცდახუთწლიანი მოდგაწეობის შემდეგ, 1922წელს, სამშობლოში დაბრუნდა ეროვნული თეატრის ისტორიაში უდიდესი მისიის შესახრულებლად. დიდი რეჟისორის მოდგაწეობის დასაწყისი საყოველთაოდ ცნობილია, ამიტომ ამ საკითხზე აღარ შევჩერდებით.

1926 წელს კ. მარჯანიშვილმა დატოვა რესტავრაციის თეატრი და ხელმძღვანელად დაინიშნა რეჟისორი ს. ახმეტელი, რომელიც თეატრს სათავეში ედგა 1935 წლამდე.

როგორ მოხდა, რომ კ. მარჯანიშვილი თეატრს მიღმა აღმოჩნდა? ყველასათვის ცნობილია, რას ნიშნავდა საქართველოში, და არა მარ- ტო საქართველოში, XX საუკუნის ოციანი წლები. ისტორიკოსი- სათვის, თუკი ერთხელ გაიაზრებს ბრძოლის პერიპეტიებს, რომელიც იმ დროს მიმდინარეობდა ყველა სფეროში და მათ შორის თეატ- რალური ხელოვნების სარბიელზეც, იქნებ, ერთი შეხედვით, ადვი- ლიც იყოს მოვლენათა და ფაქტთა შეფასება, მაგრამ საბჭოური ისტორიოგრაფია ამ მოვლენებს სულ სხვაგვარად აფასებდა – ბო- ლომდე დაჩაგრული, გასრენილი გლეხის და მჩაგვრელი, გადაგვა- რებული თავადის ან აზნაურის წარმოჩენა ე.წ. „დიდ რეჟისურას“

ქმნიდა. ამგვარი დაძაბულობის ფონზე გადაწყვდა კორპორაცია „დურუჯის“ შექმნა, რომელშიაც მირითადად ბოლშევიკურად განწყობილი, მაგრამ ნიჭიერი ახალგაზრდობა იკრიბებოდა. მაშინ არ იქნებოდა ადვიდი პოლიტიკური ელფერის დანახვა. ამ გადასახედიდან კი პოლიტიკური მომენტი აშკარად იკვეთება, რაც კარგადაა გაცხადებული ცნობილი რეჟისორის დ. ანთაძის ჩანაწერში: „საბოლოოდ მაინც მომწიფდა ჩვენი ორგანიზაციული გაერთიანების აუცილებლობა, რამაც დააჩქარა მისი ჩამოყალიბება, მით უფრო, რომ თანდათან მწვავდებოდა კონფლიქტი „მამებსა და შვილებს“ შორის. ეს კონფლიქტი ატარებდა არა იმდენად ასაკობრივ, რამდენადაც ღრმა პრინციპულ ხასიათს“ (რა იმალება ამ პრინციპულ ხასიათში?) [ანთაძე: 1962].

ამ დროისათვის კ. მარჯანიშვილი ირჩევა ძველსა და ახალს შორის. ამის ერთი მაგალითია „სტუდიურობისადმი“ მხარდაჭერა. „თავისუფალ თეატრში მან მანიფესტიც კი გამოაქვეყნა, სადაც ჩამოაყალიბა არა იმდენად შემოქმედებითი, რამდენადაც ეთიკური პრინციპები და თანამოაზრებს ერთობისაკენ მოუწოდა.

რუსთაველის თეატრის მუშაკთა ერთმა ჯგუფმაც შექმნა მანიფესტი, რომელიც ა. ვასაძემ 1924 წ. 29 იანვარს გააცნო მაყურებელს. მასში გამოკვეთილი იყო „ძველი“ თეატრის მიუდებლობის საკითხი. „ძველი თეატრის ნანგრევებში“ – ასე იწყებოდა მანიფესტი – მარჯანიშვილი დაიბნა. როგორ მოქცეულიყო ასეთი დონის ხელოვანი, რომელიც იმ დღეებში თავის სტატიაში წერდა: „ მე ვიცნობ ჩვენი პროფესიონალი აქტიორების თითქმის ყველა თაობას და უნდა ვთქვა, რომ ჩვენ გვეავდნენ დიდი მსახიობები... უძლიერესი პლეადა: ნატო გაბუნია, მაკო საფაროვა, ბაბო აგალიშვილი, ელისაბედ ჩერქეზიშვილი, ვასო აბაშიძე, ლადო მესხიშვილი, კოტე ყიფიანი და სხვ. [გუგუშვილი 1972: 203-204].

ეს პლეადა, აღნიშნავს პ. მარჯანიშვილი, შემოქმედებითი ხელწერით შეხავინის შესანიშნავ სკოლას მიეკუთვნება. მიუხედავად ამისა, დიდი რეჟისორი მაინც ვერ გაემიჯნა მანიფესტის ავტორებს, იგი მხარს უჭერდა „დურუჯს“ და საზოგადოების ერთი ნაწილის რისხვისაგან იცავდა მას. არადა, რაც უნდა პარადოქსულად გვეჩვენებოდეს, სწორედ „დურუჯი“ გახდა რუსთაველის თეატრიდან მარჯანიშვილის წამოსვლის ერთ-ერთი მიზეზი.

კორპორაციამ დასში განხეთქილება გამოიწია, ზოგიერთმა ძველმა მსახიობმა თეატრი დატოვა. ამაში ნაწილობრივ ხელმძღვანელობასაც ედებოდა ბრალი. ცნობილი თეატრმცოდნე ე. გუგუშვილი. იმოწმებს რა დ. ანთაძეს, წერს, რომ კორპორაცია არაფერს არ უთმობდა და ამით საბრძოლველად იწვევდა მას. მარჯანიშვილს აშკარად გაუჭირდა შექმნილ სიტუაციაში ორიენტირება. ჩაიშალა გასტროლი სოხუმსა და ბათუმში. მომდევნო სეზონის რეპერტუარზე უთხრეს, მოვიფიქრებთო და ა.შ.

უნდა ვიფიქროთ, რომ კორპორანტების მისწრაფება ძალაუფლებისაკენ ეწინააღმდეგებოდა მარჯანიშვილის ეთიკურ ნორმებს, ამიტომ, 1926 წლის 4 ივლისს, „დურუჯის“ კრებაზე, რომელიც მისსავე სახლში გაიმართა, გააკეთა განცხადება, რომ ძალიან უჭირს კოლექტივში მუშაობა. სამი დღის შემდეგ კი დასს ოფიციალური განცხადება გაუგზავნა გადადგმისა და თეატრიდან წასვლის შესახებ. უნდა აღინიშნოს, რომ კორპორანტებმა სასწრაფოდ მიმართეს საპასუხო წერილით, რომლითაც ბოლიშს იხდიდნენ, ერთგულებას ეფიცებოდნენ და დაბრუნებას სთხოვდნენ. წერილს ხელს აწერდნენ: ს. ახმეტელი, ა. ხორავა, ა. ვასაძე, შ. დამბაშიძე, უ. ჩხეიძე, დ. ანთაძე, კ. პატარიძე, ა. გველესიანი, თ. ჭავჭავაძე, ე. დონაური, გ. დავითშვილი, დ. მუავია, გ. სარჩიმელიძე, პ. კორიშელი. ორი წლის შემდეგ ხელმომწერთა უმრავლესობამ თავიანთი გულწრფელობა დაადასტურა, დატოვა თეატრი და მასწავლებელს გაჟყვა.

კ. მარჯანიშვილმა ცოტა ხანს კინოში იმუშავა. ეს იმანაც განაპირობა, რომ 1913 წელს მ. ანდრევამ გორკის თანხმობით კინოსტუდიის სასცენო განყოფილების მუშაობაში ჩააბა, მაგრამ მარჯანიშვილი ისე ახლოს იყო თეატრთან, რომ კინომატოგრაფმა იქ სახარბიელო პერსონელივები ვერ გადაუშალა. კინომატოგრაფიაში მუშაობა კ. მარჯანიშვილმა ფაქტობრივად საქართველოში დაიწყო. აქ შექმნა მან ექვივე ფილმი: „ქარიშხლის წინ“, „სამანიშვილის დედინაცვალი“, „გოგი რატიანი“, „განონი და მოვალეობა“, „კრაზანა“, „კომუნარის ჩიბუხი“.

მიუხედავად წარმატებებისა, რეჟისორის ოცნება კვლავ თეატრი იყო. ეს სურვილი აუხდა 1928 წელს, როდესაც მოახერხა ქუთაისში თეატრის დაარსება. იმდროინდელი ქუთაისის პრესა წვეული იუმორით წერდა: ისევე, როგორც რუსთაველის თეატრს, ქუთაისსაც ესაჭიროება თავისი მარჯანიშვილიო. მართლაც, თვით მარჯანიშვილი ეწვია ქუთაისს, სადაც ჯერ კიდევ ჭაბუქმა დაიწყო შემოქმედებითი გზა ქართული რეალისტური თეატრის კორიფეების ლოცვა-კურთხევით.

შესაბამისმა ორგანოებმა გადაწყვიტეს, 1928 წლის შემოდგომიდან ქუთაისში ამუშავებულიყო მეორე სახელმწიფო თეატრი, რომელიც „ბათუმსაც მოემსახურებოდა“. რას ნიშნავს „ბათუმსაც მოემსახურებოდა? ბათუმი ერთ თეატრს ვერ შექმნიდა? მაგრამ მოგეხსენებათ, რა ვითარებაც სუფევდა. დიდი დრო არ იყო გასული, რაც აჭარა ერთი იმპერიიდან მეორე იმპერიას გადაეცა... შემდეგ XX საუკუნის დასაწყისის რთული კატაკლიზმებით აღსავსე პერიოდი, პირველი მსოფლიო ომი, რევოლუციები... მართლა საჭირო იყო მარჯანიშვილისა და ახმეტელის მსგავსი, ყველა სიკეთითა და პროფესიონალიზმით სავსე ადამიანი. ასეთ რთულ პერიოდში კ. მარჯანიშვილმა და საზოგადოების ერთმა ნაწილმა გადაწყვიტა შექმნილიყო ბათუმის ქუთაისის თეატრი. მიგვაჩნია, რომ ეს იყო კიდევ ერთი დასაბუთება

ამ ორი ქალაქისა და რეგიონის ახლო ურთიერთობისა და სულიერი დაახლოებისა.

მსახიობთა ძირითადი ბირთვი, რომელთაც ქუთაისში წასვლისა და მარჯანიშვილთან მუშაობის სურვილი გამოთქვეს, თბილისის მუშათა თეატრის დასში მოღვაწეობდა. მათი წასვლა თეატრისათვის კატასტროფა იყო, მაგრამ იმდენად დიდი საქმე კათდებოდა, რომ თეატრის ხელმძღვანელმა მიხეილ ჭიათურელმა ყოველგვარი ყოფმანის გარეშე დათმო დასის წევრები.

ამრიგად, 1928 წლის 7 აგვისტოს დასი ქუთაისში შეიქრიბა და ბათუმ-ქუთაისის ახლად შექმნილმა თეატრმა სეზონის გახსნისათვის მზადება დაიწყო. შესანიშნავმა მსახიობებმა მხოლოდ ორი წელი იღვაწეს ქუთაისსა და ბათუმში, შემდეგ თბილისში გადავიდნენ და კ. მარჯანიშვილის თეატრის სახელით განაგრძეს არსებობა. ასე რომ, დღევანდები კ. მარჯანიშვილის თეატრი ქუთაის-ბათუმის თეატრის მემკვიდრე გახდავთ.

თუ გავისხენებთ ორი სათეატრო სეზონის განმავლობაში რა შემადგენლობით მოღვაწეობდა თეატრი, ადვილი წარმოსადგენია მისი სიდიადე. ესენი იყვნენ: ვ. ანჯაფარიძე, თ. კიკნაძე, ც. წუწუნავა, თ. ჭავჭავაძე, კ. აბესაძე, ს. ზაქარიაძე, ა. იმედაშვილი, ა. კვანტალიანი, ს. ქორქოლიანი, გ. შავგულიძე, უ. ჩხეიძე, შ. ხონელი და სხვ. რეჟისორები გახდენენ: დ. ანთაძე, ვ. აბაშიძე, გ. სულიაშვილი.

კ. მარჯანიშვილმა ქუთაის-ბათუმის თეატრთან შემოიკრიბა დრამატურგები, პოეტები, კრიტიკოსები და მთარგმნელები: შ. დადიანი, პ. კაკაბაძე, დ. შენგაელაია, ა. ქუთაოელი, კ. კალაძე, გ. ბაბუზი, დ. ჩიანელი, ი. გრიშაშვილი, გ. ბუხნიკაშვილი, ს. ჩიქოვანი, ვ. გაფრინდაშვილი, კ. მაუშვილი და სხვ.

ქუთაისში თეატრი ფუნქციონირებდა სარაზიშვილისეულ სახლში. დასმა პირველივე სპექტაკლით დიდ გამარჯვებას მიაღწია. ეს იყო „პოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ“. ამის შემდეგ ბევრჯერ შედგა პრემიერა ბათუმსა თუ ქუთაისში, მაგრამ განსაკუთრებით გამოყოფენ პ. კაკაბაძის „ყვარევარე თუთაბერს“. ყვარევარეს როლზე ქორქოლიანი იყო დამტკიცებული, მაგრამ მოულოდნელმა აფადმყოფობამ ხელი შეუშალა და შეცვალა უ. ჩხეიძემ, რომელმაც ბრწყინვალედ ითამაშა. სპექტაკლის პრემიერა დიდი ანშლაგით შედგა ბათუმში.

საერთოდ, ეს თეატრი იყო მოძრავი. სპექტაკლები ძირითადად ქუთაისში მზადდებოდა და შემდეგ ორივე ქალაქში იდგმებოდა. მაშინდელი რეჟიმის ავმა მცდელობამ, დაეცილებინა ორი დიდი ხელოვანი და ემართა ისინი „გათიშე და იბატონებს“ პრინციპით, ცუდ-თან ერთად კარგიც გააკეთა, საქართველოში ერთმანეთის მხარდამსარ უკვე თრი დიდი დრამატული თეატრი იღვწოდა, ერთს ხელ-მძღვანელობდა ს. ახმეტელი, მეორეს კ. მარჯანიშვილი.

გადასახედი კი არა, მოლიანად თავიდანაა შესასწავლი და სინამდვილისათვის დასაბრუნებელი ამ ორი დიდი ადამიანისა და ხელოვანის პირადი ურთიერთობაც და მოღვაწეობაც. ს. ახმეტელ

იყო დამოუკიდებელი საქართველოს პარლამენტის წევრი, ოპოზიციაში ეღგა ნ. ქორდანიას და მის მთავრობას. მას მიაჩნდა, რომ ამ მთავრობაში არ ცოცხლობდა ძლიერი ეროვნული სული, რითაც ნიადაგი ეყრდნობდა ბოლშევიკური რუსეთის შემოსვლას საქართველოში. ამ მომენტამდე ორი კვირით ადრე ს. ახმეტელმა დადგა სპექტაკლი „რაც გინახავს, ვედარ ნახავ”, რასაც, მისივე შეფასებით, დაცინვით შეხვდნენ.

რეჟისორი მალე თეატრიდან წავიდა და ცოტა ხანს თეატრალური საზოგადოების განყოფილების გამგის შ. დადიანის მოადგილე იყო. მარჯანიშვილის ჩამოსვლის შემდეგ კვლავ დაუბრუნდა თეტრს, მონაწილეობდა 1924 წლის აჯანყების მომზადებაში, როგორც სამხედრო ცენტრის აქტიური მონაწილე, რისთვისაც დააპატიმრეს და სიკვდილი მიუსაჯეს, მაგრამ კ. მარჯანიშვილისა და სხვათა ავტორიტეტმა და დახმარებამ გადაარჩინა. თუმცა, როგორც ვთქვით, მავანთ არ აწყობდათ ასეთი ურთიერთობა და შეითხზა ათასგარი ჭორი, თითქოსდა ახმეტელმა კოტეს საწინააღმდეგოდ „დურუჯის” წესდებაში ჩააწერინა ფრაზა: „კორპორანტი საუბრობს ქართველებთან აუცილებლად ქართულად, სხვებთან კი მათვის გასაგებ ენაზე.” ცნობილია, რომ კოტე რუსულად ატარებდა რეპეტიციებს. იქნებ მათ სხვადასხვა შეხედულება პქნონდათ რაიმე საკითხზე, მაგრამ გამორიცხულია, ეს მათი სამუდამოდ დაშორებისათვის საკმარისი ყოფილიყო. ამის დასტურად ზემოთ მოყვანილ წერილში ახმეტელის ერთი ფრაზა შეიძლება გამოვიყენოთ: „მე ვიცი სპეტაკ მეგობრად დარჩენა ბრძოლის დროსაც კი, მე დავიკავე შენი ადგილი მხოლოდ იმ აზრით, რომ ადრე თუ გვიან დაგაბრუნო შენს საყვარელ თეატრში, ოდონდ კი შენ მოისურვე...” დრომაც არ აცალა ამ ორ ბუმბერაზ ხელოვანს პვლავ დაახლოება. კ. მარჯანიშვილი 1933 წელს გარდაიცვალა, ხოლო ს. ახმეტელი, როგორც ხალხის მტერი, 1937-ში დახვრიტეს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. დ. ანთაძე, დღეები ახლო წარსულიდან, თბ., 1962.
2. ა. ახმეტელი, დოქუმენტები და ნარკვევები, ტ. I, თბ., 1978.
3. გ. ბუხნიაშვილი, თეატრალური ქუთაისი, თბ., 1976.
4. ნ. გვარაძე, თეატრალური მემუარები, ტ. II, თბ., 1952.
5. გ. გუგუშვილი, კოტე მარჯანიშვილი, თბ., 1972.
6. კ. კიკნაძე, ქართველი რეესორები, თბ., 1968.
7. ს. ჭეიშვილი, თეატრალური შტუდიები, ქუთ., 2007.
8. ელექტრონული ენციკლოპედია „ვიკიპედია,” www.wikipedia.com

Tariel Chigvaria (Kutaisi, Georgia)

From The History of Batumi-Kutaisi Theatre

Summary

Georgian theatrical culture has an ancient history. The advancement of the renewed Georgian theatre in the 19th century was successfully continued in the 20th century that was followed by some knotty processes. But with the help of the de luxe directors and actors the whole epoch was formed.

In 1922, in the critical period for Georgia, the eminent director Kote Marjanishvili returned in mother country. Unexpectedly he left the Rustaveli theatre in 1926 and Sandro Akhmeteli was appointed.

Marjanishvili's retiring was connected with the organization "Duraji". We should think, that corporant's struggle for the power was against the ethical norms of the great director, that's why on the 4th of July, in the meeting of the "Duraji" board he declared about his retiring. Despite of the leaders request he didn't change his decision.


Though he was great success in Cinematography, he returned in his beloved theatre. It was decided to start a new state theatre in Kutaisi from the end of the 1928 that would serve to Batumi as well. Tbilisi's worker's theatre moved in Kutaisi and Kote Marjanishvili became their leader.

It was a mobile theatre and the performances were staged in both cities.

ალექსანდრე თვალწრელიძე
(თბილისი, საქართველო)

ბათუმი და ნავთონი

მეცნიერებელების საუკუნის მეორე ნახევრის დასაწყისისთვის ბათუმი პატარა პროვინციული ქალაქი იყო. მისი ნავსადგური არ იყო განვითარებული საერთაშორისო მნიშვნელობის გადაზიდვებისთვის¹ (სურ. 1).



სურ. 1. ბათუმის საზღვაო ნავსადგური XIX საუკუნის მეორე ნახევარში

ბათუმის აღმავლობა იწყება 1878 წლიდან, როცა ბათუმი პორტოფრანკოდ გამოცხადდა². ბათუმისა და საზღვაო სანაოსნოს განვითარება აზერბაიჯანში ნავთობის ბუმით იყო გამოწვეული.


აზერბაიჯანისა და, კერძოდ, ბაქოს ნავთობის ინდუსტრია ჩაისახა XIX საუკუნის 50-იან წლებში. 1871 წლისათვის ბაქო გახდა უმსხვილესი ნავთობმომპოვებელი ცენტრი – მსოფლიოში წარმოებული 4.4

¹ შპს ბათუმის საზღვაო ნავსადგური, <http://www.batumiport.com>

² ბათუმი – ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 2, ობ., 1977, გვ. 148–149; ბათუმის საზღვაო ნავსადგური, იქნ, გვ. 151.

մոլորոն ը նազտողիւնան 45% ծայլով մոռակացեցած³. 1873 წյանք ծայլով դագումնած մմջես նոճելցես և անազտոն յոմեանու (Nobel Brothers Oil Extracting Partnership), շոմյելու մյուսց գաեցա յրտ-յրտու լուց մեռացած նազտողման մակացեցած յոմեանուց թորու. ամ յոմեանու յայտցնած անյանանու շմեկացած ծոծո-յօծատու նազտոն սավարմոցես (Եյր. 2).

նազտոն մոռակացած ձրոմուցուց մյուտուցած վարմուցած (Եյր. 3). մոռակացած նազտոն ես յասրեցատ - ծարյեցատ⁴ - եժորագ և ականյ քրանեկորբուս ցամոցցեցատ ցադասիցեցած ուժեսամո, սագաց օգո ծանյայցած⁵ օթցորոցեցած.



Եյր. 2. ծոծո-յօծատու սավարմոցես 1870-օան վլցած.

³ Aliyev N., The history of oil in Azerbaijan. Azerbaijan International, No 2.2, 1994, p. 22-23; Mir-Babayev M.F., Brief chronology of the history of Azerbaijan's oil business. Sabah Publishers, Baku, 2004, 200 p.

⁴ և բատա թորու, Կյանցագ այս իասակա նազտոն մուշուցած ծարյելու ցանսակցարու քրագուցա.

⁵ և անազտոն ծանյանու ձրոյելու ալոցրեց նոճելս յայտցնու.




სურ. 3. ბურღვითი სამუშაოები ბიბი-ეიბათის საწარმოებზე

XIX საუკუნის 70-იანი წლების ბოლოსთვის, როცა, როგორც აღინიშნა, ბაქოში ნავთობის მოპოვებამ წლიურად 2 მილიონ ტონას გადააჭარბა, ნავთობის გადაზიდვის ასეთი სქემა არარაციონალური აღმოჩნდა და მმები ნობელების კომპანია ვედარ უძლებდა კონკურენციას Royal Dutch Shell-თან.


XIX საუკუნის ბოლოს ბათუმისა და მისი საზღვაო სანაოსნოს განვითარება სწორედ ამ ლოგისტიკური პრობლემით იყო განპირობებული.

ბათუმის თანამედროვე ქალაქად გადაქცევა, ძირითადად, სამი ადამიანის მოღვაწეობით განისაზღვრა. ესენი არიან:



სურ. 4. სახმელეთო გზა ბაქოდან თდესამდე

1. ალფრედ ნობელი (სურ. 5)
2. ლუდვიგ ნობელი (სურ. 6) და
3. ბარონი ალფონს დე როტშილდი (სურ. 7).



სურ. 5. ალფრედ ნობელი




სურ. 6. ლუდვიგ ნობელი სურ.



7. ბარონი ალფონს დე როტშილდი

1876 წელს, ბათუმის პორტ-ფრანკოდ გამოცხადებისთანავე, ბარონ ალფონს დე როტშილდის ინიციატივით დაფუძნდა სააქციო საზოგადოება, რომელშიც მასთან ერთად გაერთიანდნენ ძმები ნობელები, ხაჯი ზეინალაბდინ ტადივე, მანთაშვილი და სხვა “ნავთობის პრინცები”. სააქციო საზოგადოების მიზანი იყო ბაქო-ბათუმის რკინიგზის მშენებლობის დობირება და თანადაფინანსება. რკინიგზის მშენებლობა 1878 წელს დაიწყო და 1883 წელს დასრულდა⁶.



სურ 8. ბაქო-ბათუმის ნავთობსადენის მარშრუტი

ნავთობსადენის ტექნიკური პარამეტრებია⁷:

1. სიგრძე – 835 კმ;
2. დიამეტრი – 200 მმ (7.9 დუიმი);
3. სიმძლავრე – 3 მილიონი ტ. წელიწადში;
4. საკომპრესორო სადგურების რაოდენობა – 16.

იმ დროისთვის ეს ყველაზე გრძელი, მძლავრი და თანამედროვე ნავთობსადენი იყო მსოფლიოში⁸.

რკინიგზის ამოქმედების შემდეგ ბათუმი გახდა ნავთობის საექსპორტო მნიშვნელოვანი პორტი, ხოლო ნავთობსადენის მშენებლობამ იგი მსოფლიოში უმსხვილეს სანავთობო პორტად გადაქცია. 1883 წელს

⁶ Oil industry of Azerbaijan – 160 years history. International Bank of Azerbaijan, Moscow, 2007, 75 p.

⁷ Нефтепровод, <http://bse.sci-lib.com/article081477.html>

⁸ Ibid.

ბათუმიდან გაიზიდა დაახლოებით 54 ათასი ტ ნავთობი, ხოლო 1913 წელს – 1.5 მილიონ ტონაზე მეტი⁹.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ბათუმის როლი თანდათანობით ეცემა. მართალია, 1929 წელს როგორიცაც ქარხნის ბაზაზე გაიხსნა ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა, რომელიც 13 ქვეყანას აწვდიდა თავის პროდუქციას, მაგრამ რუსებმა აქცენტი ნოვოროსიისკის პორტზე გადაიტანეს.

დღეს ბათუმს ახალი შესაძლებლობა ეძლევა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 2, ობ., 1977.
2. შპს ბათუმის საზღვაო ნავსადგური, <http://www.batumiport.com>
3. Aliyev N., The history of oil in Azerbaijan, Azerbaijan International, No 2.2, 1994.
4. Mir-Babayev M.F., Brief chronology of the history of Azerbaijan's oil business. Sabah Publishers, Baku, 2004.
5. Нефтепровод, <http://bse.sci-lib.com/article081477.html>
6. Oil industry of Azerbaijan – 160 years history. International Bank of Azerbaijan, Moscow, 2007.

Alexandre Tvalchrelidze (Tbilisi, Georgia)

Batumi and Oil

Summary

At the beginning of the second half of 19th century Batumi was a small provincial town. Its port was not intended for international transportation (Pic. 1). Development of Batumi begins from 1878 when it was announced as Porto Franco. The process of the Shipping Company development was caused by the oil boom in Azerbaijan. The oil industry in Azerbaijan, especially in Baku, started in 1850s. By 1871 Baku had become the large-scale oil extracting center – out of 4.4 million tons of oil produced throughout the world 45% was extracted in Baku. In 1873 the company - Nobel Brothers Oil Extracting Partnership – was founded in Baku, immediately becoming one of the leaders among the world oil-extracting companies. The company owned the enterprises of the largest Bibi-Eibat oil

⁹ ბათუმი – ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 2, ობ., 1977, გვ. 148-149; ბათუმის საზღვაო ნავსადგური, იქვე, გვ. 151; შპს ბათუმის საზღვაო ნავსადგური, <http://www.batumiport.com>

enterprises in Azerbaijan (Pic. 2, 3). Often the extracted oil was transferred to Odessa in wood barrels by using cartage transport where it was loaded into tankers (Pic.4).

By the end of the 1870s oil extraction in Baku exceeded 2 million tons annually. Such scheme of the oil transportation appeared to be irrational and Nobel Brothers' company could no longer compete with Royal Dutch Shell. At the end of 19th century the development of Batumi and its Shipping Company was preconditioned by this very logistic problem. Turning Batumi into a modern city was determined by the activities of three people. These are: Alfred Nobel (Pic. 5), Ludwig Nobel (Pic. 6) and Baron Alfonse de Rothschild (Pic. 7). In 1876, immediately after announcing Batumi the Porto Franco, a joint stock company was founded by the initiative of Baron Alfonse de Rothschild including apart from him Nobel Brothers, Haji Zeinalabdin Taghiev, Mantashev and other "oil princes". The aim of the joint stock company was to lobby and finance the construction of Baku-Batumi railroad. The construction of the railroad began in 1878 and finished in 1883. By that time it was the longest, most powerful modern oil pipe in the world. After putting the railroad into action Batumi became a significant oil exporting port while the construction of the pipeline made it into the world largest oil ports.

After Georgia became a Soviet country, the role of Batumi gradually decreases. Although on the basis of the Rothschild factory the Batumi Oil Processing Factory was opened in 1929 transferring its product to 13 countries, the Russians still transferred the accent onto the Novorossiysk port.

Today Batumi is given a new opportunity.

თემურ ტუნაძე
(ბათუმი, საქართველო)

ბათუმი და ნავთობმრჩევალთა ამხანაგობა „Branobel“

შავი ზღვის სამხრეთ-დასავლეთ ყურემ, სადაც ბათუმი მდებარეობს, ძველთაგანვე მიიპყრო განსაკუთრებული ყურადღება, როგორც ბუნებრივად მშვიდმა, დრმა და მოსახერხებულმა საზღვაო ნავსადგურმა. ქალაქის განაშენიანების ერთ-ერთი წინაპირობაც ეს გარემოება გახდა და იმ დიდი ინტერესის მიზეზიც, რასაც მისდამი ავლენდნენ მსოფლიოს დიდი სახელმწიფოები.

XIX საუკუნის 70-80-იან წლებში ბაქოს ნავთობმრეწველობის სწრაფმა განვითარებამ განაპირობა გასაძების ახალი ბაზრების ძიება და ბაქოს ჩართვა ნავთობით ვაჭრობის საერთაშორისო არეალში. ამ გარემოებამ ახალი მნიშვნელობა შესძინა ბათუმს და ხელი შეუწყო მის სწრაფ განვითარებას.

ბათუმის მეშვეობით ნავთობით ვაჭრობის თემა მრავალ ასპექტს მოიცავს, როგორც პოლიტიკურ-ეკონომიკური, ასევე, სოციალური და კულტურული თვალსაზრისით. ამ კუთხით XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან XX საუკუნის 20-იანი წლების ჩათვლით პერიოდი მრავალ საინტერესო საკითხებზე მსჯელობის საშუალებას იძლევა და უამრავ კითხვასაც ბადებს. მოცემულ შემთხვევაში ჩვენი დაინტერესების საგანია ნავთობმრეწველთა ამხანაგობა „Branobel“-ის საქმიანობიდან განსაკუთრებული აქცენტი გავაკეთოთ იმ საკითხებზე, რომლებიც უშუალოდ ბათუმს ეხება ან მასთანაა დაკავშირებული.

შვედ გამომგონებელთა ოჯახის, მათ შორის ნავთობის მეფეებად წოდებული მქები ნობელების საქმიანობა როგორც და მრავალმხრივ საინტერესოა. მათ დიდი წვლილი მიუძღვით კაცობრიობის განვითარების ისტორიაში. გარდა ნობელის პრემიისა, რაც დიდი სტიმულია მეცნიერების არაერთი დარგისათვის, ადსანიშნავია, ასევე, მათი მიღწევები ნავთობმრეწველობაში, რამაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა სამხრეთ კავკასიის, მათ შორის ბათუმის სამრეწველო განვითარებაზე.

XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან ბაქოში იწყება ნავთობმრეწველთა გაერთიანება და მსხვილი კომპანიების ჩამოყალიბება, რომლებიც მიზნად ისახავდნენ ვერტიკალურად ინტეგრირებული სისტემის ჩამოყალიბებას ნავთობის მრეწველობაში. სულ 1889 წლისათვის აფშერნის ნახევარკუნძულზე ნავთობმრეწველის ხარისხში რეგისტრირებული იყო 28 ფირმა და 41 ინდივიდუალური მეწარმე. მათ შორის

მსხვილი, ვერტიკალურად ინტეგრირებული კომპანიები¹ ბაქოს ნავთობის 42,2 % აწარმოებდნენ [Матвейчук, 2006: 35].

კავკასიის ერთ-ერთი უმსხვილესი ნავთობსამრეწველო ამხანაგობა „შემები ნობელები,” იგივე „Branobel“, დაარსდა 1879 წლის 25 მაისს (ახალი სტილით 6 ივნისს) ბაქოში. ამხანაგობის დაარსების იდეის ავტორები იყვნენ სამი მმა ნობელები: ლუდვიგი, რობერტი, ალფრედი და მათი მეგობარი, არტილერიის პოლკოვნიკი პეტრე ალექსანდრეს ძე ბილდერლინგი. მათ შორის ნავთობის მიმართ განსაკუთრებულ ენთუზიაზმს იჩენდა ლუდვიგ ნობელი, რომელიც პირველივე საორგანიზაციო ქრებაზე სხდომის თავმჯდომარედ აირჩიეს და შემდგომშიც იგი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა კომპანიის საქმიანობაში. ამხანაგობის ძირითადი კაპიტალი 3 მლნ. რუბლს შეადგენდა, რომელიც შემდეგი თანაფარდობით იყო წარმოდგენილი:

№	დამფუძნებლები	საწილო შენატანების რაოდენობა (ათასი რუბლი)
1	ლ. ნობელი	1 610
2	პ. ბილდერლინგი	930
3	ო. ზაბელსკი	135
4	ალფრედ ნობელი	115
5	რობერტ ნობელი	100
6	ა. ბილდერლინგი	50
7	ფ. ბლიუმბერგი	25
8	მ. ბელიამინი	25
9	ა. სუნდგრენი	5
10	ბ. კუნდერლიხი	5

გვროპაში რუსული ნავთი პირველად ჩნდება 1882 წელს. ამ პროცესთან დაკავშირებით საინტერესოა 1883 წლის აპრილში შემები ნობელების ამხანაგობის ანგარიში აქციონერთა საერთო შეკრებაზე, სადაც ხაზგასმით იყო აღნიშნული შემდეგი: „კომპანია ფლობს მნიშვნელოვან უპირატესობას ბაქოს ნავთობზე ამერიკელების წინაშე და რუსულ ნავთს აქვს ფართო არეალი... კომპანიის ამოცანას წარმოადგენდა გაეძევებინა ამერიკული ნავთი რუსული ბაზრიდან, ხოლო შემდგომ დაეწყო რუსული ნავთის გატანა საზღვარგარეთ...

¹ ამგვარ კომპანიათა რიგს მიეკუთვნებოდნენ: 1. „ბაქოს მენავთობეთა საზოგადოება“ (ჩამოყალიბდა 1874-1873 წლებში); 2. შემები ნობელების ნავთობსამრეწველო ამხანაგობა (ჩამოყალიბდა 1879 წელს); 3. „ბათუმის ნავთობსამრეწველო და სავაჭრო საზოგადოება“ (1883 წ.) რომლის საქონტროლო პაკეტი 1886 წელს გადავიდა ბარონი რობერტის ხელში და ჩამოყალიბდა, როგორც „კასპია-შავიზდვისპირეთის ნავთობსამრეწველო და სავაჭრო საზოგადოება“; 4. რუსული მინერალური ზეთებისა და სხვა ქიმიური პროდუქტების საწარმოო კომპანია „С. М. Шибаев и К.“ (1884 წ.); 5. 1886 წელს ჩამოყალიბდა ნავთობსაწარმოო და სავაჭრო საზოგადოება „Каспийское товарищество“ (Матвейчук, 2006:30-31).

ამერიკული ნავთი უკვე არ მონაწილეობს რუსულ ბაზრებზე, ხოლო გასულ წელს კომპანიამ დაიწყო ბაქოს ნავთის შეტანა ავსტრიასა და გერმანიაში“ [Василенко, 2006: 17].

კომპანია ბრანიბელის მნიშვნელოვანმა წარმატებებმა რუსეთის იმპერიის შიდა ბაზარზე, ბუნებრივია, დღის წესრიგში დააყენა საზღვარგარეთ ბაქოს ნავთისა და სხვა ნავთობპროდუქტების ექსპორტის საკითხი. ამ კუთხით ნობელები არასდროს გამორიცხავდნენ ამიერკავკასიის რკინიგზის მნიშვნელობას, მაგრამ სანამ ეს სარკინიგზო ქსელი ჩამოყალიბდებოდა, მანამდე ნობელებს ნავთის ექსპორტის რამდენიმე პროექტი ჰქონდათ.

ერთ-ერთი პროექტის მიხედვით, ნავთობპროდუქტები უნდა გაეტანათ ბალტის ზღვით. ლუდვიგ ნობელი ამ მიმართულებას ამართლებდა იმ გარემოებით, რომ რუსეთისათვის უფრო მოგებიანი იქნებოდა გაეტანა ნავთი ბალტის ზღვით 70-80 კაპიკად და შეიძლება უფრო ძვირადაც, ვიდრე ჩაებარებინა იგი ბათუმში უცხოელი გადამზიდებისათვის 40 კაპიკად. ლუდვიგ ნობელმა ორგანიზება გაუკეთა ბალტის ზღვით ნავთის ექსპორტს და იქ საკუთარი ტანკერი შეიყვანა (ამხანაგობის მმართველობამ ლუდვიგის სიკვდილის შემდეგ ამ ტანკერს მისი სახელი უწოდა). ნავთობპროდუქტების გატანის ეს მიმართულება შემდგომშიც იქნა შენარჩუნებული. მას გარკვეული უპირატესობებიც გააჩნდა [Двадцатипятилетие... 1904: 80]. იგი ითვალისწინებდა შიდა რუსეთის სარკინიგზო ხაზების გაფართოებას და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის განვითარებას. ბათუმის გავლით საქონელი რუსეთის ტერიტორიაზე გაივლიდა მხოლოდ 840 ვერსს (ამიერკავკასიის რკინიგზაზე), მაშინ, როცა ჩრდილოეთის გზით გამავალი ნავთობი გაივლიდა რამდენიმე ათას ვერსს – კასპიის ზღვის, კოლგისა და შემდგომ რუსეთის სარკინიგზო ხაზების საშუალებით. გერმანიაში რუსული ნავთი ერთი და იმავე ფასით იყიდებოდა, განურჩევლად იმისა, ბათუმის გავლით გავლიდა ოუ ჩრდილოეთის გზით. მართალია, ბათუმთან შედარებით ჩრდილოეთით გამავალი ნავთის ფასი 17 კაპიკით მატულობდა, მაგრამ ეს სხვაობა რჩებოდა ისევ რუსეთის მოსახლეობაში, კინც დაბავშვული იქნებოდა გადაზიდვებზე რკინიგზით თუ გემით და ა.შ.

ჩრდილოეთის გზა ძირითადად ემსახურებოდა ჩრდილოეთ ევროპას და აღმოსავლეთ გერმანიას. ამიტომაც, შემდგომში, ამხანაგობამ სერიოზული ყურადღება დაუთმო ბათუმს.

ბაქო-ბათუმის სარკინიგზო ხაზის ამოქმედებამდე, გეოგრაფიული პირობების გათვალისწინებით, ბაქოს ნავთობი ძირითადად ემსახურებოდა რუსეთის შიდა ბაზარს. რუსეთის ხელისუფლება მიემსრო ნავთობმრეწველთა ინტერესებს და თავდაპირველად ამოქმედდა ბაქო-თბილისის სარკინიგზო ხაზი, რომელიც შეუერთდა თბილისი-ფოთის სარკინიგზო მაგისტრალს. 1883 წლიდან კი სამტრედია-ბათუმის

რკინიგზით შეიკრა ბაქო-ბათუმის მონაკვეთი [Двадцатипятилетие... 1904: 81].²

ბაქო-ბათუმის სარკინიგზო ხაზით დაპავშირებამ დღის წერიგში დააყენა ბათუმის პორტის მოწყობის საკითხი. ამ მიზნით შეიქმნა კომისია ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის გენერალ სმეკალოვის (1830-1890) ხელმძღვანელობით. ამ კომისიაში ლუდვიგ ემანუელის ძემ განსაკუთრებული როლი შეასრულა. მან შემოიარა ბათუმის პორტის შემოგარენი, დაათვალიერა რეიდი და გაეცნო ყველა შესაძლო პირობას, რაც კი სასარგებლო იქნებოდა საექსპორტო ვაჭრობისათვის. მის წინადადებებსა და რჩევებს ყოველთვის დიდი პატივისცემით ითვალისწინებდა კომისია. მისი უშუალო ხელმძღვანელობით დაიტანეს გეგმაზე ნავთობის საწყობები, რომლებიც დაყოფილი იყო უბნებად ქუჩების აღნიშვნით, სარკინიგზო ხაზები და მათი განშტოებები და ა.შ. ლუდვიგის მიერ შეთავაზებული გეგმა კომისიამ მოიწონა, მაგრამ საბოლოოდ პორტი განსხვავებული გეგმით განვითარდა და მნიშვნელოვნად დაცილდა თავდაპირველ საპროექტო ვარიანტს. 1885 წელს ლუდვიგი ხელახლა ჩამოვიდა ბათუმში და თავისი შეხედულებები გააცნო მაშინდელ კავშირგაბმულობის (Министерство путей сообщения) მინისტრს, რეიდის გაწმენდის, სარკინიგზო ესტაკადების მშენებლობის და ა.შ. შესახებ. ამჯერად ლუდვიგის წინადადებები მხედველობაში იქნა მიღებული [Двадцатипятилетие... 1904: 82].

ბაქო-ბათუმის სარკინიგზო ხაზი 1883 წელს დასრულდა, მაგრამ 1888 წლამდე არსებითი სარგებელი კერძო მეწარმეებსათვის არ მოუტანია, რადგან თავდაპირველად მათ არ დართეს საკუთარი ვაგონების გამოყენების ნება. ასეთი ნებართვა გაიცა მხოლოდ 1888 წელს. აღნიშნული რკინიგზის წლიური გამტარუნარიანობა 5 მლნ ფუთს შეადგენდა. ერთი მხარის დაფარვას ეშელონი, რომელიც 9 ვაგონ-ცისტერნისაგან შედგებოდა, ანდომებდა 60-70 საათს. 1888 წლისათვის ამხანაგობა „Branobel“ ფლობდა 465 კერძო ვაგონს, რომლებიც ბაქო-ბათუმის რკინიგზისათვის იყო გათვლილი. ამ დროიდან უფრო თვალშისაცემი გახდა აღნიშნული სარკინიგზო ხაზის მნიშვნელობა, მაგრამ სატრანზიტო ტვირთების მოცულობას აფერხებდა რკინიგზის დაბალი გამტარუნარიანობა, რასაც ლიანდაგების სიმცირესთან ერთად განაპირობებდა სურამის უღელტეხილი. ამ სირთულის დასაჭლევად ნობელებმა გადაწყვიტეს მოეწყოთ სურამზე ნავთის საკუთარი მილსადენი – მიხაილოვოდან (ხაშური) ყვირილამდე. მისი სიგრძე 62 კვრსი იყო, რომლის მშენებლობა ამხანაგობას 650 ათასი მანეთი დაუჯდა. ეს იყო ნავთობის მილსადენის პირველი წარმატებული მშენებლობა უფრო დიდი მანძილისა და სიმაღლის გათვალისწინებით. შემდგომში ეს მილსადენი ამხანაგობამ დაშალა და სხვა საჭიროებისათვის გამოიყენა [Двадцатипятилетие... 1904: 83].

² ამიერკავკასიის სარკინიგზო ქსელისა და მასში ბათუმის ჩართვის შესახებ იხ. ბენდიანიშვილი, 2008:223-228.

იმ დროისათვის, როცა ბათუმის საშუალებით ბაქოს ნავთი საერთაშორისო კონკურენციაში ჩაერთო, ევროპაში გაბატონებული მდგომარეობა ეჭირა კომპანია „სტანდარტ ოილის“ მიერ წარმოებულ ამერიკულ ნავთს. ჯონ როკფელერსა და ბაქოს ნავთობმრეწველთა, განსაკუთრებით ნობელებს შორის კონკურენციის ისტორია ხანგრძლივი და, გარკვეულწილად, დაუნდობელიც იყო. ჯონ როკფელერის ერთ-ერთ უპირატესობას მისი მონოპოლისტური მდგომარეობა წარმოადგენდა, რითაც იგი ახერხებდა ევროპაში ნავთის ფასებით თამაშს [ტუნაძე, მქავანაძე, 2008]. ლუდვიგ ნობელმა განსაკუთრებული სიმკაცრე დააწესა წარმოებული ნავთის ხარისხზე, რამაც მას მნიშვნელოვანი წარმატებები მოუტანა. ნავთოან ერთად მან ძირითადი აქცენტი გადაეთა ევროპაში საპოხი ზეთების ექსპორტზე. 1885 წლისათვის ამხანაგობამ ბათუმიდან გაიტანა 717 ათასი ფუთი (11745 ტონა) საპოხი ზეთი, ხოლო შემდგომში ამ სახის ექსპორტმა 11 მლნ ფუთს გადააჭარბა [Двадцатипятилетие... 1904: 86-89]. ეს საკითხი ამ ეტაპზე სცილდება ჩვენი თემის ფარგლებს,³ აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ნავთობპროდუქტების საერთაშორისო ვაჭრობაში ბათუმის პორტს განსაკუთრებული როლი ენიჭებოდა, მაგალითად ამხანაგობას გერმანიაში ნავთის 75% გაქონდა ბათუმიდან, ხოლო 25% რუსეთის ჩრდილოეთი საზღვრებიდან, რაზეც ზემოთაც იყო საუბარი. ნობელებს გერმანიაში ნავთი ბათუმიდან გაქონდათ საკუთარი ტანკერით – «РОССИЯ», რომლის ტევადობა 5500 ტონა იყო [Двадцатипятилетие... 1904: 84]. მმები ნობელების ამხანაგობას ბათუმში გააჩნდა სპეციალური სტრუქტურული ერთეული „ბათუმის კანტორა“, რომელიც, „ნოვოროსიისკის კანტორასთან“ ერთად, ორგანიზებას უკრთხებდა ნავთის ექსპორტს შავ ზღვაზე [Двадцатипятилетие... 1904: 129].

მმები ნობელები მუდმივად ცდილობდნენ გადაეხადისებინათ საწარმოო და სატრანსპორტო ტექნოლოგიები. მრავალ გამოგონებათა შორის, რომელთა რაოდენობა სამასს აღწევს, ბათუმთან დაკავშირებით საინტერესოა მილსადენის მშენებლობა. ბაქო-ბათუმის ნავთობსადენის აგების იდეა ლუდვიგმა რუსეთის ხელისუფლებას ჯერ კიდევ 1884 წელს შესთავაზა, მაგრამ უარი მიიღო. შემდგომში თავად ლუდვიგმა სურამის უდელტეხილის ხაშური-ზესტაფონის მონაკვეთზე 62 ვერსის ნავთობსადენი მილი გაიყვანა, ეს იყო პირველი წარმატებული ცდა ნავთის გადაქაჩისა, რომელმაც შემდგომში ხელი შეუწყო უდიდესი ნავთობსადენის შექმნას ბაქო-ბათუმის მონაკვეთზე. მილსადენის მშენებლობის საკითხი მოგვიანებით კვლავ დაისვა, მაგრამ ამჯერად მილსადენით სურდათ ნედლი ნავთობი გადაექაჩათ ბათუმში და იქიდან გაეტანათ საზღვარგარეთ. ნედლი ნავთობის ექსპორტი ევროპაში ბაქოს ნავთობგადამამუშავებელი მრეწველობისათვის, ფაქტობრივად, გაკოტრების ტოლფასი იქნებოდა. ეს იდეა

³ ამერიკული (პენსილვანიის) და რუსული (ბაქოს) ნავთის კონკურენციის შესახებ იხ.: ბენდიანიშვილი, 2008:260-261; ტუნაძე, მქავანაძე, 2008

ნავთობის საერთაშორისო ვაჭრობაში არსებული კონკურენციის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი იყო, რომლის სათავეებთან ჯონ როკ-ფელერი იდგა. მაშინ ამ იდეას მნიშვნელოვანი წინააღმდეგობა შეხვდა ძმები ნობელებისაგან. ამ საქმეში მნიშვნელოვანი დამსახურება მიუძღვის მ. ბელიამინსა და ვ. რაგოზინს, რომლებმაც ნობელების დავალებით მოახერხეს და ჩაშალეს ბათუმიდან ნედლი ნავთობის ექსპორტის იდგა [Двадцатипятилетие... 1904: 144]. ოუმცა, მილსადენის მშენებლობის საკითხი მაინც იდგა დღის წესრიგში, რაც მნიშვნელოვნად იყო განპირობებული ბაქო-ბათუმის რკინიგზის არასაკმარისი გამტარუნარიანობის გამოც. მილსადენის მშენებლობა 1897 წელს დაიწყო და 1906 წელს დასრულდა. მისი წლიური გამტარუნარიანობა 60 მლნ. ფუთს უდრიდა. ბათუმში შემომავალი ბაქოს ნავთი ძირითადად ექსპორტისათვის იყო განკუთვნილი, მხოლოდ მცირე ნაწილი გაქმნდათ რუსეთში. 1900-1913 წლებიდან ბათუმიდან გაზიდული იქნა სულ 448,7 მლნ. ფუთი ნავთი, მათ შორის 68,9 % გემ-ცისტერნებით, ხოლო 31,3% – ოუნუქის ბიდონებით. ნავთობის ექსპორტი ბათუმიდან უმაღლეს ნიშნულს აღწევს 1903 წელს, შემდგომში, განსაკუთრებით კი 1905 წლიდან, ძლიერ მცირდება.

ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ ძმები ნობელების ბათუმში საქმიანობის და მათი „ბათუმის კანტორის“ შესახებ მწირი დოკუმენტური ცნობები მოგვეპოვება, ცალსახაა, რომ ნობელებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ბათუმის სამრეწველო-ეკონომიკური და, საერთოდ, საქალაქო განვითარებაში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ალ. ბენდიანიშვილი, სარკინიგზო ტრანსპორტი, – სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, აჭარა, III, ბათ., 2008; მიხვე: ვაჭრობა და საბანქო-საკრედიტო ურთიერთობანი, – დასახელებული კრებული, ბათ., 2008.
2. თ. ტუნაძე, ე. მეავანაძე, ევრაზიულ ამერიკული ნავთობის კონკურენციის ისტორიიდან, – IV საერთაშორისო კომფერენცია ამერიკის მცოდნეობაში, ქუთ., 2008.
3. Василенко А. Б., Геополитические аспекты нефтяной политики США и Российской империи во второй половине XIX века, – Материалы научно-исторической конференции «Роль частного предпринимательства в развитии нефтяной промышленности России во второй половине XIX века», М., 2006.
4. Двадцатипятилетие товарищества нефтяного производства Братьев Нобель – 1879-1904, С-Пб, 1904.
5. Матвейчук А.А., особенности становления нефтяного предпринимательства в 60-80 годах XIX века в России, – Материалы научно-исторической конференции «Роль частного предпринимательства в развитии нефтяной промышленности России во второй половине XIX века», М., 2006.
6. Марковъ Л.Л., Очерк батумской торговли нефтяными продуктами, – Батумъ и его окрестности, Бат., 1906.

Temur Tunadze (Batumi, Georgia)

Batumi and The Petroleum Production Company "Branobel"

Summary

Fast development of Baku Oil Industry in the 1870-80s and the search for the market connected Baku and Batumi. This unity was depicted in realizing the Caucasus railway roads including Baku–Batumi railway and oil pipeline. The work depicts various aspects of the activity the Petroleum Production Company "Branobel" of the Swedish Nobel Brothers which was connected to Batumi. Batumi was the only harbour at the Black Sea that attracted their attention. Due to Batumi it became possible to involve Baku oil into the international competition of the oil market, which made Batumi into the port of international importance, the population of the town increased, the infrastructure developed, organization of public services and amenities of the town improved, The Petroleum Production Company "Branobel" namely Ludvig Nobel contributed greatly to the planning of the Batumi Port nad development of the entire town.

ასლან მახაძე
(ბათუმი, საქართველო)

საბანკო საქმის განვითარება ბათუმში

საბანკო საქმის ჩამოყალიბება-განვითარება ყოველთვის უკავშირდება ეკონომიკური საქმიანობის მზარდ მასშტაბებს. ამის კლასიკური მაგალითია საბანკო-საკრედიტო ურთიერთობების ფორსირებული განვითარება ქ. ბათუმში მე-19 საუკუნის ბოლოს. 1878 წელს ბათუმი ტიპიური აზიური ქაღაქი იყო, ხოლო 1890 წლისათვის, რუსეთის იმპერიაში ვაჭრობა-მრეწველობის განვითარების თვალსაზრისით, ერთ-ერთი დაწინაურებული ქაღაქი გახდა. ადნიშნულ პერიოდში ქაღაქში რკინიგზის შემოსვლამ და ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებამ განაპირობა საბანკო-საკრედიტო სფეროს ჩამოყალიბება.

1886 წელს შეიქმნა „სახელმწიფო ბანკის ბათუმის განყოფილება“. იგი აწარმოებდა საკრედიტო ბილეთების გაცემას, კუპონებისა და პროცენტიანი ქაღალდების განადლებას, გადასახდელი თანხების მიღებას ორგანიზაციებისა და კერძო პირებისაგან, ღებულობდა პროცენტიან ანაბრებს და სხვა. 1901 წელს დაიწყო საზღვარგარეთის ოპერაციები. 1903 წელს წლიური ბრუნვა შეადგენდა 84 320 049, ხოლო 1904 წელს – 140 მლნ რუბლზე მეტს.

როგორც სახელმწიფო ბანკის საქმიანობიდან ჩანს, ამ დროისათვის რუსეთის იმპერიაში, ისევე როგორც სხვა ქვეყნებში, ჯერ კიდევ არაა გამიჯნული სახელმწიფო (ცენტრალური) და კომერციული ბანკების საქმიანობა. სახელმწიფო ბანკი ასრულებს კომერციული ბანკის რიგ ფუნქციებს. ბუნებრივია გაცხოველებული ეკონომიკური აქტივობის დროს მარტო სახელმწიფო ბანკი ვერ შეასრულებდა ბიზნესის სრულფასოვანი განვითარების უზრუნველყოფული საბანკო-საფინანსო ფუნქციას. საბანკო მომსახურებაზე მოთხოვნის გადიდებამ განაპირობა კომერციული ბანკების სტრუქტურული ერთეულების შექმნა-განვითარება მათთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ფუნქციებით.

1890 წელს შეიქმნა „თბილისის კომერციული ბანკის ბათუმის განყოფილება“, რომელიც ემსახურებოდა ვაჭრებსა და მრეწველებს, აწარმოებდა სასაქონლო-სასესხო ოპერაციებს.

1895 წელს წვრილი მწარმოებლებისა და ვაჭრების ფართო ფენებისათვის ჩამოყალიბდა სპეციალური დანიშნულების ბანკი – „ბათუმის ურთიერთდახმარების საკრედიტო საზოგადოება“.

1896 წელს გაიხსნა „სამხრეთ რუსეთის სამრეწველო ბანკის განყოფილება“. მისი კლიენტები იყვნენ არა მარტო ბათუმის ვაჭრები და მრეწველები, არამედ ქუთაისის, ფოთის, ჭიათურის და სამტრედიის წარმომადგენლები.

1903 წელს ამოქმედდა „რუსეთ-ჩინეთის ბანკის ბათუმის განყოფილება“.

შემდგომ წლებში რევოლიციურმა გამოსვლებმა და მუშაობა აჯანყებებმა ბათუმის კონომიკური განვითარება საგრძნობლად შეანელეს, შესაბამისად, დაეცა საბანკო-საკრედიტო საქმიანობის აქტივობაც.

ქალაქ ბათუმში საბანკო საქმიანობის შემდეგი ეტაპი საბჭოთა კონომიკის თავისებურებებითაა ნაკარნახევი. როგორც ცნობილია, აღნიშნულ პერიოდში საბანკო მომსახურებას ეწეოდა სახელმწიფო ბანკი ერთიანი სქემით, მიუხედავად იმისა, რომ ცალკეულ პერიოდებში ფუნქციონირებდა სპეციალიზებული დარგობრივი ბანკები.

საბჭოთა პერიოდში საბანკო საქმიანობაში შედარებით არსებითი ცვლილებები დაიწყო 1987 წელს სკპ ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს 17 ივლისის №№21 დადგენილებით „ქვეყანაში ბანკების სისტემის სრულყოფისა და კონომიკის ეფექტიანობის ამაღლებაზე მათი ზემოქმედების გაძლიერების შესახებ“. დადგენილების საფუძველზე განხორციელდა მოქმედი ბანკების რეორგანიზაცია და ახალი სპეციალიზებული ბანკების შექმნა, რასთან დაკავშირებითაც 1988 წლის 1 იანვრიდან ბათუმში ფუქციონირება დაიწყო ბანკების ახალმა სისტემამ შემდეგი შემაღენლობით:

- სსრკ სახებანკის აჭარის რესპუბლიკური სამმართველო;
- სსრკ სამრეწველო-სამშენებლო ბანკის აჭარის რესპუბლიკური სამმართველო;
- სსრკ აგროსამრეწველო ბანკის აჭარის რესპუბლიკური სამმართველო;
- სსრკ საბინაო კომუნალური მეურნეობის განვითარების ბანკის აჭარის რესპუბლიკური სამმართველო;
- სსრკ მოსახლეობის შრომითი დანაზოგის და დაკრედიტების ბანკის აჭარის რესპუბლიკური სამმართველო.

სსრკ დაშლასა და საქართველოს დამოუკიდებელი სუვერენული სახელმწიფოს შექმნასთან დაკავშირებით 1991 წლის ბოლოს დაიშალა ყოფილი სსრ კავშირის სახელმწიფო საბანკო სისტემა და საქართველოშიც შეიქმნა ახალი საბანკო სისტემა. საქართველოს რესპუბლიკის საკუთრებად გამოცხადდა სსრკ სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკური ბანკი, სსრკ შემნახველი ბანკის, აგრომრეწველობისა და მრეწველების საქართველოს რესპუბლიკური ბანკები მათი ქსელით. საქართველოს რესპუბლიკური ბანკის ბაზაზე შეიქმნა საქართველოს ეროვნული ბანკი, ხოლო ყოფილი სსრკ შემნახველი ბანკის, სსრკ მრეწველების ბანკის, სსრკ აგრომრეწველობისა და სსრკ ბინაოცხადნის საქართველოს რესპუბლიკური ბანკები გარდაიქმნა სახელმწიფო-კომერციულ და სააქციო-კომერციულ ბანკებად. ოუმცა ეს პროცესი მეტად მტკიცნეულად მიმდინარეობდა.

ლიბერალურმა საკანონმდებლო ბაზამ და მზარდმა პიპერინფლაციურმა პროცესებმა ხელი შეუწყო კომერციული ბანკის მინიმალური საწესდებო კაპიტალის მეტისმეტ შემცირებას უცხოურ ვალუტაში. თავდაპირველად ეს თანხა 500 მლნ კუპონს შეადგენდა, რომლის ეპივალენტი 700 ათასი აშშ დოლარი იყო. პიპერინფლაციის პირობებში 1994 წელს კომერციული ბანკის მინიმალური საწესდებო კაპიტალის დირექტულება 500 აშშ დოლარამდე დაეცა. შედეგმაც არ დააყვნა და 1995 წელს საქართველოში უკვე 230 კომერციულ ბანკს ქქონდა დაცენზია.

1996 წელს კომერციული ბანკის მინიმალური საწესდებო კაპიტალი გაიზარდა 100 ათას აშშ დოლარამდე, შედეგად 2 ნახევარ წელიწადში არსებობა შეწყვიტა რეგისტრირებული ბანკების 80%-მა ანუ 180 ბანკმა. ზემოთ აღნიშნული მკვეთრი ცვლილებები განაპირობებდა ქ. ბათუმში კომერციული ბანკების და მათი ფილიალების გახსნა-დახურვის პროცესს.

1990 წელს გაიხსნა:

- კომერციული ბანკის “კრედიტი” ბათუმის ფილიალი;
- მოსკოვის საზღვაო სააქციო ბანკის ბათუმის ფილიალი;

1992 წელს:

- სეპ ბანკის “კავგასია” ბათუმის ფილიალი;
- კომერციული ბანკი “ბათუმი”;
- კომერციული ბანკი “ლიბერტი”;
- კომერციული ბანკი “კობა”

1993 წელს:

- სააქციო კომერციული ბანკის “საქართველო” ბათუმის ფილიალი;
- სააქციო საზოგადოება “საქართველოს საზღვაო ბანკი”;

1995 წელს:

- სააქციო კომერციული ბანკი “შავი ზღვის აუქციონის ბანკი”;

1996 წელს:

- საქ. სააქციო კომერციული ბანკი “ოლიმპის” ბათუმის № 1 ფილიალი;
- საქ. სააქციო საზოგადოება “ინტელექტუანკის” ქ. ბათუმის ფილიალი.

1997 წელს:

- სს “ობილკომბანკის” ბათუმის ფილიალი;
- სს “საქართველოს კომერციული” ქობულეთის ფილიალი;

1999 წელს:

- სს “კავგასიონის ბანკის “ბათუმის ფილიალი, ამჟამად სს “პირველი კომერციული ბანკი”;

2000 წელს:

- სს „ეა ბანკის“ ბათუმის ფილიალი (ყოფილი სს „საქაურორბ-ბანკი“), შემდგომში სს „აბრეშუმის გზა“ ბათუმის ფილიალი, შემდგომ სს „ბტა სილქ როუდ ბანკის“ ბათუმის ფილიალი;

2001 წელს:

- სს მიკროსაფინანსო ბანკის „ბათუმის ფილიალი“, ამჟამად „სს პროკრედიტბანკის“ ბათუმის ფილიალი;

2004 წელს:

- სს „თიბისი ბანკის“ ბათუმის ფილიალი;
- სს „გაერთიანებული ბანკის“ ბათუმის ფილიალი;

2005 წელს:

- სს „ბანკი რესპუბლიკას“ ბათუმის ფილიალი;
- სს „ბანკი ქართუს“ ბათუმის ფილიალი;

2007 წელს:

- სს „კორსტანდარტბანკის“ ბათუმის ფილიალი;

ამავე პერიოდში საბანკო კანონმდებლობის მოთხოვნათა უხეში დარღვევისათვის ლიცენზიები ჩამოერთვათ:

1993 წელს:

- მოსკოვის საზღვაო სააქციო საზოგადოების ბათუმის ფილიალი;

1996 წელს:

- საქ. კომერციული ბანკის „საქართველო“ ბათუმის ფილიალს;
- საქ. სკბ „კავკასიის“ ბათუმის ფილიალს;
- კომერციულ ბანკს „ბათუმი“;
- კომერციულ ბანკს „კობა“.

1999 წელს სს „ოლიმპი“ ბანკის ბათუმის № ფილიალს.

2000 წელს სკბ „შავი ზღვის აუქციონის ბანკს“;

2001 წელს სს კბ „ლიბერტი“ ბანკს;

2004 წელს სს „საქართველოს საზღვაო ბანკს“;

2006 წელს სს „ინტელექტბანკის“ ბათუმის ფილიალს.

დღეისათვის ბათუმის საბანკო სისტემა მოიცავს 14 საბანკო დაწესებულებას, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ჩათვლით.

გარდების რევოლუციის შემდეგ, ისევე როგორც მთლიანად ქვეყანაში, ბათუმშიც საბანკო საქმიანობა დასტაბილურდა და მთლიანობაში ხასიათდება მკვეთრი ზრდის ტენდენციით. კერძოდ, 2008 წელს 2005 წელთან შედარებით გაცემული სესხის მოცულობა 1307 პროცენტით გაიზარდა.


2009 წელს ბათუმში მოქმედი კომერციული ბანკების ფილიალების – სს ბანკი „რესპუბლიკა“, სს „ბაზის ბანკი“, სს „პროკრედიტ ბანკი“, სს „ქართუ ბანკი“, სს „საქართველოს ბანკი“, სს „სახალხო ბანკი“, სს „თ“ ბანკი, სს „კორსტანდარტ ბანკი“, სს „ტაოპრივატ

ბანკი”, სს “თიბისი ბანკი”, სს “ვითიბი ბანკი” და მიკროსაფინანსო ორგანიზაცია “ფინკა საქართველო”, “კონსტანტი” და “კრედოს” საპრედიტო პორტფელმა შეადგინა 417,529 მილიონი ლარი, აქედან 78% ბიზნესსექსებია, ხოლო 22% სამომხმარებლო სესხები. 2008 წელს გრძელვადიანი დაკრედიტება 30%-ით გაიზარდა და 233,6 მილიონ ლარს გაუტოლდა.

ცხრილი №1

ბათუმის კომერციული ბანკების მიერ გაცემული
ბიზნეს-სესხები დარგების მიხედვით (01.01.2008-31.12.2008)
(ათასი ლარი)

Nº	დარგები	გაცემული სესხები ათასი ლარი	%
1	სოფლის მეურნეობა, მეტყველეობა, ოვაზჭერა	623,5	0,2
2	მრეწველობა	15 046,80	4,6
3	მშენებლობა	69 082,40	21,1
4	ვაჭრობა	99 574,40	30,4
5	სასტუმროები და რესტორნები	30 574,50	9,3
6	ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	2 090,90	0,6
7	ფინანსური შუამავლობა	155,9	0,1
8	ოპერაციები უძრავი ქონებით, გვლევები, კომერციული საქმიანობა	7 270,10	2,2
9	სახელმწიფო მართვა, თავდაცვა	269,7	0,1
10	განათლება		0,1
11	ჯანდაცვა და სოციალური მომსახურება	18 302,20	5,6
12	მომსახურების სხვა სახეები	84 469,20	25,8
	სულ აჭარა	327 459,60	



დაკრედიტების მთლიან მოცულობაში ყველაზე დიდი ხვედრითი წილი გაჭრობის სფეროზე მოდის – 30,4% 199,6 მლნ ლარი. ამ მაჩვენებლის მიხედვით მეორე ადგილზეა მომსახურების სხვა სახეები – 25,8%.

დასაქმების თვალსაზრისით სესხების ზრდა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთ კვლავწარმოებად დარგებში, როგორიცაა მრეწველობა. დარგში 2008 წელს, წინა წელთან შედარებით, გაცემული სესხების მოცულობა 5-ჯერ გაიზარდა, ხოლო მთლიან სესხებში მისმა ხვედრითმა წილმა 4,6% შეადგინა.

2009 წლის 1 იანვრის მდგომარეობით გაცემული სესხების 73,6 და მიღებული დეპოზიტების 77,7 პროცენტი თავმოყრილია 4 ბანკის ფილიალის ხელში (იხ. ცხრილი №2), მიუხედავად იმისა, რომ ბანკების უნივერსალურობის ხარისხი იზრდება და საბანკო კონკურენცია მცირდება.

ცხრილი №2
გაცემული სესხებისა და დეპოზიტების მოცულობის ხვედრითი წილი
(ათას ლარებში და პროცენტულად) 2008 წლის მიხედვით

ბანკების დასახელება	სესხები ათასი ლარი	%	დეპოზიტები ათასი ლარი	%
საქართველოს ბანკი	62, 907	21,4	27 241	22,9
პროკრედიტ ბანკი	58,, 217	19,8	36 954	31
თიბისი ბანკი	72, 991	24,9	20 297	17
ბანკი რესპუბლიკა	22, 122	7,5	9165	7,7
სულ	293721	73,6	118 936	77,7

2009 წლის 1 იანვრისათვის ქ. ბათუმში ფუნქციონირებდა 121 გადამცვლელი პუნქტი. მათი რაოდენობა წინა წელთან შედარებით გაზრდილია 29 ერთეულით. სერვისცენტრების რაოდენობა გაიზარდა 9 ერთეულით და 2008 წლის ბოლოსთვის ბათუმში ფუნქციონირებდა 36 საბანკო სერვისცენტრი და 68 ბანკომატი.

ბანკომატების გაზრდამ ხელი შეუწყო პლასტიკური ბარათების რაოდენობის გაზრდას და 2008 წლის 31 დეკემბრისათვის კომერციული ბანკების მიერ დაბეჭდილი პლასტიკური ბარათების რაოდენობამ 92 ათას ერთეულს გადააჭარბა.

Aslan Makhadze (Batumi, Georgia)

Development of banks in Batumi

Summary

In this work banking occurrence in Batumi by the end of the XIX centuries is studied, the reasons and the conditions causing demand for bank services are shown, specificity and features of functioning of the state and private banks of that time is explained.

It is noticed that in the Soviet period the state bank system functioned on united scheme.

The following analyses are shown in the article:

banking development and transformation in independent Georgia, level of development of bank system in Batumi, dynamics of credit and depositary operations during the last years, a credit portfolio on separate branches.

In Batumi function branches and banking establishments from which it is revealed that more than 75% of active and passive operations carry out 4 universal bank branches.

ზვიალ ელიზიანი (ბათუმი, საქართველო)
კურტ რაიცი (ბერლინი, გერმანია)

ბათუმის ადგილი აჩარის ტარისტული ინდუსტრიის განვითარებაში

ბათუმის, როგორც ტურისტული ქალაქის განვითარების პერსპექტივა განხილული უნდა იქნეს აჭარის ტურისტული სექტორის და, ზოგადად, საქართველოს ტურიზმის განვითარების სტრატეგიის ჭრილში.

აჭარაში განვითარების კარგი პერსპექტივები აქვს არა მარტო ტრადიციულ საპლაჟო ტურიზმს, არამედ, აჭარის მაღალმთიანეთში, ეკოტურიზმს, აგროტურიზმს და ეთნოკულტურულ ტურიზმსაც. შესაბამისად, ამ ტიპის დამსვენებლებისათვის ბათუმი შეიძლება მოაზრებულ იქნეს, როგორც ერთგვარი საბაზო ცენტრი.

საქართველოში ორგანიზებული ტურების (10-14 დღიანი) ფარგლებშიც ბათუმი წარმოდგენილია როგორც ერთ-ერთი ტურისტული ადგილი, სადაც შეიძლება 2-3 დღე გაჩერდეს ტურისტი.

ბათუმში ტურისტული განვითარების თვალსაზრისით შეიძლება გამოიყოს შემდეგი ძირითადი მიმართულებები:

-საზღვაო/საპლაჟო ტურიზმი – ზღვის პლაჟზე დასვენება, რაც ამ ეტაპზე ბათუმში ჩამომსვლელი ტურისტების ძირითადი მოთხოვნაა. ძირითადი კლიენტურა – შიდა ტურისტები, სომხეთი, აზერბაიჯანი, შემდგომში, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებასთან ერთად ეტაპობრივად შესაძლებელია ტურისტების მოზიდვა სხვა რეგიონებიდანაც - შეა აზია (ყაზახეთი), უკრაინა, ბალტიისპირეთი. ამ კუთხით ევროპელი ტურისტების მოზიდვა ნაკლებსავარაუდოა.

-კონგრეს ტურიზმი / MICE ტურიზმი – სხვადასხვა სახის კონფერენციის, კონგრესების, გამოფენების ორგანიზება, როგორც ქვეყნის, ისე რეგიონალური და საერთაშორისო მასშტაბის ღონისძიებები.

-ფესტივალები – ბათუმს სხვადასხვა სახის ფესტივალების ჩატარების კარგი პერსპექტივა აქვს – კინო, მუსიკა, თეატრი და ა.შ. ეს პროცესები უკვე დაწყებულია და მრავალი ფესტივალი ტარდება.

-კულტურული ტურიზმი – ისტორიული ადგილების, არქიტექტურული ძეგლების მონასულება ბათუმში და მის გარშემო. ულისხმობს ასევე ადგილობრივი ფოლკლორის გაცნობასაც.

-საკრუიზო ტურიზმი – კარგი მარკეტინგის და ორგანიზების პორტფელში, ეს მიმართულებაც საკმაოდ პერსპექტიულია. აქ იგულისხმება როგორც შავი ზღვის აუზის ტერიტორიაზე საკრუიზო მარსრუტებში ბათუმის ინტეგრაცია, ისე საერთაშორისო საკრუიზო

კომპანიებთან თანამშრომლობით საერთაშორისო საკრუიზო გემების შემოყვანა

—კაზინო ტურიზმი — სამომავლოდ ეს მიმართულებაც შეიძლება იქცეს ბათუმში ტურიზმის ინდუსტრიის ერთ-ერთი მნიშვნელოვან ნაწილად. მრავალი სასტუმრო კომპლექსი, რომელიც ბათუმში შენდება ან დაგეგმილია აშენდეს, პროექტის ფარგლებში ითვალისწინებს კაზინოსაც. ამასთან, თუ გავითვალისწინებთ, რომ მეზობელ ქვეყნებში — აზერბაიჯანი, თურქეთი, ასევე ირანი და ისრაელი, კაზინო ბიზნესი აკრძალულია, კარგი სტრატეგიის პირობებში შესაძლებელია მნიშვნელოვანი რაოდენობის ტურისტების მოზიდვა.

ბათუმში ტურიზმის განვითარების კუთხით შეიძლება გამოვყოთ ხელშემწყობი და ხელისშემშლელი ფაქტორები.

ძლიერი მხარეები და ხელშემწყობი ფაქტორები:

—შავი ზღვა — როგორც მნიშვნელოვანი რეკრეაციული რესურსი.

—გეოგრაფიული მდებარეობა — ეკროპა/აზიის გზაჯვარედინი, რაც აიოლებს ტრანსპორტირებას.

—სუბტროპიკული ჰავა.

—სინთეზი სხეგადასხვა დადებითი ფაქტორების სინთეზი — ზღვა, ქალაქი, ისტორია, კულტურა.

—ქალაქში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტები — ეტაპობრივად ხდება ქალაქის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.

სუსტი მხარეები და მოსალოდნელი საფრთხეები:

—ტურისტული სერვისის დაბალი დონე — სერვისის არსებული დონე მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება არა მარტო ევროპულ, არამედ მეზობელ ქვეყნებში (მაგ. ოურქეთი) არსებულ სერვისის სტანდარტებსაც.

—მაღალი ფასები — დასვენება ბათუმში (და ზოგადად აჭარის რეგიონის კურორტებზე) ღირს ძალიან ძვირი. შედარებისთვის — თურქეთის საზღვაო კურორტებზე დასვენება საშუალოდ ორჯერ უფრო ნაკლები ჯდება. ასევე, პრადაში დასვენებაც, შეიძლება ითქვას, 30-35%-ით ნაკლები ღირს.

—მაღალი ფასები ავიატრანსპორტზე — ავიაბილეთები ეკროპიდან საქართველოში ღირს ძალიან ძვირი. მაგ: გერმანიიდან საქართველოში ავიაგადაფრენა (ორმხრივი გზა) დაახლოებით იგივე ჯდება, რაც გერმანიიდან ანტალიაში 1 კვირიანი ტურისტული პაკეტი, რაშიც შედის — ავიაგადაფრენა, სასტუმრო, კვება.

—ეპლოგიური პრობლემები — შავ ზღვაზე ეპოლოგიური კუთხით საქმაოდ პრობლემატური სიტუაციაა. უცხოელი ექსპერტების კვლევებიც ადასტურებს, რომ მავნე ნივთიერებების არსებობა ზღვის წყალში (განსაკუთრებით ბათუმის გარშემო) რამდენჯერმე აღემატება

დასაშვებ ნორმებს. ეკოლოგიურ პრობლემად შეიძლება ჩავთვალოდ ქალაქის სახმელი წყლით მომარაგების სისტემაში ამ ეტაპზე არსებული ხარვეზებიც.

–უხევნალექიანობა / ხშირი წვიმები – ზაფხულის სეზონზე წვიმიანი ამინდები უარყოფითად მოქმედებს ტურისტებზე.

–გასართობი ინფრასტრუქტურის ნაკლებობა – გარდა ზაფხულის პერიოდისა, ბათუმში ძალიან მცირეა გასართობი საშუალებები, სადაც ტურისტს შეეძლება საღამოთი გასვლა და დასვენება/გართობა.

–მარკეტინგი / ბრენდინგი – მიუხედავად გარკვეული სარეკლამო-საინფორმაციო საქმიანობისა, ბათუმი მაინც ნაკლებად არის ცნობილი საერთაშორისო ტურისტული ბაზრისათვის. არ მომხდარა ბათუმის, როგორც ტურისტული ქალაქის, ბრენდინგი.

–სტრატეგიული გეგმის არარსებობა – პრაქტიკული სამოქმედო გეგმა, რომლის მიხედვითაც მოხდებოდა განვითარება, ჯერ კიდევ არ არის შემუშავებული.

ტურიზმის განვითარება და ბათუმის ჩამოყალიბება ერთ-ერთ მნიშვნელოვან ტურისტულ ცენტრად მოითხოვს ქმედითი ღონისძიებების გატარებას ამ მიმართულებით.

ბათუმში ტურიზმის განვითარების ნაბიჯები/რეკომენდაციები:

–ეკოლოგიური პრობლემების მოგვარება – ზღვა, ზღვის სანაპირო.

–ტურისტული სერვისის ამაღლება – ამ კუთხით აუცილებელია შესაბამისი სასწავლო პროგრამების, განსაკუთრებით კი პროფესიული განათლების პროგრამების განვითარების ხელშეწყობა.

–ფასების დარეგულირება – კონკურენტუნარიანი ტურისტული პროდუქტის შექმნა დაკავშირებულია რაციონალური საფასო პოლიტიკის ფორმირებასთან.

–საშუალო ფენაზე ორიენტირებული სასტუმროების მშენებლობა

– მხოლოდ მაღალი კლასის სასტუმროების მშენებლობა ნაკლებად მიზანშეწონილია, აუცილებელია განვითარდეს საშუალო შემოასვლიან სეგმენტზე ორიენტირებული სასტუმროები – რაციონალური საფასო პოლიტიკითა და შესაბასამი სერვისის ღონით.

–სხვადასხვა სახის ატრაქციონების შექმნა – გასართობი დაწესებულებები.

–კულტურული ღონისძიებები – ფესტივალების, კონცერტების ორგანიზება.

–სარეკლამო / საინფორმაციო საქმიანობის გაუმჯობესება – ინტერნეტ-რეკლამის / ონლაინ-მარკეტინგის აქტიური გამოყენება; ბათუმის, როგორც ტურისტული ადგილის წარმოჩენა ინტერნეტ-სივრცეში.

—ბრენდინგი — ბათუმის, როგორც მნიშვნელოვანი ტურისტული ცენტრის იმიჯის ფორმირება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. “ტურიზმის განვითარების სტრატეგია”, აჭარის არ ტურიზმის და კურორტების დეპარტამენტის მასალები, ბათ., 2008.
2. “Invest in Adjara”, Adjara AR government, Batumi, 2008.
3. “National Tourism Development and Investment Strategy for Georgia”, by The America-Georgia Business Council and SW Associates, LLC, Washington DC, 2008.
4. “Republic of Georgia Tourism Development Site Visit”, by Thomas Tait and Bob Miller, Las Vegas (USA), 2007.
5. “Report on Advisory Services to the Adjarian Government for the Compilation of a Master plan in order to Develop the Adjara Coast under Consideration of Social, Ecological and Tourist Aspects”, by Eike Otto, Consultant for Regional Development and Tourism; Batumi, 2008.

Zviad Eliziani (Batumi, Georgia)

Kurt Heinz Reitz (Berlin, Germany)

The place of Batumi in Tourism Sector Development of Adjara Region

Summary

Batumi as a city has good perspectives for tourism development and this of course should be planned in coordination and as part of overall tourism industry development of Adjara region and whole Georgia. The following forms of tourism have best potential for Batumi – Vacation on beach (mainly domestic and neighboring countries), MICE tourism, cultural tourism, Cruises, Casino etc. There are many positive factor that creates the good basis for the tourism development – Black sea as recreational resource, good geographical location (cross-road between Europe and Asia), subtropics climate, ongoing improvement of infrastructure etc. Although, to achieve the creation of highly developed tourism sector several steps should be taken such as: improvement of ecological situation of black sea, upgrading the tourism service level, establishment of rational price policy (right now the prices at hotels, on air tickets are too high), creating of diverse entertainment industry, improving of advertisement/information campaign and branding of city as tourism destination etc.

ომარ ჟივაძე
(ბათუმი, საქართველო)

ბათუმის ახალი ადგილი საერთაშორისო ტურიზმის რეაჩა

საქართველოში ტურიზმის განვითარება XIX საუკუნიდან იწყება. გულრიფშის სანატორიუმი უდიდესი იყო მეფის რუსეთში. აშენდა საგურორტო კომპლექსი გაგრაში, სოხუმს მიენიჭა საზღვაო კურორტის სტატუსი, მოგვიანებით საკურორტო დაწესებულებები გაშენდა აჭარის შავიზღვისპირეთში.

ცნება „ტური“ შემოტანილი იქნა 1750 წელს. ტერმინი „ტურისტი“ მოგზაურს აღნიშნავს. მოგზაურობათა აღწერა ჯერ კიდევ პეროდორედან იწყება. საერთაშორისო ტურიზმის „მამად“ მიჩნეული ინგლისელი რეფორმატორი თომას კუკი (1808-1892) ორთქლმავალს ქალაქის მოსახლეობის ქალაქებარეთ გასასეირნებლად, გამოფენებსა და რალიზე სამოგზაუროდ იყენებდა.

ტურიზმი დიდ როლს ასრულებს მსოფლიო ეკონომიკაში. ეკონომიკის ეს დარგი ვითარდება სწრაფი ტექნიკით და მოსალოდნელია, რომ გახდება მისი მნიშვნელოვანი სექტორი.

ბათუმის, როგორც საკურორტო ქალაქის მნიშვნელობა XX საუკუნის ბოლოს გაიზარდა, როგორც რუსეთის წყალობით დაიკარგა აფხაზეთი. 2008 წლის აგვისტოში დაწყებული რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ, როგორც ცნობილია, რუსეთმა მოახდინა აფხაზეთის და სამაჩაბლოს ოკუპაცია. ასეთ პირობებში ბათუმის და მთლიანად აჭარის შავიზღვისპირეთის განვითარება საქართველოსათვის პირველი რიგის პრიორიტეტად იქცა.

ბათუმზე, როგორც საზღვაო კურორტზე საუბრისას, ის უნდა განვიხილოთ, როგორც ზონა მასინჯაურიდან სარფის ჩათვლით. ამ ზონის ერთ-ერთ ძირითად საკურორტო ფაქტორს წარმოადგენს კლიმატური პირობები. სამთო და საზღვაო კლიმატის შერწყმის წყალობით ბათუმის ზღვისპირეთი შეუდარებელია. იგი ხასიათდება რბილი ზამთრითა და ცხელი ზაფხულით. ბანაობის სეზონის ხანგრძლივობა საშუალოზე მეტია. კლიმატოთერაპია მაღალეფებზე მთელი წლის განმავლობაში. დამატებით საკურორტო ფაქტორად ითვლება მინერალური წყაროები (მასინჯაური). მდიდარია ფლორით, რომელიც წარმოდგენილია ფართოფოთლოვანი ტყით, მარადმწვანე მცენარეებით. ბევრია შემოტანილი ტროპიკული და სუბტროპიკული ჯიშები.

ვარდების რევოლუციის შემდეგ ბათუმი მთლიანად შეიცვალა. ქალაქის სავიზიტო ბარათია თანამედროვე დონეზე აღჭურვილი ახალი აეროპორტი. რამდენიმე წელიწადში დასრულდება ავტობანის

მშენებლობაც, რომელიც კიდევ უფრო გაზრდის უცხოელი ტურისტების რაოდენობას. მნიშვნელოვნად გაიზარდა და გალამაზდა ბათუმის ბულვარი. სრულიად შეიცვალა ბათუმის ცენტრი. ქალაქი მოლიანად ხარახოებშია მოქცეული. ქვეყნის ხელისუფლებისა და უცხოელი ინგესტორების წყალობით, ბათუმი არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მთლიანად შავი ზღვის რეგიონის მარგალიტად იქცა. ალაქ მა ახალი ადგილი დაიკავა საერთაშორისო ტურიზმის რუპაზე.

საერთაშორისო ტურიზმის განვითარების ფაქტორებია:

- ა) ბუნებრივი რესურსები, ისტორიულ-კულტურული ძეგლები;
- ბ) კაპიტალი;
- გ) შორმითი რესურსები.

საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ საერთაშორისო ტურიზმის განვითარება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული შიგა ტურიზმის ბაზარზე. შიგა ტურიზმზე მოთხოვნების მაღალი დონე ქმნის სასურველ ატმოსფეროს და პირობებს საერთაშორისო ტურიზმის განვითარებისათვის – იქმნება დამატებითი ტურისტული ადგილები, ვითარდება სატრანსპორტო კავშირები, ტურიზმის ბუნებრივი და ისტორიულ-კულტურული ცენტრები. ბუნებრივია, რომ ქვეყნები, რომელთაც ხელეწიფებათ მართონ დიდი შიგა მოთხოვნები, მზად არიან დააგმაყოფილონ საერთაშორისო სტანდარტები. აქედან გამომდინარე, საერთაშორისო ტურისტული გაცვლების მოცულობა მეტია იმ ქვეყნებს შორის, რომლებსაც გააჩნიათ შიგა ტურიზმის მაღალი დონე და ერთნაირი სტრუქტურა.

საქართველოს გააჩნია შესანიშნავი პირობები შიგა ტურიზმის განვითარებისათვის. აღმოსავლეთი საქართველოს მოსახლეობას შეუძლია შვებულებების გატარება შავიზღვისპირეულში, თავის მხრივ, ბათუმისა და მთლიანად ზღვისპირეთის მოსახლეობას შეუძლია დაისვენოს მთაში. დიდი არჩევანი აქვთ მოგზაურობისა და ალპინიზმის მოყვარულებსაც.

ბათუმის ზღვისპირა ზონა და მისი მიმდებარე ტერიტორიები შედარებით ნაკლებად მდიდარია კულტურულ-ისტორიული ძეგლებით. თუმცა, რაც არის, ისიც უცნობია ტურისტებისათვის სათანადო რეკლამის უქონლობის გამო. ამასთან დაკავშირებით საჭიროა გარკვეული ძალისხმევა, ფერადი ცნობარების, პროსპექტების გამოშვება, რომლებშიც აისახება კულტურულ-ისტორიული ძეგლების ისტორია, ლამაზი ლეგენდები. კარგად შერჩეული ფერადი სლაიდები და ფრთიანი სარეკლამო ფრაზები კიდევ უფრო მეტად მიიზიდავენ უცხოელ ტურისტებს. საერთაშორისო ტურიზმის განვითარებას აუკრებს ტურისტული კომპანიების ნაკლებობა. ადგილობრივი ტუროპერატორები ფაქტობრივად უცხოელი ტუროპერატორების დანამატს წარმოადგენენ. არ იქმნება ახალი ტურისტული პროდუქტები, რაც გამოწვეულია დარგში კონკურენციის დაბალი დონით. ბათუმში ჩამოსული ტურისტი ფაქტობრივად ქალაქში, სასტუმროშია ჩაკეტილი. ამიტომ მომავალში ის ჩვენთვის, როგორც ტურისტი, დაკარგულია.

ტურიზმის მესვეურებმა ბათუმში კარგად უნდა გააცნობიერონ, რომ ამ სფეროში განვითარებისათვის მსოფლიო ტურისტულ ბაზარზე ბათუმის ფართო რეკლამირებაა აუცილებელი. ამ მიზნით საჭიროა სხვადასხვა ქვეყანაში საქართველოს საელჩოებთან თანამშრომლობა, გამოფენების მოწყობა, ახალი სარეკლამო რგოლების დამზადება-დატრიალება და ა.შ. შესაძლებელია ყოველწლიური კინოფესტივალის, საფეხბურთო ტურნირის, კონკურსის და ა.შ. ჩატარება. გავიხსევოთ, რომ საფრანგეთის სახელგანთქმული კურორტები თავიანთ პოტლაციონური მსგავსი საშუალებებით ზრდიდნენ. აბაშიძის რეჟიმის პირობებში ბათუმის და მთლიანად აჭარის რეპუტაცია საკმაოდ შეიძლახა, ამიტომ საჭიროა რეკლამის მეშვეობით ბათუმისათვის სათანადო იმიჯის შექმნა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საერთაშორისო ტურიზმის განვითარების მიზნით გერმანელებმა სარეკლამო პლაკატებზე გოეთე გამოსახეს და მსოფლიოს პკითხეს: „გერმანია! როგორ მოგეწონებათ თქვენ იგი?“ ბულგარელებმა სარეკლამო რგოლებში ანტიკური ხანის თრაკიელი მომდერალი თრფეოსი გამოიყენეს.

თანამედროვე დონის ტურისტული ცენტრის ჩამოყალიბება, რომელიც საერთაშორისო ტურიზმის განვითარების აუცილებელი პირობაა, შეუძლებელია დარგში ინვესტიციების მოზიდვის გარეშე. მხოლოდ ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი პირობები ამ მიმართუებით გარანტიად არ გამოდგება. არც შიგა ტურისტული ბაზრის განვითარება იძლევა განსაკუთრებულ იმედებს, რადგანაც მოსახლეობის შემოსავლები დაბალია, ამასთან, დარგში არსებული კონკურენცია კიდევ უფრო აძლევებს პრობლემის გადაწყვეტას. ბათუმის ტურისტული ცენტრი უნდა გახდეს საქართველოს ტურისტული ცენტრის შემადგენლი ნაწილი და ითანამშრომლოს დანარჩენი რეგიონების ტურისტულ ცენტრებთან, ტურიზმის განვითარების ერთიანი კონცეფციის საფუძველზე. არც თუ ისე დიდი ხნის წინათ ქვეყანაში ვისი ინტერესებიც იმარჯვებდა, მისივე კონცეფცია მტკიცდებოდა, რის გამოც ბევრჯერ იძალა რევოლუციურმა ცვლილებებმა. ამიტომ უნდა ვიმედოვნოთ, რომ ტურიზმის კონცეფციის განვითარება მიიღებს არა რევოლუციურ, არამედ ევოლუციურ ხასიათს.

შიგა ტურიზმის განვითარება უზრუნველყოფს ქალაქში სასტუმროების ქსელის განვითარებას, რესტორანების ქსელის კეთილმოწყობას და ახალი ტურისტული კომპლექსების მშენებლობას, რაც ხელს შეუწყობს ბათუმში ევროპული დონის ტურისტული ცენტრის ჩამოყალიბებას.

ბათუმში საერთაშორისო ტურიზმის განვითარება მოითხოვს ინდუსტრიისა და მისი შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარებას. ამასთან ერთად აუცილებელია თანამედროვე მსოფლიო სტანდარტების დონის ტურისტული ცენტრის არსებობა-განვითარება შემდეგ მირითად ელემენტებთან ერთად:

– სასტუმროები;

- რესტორნების ქსელი;
- კრუიზები, გასართობი საშუალებები;
- შეამავლები, ტურისტული კომპანიები.

აქედან განსაკუთრებული მნშვნელობა სასტუმრო მეურნეობის განვითარებას ენიჭება. სასტუმროები ტურისტული ნაკადების განმსაზღვრელია. სასტუმროების ბიზნესი პირდაპირ ან ირიბად ქმნის სამუშაო ადგილებს და ითვლება უცხოური ვალუტით ხაზინის შევსების მნიშვნელოვან საშუალებად. მსოფლიოში მუდმივად მიმდინარეობს ახალი სასტუმროების მშენებლობისა და ძველის მოდერნიზაციის პროცესი.

ბათუმში ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი სამუშაოები ტარდება. უცხოური ინვესტიციების წყალობით ქალაქს ემატება პილტონის, შერატონის, რედისონის სასტუმროები. მრავლადაა პატარა, მოხდენილი სასტუმროებიც. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ბათუმის ძველ უბნებში აგებული სასტუმროები მოუხერხებელია ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით და ვერ აკმაყოფილებენ კომფორტის მოყვარული ტურისტების მოთხოვნებს. არადა, ისინი სწორედ მაღალ-შემოსავლიან ტურისტულ სეგმენტზეა გათვლილი. სასტუმროების მშენებლობისას გაუთვალისწინებელია „მომცრო ქისის“ მქონე ტურისტების მოთხოვნებიც. ამასთან დაკავშირებით, ბათუმის ზონაში არსებულ სასტუმროებთან ერთად, მიზანშეწონილი იქნება შემდეგი ტიპის სასტუმროების მშენებლობა:

ა) კოტეჯები, სოფლის სახლები, რომლებიც განლაგებული იქნებიან საკურორტო გზის ახლოს. ევროპაში კომფორტაბელურობით ისინი კარგ სასტუმროებსაც არ ჩამოჟურდებიან;

ბ) მოტელები (ოტელ-კაფე-რესტორნები) რომლებიც განლაგებულია საავტომობილო გზის ახლოს და ემსახურება ავტოტურისტებს;

გ) კემპინგები, დასასვენებელი სახლები, ბუნგალოები, სოფლის სახლები;

დ) აპარტამენტ-ოტელი;

ევროპაში განსაკუთრებით პოპულარულია სოფლის ტურიზმი, რომლის განვითარება ბათუმის საკურორტო ზონაში ადვილად მოსახერხებელია.

გარკვეული პრობლემებია მოსაგვარებელი სარესტორნო ქსელში, რომელიც ძირითადად მაღალ შემოსავლიან ტურისტებზეა გათვლილი, თუმცა მათი დონე ზოგიერთი გამონაკლისის გარდა საშუალოზე დაბალია. დასახვეწია მენიუ, რომელიც ძირითადად ქართული, ტრადიციული კერძებითაა წარმოდგენილი. რესტორნები ნაკლებად კომფორტაბელურია და მომსახურე პერსონალი დაბალ კვალიფიციურია.

საერთაშორისო ტურიზმის განვითარება ბათუმის საკურორტო ზონაში და მთლიანად საქართველოში უაღმდეგნატივოა. შავიზღვისპირეთში ტურიზმის განვითარება გამოიწვევს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას. ტურიზმის გავლენა დასაქმებულთა რიცხვის

ზრდაზე განმსაზღვრელი იქნება არა მხოლოდ ბათუმის საკურორტო ზონის, არამედ მთელი ქვეყნის მოსახლეობისთვისაც.

ძირითადი ტურისტული ფაქტორის – ზღვის ეფექტურად გამოყენების შემთხვევაში, ბათუმი მთელი წლის განმავლობაში მოქმსახურება ტურისტებს. სკეპტიკოსები მიიჩნევენ, რომ შავი ზღვა ცივია და ამიტომ ბათუმი ვერ გახდება მაღალი ღონის საზღვაო კურორტი. თანამედროვე ეპოქაში ასეთი მიღვიმა მცდარია, რასაც ადასტურებს ერთ-ერთ გერმანულ კურნალში მოყვანილი ჩანაწერი:

„ჩრდილოეთის ზღვის კუნძულის სანაპირო ზოლი უამინდობის მიუხედავად, ყოველთვის დამსვენებლებითაა სავსე. მათ წყალგაუმტარი ლაბადები აცვიათ და მშვიდად დასეირნობენ სანაპიროზე. საერთოდ, გერმანიის ზღვისპირეთი, ჰოლანდიიდან პოლონეთამდე, არასდროს არის ცარიელი. ზაფხულის ცხელ დღეებში კი, აქ ნემსიც არ ჩავარდება. იგი ოდითგანვე დასვენების კლასიკურ ადგილადაა მიჩნეული. რესტორნების ფართო ქსელი და სუვენირებით მოვაჭრე ჯიხურები სხვა მრავალ გასართობ საშუალებებთან ერთად, დიდ როლს თამაშობენ დამსვენებელთა მიზიდვაში. მათი ბიზნესი მეტად მომგებიანია და ცხადია, სახელმწიფო ბიუჯეტში ხოლიდური თანხა შედის. სანაპიროზე მოწყობილი კომპლექსები დიდი პოპულარობით სარგებლობენ დამსვენებელთა შორის. ალბათ, ლამაზია იმის შეგრძება, როცა უზარმაზარი პალმების ქვეშ ნებივრობ და ირუჯები, ხოლო მის იქვე წვიმა მოდის და ქარი ბობოქრობს.“

ზემოთ ხსენებული ჩანაწერი ოდნავი ცვლილების შეტანით გაცილებით დამაჯერებელ სახეს მიიღებს ბათუმის ზღვისპირა ზონასთან დაკავშირებით.

Omar Zhizhavadze (Batumi, Georgia)

Batumi – the new place on the world tourism map

Summary

The significance of Batumi as a sea resort has increased since late 20th century when Abkhazia was lost owing to Russia. After the Rose Revolution the development of Batumi and generally the whole Adjara Black sea coastline has become the first rate priority for Georgia.

The Batumi littoral is beyond comparison owing to the combination of mountainous and marine climate. It is characterized by warm winter and hot summer. Climatotherapy is highly effective throughout the year.

The factors for the development of international tourism are: natural resources, historical and cultural monuments, capital and labor resources.

The development of international tourism in Batumi depends on internal tourism market. The existence and development of a tourist center of European standards is essential for the tourism development. The following are the main elements of such a center: hotels, chains of restaurants, cruises, entertainment facilities, mediators, tourist companies.

Thanks to the government and foreign investments Batumi has turned into a Black Sea pearl. It has secured a new place on the map of international tourism.

მაია ჭიჭილეიშვილი
(ბათუმი, საქართველო)

ძველი ბათუმის არქიტექტურის მხატვრული სტილის ზოგიართი საკითხი

ბათუმის, როგორც ქალაქის სივრცითი ორგანიზაციის სპეციფიკა განპირობებული იყო მისი ბუნებრივი ადგილმდებარეობითა და რელიეფის ხასიათით, რაც, ძირითადად, ეფუძნებოდა ლანდშაფტისა და მეტ-ნაკლებად მოწესრიგებული, გეომეტრიული ურბანული განაშენიანების თანხვედრის პრინციპს. XIX ს-ის 90-იან წლებში უკვე განსაზღვრული იყო ბათუმის დაგეგმარების ხასიათი, სიგრცის თავისებურებები და ქალაქმშენებლობის ძირითადი პარამეტრები. XIX საუკუნის დასასრული და XX საუკუნის დასაწყისი საქართველოში ხასიათდება ბურუჟაზიული ცხოვრების წესის, არქიტექტურის ახალი ფუნქციური, სიგრცულ-მოცულობრივი თუ მხატვრულ-სტილისტური თავისებურებების დამკვიდრებით.

ისტორიული ბათუმის მეტ-ნაკლებად ავთენტიკური სახე საშუალებას გვაძლევს წარმოგანინოთ ძველი ქალაქის მხატვრული სტილისა და არქიტექტურული მთლიანობის თავისებურებანი. წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს ისტორიული ბათუმის (XIX საუკუნის დასასრული და XX საუკუნის დასაწყისი) სტილისტური თავისებურებების, ძველი ქალაქის მხატვრული იერსახის სპეციფიკის გააზრების პირველ ცდას.


1890-იან წლებში ბათუმის განაშენიანებაში გამოიყოფოდა რამდენიმე ზონა: 1. სამრეწველო, რომელიც მოიცავდა პორტს, სანაპირო ზოლის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილს და, ძირითადად, მუფთიეს უბანს, სადაც განთავსებული იყო სამრეწველო საწარმოები, ნავთობის რეზერვუარები; 2. სავაჭრო-საქმიანი ზონა, ისტორიული აზიზიესა და ახმედიეს უბნები; 3. საზოგადოებრივი, საპარკო და საცხოვრებელი ზონა, რომელიც, უმთავრესად, აერთიანებდა ბულვარს, აღექსანდროვის პარკს და „ნურიეს“ ახალგაშენებულ თანამედროვე უბანს განიერი ქუჩებით [დაკიშევიჩ, 1890]. ამდენად, ბათუმის განაშენიანებაში თავს იჩენდა ბურუჟაზიული ქალაქებისათვის დამახასიათებელი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესაბამისი დიფერენცირება, რასაც, დაგეგმარების ხასიათთან ერთად, განსაზღვრავდა ურბანული ქსოვილის უწყვეტი განვითარების რიტმი, ზომიერი მასშტაბები და მხატვრულ-სტილისტური მრავალფეროვნება.

მხატვრული თვალსაზრისით ბათუმი, ისევე, როგორც საქართველოს სხვა ქალაქები, XIX-XX სს-ის მიჯნის რუსეთისა და ევროპის ქალაქების სპეციფიკას მისდევს. არქიტექტურის “ევროპეიზაცია” და “კოსმოპოლიტიზმი” გამოხატულებას პპოვებს ფსევდომიმართულებისა და მოდერნის სტილის ფორმებში. XIX ს-ის მიწურულსა და XX ს-ის დასაწყისში საქალაქო არქიტექტურის სტილისტური სურათი თითქმის ყოველგვარ ლოგიკას არის მოკლებული, რადგან ამ პერიოდის ხუროთმოძღვრებას საფუძვლად აღარ ედო გამაერთიანებელი იდეა.

აჭარის სახელმწიფო არქივის მასალებისა და დღემდე მოღწეული ნიმუშების მიხედვით ირკვევა, რომ მხატვრულ-სტილისტური თვალსაზრისით, ძველი ბათუმის არქიტექტურული იერსახის ჩამოყალიბებაში უპირატესობა ენიჭება XIX-XX სს-ის მიჯნის ფსევდოკლასიკური და ფსევდობაროკული ეპლექტიზმის ნაკადს. იგი თავს იხენს საზოგადოებრივი და საცხოვრებელი სახლების უმრავლებობაში. ამ სტილისტური ნაკადის ძეგლები ემყარება ნაგებობათა ფასადების მეტ-ნაკლებად უბრალო, სადა კომპოზიციურ გადაწყვეტასა და დეკორატიული მორთულობის აპრობირებული ფორმების გამოყენებას. კლასიცისტურ-ბაროკული სტილიზაციის მქონე ტიპობრივი ფასადებისათვის დამახასიათებელია მხატვრული გადაწყვეტის დასრულებულობა, ფანჯრების, შესასვლელებისა და ფართო დიობების მოწესრიგებული, ზომიერი რიტმი, კედლის სიბრტყეებისა და პილასტრისებური შევრილების პარალელური დარებითა და კანელურებით დამუშავება, სწორკუთხა, თაღოვანი და ბრტყელთაღიანი სარკმლების მარტივი ნაძერწი საპირეებით შემკობა, “იონიური” და “კორინთული” ორდერის გარიაციები, ზომიერად გამოყენებული ბაროკული მორთულობის დეტალები – საჭექი ქვების იმიტაციები, სადა პროფილის რელიეფური სანდრიკები, ორნამენტული კარნიზები და სხვ. ასეთ ნიმუშებად შეიძლება მივიჩნიოთ 1902, 1903 წლების საცხოვრებელი სახლების პროექტები მიხეილისა (დღევანდელი ზ. გამსახურდიას) და კომაროვოს (დ. თავდადებულის) ქუჩებზე (სურ. 1; სურ. 2) [აცსა, ფ. ი-6, ან. 2, ს. 463; 521].



სურ. 1



სურ. 2


XIX-XX სს-ის მიჯნის საქართველოს ქალაქების ნაგებობათა გარეგნული სახე მთლიანად მოწმობს ეკლექტიზმის სრულ გამარჯვებას [ვ. ბერიძე, 1963: 112]. ბათუმის არქიტექტურაში ეკლექტიზმი სტილიზაციის ნიმუშს წარმოადგენს ყოფილი ვაჟთა გიმნაზიის (დღევანდელი ბათუმის სახ. უნივერსიტეტი) შენობა (სურ. 3). ზღვისაკენ ორიენტირებული ნაგებობის მთავარი ფასადის ვრცელი სიბრტყები დანაწევრებულია კესონირებული, სტილიზებული პილასტრებით, რიტმულად განთავსებული თაღოვანი და სწორკუთხა ფანჯრებით. ცენტრალური ნაწილში მძლავრი რიზალიტია, რომელშიც გაჭრილია შესასვლელი. კარი ფლანკირებულია მძლავრი, შეწყვილებული სვეტებით, რომელსაც კარაპანი ეყრდნობა. მორთულობის ისეთი დეტალები, როგორიცაა ოთხეუთხა ნიშებში ჩადგმული თაღოვანი ღიობების მოტივი, ისრული თაღოვანი ფორმები, მრავალსაფეხურიან უელზე აღმართული ხახვისთავა გუმბათი, მოწმობს, რომ შენობის ფასადი, თავდაპირებელად, ითავსებდა რუსული, კლასიცისტური და, ასევე, ისლამური სტილის ნიშნებს. ნაგებობა ჩვენამდე რეკონსტრუირებული სახითაა მოღწეული (მესამე სართული და შენებულია, დარღვეულია ღიობების ფორმები ცენტრალური რიზალიტის ნაწილში, ადარ იკითხება ნაძერწი შეისრული თაღები, ადარ არსებობს ხახვისთავა გუმბათი და სხვა დეტალები). მისი ამჟამინდელი სახე კი უფრო “ევროპულია”. ირკვევა, რომ ვაჟთა გიმნაზიის შენობის პროექტის შედეგენა დაევალა თბილისში მოღვაწე პოლონელ არქიტექტორს ალექსანდრე შიმკევიჩს. გიმნაზიის შენობის აგება დაიწყო 1899 წელს და დასრულდა 1903 წელს. სასწავლებელი გაიხსნა 1904 წელს [Батумъ ..., 1906: 601-603].



სურ. 3. ყოფილი ვაჟთა გიმნაზია

ალ. შიმკევიჩი, სხვა თანამედროვეების მსგავსად, ტიპური ეკლექტიკოსია. მისი პროექტებითაა აგებული ყოფილი სასამართლო პალატისა და საოლქო სასამართლოს (დღევანდელი საქართველოს უზენაესი სასამართლოს - 1894 წ.), ასევე, 1901-1904 წლებში აშენებული ყოფილი სამუსიკო სკოლის (ახლანდელი თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია) შენობები, რომელთა ფასადების მორთულობა ითავ-

სების რენესანსულ-ბაროკული სტილის ნიშნებს. მის შემოქმედებაში სტილური მრავალფეროვნების მაგალითია 1898-1901 წლებში თბილისში მოღვაწე რუს არქიტექტორ პ. ტატიშჩევთან ერთად აგებული ყოფილი საარტისტო საზოგადოების (დღევანდველი შ. რუსთაველის სახ. აკადემიური ოეატრის) შენობა და საცხოვრებელი სახლი დავით აღმაშენებლის პროსპექტზე (№ 79), რომლებიც ბაროკოსა და როკოკოს სტილის ნიშნებს წარმოაჩენენ [ვ. ბერიძე, 1963:183; მ. მანია, 2006: 34-38]. სტილისტურად მრავალფეროვან და თვითმყოფად, ტიპოლოგიურად კი თბილისურ სურათს გვიხატავს ალ. შიმკევიჩის მიერ აშენებული საცხოვრებელი სახლები თბილისში: ალ. შიმკევიჩის საკუთარი სახლი სოლოლაქში – 1888 წ., საცხოვრებელი სახლი პ. ინგოროვებას ქ. №6. ისლამური და ევროპული სტილიზაციის ნიმუშებს წარმოადგენს მისი პროექტით აგებული საცხოვრებელი სახლები: სამსართულიანი სახლი დ. უზნაძის ქუჩა №19, ასევე, არქიტექტორ პ. ტატიშჩევის საკუთარი სახლი ლ. ასათიანის ქ. №18 [მ. მანია, 2006: 100-106]. ალ. შიმკევიჩის პროექტით აგებულ საზოგადოებრივ შენობათა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს კავკასიის სააბრეშუმო სადგურის მთავარ ნაგებობას, რომელიც აშენებულია 1892 წელს. შენობის არქიტექტურა ტრადიციათა შერწყმის საინტერესო სურათს იძლევა, იგი “რუსული სტილის”, ევროპული არქიტექტურული მორთულობის და ისლამური ელემენტების სინთეზის გამოვლინებაა [მ. მანია, 2006: 42-44]. მხატვრული გადაწყვეტის თვალსაზრისით ბათუმის ვაჟათა გიმნაზიის შენობის ფასადი გამოძახილს სწორედ ამ ნიმუშთან პოულობს. ალ. შიმკევიჩისათვის დამახასიათებელი ასეთი ეკლექტიკის მიუხედავად, მისი ქმნილებები მაინც ავლენენ ავტორის მაღალ პროფესიონალიზმს.



სურ. 4. წმინდა ალექსანდრე ნეველის ეკლესია. 1902-1905 წწ.

როგორც ცნობილია, XX ს-ის დასაწყისის უკელა საეკლესიო ნაგებობა უგულებელყოფს ადგილობრივ “ქართულ” ტრადიციებს და მართლმადიდებლური ტაძარი იღებს რუსული ეკლესიის სახეს, თუმცა სტილის სიწმინდეზე ლაპარაკი აქაც არ შეიძლება. ძველი ბათუმის არქიტექტურაში ასეთ გამოვლინებად შეიძლება მივიჩნიოთ წმ. ალექ-

სანდრე ნეველის სახელობის გვლესია, რომელიც ბულვარში იდგა (ტაძარი დაანგრიეს საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში. ამ ადგილას 1939 წელს აშენდა სასტუმრო “ინტერისტი” – არქიტექტორი ა. შუსევი). თავისი ზომებითა და მასშეგაბით ნაგებობა წარმოადგენდა ქალაქის ერთ-ერთ ხუროთმოძღვრულ დომინანტს (სურ. 4), თუმცა მხატვრულ–სტილისტური თვალსაზრისით მასში არაფერი იყო ეროვნული. თბილისის წმინდა ალ. ნეველის სახელობის სამხედრო ტაძრისაგან განსხვავებით, რომელიც “რუსულ-ბიზანტიური” სტილის ნიმუში იყო [ვ. ბერიძე, 1963: 66-67; მ. მანია, 2006: 33-34].¹ ბათუმის ტაძარი მეტად ავლენდა გვიანი შუა საუკუნეებისა და XIX ს-ის “რუსული სტილის” მხატვრულ თავისებურებებს. ნაგებობა მოკლებული იყო პლასტიკურ გამომსახველობას, რადგან ტაძრის რამდენადმე ტლანქი არქიტექტურული მასების მონოგრაფიური რიტმი, შედარებით დამჯდარი პროპორციები, ხახვისთავა გუმბათებისა და რუსული არქიტექტურული დეკორის ელემენტების სიუხვე განსაზღვრავდა არა პლასტიკური, არამედ საერთო კომპოზიციური გადაწყვეტის დეკორატიულ ხასიათს. იგი, ისევე, როგორც XIX-XX ს-ის საქართველოში აგებული ეკლექტიური სტილის მატარებელი სხვა ტაძრები, თავისი არსით უცხო ელემენტად რჩებოდა ქართულ გარემოში. ცნობილია, რომ ბათუმის წმ. ალ. ნეველის ტაძარი აიგო წარმოშობით გერმანელი არქიტექტორის, ოტო სიმონსონის ვაჟის - ვლადიმერ სიმონსონის პროექტით. ტაძრის მშენებლობას ვ. სიმონსონი 1902 წლიდან 1905 წლის 1 ივნისამდე ხელმძღვანელობდა [მ. მანია, 2006: 128-129].²

მხატვრული სტილის თვალსაზრისით, ბათუმის არქიტექტურაში კლასიცისტურ-ბაროკული სტილის ფასადებთან ერთად გვხვდება რენესანსულ-ბაროკული სტილის ნიმუშებიც. მაგალითად, ფოსტა-ტელეგრაფის შენობის ფასადები დატვირთულია ნალექობაში გამოყვანილი რენესანსულ-ბაროკული დეკორაციული ელემენტებით. პირველი სართულის კედლები დამუშავებულია პორიზონტალური ლარებით, რიტმულად ჩარიგებული და სადაც მორთული სწორკუთა ლიობებით. მეორე სართულის კედლები გაცხოველებულია სიბრტყიდან ამოზი-დული პორიზონტალური ზოლებით, სკულპტურული გამოსახულებებითა და ორნამენტული ჩანართებით. ნაგებობას ასრულებს წრეების

¹ თბილისის წმ. ალექსანდრე ნეველის სამხედრო ტაძარი აშენდა 1871-1889 წლებში. მისი “რუსულ-ბიზანტიური” იერი რუსეთის იმპერიის ამ დროის ტაძრების ზოგადად დამახასიათებელი ნიშანია. არქიტექტორები იყვნენ დავით გრიმი და რობერტ გედიკე-დ. გრიმი გახლდათ ბიზანტიური არქიტექტურის პროფესორი, პეტერბურგის სამპერატორო აკადემიის საპატიო წევრი.

² ვ. სიმონსონი დაიბადა 1864 წელს. მან პროფესიული განათლება და ინჟინერ-არქიტექტორის წოდება მიიღო რიგის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. გარკვეული პერიოდი ვ. სიმონსონი მსახურობდა ბაქოსა და ერევანში. 1901 წელს იგი ბათუმის საბაჟო ოლქის არქიტექტორის მოვალეობას ასრულებდა. 1902 წლიდან იყო ოლქის არქიტექტორი, ხოლო 1903 წლიდან - ბათუმის საოლქო ნაწილის ინჟინერი. 1904 წელს ვ. სიმონსონი იდებს ტიტულარული მრჩევლის წოდებას.

მწკრივით დამუშავებული პარაპეტი, თევზის ქერცლისებური საფარით დახურული მაღალი მანსარდა მრგვალი სარკმლებით, ხოლო ჩამოკვეთილი კუთხე დაგვირგვინებულია შპილიანი გუმბათით. ფოსტის შენობა საინტერესოა, როგორც კავშირგაბმულობის ფუნქციის მქონე ერთ-ერთი უძველესი ნაგებობა. იგი საყურადღებოა ქალაქების ერთ-ერთი მთავარ დომინანტსა და მაორგანიზებელ ელემენტს. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი მაღალი მხატვრული გადაწყვეტა და სამშენებლო ოსტატობა. აჭარის სახელმწიფო არქივში დაცული დოკუმენტით ირკვევა, რომ თავდაპირველად ამ ადგილას არსებული სახლი ეკუთვნოდა ძმებ – იაკობაშვილებს, რომლებიც ვაჭართა ფენას მიეკუთვნებოდნენ. ნაგებობის საფოსტო კანტორად გადაკვეთების პროექტი შესრულდა 1913 წელს არქიტექტორ მიხეილ ნეპრინცევის მიერ [აცსა, ფ. ი-6, ა. 1, ს. 747]. ცნობილია, რომ მიხელ ნიკოლოზის ძე ნეპრინცევმა 1902 წელს დაამთავრა პეტერბურგის სამოქალაქო ინჟინერთა ინსტიტუტი. იგი 1902-1914 წლებში მსახურობდა ამიერკავკასიის ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის მთავარ არქიტექტორად და ხელმძღვანელობდა მშენებლობებს რკინიგზის უწყებისათვის (სადგურის შენობები და რკინიგზასთან დაკავშირებული სხვა ნაგებობები). ბათუმის ფოსტის შენობის პროექტიც მისი სარკინიგზო-საფოსტო სისტემაში მუშაობის პერიოდშია შესრულებული. მ. ნეპრინცევის შემოქმედება, ისევე როგორც ამ პერიოდის სხვა არქიტექტორებისა, ეკლექტიზმის სტილისტური ნიშნების მატარებელია [ვ. ბერიძე, 1963: 174-175].

გარდა აღნიშნული ფსევდოსტილისტური მიმართულებებისა, ძველი ბათუმის ხუროთმოძღვრებაში გამოხატულია რენესანსულ-კლასიციისტური ეკლექტიზმის ხაზიც, რომლის ერთ-ერთი ნიმუშია 26 მაისის ქ. №7 მდებარე 1893 წლით დათარიღებული ორსართულიანი შენობა. ფასადის რესტაირებული ზედაპირი, პროფილირებული საპირეებითა და საჭექი ქვებით შემკული მშვიდდა და თაღოვანი ფანჯრები, სართულების გამყოფი პროფილირებული კარნიზები, ფრონტონებითა და აუზული კრონშტეკინებით გაფორმებული სადარბაზოს ჩარდახი, მეორე სართულის ჩაქვეთილზედაპირიანი პილასტრები რენესანსული და კლასიციისტური სტილის რეპერტუარიდანაა აღებული. ნაგებობას გამომსახველობას მატებს აუზული მოაჯირის, ლითონის სვეტებისა და ფრონტონის გამჭვირვალე, პაეროვანი დეკორის მქონე აივანი.

ეკლექტიზმის გამოხატულებას წარმოადგენს, ასევე, ნინოშვილის ქ. № 23 მდებარე ორსართულიანი შენობა, რომელშიც ამჟამად ნ. ბერძენიშვილის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტია განთავსებული. ნაგებობის ფასადები კლასიციისტურ-ბაროკული სტილის ნიშნებთან ერთად შეიცავს მოდერნის სტილის ელემენტებსაც (სურ. 5).




სურ. 5. ნაგებობა ნინოშვილის ქ. № 23

მოდერნის სტილი საქართველოში XIX ს-ის მიწურულიდან შემოდის, რაც, თავის მხრივ, კოსმოპოლიტიზმის გამოხატულება იყო. ნიშანდობლივია, რომ ეს მხატვრული სიახლე წარმოადგენდა არა სტილიზაციას, არამედ ახლად შემუშავებულ სტილს, რომელსაც ახასიათებდა სიახლის ძიება. მიუხედავად ამისა, მოდერნი მაღვე გადაიზარდა სრულიად პირობით, დეკორატიულ სტილად. საქართველოში გავრცელებულ ამ სტილშიც, ისევე, როგორც სხვა მხატვრულ მიმართულებებში, ვ. ბერიძის შეფასებით, ქართული არაფერი იყო. მოდერნი, უმთავრესად, გახდა უცხოეთში შემუშავებული ნიმუშების მიბაძვა, რომელსაც გააჩნდა ფასადთა საერთო კომპოზიციის, კარ-სარკმელთა, კარნიზების, პარაპეტის, აივნის მოაჯირისა და კედლის სიბრტყეთა დამუშავების თავისებური ასორტიმენტი. მოდერნის პოპულარობა საქართველოში ზენიტს 1910 წლისათვის აღწევს, შემდეგ კი მხოლოდ რეცენზების სახით გვხვდება [ვ. ბერიძე, 1963: 82-83]. აჭარის არქივში დაცული, 1911 წლით დათარიღებული პროექტი, გვიჩვენებს სადა, მკაცრი სტილით გადაწყვეტილი ნაგებობის [აცსა, ფ. ი-6, ან. 2, ს. 502] მოდერნისტული ფორმებით გახალისების მცდელობას.³ ნაძერწი საპირეების მქონე კარ-ფანჯრებით დანაწევრებული ნაგებობის ფასადი გაცოცხლებულია მოდერნის სტილისათვის დამახასიათებელი რუსტირებული ცოკოლისა და ფასადის გლუვი სიბრტყეების ფაქტურული კონტრასტით, აივნის ანტაბლემენტის მურდით, დინამიკური სილუეტით, ტალღისებური პარაპეტით, ლითონის მოაჯირის ალათებითა და კარ-ფანჯრების მორთულობის დეტალებით. იმავე ნიშნებს ავლენს ეზოს ღობუ-კედელი, რომლის მსგავსი ნიმუშები დღემდევა შემორჩენილი ბათუმის ძველ უბნებში. ბათუმის არქიტექტურაში მოდერნის სტილის არაერთი ნიმუშის გამოვლენაა შესაძლებელი: საბაევის ყოფილი მადაზია – მ. კოსტავას (ოგლობეი-

³ სახლი მდებარეობდა დღევანდელი ბარათაშვილისა (ყოფილი თბილისის ქუჩა) და მ. აბაშიძის (ძევლი მარინის პროსპექტი) ქუჩების გადაკვეთასთან ახლოს. პროექტი შედგენლიდა პანტელეევის (ან პანტელეევიჩის?) მიერ. ნაგებობა დღეს არ დგას.

ნის) ქ. №20, 1908 წელი [აცხა, ფ. 0-6, ან. 2, ს. 505]; კინოთვატრი “აპოლო” – მ. აბაშიძის (მარინის) პროსპექტი №20, 1906 წ.; საცხოვრებელი სახლი – მ. აბაშიძისა (მარინის) და გენერალ მაზნიაშვილის (ერისთავის) ქუჩების კვეთა №10/1, 1912 წ.; საცხოვრებელი სახლები – მ. აბაშიძის (მარინის) პროსპექტზე №12/14, 1912 წ., №41; №49; ორსართულიანი ნაგებობა – ი. გოგებაშვილის (სანაპიროს) ქუჩა №16 და სხვ.

XIX-XX სს-ის მიჯნის ბათუმის ეკლექტურ არქიტექტურაში, მხატვრულ სტილთა ასეთი მრავალფეროვნების მიუხედავად, მაინც შეიძლება აღინიშნოს რამდენიმე თავისებურება. საინტერესოა, რომ ამ პერიოდის თბილისის ხუროთმოძღვრებაში, გარკვეულწილად, ადგილი ჰქონდა ქართული ტრადიციების, ეროვნული არქიტექტურული მოტივების სტილიზაციის გამოვლინებას, რაც თვალსაჩინო იყო როგორც საკულტო (ქაშვეთის ეკლესია, 1904-1910 წწ., არქიტექტორი ლ. ბილფელდი), ასევე, საზოგადოებრივი (ქართული ბანკის შენობა, არქიტექტორები ა. კალგინი და მხატვარი ჰ. პრინცესკი; ი. ჭავჭავაძის საფლავის ძეგლის არქიტექტურა; საუფლისწულო უწყების დვინის სარდაფი, არქიტექტორი ა. ოზეროვი და სხვ.) და საცხოვრებელი სახლების არქიტექტურაში [ვ. ბერიძე, 1963: 83-94]. ბათუმში ასეთ მცდელობებს გამოვლინება არ ჰქონია. ძველი ქალაქის არქიტექტურაში ისტორიზმისა და “ნეორომანტიზმის” ერთადერთ გამოხატულებად შეიძლება მივიჩნიოთ დღევანდელი ზ. გორგილაძისა (ყოფილი ასათიანის) და ჰ. მელიქიშვილის (ვოზნესენსკის) ქუჩების გადაკვეთაში მდებარე, აწ უკავე დანგრეული, გუმბათოვანი ტაძარი, რომლის შესახებ დღესდღეობით ძალზე მწირი ინფორმაცია მოგვეპოვება (სურ. 6).



სურ. 6. ქართული მართლმადიდებლური ეკლესია ბათუმში

აღსანიშნავია ისიც, რომ XIX-XX სს-ის მიჯნის თბილისის არქიტექტურაში შედარებით ხშირად მიმართავდნენ მაგრული და ისლა-

მური ხუროთმოძღვრების მოტივებს [ვ. ბერიძე, 1963: 76]. ბათუმში მხოლოდ ერთეულების სახით დასტურდება ასეთი სტილის არსებობის მაგალითები. შეიძლება ვთქვათ, რომ თითქმის არ გვხვდება “ფსევდომავრული” სტილის ნაგებობები, ხოლო ისლამური და გოთური მოტივების მქონე შენობები გვხვდება მხოლოდ გამონაკლისების სახით, უმთავრესად, საკულტო ძეგლებში (ფსევდოგოთური სტილის ღვთისმშობლის, ყოფილი ქართულ-კათოლიკური ეკლესია – 1898-1902 წ.). ისლამური მოტივების მქონე სინაგოგა – 1912 წ.). თბილისის ხუროთმოძღვრებაში ისლამური არქიტექტურისათვის დამახასიათებელი ელემენტებისადმი სწრაფვა, რუსეთის მხრიდან, ამიერკავკასიის აღმოსავლურ და სამხრეთულ სამყაროსთან ასოცირებით იყო განპირობებული, თუმცა ნიშანდობლივია, რომ “ეგზოტიკურ” სტილს დედაქალაქშიც არ ეჭირა მნიშვნელოვანი აღგილი. XIX-XX სს-ის მიჯნის თბილისის ხუროთმოძღვრებაში, ძირითადად, სიმტკიცეს ინარჩუნებს რენესანსულ-ბაროკული ეკლექტიზმის ის ხაზი, რომელიც ჩაისახა კლასიციზმის გადაგვარების შემდეგ. ბათუმის არქიტექტურულ იერსახეში კი, უფრო მეტად, კლასიცისტურ-ბაროკული ეკლექტიზმი იკაფავს გზას. ეს თავისებურებები, თავის მხრივ, მოწმობს, რომ, ბათუმი თავიდანვე გაიაზრებოდა როგორც “ევროპული” ქალაქი, რომლის არქიტექტურულ გადაწყვეტაში სჭარბობდა “დასავლეთიდან” მომდინარე მხატვრულ სტილთა ელემენტები. XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე წარმოქმნილი ბურჟუაზიული ბათუმი ურბანული განაშენიანებით ჩამოყალიბდა ახალი ტიპის საქალაქო დასახლებად, რომელშიც ეროვნული არქიტექტურის დამკვიდრებისათვის ნაკლებად იყო შესაფერისი სოციალური და პოლიტიკური პირობები.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი (აცსა), ფონდი ი-6, ანაწერი 1, საქმე 747.
2. აცსა, ფ. ი-6, ან. 2, ს.ს. №№ 463; 502, 505; 521.
3. ვ. ბერიძე, თბილისის ხუროთმოძღვრება, I, თბ., 1960; II, თბ., 1963.
4. მ. ბულია, მ. ჯანჯალია, საქართველოს ძეგლი ქალაქები - თბილისი, თბ., 2006.
5. მ. ბულია, მ. ჯანჯალია, საქართველოს ძეგლი ქალაქები - ქუთაისი, თბ., 2006.
6. მ. მარია, ევროპელი არქიტექტორები თბილისში, თბ., 2006.
7. ც. კილაძე, მ. მემარიაშვილი, თ. გერსამია, თბილისური სადარბაზოები, თბ., 2008.
8. მ. სიორიძე, ბათუმის საბაჟო, ბათ., 2003.
9. რ. უზუნაძე, ბათუმის ისტორიიდან, ბათ., 2001.
10. Батумъ и его окрестности, Бат., 1906.
11. Дакишевичь Н.М., Батумъ, Тиф., 1890.

Maia Chichileishvili (Batumi, Georgia)

Some Issues of Artistic Style of Old Batumi Architecture

Summary

From the artistic point of view Batumi, like other cities of Georgia, follows the specificity of Russian and European cities of the turn of the 19th-20th centuries. “Europeanization” and “cosmopolitanism” of architecture finds its expression in the forms of pseudo-trend and modern style. In the architectural aspect of Batumi classicistic-Baroque eclectics paves its way that in its turn testifies that from the very beginning Batumi was realized as a “European” city in the architectural rendering of which the elements of the “Western” artistic styles prevailed. The bourgeois Batumi created at the turn of the 19th-20th centuries was formed with the urban constructions as a new type of urban settlement where there were little relevant social and political conditions to establish national architecture.

ჯემალ მიქელაძე
(ბათუმი, საქართველო)

ბათუმის საფორტიფიკაციო ნაგებობები

ბათუმი საფორტიფიკაციო ნაგებობებით უმველესი დროიდანაა ცნობილი, რომელთა ნაწილი ანტიკური პერიოდისაა, ნაწილი ფეოდალურ ხანას უკავშირდება [თ. ყაუხხიშვილი, 1987: 109-117], ხოლო დიდი ნაწილი კი მეცხრამეტე და მეოცე საუკუნეებით თარიღდება.

დიმიტრი ბაქრაძის ცნობით, „ბათუმი ადრეული ეპოქიდანვე ცნობილი იყო BATHY-ს სახელწოდებით. იგი რომაელთა სამხედრო სადგური იყო და II საუკუნეში ჩვ.წ.-ის შემდეგ იმპერატორ ადრიანეს დროს, აქ რომაელთა გარნიზონი იდგა” [დ. ბაქრაძე, 1878: 23].

აღნიშნული ცნობის მიხედვით, იმდროინდელი ბათუმი, როგორც ჩანს, რომაელებს პქონდათ მიკუთვნებული და მათი გარნიზონი შესაბამის ციხესიმაგრეში უნდა მდგარიყო.

ბათუმის ციხესიმაგრე, რომელიც თამარის ციხის სახელითაა ცნობილი, მდებარეობს მდინარე ყოროლისწყლის შავ ზღვასთან შეერთების მახლობელ გორაკზე. ბათუმის თავდაპირველი დასახლება აღნიშნული სიმაგრის მიმდებარე ტერიტორიაზე ყოფილა, რასაც წერილობითი წყაროები და აქ აღმოჩნილი ნივთიერი მასალები ადასტურებენ.

მე-15 საუკუნის პირველ ნახევარში ბათუმს სწვევიან მოგზაური მისიონერები იოსიფა ბარბარო და ამბროზიო კონტარინი. მათ უერადღება გაუმახვილებიათ ბათუმში არსებულ ციხეებზეც. იოსიფა ბარბაროს აღწერით, „შავი ზღვის პირას არის 2 ციხე – ბათუმი და სებასტოპოლი და, აგრეთვე სხვა კოშკები და მცირე ციხეები”. მბროზიო კონტარინის აღწერით – „ბათუმი ციხეა და მცირე ქალაქი” [ხ. ახვლევიანი, 1943: 166].

მე-18 საუკუნის პირველ ნახევარში ვახუშტი ბაგრატიონს უწერია: „ბათუმი მცირე ქალაქი და ციხე კარგი” [ქართლის ცხოვრება, 1973: 176].

1804 წლის მონაცემებით ბათუმის ციხეში იდგა ოსმალთა 121 კაციანი გარნიზონი [Акты, 1868: 876].

მე-18 საუკუნის მეორე ნახევრიდან იწყება ადრეული ბათუმის მოსახლეობის ინტენსიური გადანაცვლება სამხრეთისაკენ ზღვისპირა უერეს მიმართულებით, იქ სადაც დიდი პერსპექტივის მქონე, მოხერხებული და უსაფრთხო ნავსადგური იყო [Кальфоглу, 1905: 41].

1842 წლის მაისში სამხედრო მისიონ ბათუმში იმყოფებოდა რუსეთის არმიის ოფიცერი პოლკოვნიკი ი. პროსკურიაკოვი. მან საინტერესო ჩანაწერები დაგვიტოვა ბათუმის ნავსადგურისა და სიმაგრეების შესახებ. „საკმაოდ ღრმა ყურე მეტად მოხერხებულია სა-

ვაჭრო ხომალდების ნაპირზე მისადგომად. ბათუმის ბუნებრივი კურე, რომელიც კარგად არის დაცული ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთის ქარებისაგან, ითვლება საუკეთესოდ სინოპის შემდეგ. იგი წარმოადგენს თავშესაფარ პუნქტს შავი ზღვის აღმოსავლეთის სანაპიროსაგან მიმავალი ყველა გემისათვის. ყურეს სანაპირო დაბლობზე გაშლილია ქალაქის მშენებლობა... ქალაქის ტერიტორიაზე არის სიმაგრე ქონგურებიანი გალავნით” [Прокурорияков Я., 1905: 3].

ბათუმი, როგორც აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნებს შორის სავაჭრო ურთიერთობების დამაკავშირებელი ჰიმკარი, თავიდანვე იქცევდა თურქეთის, რუსეთის, ინგლისის, საფრანგეთისა და სხვა სახელმწიფოთა დიდ კურადღებას.

ოსმალების აჭარაში ბატონობის პერიოდში დაიწყო ბათუმისა და გონიოს ციხეების გამაგრება და ახალი სიმაგრეების აშენება.

1853 წლის მონაცემებით ბათუმში თავმოყრილი ოსმალთა ჯარი ითვლიდა 10 ათას კაცს [რ. უზუნაძე, 1997: 19].

ყირიმის ომის დროს საომარ მოქმედებასთან დაკავშირებით, ბათუმში იდგა ოსმალთა 30 ათასიანი კორპუსი [შ. მეგრელიძე, 1974: 25]. ხმელეთიდან ქალაქი გამაგრებული იყო ხის მორებისგან აგებული თავდაცვითი ნაგებობით და გარსშემოვლებული თხრილით [Акты, 1885: 757].

მოგვიანებით ოსმალების მიერ ბათუმში აშენებული იქნა ორი ფორტი – „სარი სუ“ და „ბურუნ თაბია“. „სარი სუ“ მდებარეობდა ამჟამინდელი პორტის ტერიტორიაზე, სადაც მოედინებოდა პატარა მდინარე „სარი სუ“ [Отчеты, 1882: 48].

1885-1886 წლებში „სარი სუ“-ს ფორტი დანგრეულ იქნა ნავსადგურის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით [რ. უზუნაძე, 1997: 20].

„ბურუნ თაბია“-ს ფორტი აშენებულ იქნა ზღვის სანაპიროზე არსებული კონცხის ტერიტორიაზე.

აღნიშნულ ფორტთან დაკავშირებით ეს მურიე წერს: „ეს ყაზარმის მსგავსი ქვის შენობაა, რომელშიც თექვსმეტი ზარბაზანია და იტევს ექვს პოლკს და საომარი ტყვია წამლის მარაგს“ [ქ. მურიე, 1962: 21]. უნდა აღინიშნოს, რომ ბათუმის ფორტებს შორის ყველაზე დიდი „ბურუნ თაბია“ იყო.

გიდრე დასავლეთ საქართველოს შავიზღვისპირა სანავსადგურო პუნქტები თურქეთის ხელში იყო, რუსეთის შავიზღვისპირა რეგიონებს მტრის თავდასხმის საფრთხე ყოველთვის ელოდა. ამიტომ რუსეთი ყველა ხერხს და ღონებს ხმარობდა, რომ აღმოსავლეთ შავიზღვისპირა ზოლი ხელში ჩაეგდო და უზრუნველეყო თავისი ტერიტორიების უსაფრთხოება. მეორე მხრივ, საზღვაო გზით რუსეთს საშუალება ეძლეოდა უფრო მოხერხებულად განვითარებინა ურთიერთობა ამიერკავკასიასთან და, ამავე დროს, უზრუნველყოფილი იქნებოდა სავაჭრო დერეფნის ამოქმედება აღმოსავლეთის ქვეყნებიდან ევროპაში გასასვლელად საქართველოს გზით [Ушаков А. Л., 1836: 9].

ამიტომ ამიერკავკასიაში რუსეთის სტრატეგიულ გეგმაში უპირველესი ადგილი ეჭირა ბათუმის დაკავების საკითხს. აქედან გამომდინარე, მე-19 საუკუნეში თურქეთთან წარმოებულ ომებში რუსეთის კავკასიის არმიის ერთ-ერთ მთავარ სამიზნეს ბათუმი წარმოადგენდა. ამის მიუხედავად, 1806-1812, 1828-1829 და 1853-1856 წლების ომები ამ მხრივ რუსეთისათვის უშედეგო აღმოჩნდა [მ. სიორიძე, 2003: 37]. რუსეთმა დასახულ მიზანს მხოლოდ 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის დამთავრების შემდეგ მიაღწია.

ამ ომის შედეგად დადგებული რუსეთ-ოსმალეთის ზავის პირობები ითვალისწინებდა ბათუმის თავისუფალ ნავსადგურად, პორტოფრანკოდ გამოცხადებას და რუსეთისავის გადაცემას [ხ. ახვლედიანი, 1980: 11-12].

საქართველოს ისტორიაში ბათუმმა პირველმა მიიღო თავისუფალი ქალაქის სტატუსი, ხოლო რუსეთის იმპერიაში კი ეს მესამე შემთხვევა იყო, როდესაც ქალაქს პორტოფრანკოს სტატუსი ენიჭებოდა [მ. სიორიძე, 2003: 51-53].

ბათუმი, როგორც ახალშემოერთებული ზღვისპირა ქალაქი, საჭიროებდა ახლებურ დაგეგმარებასა და განაშენიანებას, ამიტომ რუსმა კარტოგრაფებმა გადაიღეს, შეისწავლეს ქალაქის მიმდებარე ლანდშაფტი და შეადგინეს მისი განაშენიანების პროექტი, რომელიც 1878 წლით არის დათარიღებული [რ. გოგიტიძე, 1980: 76].

რუსები „ბურუნ თაბია“-ს ფორტს შესაბამისი რეკონსტრუქციის შემდეგ სამხედრო საზღვაო თავდაცვითი ფუნქციებით იყენებდნენ. აღსანიშნავია, რომ ფრანგების მიერ აშენებული „ბურუნ თაბია“-ს ფორტი რუსებისათვის სანიმუშო აღმოჩნდა და მოგვიანებით მათ მიერ აშენებულ იქნა არდაგანის საზღვაო თავდაცვითი ფორტი, ბარცხანის საზღვაო თავდაცვითი ფორტი და მეჯინისწყლის სახმელეთო ფორტი.

პირველ გერამზე რუსეთის სამხედრო საზღვაო უწყებამ ბათუმის სანაპიროს ფორტებზე განალაგა შედარებით მსუბუქი და ახლომსროლელი ქვემეხები, მაგრამ მოკლე დროში, სამხედრო საზღვაო ფლოტების მძიმე და შორსმსროლელი ქვემეხებით შეიარაღების შემდეგ, ბათუმის სამხედრო ხელმძღვანელობა იძულებული გახდა ბათუმის ზღვისპირა ყველა ფორტი (ბურუნ თაბიას, ბარცხანისა და არდაგანის) გადაეკეთებინა მძიმე და შორსმსროლელი ქვემეხების დასაყენებლად. ამით, მართალია, შემცირდა ქვემეხების რაოდენობა, მაგრამ სამაგიეროდ გაიზარდა მათი საცეცხლე ქმედითუნარიანობა. იმ დროისათვის თანამედროვე ტექნიკის საშუალებით განხორციელდა ფორტების ელექტრიფიკაცია, რამაც უზრუნველყო ქვემეხების ჭურვების მიწოდების ავტომატიზაცია, რაც ქვემეხებით სროლის სისწრაფეს ზრდიდა. ამ ფორტებზე განლაგებულ ქვემეხებს თავისუფლად შეეძლოთ გაეკონტროლებინათ მთელი სანაპირო ზოლი ხოფიდან ფოთამდე.

შორსმსროლელი არტილერია, რომელიც ამ ფორტებზე იყო დადგმული, საკუთარი შესაძლებლობებით სწვდებოდა 25-30 კილომეტრით დაშორებულ საზღვაო მცურავ ობიექტებს. ამავე მიზნით აგებული იყო საზღვაო სანაპიროდან დაშორებული ურების საზღვაო თავდაცვითი ფორტი, რომელიც მოფარებული იყო მოსალოდნელ მტრის საზღვაო ხომალდებს, თუმცა, მის შორსმსროლელ ქვემეხებს თავისუფლად შეეძლო მტრის სამხედრო მცურავი ობიექტების შორი მანძილიდან განადგურება.

ამჟამინდელი ბათუმის გორაზე და სამების მთაზე განლაგებული იყო სათვალთვალო და საარტილერიო ცეცხლის მართვის პუნქტები, რომლებიც უზრუნველყოფდა ზღვის მხრიდან მოსალოდნელი მტრის შემოტევის უკუგდებას.

ქალაქის ბულვარის გასწვრივ, არდაგანის დასახლებაში, განთავსებული იყო სანაპირო დაცვის საარტილერიო დივიზიონის შტაბი, რომელსაც ქვემდებარებოდა არდაგანისა და ურების ბატარეები.

არდაგანის ფორტი შედგებოდა მასიური, ბეტონით ჩამოსხმული ბუნკერებისაგან, რომლებიც ზევიდან მიწაყრილით იყო დაფარული, რომ მტრის თვალისათვის შეუმჩნეველი ყოფილიყო. ბუნკერებში იარაღ-საჭურველი და ტყვია-წამალი ინახებოდა. ბუნკერების ზემოდან ფორტის მთელ სიგრძეზე, დაახლოებით ერთი კმ მანძილზე, განლაგებული იყო შორსმსროლელი მძიმე არტილერიის ოთხი შენიდებული ქვემეხი. მის მარჯვნივ აღმართულ, რკინაბეტონით ჩამოსხმულ სათვალთვალო კოშკში დამონტაჟებული იყო საზღვაო მანძილსაზომი. იქვე, მის ძირში და მიმდებარედ განლაგებული იყო რამდენიმე ბეტონირებული თავშესაფარი.

არდაგანის უბნის მიმდებარე ვრცელი ფართობი სამხედროთა საწვრთნელსა და სასროლეთს წარმოადგენდა. ურების ფორტის სამსედრო სათავსოების დიდი ნაწილი მთაში იყო განთავსებული, რომლებიც ამავე დროს სანდო თავშესაფარს წარმოადგენდა.


ამჟამად ზღვისპირა ზოლი მთლიანად მოქცეულია ქალაქის განაშენიანების ზონაში და მიმდინარეობს ყველა ძეელი ნაგებობის დანგრევა და ტერიტორიის გასუფთავება.

საყურადღებო, რომ სამხედრო თავდაცვითი ნაგებობები ციხესიმაგრების სახით განლაგებული იყო ბათუმის ირგვლივ არსებულ გორაკებზე, რომლებიც, რატომდაც ყოველგვარი განსჯის გარეშე, გასული საუკუნის ორმოცდაათიან-სამოციან წლებში განადგურებულ იქნა, თუმცა შეიძლებოდა მათი შენარჩუნება და ტურისტულ საჩვენებელ ობიექტებად გამოყენება, რომელთა ნაკლებობას ჩვენი ქალაქი ძალიან განიცდის.


ბათუმი სამხედრო თვალსაზრისით იმდენად კარგად ყოფილა გამაგრებული და დაცული, რომ 1888 წელს რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე III თავისი ოჯახით სწვევია ქალაქს და მოუნახულებია მისი დირსშესანიშნავი ადგილები.

იმპერატორი ეწვია ბათუმის საქალაქო ბაღს (ამჟამინდელი 6 მაისის პარკი), სადაც მან და მისი ოჯახის წევრებმა დარგეს მაგნო-ლია და ორი ლიბანის კედარი (ფიჭვი). ამის შემდეგ პარკს ალექსანდრეს პარკი ეწოდა. იმპერატორი მარინეს პროსპექტის (ახლანდელი მემედ აბაშიძის პროსპექტი) გავლით მივიდა ბურუნ თაბიას სიმაგრის საარტილერიო ბატარეაში. ეწვია სამხედრო პოსპიტალს, გაისეირნა სანაპიროზე და გვიან საღამოს დატოვა ბათუმი [გ. სიორიძე, 2003: 97-102].



ბათუმის საფორტიფიკაციო ნაგებობების მშენებლობამ უძველესი დროიდან დღემდე უდიდესი როლი შეასრულა და ხელი შეუწყო ქალაქის მოსახლეობის დასაქმებას, უსაფრთხოებას, სტაბილურობას, ეკონომიკის განვითარებას, საფორტიფიკაციო კულტურის აღმავლობასა და სხვ.



1878 წლის ბათუმის განაშენიანების გეგმა



„გურუნ-თაბია“-ს ფორთის გეგმა



არდაგანის ფორტის ხედები

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბ. ახვლედიანი, ნარკვევები აჭარის ისტორიიდან (მე-16-19 სს), ბათ., 1943.
2. ბ. ახვლედიანი, ასი წელი განთავისუფლებიდან, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს არქიტექტურული ძეგლები, ბათ., 1980.
3. დ. ბაქრაძე, არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, სანქტ-პეტერბურგი, 1878.
4. რ. გოგიტიძე, ბათუმის დაგეგმარების ისტორიიდან, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს არქიტექტურული ძეგლები, ბათ., 1980.
5. შ. მეგრელიძე, საქართველო აღმოსავლეთის ოქტომბერი, თბ., 1974.
6. ჟ. მურიკ, ბათუმი და ჭოროხის აუზი, ბათ., 1962.
7. მ. სორიძე, ბათუმის საბაჟო, ბათ., 2003.
8. რ. უზუნაძე, ბათუმის ისტორიიდან, ბათ., 1997.
9. ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973.
10. მ. ყაუხჩიშვილი, ანტიკური წყაროები ქ. ბათუმის ისტორიისათვის – სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, ტ. XIV, თბ., 1987.
11. Акты собранные Кавказской Археографической комиссией (**Акты**), т. II, Тиф., 1868.
12. Акты, т. X. Тиф., 1885.
13. Кальфоглу, Древнейшие известия о Батуме, ИКОИРГО, т. XVIII, Бат., 1980.
14. Проскуряков Я., Заметки о Турции... ЗКОРГО. кн. XXV. Тиф. 1905.
15. Материалы для описание Азиатской Турции и Батумской области. Отчеты В. Дажирфорда Пальгрева о првинциях Анатолии за 1867-1868, 1869 и 1872 годы, Тиф., 1882.
16. Ушаков А.К., История военных действий в Азиатской Турции в 1828-1829 г.г., С-Пб., 1836.

Jemal Mikeladze (Batumi, Georgia)

Fortresses in Batumi

Summary

Archeological sources reflect quite important, ancient defenses in Batumi. Italian missionaries: Yosef Barbaro, Ambross Contarini describe the items, concerning to the fortresses in Batumi (15 c.). Barbaro considered, that among small towers there were two main fortresses situated on the coastline of the Black Sea in Batumi.

Late, along the seashore, two fortresses were constructed by Ottomans. They were: „Sari Su” and „Burun Tabia”.

In the 19 c. (1877-1878y.) during the war between Russia and Turkey, according to Berlin Congress decision Batumi was given to Russia. It was the city-Porto-Franco, the first free- trade city in the history of Georgia.

Except for the fortresses mentioned above Russia also built the new fortresses on the territory of Ardagani and Bartskhana Seaside districts in the hills of the villages Sameba, Urekhi, Mejinistskali, Batumi hill.

All these fortresses defended Batumi city from the sea and from the land.

Since the ancient period, Batumi fortresses played the most important part in economic and cultural development of the country and people's employment.

გურამ ჩაგანავა
(ბათუმი, საქართველო)

ტოპონიმ “ბათომის” სარმომავლობისათვის

ტოპონიმ ბათომის (ბათომი) შესახებ მრავალი მოსაზრება არსებობს; მათ შორის ჩვენი ყურადღება მიიქცია ქ. ჩხატარაშვილის თვალსაზრისმა, რომლის თანახმად, ეს ტოპონიმი ჭანურის ნიადაგზე ისხსნება – „ბათომი ერქეა მხარეს (თემს), ციხეს (მასთან მდებარე მცირე დასახლებით), მდინარეს და ტბას“.

ბა- პრეფიქსის გამოყოფის გარეშე შეუძლებელი აღმოჩნდა ტოპონიმი ბათომის ახსნა არათუ ჭანურის საფუძველზე, არამედ საერთოდ. ბა- პრეფიქსისა და მისი ნაირსახეობების (ბ-, ბი-, ბე-, ბუ-, ფუ-) შესწავლის საკმაოდ დიდი ტრადიცია არსებობს. ჯერ კიდევ ნიკო მარი თავის რჩეულ შრომებში მიუთითებდა ქართულ “როულ” სიტყვებზე, რომლებშიც ბო (მო), ბი ფორმანტები გამოიყოფა: ბო-კვერ-ი, ბი-ძა [Mapp H., 1933: 36]. ჭანურში პრეფიქსად გვემდინება პ-, რაც იგივე ბ- არის [Mapp H, 1910: 7]. ამ პრობლემატიკის შესწავლაში განსაკუთრებით დიდი წვლილი მიუძღვის ივანე ჯავახიშვილს [ივ. ჯავახიშვილი, 1937: 190, 215] და არნოლდ ჩიქობავას [არნ. ჩიქობავა, 1938: 62,115; მისივე, 1942: 179; მისივე, 1979: 130-131]. ბა- პრეფიქსიანებს მიაკუთვნებენ შემდეგ სიტყვებს: ბა-ფ-შე-ი; ბა-დან-ა; ბა-ტკან-ი; ფ-რ-ჩ-ს-ილ-ი (აქ ფ- ბ-ს ფონეტიკური ქართული ვარიანტია); მეგრული ბი-რ-ც-ხ-ა (ბუ-ც-ხ-ა)- “ფრჩხილი”; ჭანური ბუ-ც-ხ-ა, აგრეთვე ფუ-ტკარ-ი; შდრ. ზანური ბუ-ტ-პუჯ-ი და სხვა.

არნ. ჩიქობავა წერს: ეს პრეფიქსი (ბ-, ბა-, ბუ-) სხვა კავკასიურ ენათაგან შეოვისებული კლას-კატეგორიის ნიშანი უნდა იყოს,... ვგულისხმობთ ჩაჩნური ჯგუფისა და დაღესტნის რიგ ენებს, სადაც ბ- კლას-კატეგორიის ნიშნად ამჟამადაც გვაქვს; ყველგან ესაა ნივთის კატეგორიის ნიშანი და განეკუთვნება მესამე კლასს” [არნ. ჩიქობავა, 1942: 179]. ივ. ჯავახიშვილს მიაჩნდა, რომ პრეფიქსი ბ- უასაკოთა აღმნიშვნელი ფორმანტია [ივ. ჯავახიშვილი, 1937: 190-215].

აკლეგა-ძიებამ დაადასტურა, რომ მეგრულში საკმაოდ ბევრია ბა- პრეფიქსიანი და ასეთი პრეფიქსის გარეშე სიტყვები, რომელთა მნიშვნელობა ხშირად იდენტურია ანდა გრამატიკული სტრუქტურა იმდენად ახლოს დგას ერთმანეთთან, რომ მათი წარმოშობის თვალსაზრისით დაკავშირება დიდ სირთულეს არ უნდა წარმოადგენდეს.

ქვემოთ მოგვყავს რამდენიმე თვალსაჩინო მაგალითი:

1. ბა- პრეფიქსიანი – ბა-ცაფ-ი „ფეხაკრეფით, ნელი ნაბიჯით სიარული". იხ. ბა-ც-უ-ა [ო. ქაჯაია, 2001: 229].

ბა- პრეფიქსის გარეშე – ცა-ცაფ-ი იგივეა, რაც ცა-ც-უ-ა 1. „ფეხის წვერებზე ნელი სიარული, ჩუმად მისვლა, მიპარვა". 2. ცაცუნი (ხელისა) [ო. ქაჯაია, 2001: 565].

2. ბა- პრეფიქსიანი – ბა-რჯგ-ი „ბოძი, სარი, ბოძკინტი; ორგაპიანი ჯოხი" [ო. ქაჯაია, 2001: 225].

ბა-რჯგ-უ-ა „მძლავრი, ღონიერი სიარული" [ო. ქაჯაია, 2001: 225].

ბა- პრეფიქსის გარეშე – რჯგ-იმ-ინ-ი რჯგ-იმ-ინ-უ-ა სახელი ორჯგ-იმ-ინ-ან-ს ზმისა – „ამაყად ყურება, ბრექიობა" [ო. ქაჯაია, 2002: 565].

3. ბა- პრეფიქსიანი – ბა-რჩხ-ალ-ი „კაშკაში, ბრწყინვა, ბზინვა, ელვარება, სხივების ფრქვევა" [ო. ქაჯაია, 2001: 224].

ბა- პრეფიქსის გარეშე – ო-რჩხ-ალ-ი, ორჩხეში „სარეცხი, სარცხი" [ო. ქაჯაია, 2002: 555].

ჩხან-ა მზე, „მზის სხივი, მზიანი დღე, სიცხე" (ქაჯაია, 2002: 326).

4. ბა- პრეფიქსიანი – ბა-რდღ-ალ-ა „ვისაც ბარდღალი, ბჟუტური სჩვევია, ბჟუტურა" [ო. ქაჯაია, 2001: 221].

ბა-რდღ-ალ-ი 1. ბავშვის მიერ ენის ადგმა და რაღაცის თქმა"; 2. „უახრო, უშინაარსო, დაუფიქრებელი ლაპარაკი; დაუფარავად ყველაფრის თქმა, ბჟუტური" [ო. ქაჯაია, 2001: 221].

ბა- პრეფიქსის გარეშე – რდგ-აბ-ალ-ი სახელი რდგ-აბ-ალ-ან-ს ზმისა – „ლაყბობა, ტარტალი, ტლიკინი" [ო. ქაჯაია, 2001: 517].

რდგ-აბ-ალ-ი იხ. რდგ-აბ-ალ-ი – ტარტარი, ლაყბობა" (იქვე, 518); რდგ-აბ-ალ-ა „ვისაც რდგ-აბ-ალ-ი (ლაყბობა) სჩვევია" [ო. ქაჯაია, 2001: 517].

5. ბა- პრეფიქსიანი – ბა-რგ-უ-ა სახელი ბა-რგ-უნ-ს ზმისა „მარგვლა, პირველი თოხნა" [ო. ქაჯაია, 2001: 220].

ლაზურშიც ბა- პრეფიქსი ენაცვლება სხვა პრეფიქსებს (მასალები წარმოდგენილია ი. ბუჯაკლიშისა და უზუნსასანოლუს ლაზურ-თურქული ლექსიკონის მიხედვით):

1. ბ-დირ-ი (ვიწური) – მ-დირ-ი (ათინური) – „მდვრიე"

დასტურდება ბ- და მ- ფორმანტების ურთიერთშენაცვლების შესაძლებლობა.

2. ბ-ხუჯ-ი (ხოფური) – მ-ხუჯ-ი (ართაშენული) – „მხარი"

3. ბ-უ-ა (ხოფური) – მ-უ-ა (ათინური) – „რძე"

4. ბ-უოლ-ი (ხოფური) – მ-უოლ-ი (ართაშენული) – „თუთა"

5. ბო-ბოლ-ა (ათინური) – ბო-მ-ბულ-ა (არქაბული) – „ჭია" (შდრ. გურული ბო-ბოლ-ი – „აბრეშუმის ჭია"). ბუნებრივია, რომ “ბო” აქ ორივე შემთხვევაში პრეფიქსია. საყურადღებოა, რომ ინლაუტში განვითარდა -ბ-.

ასეთივე შემთხვევები გვაქვს სხვა სიტყვებშიც:

ა. ო-ჩა-მ-ბ-რ-ე – ონ-ჩამ-ურ-ე (ხოფური) – „ჩამური".

ბ. ო-ხომბ-უ – ო-ხომ-უ (არქაბული) – „გაშრობა, გახმობა, დაჭკ-ნობა".

გ. ო-ტოჭამბ-უ (ათინური) – ო-ტოჭაბ-უ (არქაბული) – „დაწებება".

როგორც ვხედავთ, ერთ შემთხვევაში, (ო-კოჭამბ-უ) ბ-ს წინ დასტურდება მ, ხოლო მეორე შემთხვევაში, მ არ არის განვითარებული. საყურადღებოა, რომ ბ- ფორმანტი ზოგჯერ მეგრულშიც იკარგება. მაგალითად, ბზაკალი//ზაკალი – „პალმა" [ი. ყიფშიძე, 1994: 60]. „მბ" კომპლექსში ბ-ს დაკარგვა ალბათ იმითაც არის განპირობებული, რომ მეგრული, ისევე, როგორც ჭანური, გაურბის რამდენიმე თანხმოვნის ერთად ყოფნას [ი. ყიფშიძე, 1994: 61].

ტოპონიმ ბათომში ყველაზე რთულია თომ ძირის წარმომაგლობა. ვფიქრობთ, რომ ის ზანურ ტობა, ტიბა (ლაზური) „ტბა, გუბურა, ღრმა" და ტობა, ტობო (მეგრული) – ტბა, ღრმა ლექსემებს უნდა უკავშირდებოდეს. თითქოს თომ-ის პირვანდელი ფორმა უნდა ყოფილიყო ტობი (ტობა). შემდგომში, როგორც ეს ლაზურში დადასტურდა, ბ-ს წინ უნდა განვითარებულიყო მ და მივიღებდით ტომბი (ტომბა)-ს. მნიშვნელოვანია, რომ სიტყვა „ტომბა" დადასტურებულია მეგრულში „ღრმას" მნიშვნელობით. ამავე დროს ჰ. ფენრიხი და ზ. სარჯველაძე მიიჩნევენ, რომ „გურული ტომბოყო და აჭარული ტომბოყო//ტომბოყო („წყლიანი ორმო; დამდგარი წყალი; წუმპე") მეგრულ-ლაზურიდან ნასესხებ ტომბო ფუძეს გამოავლენენ" [ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, 1990: 291]. ბა- პრეფიქსის დართვის შემდეგ უნდა ყოფილიყო საგარაუდოდ – ბატომბი.

ზემომყვანილი მაგალითებით ირკვევა, რომ მეგრულში ბაპრეფიქსი უფრო ხშირად გამოიყენება, ხოლო ლაზურს უფრო მეტად ბ- ახასიათებს. ზემოთ აგრეთვე დავინახეთ, რომ სიტყვის შიგნით ბ-ს წინ დადასტურებული მ- ხშირად – ბ-ს გაქრობას იწვევს. არც ის არის გამორიცხული, რომ ჩვენ მიერ ნავარაუდევ სიტყვაში ყოფილიყო კომპლექსი - ბ- მბ-ს ნაცვლად, რომელიც შეიძლება მ-დ გადაიქცეოდა (შდრ. ყონა მ-ჩალუპტი (ბ-ნ-ჩალუპტი) – „ყანას ვმკიდი" [გ. გარტოზია, 2005: 54]. ზუსტად ასეთ შემთხვევასთან უნდა გვქონდეს საქმე ჩვენ მიერ ნავარაუდევ ბატომბი-სთანაც. აქ დროთა განმავლობაში ბ დაიკარგა და მივიღეთ „ბატომი", რომელშიც შემდგომში მავეთრი „ტ" შეიცვალა ფშვინგიერი „თ"-თი. ე.ი. *ბა-ტობ-ი>*ბა-ტომბ-ი>*ბა-ტომ-ი>ბა-თომ-ი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ზ. თანდიდავა, შუამთობის ტრადიციები და ფოლკლორი, თბ., 1980.
2. გ. კარტოზია., ლაზური ენა და მისი ადგილი ქართველურ ენათა სისტემაში, თბ., 2005.

3. о. სიხარულიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა, II, ბათ., 1959.
4. პ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბ., 1990.
5. მ. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. I, თბ., 2001.
6. მ. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. II, თბ., 2002.
7. მ. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. III, თბ., 2002.
8. ი. ყიფშიძე, რჩეული თხზულებანი, თბ., 1994.
9. ვ. შამილაძე, ცნებისათვის “მთური მესაქონლეობა”. – აჭარის მოსახლეობის ყოფისა და კულტურის საკითხები, თბ., 1967.
10. ვ. შამილაძე, ალპური მესაქონლეობა საქართველოში, თბ., 1969.
11. ვ. შამილაძე, აგრარულ-რელიგიური ღდესასწაულების ისტორიიდან აჭარაში, – აჭარის მოსახლეობის სამეურნეო ყოფის საკითხები, თბ., 1971.
12. არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბ., 1938.
13. არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბ., 1942.
14. არნ. ჩიქობავა, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1979.
15. ივ. ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, თბ., 1937.
16. Бардавелидзе В.В., Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен, Тб., 1957.
17. Гамкрелидзе Т. В., Иванов Вяч. Вс., Индоевропейский язык и индоевропейцы, Тб., 1984.
18. Кипшидзе И. А., Избранные сочинения, Тб., 1994.
19. Mapp H., Избранные работы, т. I. Л., 1933.
20. Mapp H., Грамматика чанского (лазского) языка, Спб., 1910.
21. Шамиладзе В. М., Хозяйственно-культурные и социально-экономические проблемы скотоводства Грузии, Тб., 1979.

Guram Chaganava (Batumi, Georgia)

The Origin of the Toponymic Name Batomi

Summary

In work it is shown that fairly well wide-spread prefix - ba- in Zanian language allows to select presence of the parallel forms close in nature and importance of the words. In some cases became possible to offer some language reconstructions.. As a result of reconstructions of the toponymic name BATOMI by us is chosen prefix BA and initial base TOMBI -TOMBA,which was subsequently converted in TOMI and was as a result formed toponymic name BATOMI (BATUMI).

მამია ფალავა
(ბათუმი, საქართველო)

კვლავ ტოპონიმ ბათუმის ეტიმოლოგიისათვის

გეოგრაფიული სახელის – ბათუმი – ეტიმოლოგიის რამდენიმე ცდა არსებობს ქართულ მეცნიერებაში. თითოეული მათგანი გარდებული მეცნიერული განსჯის შედეგია და, ბუნებრივია, არსებობის დირსიც. კვლევის პროცესში ჩამოგვიყალიბდა ბათუმის ეტიმოლოგიის ჩვენეული ვერსია, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ. ვიდრე ჩვენს ძირითად სათქმელს შევეხებოდეთ, მოკლედ განვიხილოთ სპეცილურ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებანი.

I. ო. ყაუხეჩიშვილი აღნიშნავს, რომ ბათუმი ბეთეა||ბათოს ფორმით გვხვდება ძვ. წ. აღრიცხვით IV საუკუნის ბერძნულ წყაროებში. არის ტოტელეს ცნობით, „ბათისთან ზღვას განუსაზღვრელი სიღრმე აქვს. ჯერ არავის შეძლებია იქ ჩასვლა და ფსკერის აღმოჩენა“ [თ. ყაუხეჩიშვილი, 1969: 10-14]. ფლავიუს არიანეს (II საუკუნის I ნახევარი) კი მოხსენებული აქვს ბათის. სპეციალისტთა ერთი ნაწილის აზრით, სწორედ „ბათის“ ფუძე არის ჩადებული ბათუმის და ნიშნავს „დრმას“.

ბათუმის ბერძნულიდან მომდინარეობის ჰიპოთეზას მხარი დაუჭირა ზურაბ ჭუმბურიძემ, მაგრამ არც ის გამორიცხა, რომ იგი შეიძლება რომელიმე ქართული სიტყვისაგან იყოს მიღებული [ზ. ჭუმბურიძე, 1987: 427].

ბათუმის ბერძნულიდან მომდინარეობის ვერსია გაიზიარა იოსეგი ბექირიშვილმაც [ი. ბექირიშვილი, 1999; მისივე, 1982: 53; მისივე, 2001: 199-204].

აღნიშნული მოსაზრების შესახებ შეიძლება ითქვას შემდეგი:

ბათისი დრმას რომ ნიშნავს და მასალობრივადაც ნაწილობრივ ემთხვევა ბათუმ ფუძეს, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ მეორე პირველისაგან მომდინარეობს და საკითხიც გადაწყვეტილია. აქ შეიძლება მირეული მასალის ფონეტიურ დამთხვევასთან გვაქვს საქმე. ცნობილია ისიც, რომ ბერძნები ბათისის, ბათვას, ბატას სახელით მოიხსენებდნენ ადგილს ნოვოროსიისკონაც, მაგრამ მსგავსი ტოპონიმი იქ არ შექმნილა. ანგარიშგასაწევია ერთი გარემოებაც: ხშირად წყაროებმა ამა თუ იმ ტოპონიმის, ეთნონიმისა თუ ჰიდრონიმის ორი სახელწოდება იცის: ერთი ადგილობრივთა შერქმეული, მეორე – უცხოელთა მიერ. ამის მაგალითებია: რიონი – ფასისი, ჭოროხი – აკამფსისი, ყოროლისწყალი – ბათისი... ანალოგიურ ფაქტები ამახვილებს ყურადღებას თ. ყაუხეჩიშვილი იოსებ ფლავიოსი თხზულებაზე მსჯელობისას: იოსებ ფლავიოსი ხშირად ტომთა ორ სახელს იძლევა, „ერთს იმას, რაც მათ ეთნარქოსის მიხედვით

ერქვათ და მეორეს იმას, რაც იმავე ტომს ელინებმა დაარქვეს: **გომარები** – **გალატები**, **მაგოგები** – **სკიოთები**, **მაღები** – **მედები**. ტომთა მეორე ჯგუფი, რომელშიც **თეობელები** და **მესხები** შედიან, ასევე ორ-ორი სახელით არის მოხსენებული...” [თ. ყაუხებიშვილი, 1983: 49]. ბუნებრივია, დაგვებადოს კითხვა: **ბათუმთან** მიმართებაშიც ხომ იმავე მოვლენასთან არ გვაქვს საქმე? **ბათისიშათვა** - ბერძნული და **ბათუმიშათომი** - ქართული? მეორეცაა და, **ბათისიდან** დასაშვებია **ბათუმის** მიღება? (**ს:მ** მონაცემება ქართველურ ენებში დასაშვები არ არის).

II. პირველად სიმონ ყაუხებიშვილმა სცადა **ბათუმის** მნიშვნელობა ქართველურ ენათა მონაცემებით აქსნა. მკვლევარმა მასში გამოყო - **უმ** მაწარმოებელი და **ბათ** ძირული მასალა, ეს უკანასკნელი კი დაუკავშირა სვანურ ბაზ (ქვა, კლდე) ფუძეს [ს. ყაუხებიშვილი, 1965: 60]. ეს ვარაუდი არ გაიზიარა ს. ჯანაშიამ [ს. ჯანაშია, 1949: 31-32]. მომდევნო პერიოდში ს. ყაუხებიშვილი კიდევ ერთხელ შეეხო საკითხს და გამოთქვა მოსაზრება, რომ **ბათისიშათა** ფუძე ქართულია, მაგრამ ბერძნულად გააზრებული, როგორც „**ბათუს**“ - ღრმა [ს. ყაუხებიშვილი, 1951: 22]. ამავე თვალსაზრისს იზიარებენ ჯემალ ჩხეიძე [ჯ. ჩხეიძე, 1959: 17] და ასლან ინაიშვილი [ა. ინაიშვილი, 1976: 77-86].

პრობლემასთან დაკავშირებით საინტერესო დაკვირვება აქვთ ამირან კახიძესა და დავით ხახუტაშვილს: „ს. ყაუხებიშვილის მიხედვით, **ბათუმი** ძველადვე არსებობდა და სახელიც იგივე ჰქონდა. ბერძნებს ადგილობრივი სახელი ბერძნულად გაუაზრებიათ და მიუღიათ სახელი **ბათუს**, რაც ღრმას ნიშნავს. მაგრამ ღრმა შეიძლება **წყალი** ყოფილიყო და ამიტომაც ეს სახელი იმ მდინარისათვის მიუწერიათ, რომელიც ქალაქის მახლობლად ჩამოდიოდა. მაგრამ **ბათუმის** მახლობლად არ იყო მდინარე, რომელიც სიღრმით გამოირჩეოდა. ბერძნებმა მდინარეს უწოდეს **ბათა** იმის გამო, რომ მას ასე ეძახდა ადგილობრივი მოსახლეობა“ [ა. კახიძე, დ. ხახუტაშვილი, 1989: 22].

დიახ, ბერძნებმა მდინარეს (შეიძლება ხეობასაც – მ.ფ.) უწოდეს **ბათა**, იმიტომ რომ მას ასე (ან ფონეტიკურად მასთან მიახლოებულ სახელს – მ.ფ.) ეძახდა ადგილობრივი მოსახლეობა. ერთი სიტყვით, მოყვანილი თვალსაზრისით, **ბათა** (უფრო **ბათუმი**) არაა ბერძნული სიტყვა, რაც მნიშვნელოვანია. ჩანს, ეს სახელი ერქვა არა მარტო მდინარეს, გარკვეულ გეოგრაფიულ პუნქტსაც.

ბათუმის ეტიმოლოგიით დაინტერესდა მაქსიმე ქალდანიც. მოვიყვანოთ მისი მსჯელობა: „შეიძლება ითქვას, რომ **ბაზ** საერთოქართველური სახელია... ამასთან **ბათ** და **ბაზ** ორივე სვანური ენის კუთვნილებას უნდა წარმოადგენდეს. მათ შორის **ბათ** ძველია, **ბაზ** გვიანდელი. მართალი ჩანს აკად. ს. ყაუხებიშვილის ის ძირითადი დებულება, რომ ბერძნული **პეტრა** ქართველური **ბათ** სიტყვის თარგმანს

წარმოადგენდა, რადგანაც ეს ბათ ან კლდეს, ან ქვას აღნიშნავდა ქართველურ ენებში” [მ. ქალდანი, 1983: 84-86].

მოყვანილი მოსაზრებიდან საყურადღებოა, რომ მოცემულია ცდა ბათუმის ქართველურ ენათა საფუძველზე ახსნისა და ისიც, რომ საანალიზო ტოპონიმში გამოიყო -უმ სუფიქსი. აქვე უნდა შევვხოთ ერთ მომენტსაც, კერძოდ: ბათბაჩ სვანურია და ქვას ან კლდეს ნიშნავს, პეტრა კი – ბათბაჩ ფუძის ბერძნული თარგმანიაო, ითქვა. აქ წინააღმდეგობაში მოვდიგართ: ერთ შემთხვევაში ბერძნებმა ქართველური ბათბაჩ (ქვა) ფუძე ბერძნულად თარგმნეს – პეტრა (პეტრა ციხეა ქობულეთთან და ლაზეთში, თურქეთის ლაზეთში), მეორე შემთხვევაში კი იგივე ბათბაჩ ფუძე ბერძნულ ბათბას (ლრმა) დაუკავშირეს და ასე უწოდეს მდინარეს თუ ხეობას. აქვე იმასაც ვიტვით, რომ თუ ბათბაჩ სვანურად ქვას, კლდეს ნიშნავს, ხოლო ბათბა თავდაპირველად მდინარეს ერქვა (ქვიანი მდინარე?-მ.ვ.), და ეს მდინარე ყოროლისწყალია აწინდელი, რომელიც ასევე ქვასთან უნდა იყოს კავშირში (ყოროლ ფუძეს უკავშირებენ ქართულ ყორეს; ყოროლისწყალი ქვიან მდინარეს, ყოროლისთავი კი – ქვის, ყორის თავს უნდა ნიშნავდეს), რატომ გახდა საჭირო ერთი და იგივე მდინარისათვის ორი ქართველური სახელი (ბათისი, ყოროლისწყალი) ეწოდებინათ? გასათვალისწინებელია, რომ ყოროლისწყალიც ისევე ძველი ჩანს, როგორც ბათუმი. საფიქრებელია, რომ ბათუმი (თავისი ვარიანტებით) თავდაპირველად არ უნდა ყოფილიყო მდინარის სახელი (ჰიდრონიმი), იგი ადგილის სახელი (ტოპონიმი) ჩანს.

III. ბათუმის შესახებ მოსაზრება აქვს გამოთქმული ი. კალფოლ-ლუს: „სახელწოდება ბათუმი არის უდავოდ თურქული გადაკეთება. ისევე როგორც თურქებმა ამისთვალის მიიღეს სამსონი, პეტაკლეასაგან – პეტაგლი, კეისარისაგან – კაისერი და ა.შ. ცნობილია, რომ თურქების მიერ ტრაპეზუნტის აღებამდე (1461) ბათუმი სოფელი იყო, რომელიც იწოდებოდა „ბათის”, ანუ „ბათი”, მაგრამ მთელი ოლქი ამ სოფლითურთ გადავიდა ქართველი ერისთავების გამგებლობაში, სოფელი ბატა იწოდა – პატომი” და განაგრძობს: „ქართული სახელწოდებიან პატომი თურქებმა შექმნეს ფორმა პატუმ... თავისი სახელწოდება კი მდინარე ბათუმი მიიღო პაგანისაგან, რომელიც იწოდებოდა „ლრმა პაგანი” (Bathus limen) ...” [კალფოგლი И.И., 1906: 40-41] (ი. კალფოლ-ლუს შრომა მოგვაწოდა პროფესორმა ნოდარ ჯანიძემ, რისთვისაც მაღლობას მოვახსენებთ მას).

შევნიშნავთ, რომ ი. კალფოლ-ლუს იუმორით იხსენებს ი. დაკიშევიჩისა და ა. ხიცუნოვის შრომებს [ა. კახიძე, დ. ხახუტაიშვილი, 1989: 15], მაგრამ არც მისი მოსაზრებაა რეალურ ფაქტებზე აგებული, იგი უფრო ავტორის ფანტაზიის ნაყოფია.

ხარისხო ახვლედიანი ბათუმის თურქული ბათთუმისაგან მომდინარედ მიიჩნევს, რაც „ჩასაფლობ, ჭაობიან ადგილს ნიშნავსო”. ბა-

თუმ'ს თურქულ „ბატიმს” (ტალახი, ჭაობი) უკავშირებს მ. სვანიძეც [მ. სვანიძე, 1999].

ბათუმის თურქულიდან მომდინარეობის ჰიპოთეზა ჯერ კიდევ 1959 წელს უარყო იური სიხარულიძემ. მისი შენიშვნით, სახელწოდება **ბათუმი** აქ თურქების გამოჩენამდეც იყო ცნობილი [ი. სიხარულიძე, 1959: 86].

ზემოთქმული რომ შევაჯამოთ, ვნახავთ, რომ ქართველოლოგიაში **ბათუმის** შესახებ გამოთქმულია შემდეგი მოსაზრებები:

1. **ბათუმი** მომდინარეობს ბერძნული **ბათეა/ბათოს** ფორმისაგან და ნიშნავს „დრმას”;

2. **ბათუმი** მომდინარეობს თურქული **ბათუმი**, **ბატიმი/საგან** და ნიშნავს ტალახს, ჭაობს, საფლობს;

3. **ბათუმი** მომდინარეობს სვანური **ბშ'ისაგან** და **ქვას, კლდეს** ნიშნავს;

4. არსებობს **ბათუმის კოლხურით** ახსნის ცდაც.

ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ **ბათუმიში** გამოიყო **ბათირეული** მასალა და **-უმ** სუფიქსი.

ბათუმი გვხდება ორი ფორმით: **ბათომი/ბათუმი**. მასში გამოიყოფა **-ომ//უმ** სუფიქსი. საქართველოს ტერიტორიაზე დასტურდება **-ომ//უმ** სუფიქსით გაფორმებული რამდენიმე საგეოგრაფიო სახელი: **ცხუმი** (პავლე ინგოროვა ადასტურებს **ცხომი** ფორმასაც [პ. ინგოროვა, 1954]), **ცხუმარი** (სვანეთი), **ცხმორი** (***ცხუმორი**. რაჭა), **ცხმორისი** (***ცხუმორისი**. აჭარა), **ცხომარეთი**(/***ცხუმარეთი**)... (რომელთა ძირეული მასალა **ცხ** უკავშირდება ფიტონიმს **რცხილა**), **ლეჩხუმი** (**ლეჩხუმი**, მასში გამოიყოფა **ჩხ** (იგივეა, რაც ქართული **ცხ** და ისიც ფიტონიმური ძირია), **ბორჯომი** (**ბორჯ-ომი**), **ლორჯომი/ლორჯუმი** (**ლორჯ-ომ-ი/ლორჯ-უმ-ი**. **ლორჯ** ფიტონიმური ძირი **ჩანს**. შდრ. ნალორჯომალი (საძოვარი გაკიჯვარში) და **ლორჯონალი** (***ლორჯომნალი** – ქედა, ნამონასტრევი). დასაშვებად მიგვაჩნია, **ლორჯის ლვარძლ'**თან დაკავშირება: **ლვარძლ>ლორძლ>ლორჯ**. **ლ'**ს ჩავარდნითა და **ძვიჯ** ბეგრაომონაცვლეობით), **კაპრეშუმი** (**კაპრეშ-უმ-ი**. უკავშირდება ფიტონიმს **კაპრაშა/კაპრეშა**), **ბეშუმი** (**ბეშ-უმ-ი**. უკავშირდება ფიტონიმს **ბეშურა** (**ბეშ-ურ-ა**)... [მ. ფადავა, 2009: 3-14]. ყველა ჩამოთვლილი გეოგრაფიული სახელის ძირეული მასალა ფიტონიმია, მცენარეთა სახელია. ჩანს, **-უმ//ომ** სუფიქსი ფიტონიმური ძირებიდან აწარმოებდა გეოგრაფიულ სახელებს. ამავე რიგისაა **ბათუმიც**.

ბათუმი/ბათომ სახელურ ფუძეშიც, როგორ აღვნიშნეთ, გამოიყოფა **-უმ//ომ** მაწარმოებელი და **ბათ** ძირი. ეს უკანასკნელი კი შეიძლება დაგუკავშირო მცენარის სახელს **ბათურა** (სახელწოდება მოგვაწოდა ბატონმა აზიზ ახვლედიანმა, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ მას). **ბათუმი/ბათომი** ის ადგილია, სადაც **ბათურა** ხარობს. სხვათა შორის, **ბათუმის** მახლობლად რამდენიმე ფიტონიმური წარმოშობის

ტოპონიმი დასტურდება: **ბარცხანა**, რაც **ჩირგვნარს, ბარცხნარს (ბარცხვანას)** ნიშნავს [გ.ელიავა 1977: 103; გ. ბედოშვილი 2002: 78], **კაპრეშუმი... ბათურას** ახსენებს თავის ბალადაში ბატონი შოთა ზოიძე:

„... მათ შორის ერთი ასული,
ჭალაში იყო წასული,
ტანსრული, თანაც წერწეტა,
მინდვრის ბალახებს ეძებდა.
კორკოტინა და მოლოკა,
ჯერ დაყნოსა და მოლოკა,
კი არ მოლოკა, აკოცა,
ფოთლებს აკოცა და როცა,
ხშირ ბალახებში ფუნთულა
თითები მოუთათუნა,
მიაგნო საქმით გართულმა,
კელაპტარა და **ბათურა**...”

ამდენად, **ბათუმი**, როგორც სხვა -უმ-ომ სუფიქსიანი გეოგრაფიული სახელები ფიტონიმური წარმოშობისაა და უკავშირდება მცენარის სახელს **ბათურა** (**ბათურა**).

და ბოლოს, ბათუმის მახლობლად, ყოროლისწყლის ხეობაში მდებარეობს ორთაბათუმი. იგი უძველესი დასახლებაა რამდენიმე სოფლით: **კაპრეშუმი**, **ჩელტა**, **სალიბაური**, **წინსვლა**, **წიქარეული**, **მასაური**, **ყოროლისთავი**, **ჭინალა**, **აგარა**... ორთაბათუმი კომპოზიტად მიაჩნიათ და ასე დაშლიან: ორთა (თურქ. – შუა) და **ბათუმი**, ნიშნავს **შუაბათუმი**. თუ ორთაბათუმის მდებარეობას გავიხსენებთ, წარმოუდგენელია მისთვის **შუა ბათუმი** ეწოდებინა ვინმეს. სადაც არ უნდა ყოფილიყო ისტორიულად **ბათუმი**, სულერთია, ორთაბათუმი მაინც მისი განაპირა სოფელი თუ დასახლება იქნებოდა და არამც და არამც **შუა**. მაში, რატომ ეწოდა სოფელს ეს სახელწოდება? **შესაძლებელია**, არცაა ორთაბათუმი თურქულ (**ორთა**) - ქართული (**ბათუმი**) ფუძეების კომპოზიციით მიღებული გეოგრაფიული სახელი და **სულაც ქართულია?**

ვინც კი **შეხებია ორთაბათუმის** ეტიმოლოგიას, ყველა მოიშველიებს ანალოგიური (გარეგნულად მაინც) ყალიბის გეოგრაფიულ სახელებს: **ორთა ჭალა** (**შუა ჭალა**), **ორთა მეჭელე** (**შუა უბანი**)... ორთაჭალა არის **შუა ჭალა**, ორთამეჭელე – **შუა უბანი**, ორთახონა **შუა ხონა**... (ხუთვერსიან რუკაზე ანალოგიური ყალიბის ოცამდე სოფელია დაფიქსირებული), მაგრამ ხომ **შეიძლება ორთაბათუმი** არ იყოს თურქულ-ქართული ფუძეების გაერთიანებით მიღებული ტოპონიმი და **სულაც ქართული სახელი იყოს – ორთა (ორის) ბათუმი?** ხომაა **შესაძლებელი** ეს სოფელი ორის კუთვნილება იყო? თუმცა საამისო რაიმე ისტორიული საბუთი არ არსებობს (ყოველ **შემთხვე-**

ვაში ჩვენთვის უცნობია). ტოპონიმი თრთაბათუმის შედგენილობა და ეტიმოლოგია, ვფიქრობთ, დამატებით კვლევას მოითხოვს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გ. ბედოშვილი, ქართულ ტოპონიმთა განმარტებით-ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბ., 2002.
2. ი. ბექირიშვილი, ნარკვევები ბათუმის ისტორიიდან, ბათ., 1982.
3. ი. ბექირიშვილი, როდის და როგორ წარმოიშვა კახაბერ-ბათუმის დაბლობი? – გაზ. „აჭარა PS“, 16-23 ივლისი, 1999.
4. ი. ბექირიშვილი, აჭარის გეოგრაფიულ სახელთა ლექსიკონი, ბათ., 2001.
5. გ. ელიავა, აბაშისა და გაგლებორის ტოპონიმია, თბ., 1977.
6. პ. ინგოროვება, გიორგი მერჩულე, თბ., 1964.
7. ა. ინაიშვილი, ბათუმის ეტიმოლოგიისათვის, აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, ტ. I, თბ., 1976.
8. ა. კახიძე, დ. ხახუბაიშვილი, მასალები ბათუმის ქველი ისტორიისათვის I, – სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, ტ. XVIII, თბ., 1989.
9. კალფოღა ი.ი., Древнейшие истории о Батуме, – сб. Известия Кавказского отделения Императорского русского географического общества, т. XVIII, вып. 1, Тб. 1906.
10. მ. სვანიძე, გაზ. „კახაბერი“, 15-31 ივლისი, 1999.
11. ი. სიხარულიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა, ნაწ. II, ბათ., 1959.
12. მ. ფადავა, -ემ/-ომ სუფიქსი ქართულ ტოპონიმებში და ზოგიერთი გეოგრაფიული სახელის ეტიმოლოგიის ცდა, – რსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის შრომები, ტ. XIII, ბათ., 2009.
13. მ. ქალდანი, კვლავ ბათუმის ეტიმოლოგიისათვის, ჟურნ. „ჭოროხი“, ბათ., 1983, №2,
14. ზ. ჭუმბურიძე, დედაქნა ქართული, თბ., 1987.
15. ჯ. ჩხეიძე, ბათუმის ისტორიისათვის, ბათ., 1959.
16. თ. ყაუხებიშვილი, ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. II, თბ., 1969.
17. თ. ყაუხებიშვილი, ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. V, თბ., 1983.
18. ს. ყაუხებიშვილი, ანტიკური მასალები ბათუმის ისტორიის შესახებ, – ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. IV, ქუთ., 1951.
19. ს. ყაუხებიშვილი, ბიზანტიური მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, – გეორგიკა, ტ. II. თბ., 1965.
20. ს. ჯანაშია, შრომები, ტ. V, თბ., 1949.

Mamia Paghava (Batumi, Georgia)

Again on the etymology of Batumi toponymy

Summary

An artick provides a critical analysis of the opinions about stem „Batum” existing in Georgian science. An attempt of relating „Batum” to Greek Batea||Bathos (deep) is negated, as well as to Svanuri Bach (stom) and Turkish Battum||Bativ (march, peat) stems. The suffixes –um//–om an „Bat” stem are singeed out in the Batum//Batom stem, on the basis of which it was estimated that toponyms are derived from vegetation stems by the suffixes –um//–om. According to the author’s viewpoint, Batum’, is a toponym derived from tho vegetation stem (related to the phytonym Batura (Bat-ur-a)).

მიხეილ ქამალაძე
(ბათუმი, საქართველო)

ბათუმის ტოპონიმია

არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით ვარაუდობენ, რომ ბათუმის ტერიტორიის გარკვეული მონაკვეთები დასახლებული უნდა ყოფილიყო ჯერ კიდევ ძვ.წ. I ათასწლეულის დასაწყისიდან. ამის ეჭვმიუბანელი მოწმობაა თამარის ციხის სახელით ცნობილი ბათუმის გორა-სამოსახლო [ინაიშვილი, ხახუტაიშვილი, 1962; ინაიშვილი, 1964; კახიძე, 1971: 25; კახიძე, ხახუტაიშვილი, 1989: 56-57], რომელიც მდებარეობს მდ. ყოროლისწყლის შესართავთან, დღევანდელი ბათუმის ჩრდილოეთით.

ლაზი ინფორმაციორის ხასან-ალა მურადოლლის გადმოცემის მიხედვით, დ.ბაქრაძე წერს, რომ წარსულში ბათუმი მდებარეობდა დიდ მოვაკებულზე, ყოროლისწყლის მარცხნივ. მკლევრის მოგზაურობის დროს ამ ადგილზე შემორჩენილი ყოფილა დიდი კედლისა და ექვსიშვიდი კელების ნაშთი [ბაქრაძე, 1987: 27].

ძველი ბათუმის მდებარეობაზე ამავე აზრის იყვნენ ი. ალფოდლუ, თ. უსაქნისკი, ს. კაგაბაძე [სიხარულიძე, 1959: 81].

უან მურიე აღნიშნავდა, რომ ბათუმი ცნობილი იყო 400 წლის წინათ ჩვენს ერამდე [უან მურიე, 1964: 22], ამ სახელწოდების სიძველეზე სხვებიც მიუთითებდნენ (ნ.დაკიშვილი, პ.ხევინოვი...) [სიხარულიძე, 1959: 79]. თუმცა არ ასახელებენ სათანადო წყაროს.

თ. ყაუხეჩიშვილის მიხედვით, პირველი წერილობითი ცნობა ბათუმის შესახებ აქვს უკვე არისტოტელეს ძვ.წ. IV საუკუნეში. შემდეგი ხანის ბერძენ-რომაელი ავტორები (პლინიუსი, არიანე, ანონიმი) მოიხსენიებენ მდინარე ბათისს [ყაუხეჩიშვილი, 1987: 109-112], რომელიც გაიგივებულია თანამედროვე მდ. ყოროლისწყალთან [ყაუხეჩიშვილი, 1950-1951: 19, ყაუხეჩიშვილი, 1987: 115; სიხარულიძე, 1959: 80-81].

შუა საუკუნეების ძეგლებში (დაახლ. XIV ს-დან) სახელწოდება “ბათუმი” არაერთხელ მოიხსენიება. “ახალი ქართლის ცხოვრებაში” გვხდება “ბათომი”, მოგვიანო ქართულ წყაროებში კი თურქულის გავლენით გვაქვს “ბათუმი” [ყაუხეჩიშვილი, 1987: 115].

ს.ყაუხეჩიშვილის ვარაუდით, ბერძნულ წყაროებში მოხსენიებული “ბათუ” მდინარეა, მის შესართავთან კი ყოფილა ამავე სახელწოდების ქალაქიც [ყაუხეჩიშვილი, 1964: 57]. მანვე ერთ-ერთმა პირველმა მიაქცია ყურადღება ბათუმის ეტიმოლოგიის საკითხს. მისი თვალსაზრისით, “ბათუმი” ისეა ნაწარმოები, როგორც ბორჯომი, წრომი, თორთომი და ა.შ. ე.ი. -ობ არის სუფიქსი და ბათ-ძირი, რომელიც უნდა უკავშირდებოდეს სვანურ სიტყვას “ბაჩ” (ქვა) [გეორგიკა, 1965:

106]. მეცნიერი ერთ-ერთ თავის ნაშრომში “პეტრას” და “ბათუმის” იგივეობაზე მსჯელობდა. კერძოდ, აღნიშნავდა, რომ პეტრა ბერძნულად ქვას, კლდეს ნიშნავს და უნდა ვიფიქროთ, რომ სიტყვაში ბათომი-ი “ბათ”-ფუძე ერთ-ერთ ქართველურ ენაში ნიშნავდა “ქვას” [ყაუხებიშვილი, 1964: 58-60]. სხვაგან კი მიუთითებდა, რომ “სახელწოდება “ბათუს” წარმოშობით ქართული სიტყვაა (ბათ-ომი), მაგრამ გააზრებულია, როგორც ბერძნული “ბათუს”, “ლრმა” [ყაუხებიშვილი, 1950-1951: 23].

მ. ქალდანის აზრითაც “ბათ” ძირს კავშირი უნდა პქონდეს სვანურ “ბაჩ”-თან, ორივე სვანური ენის კუთხით განვითარდა; “ბათ” ძველია, “ბაჩ” – გვიანდელი, ბერძნული პეტრა ქართველური ბათ სიტყვის თარგმანს წარმოადგენს, რადგან ბათ ან კლდეს, ან ქვას აღნიშნავდა ქართველურ ენებში [ქალდანი, 1983: 85].

“ბათ” ძირის სვანურ “ბაჩ”-თან დაკავშირებას მხარს უჭერენ, აგრეთვე, ა. ინაიშვილი [ინაიშვილი, 1976: 73-86] და თ. მიბჩუანი [მიბჩუანი, 1989: 240]. ი.სიხარულიძე კი თვლის, რომ ამ ძირების დაკავშირებას დაბრკოლებას უქმნის სვანურ-ქართული ენების ბგერათშესატყვისობის კანონზომიერება [სიხარულიძე, 1959: 87].

თ.ყაუხებიშვილი აღნიშნავს, რომ “ტოპონიმი “ბათუმი” უეჭველად ქართულიდანაა ნაწარმოები. ძირია “ბათ”, ხოლო “ომ” სუფიქსია. ქართულში გვაქვს ამ წარმოების ტოპონიმები: დიდომი, ბორჯომი, ღორჯომი, თორთომი, ღრომი, წრომი. ყველა ამ ძირის (დიდ. ბორჯ. ღრ. წრ.) ეტიმოლოგია გაურკვეველია. იგივე უნდა ითქვას “ბათ”-ის შესახებაც... სპეციალისტები “ბათ” ძირს უკავშირებენ სვანურ “ბაჩ”-ს (ქვას), მაგრამ ლინგვისტური ანალიზი ამის შესაძლებლობას არ უნდა იძლეოდეს”... [ყაუხებიშვილი, 1987: 115-116].

რ. გორდეზიანი აღნიშნავს, რომ “-ამ/ -მ ქართული სუფიქსი, რომელიც საერთო ქართველურ დონემდე აღდგება (მეგრ-ჭან. -უმ/ -იმ; სვან. - -ემ), არის თავისი წარმოშობით თემატიური ზმნური სუფიქსი, რომელიც საკმაოდ ფართოდ გამოიყენება ქართულ სიტყვაწარმოებაში. ვფიქრობთ, ამ სუფიქსალური ელემენტის ვარიაციასთან გვაქვს საქმე ქართველურ ტოპონიმებში -ამ დაბოლოვებით: თეზ-ამ-ი, ბოჟ-ამ-ი, ლაღ-ამ-ი, ხარჯ-ამ-ი და სხვ. ამავე სუფიქსის ვარიანტებს ვადასტურებთ ტოპონიმებში: ბორჯ-ომ-ი, ბათ-უმ-ი...” [გორდეზიანი, 1985: 111].

საყურადღებოა, რომ იქცონიას ლექსიკონის მიხედვით, “ბათომი” ჭანურად ჭაობიან ადგილს, მიწას ნიშნავს [ჭყონია, 1910: 5]. ამასთან “ბათ” ძირი არაა უცხო ქართველური გვარებისა თუ საკუთარი სახელებისათვისაც. მაგ., ბათი, ბათა, ბათია, ბათია... [ღლონტი, 1986: 80], ბათაძე, ბათიაშვილი...

ამრიგად, “ბათუმის” ეტიმოლოგიასთან დაკავშირებით ნათელია მხოლოდ ის, რომ სახელწოდება ქართული აგებულებისა და უძველე-

სი წარმომავლობისაა. უცნობია “ბათ” ძირის მნიშვნელობა, დაუდგენელია -ომ სუფიქსის ფუნქცია.

ბათუმის შესახებ წერილობითი წყაროები საქმაოდ მოგვეპოვება, მაგრამ ქალაქის უბნებისა და მიმდებარე ტერიტორიების შესახებ ასეთი წყაროები იშვიათია და მეტწილად ახალი პერიოდისაა.

ბათუმი არაერთ მკვლევარ-მოგზაურს აქვს აღწერილი. XVIII საუკუნეში ვახუშტი ბათუმის შესახებ წერს: “ზღვს შესართავზედ და ჭოროხის ჩრდილოთ კიდურზედ არს ბათომი, მცირე ქალაქი და ციხე კარგი, აწ უპყრავთ ოსმალთა” [ბატონიშვილი ვახუშტი, 1973: 792]. 1807 წელს ბათუმი აღწერა ადრიან დიუპერემ. მისი აღწერით მაშინ აქ 2000-მდე მცხოვრები ყოფილა (გაფანტული სახლებით) და უფრო დიდ სოფელს ჰგავდა, ვიდრე ქალაქს. არავითარი სიმაგრე არ იცავდა მის რეიდს. ქვის საძირკველზე აგებული ერთადერთი ხის კოშკი, თხრილშემოვლებული და უქვემებო, აღმართულიყო ბაზრის შესასვლელთან [ბაქრაძე, 1987: 23].

ბათუმის ძველი ტოპონიმია არავის არა აქვს აღწერილი. ოგვე-პოვება მხოლოდ გვიანდელი, კერძოდ, ოსმალების ბატონობის პერიოდის აღწერის მასალები. ამ მასალებში მოხსენიებულია ქალაქის უბნებისა თუ გარეუბნების სახელები, რომლებიც ძირთადად არაა ქართული წარმომავლობის.

ოსმალების ბატონობის ხანაში და შემდგომშიც აჭარაში, განსაკუთრებით მის ზღვისპირა ზოლში (რა თქმა უნდა, ბათუმში), სხვადასხვა წარმომავლობის ხალხი მოსულა და დასახლებულა. ეს ვითარება ტოპონიმიაშიც კარგად არის ასახული. კერძოდ, ამჟამად ზღვისპირა აჭარაში გვხვდება გეოგრაფიული სახელები: “ქურთლუ-დი”, “ნაქურთვალი” (ქურთების ნაცხოვრები ადგილები), “ხემშილუ-დი” (მაპმადიანი სომხების ნაცხოვრები ადგილი), ბერძნულია “ნეო-ხორ”, “ლიფორლუხ” და ა.შ. XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან კი ინტენსიურად იწყება რუსი კოლონისტების დასახლება. რის შედეგადაც აჭარის ზღვისპირა ზოლში გაჩნდა სახელწოდებები: კაგანოვი, რიბკოვის ბაღი, ილიხოვი, სინიცინი, კალანცოვი, გუბანოვი, კარენინი, გურგოვი, ბულგარსკი, ბიკოვი და ა.შ. ეს რუსი კოლონისტების გვარებია, რომლებიც მამულებს ფლობდნენ ამ მხარეში. ამჟამად მათი გვარების მიხედვით იწოდება ეს ადგილები.

ოსმალების ბატონობის პერიოდში ბათუმის მოსახლეობა არ იყო მრავალრიცხოვანი. მხოლოდ შემოერთების (1878 წლიდან) შემდეგ დაიწყო მისი სწრაფი ზრდა.

ბათუმის საქალაქო მეურნეობის განვითარების შესახებ შედგენილ თავის ნარკვევში ი.მესხი ქალაქის შემდეგ უბნებს ასახელებს: მთავარი ქუჩა – პირველი სანაპირო მაშინ იწოდებოდა “ალი-კიისი”, პარალელურად მას მიჰყვებოდა ქუჩები და შესახვევები: “ჯამი-არასი” (მეჩეთის შესახევი), “ჩიხმას-სოხახი”, “ამამ-სოხახი” (აბანოს შესახევი), “აჭარის-სოხახი” (თურქული ბაზრიდან მიმავალი ქუჩა,

რომლის სახელი მაშინ იყო “მეზერლუხ-ბაში”), იმდროინდელი სვია-ტოპოლგ-მირსკაიას ქუჩა იწოდებოდა ”აზიზიე-სოხახაძ”, ნავმისად-გომთან მიმავალი ქუჩა – “ბურუნ-ბაში-სოხახი”, მიხაილოვსკაიას ქუჩას – “ტელეგრაფ-სოხახი”, ბერძნების ქუჩას – “ურუმ-სოხახი”, “ნურიე-სოხახაძ” იწოდებოდა ნურიესთან მიმავალი ქუჩა. ქალაქის მაშინდელი ნაწილები იწოდებოდა: პირველი პოლიციის განყოფი-ლება – “აზიზიე-მეხელესე”; მეორე პოლიციის განყოფილება – “ახმედ-ფაშა-მეხელესე”; იმდროინდელი მესამე პოლიციის განყოფილება – “მუფთიე-მეხელესე” და “ნურიე-მეხელესე”, აფხაზთა გარეუბანი – IV პოლიციის განყოფილება და სარი-სუ – იმდროინდელი საქარხნო ნაწილი [Месхи, 1906: 463]. აქ შეცდომითაა “მეხელესე”, უნდა იყოს “მეტელე”.

ჩამოთვლილი სახელების გარდა ხ.ახვლედიანი თავის ნარკვევში ასახელებს, აგრეთვე “აბაზა-მეტელესი” და “სარი-სუ-მეტელესი” [ახვლედიანი, 1944: 174].

ოსმალური რეჯიმის პერიოდში ბათუმს მცირე ტერიტორია ეჭირა. ამჟამინდელი ჭავჭავაძის ქუჩის იქეთა მხარე მთლიანად ჭაობი იყო. მჭიდრო დასახლება არც “ნურიე-გელის” უბანში იყო.

ქ. ბათუმის ტერიტორიაზე არსებული ტოპონიმები:

ბათუმის ტბა. ოურქეთის ბატონობის პერიოდში ამ ადგილებს (ტბის მიმდებარე ტერიტორიებს) ეწოდებოდა ნურიე (უბანი, ტბა და ბაზარი). იგი ცნობილი იყო ორი სახელით: “ნურიე” და “ნურიე გელ”. ეძახდნენ, აგრეთვე გოლბაშს. გოლბაში – “ტბების მეთაური”, მეთაური თუ მთავარი ტბა; ბათუმში სხვა ტბებიცაა და მათ შორის ესაა მთავარი ტბა. საბჭოთა პერიოდში ტბის გარშემო პიონერთა პარკი გაშენდა და ამ ტბასაც პიონერთა პარკის ტბას ეძახდნენ. ამჟამად ბათუმის ტბას უწოდებენ.

ლეგენდის მიხედვით, ბათუმის ტბაში დამხრჩალა ბავშვი. ბავშვის სახელი ყოფილა ნური. ე.ი. ოურქ. “ნური-გელ” ქართულად ნიშნავს “ნურის ტბა” [ალასანია, 1958: 219]. შენიშნულია, რომ “ნური-გელ” ნიშნავს “ნური მოდი”, “ნურის ტბა” ოურქულად უნდა იყოს “ნური-გოლ” [სიხარულიძე, 1959: 87-88].

ასევე შენიშნულია, რომ ოურქული რეჯიმის პერიოდში ბევრი ქართული ტოპონიმი შეიცვალა, ან თურქულად იქნა გაგებული. ასე უნდა იყოს “ნურიეც”. ეს სახელი ქართული წარმოშობისაა და “ნურიე” კი არა “ნორიო” უნდა იყოს [სიხარულიძე, 1959: 88-89].

ჭაობა//ჭაობა – ბათუმის ერთ-ერთი უბნის ადრინდელი სახელია. ამჟამინდელი ჭავჭავაძის ქუჩის იქეთა მხარე ურეხამდე ჭაობს ეჭირა და სახელიც ამის მიხედვით ერქვა.

ბონი – ქ. ბათუმის ერთ-ერთი უბანია. მისი სრული სახელწოდე-ბაა “ბატუმსკოე ნეფტსნაბა”. შემდეგ ეწოდა “ბატუმსკოე ტოვარნო-

ტრანსპორტით უპრავლენიე ნეფტესნაბსბიტა”. ამ უბანს მოსახლეობა ამჟამად მხოლოდ ბონის სახელით იცნობს.

გარაფოკი//გოროდოკი – ქალაქის ერთ-ერთი მსხვილი უბანია. სამხედრო დასახლება იყო. რევოლუციამდე ერქვა “სლობოდა-ხოლოდნაია”.

ბარცხანა – ქალაქის უბანი. სახელწოდების ამოსავალი უნდა იყოს მცენარის სახელი ბარცხი: ბარცხანა<ბარცხვანა<ბარცხოვანა.

ბენზე – შემოკლებული ფორმაა რუსული სიტყვებისა “ბატუმსკოე ნეფტეპერერაბატივაიუშჩი ზავოდ”. ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა ამჟამად აღარაა, მაგრამ სახელი დარჩა.

თამარა – მდებარეობს მდ. ყოროლისწყლის შესართავთან. დინარის მარცხენა მხარეს შემაღლებულ ბორცვს ეწოდება თამარა. გადმოცემით, აქ ციხე აუგია თამარ მეფეს, სწორედ ეს ტერიტორია მიიჩნევა ქ. ბათუმის თავდაპირველ ადგილად.

სტეფანოვკა – ადრე სოფელი იყო. თავის დროზე რუსეთის ხელისუფლებამ აქ აფხაზები დასახლდა. ამ უბანს სახელი პქვია ბათუმის ოკრუგის იმდროინდელი უფროსის გვარის (სტეფანოვი) მიხედვით. ქველი სახელი ყოფილა “დედა-ბერა” [ჭიჭინაძე, 1913: 188].

ორმანთალა – თურქელია და ნიშნავს “ტყის ყანა”. ამჟამად ქალაქის მიმდებარე ტერიტორიაა, ქვედა ანგისაშია, ნაწილი უკვე ქალაქშია მოქცეული.

აბაარა – ქვედა ანგისაშია. აბაარა აფხაზურია და დამპალს ნიშნავს. არის აარცტი “გამოლმა” და ნრცტი “გაღმა” აბაარა. მისი ნაწილი უკვე ქალაქშია მოქცეული.

უილინგის არხი//უილინის არხი – ამჟამად ეს არხი ქალაქსა და სოფ. ანგისას შორის გადის და უერთდება ზღვას. ახლახან მოხდა მისი რეკონსტრუქცია. არხი ვინმე უილინის პროექტითაა გაკეთებული და სახელიც ამის მიხედვით პქვია.

სინექ მეჭელე – თურქ. “ბუზის უბანი”. ქალაქის მიმდებარე ადგილია ანგისაში.

სოუჭ-ხუ – თურქ. “ცივი წეარო”. ამჟამად აქ სასაფლაოა.

არდაგანი – ქალაქის ერთ-ერთი უბნის სახელია. აქ არტაანიდან გადმოყვანილი რუსული ჯარი განთავსდა და ამიტომაც უწიდეს არდაგანი.

სტრელბიშა//სასროლეთი – ქალაქის უბანია. ეს სახელიც რუსულ სამხედრო ნაწილთანაა დაკავშირებული.

აღნიშნული სახელები მეტწილად უმართებულოდაა დამკვიდრებული. თანაც მათი უმეტესობა ქართული წარმომავლობის არაა. სამწუხაროდ, ეს პროცესი დღესაც გრძელდება. კერძოდ, მექანიკურად ფეხს იკიდებს ისეთი სახელები, როგორიცაა: წრიული//ქალცავო, ხოფა (ჭანური სოფელი ხოფა ამჟამად თურქეთის საზღვრებშია. ბოლო პერიოდში იქ ჩადიოდნენ აქაურები და ვაჭრობდნენ, შემდეგ ბათუმში გაიხსნა სავაჭრო ცენტრი, რომელსაც ანალოგით შეარქვა

ხალხმა ხოფა); სატრანსპორტო საშუალებებზეც გაჩნდა წარწერები: “ავტოსადგური – ხოფა”, “ბაზარი – ხოფა”... ყოველივე ეს საჭიროებს უკრადღებას. შეიძლება რეკომენდაციებიც გაკთდეს. შეინიშნება ისეთი ტენდენციაც, როცა ძველ სახელს ახალი, უფრო მართებული სახელი ენაცვლება. მაგ., ქალაქის ერთ-ერთ უბანს ინასარიძის ქუჩის სახელის მიხედვით ინასარიძის დასახლებას ეძახია; ლეონიძის ქუჩის მიხედვით – ლეონიძის დასახლებას და ა.შ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ა.ინაიშვილი, დ.ხახუტაიშვილი. ქართული მატერიალური კულტურის საყურადღებო ძეგლები. გაზ. „საბჭოთა აჭარა“, 2.VIII, 1962.
2. ა.ინაიშვილი, ბათუმის ძველი ისტორიის საკითხისათვის ახალი არქეოლოგიური გათხრების შუქჩე, – საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის სამეცნიერო–კვლევითი ინსტიტუტის მესამე სამეცნიერო სესიის თემისები, 1964.
3. ა.კახიძე, საქართველოს შავიზდვისპირეთის ანტიკური ხანის ქალაქები, თბ., 1971.
4. ა.აბაძე, დ.ხახუტაიშვილი, მასალები ბათუმის ძველი ისტორიისათვის, – სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, XVIII, თბ., 1989.
5. ი.სიხარულიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა, II, ბათ., 1959.
6. დ.ბაქრაძე, არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, ბათ., 1987.
7. ჟან მურიე, ბათუმი და ჭოროხის აუზი (ფრანგულიდან თარგმნა იზა ლორთქიფანიძემ), ბათ., 1962
8. თ.ყაუხებიშვილი, ანტიკური წყაროები ქართუმის ისტორიისათვის, – სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, XVI, თბ., 1987.
9. ს.ყაუხებიშვილი, ანტიკური მასალები ბათუმის ისტორიისათვის, – ალწულუქიძის სახ. ქუთაისის პედინსტიტუტის შრომები, ტ.X, ქუთ., 1950-1951.
10. ს.ყაუხებიშვილი, რას გვიამბობენ ძველი ბერძნები საქართველოს შესახებ, თბ., 1964.
11. მ.ქალაძე, კვლავ ბათუმის ეტიმოლოგიისათვის, – ჟურნ. „ჭოროხი“, № 2, 1983.
12. ა.ინაიშვილი, ბათუმის ეტიმოლოგიისათვის, – “აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა”, I, თბ., 1976.
13. თ.ემურაზ მიბრუანი, დასავლეთ საქართველოს ქართველ მთიელთა კონგრენების, განსახლებისა და კულტურის ისტორიიდან, თბ., 1989.
14. რ.გორდეზიანი, წინაპერნული და ქართველური, თბ., 1985.
15. ი. ჭყონა, სიტყვის კონა, 1910.
16. ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, – ქართლის ცხოვრება, ტ. IV (ტექსტი დადგენილი ყველა მირითადი ხელნაწერის მიხედვით ს.ყაუხებიშვილის მიერ), თბ., 1973.
17. Очерк развития Батумского городского хозяйства, Составил И.С. Месхи, - Батумъ и его окрестности, Бат., 1906.
18. ხ.ახლევიანი, ნარკვევი აჭარის ისტორიიდან, ბათ., 1944.

19. ქადაგისანია. აჭარის ასხრ დახავლეთი ნაწილის ლანდშაფტები.-რუს-თაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები. ტ. VI, ბათ., 1958.

20. ზ.ჭიჭინაძე, მუსულმან ქართველობა და მათი სოფლები საქართვენ-ლოში, თბ., 1913.

Mikheil Kamadadze (Batumi, Georgia)

Toponymy of Batumi

Summary

There are enough ancient writing sources about Batumi, but information about certain districts of the town is of a new period. There we meet the names of Batumi districts, which are of foreign origin.

დემოგრაფია DEMOGRAPHY

**თამაზ ფუტკარაძე (ბათუმი, საქართველო)
გაბრიელა ბელოვა (ბლაგოვეგრიალი, ბულგარეთი)**

დემოგრაფიული მდგრადარიცხვა ქალაქ ბათუმში 2002 წლის აღწერის მიხედვით

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოში განვითარებულმა პროცესებმა (ეკონომიკური კრიზისი, ეთნიკური კონფიქტები) განაპირობა ცხოვრების დონის მკვეთრი დაცემა, გაიზარდა უმუშევრობა, გაჩნდა ლტოლვილთა დიდი რაოდენობა, სამუშაოს საძებნელად უცხოეთში წავიდა უამრავი ადამიანი. ყოველივე ამან განაპირობა მოსახლეობის სოციალური სტრუქტურის, ეთნიკური შემადგენლობის და სხვა პარამეტრების ცვლილებები. ამიტომ დღის წერიგში დადგა ახალი აღწერის ჩატარების აუცილებლობის საკითხი. 2001 წ. „საყოველთაო აღწერის შესახებ“ მიღებული კანონის საფუძველზე 2002 წ. იანვარში საქართველოში ჩატარდა პირველი საყოველთაო აღწერა, რამაც შესაძლებელი გახადა შექმნილიყო დემოგრაფიული და სოციალურონომიკური ხასიათის ფართო საინფორმაციო ბაზა.

2002 წ. აღწერის მიხედვით საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა 1989 წელთან შედარებით შემცირდა 857,6 ათასი კაცით [საქართველოს მოსახლეობის..., 2003: 52]. ცვლილებები შეეხო აჭარასაც. რეგიონში მოსახლეობის რაოდენობა 1989 წელთან შედარებით შემცირდა 392707-დან 376016-მდე [საქართველოს მოსახლეობის..., 2003: 52]. მოსახლეობის კლება განპირობებული იყო მიგრაციული პროცესების გააქტიურებით, მოკვდაობის ზრდით, შობადობის შემცირებით და ა. შ. აჭარაში კლება ძირითადად შეეხო ქალაქის მოსახლეობას და წინა აღწერასთან შედარებით შემცირდა 181768-დან 166827-მდე, სოფლის მოსახლეობის რაოდენობა კი უმნიშვნელოდ შეიცვალა (210939-დან 209004-მდე) [საქართველოს მოსახლეობის..., 2003: 55]. ბათუმში მოსახლეობა შემცირდა 14803 კაცით (136609-დან 121806 კაცამდე) [საქართველოს მოსახლეობის..., 2003: 66].

შეიცვალა სქესთა ონაფარდობაც. ოუ 1989 წ. მონაცემებით, 204438 ქალზე მოდიოდა 188269 მამაკაცი, 2002 წ. მონაცემებით 194887 ქალზე მოდის 180944 მამაკაცი [საქართველოს მოსახლეობის..., 2003: 55], სრულიად საქართველოში ყოველ 1000 კაცზე 1120 ქალი მოდის, მაშინ როცა ქ. ბათუმში სხვაობა უფრო მაღალია და შეადგენს 1168 ერთეულს [საქართველოს მოსახლეობის..., 2003: 66]. ყოველივე ამან ხელი შეუწყო ქართველი ქალების არაქართველ მამაკაცებზე გათ-

ხოვების ზრდის ტენდენციის დამკვიდრებას. არის ტრეფიკინგის ცალკეული შემთხვევებიც.

საგრძნობლად შემცირდა სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა. იმატა სიკვდილიანობის მაჩვენებლებმა ახალგაზრდა ასაკის მოსახლეობაში. ბოლო აღწერის მონაცემებით, ბათუმში 100 და მეტი წლის მხოლოდ ორი ადამიანი ცხოვრობს (მთლიანად აჭარაში 99, მათგან ქვედის რაიონში 15, შუახევში – 23, ხულოში – 22, ხელვაჩაურში – 20, ქობულეთში – 31) [საქართველოს მოსახლეობის..., 2003: 104].

ცვლილებები შეეხო მოსახლეობის ეროვნულ შემადგენლობასაც. ცნობილი მიზეზების გამო არაქართული მოსახლეობის ნაწილი (ბერძნები, რუსები, ებრაელები...) ნებაყოფლობით დაუბრუნდა თავის ისტორიულ სამშობლოს. ბოლო აღწერის მიხედვით აჭარის მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა შემდეგნაირად წარმოგვიდგება:

აჭარის მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა (2002 წ. აღწერის მიხედვით):

	სულ	ქართველი	აფხაზი	სომები	რუსი	აზერბა-ჟერმენი	უკრაინელი	ქარაი-ბელი	ქართველი
აჭარის ა. რ.	376016	351132	1558	208	8848	9073	542	2168	1056
ქ. ბათუმი	121806	104313	800	142	7517	6300	301	587	770
ქვედის რ-ნი	20024	19908	15	2	8	26	7	-	3
ქობულეთის რ-ნი	88063	83367	50	36	958	1642	79	1487	176
შუახევის რ-ნი	21850	21796	25	5	5	14	1	1	2
ხელვაჩაურის რ-ნი	90843	88321	645	19	355	1029	-	91	103
ხულოს რ-ნი	33430	33377	23	4	5	12	3	2	2

2002 წლის აღწერის მასალებში პირველად გამოვლინდა მოსახლეობის კონფესიური შემადგენლობა. აღწერის მიხედვით, აჭარაში ცხოვრობს 240552 მართლმადიდებელი, 683 კათოლიკე, 3162 გრიგორიანელი, 161 იუდაელი, 115161 მუსულმანი [საქართველოს მოსახლეობის..., 2003: 133].

მკვეთრად დაეცა შობადობისა და, შესაბამისად, ბუნებრივი მატების მაჩვენებლები. ბოლო აღწერის მონაცემებით აჭარაში 15 წლისა და უფროსი ასაკის 151 176 ქალიდან ბავშვი არ ჰყავდა 7098-ს, ერთშვილიანი იყო 20227, ორშვილიანი – 42981, სამშვილიანი – 25326 და ა. შ. 10 და მეტი ბავშვის დედა მხოლოდ 501 ქალი [საქართველოს მოსახლეობის..., 2003: 153], მაშინ როცა წინა აღწერების პერიოდში მაღალმთიან რეგიონებში, განსაკუთრებით ხულოს რაიონში თითქმის ყოველი მესამე-მეოთხე ქალი მრავალშვილიანი იყო.

შობადობის შემცირებაზე, სხვა ფაქტორებთან ერთად, გავლენას ახდენს დაუქორწინებელთა, დაქვრივებულთა, განქორწინებულთა რაოდენობრივი ზრდის ტენდენცია. აღწერის შედეგად გაირკვა, რომ

აჭარაში 15 წლისა და უფროსი ასაკის ქალთაგან არასდროს უოფილა ქორწინებაში 75065, დაქვრივდა 25643, ხოლო განქორწინდა 7012 ქალი. განქორწინებათა რაოდენობა შედარებით მცირება მაღალმოიან რაიონებში, ხოლო მაღალი მაჩვენებლებით გამოირჩევა ქალაქები და საქალაქო ტიპის დასახლებები [საქართველოს მოსახლეობის..., 2003: 142]. ქ. ბათუმში არასოდეს ყოფილა ქორწინებაში 12897, დაქვრივებულია 7933, განქორწინებულია 3165 ქალი [საქართველოს მოსახლეობის..., 2003: 142]. თანდათან მკვიდრდება ერთშვილიანობის ტენდენცია. შვილის სქესის დაღვენის თანამედროვე საშუალებები ხელს უწყობს ოჯახის დაგეგმარებას, ერთშვილიანობის მაჩვენებლების ზრდას. ცნობილია, რომ ქართულ ოჯახში ვაჟის გაჩენას ზოგადად უფრო მეტ უპირატესობას ანიჭებენ. ჯერჯერობით ქალთა რაოდენობა სჭარბობს მამაკაცებისას, მაგრამ პერსექტივაში იგი შესაძლოა სქესობრივი დისპროპორციის ერთ-ერთ განმაპირობებელ ფაქტორადაც მოგვევლინოს.

საინტერესო სტატისტიკაა მშობლიური ენად ქართული ენის აღიარების თვალსაზრისითაც. აჭარის საქალაქო დასახლებებში 166398 ადამიანიდან საკუთარი ეროვნების ენას მშობლიურ ენად თვლის 163861 კაცი. არაქართველთაგან ქართული ენა მშობლიურად მიაჩნია 427-ს, აზერბაიჯანული 1-ს, რუსული 2075-ს, სომხური 1-ს, არავინ მიიჩნევს აფხაზურსა და ოსურს მშობლიურ ენად [საქართველოს მოსახლეობის..., 2003: 117], რაც ბადებს ეჭვს აღნიშნული სტატისტიკური მონაცემების რეალობაში. უჟღველია, რომ ეს ტრანსფორმაცია 1990-წი წლების შემდგომ პერიოდში მიმდინარე მოვლენებით განპირობებულ ფსიქოლოგიური ფაქტორებით არის განპირობებული.

უახლესი სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, 30 წლამდე ასაკის ასეულათასობით ახალგაზრდას არსად არასოდეს არ უმუშავია. ასეა აჭარაშიც. ასეთი ადამიანები ინდიფერენტული, პასიური, საზოგადოების მიმართ აგრესიული ხდებიან. უმუშევრობა დამანგრევლად მოქმედებს ადამიანის ფსიქიკაზე. ამას ემატება დაძაბული ცხოვრების რიტმი, განათლების დონე, ოჯაზური ფასეულობებისადმი ინტერესის შესუსტება (რაშიც დიდია მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წვლილი), ბოლოდროინდელი ომების დემოგრაფიული შედეგები და სხვა ფაქტორები, რაც თავისთავად უარყოფითად აისახება ბუნებრივი მატების მაჩვენებლებზე. ბოლო ათწლეულის განმავლობაში სრულიად საქართველოში მატება 10-15 ათასი კაცია.

ბუნებრივი მატების მაჩვენებლების ასეთი შემცირება არ ყოფილა მეორე მსოფლიო ომის დროსაც კი. მაშინ თითქმის ყოველი მესამე კაცი ფრონტზე გაიწვიეს, მაგრამ შობადობისა და მოკვდაობის სხვაობა დადებითი სალდოთი იყო წარმოდგენილი და 150 ათას კაცს შეადგენდა. მოსახლეობის ასე ერთბაშად შემცირება ჩვენი ისტორიის მანძილზე არასოდეს მომხდარა. ლეკიანობამ, ადამიანებით გაჭრობამ, გამუდმებულმა ომიანობამ წელში გატეხა ქვეყანა, მაგრამ

დღევანდველისაგან განსხვავებით, მაშინ დემოგრაფიული ცნობიერება არ დამსხვრეულა.

ქვეყანაში არსებული დემოგრაფიული სიტუაცია უდავოდ იძლევა განგაშის საფუძველს. საქართველოში იწყება „მყოფობიდან არმყოფობისაკენ მიღრება სხეულთა”, რასაც მეცნიერული ტერმინოლოგით დეპოპულაცია, ანუ გადაშენება ჰქვია. პროგნოზი მეტად დამაფიქრებელია. შობადობის ამაღლება თითოეულ დაბადებულ ბავშვზე სოციალური დახმარების გაწევის შემთხვევაშიც ადარ მოხდება, ხოლო დახმარების გაწევის გარეშე შედეგი კიდევ უფრო კატასტროფული იქნება. მალე ქვეყანაში მოსალონჩელია შრომითი რესურსების დეფიციტი, რასაც შედეგად მოყვება მეტად საშიში, არასასურველი იმიგრაციული პროცესები. ეს კი კიდევ უფრო გაამძაფრებს დემოგრაფიული კატასტროფის საშიშროებას.

საქართველოს მოსახლეობა დგას რეალური დემოგრაფიული კრიზისის, მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერების საფრთხის წინაშე. დემოგრაფების პროგნოზით შობადობის შემცირება პიკს მიაღწევს 2020 წლისათვის. არსებული დემოგრაფიული სიტუაციის შენარჩუნების შემთხვევაშიც კი გარდაუვალია დეპოპულაცია, მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერება. ამიტომაცაა საჭირო ქვეყანაში შეიქმნას დასაქმებისა და ახალდაქორწინებული ოჯახებისათვის შესაბამისი პირობები, მრავალშვილიან ოჯახებს დაუკანონდეს მუდმივი დახმარება, როგორც დამსახურებული ჯილდო. სახელმწიფომ თავის თავზე უნდა აიღოს ბავშვთა მკურნალობის ხარჯები, კიდევ უფრო გამარტივდეს შვილად აყვანის პროცედურა, შემოიღოს მნიშვნელოვანი შეღავათები ორსული და მშობიარე ქალებისათვის. აღნიშნული პრობლემები სახელმწიფოსათვის უნდა იქცეს უპირველეს პრიორიტეტად. ამ და სხვა პრობლემების გადაწყვეტისა თუ აქტიური დემოგრაფიული პოლიტიკის გატარების შემთხვევაში ჩვენ ამ პროცესის მხოლოდ შეჩრება შეგვიძლია.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს მოსახლეობის პირველი საყოველთაო აღწერის შედეგები, ტ. 1, ობ., 2003.

Tamaz Putkaradze (Batumi, Georgia)
Gabriela Belova (Blagoevgrad, Bulgaria)

**Demographical situation in Batumi according to the description
da-to-of 2002**

Summary

National composition of the population of Batumi and ethno-demographical processes according to the description da to of 2002 are discussed in the article. Also the given research analises the main reasons of the reduction of the number of the population. The basic questions of the religious and gender structures of the population are analised in the given work.

კრებულში შესული ავტორები
Authors of the Articles

წყაროთმცოდნება და ისტორიოგრაფია
Source Studies and Historiography

სიმონ გოგიტიძე (ბათუმი, საქართველო)

ისტორიის აკადემიური დოქტორი, ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის
ისტორიის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი

Simon Gogitidze (Batumi, Georgia)

Academic Doctor of History, Senior Scientific Worker, Department of History, Niko
Berdzenishvili Institute

ემზარ კახიძე (ბათუმი, საქართველო)

ისტორიის აკადემიური დოქტორი

Emzar Kakhidze (Batumi, Georgia)

Academic Doctor of History

თამაზ ბერაძე (თბილისი, საქართველო)

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის
ისტორიის და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს
თავმჯდომარე

Tamaz Beradze (Tbilisi, Georgia)

Doctor of Historical Sciences, Professor, Scientific Council Chairman, Ivane
Javakhishvili Institute of History and Ethnology

ზაზა შაშიკაძე (ბათუმი, საქართველო)

ისტორიის აკადემიური დოქტორი, შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სამეცნიერო-კვლ-
კითი ცენტრი

Zaza Shashikadze (Batumi, Georgia)

Academic Doctor of History, Scientific Research Center of Southwestern Georgia,
Shota Rustaveli State University

ნები გუმუში (რიზე, თურქეთი)

რიზეს უნივერსიტეტის პროფესორი

Nebi Gumushi (Rize,Turkey)

Professor, Rize University

გოჩა საითიძე (თბილისი, საქართველო)

ისტორიის აკადემიური დოქტორი, საქართველოს ხელნაწერთა ცენტ-
რის დეპარტამენტის უფროსი

Gocha Saitidze (Tbilisi, Georgia)

Academic Doctor of History, Head, Department of National Center of Manuscripts
of Georgia

იზა აღლაძე (თბილისი, საქართველო)

გერმანისტი, თეატრი, უფროსი მასწავლებელი

Iza Agladze (Tbilisi, Georgia)

Germanist, Senior Teacher, Tbilisi State University

გია გელაშვილი (თბილისი, საქართველო)

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა
და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყო-
ფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი

Gia Gelashvili (Tbilisi, Georgia)

Chief Scientific Worker, Department of New and Newest History, Ivane
Javakhishvili Institute of History and Ethnology

ისტორია History

ბიჭიკო დიასამიძე (ბათუმი, საქართველო)

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის
ისტორიის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ჟოთა
რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი

Bichiko Diasamidze (Batumi, Georgia)

Doctor of Historical Sciences, Chief Scientific Worker, Department of History, Niko
Berdzenishvili Institute

რევაზ უზუნაძე (ბათუმი, საქართველო)

ისტორიის აკადემიური დოქტორი

Revaz Uzunadze (Batumi, Georgia)

Academic Doctor of History

მალხაზ სიორიძე (ბათუმი, საქართველო)

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის
ისტორიის განყოფილების უფროსი

Malkhaz Sioridze (Batumi, Georgia)

Doctor of Historical Sciences, Head, Department of History, Niko Berdzenishvili
Institute

ხათუნა ქოქრაშვილი (თბილისი, საქართველო)

ისტორიის აკადემიური დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და
ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფი-
ლების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი

Khatuna Kokrashvili (Tbilisi, Georgia)

Academic Doctor of History, Chief Scientific Worker, Department of New and
Newest History, Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology

ვაჟა ჩოჩია (გორი, საქართველო)

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, გორის სახელმწიფო უნივერსიტე-
ტის სრული პროფესორი.

Vazha Chochia (Gori, Georgia)

Doctor of Historical Sciences, Full Professor, Gori State University

დოდო ჭუმბურიძე (თბილისი, საქართველო)

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესიონალი, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი

Dodo Chumburidze (Tbilisi, Georgia)

Academic Doctor of History, Professor, Chief Scientific Worker, Department of New and Newest History, Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology

ოთარ გოგოლიშვილი (ბათუმი, საქართველო)

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიონალი

Otar Gogolishvili (Batumi, Georgia)

Doctor of Historical Sciences, Associated Professor, Shota Rustaveli State University

გელა საითიძე (თბილისი, საქართველო)

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესიონალი, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი

Gela Saitidze (Tbilisi, Georgia)

Doctor of Historical Sciences, Professor, Chief Scientific Worker, Department of New and Newest History, Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology

ჯემალ კარალიძე (ბათუმი, საქართველო)

ისტორიის აკადემიური დოქტორი

Jemal Karalidze (Batumi, Georgia)

Academic Doctor of History

ოლეგ ჯიბაშვილი (ბათუმი, საქართველო)

ისტორიის აკადემიური დოქტორი, ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ისტორიის განყოფილების მეცნიერი თანამშრომელი

Oleg Jibashvili (Batumi, Georgia)

Academic Doctor of History, Scientific Worker, Department of History, Niko Berdzenishvili Institute

უჩა ოქროპირიძე (ბათუმი, საქართველო)

ისტორიის აკადემიური დოქტორი, ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ისტორიის განყოფილების უფროსი მეცნიერი-თანამშრომელი.

Ucha Okropiridze (Batumi, Georgia)

Academic doctor of History, Chief Specialist, Department of History, Niko Berdzenishvili Institute

ლელა სარალიძე (თბილისი, საქართველო)

ისტორიის აკადემიური დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი

Lela Saralidze (Tbilisi, Georgia)

Academic Doctor of History, Chief Scientific Worker, Department of New and Newest History, Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology

ნოდარ მუშკუძიანი (ქუთაისი, საქართველო)

ისტორიის აკადემიური დოქტორი, აკადი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი

Nodar Mushkudiani (Kutaisi, Georgia)

Academic Doctor of History, Full Professor, Akaki Tsereteli State University

ოთარ თურმანიძე (ბათუმი, საქართველო)

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ისტორიის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი

Otar Turmanidze (Batumi, Georgia)

Doctor of Historical Sciences, Chief Scientific Worker, Department of History, Niko Berdzenishvili Institute

არქეოლოგია Archeology

ამირან კახიძე (ბათუმი, საქართველო)

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის დირექტორი, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი

Amiran Kakhidze (Batumi, Georgia)

Doctor of Historical Sciences, Full Professor, Shota Rustaveli State University; Director, Batumi Archeological Museum

ნინო ინაიშვილი (ბათუმი, საქართველო)

ისტორიის აკადემიური დოქტორი, ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის არქეოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის განყოფილების უფროსი

Nino Inaishvili (Batumi, Georgia)

Academic Doctor of History, Head, Department of Archeology and Art History, Niko Berdzenishvili Institute

შოთა მამულაძე (ბათუმი, საქართველო)

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

Shota Mamuladze (Batumi, Georgia)

Doctor of Historical Sciences, Full Professor, Shota Rustaveli State University

რევაზ უზუნაძე (ბათუმი, საქართველო)

ისტორიის აკადემიური დოქტორი

Revaz Uzunadze (Batumi, Georgia)

Academic Doctor of History

გიორგი თავამაიშვილი

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის
არქეოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის განყოფილების უფროსი
მეცნიერო-თანამშრომელი

Giorgi Tavamaisvili (Batumi, Georgia)

Academic Doctor of History, Senior Scientific Worker, Department of Archeology
and Art History, Niko Berdzenishvili Institute

ეთნოლოგია Ethnology

ნოდარ გახიძე (ბათუმი, საქართველო)

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის
ეთნოლოგიის განყოფილების უფროსი

Nodar Gakhidze (Batumi, Georgia)

Doctor of Historical Sciences, Head, Department of Ethnology, Niko Berdzenishvili
Institute

ნაილა ჩელებაძე (ბათუმი, საქართველო)

ისტორიის აკადემიური დოქტორი, ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის
ეთნოლოგიის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი

Naila Chelebadze (Batumi, Georgia)

Academic Doctor of History, Senior Scientific Worker, Department of Ethnology,
Niko Berdzenishvili Institute

თამილა ლომთათიძე (ბათუმი, საქართველო)

ისტორიის აკადემიური დოქტორი, ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის
ეთნოლოგიის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი

Tamila Lomtadze (Batumi, Georgia)

Academic Doctor of History, Senior Scientific Worker, Department of Ethnology,
Niko Berdzenishvili Institute

ნუგზარ მგელაძე (ბათუმი, საქართველო)

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტის სრული პროფესორი

Nugzar Mgelandze (Batumi, Georgia)

Doctor of Historical Sciences, full professor, Shota Rustaveli State University

მანუჩარ ლორია (ბათუმი, საქართველო)

ისტორიის აკადემიური დოქტორი

Manuchar Ioria (Batumi, Georgia)

Academic Doctor of History

განათლება და კულტურა Education and Culture

რუსლან ბარამიძე (ბათუმი, საქართველო)

ისტორიის აკადემიური დოქტორი, ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის
დირექტორის მოადგილე

Ruslan Baramidze (Batumi, Georgia)

Academic Doctor of History, Deputy Director, Niko Berdzenishvili Institute

სერგეი რუმიანცევი (ბაქო, აზერბაიჯანი)

სოციოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, აზერბაიჯანის მეცნიერება-
თა აკადემიის ფილოსოფიის, პოლიტოლოგიისა და სოციოლოგიის
ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.

Sergey Rumyancev (Baku, Azerbaijan)

Candidate of Sociological Sciences, Senior Scientific Worker, Institute of
Philosophy, Political Science and Sociology, Azerbaijan Academy of Sciences

ცაცა ჩხარტიშვილი (თბილისი, საქართველო)

ისტორიის აკადემიური დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და
ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განვითა-
ლების მეცნიერი თანამშრომელი

Caca Chkhartishvili (Tbilisi, Georgia)

Academic Doctor of History, Scientific Worker, Department of New and Newest
History, Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology

მერაბ მეგრელიშვილი (ბათუმი, საქართველო)

ისტორიის აკადემიური დოქტორი

Merab Megrelishvili (Batumi, Georgia)

Academic Doctor of History

ერმილე მესხია (ბათუმი, საქართველო)

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ბათუმის ხელოვ-
ნების სახელმწიფო სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის
შემსრულებელი

Ermile Meskhia (Batumi, Georgia)

Doctor of Historical Sciences, Professor, Acting Rector, Batumi Art State University

ტარიელ ჭიდვარია (ქუთაისი, საქართველო)

ისტორიის აკადემიური დოქტორი, აკადი წერეთლის სახელმწიფო უნი-
ვერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

Tariel Chigvaria (Kutaisi, Georgia)

Academic Doctor of History, Associated Professor, Akaki Tsereteli State University

ეკონომიკა და ტურიზმი Economics and Tourism

ალექსანდრე თვალჭრელიძე (თბილისი, საქართველო)

ეკონომიკის საერთაშორისო ექსპერტი, სსიპ თვალჭრელიძის კავკასიის
მინერალური ნედლეულის ინსტიტუტი

Alexandre Tvalchrelidze (Tbilisi, Georgia)

International Expert on Economics, A. Tvalchrelidze Caucasian Institute of Mineral Resources

თემურ ტუნაძე (ბათუმი, საქართველო)

ისტორიის აკადემიური დოქტორი, მმები ნობელების სახელობის ბათუმის ტექნოლოგიური მუზეუმის დირექტორი

Temur Tunadze (Batumi, Georgia)

Academic Doctor of History, Director, Brothers Nobel's Batumi Technological Museum

ასლან მახაძე (ბათუმი, საქართველო)

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, საზღვაო აკადემიის სრული პროფესორი

Aslan Makhadze (Batumi, Georgia)

Academic Doctor of Economics, Full Professor, Batumi State Maritime Academy

ზეინად ელიზანი (ბათუმი, საქართველო)

ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი - კალიფორნიის სახელმწიფო უნივერსიტეტი; აჭარის ტურიზმის ასოციაციის თავმჯდომარე

Zviad Eliziani (Batumi, Georgia)

MBA, California State University; Chairman, Adjara Tourism Association

კურტ რაიცი (გერმანია, გერმანია)

ტურიზმის ექსპერტი

Kurt Heinz Reitz (Berlin, Germany)

Tourism Expert

ომარ ჟიჟავაძე (ბათუმი, საქართველო)

ეკონომიკისტი, საქართველოს ეროვნული ბანკის უფროსი სპეციალისტი

Omar Zhizhavadze (Batumi, Georgia)

Economist, Senior Specialist, National Bank of Georgia

არქიტექტურა Architecture

მაია ჭიჭილევიშვილი (ბათუმი, საქართველო)

ხელოვნებათმცოდნეობის აკადემიური დოქტორი, ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის არქეოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი

Maia Chichileishvili (Batumi, Georgia)

Academic Doctor of Art Criticism, Chief Scientific Worker, Department of Archeology and Art History, Niko Berdzenishvili Institute; Full Professor, Shota Rustaveli State University

ჯემად მიქელაძე (ბათუმი, საქართველო)

ისტორიის აკადემიური დოქტორი, ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის
ეთნოლოგიის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი

Jemal Mikeladze (Batumi, Georgia)

Academic Doctor of History, Senior Scientific Worker, Department of Ethnology,
Niko Berdzenishvili Institute

ტოპონიმიკა Toponymy

გურამ ჩაგანავა (ბათუმი, საქართველო)

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის
ეკონომიკურ და სოციალურ ურთიერთობათა კვლევის განყოფილების მეცნიერი თანამშრომელი

Guram Chaganava (Batumi, Georgia)

Doctor of Psychological Sciences, Scientific Worker, Department of Investigation of
Economic and Social Relations, Niko Berdzenishvili Institute

მამია ფალავა (ბათუმი, საქართველო)

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტის სრული პროფესორი

Mamia Paghava (Batumi, Georgia)

Doctor of Philological Sciences, Full Professor, Shota Rustaveli State University

მიხეილ ქამადაძე (ბათუმი, საქართველო)

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის
ფოლკლორისა და დიალექტოლოგიის განყოფილების უფროსი

Mikheil Kamadadze (Batumi, Georgia)

Doctor of Philological Sciences, Head, Department of Linguistics and Folklore,
Niko Berdzenishvili Institute

დემოგრაფია Demography

თამაზ ფუტკარაძე (ბათუმი, საქართველო)

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, აჭარის საარქივო დეპარტამენტის
დირექტორის მოადგილე

Tamaz Putkaradze (Batumi, Georgia)

Doctor of Historical Sciences, Deputy Director, Adjara Records Department

გაბრიელა ბელოვა (ბლაგოევგრადი, ბულგარეთი)

ბლაგოევგრადის “ნეოფიტ რილსკის” უნივერსიტეტის პროფესორი

Gabriela Belova (Blagoevgrad, Bulgaria)

Professor, South-West University “Neofit Rilski”, Faculty of Humanities

სარჩევი Contents

შესავალი	3
წყაროთმცოდნეობა და ისტორიოგრაფია	
Source Studies and Historiography	
სიმონ გოგიტიძე, ემზარ კახიძე	
ბათუმი ანტიკური ხანის წერილობით წყაროებში	5
Simon Gogitidze, Emzar Kakhidze	
Batumi in Antique literaru Sources	12
თამაზ ბერაძე	
XIII-XV საუკუნეების ბათუმის საქითხი ევროპულ ისტორიოგრაფიაში	13
Tamaz Beradze	
European Historiography on Batumi in XIII –XV cc	21
ზაზა შაშიკაძე	
ბათუმი XVI ს-ის მეორე ნახევარში	22
Zaza Shashikadze	
Batumi in the second half of XVI century	26
ნები გუმუში	
სოციალური ურთიერთობები რიზე-ბათუმს შორის მე-19 საუკუნის დასასრულსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში (რიზეს შარიათის რეესტრების მიხედვით)	27
Nebi Gumushi	
Social relations between Rize and Batumi in the end of 19th century and beginnings of 20th century (in the light of the muslim court recordds of Rize)	32
გოჩა საითიძე, იზა აგლაძე	
ავსტრიელი მეცნიერი და მოგზაური ამანდ ფონ შვაიგერ- ლერხენფელდი ბათუმისა და აჭარლების შესახებ (XIX საუკუნის 80-იანი წლები)	33
Gocha Saitidze, Iza Agladze	
The Austrian Scientist and Traveller Amand von Shveiger-Lerchenfeld about Batumi and the Ajarians (The 80-ies of the 19 th Century)	40
გია გელაშვილი	
ლუიჯი ვილლარი 1905 წლის ბათუმის შესახებ	41
Gia Gelashvili	
Luigi Villari about Batumi in 1905	52

ისტორია History

ბიჭიკო დიასამიძე

ბათუმის ადგილი XVIII-XIX საუკუნეების რესევორის
სამხედრო-პოლიტიკურ გეგმებში

53

Bichiko Diasamidze

Batum in XVIII-XIX Military plans of Russia

58

რევაზ უზუნაძე

თანამედროვე ბათუმის საქალაქო დასახლების ფორმირება-
განვითარების პირველი ნაბიჯები (XIX ს. დამდეგი - 70-იანი წლები) 59

Revaz Uzunadze

First Steps towards Formation and Development of Urban Settlements in
Modern Batumi (Early 19th c.- 1870es)

64

მაღაზა სიორიძე

უცხოეთის ქვეყნების საკონსულოების ბათუმში

65

Malkhaz Sioridze

Foreign Countries Consulates in Batumi

70

სათუნა ქოქრაშვილი

გიორგი ყაზბეგი ბათუმის სტრატეგიული მნიშვნელობის შესახებ

71

Khatuna Kokrashvili

Giorgi Kazbegi About the Strategic Importance of Batumi

77

ვაჟა ჩოჩია

1878 წლის სან-სტეფანოს ზავი და ბათუმის საკითხი ბერლინის
კონგრესზე

78

Vazha Chochia

1878 San-Stephano truce and issue of Batumi on Berlin congress

86

დოდო ჭუმბაურიძე

გაზეთი „დროება“ ბათუმის დაკავების შესახებ

88

Dodo Chumburidze

Magazine “Droeba” About the Occupation of Batumi

94

ოთარ გოგოლიშვილი

ბათუმის განაშენიანების ისტორიისათვის მე-19 საუკუნის დამლევს

(გ. რჩეულიშვილისა და პ. ლიპინსკის პროექტები)

96

Otar Gogolishvili

The Architectural Project of the Town of Batumi at the End of the XIX Century

(The Projects Composed by G. Rcheulishvili and P. Lipinski)

100

გელა საითიძე

პეტრე სურგულაძე და ბათუმის საზოგადოება

101

Gela Saitidze

Petre Surguladze and the Society of Batumi

107

ჯემალ კარალიძე		
ივანე ანდრონიკაშვილი - ბათუმის ქალაქისთავი	108	
Jemal Karalidze		
Ivane Andronikashvili – Batumi City Head	112	
ოლეგ ჯიბაშვილი		
ბათუმის უბნების ისტორიიდან – ბარცხანა	113	
Oleg Jibashvili		
From History of Batumi Districts – Bartskhana	118	
უჩა ოქროპირიძე		
ბათუმის მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა და ერთაშორისი ურთიერთობების ზოგიერთი საკითხი (XX ს-ის პირველი ოცნებელი)	119	
Ucha Okropiridze		
Some Questions of National Structure and National Relation of the Population of Batumi (The first twenty Years of the XX -th century)	125	
ლელა სარალიძე		
ოსმალეთის ოპერაციის პერიოდის ბათუმის ისტორიიდან (1918 წ.)	126	
Lela Saralidze		
From the history of period of Ottoman occupation of Batumi (1918)	131	
ნოდარ მუშკუდიანი		
გერმანული დელეგაციის საქმიანობა ბათუმში 1918 წელს	132	
Nodar Mushkudiani		
The German Delegation's Activities in Batumi in 1918	138	
ოთარ თურმანიძე		
გემთმშენებლობის განვითარება ბათუმში	139	
Otar Turmanidze		
Shipbuilding Development in Batumi	145	
არქეოლოგია Archeology		
ამირან კახიძე		
ბათუმი და მისი შემოგარენი ძვ.წ. I ათასწლეულში (ბათუმის ციხე)	146	
Amiran Kakhidze		
Batumi And Its Suburbs (Batumi Fortress) in I Millennium BC	151	
ნინო ინაიშვილი		
ბათუმი ბიზანტიურ ხანაში (არქეოლოგიური დაზვერვები ყოროლისწყლის ხეობასა და ბათუმის მიდამოებში)	153	
Nino Inaishvili		
Batum in Early Byzantine Period	157	

შოთა მამულაძე, რეზო უზუნაძე ბათუმი შეა საუკუნეებში (წერილობითი წყაროებისა და არქეოლოგიური მასალების მიხედვით)	158
Shota Mamuladze, Revaz Uznadze Batumi In The Middle Ages (According to Written Sources and Archaeological Materials)	165
გიორგი თავამაიშვილი გვიანი შუასაუკუნეების არქეოლოგიური მასალა ბათუმის ციხიდან	166
Giorgi Tavamaishvi Archaeological Materials of Late Middle Ages from Batumi Fortress	170
ეთნოლოგია Ethnology	
ნოდარ კახიძე უილიამ ჯიფორდ პალგრევი ბათუმის შესახებ	171
Nodar Kahidze William Dzhiford Paligrev about Batumi	177
ნაილა ჩელებაძე ბათუმი ე. ერიქსონის ნაშრომის მიხედვით	178
Naila Chelebadze Batumi in the works of E. Ericson	183
თამილა ლომთათიძე ეთნოგულტურულ ღირებულებათა ტრანსფორმაციის ზოგიერთი ასპექტი თანამედროვე ბათუმში	184
Tamila Lomtadze Some aspects to transformation of ethno cultural values in modern Batumi	189
ნუგზარ მგელაძე, მანუჩარ ლორია ბათუმის თანამედროვე რელიგიური პორტრეტი (კათოლიკები, გრიგორიანელები, მუსლიმები, იუდეველები, მართმადიდებელი ბერძნები)	190
Nugzar Mgeladze, Manuchar Loria Current Religious Picture of Batumi (Catholics, Gregorian, Muslims, Jewish, Orthodox Greeks)	200
განათლება და კულტურა Education and Culture	
რუსლან ბარამიძე, სერგეი რუმიანცევი ბათუმის მეჩეთები (წარსული და თანამედროვეობა)	201
Ruslan Baramidze, Sergey Rumyancev Batumi Mosques (Past and present)	207

ცაცა ჩხარტიშვილი ბათუმის კულტურული ცხოვრება XIX საუკუნის 80-90 წლებში (პრესის მასალების მიხედვით)	208
Caca Chkhartishvili Cultural Life of Batumi in 1880s-1890s according to Printed Media	215
მერაბ მეგრელიშვილი ბათუმის თვითმმართველობის კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა XIX საუკუნის დამდევსა და XX საუკუნის დასაწყისში	216
Merab Megrelashvili The Cultural and Educational Activities of Batumi Self-Government at the Boundary of XIX-XX Centuries	219
ერმილე მექსია ბათუმის თეატრის სათავეებთან	220
Ermile Mekxia At Batumi theatre background	228
ტარიელ ჭიგვარია ბათუმ-ქუთაისის თეატრის ისტორიისათვის	229
Tariel Chigvaria From The History of Batumi-Kutaisi Theatre	234
 ეკონომიკა და ტურიზმი Economics and Tourism	
ალექსანდრე თვალჭრელიძე ბათუმი და ნავთობი	235
Alexander Tvalchrelidze Batumi and Oil	240
თემურ ტუნაძე ბათუმი და ნავთობმრეწველთა ამხანაგობა „Branobel“	242
Temur Tunadze Batumi and The Petroleum Production Company "Branobel"	248
ასლან მახადე საბანკო საქმის განვითარება ბათუმში	249
Aslan Makhadze Development of banks in Batumi	255
ზეიად ელიზანი, კურტ ჰაინც რაიცი ბათუმის ადგილი აჭარის ტურისტული ინდუსტრიის განვითარებაში	256
Zviad Eliziani, Kurt Heinz Reitz The place of Batumi in Tourism Sector Development of Adjara Region	259

ომარ ჭიჭავაძე		
ბათუმის ახალი ადგილი საერთაშორისო ტურიზმის რუკაზე	260	
Omar Zhizhavadze		
Batumi – the new place on the world tourism map	264	
 არქიტექტურა Architecture		
მაია ჭიჭილევიშვილი		
ძველი ბათუმის არქიტექტურის მხატვრული სტილის ზოგიერთი საკითხი	266	
Maia Chichileishvili		
Some Issues of Artistic Style of Old Batumi Architecture	275	
ჯემალ მიქელაძე		
ბათუმის საფორტიფიკაციო ნაგებობანი	276	
Jemal Mikeladze		
Fortresses in Batumi	283	
 ტოპონიმიკა Toponymy		
გურამ ჩაგანავა		
ტოპონიმი “ბათომის” წარმომავლობისათვის	285	
Guram Chaganava		
The Origin of the Toponymic Name Batumi	288	
მამია ფალავა		
კვლავ ტოპონიმის ბათუმის ეტიმოლოგიისათვის	289	
Mamia Paghava		
Again on the etymology of Batumi toponymy	295	
მიხეილ ქამადაძე		
ბათუმის ტოპონიმია	296	
Mikheil Kamadadze		
Toponymy of Batumi	302	
 დემოგრაფია Demography		
თამაზ ფუტკარაძე, გაბრიელა ბელოვა		
დემოგრაფიული მდგრადი ქალაქ ბათუმში 2002 წლის აღწერის მიხედვით	303	
Tamaz Putkaradze, Gabriela Belova		
Demographical situation in Batumi according to the description da-to-of 2002	307	

გამომცემლობის დირექტორი – ნანა ხახუტაიშვილი
გამომცემლობის რედაქტორი – ლალი კონცელიძე
მხატვრული რედაქტორი – ჯემალ მიქელაძე
ტექნიკური რედაქტორი – გდუარდ ანანიძე

სელმოწერილია დასაბუჭიდად 10.02.2010

ქაღალდის ზომა 60X84 1/16

ფიზიკური თაბახი 20.1

ტირაჟი 130

ვასი სახელშეკრულებო

დაიბუჭიდა უნივერსიტეტის სტამბაში

ქ. ბათუმი, ნინოშვილის 35